საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
გახსენება ასი წლის შემდეგ–
მოდელი ევროპისთვის?

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი

ფორუმი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში. გრანტის კოდი: MG_CE_04.

გამოცემის მომზადებაზე მუშაობდნენ:
მიხეილ ბახტაძე
სტივენ ჯონსი
ბექა კობახიძე
ირაკლი ირემაძე
ზურაბ გაიპარაშვილი

მთარგმნელი – მარინა ჭყონია

გამოცემის სამეცნიერო რედაქტორები:
ოთარ ჯანელიძე
დიმიტრი სილაქაძე

გამოცემის რედაქტორი – მარიკა ერქომაიშვილი

დიზაინრები: ნათია დვალი და მარიამ ებრალიძე

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული არქივი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს ეროვნული მუზეუმი; სამხრეთ კავკასიის კვლევის ამერიკული ინსტიტუტი (ARISC)

თბილისი, 2018

ISBN 978-9941-13-771-6

სარჩევი

რიჩარდ გ. ჰოვანესიანი
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა:
დაუსრულებელი სიმფონია 5

დიმიტრი შველიძე
საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია
პირველი რესპუბლიკის წლებში 16

სტივენ ჯონსი
დემოკრატიის ფორმირება საქართველოში: 1918-1921 31

ოთარ ჯანელიძე
მემარჯვენე ოპოზიცია საქართველოს დემოკრატიულ
რესპუბლიკაში.....67

ლაშა ბაქრაძე
საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართული კომიტეტი 84

შარლოტ ალსტონი
ბალტიური დიპლომატია და I მსოფლიო ომის შემდგომი
გარიგებები 95

ბექა კობახიძე
„ბრიტანული“ კავკასია – 1918-1920.....117

ირადა ბაგიროვა
აზერბაიჯანულ-ქართულ პოლიტიკური ძალების
ურთიერთქმედება ამიერკავკასიის ხელისუფლებაში
(1917 -1918, მაისი).....146

გიორგი ასტამაძე
გერმანია-ოსმალეთის დაპირისპირება კავკასიაში
1918 წელს და საქართველოს საკითხი 165

ვინფრიდ ბაუმგარტი
ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი და გერმანული
ინტერვენცია საქართველოში 1918 წელს.....184

ერიკ ლი
სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია
საქართველოში, 1920 წელი 205

დიმიტრი სილაქაძე
საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული
ძალების ფორმირების შემაფერხებელი ფაქტორები 222

მიხეილ ბახტაძე
გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ერთი ცნობის შესახებ.....236

ჰაჯი მურად დონოგო
მთიელთა რესპუბლიკა და მოხალისეთა არმია - 1919-1920 250

ენდრიუ ანდერსენი
სამუსლიმანო საქართველო 1918-1921 წლებში და
პირველი რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის
ფორმირება 267

რონალდ გრიგორ სუნი
სოციალიზმი ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში: ქართული
ექსპერიმენტი, 1918-1921 წლები 297

ადრიან ბრისკუ
პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ეკონომიკა: დოვლათის
შექმნას, რედისტრიბუციასა და შრომის დაცვას შორის.....337

ირაკლი ირემაძე
შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკაში.....356

მალხაზ მაცაბერიძე
26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში (1921-1922).....373

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: დაუსრულებელი სიმფონია

რიჩარდ გ. ჰოვანესიანი
კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლოს ანჟელესი (UCLA)

2018 წლისათვის სამყარო შეიცვალა. უკვე შესაძლებელია, როგორც აკადემიურ, ისე სხვა სივრცეში, არა შორეული დევნილობიდან, არამედ ადგილზევე ვიზეიმოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა თუ სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების 100 წლის თავი და ეს ერთობ სასიხარულოა. რეჟიმი ათწლეულთა განმავლობაში გმობდა პირველ რესპუბლიკებს და მათ იმპერიალიზმის სამსახურში მყოფ ბურჟუაზიულ ლაქიებს, ხალხის მტრებს უწოდებდა. სსრკ-ის ნგრევამ სწრაფად გაუხსნა გზა ახალ, მოულოდნელ შესაძლებლობებს დამოუკიდებლობისაკენ, ფუნდამენტური გადაფასებისაკენ, უწინდელი რესპუბლიკების ჯერაც შეუსწავლელი ასპექტების უპრეცედენტო განხილვისაკენ. ეს გამოცემაც, თავისთავად, ამგვარი ნახტომის დასტურია.

1918 წელი გადამწყვეტი აღმოჩნდა კავკასიელი ხალხებისათვის, თავად რუსეთისათვისა და, ზოგადად, მთელი მსოფლიოსთვის. მოულოდნელმა არეულობამ, რომელიც რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, უამრავ ადამიანს გეზი უცვალა, ამიერკავკასიელები კი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ძრწოლისმომგვრელ, ხიფათით სავსე, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე დააყენა. ქართველთა და სომეხთა ამაო მცდელობამ, წინ აღდგომოდნენ თურქეთის შემოჭრას, იმავე წლის აპრილში ბიძგი მისცა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ფორმირებას, თუმცა ფედერაციას დიდხანს არ უარსებია. წინააღმდეგობრივი ინტერესების მქონე ხალხებს – ქარ-

თველებს, სომხებს და მუსლიმებს – ერთობის გრძნობა ნაკლებად გააჩნდათ, რათა ფედერაცია, სანუკვარი, მაგრამ მიუწვდომელი ოცნების გარდა, რამედ ექციათ.

ეგზისტენციალური კრიზისის პირისპირ აღმოჩენილი საქართველოს ეროვნული საბჭო მშობლიური მიწა-წყლისა და ხალხის დაცვას გერმანიის იმპერიასთან საიდუმლო შეთანხმებით, ეფემერული ფედერაციიდან გასვლითა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებით ცდილობდა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ დომინანტური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის უწინდელი გაცხადებული პოზიცია რუსეთისაგან გამოყოფას ეწინააღმდეგებოდა, ეს სერიოზული ვითარებით ნაკარნახევი რევოლუციური ნაბიჯი იყო. საერთაშორისო აღიარების მქონე საქართველოს მენშევიკმა ლიდერებმა ამიერიდან საკუთარ სამშობლოსა და დამოუკიდებელი დემოკრატიის ინფრასტრუქტურის შექმნაზე გაამახვილეს ყურადღება.

შეტევაზე გადმოსული თურქული არმიის პირისპირ მარტო დარჩენილი სომხეთისთვის ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა. მიტოვებული, ნაღალატევი სომხები, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ქალაქი – თბილისი, მასთან ერთად კი კავკასიაში ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცენტრიც დაკარგეს, დიდ გულისტკივილს გამოთქვამდნენ. სომხეთის დამოუკიდებლობა, რომელიც 1918 წლის 28 მაისს გამოცხადდა, ულმობელი აუცილებლობა იყო და არა საზეიმო მოვლენა. სანახევროდ ჯერ კიდევ გაურკვევლობაში მყოფი ქვეყანა, ე.წ. რუსეთის სომხეთი, თურქებს ჰქონდათ ოკუპირებული. სასაკლაოს გამოქცეული ათასობით ლტოლვილი, რომელიც თურქეთის სომხურ პროვინციებს აფარებდა თავს, მძიმე ტვირთად აწვა ისედაც მწირი რესურსების მქონე ქვეყანას. 1918 წლის ზაფხულში სომხეთის ეროვნული საბჭოს თბილისიდან ერევანში გადატანა ერთ-ერთი ყველაზე ბედკრული მოვლენა იყო. მშენებლობისთვის ერევანი სრულიად უკაცრიელი იყო და, ფაქტობრივად, არც ინფრასტრუქტურა არსებობდა. არაფრისგან რაღაცის შექმნა „უკიდეგანო ქაოსში“ მართლაც გამოწვევა იყო.

სასწაულად უნდა მივიჩნიოთ, რომ ერთმა ბეწო სომხურმა სახელმწიფომ ომის დასასრულამდე მიაღწია. ამას თან მოჰყვა ოკუპირებული რუსული სომხეთის ნახევრიდან თურქული ჯარების გაყვანა. სომხები ახლა გამარჯვებულ მოკავშირეთაგან დანაპირების შესრულებას ელოდნენ, რაც ერის უსაფრთხო მომავლის საწინდარი იქნებოდა. ეს, თავის მხრივ, ერევნის მიმდებარე, ხმელეთით შემოზღუდულ პატარა კავკასიურ სახელმწიფოს გაფართოებისა და დამარცხებული ოსმალეთის აღმოსავლეთით იმ მიწების შემოერთების საშუალებას მისცემდა, რომელიც ოდითგანვე სომხეთს ეკუთვნოდა. მართლაც, თურქი ბატონკაცებისგან ლამის გაჟუჟული სომხები, რომლებსაც, ქართველთა და აზერბაიჯანელთაგან განსხვავებით, დამარცხებულ სახელმწიფოთაგან – გერმანიისა და თურქეთისგან – დახმარების ძიება აზრადაც არ მოსვლიათ, მსოფლიო სიმპათია მოიპოვეს და ომის დასასრულს თითქოსდა შესაშურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა ამგვარი მოჩვენებითი უპირატესობა მალევე გააქარწყლა არსებულმა პოლიტიკამ და იმანაც, რომ მოკავშირეებს გაერთიანებული სომხეთის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელი რესურსების გამოყოფა არ სურდათ.

მღელვარებამ კავკასიაში კიდევ ერთი წარმონაქმნი – ამიერკავკასიაში აღმოსავლეთით და სამხრეთით გადაჭიმული, უწინარესად მუსლიმანური აზერბაიჯანის რესპუბლიკა – წარმოშვა. ქართველებისა და სომხებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანელები ოსმალოთა მონათესავენი იყვნენ რასობრივადაც და რელიგიურადაც, ამიტომაც 1918 წელს თურქების თავდასხმისას მათთვის საშიში არაფერი იყო. ფაქტობრივად, არაერთი აზერბაიჯანელი ლიდერი თურქეთს იმთავითვე მოკავშირედ მიიჩნევდა. ფიქრობდნენ, რომ თურქები სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და სომხურ-რუსული ადგილობრივი საბჭოების პარპაშისგან ბაქოს გათავისუფლების საქმეში ხელის გამართვასაც შეძლებდნენ. საბოლოო ჯამში, ამ მიზანს შუა სექტემბერში კიდეც მიაღწიეს. მიუხედავად ყველაფრისა, სრულიად ახლად შექმნილმა აზერბაიჯანმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა. აზერბაიჯანი აკონტროლებდა ვეებერთელა ტერიტორიას სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი

მოსახლეობით. ნავთობის რესურსებით მდიდარი ბაქოცა და აფშერონის ნახევარკუნძული მასვე ეკუთვნოდა, აზერბაიჯანზე გადიოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სარკინიგზო ხაზი და კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული ნავთობსადენი. ამდენად, აზერბაიჯანი მნიშვნელოვანი რგოლი იყო მუსლიმანურ სახელმწიფოთა ჯაჭვში კონსტანტინეპოლიდან (სტამბოლდან) ცენტრალურ აზიამდე. სხვა მხრივ, უაღრესად მრავალფეროვანი იყო აზერბაიჯანის მოსახლეობა. აქ ცხოვრობდა ასეულ ათასამდე ქრისტიანიც. საზღვარი კი დასავლეთით, სადაც სომხებთან გაუთავებელი შეტაკებები თითქმის არასდროს ცხრებოდა, დავის საგანს წარმოადგენდა. თვითკმარი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის თვალსაზრისით, მუსლიმანთა და სომეხთა დემოგრაფიული მდგომარეობა კავკასიაში თითქმის უიმედო იყო. ზიარი ტერიტორიის თარგის რღვევა მშვიდობიანი გზით თითქოსდა შეუძლებელი ჩანდა. ამ ქვეყანათაგან თითოეული მზის ქვეშ კანონიერ ადგილსამყოფელს ეძიებდა, ამიტომაც ჩაღდებოდა შეიარაღებული კონფლიქტები, რაც სამწუხარო იყო, მაგრამ არცთუ მოულოდნელი. და მაინც, ჯერ კიდევ 1920 წლის დასაწყისში ბაქოს მთავრობამ დე ფაქტო აღიარებაც მოიპოვა და გამარჯვებულ მოკავშირეთაგან იარაღითა და აღჭურვილობით მომარაგების დაპირებაც, რათა ქვეყანა ჩრდილოეთიდან მოახლოებული წითელი არმიისაგან დაეცვა.

კავკასიის რესპუბლიკათა შორის საქართველოს რესპუბლიკას არაერთი კრიტერიუმით ყველაზე სახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა. მის კოლექტიურ ისტორიულ მეხსიერებაში მძლავრად აღბეჭდილიყო მოგონებები რუსულ ანექსიამდე არსებულ სახელმწიფოებრიობაზე. რომანოვების მმართველობისას მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად ქცეულმა საქართველომ შესატყვისი უპირატესობებიც მოიპოვა. ის ინარჩუნებდა მძლავრ ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და ფისკალურ ინფრასტრუქტურას. შავი ზღვის სანაპიროზე განფენილ ქვეყანას ევროპისაკენ გასასვლელი და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. მომგებიანი იყო ბუნებრივი გარემოპირობებიც, რომელთა წყალობითაც აქ სუბტროპიკული და ალპური ნედლეულიც მოიპოვებოდა და ძვირ-

ფასი წიაღისეულიც. პირველი მსოფლიო ომისას საქართველო სხვაზე ნაკლებად დაზარალდა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა ეთნიკური ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე. თუმცაღა ბათუმის ოლქი თავდაპირველად რესპუბლიკის საზღვრებში არ შედიოდა, ქართველ ლიდერთა გულმოდგინებისა და სიჯიუტის წყალობით, 1920 წლის ივლისში ქართულმა ჯარებმა, ბოლოს და ბოლოს, დაიკავეს საპორტო ქალაქი ბათუმი. ღვთის წყალობასა ჰგავდა ისიც, რომ მეზობელ სახელმწიფოებში ქართულ უმცირესობათა რაოდენობა უმნიშვნელო იყო და, შესაბამისად, არც ფართომასშტაბიანი ტერიტორიული დავები არსებობდა. ცხადია, შესამჩნევი იყო კუთხური განსხვავება და აღმოსავლეთით ქართლელებისა და კახელებისთვის, დასავლეთით კი გურულების, იმერლების, მეგრელებისა თუ სხვათათვის ჩვეული წვრილმანი კინკლაობა. მიუხედავად ამისა, წამყვანი პოლიტიკური პარტიები ქვეყანას გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ძალად ევლინებოდნენ, რადგან პარტიათა წევრები ყველა კუთხიდან იყვნენ და მათი გავლენა მთელ რეგიონზე ვრცელდებოდა.

სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში ახალმა რესპუბლიკებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს. ჩამოყალიბდა მართვის საპარლამენტო საკაბინეტო სისტემა, ჩატარდა საყოველთაო არჩევნები, დაიწყო აგრარული, განათლებისა თუ თვითმმართველობის (ზემსტვოს) რეფორმები, დაიგო გზები და რკინიგზები, შეკეთდა სატელეგრაფო ხაზები, მსოფლიო ომის შემდეგ პირველად სრულად აითვისეს სახნავ-სათესად გამოსადეგი სავარგულები. რეგიონალური საკითხების თვალსაზრისით, სომხეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს სატრანზიტო და საარბიტრაჟო პროტოკოლებს, საქართველო-აზერბაიჯანს შორის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაფორმდა სამხედრო ურთიერთდახმარების პაქტი, აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთს ოფიციალურად დაუზავდა (თუმცაღა შეთანხმება ხშირად ირღვეოდა), რესპუბლიკებმა ურთიერთაღიარებას მიაღწიეს და დაიწყეს დიპლომატიურ მისიათა გაცვლა, თბილისში კი, ყველაზე ნეიტრალურ, მისაღებ ადგილას, დროდადრო

რეგიონალური სამუშაო კონფერენციები იმართებოდა. საქართველო უფრო წინ წავიდა – დამფუძნებელ კრებას მიწის შესახებ ფუნდამენტური კანონის შემუშავება დაევალა. აზერბაიჯანში ამგვარი ინიციატივებისათვის არ ეცალათ, ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მომლოდინე სომხეთი კი, რუსეთისა და ოსმალეთის მფლობელობაში არსებული მიწების შემომტკიცების იმედით, ფეხს ითრევდა და მოქმედებას არ ჩქარობდა, ვიდრე მოკავშირეთა დახმარებით გაერთიანებული ქვეყნის საზღვრებს დაადგენდა. ამასობაში ერევნის მთავრობამ მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმები გაატარა – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღო და სააპელაციო და უზენაესი რეგიონალური სასამართლოები დააკანონა.

რესპუბლიკებში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო, ყველაფერი ვარდისფრად და იმედისმომცემად არ გამოიყურებოდა. განუწყვეტელ ეთნიკურ სისხლისღვრათა გამო, ყოველივეს ჩრდილი ადგებოდა, სასაზღვრო დავათა საკითხის გადაწყვეტაც მეტად რთულდებოდა და კავკასიის ფედერაციის ან კონფედერაციის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაც ბრკოლდებოდა. თითოეულ ქვეყანაში ინფლაცია მძვინვარებდა, მყარად გამაგრებული ბიუროკრატია კი (ე.წ. *ჩინოვნიკობა)* უბრალო მოქალაქეებს კვლავაც ყვლეფდა. ჩინოვნიკებს სახელმწიფოსადმი ლოიალობის განცდა არ გააჩნდათ, მაგრამ არც სათანადოდ გაწვრთნილი კადრები მოიძებნებოდნენ დაუყოვნებლივ მათ ჩასანაცვლებლად. ხალხი უკმაყოფილო იყო შენელებული დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესებით, წამყვან პარტიათა პლატფორმის შესატყვისი გადამწყვეტი რევოლუციური ზომების გატარებაც აშკარად უღიმღამოდ ხდებოდა. ვიდრე მოკავშირეთა კეთილგანწყობა მოიკოჭლებდა, ჭირდა მათ წარმომადგენლებთან მორიგება. მაგალითად, ბრიტანელი სამხედრო მეთაურები საქართველოს მთავრობას, მეტწილად, მტრულად და ქედმაღლურად ეპყრობოდნენ. ასე გრძელდებოდა 1919 წლის აგვისტომდე, ვიდრე კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს წარმომადგენლად ქართული ლიტერატურის გამოცდილი მკვლევარი (ოლივერ ურودროპი) ჩამოვიდოდა და ვითარება გამოსწორდებოდა.

კავკასიის რესპუბლიკათაგან თითოეულს რუსეთის აჩრდილი კვლავ თავს წამოდგომოდა. საქართველოსა და აზერბაიჯანს წითელი და თეთრი რუსეთი ერთდროულად ემუქრებოდა, ბაქო კი მალე თურქულ-ბოლშევიკური შეთქმულების ბუდედ გადაიქცა და, მიუხედავად ქართველ ხელისუფალთა სადამსჯელო ზომებისა, თბილისსა და საზღვრისპირა ჩრდილოეთ რაიონებში ბოლშევიკური იატაკქვეშეთი აქტიურად მოქმედებდა. სომხეთში ბოლშევიკური მოძრაობა შედარებით უმნიშვნელო იყო, მაგრამ 1920 წლის 28 აპრილს, აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ მალევე, ქვეყნის ახალგაზრდა, გამოუცდელმა ხელმძღვანელობამ მოახერხა, ძალაგამოცლილ სამხედროთა რიგებში არსებული ვითარება სათავისოდ გამოეყენებინა და მაისის თვეში გადატრიალება მოეწყო. გადატრიალება მალევე აღიკვეთა, მაგრამ ამან შეიარაღებული ძალების დემორალიზაცია გამოიწვია.

აზერბაიჯანი სწრაფად დაეცა და, ლოგიკურად, მოკავშირეთათვის საქართველოს უსაფრთხოებას მეტი მნიშვნელობა უნდა შეეძინა. თუმცა, რეალურად, ამან მეტი წონა შესძინა ხმებს, რომლებიც დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ მთელი კავკასიის რეგიონი უკვე რუსეთის გავლენის სფეროში იყო და ნებისმიერი დროებითი მცდელობა საქართველოსა და სომხეთის გადასარჩენად, საბოლოოდ, მაინც ფუჭი და ამაო აღმოჩნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის აგვისტოში სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი თურქეთს, მოკავშირეებსა და ასოცირებულ სახელმწიფოებს შორის სევრის ზავის ხელმოსაწერად მიიწვიეს, სომხეთის მიმართ დასავლეთის ყურადღება კლებულობდა. ამ შეთანხმებით, გაერთიანებულ სომხურ სახელმწიფოს ერევნის რესპუბლიკასთან შესაერთებლად სანქციონირებული დოკუმენტით ოსმალეთის პროვინციების დიდი ნაწილი – ტრაპიზონი, ერზრუმი, ვანი და ბითლისი – გადაეცა. სანამ ზავს ხელი მოეწერებოდა, იმავე მოკავშირეებმა აშკარად გააცხადეს, რომ ისინი ამ მიწების გასათავისუფლებლად და რეგიონიდან თურქული არმიის გასაყვანად საკმარის ძალებს ვერ გამოყოფდნენ, ეს თავად სომხებს უნდა მოეხერხებინათ.

რაც შეეხება თურქეთს, ნაციონალისტმა ლიდერებმა, როგორც კი დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი მის საქმეებში არ

ჩაერეოდა, უარყვეს ზავის პირობები. სექტემბერში ისინი ყარსის ციხესიმაგრისაკენ იერიშით დაიძრნენ. სამ თვეში სომხეთის რესპუბლიკამ მარცხი იწვნია. მთავრობას აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ 1920 წლის 2 დეკემბერს ძალაუფლება საბჭოთა რევოლუციური კომიტეტისათვის გადაებარებინა და საბჭოთა რუსეთისგან ხანმოკლე ომისას ოკუპირებული ტერიტორიების აღდგენის წერილობითი გარანტია მიეღო. სომეხი ლიდერების დასავლურმა ორიენტაციამ შედეგი არ გამოიღო, საბჭოთა ხელისუფლებამ კი მიცემული პირობა მალევე უკან წაიღო და არანაირი სერიოზული ნაბიჯები არ გადაუდგამს საიმისოდ, რომ თურქები ყარსიდან ან თუნდაც ერევნის პროვინციიდან გაეძევებინათ, თუმცაღა აქ ისტორიული ეროვნული სიმბოლო – არარატის მთა მდებარეობდა.

ამგვარი ვითარება სავალალო აღმოჩნდა საქართველოსთვისაც, რომელიც კვლავ ბოლშევიკთა დივერსიისა და სამხედრო ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე სამხრეთიდან. ამასობაში 1921 წლის თებერვალში სომხეთში ანტისაბჭოთა აჯანყებამ იფეთქა. წითელი არმია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უკვე უახლოვდებოდა. ერთი თვეც კი არ გასულიყო, როდესაც წითლებმა ტრიუმფალური მარშით ჩაიარეს საქართველოს დედაქალაქში გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე. ბოლშევიკებთან ბრძოლაში საქართველო კავკასიის რესპუბლიკათაგან ბოლო დაეცა. უცხოეთში გადახვეწილ ქვეყნის ლიდერებს დევნილობაში ისღა ელოდათ, ნოსტალგიის სიმწარე ეწვნიათ, მემუარები ეწერათ და სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ყოფილ მინისტრებთან თუ ოფიციოზთან ერთად თავიანთი ძალისხმევა, ხშირად ფუჭადაც, ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნისკენ მიემართათ.

ამგვარად, მეტაფორულად თუ ვიტყვით, დამოუკიდებლობის ექსპერიმენტი დაუსრულებელ სიმფონიად იქცა. სამოცდაათი წელი დასჭირდა, რათა ბედის ბორბალი მობრუნებულიყო და შესაძლებელი გამხდარიყო შეწყვეტილი მელოდიის გაგრძელება. დღესდღეობით, მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებებისა, საქ-

მიანობა გრძელდება და ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკას ხელთ უპყრია ყველა საჭირო ინსტრუმენტი საკადრისი magnum opus-ის შესაქმნელად.

* * *

1950 წელი იყო, როდესაც კალიფორნიის უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტის სტუდენტმა გადავწყვიტე, ნავსი გამეტეხა და მომემზადებინა სამაგისტრო ნაშრომი, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციაც, სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაზე. იყო ამაში რაღაც რომანტიკული, რადგან მთელ მსოფლიოში დიპლომატიურ მისიათა მქონე დამოუკიდებელი ქვეყნის აღდგენაზე ვოცნებობდი, საკუთარ თავს კი რომელიმე საელჩოში ან გაეროში მომუშავედ წარმოვიდგენდი. მე, გენოციდს გადარჩენილთა შთამომავალი, მცხოვრები სომხურ დიასპორაში, ყოველი მხრიდან მძიმე წნეხქვეშ ვიყავი. და მაინც, ოცნებაში ვხედავდი სომხეთის დამოუკიდებლობას, მოწინავე დემოკრატიულ ინსტიტუციათა მქონე მშვენიერ ქვეყანას ბედნიერი, პროგრესული მოსახლეობით. ალბათ ჯობდა კიდეც, რომ არ ვიცოდი მთელი სიმართლე, რომელიც გამაწბილებდა და ხელს ამაღებინებდა სომხეთის რესპუბლიკის ისტორიის შესწავლასა და ხუთტომიანი ნაშრომის მომზადებაზე, რასაც ოცდაათ წელზე მეტი მოვანდომე. უფრო მეტიც, ვინაიდან სომხურად წერა-კითხვა არ ვიცოდი, დოქტორანტურაში ყოფნისას ჩემივე იდეალიზმმა ბეირუთსა და ლიბანში გადამისროლა, რათა ენაში გავწაფულიყავი და ამ სფეროს მეწინავე მეცნიერად ჩამოვყალიბებულიყავი.

წლების განმავლობაში ოთხ კონტინენტზე საარქივო დოკუმენტების შესწავლისას თანდათან მივხვდი, რომ არ არსებობდნენ კოლეგები, რომლებიც საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა ისტორიას კრიტიკულად შეისწავლიდნენ. მომიჯნავე თემებზე მოკლე ცნობები მოიძევებოდა, მაგრამ არ არსებობდა ყოვლისმომცველი ისტორია დაუნჯებული ისტორიული მეხსიერებით და არც მრუდე საბჭოთა პუბლიკაციათა მამხილებელი ამბები მოიპოვებოდა. ჩემს გზაზე, რომელიც მარტოობის ბილიკს დაემ-

სგავსა, არ მქონია შესაძლებლობა, მეთანამშრომლა ანალოგიური საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებთან. ვცდილობდი, ზედმიწევნით ობიექტური ვყოფილიყავი და ჩემს კვლევაში ჩამერთო სომხეთის კავკასიელი მეზობლების, თეთრი თუ წითელი რუსეთის, ევროპული ძალებისა და ამერიკის შეერთებული შტატების პერსპექტივები. მჯეროდა, რომ შევძლებდი დაბალანსებული ნარატივის წარმოჩენას და არ შემინიღბავს ჩემი ენითუთქმლი სიმპათია დამოუკიდებელი სომხეთისადმი.

1996 წელს, სომხეთის რესპუბლიკის საბოლოო ტომის გამოქვეყნების მომენტისათვის, ვითარება თანდათან შეიცვალა. ქართველმა და აზერბაიჯანელმა მწერლებმა და მეცნიერებმა შეძლეს დაყრდნობოდნენ საკუთარი ქვეყნების ისტორიას. იმავდროულად, მეცნიერთა მცირე, მაგრამ გულმოდგინე ჯგუფი დასავლეთიდან ფოკუსირებული იყო აღდგენილი სახელმწიფოების თანამედროვე ისტორიაზე. ისინი იკვლევდენენ თუნდაც ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისა და ტრანსფორმაციის საკითხებს, ეძებდნენ ცენტრალური საქართველოს მთავრობასა და გარეშე გავლენის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთ თუ ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებს შორის არსებული კონფლიქტის ფესვებს. ამ მკვლევართაგან ზოგიერთის ნააზრევი ამ კრებულშიც არის წარმოდგენილი.

პირადად ჩემთვის ყველაზე საინტერესო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი ჩართულობაა. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ყოვლისმომცველი ისტორია ჯერ კიდევ არ დაწერილა, წინამდებარე გამოცემასა და მასში შესულ სტატიებში უკვე შემოთავაზებულია მიდგომათა ფართო სპექტრი. აქ წარმოდგენილია შიდაადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და მილიტარისტულ კვლევათა მწყობრი სისტემა, რათა დავიწყებას არ მიეცეს სახელმწიფოს ფორმირების, რეგიონალური კოოპერაციისა და უცხოურ ინტერვენციის საკითხები. შესაძლოა, ეს გამოცემა სრულად ვერ აკმაყოფილებდეს აკადემიური სტანდარტების უმკაცრეს მოთხოვნებს, მაგრამ ის კარგი დამხმარე მასალაა თანამედროვე

საქართველოს ისტორიის კომპლექსური თავსატეხის ამოსაცნობად. წინამდებარე კრებული კარგად წაადგება უცხო ენებში გაწაფულ ახალ თაობას, რათა მან გააღრმავოს ამ სფეროს კვლევა, მოარგოს ის გამოწვლილვით ანალიზს და, პატრიოტულ გრძნობათა შეულახავად, თამამად გამოიტანოს სამზეოზე პოპულარული თუ ნაკლებპოპულარული ახალი აღმოჩენები.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია პირველი რესპუბლიკის წლებში

დიმიტრი შველიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1918 წლის 26 მაისს წინ უძღვოდა ერთ წელზე მეტი მონაკვეთი, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან. ამიტომ ორიოდე სიტყვით შევეხებით ამ წინა პერიოდს.

1917 წლის დასაწყისში პეტროგრადსა და რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებს ქართული პოლიტიკური პარტიები ერთგვარი სიფრთხილით შეხვდნენ. იმპერიის დედაქალაქში განვითარებული მღელვარე მოვლენები, მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები 4 მარტამდე არც ერთ ქართულ გაზეთს არ გაუშუქებია. მხოლოდ მოკლე ინფორმაციები ქვეყნდებოდა. ცენტრიდან მიღებული მწირი ცნობების გარდა, როგორც ჩანს, ადგილობრივი პოლიტიკური ძალები ელოდებოდნენ პროცესების შედეგებს. სიფრთხილის მიზეზი კი იყო მრავალათასიანი რუსული ჯარი, რომელიც ოსმალეთის ფრონტზე იბრძოდა. მას შეეძლო, სასტიკად ჩაეხშო ნებისმიერი ანტიიმპერიული საპროტესტო გამოსვლა.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტია გამონაკლისი არ იყო. ფედერალისტების პარტიულ გაზეთ „სახალხო ფურცელში“ მხოლოდ 1917 წლის 4 მარტს გამოჩნდა ცნობა ნიკოლოზ მეორის გადადგომის შესახებ. 5-6 მარტის „სახალხო ფურცელი“ უკვე თამამად და საზეიმოდ იუწყებოდა რუსული მონარქიის დაცემისა და დიდი რევოლუციის გამარჯვების შესახებ.

ქართველი ფედერალისტების სტრატეგია და ტაქტიკა, ძირითადად, რევოლუციის შემდეგაც იგივე რჩებოდა: „საერთო ნიადა-

გი“, ავტონომია, მიწების სოციალიზაცია... შეიცვალა პირობები. თუ ფედერალისტები აქამდე მსოფლიო ომის დასრულებასა და მის შედეგებს ელოდებოდნენ, ახლა, რუსეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მათ დაიწყეს ზრუნვა საკუთარი მიზნების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

1917 წლის 17 მარტს გაიმართა ფედერალისტური პარტიის თბილისის კომიტეტის თათბირი. „ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ რუსეთის რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის და მოვითხოვოთ საქართველოს პოლიტიკური ავტონომია“ – მიმართა პარტიის თავმჯდომარემ, გიორგი ლასხიშვილმა, თანაპარტიელებს.

ურთიერთობა ფედერალისტებსა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის რევოლუციის პირველივე დღეებში გამწვავდა. როგორც ცნობილია, დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად დანიშნა ახალი სამხარეო ხელისუფლება – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. მის შემადგენლობაში თავდაპირველად ხარლამოვთან, პაპაჯანოვთან და ჯაფაროვთან ერთად შედიოდა სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მწვავედ გააკრიტიკეს მთავრობის ეს გადაწყვეტილება და დაიმუქრნენ, რომ არ ცნობდნენ ამგვარი შემადგენლობის სამხარეო მთავრობას, რომელშიც შეყვანილი იყო „ნაციონალისტი აბაშიძე“ და არავინ იყო უძლიერესი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

დროებითი მთავრობა შეშინდა და კომპრომისზე წავიდა: კომიტეტში შეიყვანეს სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი და აბაშიძეც დატოვეს. ასე ამოიწურა კონფლიქტი, მაგრამ მას წინ უძღოდა ადგილობრივი ძალების მძაფრი დაპირისპირება, ურთიერთკრიტიკა, პოლემიკა, ცილისწამება და დაძაბულობა, რომელიც ერთხანს კიდევ გრძელდებოდა. დაპირისპირებაში ჩაება მთელი სოციალისტური და „ნაციონალისტური“ სპექტრი ანუ სოციალ-დემოკრატების მომხრეები და მთელი პატრიოტული ბანაკი. პოლემიკამ მთელი ქართული საზოგადოება მოიცვა.[1]

[1] დ. შველიძე, გიორგი ლასხიშვილი, ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთ პარტიას, თბილისი, 2018, გვ. 2.

ქართველმა ფედერალისტებმა მოიწონეს დროებითი მთავრობის კომპრომისული გადაწყვეტილება. პარტიის მთავარი კომიტეტის თბილისის თათბირმა გადაწყვიტა, მისალმებოდა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც თბილისში 18 მარტს უნდა ჩამოსულიყო. ასეც მოხდა. 19 მარტს თბილისში, ფიქრის გორაზე, გაიმართა სოციალისტ-ფედერალისტების მშვიდობიანი მიტინგი. მასზე სიტყვით გამოვიდნენ კიტა აბაშიძე, იოსებ ბარათაშვილი, სამსონ დადიანი, ქ-ნი დგებუაძე, გრიგოლ ლაღიძე, შალვა მესხიშვილი და სხვანი. მიტინგის შემდეგ მონაწილეები მივიდნენ ყოფილი მეფისნაცვლის სასახლესთან და სოლიდარობა გამოუცხადეს ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს. ყველაფერი შერიგებით დამთავრდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა. ჩხენკელის მიმართ ფედერალისტები ლოიალურად იყვნენ განწყობილნი.

ქართველმა ფედერალისტებმა რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მიიჩნიეს, რომ დადგა დრო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნისა და განხორციელებისა. იმავდროულად, ისინი კვლავ ფიქრობდნენ, რომ ეს უნდა განხორციელებულიყო ქართული პოლიტიკური პარტიების შეთანხმებითა და გაერთიანებით. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს პირველი ინტერპარტიული კრებების ჩატარებაში 1917 წლის 4 და 16 აპრილს.

როგორც ვიცით, პირველ ინტერპარტიულ კრებაზე ოქმი არ შეუდგენიათ, მაგრამ როგორც ჩანს, მას, ძირითადად, ესწრებოდა იგივე ხალხი, რომელიც მეორე კრებას. მეორე კრებას კი სოციალისტ-ფედერალისტებიდან ესწრებოდნენ: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ ბარათაშვილი, სიმონ მდივანი, სამსონ ფირცხალავა, სამსონ დადიანი, შალვა ალექსი-მესხიშვილი. კრებას, გარდა ფედერალისტებისა, ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები და ორი უპარტიო წარმომადგენელი – სულ 20 კაცი. ამ კრებებზე შეათანხმეს რამდენიმე ძირეული ეროვნული საკითხი, რომლებიც კარგადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის – საზღვრების საკითხი, სეიმის უფლებამოსილება და სხვ.

სამწუხაროდ, ვერ შეთანხმდნენ მუდმივმოქმედი ეროვნული ცენტრის შექმნაზე, რასაც დაჟინებით მოითხოვდნენ ფედერალისტები. სოციალ-დემოკრატები ასეთი ცენტრის შექმნას ნაადრევად მიიჩნევდნენ, რადგან, როგორც ნოე რამიშვილი აცხადებდა, ეს საკითხი სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვისაც არ იყო გარკვეული. საბოლოოდ, საკითხის განხილვა გაურკვეველი დროით გადაიდო.

ასეთი ეროვნული ცენტრი საქართველოში, როგორც უკანასკნელი კვლევებით დადგინდა, მხოლოდ 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა.[2] მას ჯერ „ქართველი ერის ინტერპარტიული ბიურო“ ეწოდა, ხოლო 25 აგვისტოს – „ინტერპარტიული საბჭო“. ამ პერიოდიდან და შემდგომში, როცა „ეროვნული საბჭო“ ჩამოყალიბდა, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდნენ ორივე საბჭოს საქმიანობაში თვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ფედერალისტური პარტიის თავმჯდომარე გ. ლასხიშვილი ჯერ ინტერპარტიული საბჭოს, ხოლო შემდგომში ეროვნული საბჭოსა და აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

1917 წლის 7-12 მაისს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მორიგი კონფერენცია გაიმართა. ეს რიგით მეოთხე კონფერენცია იყო, მაგრამ, თვით ფედერალისტების გადაწყვეტილებით, მას „პირველი“ თავისუფალი კონფერენცია უწოდეს. რიგითობის თავიდან დაწყებით სოციალისტ-ფედერალისტები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მაისის კონფერენცია იმართებოდა თავისუფალ გარემოში, ლეგალურად და მომხდარი რევოლუციის პირობებში.

კონფერენციას უნდა განესაზღვრა პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა ახალ პირობებში. პირველი მოხსენებაც შესაბამისი სახელწოდებისა იყო – „თანამედროვე მომენტი და ჩვენი ტაქტიკა“. დანარჩენი მოხსენებებიც დროის გამოწვევებს ეხებოდა: დამოკიდებულება სხვა პარტიებთან და ერებთან; ომი, აგრარული, საქარ-

[2] შ. ვადაჭკორია, ერთხელ კიდევ საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს შექმნის დროის დაზუსტებისათვის, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2016, 1 (18), გვ. 135.

თველოს ავტონომიისა და ორგანიზაციული საკითხები. შეკრების 157 სრულუფლებიანი დელეგატი და ალბათ სხვა მონაწილეებიც ოვაციებით მიესალმნენ კიტა აბაშიძეს, რომელიც უკვე სერიოზულად ავადმყოფობდა. ის და გიორგი ზდანოვიჩი კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეებად დაასახელეს. ორივე მოღვაწე 1917 წელს გარდაიცვალა და ამით ფედერალისტებმა ორი ყველაზე სახელიანი ავტორიტეტი დაკარგეს.

ომის საკითხში კონფერენციამ მხარი დაუჭირა დროებით მთავრობას და მის პოზიციას, გამარჯვებამდე გაეგრძელებინა ომი, თუმცა, ამავე დროს, ეზრუნა ომის დამთავრებასა და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე. პარტიის მთავარ საზრუნავად რჩებოდა საქართველოს ავტონომიის მოპოვება. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო შეთანხმება სხვა პარტიებთან. გარდა ამისა, ფედერალისტებს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ ეროვნული კრების მოწვევა და არაერთი რეფორმის გატარება – ადგილობრივი მმართველობის, სკოლის ნაციონალიზაციის, სასამართლოს და სხვ. ამ საკითხებზე განმარტება გააკეთა და ყურადღება გაამახვილა გიორგი ლასხიშვილმა. იგი სიტყვით გამოვიდა ძირითადი მომხსენებლის, შალვა ალექსი-მესხიშვილის, შემდეგ. მისი ზოგიერთი შეხედულება განსხვავებული იყო მესხიშვილის თვალსაზრისისგან. მიწის სოციალიზაციის საკითხში ლასხიშვილი იცავდა ფედერალისტების ტრადიციულ პოზიციას, რომ აგრარული პრობლემის რადიკალური გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ მიწების სოციალიზაციით, რისთვისაც, მისი თქმით, რუსეთის გლეხობა მზად არ იყო.

იყო თუ არა მზად ქართველი გლეხობა სოციალიზაციისათვის ან საერთოდ უნდოდა თუ არა მას სათემო საკუთრება – ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით გრიგოლ ლაღიძე ეჭვს გამოთქვამდა. მას მიაჩნდა, რომ ქართველ გლეხობაში კერძო საკუთრების სურვილი უფრო ძლიერი იყო.

მეტი წინააღმდეგობა გამოიწვია ე.წ. „რეალური მოსახლეობის“ პრინციპმა. საკითხი ეხებოდა ავტონომიური საქართველოს ტერიტორიული საზღვრების პრობლემას. გრიგოლ რცხილაძემ თავის

მოხსენებაში გამოთქვა აზრი, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არაქართველი იყო, უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი და მას გადაეწყვიტა რეგიონის საქართველოს საზღვრებში დარჩენა-არდარჩენის საკითხი. ამგვარ გადაწყვეტას მწვავედ დაუპირისპირდა კონფერენციის მონაწილეთა ნაწილი და, მათ შორის, ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდია. საუბარი ეხებოდა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებსა და ზაქათალის ოლქს. „შეუძლებელია ასე იოლად გადაწყდეს ბედი ამ ორი პროვინციისა (ბორჩალო-ახალქალაქისა – დ. შ.), რომელიც 10 874 ოთხკუთხა (კვადრატულ) კილომეტრს აღემატება“ და მეტი სიფრთხილე გვმართებსო, მოუწოდებდა გამსახურდია კონფერენციის მონაწილეებს.[3]

სოციალისტ-ფედერალისტებმა მაინც მიიღეს „რეალური მოსახლეობის“ პრინციპი. როგორც ჩანს, ეს საკითხი ქართველმა ფედერალისტებმა „ინტერნაციონალისტურად“ გადაწყვიტეს და გადაუხვიეს ტრადიციული ფედერალისტების პარტიის ეროვნული პრიორიტეტულობის გენერალურ ხაზს.

ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის პერიოდში ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები მხარს უჭერდნენ სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოებრივ მოდელს. თუმცა ისინი ამავე დროს პრინციპულად მოითხოვდნენ საქართველოს ავტონომიურ გამიჯვნას. მათი აზრით, ჯერ უნდა შექმნილიყო სამივე ამიერკაკასიური ავტონომიური სახელმწიფო და ამის შემდეგ მომხდარიყო ავტონომიური სახელმწიფოების გაერთიანება ფედერაციაში.

ავტონომიის მოთხოვნა ფედერალისტების პარტიისათვის იყო ტაქტიკური არჩევანი, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში მიმართავდნენ. როცა დღის წესრიგში დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, მათ, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი დამოუკიდებლობას. ცოტა უფრო ადრე, 1918 წლის აპრილში, გ. ლასხიშვილი ამიერკავკასიის სეიმს მიმართავდა კიდეც: „ყვე-

[3] გაზ. *სახალხო ფურცელი*, 1917 წ., 9 მაისი.

ლა სოციალისტური, ყველა რევოლუციური პარტიები სცნობენ თავისუფლებას, როგორც აქსიომას და დამოუკიდებლობას – როგორც თავისთავად ფასეულობას, რომელიც აუცილებელია თითოეული მოცემული ხალხისათვის". სოციალისტ-ფედერალისტები დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

1918 წლის 26 მაისს, როცა დამოუკიდებლობის აქტი გამოცხადდა, სასახლის წინ შეკრებილი ხალხი არ დაშლილა. საზეიმო განწყობილებას ტონს აძლევდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა საბრძოლო რაზმის ჯარისკაცები, რომლებიც ბათუმის ფრონტიდან იყვნენ ჩამოსულნი. ისინი ყვიროდნენ და მოითხოვდნენ ორატორების გამოსვლას: წერეთელი, ლასხიშვილი, მესხიშვილი!.. მიტინგი განახლდა. ჯერ გამოვიდა კაკი წერეთელი, რომელმაც ხალხს ამაღელვებელი სიტყვით მიმართა, შემდეგ – შალვა მესხიშვილი, შემდეგ – კარლო ჩხეიძე. მათ სხვებიც მიყვნენ.

ბოლო ორატორი იყო ვინმე იაშვილი, რომელმაც თავისი სიტყვის დასასრულს ხალხს მიმართა, „დღეიდან გოლოვინის პროსპექტს „რუსთაველის ქუჩა" ეწოდებაო".[4] ამის მერე სოციალისტ-ფედერალისტების რაზმი და მიმყოლი ხალხი „რუსთაველის ქუჩით" დაიძრა, ვერის აღმართი ჩაიარა, იქაც სახელდახელო მიტინგი გამართა, ოლღას ქუჩა განვლო, წყნეთის ქუჩას მიაღწია, უკან გამობრუნდა და, იმავე ქუჩების გავლით, კვლავ სასახლესთან დაბრუნდა. ხალხი მხოლოდ 20:00 საათზე დაიშალა.

როგორც ცნობილია, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას დამოუკიდებელი საქართველოს პირველ კოალიციურ მთავრობაში ორი მინისტრი წარმოადგენდა: გიორგი ლასხიშვილი – სახალხო განათლების მინისტრი და შალვა ალექსი-მესხიშვილი – იუსტიციის მინისტრი. ორივე მათგანმა მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა ახალგაზრდა რესპუბლიკის ისტორიის პირველ ეტაპზე, სანამ კოალიციური მთავრობა ფუნქციონირებდა.

გ. ლასხიშვილმა გაატარა სკოლის ნაციონალიზაცია და, შეიძლება ითქვას, რომ რეფორმებით საფუძველი ჩაუყარა ახალ ქარ-

---

[4] გაზ. *სახალხო საქმე*, 1918 წ., 27 მაისი.

თულ ეროვნულ სკოლას, განათლებას. რეფორმა აგრეთვე ითვალისწინებდა ახალი სკოლების გახსნას, მასწავლებლების კადრების მომზადებას, მოსამზადებელი კურსების ორგანიზებას და სხვ. განათლების სფეროში განხორციელდა სხვა სიახლეებიც – გ. ლასხიშვილის მინისტრობის დროს თბილისის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა. 1918 წლის 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. იმავე დღეს მიღებული კანონით კი, დაწყებით არაქართულ სკოლებში მეოთხე კლასამდე შემოიღეს ქართული ენის სავალდებულო სწავლება. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის აღიარებული ლიდერი გიორგი ლასხიშვილი – განათლების პირველი მინისტრი – შეიქნა ის პიროვნება, რომელსაც წილად ხვდა დიდი პატივი, ყოფილიყო ქართული სკოლის დაფუძნების პირველი ორგანიზატორი და საფუძვლის ჩამყრელი. ასევე უნდა ითქვას მეორე მინისტრის შესახებაც – შალვა მესხიშვილმა განახორციელა არაერთი რეფორმა სამართლის სფეროში.

1919 წლის მარტიდან საქართველოს უკვე ერთპარტიული მთავრობა განაგებდა, რის გამოც არასოციალ-დემოკრატიული პარტიების აქტივობა დამფუძნებელ კრებაში გაგრძელდა. ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნაკლებად ან მეორეხარისხოვან ადგილებზე იყვნენ წარმოდგენილი – მინისტრების მოადგილეებად, ცალკეული უწყებების ხელმძღვანელებად ან რიგით მუშაკებად.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის იანვარში, ჩატარდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მეორე (მეხუთე) თავისუფალი კონფერენცია. გ. ლასხიშვილი კვლავ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მთავარ კომიტეტში შედიოდნენ: გ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა, შ. ნუცუბიძე, შ. მესხიშვილი, ს. დადიანი, ქ. რაჭველიშვილი, ა. პაპავა, თ. ღლონტი, ი. ბარათაშვილი, მ. საყვარელიძე, ე. ტოროტაძე, დ. უზნაძე, ი. გედევანიშვილი, შ. მიქელაძე. თავმჯდომარის ამხანაგები იყვნენ ფირცხალავა და ბარათაშვილი, მდივანი – საყვარელიძე. მეორე კონფერენციას პარტიის საქმიანობაში რაიმე პრინციპული სიახლე არ შეუტანია.

მესამე კონფერენცია უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გაიმართა – 1918 წლის სექტემბერში. პარტია მიესალმებოდა თავისუფალ საქართველოს, მხარს უჭერდა უნიტარულ სახელმწიფო სისტემას და თავის ურყევ მიზნებად სოციალიზმსა და ფედერალიზმს აცხადებდა. ქართველი ფედერალისტები კვლავ მტკიცედ იდგნენ ტრადიციული „საერთო ნიადაგის“ საფუძველზე. კონფერენციამ დაადასტურა თავისი ძველი მიზანი ახალ პირობებში – ფედერალისტების პარტია ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან შეთანხმება-თანამშრომლობის მომხრე იყო, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას ცდილობდა.

პირობებიც შეიცვალა და დროც, რომელმაც ნამდვილი გამოცდა მოუწყო ფედერალისტების პარტიას. პირველ რიგში, ეს შეეხო ავტონომიის ძველ ლოზუნგს. იგი უმტკივნეულოდ იქნა უარყოფილი, როგორც კი დამოუკიდებლობისათვის ხელსაყრელი დრო დადგა. როგორც ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციამ პირველივე მუხლით დაადასტურა, რომ „ჩვენი სახელმწიფოს არსი უნიტარული რესპუბლიკაა“. იქვე განმარტებული იყო, რომ უნიტარიზმი თავისთავად გამორიცხავდა ქვეყნის „ფედერაციულ ან კონფედერაციულ მოწყობას“.[5]

სოციალისტ-ფედერალისტებმა კონსტიტუციის მიღებამდე ოფიციალურად გამოხატეს თავიანთი აზრი და მხარი დაუჭირეს სახელმწიფოს უნიტარულ სისტემას. როგორც მ. მაცაბერიძე აღნიშნავს, 1919 წლის 2 ივლისის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე იხილებოდა საკითხი – „განუყოფელი უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო თუ არა“. საკონსტიტუციო კომისიის სოციალისტ-ფედერალისტმა წევრმა იოსებ ბარათაშვილმა განაცხადა: „მე დღეს ვუჭერ მხარს უნიტარულ სახელმწიფოს, თუმცა ფედერალისტი ვარ“.[6] უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ბარათაშვილი ფედერალისტების პარტიის ჩამოუყალიბებლობას რატომღაც ქართველი ერის ჩამოუყალიბებ-

[5] მ. მაცაბერიძე, უზენაესი ბატონი ქვეყნისა: როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, თბილისი, 2008, გვ. 33.

[6] იქვე, გვ. 34.

ლობას აბრალებდა. ფედერალისტების მუდმივმა მერყეობამ სახიფათო ზღვარს ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიაღწია. სოციალისტური დოგმების ერთგულებამ ისინი რამდენჯერმე ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველად ეს მოხდა მაშინ, როცა მათ ე. წ. „რეალური მოსახლეობის“ პრინციპი აღიარეს.

ერთპარტიული მმართველობის დამყარების შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი პოლიტიკური საქმიანობა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში წარიმართა. ისინი დამფუძნებელ კრებაში რვა დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილნი: გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, შ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. მდივანი. იმავე წლის აგვისტოდან მათ დაემატა ს. დადიანი.

ვერ ვიტყვით, რამდენად თანმიმდევრული იყო ეს აქტივობა. საერთოდ, შევნიშნავთ, რომ 1910-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა პარტიაში ე.წ. მეორე თაობა მოვიდა, სოციალისტ-ფედერალიტების პარტიაში გაძლიერდა სოციალისტური ორიენტაცია, სოციალისტური დოქტრინების წინ წამოწევა, როდესაც ადრე პირიქით იყო. ფედერალისტების ძველი თაობისათვის ყოველგვარი სოციალიზმი უქვემდებარდებოდა ეროვნული პრობლემის პრიორიტეტს. მას შემდეგ, რაც პარტიას გამოაკლდა მისი მთავარი იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე და რამდენიმე ლიდერი, გ. დეკანოზიშვილისა თუ ვ. ლორთქიფანიძის სახით და მას შემდეგ, რაც პარტიაში პოზიციები გაიმაგრა ე.წ. მეორე თაობამ, სოციალიზმის დოქტრინამ წინ წამოიწია. 1910-იანი წლებიდან ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მეორე თაობის წარმომადგენლები იყვნენ: თედო ღლონტი, არჩილ ჯაჯანაშვილი, შალვა ნუცუბიძე და სხვ.

ფედერალისტების საპარლამენტო ფრაქციამ ჯერ ეროვნულ საბჭოში, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების სხდომებზე წამოუყენა ბრალდებები მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბურჟუაზიულობასა და სოციალიზმის ღალატში. ისინი აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც თითქოს ღალატობდნენ სოციალიზმს და არ ატარებდნენ რეფორმებს ამ მიმართულებით. ფედე-

რალისტებს არანაკლები ენთუზიაზმით უბამდნენ მხარს ქართველი ესერები.

1918-1921 წლებში ფედერალისტების პარტიისათვის სოციალიზმი და ეროვნული თავისუფლების პრობლემები თითქმის თანაბარმნიშვნელოვან ღირებულებებად იქცა. „საქართველოს დამოუკიდებლობა რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია, – მიმართავდა შ. ნუცუბიძე მეორე ინტერნაციონალის საქართველოში ჩამოსულ ლიდერებს და განმარტავდა: – ეროვნული თავისუფლება აუცილებელი პირობაა მშრომელთა კლასის სოციალიზმის მისაღწევად... სოციალისტურ დროშაზედ ყოველთვის ეწერა განთავისუფლებული პიროვნება თავისუფალ ერში და მომავალი წარმოდგენილი გვქონდა, როგორც თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი.... და ეს სოციალისტური შედუღება კლასთა ბრძოლის პრინციპისა ეროვნულ პრობლემებთან ყოველთვის იყო დამახასიათებელი თვისება სოც.-ფედ. სარევოლუციო პარტიისა“.[7]

მიუხედავად ამისა, ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორიც იყო ეროვნული დამოუკიდებლობა, თავდაცვა, საქართველოს დასავლური ორიენტაცია და ა. შ. სოციალისტ-ფედერალისტები მუდამ პოლიტიკურ ძალთა ერთიანობისა და მთავრობასთან თანადგომის პოზიციაზე იდგნენ. ამ მხრივ, საინტერესოა სოციალისტ-ფედერალისტების დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი.

1919 წლის 6 მაისის სხდომაზე, გ. გვაზავას წინადადებით, დამფუძნებელმა კრებამ შექმნა საგარეო საქმეთა კომისია, რომელშიც სოციალისტ-ფედერალისტებიდან შევიდა ს. მდივანი. კომისიის სხვა წევრები იყვნენ: დიომიდე თოფურიძე, გერასიმე მახარაძე, იოსებ სალაყაია, კონსტანტინე ჯაფარიძე, გიორგი გვაზავა და ივანე გობეჩია. მცირე ხნის შემდეგ სვიმონ მდივანმა წამოაყენა ინიციატივა, კომისია მუდმივმოქმედად გადაკეთებულიყო. წინადადება მოწონებულ იქნა. საგარეო საქმეთა მუდმივმოქმედი კომისია 1919 წლის 11 ივლისის კრებაზე დამტკიცდა და მის თავმჯდომარედ

[7] საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 1920, 14 სექტემბერი, მეორე სესია, 51-ე სხდომა.

თავად ს. მდივანი დაინიშნა. ამჯერად კომისიის შემადგენლობაში ახალი წევრები გაჩნდნენ: ნიკო ელიავა, აკაკი ჩხენკელი და გრიგოლ ვეშაპელი. შემდგომში ეს შემადგენლობაც ბევრჯერ შეიცვალა, რადგან კომისიის არაერთი წევრი გაიგზავნა დიპლომატიურ სამსახურში.

ჩამოვთვლით იმ რეზოლუციებსა და საკითხებს, რომლებიც მიიღო და მოიწონა დამფუძნებელმა კრებამ და რომლებსაც მხარი დაუჭირა ფედერალისტების ფრაქციამ. ასეთი იყო სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომელსაც გამოეხმაურა ფრაქციის წევრი სამსონ ფირცხალავა: „ჩვენ არ შეგვიძლია, ვირჩიოთ სხვა გზა, გარდა შეთანხმებისა მეზობელ ხალხებთან“.[8] სოციალისტ-ფედერალისტების ფრაქციამ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის, ს. მდივნის, სახით მოიწონა საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივი თავდაცვითი ხელშეკრულება. იგივე გააკეთა ფრაქციის სახელით გიორგი ლასხიშვილმა. ფრაქციამ მხარი დაუჭირა დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ მთავრობის სამხედრო ღონისძიებებს. ის მომხრე იყო საბჭოთა რუსეთთან „წესიერი ურთიერთობის“ როგორმე დამყარებისა (სამსონ ფირცხალავა). ფრაქციამ მოიწონა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და ა.შ. გარდა ამისა, ფედერალისტთა ფრაქცია მიესალმა ევროპის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დე ფაქტო და დე იურე დამოუკიდებლობის ცნობას და ა. შ.

1919 წლის სექტემბერში გამართულ მეოთხე კონფერენციას მნიშვნელოვანი არაფერი შეუცვლია პარტიაში. თუმცა ამ დროისათვის უკვე თავი იჩინა პარტიულმა წინააღმდეგობებმა. 1919 წლის 3 იანვარს პარტიას ჯერ ანარქისტულად განწყობილი ჯგუფი გამოეყო და ახალი პარტიის შექმნა სცადა. მან თავს უწოდა „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მაშვრალთა პარტია“. აპრილში მათ პირველი კონფერენცია ჩაატარეს და სახელწოდება შეიცვალეს – „საქართველოს სარევოლუციო სინ-

[8] გ. მამაცაშვილი, საგარეო პოლიტიკის საკითხები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921), თბილისი, 2013, გვ. 103.

დიკალისტ-მაშვრალთა კავშირი“. ახალი პარტიის აქტიურ ბირთვს წარმოადგენდნენ: ალექსანდრე წერეთელი, ისიდორე ვარაზაშვილი, სერგო გერსამია, გენო ქელბაქიანი, გრიგოლ ლაღიძე, ვასილ ვარაზაშვილი და სხვ. ორგანიზაციის დაფუძნებაში მონაწილეობდა ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ფედერალისტების მეოთხე კონფერენციაზე სინდიკალისტების ერთი ნაწილი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში დაბრუნდა, მაგრამ სინდიკალისტების კავშირმა არსებობა განაგრძო. კვლავ განახლდა სინდიკალისტ-მაშვრალების გაზეთ „ახალი ნაკადის“ გამოცემა, თუმცა – მცირე ხნით. სინდიკალისტ-მაშვრალებს სხვა არაფრით გამოუჩენიათ თავი და არც სერიოზული გავლენა ჰქონიათ ქართულ პოლიტიკურ პროცესზე.[9] მათ მონაწილეობა მიიღეს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ მხოლოდ 1616 ხმა მოაგროვეს და კრებაში დეპუტატი ვერ გაიყვანეს.

უფრო სერიოზული განხეთქილება პარტიაში საბჭოთა რუსეთის აგრესიის საფრთხის მოახლოებამ გამოიწვია. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა სოციალისტ-ფედერალისტების მეხუთე კონფერენციაზე, რომელიც 1921 წლის 9-14 იანვარს მიმდინარეობდა. კონფერენციაზე ძირითადი მოხსენება მთავარი კომიტეტის მიერ განეული მუშაობის შესახებ წაიკითხა მიხეილ საყვარელიძემ, რომელიც მდივნის მოვალეობას ასრულებდა. ამ დროისათვის პარტიაში ძლიერ გაიზარდა მემარცხენეების გავლენა. ისინი სულ უფრო უპირისპირდებოდნენ „ძველებს“ – პარტიის ძველ თაობას. ეს იყო მემარცხენეთა მეორე ჯგუფი, რომელიც საბჭოთა რუსეთთან კომპრომისის პოზიციაზე იდგა და ბოლშევიკებთან თანამშრომლობისაკენ იხრებოდა – თედო ღლონტი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ხუნდაძე და სხვ.

კონფერენციის პირველი დღის სხდომაზე გ. ლასხიშვილი მიესალმა მონაწილეებს და რეგლამენტი გამოაცხადა. ამის შემდეგ სხდომა შეწყდა იმ მიზეზით, რომ დელეგატები ჯერ კიდევ ჩამოსასვლელები იყვნენ. მეხუთე კონფერენციამ მთავარ კომიტეტში

[9] დ. შველიძე, ანარქო-სინდიკალიზმის ისტორიიდან საქართველოში, კრებულში: ზურაბ პაპასქირი – 60, თბილისი, 2010-2013, გვ. 320-327.

შეიყვანა „ძველებიც“ და „ახლებიც“: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, ს. დადიანი, მიხ. საყვარელიძე, ს. ფირცხალავა, შ. ნუცუბიძე, ერ. ტოროტაძე, გრ. გველესიანი, თ. ღლონტი, შ. მიქელაძე, ს. მდივანი, ვ. კოტეტიშვილი, ა. პაპავა, ი. ბარათაშვილი, ვ. პაატაშვილი. 20 იანვარს მთავარმა კომიტეტმა კვლავ აირჩია თავმჯდომარედ – გ. ლასხიშვილი, მის ამხანაგებად – ს. ფირცხალავა და ს. დადიანი, ხაზინადრად – ქრ. რაჭველიშვილი, მდივნად – მ. საყვარელიძე, დამფუძნებელ კრებაში ფედერალისტური ფრაქციის თავმჯდომარედ – გრ. რცხილაძე.

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის დღეებში სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, ფაქტობრივად, ორ ნაწილად იყო გაყოფილი. 1921 წლის 27 თებერვალს შედგა ე. წ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების დროებითი მთავარი კომიტეტის სხდომა, რომლის თავმჯდომარედ შალვა ნუცუბიძე აირჩიეს, ხოლო მის მოადგილედ – თედო ღლონტი. იმავე დღეს გამოვიდა პარტიის პერიოდული გამოცემა – „სოციალისტ-ფედერალისტი“. მემარცხენეები საქართველოს ბოლშევიკური რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ და თანამშრომლობა აღუთქვეს.

28 მარტს გაიმართა პარტიის ორივე – მემარცხენე და მემარჯვენე – ფრთის წარმომადგენელთა გაერთიანებული კრება, რომელმაც მიიღო მემარცხენეების მიერ შემუშავებული რეზოლუცია. ის მხარს უჭერდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსს.

უკანასკნელი მეექვსე კონფერენცია უკვე „დამოუკიდებელი“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარდა 1921 წლის 5-9 ივნისს. ამ დროს სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ორად იყო გათიშული და როგორც მაშინ ამბობდნენ, „თვით პარტია, როგორც მკვეთრი ორგანიზაცია, არ არსებობდა“. მემარცხენე ფედერალისტები უკვე მწვავედ უტევდნენ „ძველებს“. „ძველი მუშაკების“ უმოქმედობამ გაანადგურა პარტია, – წერდნენ და ირწმუნებოდნენ მემარცხენეები. მათ დატოვეს კიდეც კონფერენციის დარბაზი და პარტია.

მეექვსე კონფერენცია, როგორც ლიტერატურაშია რატომღაც აღნიშნული, ფორმალურად ვითომ მემარჯვენე ფრთის გამარ-

ჯვებით დამთავრდა. მართლაც, მემარცხენეები პარტიიდან საბოლოოდ გავიდნენ და „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია“ დააფუძნეს. ერთხანს ისინი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკური პარტია არავისთან ერთად მუშაობას არ აპირებდა. თუმცა ეს მოგვიანებით მოხდა. მეექვსე კონფერენციაზე პარტიის თავმჯდომარედ კვლავ გ. ლასხიშვილი აირჩიეს და ეს თითქოს გამარჯვებად უნდა აღქმულიყო, მაგრამ სწორედ ამ „გამარჯვებიდან“ დაიწყო ფედერალისტთა პარტიის სრული დაღმასვლა. პარტიის ძველი თაობა არ შეურიგდა ახლების დიქტატს. „მემარცხენეები“ ამბობდნენ: „პარტია განაგრძობს დროებით მთავარი კომიტეტის (ანუ მემარცხენეების – დ. შ.) პლატფორმით მუშაობას და პარტიის ყოველი წევრი, ვინც არ უნდა იყოს იგი, უნდა დაემორჩილოს ჩვენს ნაბიჯს...“ ბევრი დამორჩილდა კიდეც მემარცხენეების პროსაბჭოურ კომპრომისს. ძველი თაობის ნაწილმა იატაკქვეშა ბრძოლის გზა აირჩია, ბევრი კი საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და კერძო ცხოვრებას დაუბრუნდა.

1921 წლის 30 ოქტომბერს შედგა ყრილობა, რომელზეც საბოლოოდ გაფორმდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შექმნა. 1923 წლის ნოემბერში, როდესაც მოწვეულ იქნა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მეორე ყრილობა, ყველაფერს წერტილი დაესვა. ყრილობამ კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების გადაწყვეტილება მიიღო. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ არსებობა შეწყვიტა.

დემოკრატიის ფორმირება საქართველოში: 1918-1921

სტივენ ჯონსი
მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯი (მასაჩ., აშშ)

1918 წელს ქართველი სოციალ-დემოკრატები,[1] რომლებიც ქართულ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ, არაერთი იდეოლოგიური და ეგზისტენციალური გამოწვევის პირისპირ აღმოჩნდნენ. ძალაუფლების ხელში აღება, გლეხობაზე დაფუძნებული, პრეინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში, ერთ-ერთი ყველაზე საჩოთირო საკითხი იყო. 1918 წელს საქართველოში დაარსდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული ორგანო – „ერთობა“, შესაბამისად, „მუშათა კლასი ... გახდა ეროვნული კლასი, ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტია კი – მისი ავანგარდი“.[2] სხვა სიტყვებით, რევოლუცია საქართველოში ერთდროულად სოციალურიც იყო და ეროვნულიც. უკვე 1905 წლის რევოლუციისას რსმლპ-ის

---

1 მე მოვიხსენიებ ქართულ სოციალ-დემოკრატიას და ქართველ სოციალ-დემოკრატებს, თუმცა, ფორმალურად, 1918 წლის ნოემბრამდე არ არსებობდა დამოუკიდებელი ქართული ორგანიზაცია, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემდეგ 1918 წლის აპრილში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართული ორგანიზაცია გახდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილი (ამიერკავკასიაში, სიტყვა „რუსეთის“ გამოტოვებული იყო პარტიის ოფიციალური სახელიდან). 1918 წლის ნოემბერში, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მერვე კონგრესზე, ქართველებმა დაშალეს ამიერკავკასიის რეგიონალური კომიტეტი და შექმნეს დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავისი საკუთარი ცენტრალური კომიტეტით.

2 „მუშათა კლასი და ერი“, *ერთობა*, 4 სექტემბერი, №120, 1918, გვ. 1.

საქართველოს განაყოფი სახალხო პარტიად ჩამოყალიბდა. „პარტია სოციალურად ჰეტეროგენული იყო, მაგრამ მისი წევრების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. საკომუნიკაციო ენა ქართული იყო, რამეთუ რუსულად ცოტა თუ ლაპარაკობდა. 1918 წლისათვის წვრილი ვაჭრები, კლერკები, მასწავლებლები და მიწათმფლობელები ნაციონალურ პარტიას შეუერთდნენ და შიდა „კლასობრივ მტერს“ – ეროვნულ-დემოკრატებს, ასევე „დაშნაკცუთიუნებს“, „მუსავათებსა“ თუ სხვა არაქართულ პარტიებს – დაუპირისპირდნენ.[3]

სოციალ-დემოკრატიის ქართული მოდელი უარყოფდა კლასობრივ დიქტატს, რაც რევოლუციისათვის ერთგვარი გამოწვევა იყო. შესაბამისად, წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ აპირებდა სოციალისტური მთავრობა ძალაუფლების ორგანიზებას, ოპოზიციასთან გამკლავებას, ეკონომიკის მართვას, მიწის გადანაწილებასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთქმედებას. 1918 წელს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, ჩამორჩენილი ქვეყნის შემთხვევაში, მონოლითური მუშათა სახელმწიფოს მართვის სადავეები მონოპოლისტური პარტიის ხელში უნდა ყოფილიყო. ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა იდეა, რომ სოციალიზმში ნახტომის გზით შესულიყვნენ. ისინი XIX საუკუნის II ნახევარში თავისივე ინტელიგენციის დემოკრატიულ-ლიბერალურ მისწრაფებათა გავლენას განიცდიდნენ და მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ ევროპულ (განსაკუთრებით, გერმანულ) სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან. ამიტომაც საქართველოში მხარს უჭერდნენ საპარლამენტო გარდაქმნის ევროპულ გეზს, რომელიც, მარქსისა და ენგელსის აზრით, მხოლოდ ხელსაყრელ პირობათა შემთხვევაში იქნებოდა

[3] დაშნაკცუთიუნი (სომხური რევოლუციური ფედერაცია) იყო სომხური სოციალისტური და, იმავდროულად, ნაციონალისტური პარტია, რომელიც დაარსდა თბილისში 1890 წელს. მუსავათი (*თანასწოროობა*) იყო სეკულარული მუსლიმური პარტია, რომელიც დაარსდა 1890 წელს ბაქოში. მუსავათი თბილისში ყველაზე გავლენიანი მუსლიმური პარტია იყო. მას მხარს უჭერდა თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა უმრავლესობა.

შესაძლებელი.[4] მათი მოდელი ემყარებოდა ჟან ჟორესის, ედუარდ ბერნშტეინისა და სხვა ევროპელი სოციალისტების იდეებს. ისინი მხარს უჭერდნენ ევოლუციურ პარლამენტარიზმსა და დემოკრატიულ კოალიციას მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა თაოსნობით, რომლებიც პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპებს, თვითმმართველობასა და ინკლუზიურ სახალხო პარტიას დაეყრდნობოდნენ.[5] საქართველოში, სადაც პროლეტარიატი მცირერიცხოვანი იყო და უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა წვრილმანი მოვაჭრეების, ხელოსნებისა და ახლად ურბანიზებული გლეხობისაგან, ინკლუზიური და ჰეტეროგენული პარტიის არსებობდა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. ნოე ჟორდანიასა და სხვა ქართველი ლიდერების აზრით, სოციალიზმი, რომლის საფუძველზეც მოხერხდებოდა კლასობრივ ინტერესთა გატარება, ეროვნულ-კულტურული უფლებების დაცვის საწინდარი იქნებოდა. ისევე, როგორც ევროპაში, მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში, სოციალ-დემოკრატები საქართველოშიც სოციალიზმის ნაციონალიზაციას ცდილობდნენ.

---

4 1872 წლის 18 დეკემბერს ჰააგაში გამოსვლისას მშრომელთა ასოციაციის საერთაშორისო კონგრესზე მარქსმა განაცხადა, რომ სოციალიზმი მიღწევადია გარკვეულ ვითარებაში, საპარლამენტო საშუალებებით. „ჩვენ ვიცით, რომ ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა ქვეყნის ინსტიტუტებსა და ტრადიციებს და არ უარვყოფთ, რომ არსებობს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკა და ინგლისი, და მე რომ ვიცნობდე ამ ინსტიტუტებს, მე შეიძლება ჰოლანდიაც დავამატო, სადაც მუშებმა შეიძლება მიაღწიონ მიზანს მშვიდობიანი გზით“... თუმცა, მარქსისთვის, საქართველო არ იქნებოდა მშვიდობიანი რევოლუციისთვის მზა ქვეყნის სიაში და ძალისმიერი რევოლუციური ცვლილება მაინც ნორმას წარმოადგენდა. იხ. „ინგლისი როგორც მარქსის მოდელი“ (https://www.worldsocialism.org/spgb/socialist-standard/1980s/1984/no-953-january-1984/england-marxs-model).

5 XIX საუკუნის დასასრულს ევროპის სოციალისტურ მოძრაობაში ორთოდოქსული მარქსიზმი და მის გამოწვევები განიხილებოდა ედუარდ ბერნსტეინის, ჟან ჟორესის, ოტო ბაუერის, კარლ რენერის მსგავსი თეორეტიკოსების მიერ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სოციალიზმი მშვიდობიანად გარდამავალი იყო, იხ. Sheri Breman, *The Primacy of Politics: Social Democracy and the Making of Europe's Twentieth Century*, Cambridge, New York: Cambridge Univ. Press, 2006.

სოციალისტური სისტემა ითვალისწინებდა მრავალფეროვანი საზოგადოების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფდა თავისუფალ არჩევნებს (და, შესაბამისად, პოლიტიკურ თავისუფლებებს) ნაციონალური სახელმწიფოს ფარგლებში.

რადიკალურ კლასობრივ ბრძოლაზე დამყარებული რევოლუციიდან ეროვნულ, არაძალადობრივ და საპარლამენტო დაპირისპირებაზე გადასვლა საქართველოში განპირობებული იყო როგორც ევროპელ სოციალისტთა დებატებით, ასევე თავად ქართული სახელმწიფოებრივი საწყისებით. ახალი სახელმწიფო დამოკიდებული იყო დიდი სახელმწიფოების, უპირველესად – იმპერიული გერმანიის და შემდგომ კი – დიდი ბრიტანეთის, მფარველობაზე. საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისაგან თავდასაცავად საქართველოს არც ფინანსები გააჩნდა და არც სამხედრო რესურსი. გამომდინარე გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, გაუმაძღარი იმპერიებით გარშემორტყმული პატარა ერი დიპლომატიური ბარტერისა და პოლიტიკური კომპრომისის გარეშე ფონს ვერ გავიდოდა.

ინტერნაციონალიზმისა და რევოლუციური ტრანსფორმაციის რადიკალურ იდეებს სწრაფად ჩაენაცვლა კეთილგონივრული თანამშრომლობა ადგილობრივ მეწარმეებსა და საზღვარგარეთულ იმპერიულ ძალებს შორის, თუნდაც გერმანიასთან. რეალური საფრთხეებით გარემოცულ საქართველოში სოციალიზმი ეროვნული გადარჩენის პოლიტიკად იქცა. სოციალიზმი შორეულ მიზნად (პროგრამა მაქსიმუმად) რჩებოდა. 1918 წლის შემდეგ რიტორიკა შეიცვალა – რევოლუციის დაცვის ნაცვლად, ქართული სახელმწიფოს მშენებლობისკენ მოუწოდებდნენ. სოციალისტურ პრინციპებსა და ეროვნული აღმშენებლობის ამოცანებს შორის ერთგვარი დაპირისპირება არსებობდა და ეს ერთ-ერთმა ოპოზიციურმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმაც აღიარა. „ახალ სხივში“ წერდნენ:

„როგორც მმართველი პარტია, ცენტრალურ ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატია ვალდებულია, გაუძღვეს მთელი ერს და ჰპოვოს გზა, რომელიც მისაღებია მოსახლეობის უმრავლესობისათვის. თუმცა, როგორც პროლეტარიატის ლიდერი, ის ვალდებულია, გაატაროს პოლიტიკა, რომელიც არა ოდენ წარმოაჩენს

კლასობრივ ბრძოლას, არამედ ხელს შეუწყობს მას. ამ პირობებში ძნელია სწორი ბალანსის პოვნა...“ [6]

ქართველ სოციალ-დემოკრატებს პრიორტიტეტულად ეროვნული აღმშენებლობა მიაჩნდათ, თუმცაღა მათ შორის შიდა უთანხმოებაც არსებობდა და დაპირისპირებაც რუს მენშევიკებთან, რომლებისთვისაც გერმანიის იმპერიასთან თანამშრომლობა ღალატის ტოლფასი იყო.[7] ეს, პრინციპში, ინტერნაციონალისტური იდეალებისგან განდგომას ნიშნავდა. თუმცა, რეალურად, ყოველივე ამან სოციალ-დემოკრატია საქართველოში „მესამე დასთან“ და განმათავისუფლებლობის ეროვნულ-კულტურულ იდეებთან დააბრუნა. ამასვე ქადაგებდა ჟორდანია ადრეულ ნაშრომებში.[8] ქართული სახელმწიფოს სამომავლო გეგ-

---

6 „პარტიული მთლიანობა“, ახალი სხივი, 28 ნოემბერი, №31, 1920, გვ. 1.

7 1918 წლის ივნისში, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რეგიონალური კომიტეტის სახელით მისწერა რსდმპ კომიტეტს. მათ განმარტეს, რომ გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ გადარჩენის აუცილებლობით იყო გამოწველული. რსდმპ-ის მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის პასუხი „ერთობაში“ დაიბეჭდა 1918 წლის 15 აგვისტოს. წერილში გაცხადებული იყო, რომ მიღებულ და გაზიარებულ იქნა საქართველოს გადაწყვეტილება, გამოწვეული გარე საფრთხეებით, მაგრამ, იმავდროულად, ადანაშაულებდნენ ამიერკავკასიის ორგანიზაციას ტაქტიკური შეცდომებისთვის. კორესპონდენციისა და შინაარსისათვის იხ. მ. მაცაბერიძე, *საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია*, თბილისი, 2016.

8 მესამე დასი (მესამე ჯგუფი) იყო სახელი, რომელიც გიორგი წერეთელმა უწოდა ახალგაზრდა მარქსისტების ჯგუფს. თავად წერეთელმა სოციალისტური იდეების მხარდაჭერა 1890 წელს დაიწყო. ეს ჯგუფი განსხვავდებოდა ნაციონალისტური ინტელექტუალების პირველი და მეორე ჯგუფებისგან (თერგდალეულებისგან), რომლებიც აქტიურობდნენ 1860-იან წლებში. მესამე დასის ყველაზე ცნობილი თეორეტიკოსი იყო ნოე ჟორდანია, რომელიც ადრეულ ნაშრომებში – „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“ (1894) და „გაზეთი ივერია და ნაციონალიზმი“ (1897) – აერთიანებდა სოციალიზმის იდეას, ეროვნულ ზრდასა და კონსოლიდაციას. ამ საკითხების განხილვისათვის იხ.

მა, რომლის შესახებაც ჟორდანია 1918 წელს წერდა, სათაურით „სოციალური დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“ სოციალ-დემოკრატიის ჰეგემონიისაკენ მშვიდობიანი სვლის გერმანულ-ავსტრიულ მოდელის იმეორებდა. ის ითვალისწინებდა იმგვარი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას, რომლის ფარგლებშიც ძალაუფლება პარლამენტსა და სახალხოდ არჩეულ ინსტიტუტუციებს შორის გადანაწილდებოდა. მოსაზრება ქვეყნის ფარგლებში საბჭოების ძალაუფლების შეზღუდვისა და საპარლამენტო ინსტიტუციათა წახალისების შესახებ კარგად ასახავდა ჟორდანიას თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ქვეყნისათვის, რომელსაც სამოქალაქო ომისა და ევროპულ სოციალიზმთან გათქვეფის საფრთხის თავიდან აცილება სურდა, სახალხო სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობა ერთადერთი სწორი არჩევანი იქნებოდა. ნახტომი ფეოდალიზმიდან სოციალიზმისკენ, დემოკრატიული ინტერლუდიის გარეშე, „ისტორიის მოტყუების“ მცდელობას ჰგავდა. ჟორდანია ამბობდა:

„უეჭველია, რომ ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში ფუნქციონირებს, სწორედ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება. ამას ვერც ქართული სახელმწიფო გაექცევა. თუმცა... არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ ხელისუფლებამ უწინარესად უქონელთა და ღატაკთა ინტერესები გაითვალისწინოს“.[9]

Stephen Jones, *Socialism in Georgian Colors: the European Road to Social Democracy (1883-1917)*, Cambridge: Harvard University Press, 2005, pp.49-66.

9 „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“, კრებულში: ჟორდანია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე *(1918 წლის 24 ივნისი – 1921 წლის 18 მარტი): ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები. საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ტომი XIII, 2018,* გვ. 44-75.

დემოკრატია ხალხისთვის

ჟორდანია საქართველოში სამ დემოკრატიულ კლასს გამოჰ-ყოფდა: მუშათა კლასს, წვრილ ბურჟუაზიასა და მოწინავე გლეხებს. ამდენად, საქართველოს სოციალურ სტრუქტურას დემოკრატიული სახელმწიფოს მხარდაჭერა ბურჟუაზიის გარეშეც შეეძლო. სოციალ-დემოკრატთა მმართველობის პირობებში, მთავრობა ხელს შეუშლიდა ბურჟუაზიის დომინირებას ცენტრალიზებულ საპარლამენტო სისტემაზე. 1905-1906 წლებისთვის ნოე ჟორდანიას მშობლიურ მხარეში, გურიაში, უკვე ჰქონდათ თვითმმართველობის გამოცდილება,[10] 1917 წელს კი საბჭოების ინსტიტუციები ქვეყნის მასშტაბით არსებობდა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით ჟორდანიასეული ხედვის ჩამოყალიბებაზე. იგი ყურადღებით სწავლობდა შვეიცარიის კანტონთა სისტემასაც. თვითმმართველობის პოპულარული ინსტიტუტები ასახავდნენ სოციალიზმის დემოკრატიულ იმპულსებს, რაც ცენტრალური პარლამენტის პასუხისმგებლობასაც განაპირობებდა. მთავარი იყო საკონსტიტუციო ცვლილებების და საბიუჯეტო, საგანმანათლებლო თუ ომისა და მშვიდობის საკითხებთან დაკავშირებული სხვა პრობლემების რეფერენდუმით გადაწყვეტა. ამგვარად, კანონშემოქმედებით პროცესთა მონაწილე პარლამენტიც იქნებოდა და „ხალხიც“. სამინისტროთა იურისდიქცია შეიზღუდებოდა. მათ ხელში აღარ აღმოჩნდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება. ისინი, როგორც „ხალხის სამსახურში მყოფი წარმომადგენლები, ვალდებულნი არიან, შეასრულონ მითითები, თუნდაც მიუღებელი. ხალხს პასუხისმგებლობა აკისრია და ისინი არ უნდა ელოდებოდნენ მინისტრების თანხმობას“.[11] ძალა-

[10] გურიის რესპუბლიკის შესახებ, ღირსშესანიშნავი თვითმმართველი „კომუნა“ 1904-1906 წლებში დასავლეთ საქართველოში, იხ. Stephen F. Jones, “Marxism and Peasant Revolution in the Russian Empire: the Case of the Gurian Republic,” *The Slavonic and East European Review*, Vol. 67, No. 3, July 1989, pp. 403-434.

[11] „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“, იქვე, გვ. 98.

უფლება სხვაგვარად გადანაწილდება: აღმასრულებელ წარმომადგენლებს, მაგალითად, ადგილობრივ ოფიციალურ პირებსა და მოსამართლეებს მუნიციპალურ და რეგიონალურ დონეზე აირჩევენ. კრიმინალურ სასამართლოებს ნაფიცი მსაჯულები ეყოლებათ, ხოლო უზენაეს სასამართლოს პარლამენტი აირჩევს. ამგვარად, „ხალხი, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, სისრულეში მოიყვანს კანონებს". „ხალხი და მთავრობა ერთიანი იქნება", – აცხადებდა ჟორდანია.[12]

ეს ამბიციური გეგმა, რომელიც დებატებს, მონაწილეობასა და ძალაუფლების დეკონცენტრაციას ითვალისწინებს, ძალზე ჰგავს იმას, რასაც ჯონ ბარბერი და სხვა თანამედროვე პოლიტოლოგები „ძლიერი დემოკრატიას" უწოდებენ.[13]

ჟორდანიას პროექტისთვის გადამწყვეტი იყო კანონმდებლობა, რომელიც წარმოადგენდა ხალხს და არა რომელიმე კლასს. ეს უნდა ყოფილიყო ერის ერთადერთი სუვერენული აპარატი, რადგან ორმაგი ძალაუფლების არსებობა დაუშვებელია. მუშათა და გლეხთა საბჭოები, რომლებმაც სოციალ-დემოკრატები ხელისუფლებაში მოიყვანეს, იმდენად დაკნინდნენ, რომ ეროვნული ხელისუფლებისათვის მხოლოდ ინსტიტუციონალურ „კონტროლიორებად" იქცნენ. ჟორდანიას გეგმა ცნობდა პარლამენტს, სადაც ძალაუფლებისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ მოწინააღმდეგე ძალები, თუნდაც ეროვნულ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები. არსებობდა იმედი, რომ სოციალ-დემოკრატთა მმართველობისას ერთმანეთს შეერწყმოდა ეროვნული სუვერენიტეტი, დემოკრატია და სოციალიზმის ევოლუციური ფორმა, შედეგად კი, შესაძლებელი გახდებოდა ეგალიტარული, პლურალისტური და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

---

12 „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია", იქვე, გვ. 93.

13 იხ. ბენჯამინ ბარბერის კლასიკად ქცეული ნაშრომი სათათბიროსა და წარმომადგენლობით დემოკრატიაზე, B. R. Barber, *Strong Democracy: Participatory Politics for a New Age*, Berkeley: University of California Press Twentieth-Anniversary Edition, 2004.

ამგვარი პროგრამა ურთულეს ამოცანებს ისახავდა. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში სუსტად იყო განვითარებული, სახელმწიფო კონტროლისაგან დამოუკიდებელი პიროვნული თავისუფლება კი არ არსებობდა. საქართველო მთელი არსებობის მანძილზე მუდამ ეროვნული უსაფრთხოების კრიზისს განიცდიდა. მოუვლელი და ცუდად გაწრთვნილი შეიარაღებული ძალები უნდა დაპირისპირებოდა შიდა აჯანყებებს ახალციხეში, დუშეთში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. არსებობდა გარე საფრთხეც – გენერალი დენიკინი, ბოლშევიკები, თურქეთი, სამხედრო შეტაკებები სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებზე. მრავალწლიანმა ომებმა და რევოლუციებმა სრულიად მოშალა ეკონომიკა. რუსი მოხელეები ტოვებდნენ პოსტებს, ქარხნები ჩერდებოდა, პურის მოწოდება ჩრდილოეთიდან ჭირდა, ინფლაციის შეჩერება თანდათან შეუძლებელი ხდებოდა, ევროპასთან ვაჭრობას კი ბოსფორის ბლოკადა აბრკოლებდა. როგორ უნდა აეშენებინა დემოკრატიული სახელმწიფო კრიზისით ესოდენ ხელფეხშეკრულ, ხაზინდაცარიელებულ, გაუთავებელი საომარი საფრთხის წინაშე მყოფ ქვეყანას, რომელსაც თვითმმართველობის ტრადიციაც ნაკლებად ჰქონდა?

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობა

სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ქართველ სოციალ-დემოკრატთათვის უმნიშვნელოვანესი იყო სახალხო საკანონმდებლო ორგანო და არა პრალამენტი, ტრადიციული გაგებით. თუმცა შეიძლებოდა კი საქართველოს პირობებში ამ პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის შეთავსება? 1918 წლის მაისში შეიქმნა პირველი საკანონმდებლო ორგანო და აშკარა გახდა, რომ იმპროვიზაციისა და კომპრომისის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ეროვნული საბჭოს ბირთვს ის ქართველები შეადგენდნენ, რომლებიც უწინ რუსეთის დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები იყვნენ. საქართველოს ეროვნული საბჭო (ოქტომბერში მას საქართველოს პარლამენტი ეწოდა) აერთიანებდა იურისტებს, პროფკავშირების წარმომადგენლებს, ადგილობრივ ხელისუფალთ, პროფესიონალ

რევოლუციონერებსა და საქმიან ადამიანებს. „ერთობის“ ცნობით, დაახლოებით 120 წევრიდან (რიცხვი არასოდეს ყოფილა სრულად განსაზღვრული) 66, ანუ სრულ უმრავლესობა, სოციალ-დემოკრატი იყო.[14] ერთობ შთამბეჭდავი იყო წევრთა სია. სოციალ-დემოკრატთა ლიდერებს – ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს, ირაკლი წერეთელს, კარლო ჩხეიძესა და აკაკი ჩხენკელს – რუსეთის რევოლუციისას უკვე მოპოვებული ჰქონდათ რეპუტაცია. სხვა პარტიებს ჟურნალისტები, მწერლები, ყოფილი პოლიტპატიმრები და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრები წარმოადგენდნენ.

ხელისუფლების სხვა ორგანოებშიც და საკანონმდებლო ხელისუფლებაშიც წარმომადგენლები არ ჰყავდათ ეროვნულ უმცირესობებს, რაც სერიოზული ხარვეზი იყო. 1918 წელს, არსებობისათვის ბრძოლის პერიოდში, ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ეროვნულ გადაწყვეტილებს ეყრდნობოდნენ, საყვედურობდნენ ეროვნულ უმცირესობებს, რომ მათი საქციელი თავაშვებულ სტუმრებსა თუ მეამბოხეებს უფრო შეეფერებოდათ, ვიდრე „მოქალაქეებს“.[15]„ერთობა“ გამოხატავდა პარტიის რიგითი წევრების ხედვას, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუციათა ნაციონალიზაციას ითხოვდა. თუმცა ქვეყანაში მოსახლეობის 30% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი იყო და არა მართლმადიდებელი ქართველი. ამიტომაც არაქართველთა მონაწილეობა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობისთვის გადამწყვეტი იყო არა მარტო მათი სახელმწიფოებრივი ინტეგრაციისა და წარმატებული საკანონმდებლო საქმიანობისთვის, არამედ ზოგადად დემოკრატიის განვითარებისთვის.

---

14 დარჩენილი ნაწილისაგან თექვსმეტი სოციალისტ-ფედერალისტი იყო, თხუთმეტი – ეროვნული დემოკრატი, ცხრა – სოციალისტ-რევოლუციონერი, სამი – რადიკალ-დემოკრატი და სამი – დამოუკიდებელი წევრი. იხ. „საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები“, *ერთობა*, 1 ივლისი, 1, №111, გვ. 2; იხ. ასევე, „ეროვნულ საბჭოში“, *ერთობა*, 31 მაისი, №110, გვ. 2. დებატები დეპუტატთა რაოდენობის გარშემო გრძელდებოდა ივნისს შემდეგ. ბოლოს ეროვნულ საბჭოში სულ 120 დეპუტატი იყო.

15 „ეროვნული საკითხი ჩვენში“, *ერთობა*, 7 ივნისი, №116, გვ. 1.

დავით ონიაშვილი, ეროვნული საბჭოს წევრი, ახსენებდა სოციალ-დემოკრატ კოლეგებს, რომ უმცირესობათა გაუთვალისწინებლობამ რუსეთის იმპერია დაანგრია.[16] რადიკალურ პოზიციაზე მყოფი გლეხები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1918 წელს სუვერენულ უფლებებს ითხოვდნენ, უუფლებობას უჩიოდნენ თბილისში სომხურ-რუსული ეროვნული საბჭოებიც.[17] 1918 წლის ივლისში ეროვნულმა საბჭომ არაქართველებს 26 ადგილი გამოუყო, მათ შორის, 10 – სომხებს, 3 – აფხაზებს, 2 – ოსებს. თუმცა არაქართველებმა თავიანთი მანდატების მოპოვება მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში, თითქმის ოთხი თვის დაგვიანებით, შეძლეს.[18] უმცირესობათა დეპუტატებს უფლება ჰქონდათ, საკუთარ ენაზე ესაუბრათ, თუკი მათი პრეზიდიუმის ერთ წევრს მაინც ესმოდა. საჭირო იყო ქართული რეზიუმეს წარმოდგენა. ეს იყო პრაქტიკული გადაწყვეტილება, რომელიც იმაზე მიანიშნებდა, რომ უმცირესობათა დეპუტატების უდიდეს ნაწილს რუსულად უნდა ესაუბრა.[19]

დაჩქარებული წესით შეკრებილი საკანონმდებლო ორგანო დასავლური სტილის პარლამენტს მოგვაგონებდა. დეპუტატები საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობდნენ, ხოლო კანონპროექტის დასამტკიცებლად საჭირო იყო სამი მოსმენა, მათ შორის, ერთ რომელიმე საკანონმდებლო კომისიაში მაინც (სულ

---

16 „საქართველოს ეროვნული საბჭო, 6 სექტემბრის სხდომა (დასასრული): კანონ-პროექტი ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლების შესახებ“, *ერთობა,* 10 სექტემბერი, № 193, გვ. 1.

17 დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საკითხების შესწავლისთვის იხ. Cory Welt, “A fateful moment: ethnic autonomy and revolutionary violence in the Democratic Republic of Georgia (1918-21)”, in Stephen F. Jones (ed.), *The Making of Modern Georgia, 1918-2012: the First Georgian Republic and Its Successors*, Abingdon (Oxford): Routledge, 2014, pp.205-231.

18 „ეროვნული უმცირესობანი“, *ერთობა,* 2 ივნისი, №135, 1918, გვ. 1; იხ. კანონი „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული“, თბილისი, ივერთა მხარე, 1990, გვ. 62-63.

19 „წესი ენის ხმარებისა“, იმავე აქტების კრებულში, გვ. 83.

ოთხი მუდმივმოქმედი კომისია არსებობდა).[20] საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდიუმში წარმოდგენილი იყო ოპოზიციაც, ხოლო ნოე რამიშვილისა და ნოე ჟორდანიას პირველი ორ კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში ოპოზიციას ოთხი წევრი ჰყავდა. ამგვარი კოალიცია სოციალ-დემოკრატთაგან ბევრს, უდავოდ, არ ეპიტნავებოდა, მაგრამ ეს საუკეთესო საშუალება იყო ქმედითუნარიანი კანონმდებლობის უზრუნველსაყოფად.[21] ახალმოწვეულ ასამბლეას განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ომის პირველ თვეში თურქების თავდასხმების შედეგად დაკარგულმა ახალციხემ და ბათუმის პორტმა ის მწყობრიდან გამოიყვანა. მიუხედავად დეპუტატების შესაშური კვალიფიკაციისა, ოპოზიციური პარტიები მოისუსტებდა, ხშირი იყო განხეთქილებები. მათ არც მოსახლეობაში ჰქონდათ ავტორიტეტი. სუსტი იყო გავლენა პარლამენტზე (და მის გარეთაც). ოპოზიციას მხოლოდ კითხვების დასმა, საკითხის ეჭვქვეშ დაყენება ან მასხრად აგდება შეეძლო. თუმცა მას უნარი ჰქონდა, აღმოეჩინა და ემხილებინა არაკომპეტენტურობა, მინისტრების უმოქმედობა და სასამართლო ორგანოებში არსებული კორუფცია. ოპოზიციონერები ხმამაღლა აპროტესტებდნენ ცენზურას (1918 წელს „ანტისახელმწიფოებრივი“ პროპაგანდისათვის არაერთი ოპოზიციური გაზეთი დახურეს) და პატიმრობის ადმინისტრაციულ ფორმებს, აკრიტიკებდნენ მთავრობის უნიათობას ქართულ-სომხური ომისას 1918 წლის დეკემბერში. დებატები ხმამაღალი და ემოციური იყო. პირდაპირობით გამოირჩეოდნენ გრიგოლ ვეშაპელი და სპირიდონ კედია, ეროვნულ დემოკრატთა წარმომადგენლები. ისინი მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და მას ბრალად სდებდნენ ეროვნული ერთობის ხელყოფასა და უკანონო ექსპროპრიაციას. 1918 წლის დეკემბერში ომმა სომხეთ-

---

20 იხ. „ეროვნული საბჭოს რეგლამენტი“, იმავე აქტების კრებულში, გვ. 20-23.

21 არა სოციალ-დემოკრატი წევრები პირველი ორი კოალიციური მთავრობის კაბინეტისა იყვნენ გიორგი ჟურული (ეროვნულ-დემოკრატი), გიორგი ლასხიშვილი, შალვა ალექსი მესხიშვილი (ორივე სოციალისტ-ფედერალისტი) და ივანე ლორთქიფანიძე (ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერი). სოციალ-დემოკრატები, როგორც ყველაზე დიდი პარტიის წარმომადგენლები, მთავრობაში 4 პოსტს იკავებდნენ.

თან მეტად გააღრმავა პარტიული ანტიპათიები. თუმცა როდესაც დეპუტატებმა თავიანთი რისხვა საკანონმდებლო ორგანოს სომეხი წევრებისაკენ მიმართეს, ყველა სხვა საპარლამენტო საქმიანობა შეჩერდა.

პირველი შვიდი თვის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანომ 125 კანონი და დებულება მიიღო.[22] უწინდელი კანონმდებლობა ფოკუსირებული იყო უსაფრთხოებისა და რეგულარული არმიის საკითხებზე, მათ შორის, ეროვნულ გვარდიაზე, რომელიც უშუალოდ მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა.[23] „დროებითი გადაწყვეტილების“ სახით ხელახლა დააკანონეს სასიკვდილო განაჩენი, ხოლო სასჯელი სპეკულაციისათვის გამკაცრდა (ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის უსჯიდნენ ათ წელს მკაცრ რეჟიმში). „განსაკუთრებულმა დროებითმა სასამართლოებმა“ ჩაანაცვლეს დაურეგულირებელი რევოლუციური ტრიბუნალები, ხოლო ქვეყნის შიდა ადმინისტრაციულმა კანონებმა მაზრების კომისრები ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარეს. ამგვარი ზომები ხშირად ეწინააღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატიულ მიზნებსა და სახალხო ძალაუფლების თავად ჟორდანიასეულ გეგმას, თუმცა სხვა კანონები საფუძველს უყრიდნენ ლიბერალურ სახელმწიფოს. მაგალითად, ახალი კანონი მოქალაქეობის შესახებ ეყრდნობოდა პრინციპს *jus soli*. ის, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, მოქალაქეობას ანიჭებდა ყველას, ვინც რომელიმე ადმინისტრაციული ორგანიზაციის მიერ 1914 წლამდე დარეგისტრირებული იყო საქართველოს აღიარებულ ტერიტორიებზე.[24] დამტკიცდა საქალა-

---

22 გრიგოლ ურატაძე, *საზოგადოებრივი მოძრაობები საქართველოში, 1821-1921*, პარიზი, დ. ხელაძე, 1939, გვ. 135.

23 იხ. კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიისა“ და „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაცისა“, აქტების კრებულში, გვ. 15-18 და გვ. 53-55.

24 „დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა/ქვეშევრდომობისა“, *კრებულში,* გვ.46-47. ეს კანონი შემდგომში დამფუძნებელი კრების მიერ გაფართოვდა და გავრცელდა იმ ქართველებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ რუსეთის იმპერიის ფარგლებში და იმ არაქართველებზე, რომლებიც 1914 წლამდე 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოში (იხ. „კანონი მოქალაქეობისა“, აქტების კრებულში, გვ. 270-273).

ქო საბჭოებსა და ეროვნულ საბჭოში არჩევის კანონები ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისათვის, მასთან ერთად კი – დამოუკიდებელი სახელმწიფო მეთვალყურეობისა და ეროვნული აუდიტის ორგანო (სახელმწიფო კონტროლი) სახელმწიფო ხარჯების გასაკონტროლებლად. ჩამოყალიბდა სააპელაციო სასამართლოს სისტემა გაფიცვების თავიდან ასაცილებლად, შემოღებულ იქნა მსაჯულთა სისტემა სისხლის სამართლის საქმეებისათვის. 1918 წლის სექტემბერში მიიღეს კანონი უფასო განათლების უნივერსალური სისტემის შესახებ. ნოემბერში გაუქმდა რელიგიური სწავლებები სკოლებისათვის.[25] 1919 წლის იანვარში, მიუხედავად მემარცხენე და მემარჯვენე პარტიების წინააღმდეგობისა, საკანონმდებლო ხელისუფლებამ განიხილა ერთობ საკამათო საკითხი მიწის ხელახალ გადანაწილებაზე.

კანონმდებლობა, პროდუქტიულობის თვალსაზრისით, ეფექტური იყო, მაგრამ, რესურსების სიმწირის, გამოუცდელი ბიუროკრატიის, ცუდი კომუნიკაციისა და კორუფციის გამო, კანონების ამოქმედება ჭირდა. ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის მონდომება, რესურსებისა და პრესონალის არარსებობის პირობებში, მოიკოჭლებდა. წლის ბოლოს უმცირესობათა წარმომადგენლებიც მოიზიდეს, თუმცა მათი სპეციფიკური ინტერესების (მაგალითად, მეორე პალატა ან ex officio ადგილები აღმასრულებელ ხელისუფლებაში) გასატარებლად არანაირი წინაპირობა არ არსებობდა, რაც ხელს უწყობდა მარგინალიზაციას. საკანონმდებლო ორგანო, საბოლოო ჯამში, არ იყო სათანადოდ ლეგიტიმური. დეპუტატები არ იყვნენ არჩეულები პირდაპირი წესით, ამიტომაც უწოდებდა გიორგი გვაზავა პარლამენტს „შემთხვევით კრებას“. 1918 წლის ნოემბერში პარლამენტმა მიიღო დებულება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. კანონმდებლობის მთელი თავი (თავი 9) თაღლითობის პრევენციას მიეძღვნა.[26]

---

25 კანონით იკრძალებოდა რელიგიის სწავლება საქართველოს სკოლებში, იხ„საქართველოს პარლამენტი“, *ერთობა*, 21 ნოემბერი, №252, გვ. 2.

26 „დებულება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, კრებული, გვ. 84-109.

არჩევნები

1918 წლის ნოემბრის საარჩევნო კანონი ყველაზე დემოკრატიული იყო მსოფლიოში. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ოც წელს მიღწეულ მოქალაქეთაგან ყველას. კანონი ადგენდა პარტიულ სიებზე დამყარებულ პროპორციულ სისტემას. შეიქმნა 21 პარლამენტარისაგან შემდგარი ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცსკ), რომელშიც შედიოდა ყველა წამყვანი პარტია (მათ შორის დომინირებდნენ სოციალ-დემოკრატები). ცსკ კოორდინირებას უწევდა საარჩევნო კომისიებს სოფლის დონეზეც კი. ის პასუხისმგებელი იყო საარჩევნო სიების შედგენაზე, საარჩევნო ბიულეტენების დარიგებაზე, საარჩევნო უბნების მართვასა და ხმების დათვლაზე. მოქალაქეებს ხმის მიცემა არჩევნების დღეს შეეძლო მაშინაც, თუკი საარჩევნო ბიულეტენს არ მიიღებდნენ. კონვერტებში დალუქული საარჩევნო ბიულეტენები საარჩევნო ყუთებში ინახებოდა. მოთხოვნისამებრ, კომისია ფურცლებს ბეჭდავდა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა. არჩევნებისათვის დადგენილი იყო სამი დღე, რათა მონაწილეობის მიღება შორეული კუთხეების მაცხოვრებლებსაც შეძლებოდათ. არჩევნებში თხუთმეტი პარტიის წარმომადგენლები და მოქალაქეთა ჯგუფები მონაწილეობდნენ.[27]

1919 წლის 2 თებერვალს, დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ქალაქ თბილისის საბჭოს არჩევნები ჩატარდა. არჩევნებმა არაერთი დარღვევა გამოააშკარავა. გვარების ნახევარი საარჩევნო სიებში არასწორად ეწერა, დიდი ნაწილი საერთოდ არ იყო აღრიცხული, ბევრმა არც კი იცოდა, თუ როგორ უნდა ეყარა კენჭი და საარჩევნო კონვერტებში სასურველი კან-

[27] 15 პარტიისა და მოქალაქეთა გაერთიანებების საკანდიდატო სიისათვის, იხ. ირაკლი ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, *1919*, თბილისი, Sovlab, 2016, გვ. 19; ასევე, იხ. "Vybor v uchreditel'nee sobranie Gruzii", Georgian Archive (Houghton Library, Harvard), Box 4, Book. 4. შემდგომში დამატებით არჩევნებისას საკანდიდატო სიებს მეთექვსმეტე პარტიაც დაემატა – აფხაზთა ეროვნული პარტია.

დიდატის ფოტოებს ათავსებდა. ადგილზე მოსახლეობის მხოლოდ 51% გამოცხადდა. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა მსგავსი ხარვეზებით ჩაიარა. საარჩევნო სიები არასრული იყო (ამომრჩეველი ადგილზე უნდა დარეგისტრირებულიყო). 21 იანვრისათვის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჯერაც არ იყო რეგისტრირებული.[28] ნაჩქარევი კამპანიის გამო, ბიულეტენების რაოდენობა არ კმაროდა, ზოგიერთ რაიონში კი საეჭვოდ მაღალი, 100%-იანი აქტივობა ფიქსირდებოდა. საარჩევნო კომისიებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას სოციალ-დემოკრატები აკონტროლებდნენ, რაც შედეგების გაყალბების ცდუნებას აჩენდა. ეროვნულ-დემოკრატების გაზეთმა „საქართველომ“ დაასკვნა, რომ პროვინციებში ადმინისტრაციული რესურსის კონტროლი სოციალ-დემოკრატთა მხრიდან მათი გამარჯვების „გარანტიას“ ქმნიდა, თუმცა არჩევნების არალეგიტიმურობაზე ერთ პარტიასაც არ დაუჩივლია.[29]

საარჩევნო კამპანია იყო თავისუფალი, მაგრამ ალბათ უსამართლო. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც პირველ ნომრებად იყვნენ წარმოდგენილნი, ყველაზე დიდ რესურსს ფლობდნენ. მათვე ჰყავდათ საუკეთესო ორატორები და რუსული-ქართული პრესის ტირაჟირებისა თუ გავრცელების საშუალებაც ჰქონდათ. მათ საქართველოს მშრომელ მოსახლეობას მიმზიდველი პროგრამა შესთავაზეს: რვასაათიანი სამუშაო დღე, უბედური შემთხვევისას მუშათათვის ჯანმრთელობისა და უმუშევრობის დაზღვევა, სამთავრობო და სამრეწველო მხარდაჭერა, სტრატეგიული მნიშვნელობის ინდუსტრიულ მიმართულებათა ნაციონალიზაცია. გლეხობა დაარწმუნეს, რომ მიწის რეფორმა დაჩქარდებოდა, პროვინციებს თვითმმართველობა აღუთქვეს, ეროვნულ უმცირესობებს კი თანაბარი უფლებებსა და კულტურული თვითგამოხატვის თავისუფლებას შეჰპირდნენ. სახელმწიფო პროგრამები ექსპორტისგან მიღებული შემოსავლით, სესხებითა და მდიდართა პროგრესული გა-

---

28 „საქალაქო არჩევნებისთვის”, *ერთობა,* 21 იანვარი, №15, გვ. 2.

29 ალექსანდრე ბენდიანიშვილი, *საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-21 წწ.)* თბილისი, ისტორიის ინსტიტუტი, 2001, გვ. 134-135.

დასახადით უნდა დაფინანსებულიყო.[30] არჩევნებში, ოფიციალური მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობის 52% და სოფლის მაცხოვრებელთა 76% მონაწილეობდა. შესაძლო 505,477 ხმიდან სოციალ-დემოკრატებმა 409,766 ხმა ანუ 130 შესაძლო ადგილიდან 109 მოიპოვეს. სოციალისტ-ფედერალისტებსა და ნაციონალ-დემოკრატებს რვა მანდატი ერგოთ, სოციალისტ-რევოლუციონერებს კი – 5 მანდატი. რაიონებში, რომლებშიც არჩევნები 1919 წლის სექტემბერში და 1920 წლის მაისში ჩაატარეს, სოციალ-დემოკრატთა რაოდენობა მთლიანობაში 102-მდე შემცირდა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა კი რიცხვობრივად გაიზარდა. დაშნაკცუთიუნებმა სექტემბერში სამი მანდატი მიიღეს, რამაც არაქართველი წარმომადგენლობის პოზიცია 24 ხმით გაზარდა, თუმცა მათი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატთა რიგებში იყო გაწევრიანებული. მდგომარეობა ოპოზიციამაც გაიუმჯობესა – 1919 წლის ბოლოს მათ დამფუძნებელ კრებაში ადგილების მეექვსედი ეკავათ.[31]

---

30 სრული პროგრამა – „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა“, იხ. *ერთობა*, 22 იანვარი, №16, 1919, გვ. 1.

31 დეპუტატების, ფრაქციებისა და არჩევნების შედეგებისათვის იხ. „საქართველოს დამფუძნებელი კრება“, გვ. 38-41. მასში შედიოდა ექვსი სომეხი, სამი აფხაზი, სამი რუსი (კიდევ ერთი რუსი მალაკნების რელიგიური სექტიდან), ორი ოსი, ორი გერმანელი, ორი ებრაელი, ერთი ბერძენი და ერთი აზერბაიჯანელი (საქართველოს დამფუძნებელი კრება, გვ. 41). რაოდენობა იცვლებოდა გარდაცვალების მიზეზით. კრების დეპუტატებს სხვადასხვაგვარი განათლება ჰქონდათ მიღებული. უმრავლესობა ოცდაათი-ორმოცი წლისა იყო. 77 დეპუტატი უმაღლესი განათლების მქონე იყო და 26 დეპუტატს განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული. 108 დეპუტატს, დიდ უმრავლესობას, ე.წ. „სუფთა სამსახური“ ჰქონდა, ისინი სახელმწიფო მოხელეები იყვნენ და მათი უმეტესობა (33) ვექილად მუშაობდა, ნაწილი – მასწავლებლად (24) და ჟურნალისტად (17). წარმომავლობის თვალსაზრისით კი, დეპუტატები ამგავრად ნაწილდებოდნენ: 25 მუშა იყო, 65 – გლეხი, 38 – დიდგვაროვანი. დეპუტატთა უდიდესი ნაწილი გურიიდან იყო (28), დასავლეთ საქართველოდან, მსგავსად ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის. ასევე კრებაში იყო 5 ქალი დეპუტატი.

უფლებამოსილების ძიება: დამფუძნებელი კრება

ჟორდანია ძლიერ დამფუძნებელ კრებს ლობირებდა. იგი ითვალისწინებდა საფრთხეს, რომელიც საქართველოს ემუქრებოდა და ამტკიცებდა, რომ ორი უმთავრესი ფუნქციის (კანონმდებლობის მიღებისა და ახალი კონსტიტუციის დამტკიცების) გარდა, დამფუძნებელ კრებას განკარგულებათა საფუძველზე სწრაფი რეაგირების უფლებამოსილებაც უნდა ჰქონდა. ეს უჩვეულო იყო საკონსტიტუციო კონვენციისთვის, მაგრამ ჟორდანიას აზრით, ახალგაზრდა სახელმწიფოს გარდამავალ პერიოდში მძლავრი მთავრობა სჭირდებოდა. ჟორდანია კონსტიტუციას „მომავლის მუსიკას“ უწოდებდა, თუმცა სანამ ეს დრო დადგებოდა, დამფუძნებელ კრებას აღმასრულებელი უფლებამოსილებები უნდა ჰქონოდა. საფრანგეთის ეროვნული კონვენციის მსგავსად, მას უნდა დაენიშნა და გაეთავისუფლებინა მინისტრები – საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებას აკონტროლებენ. მსხვილი და დამოუკიდებელი აღმასრულებელი აპარატი მომაკვდინებელი იყო სახალხო კონტროლისათვის. მთავრობასთან კონფლიქტის შემთხვევაში, პრიორიტეტი, როგორც ხალხის სუვერენულ ორგანოს, დამფუძნებელ კრებას ენიჭებოდა.[32] პრაქტიკაში ეს ასე არ იყო. დამფუძნებელ კრებას, როგორც თითქმის ყველა საკანონმდებლო ორგანოს, დომინანტური პარტია მართავდა და აკონტროლებდა.

14 მარტს, დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე, უარი თქვეს პრეზიდენტის ინსტიტუტზე. მის ნაცვლად მთავრობას თავმჯდომარე ეყოლებოდა. მსგავსად პრემიერ-მინისტრისა, იგი პასუხისმგებელი იქნებოდა დამფუძნებელი კრების საქმიანობაზე. კრებამ თავმჯდომარე (განახლებადი) ერთი წლის ვადით აირჩია, თუმცა მას ვეტოს უფლება არ ჰქონდა. თავმჯდომარეს შეეძლო, აერჩია საკუთარი კაბინეტის წევრები, მაგრამ ისინი რატიფიცირე-

[32] „დამფუძნებელი კრება, მისი ფუნქცია და ძალაუფლება“, კრებულში ნოე ჟორდანია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, XII ტ, გვ.160-170.

ბული უნდა ყოფილიყვნენ დამფუძნებელი კრების მიერ. დამფუძ-ნებელი კრებას უნდობლობის ვოტუმის პროცედურის დაწყებით შეეძლო, გადაეყენებინა ამა თუ იმ კაბინეტის წევრები. კრებამ „რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლად“ თავმჯდომარე დაად-გინა, თუმცა საბოლოოდ გაურკვეველი იყო, თუ რა ძალაუფლე-ბას ფლობდა ჟორდანია თავმჯდომარეობის პერიოდში. 1919 წლის დეკემბერში ოპოზიციამ უგულებელყო მისი უფლება, განეხორცი-ელებინა მთავრობის რეორგანიზაცია და დაენიშნა ახალი მინის-ტრები.[33] პასუხად უმრავლესობაში მყოფმა სოციალ-დემოკრატებ-მა გამოსცეს ბრძანება, რომელიც ჟორდანიას „განსაკუთრებულ უფლებებს“ ანიჭებდა. დებატებს არასოდეს განუმარტავს, რას გულისხმობდა „განსაკუთრებული უფლებები“, თუმცა თავმჯდო-მარემ კაბინეტის რეორგანიზაციის შესაძლებლობა შეინარჩუნა.

როგორც „მთავრობის პრეზიდენტმა და თავმჯდომარემ“, ჟორდანიამ ათი სამინისტრო ოთხი მინისტრით დააკომპლექტა.[34] მათგან ოთხივე სოციალ-დემოკრატი იყო. ამგვარმა არჩევანმა ოპოზიციური პარტიების მარგინალიზაცია გამოიწვია. ოპოზიცია, რომელიც მთავრობის საქმიანობაში ვეღარ მონაწილეობდა, უფ-რო აგრესიული გახდა. სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებაში უპორტფელოდ დარჩენილი სოციალ-ფედერალისტები „ბრალდებისას თავს ვეღარ თოკავ-დნენ“. იგი განაგრძობდა: „ისინი ცდილობენ მთავრობის დამცი-რებას. ეს არაეთიკური ოპოზიციაა“.[35] ცხრა თვის განმავლობაში (1919 წლის დეკემბერში) თავმჯდომარე-პრეზიდენტი ჟორდანია სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებულ სირთულეებთან გა-სამკლავებლად იძულებული გახდა, სამხედრო, მომარაგებისა და იუსტიციის სამინისტროებისათვის სამი ახალი მინისტრი დაენიშ-

---

33 „საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში, სამოცდამეთვრამეტე სხდომა, 1919, 31 დეკემბერი, გვ. 23-36.

34 ევგენი გეგეჭკორი – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი; ნოე რა-მიშვილი – შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრი; ნოე ხომერიკი – მიწათმოქმედების, შრომისა და ტრანსპორტის მინის-ტრი; კონსტანტინე კანდელაკი – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

35 ა. ბენდიანიშვილი, გვ. 168.

ნა. ხელისუფლება ცდილობდა, გაეთვალისწინებინა როგორც მემარცხენეთა, ასევე მემარჯვენეთა ინტერესები. ის პირობას დებდა, რომ შექმნიდა (შვეიცარიის მსგავსად) სამოქალაქო მილიციასა და რეგულარულ არმიას, ხელს შეუწყობდა თავისუფალ ვაჭრობას და აღკვეთდა სპეკულაციას, მხარს დაუჭერდა მრეწველობას და დაიცავდა მშრომელთა უფლებებს. ეს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის, ეროვნული მისიისა და მულტიეროვნულობის, სახალხო დემოკრატიისა და მუშათა უფლებების მძლავრ მრეწველობასა და ქმედითუნარიან სახელმწიფო ინსტიტუტებთან შერწყმის მცდელობა იყო. ამ თითქოსდა საპირისპირო მიზნებმა, რომლებიც, 1890 წლიდან მოყოლებული, სისხლს უშრობდნენ ევროპელ სოციალისტებს, საფუძველი დაუდეს ერთ-ერთ უპირველეს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ევროპაში. ამგვარად, შესაძლებელი ხდებოდა, გაეტარებინათ სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, რომელიც ემყარებოდა სოციალურ და ეკონომიკურ ინტერვენციას არა კაპიტალიზმის განადგურების, არამედ მართვის მიზნით. თუმცა მთავრობას არც რესურსები გააჩნდა და არც გარე სტაბილურობა, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა პროგრესული სახელმწიფო კაპიტალიზმის პროგრამის სისრულეში მოყვანა.

კრება ერთდროულად აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო ორგანო იყო. ესოდენ უჩვეულოდ ფართო ფუნქციები განსაზღვრული იყო სახელმწიფოს მართვის ხელშესაწყობად კონსტიტუციის მიღებამდე. მაგალითად, დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისიას, რომელიც ახალციხეში ვითარების შესასწავლად ჰყავდათ წარგზავნილი, მინიჭებული ჰქონდა დაკავებისა და დაპატიმრების უფლება.[36] დეპუტატებს შეეძლოთ, აღმასრულებელ ორგანოებსა და საკრებულოებში საქმიანობა შეეთავსებინათ, თუკი ისინი მხოლოდ ერთ სახელმწიფო ხელფასს აიღებდნენ. ჟორდანია და ალექსანდრე ლომთათიძე (დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე), რომლებიც თბილისის საკრებულოს წევრებიც იყვნენ, აქ მუშაობას დამფუძნებელი კრების მიერ და-

[36] „საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში, მეოთხე სხდომა, 1919, 21 მარტი, გვ. 11.

კისრებულ პასუხისმგებლობას უთავსებდნენ. ამგვარმა შესაძლებლობამ შეასუსტა დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო ფუნქცია და საერთოდაც ბუნდოვანი გახადა კანონმდებელთა როლი. საბოლოო ჯამში, მიუხედავად შეზღუდვებისა, რომლებიც ჟორდანიამ აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუწესა, იმედგაცრუებული ხელისუფლება მოითხოვდა, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა საკანონმდებლო კრებაზე მოხვედრამდე მას დაემტკიცებინა.[37] ამგვარად, სამინისტროების ზეგავლენა საკანონმდებლო ორგანოებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, დებატები ღია იყო და პრესაშიც დაუბრკოლებლად ქვეყნდებოდა. პალატის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მჭიდრო რიგებად ჩამწკრივებული ოპოზიციონერი დეპუტატები ადგილიდან ერთვებოდნენ დისკუსიაში. ნებისმიერი დეპუტატი იმუნიტეტით სარგებლობდა. არც ჩხრეკა იყო და სიტყვის თავისუფლებაც ჰქონდათ. კრების უნებართვოდ დეპუტატებზე სასამართლო პროცესის წამოწყება იკრძალებოდა. ოპოზიციას შეეძლო, დაეკითხა მინისტრები და კომისიათა მუშაობისას კანონპროექტებში ცვლილებები შეეტანა. აქ პარლამენტისათვის წარსადგენი უამრავი საკანონმდებლო აქტი მზადდებოდა. ესა თუ ის პარტია და მათი ლიდერები, მაგალითად, სპირიდონ კედია და გიორგი გვაზავა (ეროვნულ-დემოკრატები), ისევე როგორც ლეო შენგელაია – სოციალისტურ-რევოლუციური ფრაქციის გლეხთა ლიდერი, დაუნდობელი კრიტიკით გამოირჩეოდნენ. დამფუძნებელი კრება იდეოლოგიურ ოპონენტებს წესრიგისაკენ მოუწოდებდა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებს დღის წესრიგზე ზემოქმედების ძალა შესწევდათ და, როგორც გრიგოლ ვეშაპელი ამბობდა, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია იყო „სახელმწიფო სახელმწიფოში“, დამფუძნებელი კრება დემოკრატიის ნამდვილ გაკვეთილს იძლეოდა.[38] მმართველ პარტიას უნდა მოეთმინათ საჯა-

---

37 Georgian Archive (Harvard) Box 4, Book 19 (Sittings of the Georgian Government), December 11th, 1919, p.792.

38 „საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში, სამოცდამეთვრამეტე სხდომა, 31 დეკემბერი, 1919, გვ. 26.

რო კრიტიკა, როდესაც სტენოგრაფიული ანგარიშები ადგილობრივ გაზეთებში ქვეყნდებოდა.

დამფუძნებელი კრების მიერ გამართულ 169 სესიაზე ორი წლის განმავლობაში 265 კანონი და დებულება მიიღეს.[39] მეტწილად ისინი სამინისტროებიდან შემოდიოდა (415-დან 249-მდე), თუმცა საპარლამენტო კომისიათა და პრეზიდიუმის შემოთავაზებულიც დიდი პროპორციით იყო (79).[40] კანონთა დიდი ნაწილი ახალ სახელმწიფო უწყებათა შექმნას ითვალისწინებდა, რასაც ფისკალური და ფინანსური საკითხები და სამხედრო საქმეებიც მოსდევდა. საბოლოო ჯამში, ოპოზიციამ სოციალ-დემოკრატების დღის წესრიგისათვის ობსტრუქციის მოწყობა ვერ შეძლო. დეპუტატთა დიდი ნაწილი დროს ხელფასის გაზრდისა ან კრედიტების მოთხოვნაზე ხარჯავდა. როგორც სხვა საკანონმდებლო ორგანოებში, პოლიტიკას დეპუტატები არც აქ განსაზღვრავდნენ. გადაწყვეტილებათა უდიდესი ნაწილი აღმასრულებლების მიერ იყო ინიცირებული, სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს კი დებატებისას ჩიხში ამწყვდევდნენ რაჟდენ არსენიძე, ალექსანდრე ლომთათიძე და მათსავით ძლიერი სხვა ოპონენტები, რომლებიც პარტიის წევრებს წესრიგში ამყოფებდნენ. დროდადრო პარლამენტარები დაშტამპულებივით იქცეოდნენ. უმრავლესობა საკანონმდებლო კენჭისყრისას ლიდერთა მითითებებს მისდევდა. თუმცა სხვა დროს დებატები მძვინვარებდა – მთავრობის წარმომადგენლებს ქარცეცხლში ატარებდნენ, ხოლო დებატების გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებებსა ან მათ გამჭვირვალობას აპროტესტებდნენ.

თვითმმართველობა

თბილისს სოციალ-დემოკრატები მართავდნენ, მაგრამ პერიფერია უფრო ძნელი გასაკონტროლებელი იყო. 1918 წლის ივნისში „ერთობამ“ თავის მკითხველებს შეახსენა, რომ მხოლოდ იდეები არ კმაროდა: „ერთადერთ ნამდვილ ძალას ჯარი და შიდა წესრიგი

[39] საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919, გვ. 30.

[40] იქვე, გვ. 31.

წარმოადგენს, ეს არის კონსტიტუციის ქვაკუთხედი, ეს ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზაა".[41] ეროვნული გვარდიის დახმარების გარდა, მთავრობა სოფელზე კონტროლის მოპოვებას ცენტრის მიერ დანიშნული კომისრების სისტემის შემოღებითაც ცდილობდა. ამას სამი მიზეზი განაპირობებდა: პირველ რიგში, დუშეთი, ახალქალაქი, სამეგრელო, აფხაზეთი და აჯანყებებით დაუძლურებული სხვა პროვინციები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სერიოზულ პრობლემას ქმნიდნენ; გარდა ამისა, სახელმწიფოს უნდა გაემყარებინა ავტორიტეტი ქალაქს გარეთ; ამასთანავე, ადგილობრივი სამთავრობო უწყებათა ჩამოყალიბება ნელი ტემპით მიდიოდა, მათი ძალაუფლება კი სუსტად იყო გამოხატული. თვითმმართველობასთან დაკავშირებული ჟორდანიასეული გეგმის მიუხედავად, რესპუბლიკის არსებობისას კომისართა სისტემა უცვლელად ფუნქციონირებდა. კომისრებს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, შედარებით მეტი იურიდიული ძალაუფლება ჰქონდათ, ვიდრე ადგილობრივი თვითმმართველობის ახლად არჩეულ ორგანოებს, რომლებსაც ერობის სახელით იცნობდნენ. როგორც ერთი მუშა ჩიოდა, სრულიად გაუგებარი იყო, თუ ვის ემსახურებოდნენ კომისრები სოფლად -- „დემოკრატიას თუ ბიუროკრატიას".[42] 1919 წლის მოწვევის თბილისის საქალაქო საბჭოზე ალექსანდრე ლომთათიძე თანაპარტიელებს მთავრობის მხრიდან ჩარევას ამგვარად განუმარტავდა: „ჩვენ ორ განსხვავებულ დროში ვცხოვრობთ, ერთისათვის დამახასიათებელია რევოლუცია, მეორესთვის კი – სახელმწიფო აღმშენებლობა. ამგვარ მომენტებში ცენტრალური მთავრობა უნდა ერეოდეს და დგამდეს ნაბიჯებს, რასაც ნორმალურ დროს არ გააკეთებდა". [43]

მრავალპარტიული არჩევნები ერობაში რეგიონალურ დონეზე 1918 წლის აგვისტოში დაიწყო (სოფლად არჩევნები მოგვიანებით

---

41 „ჩვენი კონსტიტუცია", *ერთობა,* 7 ივნისი, №116, 1918, გვ. 1.

42 „მუშათა წერილი", ერთობა, 3 ოქტომბერი, № 211, 1918, გვ. 3.

43 მიღებულია ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მერვე ყრილობაზე, „მერვე ყრილობა", *ერთობა,* 27 ნოემბერი, №257, 1918, გვ. 1.

ჩატარდა). არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით სულ რამდენიმე საჩივარი არსებობდა, მაგრამ პრობლემები აშკარა იყო. პარტიული აქტივისტები ხალხის ინდეფერენტულობას უჩიოდნენ. გამოცხადებულთა რაოდენობა ზოგიერთ რაიონში 30-40%-ს არ აღემატებოდა.[44] არასაკმარისად იყო წარმოდგენილი ინტელიგენცია, რომელსაც ამომრჩეველთა დარაზმვა შეეძლო. პროვინციელ მოხელეთა და მასწავლებელთა დიდ ნაწილს სიღატაკისაგან თავდასაღწევად თბილისისთვის მიეშურებინა. პარტიები პროვინციებში ცუდად იყო ორგანიზებული. ამომრჩევლები ცდილობდნენ, კომისრებისა და ადგილობრივი პარტიის წევრებისათვის ეამებინათ, რადგან ისინი რეალურ ძალაუფლება ფლობდნენ. სოციალ-დემოკრატები, ამომრჩეველთა სუსტი მხარდაჭერის გამო, ცდილობდნენ, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა ისე წარემართათ, რომ შეერთებოდნენ სოციალისტ-რევოლიციონერებს, სოციალისტ-ფედერალისტებსა და სხვა მემარცხენე ოპოზიციურ პარტიებს. სოციალ-დემოკრატებმა საუკეთესო ორატორები ქალაქგარეთ გაგზავნეს. ნოე რამიშვილი და ნოე ხომერიკი, რომლებმაც სოფლები და ქალაქები შემოიარეს, მოსახლეობას ეკონომიკურ დახმარებასა და მიწას ჰპირდებოდნენ, კორუმპირებული ჩინოვნიკები კი რამიშვილმა ადგილზევე სამაგალითოდ დასაჯა.[45]

სოციალ-დემოკრატებმა თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს,[46] მაგრამ კამპანიის დროს გაერთიანებული პარტიული კოალიციები მმართველობითი საქმიანობის დაწყებისთანავე დაიშალა. მაგალითად, თელავში სოციალ-ფედერალისტებთან თანამშრომლობა მიწის რეფორმასთან დაკავშირებულმა უთანხმოებამ შეუძლებელი გახადა. ოპოზიციონერებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდათ ზუგდიდში (სამეგრელო),

44 ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, გვ. 88.

45 „შინაგან საქმეთა სამინისტროში“, *ერთობა,* 21 თებერვალი, №41, 1919, გვ. 3.

46 ჟორდანიას მშობლიურ ქალაქ ლანჩხუთში, გურიაში, 1374 ამომრჩევლის ხმიდან 1373 ხმა მიიღო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მაგრამ ამომრჩეველთა აქტივობამ მხოლოდ 40% შეადგინა. „არჩევნები პროვინციებში: ლანჩხუთი“, *ერთობა,* 4 სექტემბერი, №188, 1918, გვ.3.

სადაც 1918 წელს ქართველმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს. ქუთაისში, სოციალ-დემოკრატები იძულებულნი იყვნენ, ეროვნულ-დემოკრატებთან ეთანამშრომლათ.[47] თუმცა ფუნდამენტურ პრობლემას რესურსები წარმოადგენდა. როგორ უნდა შეესრულებინა ერობას მოვალეობა კადრებისა და ფინანსების გარეშე, თუკი ის პასუხისმგებელი იყო ადგილობრივ სასამართლოებზე, გზებზე, საავადმყოფოებზე, სკოლებზე, სურსათზე, გადასახადების აკრფაზე? ცენტრიდან მიღებული სუბსიდიების არარსებობას ისინი ვერაფერს მოუხერხებდნენ. სოციალ-დემოკრატმა დავით ონიაშვილმა ერობის დელეგატების შეხვედრაზე 1919 წლის თებერვალში აღიარა: თუ „მთავრობის ფინანსური რესურსების სისტემა მოშლილია, ერობები ვერ შექმნიან მყარ ეკონომიკურ ბაზას“.[48] ერობების უფლებამოსილება არასწორად იყო განსაზღვრული, რაც გაუთავებელ დავას იწვევდა, თუ როგორ შეძლებდნენ ისინი შემოსავლების მიღებას. მაგალითად, რა ქონება შეიძლებოდა ჰქონოდა ერობას და რომელი გადასახადები უნდა გადაეხადა? მთავრობა მათ შემოსული გადასახადების ნაწილის გამოყოფას შეჰპირდა, მაგრამ მოსახლეობა იშვიათად იხდიდა გადასახადებს. ხანდახან ერობა თავად კრეფდა საკუთარ მოსაკრებელს ან შემოსავლის მისაღებად ყიდდა ამა თუ იმ პროდუქტს, ვთქვათ, სიმინდს. ასე იყო, მაგალითად, თბილისში, ოზურგეთსა და ქუთაისში. თბილისის რაიონი მიწას ბეგრავდა, აწესებდა სანიტარულ და საკუთრების გადასახადს, რომელსაც ზოგიერთი უფასო სკოლისათვის და სამედიცინო თუ ვეტერინარული მომსახურებისათვის საკმარისი სახსრები შემოჰქონდა.[49] 1919 წლის შემოდგომაზე ადგილობრივი ტყეების მართვა ერობას გადაეცა,

---

47 იხ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, გვ. 18-89 ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ, რომლებშიც ოპოზიციური პარტიები ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ბლოკად გაერთიანდნენ.

48 „ერობათა წარმომადგენლობების ყრილობა“, *ერთობა,* 26 თებერვალი, №45, 1919, გვ. 1.

49 „გადასახადები თბილისის მაზრაში“, *ერთობა,* 9 სექტემბერი, №203, 1919, გვ. 3.

1920 წელს კი მათ შეეძლოთ, დაეწესებინათ ესა თუ ის გადასახადი, მათ შორის, სანიტარულიც. მიწის რეფორმის შემდეგ, მოგების მისაღებად და მარცვლეულის დასათესად მათ მცირე ოდენობის მიწა მიიღეს (სახელმწიფო მიწების 7%). თუმცა ყოველივე ეს საკმარისი არ იყო, ამიტომაც ბოლო არ უჩანდა რეგიონული ერობებიდან ცენტრალურ სამთავრობო უწყებებში გამოგზავნილ პეტიციებს სესხების, კრედიტებისა და სუბსიდიების თაობაზე. მთავრობა, დე ფაქტო, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლის ერთადერთი რეალური წყარო იყო. ამან ერობები დააუძლურა. კონტროლი ცენტრის ხელში იყო ან ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებზე გადადიოდა.

ერობების შემოღება სასოფლო (სათემო) დონეზე გაგრძელდა. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ოზურგეთში, სოფლის მოსახლეობა რევოლუციამდელ სასოფლო საზოგადოებათა შენარჩუნებას ამჯობინებდა. გაურკვეველი რჩებოდა, თუ რამდენად ძლიერი შეიძლებოდა ყოფილიყო ერობა სოფელში, რაც მის ეფექტურობას აქვეითებდა. აღნიშნავდნენ, რომ „სანამ (ერობა) სწორად არ იქნებოდა ორგანიზებული, სახელმწიფოს ძლიერებასა და სტაბილურობაზე საუბარი ოცნებად დარჩებოდა“.[50] მსგავსი პრობლემის შესახებ წერდა „ერთობაც“: „დღემდე ვშიშობდით, რომ ერობას პრობლემას ქვედა ფენები შეუქმნიდა, რადგან ხალხს მზაობაც აკლია და განათლებაც. ახლა კი ვხედავთ, რომ საფრთხე ზემოდან მოდის, მმართველი ცენტრიდან, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ყველა წვრილმანზე პასუხისმგებლობას, რადგან ერობას რესურსთა დეფიციტი აქვს.“ სტატია ასკვნიდა: „ერობათა სისტემა ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია“.[51] ერობა აქტიურად უნდა ჩაბმულიყო სახელმწიფოს ადმინისტრირების საქმეში. სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობოდა საქართველოს რესპუბლიკის განაცხადი რეალურ დემოკრატიაზე. თუმცა რეგიონებში არსებულმა ვითარებამ, ისევე როგორც

[50] „თემთა წარმომადგენლობების ყრილობა“, *ერთობა,* 14 თებერვალი, №35, 1920, გვ.1.

[51] „დემოკრატიული აღმშენებლობა“, *ერთობა,* 25 ოქტომბერი, №229, 1918, გვ. 1.

სახელმწიფო უწყებათა არარეალისტურმა მოლოდინებმა და ვალდებულებებმა, ყოველივე ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელად აქცია.

ქმედითი ადგილობრივი ადმინისტრაციის არარსებობა ძირს უთხრიდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეფორმებს – საარბიტრაჟო სასამართლოსთვის არჩეულ მოსამართლეთა რეფორმას, მიწის რეფორმას, დაწყებითი სკოლების მართვას ახალი პროგრამით და ა.შ. ერობას ესაჭიროებოდა ინფორმაცია მიწის საკუთრების შესახებ და გარანტია, რომ სწორად მოხდებოდა ამ საკუთრების გადანაწილება. თუმცა შემოსავლების, ხელფასებისა და პერსონალის არარსებობა საფრთხეს უქმნიდა ამგვარ პერსპექტივას. პროვინციებიდან შემოსული ინფორმაციით, სათანადოდ ერობათა მხოლოდ მცირე ნაწილი ფუნქციონირებდა. ცოტა თუ ახერხებდა სკოლების დაარსებას, მასწავლებელთა თუ აგრონომთა დაქირავებას ან გზების მშენებლობას. დასაქმებულ კადრებს ამ ანგარიშებში „გამოუცდელად და საკუთარი საქმის არმცოდნედ“ მოიხსენიებდნენ.[52] სოფლის მოსახლეობა ჩიოდა: „ჩვენ გვყავს პატიოსანი მუშები, მაგრამ როდესაც აღმოჩნდება, რომ ფული არ გაგვაჩნია, ისინი გარბიან ან ქრთამს იღებენ...“ ერთ-ერთი ჟურნალისტი კი იუწყებოდა, რომ, ქართველთა აზრით, ერობა „ხალხისაგან განზე გამდგარი აღმასრულებელი ორგანო იყო, რომელიც თავს ზემოდან მოახვიეს“.[53]

1919 წლის შემოდგომაზე დაიწყო დებატები, შეძლებდა თუ არა ერობათა ცენტრალური კავშირი სიტუაციის გამოსწორებას. 1919 წლის სექტემბერში ერობათა მეორე ყრილობის დელეგატები გაიყვნენ. ერთ მხარე ამტკიცებდა, რომ ცენტრი უკეთესი მხარდამჭერი იქნებოდა, სხვები კი, სოციალ-დემოკრატთა ლიდერების მხარდაჭერით, აცხადებდნენ, რომ პარალელური მთავრობის მსგავსად იმოქმედებდნენ. „ერთობა“, რომელიც სახელისუფლებო პოზიციას იზიარებდა, წერდა, რომ „ადგილობრივი ინტერესები სა-

52 „ადმინისტრაციული მოწყობა“, *ერთობა,* 11 ოქტომბერი, №231, 1919, გვ. 1.

53 იხ. „თუ საძრკველი დანგრეულია“, *ერთობა,* 23 ოქტომბერი, №241, გვ. 1; „ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი საფეხური“, *ერთობა,* 21 იანვარი, №14, 1920, გვ. 1-2.

ხელმწიფო ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს".[54] შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა დელეგატებს სიტყვით მიმართა. მან პირდაპირ განაცხადა: „ერობათა დიდი ბიუჯეტი ზიანს მიაყენებს დემოკრატიას". რამიშვილი „რეგიონალური პატრიოტიზმის" ზრდასთან დაკავშირებულ საფრთხეზეც საუბრობდა.[55] მიუხედავად ამისა, ცენტრალური კავშირი მაინც შეიქმნა, თუმცა მას სესხად მოთხოვნილ 14 მილიონ რუბლსა და საკუთარ ბანკზე უარი უთხრეს, რაც კავშირის საქმიანობის საბოტაჟს ნიშნავდა.

ეს დებატები დეცენტრალიზაციის მიმართ ორაზროვან დამოკიდებულებას ასახავდა. მთავრობას რეგიონალური ავტონომია აფრთხობდა და სურდა, ადგილობრივი ადმინისტრაცია ცენტრისთვის დაექვემდებარებინა. სხვა მხრივ, ოპონენტები ყურადღებას ამახვილებდნენ დემოკრატიულ იდეალზე, რომლის განსახიერებასაც თვითმმართველობის კონცეფცია წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გამო, ამ მიდგომათაგან ერთიც ვერ განხორციელდა. ჟორდანია იძულებული იყო, ეღიარებინა: ერობების შემოღებიდან ერთი წლის თავზე „ურთიერთობა ერობასა და მთავრობას შორის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ეს მნიშვნელოვანი საკითხია და სანამ მას არ გადავჭრით, ჩვენ არც ძალა შეგვწევს და არც უნარი, შევებრძოლოთ ერობის მოხელეთა უკანონო ქმედებებსა და შეუსაბამო პოლიტიკას".[56] დროთა განმავლობაში ერობათა უნიათობა ალბათ გამოსწორდებოდა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების უსაფრთხოება გაიზრდებოდა, ძალაუფლება გადანაწილდებოდა და ეკონომიკა მოღონიერდებოდა. თუმცა საქართველოს რესპუბლიკას ამდენი დრო არ ჰქონდა და ამგვარი ფუფუნების უფლება არ გააჩნდა.

---

54 ერობის როლისა და მისი მთავრობასთან ურთიერთობების შესახებ დებატებთან დაკავშირებით იხ. „ერობათა ცენტრი", *ერთობა,* 3 სექტემბერი, №198, გვ 1; „ერობათა ცენტრი", *ერთობა,* 4 სექტემბერი, №199, გვ. 2-3.

55 „რესპუბლიკის ერობათა ყრილობა", *ერთობა,* 12 სექტემბერი, №206, გვ. 3.

56 საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, სამოცდამეცხრამეტე სხდომა, 31 დეკემბერი, 1919, გვ. 30.

დემოკრატია ქალაქებში

ბედად, საქართველოს მთავრობას მემკვიდრეობად ერგო თბილისი, ქვეყნის ეროვნული დედაქალაქი. თბილისი უკვე 200 წელზე მეტხანს იყო კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი და რეგიონის სახელმწიფო მოხელეების, ტრანსპორტის ინჟინრების, არმიის გენერლების, პოლიტიკური პარტიებისა თუ ქარხნების დირექტორთა შტაბბინა. თბილისი თავისი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით, დახვეწილობით, განათლების დონითა და მძლავრი საწარმოებით ერთი თავით აღემატებოდა სხვა ქალაქებს. აქ ბინადრობდნენ ქართველი დიდგვაროვნები, მდიდარი სომეხი ვაჭრები და მეწარმეები. აქვე იყვნენ დაბანაკებული რუსი ოფიცრები და სამხედრო გარნიზონები. თბილისი ანდამატივით იზიდავდა სოფლიდან ჩამოსულებსაც, 1917-18 წლებში კი – ლტოლვილებს და ოსმელთისა და წითელი არმიიდან თავდაღწეულ დემობილიზებულ ჯარისკაცებს. ამ მჭიდროდ დასახლებულ, მრავალეროვან ქალაქს, უპოვართა და რეპრესირებულთა თავშესაფარს, აღარ შეეძლო მოსახლეობის დაპურება და დაბინავება, აღარც სახელმწიფო მოხელეთათვის ჯამაგირის გადახდა ან სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. თბილისში ჰქონდა ბინა დადებული მრავალ ეროვნულ საბჭოს, მილიციას, ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც რესურსებისა და ძალაუფლებისთვის ერთმანეთს ექიშპებოდნენ. საქართველოს ახალ მთავრობა უნდა გამკლავებოდა ცარისტული მმართველობის მემკვიდრეობას – საჯარო მოხელეთა კორუფციას, გაუთავებელ სიღარიბეს, სნეულებებს, უმუშევრობას, ლტოლვილებსა და კრიმინალურ დაჯგუფებებს.

თბილისის ადგილობრივი ხელისუფლება შეკვეცილი უფლებებითა და შეზღუდული ძალაუფლებით, თავდაპირველად, 1870 წელს ჩამოყალიბდა. ქალაქის საკრებულო უძღვებოდა მუნიციპალურ სამსახურებს, ხელმძღვანელობდა ადგილობრივ საჯარო მოხელეებს და არეგულირებდა მოქიშპე საარჩევნო ოლქების მოთხოვნებს. მისი დემოკრატიული მანდატი და კომპეტენცია გაიზარ-

და 1917 წლის ივნისში, კოალიციური მთავრობის დროს, როდესაც საქალაქო არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ დაშნაკცუტიუნები, სოციალისტ-რევოლუციონერები და ქართველი სოციალ-დემოკრტები გაფართოებული უფლებამოსილებით ქალაქის მილიციაზე, ადგილობრივ სასამართლოებსა და სურსათით მომარაგებაზე. თუმცაღა ნამდვილი ძალაუფლება ქალაქში პოლიტიკურ პარტიებს, ეროვნული საბჭოებსა და ქალაქის საბჭოებს ეკუთვნოდა. თბილისისა და საქართველოს პროვინციულ ქალაქებში წესრიგის დაცვამ სახელმწიფოს გადარჩენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა. ვინაიდან სახელმწიფომ უარყო „მავნე მაქსიმალიზმი“, საქალაქო საბჭოები ზეწოლას განიცდიდნენ, რათა თავიანთი პრეროგატივები ცენტრალური ხელისუფლებისათვის და ქალაქის არჩეული წარმომადგენლებისათვის გადაეცათ. 1918 წლის სექტემბერში „ერთობა“ წერდა: „რევოლუციური ორგანოები მტკიცედ უნდა დადგნენ, რათა შეინარჩუნონ პოლიტიკური კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქცია, მაგრამ თავი უნდა შეიკავონ მთავრობის საქმეებში უშუალო ჩარევისაგან“.[57]

1918 წლის ოქტომბერში არსებული საბჭოს ხელმძღვანელობას უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს. საბჭოს წევრების მხრიდან გამოუცხადებლობა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. პარტიები პოლარიზებული იყო. ქალაქის რისხვა თავს ატყდებოდა კორუმპირებულ მილიციასა და ადგილობრივი მომარაგების კომიტეტებს. ხელფასებს თვეობით ვერ იხდიდნენ. შემზარავი ანტისანიტარია, როგორც წესი, ქოლერისა და ტიფის მიზეზი ხდებოდა. ისედაც გადატვირთული ტრამვაი და მატარებლები იშვიათად მოძრაობდა. დანაგვიანებული ქუჩების ნებისმიერი კუთხე სავსე იყო მათხოვრებით. „ჩვენივე თვალწინ ძარცვა-გლეჯა ყოველდღიური მოვლენაა“, – წერდა ერთ-ერთი ჟურნალისტი. სხვა კი „ძონძებში გახვეული, ნახევრად მშიერი, სიცივისგან დალურჯებული“ მაწანწალა ბავშვების შესახებ ყვებოდა: „ზოგი ზის, ზოგი კი თითქმის

[57] „რევოლუციური ორგანიზაციები და მთავრობა“, *ერთობა*, 16 სექტემბერი, №196, 1918, გვ. 1.

უმოძრაოდ პირქვე დამხობილა, ზოგიერთი ტირის, ზოგიც მათხოვრობს“.[58]

ახალი არჩევნები ქალაქის საბჭოში 1919 წლის თებერვალში ჩატარდა. სოციალ-დემოკრატთა საარჩევნო ბიულეტენები ათასობით იბეჭდებოდა, მანქანებს პროპაგანდისტული პოსტერები ამშვენებდა, კარებზე პლაკატებს აკრავდნენ, გაზეთებში კი ლექსებს აქვეყნებდნენ. არჩევნების დღეს თოვდა. აქტივობამ 51%-ს მიაღწია, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა 90-დან მხოლოდ 69 ადგილი მოიპოვეს. საარჩევნო სიაში ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი ლიდერობდნენ. ხმა მისცეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 10 წევრსა და სოციალ-ფედერალისტთა 7 წარმომადგენელს.[59] სოციალ-დემოკრატებს გამარჯვება, პრაქტიკულად, გარანტირებული ჰქონდათ, ვინაიდან დაშნაკცუტიუნები და ესერები არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას აპირებდნენ. თბილისელ სომეხ ამომრჩეველთაგან ბევრმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა. შეიძლება, ისინი სომხურ-ქართული ომის შემდგომმა ანტისომხურმა საგაზეთო კამპანიამაც დააფრთხო. ესერთა მხარდამჭერებმა, ძირითადად, რუსეთს მიაშურეს. ამგვარად, მულტიეთნიკური სახელმწიფოს ქალაქის საკრებულო მონოეთნიკურ ქართულ ინსტიტუციად ჩამოყალიბდა.

ერობისა არ იყოს, მართლმსაჯულებასთან და გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების გამო, ქალაქის საბჭოც გაურკვევლობაში იმყოფებოდა. რუსმა სახელმწიფო მოხელეებმა დატოვეს ქვეყანა, ზოგიერთი მათგანი კი, ხელისუფლების ნაციონალიზაციის პოლიტიკის გათვალისწინებით, სხვებით ჩაანაცვლეს. სახელმწიფო მოსამსახურეებს ქართული ენის ელემენტარული ცოდნა მაინც ევალებოდათ. 1919 წლის ივნისში საბჭომ განაცხადა, რომ დავალიანება 33 მილიონ რუბლს შეადგენდა. მომდევნო თვეში, საბჭომ ანგარიშის თანახმად, შემოსავალი 7.5 მილიონი რუბლი იყო, ხოლო გასავალი – 12 მილიონი რუბლი. ქალაქის მილიციას,

[58] „ჩვენი მისია“, *ერთობა,* 22 ნოემბერი, №253, 1918, გვ. 1; „ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ“, *ერთობა,* 23 თებერვალი, №43, 1919, გვ. 1.

[59] „არჩევნები“, *ერთობა,* 5 თებერვალი, №.28, 1919, გვ.1.

რომელიც მექრთამეობით იყო ცნობილი, საბჭოს ბიუჯეტის 1/5 მიჰქონდა. თბილისის საბჭომ მთავრობას შუამდგომლობით მიმართა, რომ მილიიცის დასაფინანსებლად თანხების 50% გამოეყოთ, ხოლო საკუთარი ვალებისა დასაფარად და თანამშრომელთა ხელფასების გადასახდელად 10-მილიონიანი სესხის აღება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი განცხადებით, ისინი ვერც გაფიცვების აღკვეთას შეძლებდნენ და ვერც მომსახურებას.[60]

თბილისის საბჭოს გამოცდილებამ გამოავლინა, თუ რამდენად მძიმე იყო ადგილზე დემოკრატიის ხარისხის შენარჩუნება. ქვეყნის მართვისას ურესურსოდ და უსაფრთხოების უდიდეს პრობლემათა წინაშე აღმოჩენილი სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი გადარჩენა გახდა. 24 მარტს ორი თვის განმავლობაში უხელფასოდ დარჩენილი თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა უმრავლესობა გაიფიცა. მთავრობამ და პროფკავშირების ლიდერებმა საავადმყოფოს გაფიცული პერსონალი „მკვლელებად შერაცხეს“ და მკაცრად დაგმეს. მათ ყოველივე ამას პოლიტიკური სარჩული დაუდეს და გაფიცვა ქართული დემოკრატიის დამხობის მცდელობად მიიჩნიეს. ქალაქის საბჭომ გაფიცულები სამსახურებიდან გაათავისუფლა და, სინამდვილეში, ამგვარად მათ გაფიცვის უფლება წაართვა. „ერთობამ“ განაცხადა, რომ „ობიექტურად, მათი ნამოქმედარი დენიკინის, ახალციხელი ბეგებისა (მიწათმფლობელების) და თურქი მსტოვრებისას ჰგავდა“[61] გაფიცულები „წვრილბურჟუაზიული“ ფენის წარმომადგენლები (მათ შორის ბევრი რუსი და სომეხი ერია) იყვნენ და მათ კონტრრევოლუციონერთა იარლიყები მიაკერეს. საბოლოო ჯამში, ხელფასები გაიზარდა და თანამშრომლებიც დაბრუნდნენ, მაგრამ გაფიცვამ გამოავლინა კუთხეში მომწყვდეული მთავრობის მენტალიტეტი – შიდა ოპოზიცია პოტენციური მოღალატე იყო და სახელმწიფოს ინტერესებს არ იცავდა. ვინც სოციალ-დემოკრატებს ებრძოდა, ფაქტობრივად, „ომს უცხადებდა სრულიად დემოკრატიას“.[62]

---

60 თბილისის ქალაქის თვითმმართველობის შესახებ იხ. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, გვ. 196-204.

61 „გაფიცვის გარშემო“, *ერთობა,* 15 აპრილი, №77, 1919, გვ. 3.

62 „რატომ გავიმარჯვეთ?“, *ერთობა,* 22 თებერვალი, №42, გვ. 1.

ქალაქის საბჭოს 1919 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებამ თბილისის „ჭარბი“ მოსახლეობის გაძევების შესახებ ნათლად ასახა ის წინააღმდეგობა, რომელიც სამოქალაქო უფლებებსა და სახელმწიფო პრიორიტეტებს შორის არსებობდა. ამგვარი ზომები, ძირითადად, მოქალაქეობის არმქონე პირებს ეხებოდა – მათ, ვინც „თბილისში საკუთრებას არ ფლობდა“ ან, ოფიციალურად, დაუსაქმებელი იყო.[63] საბჭო გადაწყვეტილებას ქალაქის მოსახლეობის გადამეტებული რაოდენობით, ბინების ნაკლებობითა და მწირი საქალაქო რესურსებით ხსნიდა. დადგენილებას, რომელიც ერთდროულად გულუბრყვილოც იყო და განუხორციელებელიც, ბინათმფლობელები და მილიციის დანაყოფები ბოროტად იყენებდნენ – ეს არასასურველი მდგმურების თავიდან მოშორების, ქირის გაზრდისა და მექრთამეობის საშუალებას იძლეოდა. სომხები და რუსები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა არ ჰქონდათ, თავს ყველაზე დაუცველად გრძნობდნენ. ჟორდანიამ ბრძანება გააუქმა, მაგრამ ასეთ ქმედებებში მჟღავნდებოდა არასაკმარისი დაფინანსების მქონე იმ სამთავრობო ორგანიზაციათა რეაქცია, რომლებიც საკუთარი ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას პრიმიტიული (და თანაც არადემოკრატიული) გადაწყვეტილებებით ცდილობდნენ. ადგილობრივ თუ ქალაქის ხელისუფლებას, ურიცხვ ვალდებულებათა გამო, მხრებზე დიდი ტვირთი დააწვა. მათ მიერ წარმოებული პოლიტიკა ასახავდა იმ სიღრმისეულ და არაჯანსაღ მდგომარეობას, რომელიც ქალაქის წარმომადგენლობით ორგანიზაციებში გამეფებულიყო. აქ ხომ, როგორც წესი, რომელიღაც ერთი პარტია დომინირებდა და საკუთარ თავს სახელმწიფოს ინტერესებთან აიგივებდა. 1919 წლის 26 დეკემბერს „ერთობა“ გულისტკივილით აღნიშნავდა:

„ჩვენ გვყავს ცენტრალური სამთავრობო აპარატი, რაიონული აპარატი, ერობა – თემის დონეზე, თუმცა არ გაგვაჩნია შენობა, არც ჭერი გვაქვს, არც კედლები და არც საძირკველი. ადამიანები, სოფლის მოსახლეობა, რეალური დემოკრატიის წარმომადგენლე-

[63] „სავალდებულო დადგენილება“, *ერთობა,* 16 ნოემბერი, №262, 1919, გვ. 2.

ბი, მარგინალიზებულნი არიან და, სახელმწიფოს ცხოვრებაში მონაწილეობის გარეშე დარჩენილნი, მთავრობას შესცქერიან. მათი მონაწილეობა მხოლოდ სამ წელიწადში ერთხელ არჩევნებზე მისვლით შემოიფარგლება. ჩვენ ვერ ვხედავთ სახალხო მთავრობას, რაც სახელმწიფოს საქმიანობაში საყოველთაო ჩართულობას გულისხმობს. იმას კი, რაც გვაქვს, ჩვენ ბიუროკრატიას ვუწოდებთ".[64]

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იდეოლოგიურ პრინციპებსა და ქართულ რეალობას შორის მტკივნეული კომპრომისები გამოავლინა. უთანხმოება პარტიათა შიგნითაც არსებობდა და გარეთაც. მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა, შუალედური კურსი შეენარჩუნებინა. ის აქცენტს სახალხო დემოკრატიაზე აკეთებდა, ეს კი მასებზე გათვლილი ძველთაძველი პოლიტიკის, ძალაუფლების გადანაწილებისა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურული უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულებით იყო ნასაზრდოები. იმავდროულად, ისინი აღიარებდნენ, რომ რესპუბლიკა იყო ბურჟუაზიული პრინციპებით კონსტრუირებული სახელმწიფო, სადაც სასამართლო დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, კერძო საკუთრება კი – დაცული. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საქართველო, როგორც პატარა, დუხჭირი სახელმწიფო, ხელს უნდა უწყობდეს სოციალიზმის პროგრამა მინიმუმის (პროგრესული საგადასახადო სისტემის შექმნა, თვითმმართველობის ჩამოყალიბება, შრომითი უფლებების დაცვა) სისრულეში მოყვანას. ამას ევოლუციური სისტემა უფრო ეთქმის, ვიდრე რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული და არა რადიკალურად სოციალისტური. სახელმწიფოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საერთაშორისო სესხები და კერძო ინდუსტრიის ხელშეწყობა ესაჭიროებოდა.

სოციალ-დემოკრატი დეპუტატები მხარს უჭერდნენ თვითგამორკვევისა და ეროვნული ავტონომიის უფლებას, მაგრამ მცირე

[64] „ცოტა რამ სასოფლო თვითმართველობაზე", *ერთობა,* 26 დეკემბერი, №295, 1919, გვ.1.

სახელმწიფოში რამდენიმე ეროვნული ავტონომიის არსებობა საფრთხილო იყო, რადგან არსებობდა შიდა არეულობისა და მთავრობის დამხობის რისკი. დანაწევრების შიშით, სოციალ-დემოკრატები იზიარებდნენ ყველა სხვა ქართული პარტიის მიერ აღიარებულ მოსაზრებას, რომ სამოქალაქო (მაგალითად, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების) უფლებათა განხორციელება და თვითმმართველობის ჩამოყალიბება არაქართველთა თანასწორუფლებიანობის საკმარისი გარანტია იქნებოდა. ერთგვარი ეთნოეროვნული ავტონომიის განსაკუთრებული ფორმა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში (აფხაზეთში, ბათუმის ოლქსა და ზაქათალაში) იქნა შემოღებული. რეგიონთათვის და არაქართველთათვის ფედერაციული მოწყობისა ან მეორე პალატის შემოღების იდეა, როგორც მიუღებელი უნიტარული საქართველოსთვის, უარყოფილ იქნა. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებს ფედერალური სისტემა ვერ გადაჭრიდა, თუმცა, პოტენციურად, ეს იყო ერთგვარი მექანიზმი საქართველოში გაღვივებულ იმ ეთნიკურ კონფლიქტთა თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც არათუ ძირი გამოუთხარეს ქართულ დემოკრატიას, არამედ ეჭვქვეშ დააყენეს თავად სახელმწიფოს არსებობა.

ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები – ერობები – ის ქვაკუთხედი იყო, რომელსაც საქართველოს მონაწილეობითი დემოკრატია ემყარებოდა. ერობასთან დაკავშირებული საკითხები უფრო 1921 წლის კონსტიტუციით მოწესრიგდა და არა მიმდინარე კანონმდებლობით. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატები უფრთხოდნენ ჭარბი ძალაუფლების გადაცემას და ინარჩუნებდნენ კონტროლის ვერტიკალურ სტრუქტურას დანიშნული კომისრების მეშვეობით. ბოლოს და ბოლოს, 1921 წლის კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმარველობას მოიხსენიებდა „ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულად“, რომელიც „მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილებოდა მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს“ (მუხ. 104). სახელმწიფო დონეზე ზემდგომი ანგარიშვალდებული იყო ქვემდგომის წინაშე და ამას კანონმდებლობა უზრუნველყოფდა. პოლიტიკურ პარტიათა კონკურენციასა და მონაწილეობასაც კა-

ნონი იცავდა. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, კონსტიტუციურად, მკაცრი საპარლამენტო კონტროლი ხორციელდებოდა. მე შევეცადე, წარმომედგინა, რომ მთავრობა მხარს უჭერდა დემოკრატიის დელიბერაციულ მოდელს, ეს კი, მოქალაქეთა მონაწილეობის მეშვეობით, სოციალურ-ეკონომიკურ თანასწორობასაც უზრუნველყოფდა და კანონის უზენაესობასაც. მიუხედავად ამისა, ქართველ სოციალ-დემოკრატთა დემოკრატიული ამბიციები შეირყა (თუმცაღა არ განადგურებულა), რაც განპირობებული იყო სამი ძირითადი ფაქტორით. ამის მიზეზი წარმომადგენლობითი ორგანოებისთვის, უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ და ფინანსურ რესურსთა არარსებობა იყო. ეს მათ აიძულებდა, დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე. მეორე მიზეზად ის უნდა დასახელდეს, რომ სუსტ ოპოზიციაზე ერთი პარტია დომინირებდა. სწორედ ამან უბიძგა სოციალ-დემოკრატებს, უგულებელეყოთ ოპოზიცია და გამოწვევები, რომელთა წინაშეც მათ მმართველი პარტია დააყენეს. მესამე მიზეზი იყო სახელმწიფოს უშიშროების ეგზისტენციალური საფრთხე, რომლის გამოც ხელისუფლებამ ძალაუფლების კონსოლიდაცია ამჯობინა. ამან ოპოზიციის მიმართ უნდობლობა გააღვივა, იქნებოდა ეს ეროვნული უმცირესობები, პოლიტიკური პარტიები თუ პროფკავშირები. დიდი იყო ცდუნება, შექმნილიყო უსაფრთხოების რეჟიმი. შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკური რეპრესიებისას წამყვან როლს ასრულებდა. ეს ის დილემაა, რომელიც ნებისმიერი რევოლუციის წინაშე დგება – ახალი ფასეულობები და იდეალები უკვე დამკვიდრებულ ნორმებსა და ჩვევებს ეჩეხება. არსებული რეალობა კი 1918 წლის შემდგომ საქართველოში ეკონომიკური კრახის უსასრულო შიში და სახელმწიფო ძალაუფლების კონსოლიდაციის აუცილებლობა იყო. და მაინც, რეალურ დაბრკოლებათა მიუხედავად, ქართველი სოციალ-დემოკრატები დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის იდეის ერთგულნი დარჩნენ.

მემარჯვენე ოპოზიცია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ოთარ ჯანელიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიტყვა „ოპოზიცია“ პოლიტიკურ ლექსიკაში დაახლოებით XVIII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან დამკვიდრდა, ოპოზიციის უფლებრივი ლეგიტიმაციის პროცესი კი ახალ დროში იწყება. თანამედროვე რეალობაში ოპოზიცია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, მისი უცვლელი ინსტიტუტია და ეს იმდენად ნიშანდობლივია, რომ მის გარეშე პარლამენტარიზმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

ოპოზიციის მრავალგვარი დეფინიცია არსებობს. ტექსტში ვიყენებ კონსტიტუციური სამართლის ცნობილი ფრანგი სპეციალისტის, პროფესორ ჟორჟ ვიდალის შეხედულებას, რომ ოპოზიცია არის პარტია ან პარტიათა ჯგუფი, რომელთაც აერთიანებთ საერთო ხედვა პოლიტიკური ძალაუფლების დასაუფლებლად.[1]

დემოკრატიულ საზოგადოებაში ოპოზიცია რამდენიმე ფუნქციას ასრულებს: იგი აიძულებს ხელისუფლებას, იმოქმედოს ღიად და გამჭვირვალედ, არ შელახოს მოქალაქეთა თავისუფლება და უფლებები, შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირებები და იყოს ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე. ოპოზიცია მოწოდებულია, აკრიტიკოს მმართველი ძალის პოლიტიკური თუ ეკონომიკური კურსი, ფხიზლად მიუდგეს მთავრობის პროგრამას, გეგმებსა და

[1] http://website-pace.net/documents/10643/1166760/Theme_3.pdf/df02875d-f8b1-4002-a2ad-f8a12a119255

გადაწყვეტილებებს, არგუმენტირებულად გააანალიზოს ისინი და მათ საპირისპიროდ ამომრჩეველს ალტერნატიული წინადადებები შესთავაზოს.

ამ მოკლე თეორიული წანამძღვრის შემდეგ, წარმოვაჩენ მემარჯვენე ოპოზიციის არსსა და საქმიანობის ისტორიას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვეცდები, გავარკვიო, რა ნიშა ეკავა მას ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში და ჰქონდა თუ არა გავლენა საზოგადოების მოდერნულ გარდაქმნაზე, მის დემოკრატიზაციასა და განვითარებაზე.

მემარჯვენე ოპოზიციად განვიხილავ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და მისგან გამოყოფილ ჯგუფებს (რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიასა და ეროვნული პარტიას), რომლებიც მცირე ხნით დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციებად ფუნქციონირებდნენ, თუმცა 1921 წლის იანვარში ისევ ერთ პარტიად გაერთიანდნენ.

საქართველოში არსებული პოლიტიკური ძალების ურთიერთოპოზიციურ დამოკიდებულებას, ძირითადად, ერის წინაშე არსებული გამოწვევების არაერთგვაროვანი აღქმა-შეფასება განაპირობებდა და მათი დაძლევა-გადაჭრის ფორმებსა და საშუალებებზე შეუთანხმებლობა ასაზრდოებდა. ეს პროცესი თვითმპყრობელობის დამხობამდე 10-15 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ამან, ბუნებრივია, თავისი დაღი დაასვა ქვეყანაში მოვლენების შემდგომ განვითარებას.

ოპოზიციის ერთგვარი ინსტიტუციონალიზაცია ქართულ სინამდვილეში იწყება საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობიდან (1917 წლის ნოემბერი), რომელმაც მრავალპარტიული შემადგენლობის ეროვნული საბჭო აირჩია.[2] მემარჯვენე ოპოზიციას საბჭოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცხრაკაციანი ჯგუფი წარმოადგენდა, კერძოდ: შალვა ამირეჯიბი, გიორგი გვაზავა, იო-

[2] საბჭოში, პოლიტიკური პარტიების წარგზავნილთა გარდა, შედიოდნენ ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო, კომერციულ და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებიც, რომლებსაც შემდეგ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც დაემატნენ.

სებ დადიანი, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპელი, სპირიდონ კედია, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ჟურული და გერონტი ქიქოძე.[3] ეროვნული საბჭოს აღმასკომში ეროვნულ-დემოკრატთაგან არჩეული იყვნენ გიორგი გვაზავა და გრიგოლ ვეშაპელი, წევრობის კანდიდატებად კი – ნიკო ნიკოლაძე და სპირიდონ კედია. გ. ვეშაპელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც იყო.[4] საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918 მაისსა და სექტემბერში, ეროვნული საბჭო ეთნიკური უმცირესობებისა და პოლიტიკური პარტიების პროპორციული წარმომადგენლობით გაფართოვდა. საბჭოს სახელიც შეეცვალა და მას საქართველოს პარლამენტი ეწოდა. მემარჯვენე ოპოზიციას შეემატა 11 წევრი, სახელდობრ: ალექსანდრე ასათიანი, რევაზ გაბაშვილი, მიხეილ მაჩაბელი, ექვთიმე თაყაიშვილი, რაფიელ ივანიცკი (ინგილო), იასონ ლორთქიფანიძე, იოსებ მაჭავარიანი, შალვა ქარუმიძე, ვასილ წერეთელი და დიმიტრი ჯავახიშვილი. რადიკალ-დემოკრატთა სიით საბჭოში შევიდა ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი.

1919 წლის თებერვალში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ელექტორატის ხმების დიდი უმრავლესობით წარმატებას მიაღწია სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (130-დან 109 ადგილი). ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მხოლოდ 8 მანდატი მოიპოვა და მისი წარმომადგენლობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შემცირდა. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით დეპუტატები გახდნენ: ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ მაჭავარიანი, ალექსანდრე ასათიანი და პეტრე სურგულაძე. 1919 წლის სექტემბერში, დამატებითი არჩევნების შედეგად, დეპუტატად არჩეულ იქნა ეროვნული პარტიის ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი. მეორე დამატებითმა არჩევნებმა (1920 წლის მაისი) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ეროვნული პარტიის კიდევ ერთი

---

3 რადიკალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე დავით ჩიქოვანი საბჭოს წევრობის კანდიდატად იყო არჩეული.

4 ოპოზიციური სპექტრისათვის თავმჯდომარის ამხანაგის (მოადგილის) ორი ადგილი იყო გამოყოფილი საქართველოს დამფუძნებელ კრებაშიც, თუმცა ეს პრინციპი კონსტიტუციაში არ ასახულა.

წევრი – შალვა ქარუმიძე შემატა. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, ეროვნულ-დემოკრატები და მათგან გამიჯნული (შემდეგ ისევ ინტეგრირებული) საარჩევნო სუბიექტები დამფუძნებელ კრებაში არ შეკვრიან სხვა პოლიტიკურ ძალებს – ფედერალისტებსა და ესერებს, რომლებმაც მემარცხენე ოპოზიცია შეადგინეს.

საპარლამენტო ოპოზიციას, მათ შორის მემარჯვენე პარტიებს, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მუდმივმოქმედ კომისიებში შეეძლოთ დაესახელებინათ და ჰყავდათ კიდევაც თავიანთი წარმომადგენლები. საყურადღებოა, რომ დამფუძნებელი კრების საბიბლიოთეკო კომისია ეროვნულ-დემოკრატ ექვთიმე თაყაიშვილის წინადადებით დაფუძნდა და თავმჯდომარედაც თვითონ იქნა არჩეული.[5] ასევე, ეროვნულ-დემოკრატთა მოთხოვნითა და დასაბუთებით, ჩამოყალიბდა დამფუძნებელ კრებაში საგარეო საქმეთა კომისია, რომლის შემადგენლობაც 1919 წლის 6 მაისის სხდომაზე აირჩიეს.[6]

დამფუძნებელი კრების რეგლამენტი განსაზღვრავდა დეპუტატის როგორც იმუნიტეტს (ხელშეუხებლობა), ისე ინდემნიტეტს[7] და ამ უფლებით თანაბრად სარგებლობდნენ უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები. პარლამენტის წევრთათვის იგივე უფლებები დააკანონა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამაც (თავი 4, მუხლი 48, 50).

ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა თუ დამფუძნებელი კრების მუდმივი კომისიის წევრობა ოპოზიციისათვის მთავრობის საქმიანობის კონტროლის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენდა. კერ-

---

5 ო. ჯანელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1998, №2, 136. ე. თაყაიშვილი არჩეული იყო კრების თავმჯდომარის ამხანაგადაც.

6 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 6 მაისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, 36.

7 პარლამენტის წევრის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც იგი გამოთქვამს სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისას; ინდემნიტეტი გულისხმობს იმასაც, რომ პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ ყოველთვიურ გასამრჯელოს.

ძოდ, კომისიებს უფლება ჰქონდათ, მოესმინათ მთავრობის წევრთა ან სხვა თანამდებობის პირთა სიტყვიერი განმარტებანი.[8]

ოპოზიციური კონტროლის უფრო ეფექტური მექანიზმი იყო სადეპუტატო წერილობითი შეკითხვა, რომელზეც მთავრობის წარმომადგენელს ან დაუყოვნებლივ უნდა ეპასუხა, ანდა ერთი კვირის განმავლობაში აუცილებლად გაეცა პასუხი პლენარულ სხდომაზე.[9] საპარლამენტო აქტივობისა და უფლების ამ ფორმას ხშირად მიმართავდა მემარჯვენე ოპოზიცია, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივების გამოყენებას ეროვნულ საბჭოსა თუ დამფუძნებელ კრებაში მთავრობის მიმართ შეკითხვების დასმას ამჯობინებდა. მათი წარმოდგენით, ასე უფრო იოლი იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღების გამახვილება მწვავე და საჭირბოროტო საკითხებზე.

მემარჯვენე ოპოზიციის მიერ მთავრობის მისამართით საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და დამფუძნებელ კრებაში შეტანილი შეკითხვებიდან დავასახელებ რამდენიმეს: 1. „რუსი გენერლებისა და ოფიცრების ანტიქართული საქმიანობის შესახებ“ (1918 წლის 2 ივლისი); 2. „დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ“ (1918 წლის 9 ივლისი); 3. „რუსული პრესის აგიტაციის შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“ (1918 წლის 9 ივლისი);[10] 4. „გაზეთ „სალი კლდის“ დახურვისა და რევაზ გაბაშვილის დაპატიმრების შესახებ“ (1919 წლის 31 ივლისი); 5. „სოხუმის ოლქის მდგომარეობის და ამბების შესახებ“ (1919 წლის 26 სექტემბერი); 6. „აფხაზეთში ქვეშევრდომობის კანონის გატარების შესახებ“ (1920 წლის 30 იანვარი) და სხვ.

მემარჯვენე ოპოზიციის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ საბჭოში ორ ეტაპად უნდა გაიყოს: პირველ ეტაპია მონაკვეთი 1917 წლის 22 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე ანუ ეროვნული

---

8 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990, 21-22; 243.

9 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990, 27; 251.

10 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში – სცსა). ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. №43, ფურც. 43-44; 53-59.

საბჭოს ფორმირებიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ხოლო მეორე ეტაპი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან (1918 წლის 26 მაისი) საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევის წინა ხანამდე (1919 წლის იანვარი) გაგრძელდა.

პირველ ეტაპზე, სანამ საქართველო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მიაღწევდა, ეროვნულ-დემოკრატები წინა პლანზე აყენებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაციის, საბჭოს ერთიანობის იდეას, რის გამოც ერიდებოდნენ პრობლემების ზედმეტ გამწვავებას და არცთუ იშვიათად მათთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებსაც უჭერდნენ მხარს. ეს პოზიცია კარგად არის გამოხატული დეპუტატ მიხეილ მაჩაბლის სიტყვაში, რომელიც მან საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა: „მე თუმცა სოციალ-დემოკრატების მომხრე არა ვარ, მაგრამ ისინი ხალხმა ამოირჩია თავისი ბედის ხელმძღვანელად და ამისთანა დიად საქმეში ყოველი ქართველი მოვალეა, არამც ხელი არ შეუშალოს მათ, არამედ ყოველის ღონისძიებით დაეხმაროს... მერე, როცა მარტო დავრჩებით ჩვენ შინაურ ცხოვრებაში, მაშინ მე ამათი მოწინააღმდეგე ვიქნები, როგორც არასოციალისტი... მაგრამ ახლა კი ესენი ხელმძღვანელნი არიან და ხელი უნდა შევუწყოთ“.[11]

არსებითი ბრალდება, რომელსაც მემარჯვენე ოპოზიცია მმართველ ძალას უყენებდა, იყო ის, რომ იგი ვერ იქცა ეროვნულ ხელისუფლებად, რომ „მთავრობა, რომელიც მთელს ერს უნდა ხელმძღვანელობდეს, ჯერ კიდევ ვერ გასცილებია კლასობრივსა და პარტიულ პოლიტიკის ვიწრო ბილიკს“.[12]

მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი სპ. კედია ხელისუფლებას ურჩევდა, დაეგმო „სარევოლუციო სოციალიზმის“ კურსი, რადიკალურად გარდაექმნა მუშაობა და დადგომოდა „ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებრივი შემოქმედების გზას“.[13]

---

11 სცსა, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმ. №5, ფურც. 69-70.

12 გაზ. *საქართველო*, 1918 წ., 2 ოქტომბერი.

13 საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 29 მარტის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში, 13-16; 27-28.

მმართველი პარტიის მიმართებას ოპოზიციისადმი გაზეთი „ერთობა“ ასე გამოხატავდა: „ჩვენ გვინდა ოპოზიცია. ოპოზიცია აუცილებელია მმართველთათვის ისე, როგორც თევზისთვის წყალი, მაგრამ წყალი ანკარა, წმინდა სათავიდან მომდინარე. ოპოზიცია სასტიკი, მედგარი, მტკიცე, მაგრამ... პატიოსანი, სინდისიერათ მოაზროვნე, საშუალო ნამუსის პატრონი მაინც“.[14]

ოპოზიციურობის მეორე ეტაპზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც საქართველოს კოალიციურ მთავრობაში გიორგი ჟურულის სახით თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, გარეგნულად სახელისუფლებო პარტია იყო, სინამდვილეში კი მასთან დაპირისპირებულ ძალას წარმოადგენდა.[15]

მემარჯვენე ოპოზიციის ძირითად ძალას – ეროვნულ-დემოკრატებს – თავიანთი პარტია ზეკლასურ ორგანიზაციად წარმოედგინათ, რეალურად კი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ისინი ქართველი თავად-აზნაურობის, ბურჟუაზიის, ინტელიგენციის, სასულიერო წოდების, გენერალიტეტისა და ოფიცერთა ნაწილის შეხედულებებს ასახავდნენ და მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს იცავდნენ. რაოდენობრივად საზოგადოების ეს წრე ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10%-მდეც ვერ აღწევდა, მაგრამ მისი გავლენა მნიშვნელოვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული სოციალური ფენები კონსერვატიული და ტრადიციული შეხედულებებით გამოირჩეოდნენ, მათთვის უცხო და მიუღებელი არ ყოფილა დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებები, რომლებიც ის-ის იყო ქართულ სინამდვილეშიც იწყებდნენ დამკვიდრებას.

---

14 გაზ. *ერთობა*, 1919 წ., 18 დეკემბერი.

15 მას შემდეგ, რაც 1918 წლის ივნისში ედპ-მ უნდობლობა გამოუცხადა ნ. რამიშვილის კოალიციურ მთავრობას, გ. ჟურული მინისტრობიდან უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ის კაბინეტში დარჩა და პარტიიდან გავიდა, ასე რომ, ეროვნულ-დემოკრატებს მთავრობაში წარმომადგენელი აღარ ჰყავდათ. იხ. ო. ჯანელიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბ., 2015, 83. ასევე იხ. გაზ. *საქართველო*, 1918 წ., 21 ივნისი.

მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები განათლებითა და წიგნიერებით გამოირჩეოდნენ. თითქმის ყველა მათგანს უმაღლესი განათლება ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული. ოპოზიციის ლიდერებს საზოგადოებაში მაღალი მორალური და ზნეობრივი ავტორიტეტი ჰქონდათ. ისინი ხელს უწყობდნენ სახელმწიფოში დემოკრატიული პროცესების, სამოქალაქო აზროვნების განვითარებასა და დახვეწას. მათი არგუმენტების დაძლევა მთავრობის წევრებისა თუ მმართველი უმრავლესობის დეპუტატებისათვის იოლი არ იყო. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერს, ირაკლი წერეთელს, როდესაც ეროვნულ საბჭოში გამოსვლისას აცხადებდა: „ჩვენ გვიძნელდება ეროვნულ-დემოკრატებთან ბრძოლა, რადგან არ ვიცით, თუ საიდან მოიტანენ იერიშს“;[16] ან კიდევ: „ჩემთვის ბატონ ეროვნულ-დემოკრატებთან კამათი დიდი სასჯელია“.[17]

ოპოზიციის, განსაკუთრებით, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის, კრიტიკისა და შეტევისაგან თავდასაცავად, ხელისუფლება ზოგჯერ ამგვარ არგუმენტსაც იშველიებდა: „ჩვენი მთავრობა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა დღეს შედუღებული არის. დღეს მთავრობის სახელის გატეხა და დაცემა საქართველოს დამოუკიდებლობის სახელის გატეხას და გაბიაბრუებას უდრის“. ვითარებაში, როდესაც ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს და მის წინააღმდეგ მრავალი შინა თუ გარეშე მტერი გამოდის, „ყველა მოქალაქის და ჯგუფის ვალია მთავრობის პრესტიჟის აწევა და არა დაცემა“.[18]

მემარჯვენე ოპოზიცია სხვაგვარად ფიქრობდა. მას გაუმართლებლად მიაჩნდა ხელისუფლებისა და სახელმწიფოს გაიგივება და მთავრობის საქმიანობის კრიტიკასა თუ უარყოფით შეფასებას სულაც არ თვლიდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შემლახავ მოქმედებად. მემარჯვენეთა შეხედულებით, „მთავრობა და სახელმწი-

16 გაზ. *საქართველო*, 1918 წ., 9 აგვისტო.

17 საქართველოს ეროვნული საბჭო: სტენოგრაფიული ანგარიშები, გვ. 42 (გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, დამატება), 1918 წ., 10 სექტემბერი.

18 გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1918 წ., 10 აგვისტო.

ფო ერთი და იგივე არ არის. სახელმწიფო არის მოვლენა მუდმივი. მთავრობა გამოხატავს ამა თუ იმ სახეს სახელმწიფოისას. შეიძლება ესა თუ ის მთავრობა დაეცეს, შეიცვალოს მეორე მთავრობით, მაგრამ სახელმწიფო დარჩეს იგივე".[19]

ოპოზიციის „ხშირი რეპლიკები" მოსვენებას უკარგავდა თვით მთავრობის თავმჯდომარესაც. ნოე ჟორდანია იგონებს, რომ ეროვნულ-დემოკრატებთან ტრიბუნიდან „მკვახე შეკამათება" უხდებოდა, რადგან მათ „ღვთის წყალობაც ღვთის რისხვად ეჩვენებოდათ". „ეს იყო ოპოზიცია ოპოზიციისათვის და არა საქმისათვის... ჩვენ ვაკეთებდით იმას, რის გაკეთებაც შეიძლებოდა ასეთ პირობებში, ოპოზიციონერები კი აყენებდნენ რა სჯობიას თეორიას".[20]

გაზეთ „ერთობის" მიხედვით კი, „მემარჯვენე ოპოზიცია, ე.ი. ოპოზიცია ეროვნულ-დემოკრატების, ხშირად იმოსება დემოკრატიზმის სამოსელში, მაგრამ უმეტესად მაინც იგი ნაციონალისტურ საზომით ხელმძღვანელობს. ამით მას უფრო გარკვეული ხაზი აქვს, თუმცა ხაზი მკრთალი – თითქმის უსახო და სუსტი".[21]

მემარჯვენე ოპოზიციის შესახებ არცთუ მაღალი აზრისა იყო საქართველოში მყოფი გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელი გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი. მისი სიტყვით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები ფუჭსიტყვაობაში იხარჯებოდნენ. მათი „მოღვაწეობა უნაყოფო მეოცნებეობით, კრიტიკითა და დეკლარაციებით ამოიწურებოდა. მმართველი პარტიის ტერორით შეშინებულები, ისინი მთელ იმედებს [მაინც] უცხო ძალის დახმარებაზე ამყარებდნენ, უხვნელ-უთესველად სურდათ მოსავლის მოწევა". ამასთან, მემუარისტი იმასაც აღნიშნავდა, რომ საშინაო პოლიტიკაში ეროვნულ-დემოკრატები მწვავე ოპოზიციაში ედგნენ მთავრობას, მაგრამ საგარეო პოლიტიკურ საკითხში, დუმილს ირჩევდნენ.[22]

---

19 გაზ. *ქართული გაზეთი*, ბერლინი, 1918 წ., 6 აგვისტო.

20 ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, 109.

21 გაზ. *ერთობა*, 1919 წ., 26 აპრილი.

22 ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002, 109.

ეროვნულ-დემოკრატთა მმართველ პარტიასთან დაპირისპირება მკვეთრი იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში, სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის (გერბი, დროშა) მიღებისას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე მსჯელობისას, ასევე აგრარული პრობლემების განხილვა-გადაწყვეტის პროცესში და სხვ. საქართველოს დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პერიოდში ხსენებულ ორ ძალას შორის კიდევ უფრო გამწვავდა შეურიგებლობა, რომელიც ძირითადად მათი დაპირისპირების ნიშნით წარიმართა.

იმდროინდელი პრესის თანახმად, დამფუძნებელი კრების არჩევნებში სიტყვიერ და წერილობით აგიტაციასთან ერთად დიდ როლს თამაშობდა პლაკატები. კორესპონდენტის თქმით, ეს იყო „პატარა მასშტაბი ამერიკული სისტემის გადმონერგვისა ჩვენში“. პოლიტიკური პარტიების სააგიტაციო მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ აჭარბებდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, რაც წინასაარჩევნო ბრძოლის სპეციფიკით უნდა აიხსნას.

როგორც ითქვა, მემარჯვენე ოპოზიციის შეურიგებლობა ხელისუფლებასთან ყველაზე მძაფრად გამოვლინდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთი ძირითადი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა თავდაცვა და უსაფრთხოება.

მმართველი უმრავლესობა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საკითხი გადაწყვიტა არა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, არამედ რევოლუციამ. აცხადებდნენ: „იმ დღიდან, რა დღიდანაც რევოლუცია გათავდება საქართველოში, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობაც მოისპობა“.[23] ამიტომაც იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ბედს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები რევოლუციისა და მის მონაპოვრის დაცვასთან აიგივებდნენ. მემარჯვენე ოპოზიცია ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის აუცილებლად მიიჩნევდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დროულ ფორმირებასა და განმტკიცებას, უპირველეს ამოცანად კი რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფასა და,

[23] გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1918 წ., 3 აგვისტო.

ამ მიზნით, მობილური სამხედრო ძალის – რეგულარული არმიის შექმნას სახავდა.

უსამართლობა იქნება ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატები ვერ აცნობიერებდნენ არმიის შექმნის აუცილებლობას, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ მუდმივი ჯარისადმი და უპირატესობას ანიჭებდნენ პარტიული ნიშნით დაკომპლექტებულ გვარდიას,[24] რომელიც უფრო საიმედო დასაყრდენად ესახებოდათ.[25]

მემარჯვენე ოპოზიციას გაუმართლებლად, სახელმწიფოსათვის საზიანოდ მიაჩნდა ის გარემოება, რომ არმია და სახალხო გვარდია სხვადასხვა უწყებას დაქვემდებარებული, უფლებრივად განსხვავებული შეიარაღებული შენაერთები იყო. ამიტომაც მოითხოვდნენ მათ შერწყმასა და საერთო სარდლობის ხელმძღვანელობაში მოქცევას.[26]

მმართველი პარტიისა და მემარჯვენე ოპოზიციის მიდგომები აგრარული საკითხისადმი დიამეტრულად განსხვავდებოდა. სოციალ-დემოკრატთა პროგრამა მიწების მუნიციპალიზაციას ითვალისწინებდა, ეროვნულ-დემოკრატები კი კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას აღიარებდნენ, საჭიროდ მიიჩნევდნენ, მიწა გადასულიყო იმათ ხელში, ვინც მის დამუშავებასა და ჯეროვან გამოყენებას შეძლებდა. მათი იდეა იყო, რომ მიწა მშრომელი ხალხისათვის შეღავათიანი პირობებით მიეყიდათ.

---

24 სახალხო გვარდიაც რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა სისტემის ნაწილი იყო და მის ერთ-ერთ სტრუქტურას წარმოადგენდა, თუმცა, ბევრი თანამედროვის დახასიათებით, უპირველესად, ეს იყო პარტიული სამხედრო ფორმირება, რომლის მოვლა-პატრონობაზე მთავრობა უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე რეგულარული არმიის შენახვასა და მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

25 ნოე ჟორდანია საქვეყნოდ აცხადებდა, რომ სახალხო გვარდია „შეგნებულ მუშებთან“ ერთად სახელმწიფოს აღმშენებელი ძალა იყო. იხ. გაზ. *ერთობა*, 1918 წ., 30 აგვისტო.

26 დაპირისპირება ამ თემაზე სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მემარჯვენე ოპოზიციას შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ ემიგრაციაშიც გრძელდებოდა.

ცხოვრებამ სოციალ-დემოკრატებიც დაარწმუნა, რომ მიწაზე კერძო საკუთრებას საქართველოს სინამდვილეში გონივრული ალტერნატივა აღარ გააჩნდა. ამიტომ მათ შესაძლებლად მიიჩნიეს, დაეთმოთ თავიანთი პარტიული პრინციპი და მხარი ეროვნულ-დემოკრატიულ თვალსაზრისს დაუჭირეს – დაუშვეს გლეხობისათვის ნაკვეთების გადაცემა მინიმალურ საფასურად.[27] აგრარული საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შედარებით უმტკივნეულოდ და წარმატებით გადაწყდა. რეფორმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქართული სოფლის მოდერნული გარდაქმნის გზაზე და ხელს უწყობდა ფერმერული მეურნეობის განვითარებას.[28]

მემარჯვენე ოპოზიციის საპარლამენტო ფრაქციისათვის მიუღებელი იყო ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკაც. ეროვნულ-დემოკრატები სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკურ საქმიანობაში შეცდომად თვლიდნენ. სპ. კედიას აზრით, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა „ზომიერი ლიბერალურ კურსს“. იგი ხელისუფლებას სთავაზობდა დასავლეთ ევროპის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ სინამდვილესთან შეხამების გზას, მოუწოდებდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ უცხოური ინვესტიციების ხელშესაწყობად, მოითხოვდა, რომ თანაბრად ყოფილიყო დაცული მესაკუთრე-მწარმოებლისა და მშრომელთა ინტერესები.

ნოე ჟორდანია ნაციონალურ და ლიბერალურ პოლიტიკას „სპეკულიატურ პოლიტიკას“ უწოდებდა,[29] არ იყო პრაქტიკაში მისი დანერგვის მომხრე, მაგრამ მთავრობის ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი განისაზღვრებოდა არა პარტიულ-იდეოლოგიური დოქტრინებით, არამედ შექმნილი კრიზისებით. უნდა დავე-

---

27 ნ. ჟორდანია მოგვიანებით წერდა: ჩვენმა სოციალიზმმა აგრარულ სფეროში მიიღო „სპეციალური ქართული ხასიათი. ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები გადავეცით გლეხობას კერძო საკუთრებათ, რაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ დოქტრინას“. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, 101.

28 ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწის, ლეიბორისტი რამზეი მაკდონალდის თქმით, „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ის შეძლო, რაც ევროპის სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოახერხეს“.

29 გაზ. *საქართველო*, 1921 წ., 22 იანვარი.

თანხმო პროფესორ სტივენ ჯონსს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება ამ სფეროში მნიშვნელოვანწილად უგულებელყოფდა თავის იდეოლოგიურ მცნებებს.[30]

განსხვავებული იყო ხელისუფლებისა და მემარჯვენე ოპოზიციის დამოკიდებულება რელიგიის საკითხისადმიც. მემარჯვენეები გამორჩეული პატივისცემით ეპყრობოდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის უფრთხილდებოდნენ მის სახელსა და ავტორიტეტს. მიაჩნდათ, რომ ეკლესიას თანამედროვე რეალობაშიც გარკვეული როლი და ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რადგან მას შეეძლო საზოგადოებაში შეეტანა „სიტყვა ზავისა, მშვიდობისა, ძმობისა, სათნოებისა და სიყვარულისა“.

ამასთან, მემარჯვენე ოპოზიცია არ იყო წინააღმდეგი, განხორციელებულიყო სახელმწიფოსა და ეკლესიის ინსტიტუციური გამიჯვნა. სეკულარიზმი მასაც დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი განმსაზღვრელ პრინციპად წარმოედგინა. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის პოლიტიკური პროცესისაგან ჩამოშორების პარალელურად, მმართველი უმრავლესობაცა და ოპოზიციური ძალებიც რელიგიის თავისუფლების მომხრენი იყვნენ.

მემარჯვენე ოპოზიციას არცთუ იშვიათად ჰქონდა ალტერნატიული გეგმები და შეეძლო, მოსახლეობისათვის შეეთავაზებინა როგორც განსხვავებული ხედვა, ისე მოქმედების გზები მმართველი ძალის მათ მიერ გაკრიტიკებული ან საერთოდ დაწუნებული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ. საგულისხმოა, რომ მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიციის მიერ ხელისუფლების მისამართით გამოთქმული კრიტიკის ურთიერთშედარებისას ვალიკო ჯუღელი აცხადებდა: „უნდა აღვნიშნო, რომ კრიტიკა სპირიდონ კედიასი ბევრად უფრო საყურადღებოა, ვიდრე შენგელაიასი.[31] ეს იმიტომ, რომ სპ. კედია ცდილობს მოიყვანოს საბუთები, ფაქტები და მათ

---

30 S. Jones, Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21, Caucasus Survey, vol.1, №2, April 2014.

31 ლეო შენგელაია – ქართველ ესერთა პარტიის ლიდერი, დამფუძნებელი კრების წევრი.

ნიადაგზე დადგეს. მემარცხენე ორატორებს კი თავის მსჯელობაში სუბიექტური და დემაგოგიური მოტივები შეაქვთ".[32]

ეროვნულ-დემოკრატთა შეხედულებით, პოლიტიკური პარტიის ოპოზიციურობა ძირითადად მთავრობისა და უმრავლესობის საქმიანობისას დაშვებულ შეცდომათა მხილებაში, სანაცვლოდ კი უკეთესი გზის არგუმენტირებულ დასახვაში უნდა გამოხატულიყო. იმავდროულად, ოპოზიციურობას არ უნდა გამოერიცხა ხელისუფლების სწორი და მისაღები მოქმედების თანადგომა. პირიქით, მთავრობის ყოველ გონივრულ და სახელმწიფოსათვის გამოსადეგ გადაწყვეტილებას ოპოზიციის მხრიდან მოწონება და მხარდაჭერა უნდა ჰქონოდა. ამ დამოკიდებულებას გაზეთი „საქართველო" შემდეგნაირად გამოთქვამდა: „ოპოზიციაში რომ ვართ, ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ, რასაც მთავრობა წაახდენს, არ გვეწყინება ან სადაც ჩვენი დახმარება საჭიროა, არ დავეხმარებით".[33]

უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა დაგვიანებით, მაგრამ ზოგჯერ მაინც ითვალისწინებდა კრიტიკოსთა მოსაზრებებს და ცდილობდა მათ ასახვას როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. „ჩვენ პარლამენტში, ისევე როგორც პრესაში და ცხოვრებაში, სოც. დემოკრატია თანდათან იმეორებს იმას, რასაც ჩვენ (ეროვნულ-დემოკრატები – ო. ჯ.) ვამბობთ დროზედ, როგორც რეალ პოლიტიკის მაღიარებელნი და ისინი დაგვიანებით, როცა უკვე ხელიდან წასულია საქმე", – შენიშნავდა ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „საქართველო."[34]

მიუხედავად ხელისუფლებისადმი ოპოზიციური დამოკიდებულებისა, მემარჯვენე ოპოზიცია კმაყოფილებით ეგებებოდა მთავრობის ყოველ სწორ და გონივრულ გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. მაგალითად, ეროვ-

[32] გაზ. *სახალხო საქმე*, 1921 წ., 5 იანვარი.
[33] გაზ. *საქართველო*, 1918 წ., 21 ივნისი.
[34] გაზ. *საქართველო*, 1918 წ., 26 ივნისი.

ნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მხარი დაუჭირა დეკრეტს „ანარქიის წინააღმდეგ ზოგიერთ საბრძოლველ ზომებისა“, რადგან ის, უპირველესად, მიმართული იყო იმ გარეშე პოლიტიკური ძალების დასათრგუნად, რომლებიც საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ებრძოდნენ. პარტია მოითხოვდა მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციულ ზომების გატარებას.

მემარჯვენე ოპოზიციისა და ხელისუფლების კონსტრუქციული თანამშრომლობის ნიმუშად გამოდგება 1919 წლის ივნისში სპირიდონ კედიას გამოსვლა დამფუძნებელ კრებაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის დადებული თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო. სპ. კედია მიესალმა მეზობელ ქვეყანასთან მიღწეულ ურთიერთხელსაყრელ კავშირს და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მხარი დაუჭირა მის ძალაში შესვლას.[35]

მემარჯვენე ოპოზიცია დადებითად შეხვდა 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთთან გაფორმებულ სამშვიდობო ხელშეკრულებასაც. თუმცა მას არ დავიწყებია, აღენიშნა, რომ ეს ხელშეკრულება საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელი კრების ზურგს უკან დადო და მასში ისეთი მუხლების შეტანასაც დათანხმდა, რომლებიც არა მარტო იურიდიულად ზღუდავდა საქართველოს სუვერენიტეტს, არამედ, ფაქტობრივად, საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას.

ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული მთავრობისა და მემარჯვენე ოპოზიციის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური სამსახური, კერძოდ, უცხოეთის ქვეყნებში გახსნილი საელჩოები თუ წარმომადგენლობები, დიდწილად, ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰქონდათ მინდობილი.[36]

---

35 ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2002, 132.

36 მაგალითად, მემარჯვენე წრიდან იყვნენ მიხეილ წერეთელი (წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში), მიხეილ სუმბათაშვილი (წარმომადგენელი შვეიცარიაში), გრიგოლ ალშიბაია (ელჩი აზერბაიჯანში), გიორგი მაჩაბელი (წარმომადგენელი იტალიაში), დიპლომატები ზურაბ ავალიშვილი, დავით ღამბაშიძე და სხვ.

მემარჯვენე ოპოზიციას კარგად ესმოდა პოლიტიკურ ძალთა შეკავშირების აუცილებლობა და მნიშვნელობა, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ამ მხრივ, ეროვნულ-დემოკრატები იზიარებდნენ თავიანთი ერთ-ერთი ლიდერის, ნიკო ნიკოლაძის, მიერ ჯერ კიდევ 1918 წელს გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ „რაგინდ სხვადასხვა ფერი ან წინააღმდეგი იყოს მათი (პოლიტიკური პარტიების – ო. ჯ.) საშინაო მოქმედების პროგრამა, საგარეო პოლიტიკის წარმოებაში პარტიების ერთობა, ეს „მწიფე ერის“ თვისება, მუდმივი უნდა დარჩეს“.[37]

ხელისუფლებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის ფაქტად უნდა მივიჩნიოთ მემარჯვენე ოპოზიციის მონაწილეობა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებასა და დამტკიცებაში.[38] გიორგი გვაზავას სიტყვით, „არ არის არც ერთი მუხლი კონსტიტუციისა, რომლის დამუშავებაში ჩვენი პარტიის წარმომადგენელს არ მიეღოს ბეჯითი მონაწილეობა და არ შეეტანოს, სადაც საჭირო იყო, თავისი შესწორება“.[39] აღნიშნულის დასტურად დავძენ, რომ კონსტიტუციის პროექტის თავი „სახელმწიფო და ეკლესია“ მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერის სპირიდონ კედიას მიერ იყო მომზადებული.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციამ მოიწონა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მიერ გაწეული მუშაობა, მათ შორის, მთავრობასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის კუთხით და მას დადებითი შეფასება მისცა. კონფერენციამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ფრაქცია საგარეო საფრთხისა თუ ქვეყნის შინა ცხოვრების გართულების ჟამს „ყოველთვის შინაური ფრონტის გაერთიანებისა და განმტკიცების მოციქულად გამოსულა და მხარი დაუჭერია საქართველოს მთავრობისათვის“. ამ საკითხის გამო მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმუ-

---

37 დ. ჩიკვილაძე, დროსგასწრებული მამულიშვილი, თბ., 2003, 137.

38 კომისიაში შედიოდნენ სპ. კედია და გ. გვაზავა. ეს უკანასკნელი საკონსტიტუციო კომისიის მდივანი და კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრიც იყო.

39 გ. გვაზავა, საქართველ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი, 1928, 7.

ლია: „ფრაქციას აღუნიშნავად და დაუფასებლად არ დარჩენია არც ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი და მოვლენა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და რომ მისი გამოსვლები ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესით იყო ნაკარნახევი და ატარებდა საქმიანი კრიტიკის ხასიათს“.[40]

დასასრულს, ხაზი უნდა გაესვას ერთ სპეციფიკასაც, რომელიც თვალნათელი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში: არც მემარჯვენე და არც მემარცხენე ოპოზიცია თავის თავს ხელისუფლების რეალურ ალტერნატივად არ განიხილავდა, რადგან ისინი, როგორც ცალკე აღებული ორგანიზაციები, საამისო რესურსს მოკლებულნი იყვნენ. ხელისუფლებისათვის ბრძოლა ოპოზიციისათვის პრიორიტეტული არც ყოფილა. ოპოზიციური ფრაქციები კმაყოფილდებოდნენ ადმინისტრაციის მხრიდან უკანონობისა და დარღვევათა გამოვლენა-მხილებით, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროებში მთავრობის მუშაობაში შემჩნეული ხარვეზების კრიტიკით, ასევე – კანონპროექტებში ცალკეული ცვლილებების შეთავაზებით და სხვ. ოპოზიციას, ფაქტობრივად, არ გამოუყენებია საკანონმდებლო ინიციატივა, დამფუძნებელ კრებაში არასოდეს დასმულა რიგგარეშე არჩევნების საკითხი.

მემარჯვენე ოპოზიცია ხელისუფლებასთან ურთიერთობის არაერთგვაროვან მოდელს მიმართავდა: იყო ღია დაპირისპირების, კონსტრუქციული თანამშრომლობის, კომპრომისების ძიების, უპირობო მხარდაჭერის და სხვ. შემთხვევები. მიუხედავად ამისა, მმართველი სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა მემარჯვენე ოპოზიციაში არ ხედავდა თანაბარუფლებიან პარტნიორს გადაწყვეტილებების მიღებისას და თავის აშკარა უპირატესობას კენჭისყრისას ხმათა სიმრავლით გამოხატავდა. ამის მიუხედავად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციის ინსტიტუტის არსებობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საჯარო პოლიტიკური სივრცის სიფართოვეს ადასტურებს და იგი ახლად შექმნილი სახელმწიფოს პოლიტიკური მოდერნიზაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო ინდიკატორადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

---

40 გაზ. *საქართველო*, 1919 წ., 12 ივლისი.

საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართული კომიტეტი

ლაშა ბაქრაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

1918 წლის 12 მაისს აკაკი ჩხენკელმა, ბათუმის კონფერენციის პირველი და, ფაქტობრივად, ერთადერთი საერთო ოფიციალური სხდომის შემდეგ, ნოე რამიშვილს ბათუმიდან თბილისში გაუგზავნა საიდუმლო წერილი, რომელშიც კონფერენციაზე შექმნილ სიტუაციას აღწერდა: მდგომარეობა ურთულესია. თურქების მოთხოვნები მიუღებელია, ისინი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გათვალისწინებულზე მეტსაც ითხოვენ. ამიერკავკასიის სამი ერის ინტერესები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ ცხადი ხდება ამიერკავკასიის ფედერაციის არასიცოცხლისუნარიანობა.

„რა გამოსავალია? – კითხულობდა ჩხენკელი და თვითონვე პასუხობდა: – საქართველო დარჩება ცალკე. მთავრობის როლს ეროვნული საბჭო იკისრებს, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადება მას არ ეჭირვება, ის რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ ისევ იურიდიულ სუბიექტად იქცევა, ე. ი. უბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელშიც იყო 1801 წელს. ამის გარდა, შარშან შემოდგომას ოფიციალური ნოტებია გაცვლილი გერმანიას, ავსტრო-უნგრეთს, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ისინი ვალდებულნი არიან იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ნოტა პირობითი არაა, ე.ი. საქართველოს არ სთხოვენ არაფერს ამისთვის: ეს არაა ძველი ნოტა 1915 წ., სადაც პირობად საქართველოს აჯანყება იყო დასახელებული. ეს ასეა, გერმანიის დელეგაციამ გადმომცა საიდუმლოდ, რაც შემდეგ დამიდასტურეს ბერლინიდან“.[1]

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფ.1861, ანაწ. 2, საქ. 23, ფურ. 3-4.

ამიერკავკასიის გავლენიანმა პარტიებმა და ინსტიტუციებმა 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალება არ ცნეს და 15 ნოემბერს ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით ჩამოაყალიბეს მთავრობა – ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც ჩაანაცვლა დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი მმართველობის ისედაც სუსტი ორგანო ოზაკომი (Особый Закавказский Комитет, ОЗАКОМ).

1918 წლის 10 (23) თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი, რომელშიც შედიოდნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. სეიმის თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს დამოუკიდებელი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი და ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებების ხელმძღვანელი, ისევე, როგორც კომისარიატის დროს, გახდა აკაკი ჩხენკელი. ამიერკავკასიის რუსეთისგან ფაქტობრივი გამოყოფა ოფიციალურად გაფორმდა.

თუმცა, როგორ მოხდა, რომ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მზაობის შესახებ ნოტები ჯერ კიდევ 1917 წლის ბოლოს გაცვალეს და, მეტიც, მსგავსი ნოტით საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პირობა გერმანელებმა ჯერ კიდევ 1915 წელს დადეს? ვინ შეამზადა გერმანიისა და მისი მოკავშირეების კეთილგანწყობა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ და გერმანიის მზადყოფნა 1918 წლის მაისისთვის საქართველოს მფარველობის ქვეშ აყვანის საკითხზე?

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წლის აგვისტოში, ქართველი ემიგრანტების ნაწილმა ევროპასა და ოსმალეთში გერმანულ მხარეს თანამშრომლობა შესთავაზა. გერმანიის ხელისუფლება, რომელიც მიზნად ისახავდა, ანტანტა მოწინააღმდეგე ქვეყნებში კოლონიზებული ერების აჯანყებებით დაესუსტებინა, დაინტერესებული იყო ასეთი თანამშრომლობით.

1914 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელსაც 1918 წლამდე უახლოესი

ურთიერთობა ჰქონდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების სხვადასხვა სამსახურთან, ასევე – კავკასიისა და რუსეთის იმპერიის სხვა ანტირუსულად განწყობილ ძალებთან. ქართული კომიტეტი ცდილობდა, თავი წარმოეჩინა გერმანიის მთავარ საყრდენ ძალად კავკასიის, ოფიციალური გერმანული ტერმინით, „რევოლუციონირების“ საქმეში.

ქართული ეროვნული კომიტეტი, ისე, როგორც მისი ბირთვი – ემიგრანტთა უფრო პატარა ჯგუფი, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე ჟენევაში გამომავალი ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს“ გარშემო იყო გაერთიანებული, პირველი ქართული პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც ღიად, სიტყვითა და საქმით, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა.

გერმანიის კავკასიურ პოლიტიკას უნდა გაძღოლოდა გერმანიის ელჩი ოსმალეთში ბარონი ვანგენჰაიმი. გერმანიის მთავრობის ხელშეწყობით კონსტანტინოპოლში გადაბარგებულ და ადგილზე მყოფ ქართველ ემიგრანტებს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გარშემო იყვნენ გაერთიანებულნი, იგი წერილობით შეჰპირდა, „რომ გერმანიის მთავრობა, იმ შემთხვევაში, თუ ამჟამინდელი ომის დამთავრებისას საშუალება ექნება, ომის მწარმოებელ მხარეებს თავისი ნება უკარნახოს, ვალდებულებას იღებს, მისი შესაძლებლობების ფარგლებში შეასრულოს ქართველი ხალხის სურვილები...“ გერმანელები ქართველებს ოსმალეთთან 1878 წლიდან არსებული საზღვრის შენარჩუნებას ჰპირდებოდნენ, რაც მათი მოკავშირე ოსმალეთის (რომელიც ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო ომში ჩაბმული) მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. ასე, მაგალითად, ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული ბათუმის ოლქი და ყარსის ჩრდილოეთი ნაწილი მომავალი საქართველოს საზღვრებში უნდა შესულიყო. შეუძლებელია, კავკასიაში ქართველთა ფავორიტიზება პორტას ინტერესებში ყოფილიყო, რამაც შემდგომში, რასაკვირველია, თავი იჩინა.

1914 წლის 17 სექტემბერს გერმანიის საგარეო უწყებისადმი გაგზავნილ მემორანდუმში ქართული კომიტეტი ირწმუნებოდა:

„კავკასიაში აჯანყება განაღდებულად უნდა ჩაითვალოს“. ორმილიონ-ნახევარ ქართველს, მათ შორის 300 000 მაჰმადიანსა და 50000 კათოლიკეს, სასწრაფოდ სჭირდება იარაღი, ტყვია-წამალი და ფული. კავკასიის ნეიტრალიზაცია „ფართო ველს შექმნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ევროპისა და, განსაკუთრებით, გერმანიისათვის, რომლის გავლენაც შეუფერხებლად გავრცელდება კავკასიასა და მცირე აზიაზე“.

გიორგი მაჩაბელმა 1914 წლის სექტემბრის ბოლოს საგარეო უწყების ახლო აღმოსავლეთის საკითხების რეფერენტს, ფონ ვეზენდონკს, განუცხადა, რომ ქართველებს 50000 კაცის გამოყვანა შეეძლოთ და ამისათვის 40000-50000 თოფი, 5 მილიონი ვაზნა, 10 ტყვიამფრქვევი, 10000 ხმალი, 20000 ხიშტი, 5000 რევოლვერი და 100000 რევოლვერის ვაზნა სჭირდებოდათ.[2] ამგვარი დახმარების შემთხვევაში, მაჩაბლისა და წერეთლის აზრით, შესაძლებელი იქნებოდა აჯანყების მოწყობა. ეს ხელს შეუშლიდა რუსული ჯარის დასავლეთის ფრონტზე გაგზავნას და შეუძლებელს გახდიდა კავკასიაში მობილიზაციის გაგრძელებას, რაც გერმანიის აღმოსავლეთ ფრონტს განტვირთავდა. გარდა ამისა, ეს აჯანყება მაგალითი იქნებოდა რუსეთის სხვა ჩაგრულ ხალხთათვის.[3]

ქართული გეგმები შეესაბამებოდა გერმანელების მიზნებს, ერთი მხრივ, მიეღწიათ რუსთთან ცალხმრივი მშვიდობისათვის და, მეორე მხრივ, არარუსი ხალხის გამოყოფით, რუსეთი დაენაწევრებინათ და შეექმნათ ბუფერული სახელმწიფოები.

1915 წლის დასაწყისში მაჩაბელი ამტკიცებდა, რომ 2 თვეში შესაძლებელი იქნებოდა კავკასიელთა (რასაკვირველია, სომხების გარეშე) 500000-იანი ჯარის შექმნა.[4] გერმანელები კი ასაბუთებ-

---

2 W. Zürrer, Kaukasien 1918-1921. Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischen Meer. Düsseldorf 1978, s. 12-13, ტექსტისათვის იხ. W. Bihl, Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. T.1.: Ihre Basis in der Orient-Politik und ihre Aktionen 1914-1917. (=Veröffentlichungen der Kommission für neuere Geschichte Österreichs 61) Wien-Köln-Graz 1975, S. 65.

3 HHStA (Haus-, Hof- und Staatsarchiv, Wien), Pa I 947, Memorandum (Absch.) an das AA (17.9.1914) = Beilage zu Palavicini Nr. 90 / P G an Burian (26.10.1915).

4 PA AA (Politisches Archiv des Auswärtigen Amts, Berlin), R 21008 (Wk 11d secr, Bd.1), Wesendonk 27.09.1914.

დნენ, რომ ამდენად დიდი რიცხვი აიხსნებოდა კავკასიაში დარჩენილ იმ მაჰმადიანთა რაოდენობით, რომლებსაც რუსები ჯარში არ იწვევდნენ.[5] ამ ფანტასტიკურ გეგმებს, რასაკვირველია, განხორციელება არ ეწერა.

გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა გერმანიის საგარეო უწყებას ბერლინში ორი მემორანდუმი წარუდგინეს: პირველი – 24 სექტემბერს მიმართვით „თქვენო აღმატებულებავ“ და მეორე, როგორც პირველი წერილის დამატება – 27 სექტემბერს სათაურით „კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი“.[6] პირველ წერილში მოკლედაა მოთხრობილი ქართველი ხალხისა და დამოუკიდებლობისათვის მისი ბრძოლის ისტორია. „ქართველი ხალხი არც შეთქმულთაგან და არც მოღალატეთაგან არ შედგება, არც არაორგანიზებული მასაა, არამედ ერთიანი ერი, რომელსაც 23-საუკუნოვანი ისტორია აქვს და, მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, არსებობა არ შეუწყვეტია“. ამავე წერილში მაჩაბელი და წერეთელი ქართველი ხალხისა და კავკასიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გერმანიას დახმარებას სთხოვდნენ და მიუთითებდნენ იმ დადებით შედეგზე, რომელიც გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის ჯერ აჯანყებას და შემდეგ კავკასიის ნეიტრალიზაციას მოჰყვებოდა. მეორე წერილში უფრო დაწვრილებით იყო ახსნილი, ვინ და რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული კავკასიის ნეიტრალიზაციით, რა ტერიტორიებს მოიცავდა საქართველო და კავკასია და როგორ წარმოედგინათ ავტორებს კავკასიის ფედერაციის სამომავლო შემადგენლობა:

„1) საქართველოს სამეფო;

2) სომხურ-თათრული კანტონები;

3) მთიელთა ფედერაცია“.

როგორც წერილში ეწერა, სომხურ-თათრული კანტონები უნდა შექმნილიყო, რადგან სომხები და თათრები, რომელთაც უთუ-

5 PA AA, R 21008 (Wk 11d secr, Bd.1), Denkschrift von 24.09.1914 und Ergänzung von 27.09.1914.

6 PA AA, R 21010 (Wk 11d secr, Bd.3), Wesendonk 19.01.1915.

ოდ უნდა ჰქონოდათ სრული კულტურულ-რელიგიური ავტონომია, იმდენად შერეულად ცხოვრობდნენ, რომ მათი ტერიტორიული გამიჯვნა შეუძლებელი იქნებოდა. დასაშვებად მიიჩნევდნენ, რომ ამ ქვეყნის მეთაური მაჰმადიანი პრინცი გამხდარიყო, ხოლო აღდგენილი საქართველოს სამეფოს მეთაური – კონსტიტუციური მონარქი, მაგრამ არა ადგილობრივი და არა ბაგრატიონი (ამ დინასტიის შთამომავალთა შორის ინტრიგების თავიდან ასაცილებლად), არამედ ევროპის გავლენის გასაძლიერებლად – დასავლეთევროპელი პრინცი.

კონსტანტინოპოლში შეკრებილმა ქართველებმა ბერლინიდან ჩასულ მაჩაბელთან და წერეთელთან ერთად ოქტომბრის დასაწყისში ოფიციალურად ჩამოაყალიბეს (გაფართოებული) დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც ხშირად ეროვნულ კომიტეტსაც უწოდებდნენ. თავმჯდომარედ მათ შორის უხუცესი (41 წლის!) პეტრე სურგულაძე აირჩიეს. გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი და გიორგი კერესელიძე უნდა ყოფილიყვნენ კომიტეტის წარმომადგენლები ბერლინში. ლეო კერესელიძეს სამხედრო საქმე დაევალა და ქართული ლეგიონის შესაქმნელად ოსმალეთ-რუსეთის საზღვრის ახლოს შავიზღვისპირა ვიწეში (დღეს ფინდიკლი) გაიგზავნა. კომიტეტის ძირითად ბირთვში ასევე შედიოდნენ: კათოლიკე მამა შალვა ვარდიძე (სწორედ კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი გადაიქცა კომიტეტის შტაბ-ბინად), ქართველი მაჰმადიანები – მელიტონ ქარცივაძე, იგივე ოსმან ან მელიტონ ბეი, ზია ბეი აბაშიძე და სხვები. ქართული კომიტეტი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ქართველი ერი შედგებოდა მართლმადიდებელი და კათოლიკე ქრისტიანების, ქართველი მუსლიმანებისა და ქართველი ებრაელებისგან. მაგალითად, „ქართული გაზეთის“ №16-ში (15 ნოემბერი, 1916) ვკითხულობთ: „ჩვენც, მართლმადიდებელმა ქართველებმა, ხელი შევუწყვეთ ამ არასასურველ განხეთქილებას. შეიქმნა ქართველ ერში ისეთი შეხედულება, თითქოს ნამდვილი ქართველები მარტო მართლმადიდებლები ვყოფილიყავით“.

ქართველების აქტიურობამ ოსმალეთში გააააქტიურა ჩრდილოკავკასიელები და „კავკასიელი თათრები“ (დღევანდელი აზერ-

ბაიჯანელები). თურქები, რასაკვირველია, კავკასიელ მუსლიმანებს მეტი სიმპათიით უყურებდნენ, მაგრამ კავკასიელებმა, რომლებსაც ქართველებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მათი ხელშეწყობით გერმანელებთანაც დაამყარეს კონტაქტი. ოსმალეთში მცხოვრები ჩერქეზი ფუად ფაშა და შამილის ნათესავი ლეკი ფაზილ ფაშა კონსტანტინოპოლში გერმანელებს დაუკავშირდნენ. ინგუშმა უზდენ არზამაკოვმა, რომელიც საკუთარ თავს გაზავატს უწოდებდა, 1915 წლის ნოემბერში ბერლინში გერმანელებს თანამშრომლობა შესთავაზა.[7]

1915 წლის 8 დეკემბერს რუსი სამხედრო აგენტი რუმინეთში ამავე წლის ნოემბერში ვენასა და ბერლინში მყოფი კავკასიელთა დელეგაციის შესახებ უმაღლესი მთავარსარდლის გენერალკვარტირმაისტერს ატყობინებდა: „ჩემს ბოლო რაპორტში მოგახსენებდით ავსტრო-უნგრეთის მიზნებზე ჩვენს საქართველოში აჯანყების მოწყობის თაობაზე“. ვენაში ჩასულან და საგარეო საქმეთა სამინისტროში მრავალგზის მიუღიათ მაჩაბელი, სელიმ ბეი, მერკერ აზიზ ბეი, მეჰმედ საიდ ბეი, დოქტორი ისა ბეი, აბუ ბექირ ხოსმ ბეი, ფუად ფაშა და მეჰმედ ალი ბეი. გაოცებულ მოხელეს ამ მოხსენების ასლზე წითელი ფანქრით წაუწერია – „какие это грузины?“[8]

ოსმალეთ-რუსეთის საზღვრისპირა რეგიონებში ქართველ მუსლიმანთა და ლაზებს შორის მოხალისეთა მოძიების გარდა, ქართული ლეგიონის შექმნის მიზნით, ქართული კომიტეტი ცდილობდა გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში ტყვედ ჩავარდნილი ქართველი სამხედროების რეკრუტირებას და მათ შორის „ქართული საქმის“ პროპაგანდას.

ტყვეებისადმი დამოკიდებულება გენერალური შტაბის პოლიტიკის III ბ სექციის შეფს, კაპიტან რუდოლფ ნადოლნის, ასე წარმოედგინა: მაჰმადიანებმა, ინდოელებმა და ქართველებმა ჩვენთვის უნდა იომონ, მაჰმადიანებმა – ჯიხადის ფარგლებში, ინდოელებმა და ქართველებმა – თავიანთი დამოუკიდებლობისათვის.[9]

---

7 PA AA, R 21010 (Wk 11d secr, Bd. 3), Jagow an AA 22.01.1915.

8 PA AA, R 21008, 24.09.1914 (Bl.65-70) u. 27.09.1914 (Bl.78-85).

9 გერმანელებისა და ჩრდილოეთ კავკასიელთა ურთიერთობის შესახებ იხ.: W. Zürrer, Deutschland und die Entwicklung Nordkaukasiens im Jahre 1918. Iarbucher fur Geschichte Ost Europas 26 (1978).

პროპაგანდის ერთ-ერთი მიზანი იყო ომის შემდეგ ამ ხალხების გერმანიისადმი კეთილგანწყობაც. „პროპაგანდისტული ბანაკის ინსტრუქციის“ ესკიზში ეწერა, რომ ტყვეების გამოყენება უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთში: ა) მაჰმადიანებისა თურქეთში, ბ) ინდოელებისა ინდურ ლეგიონში, გ) ქართველებისა კავკასიაში, როგორც კი იქ ქართული აჯანყება დაიწყება.

ლეგიონერთა რიცხვი ომის სხვადასხვა პერიოდში მერყეობდა, მაგრამ შენაერთში არასდროს ყოფილა 1200 კაცზე მეტი ანუ რაოდენობას დაგეგმილი 3000-ისთვის არასდროს მიუღწევია. ქართული ლეგიონის შექმნა ოსმალეთის ტერიტორიაზე, არცთუ კეთილგანწყობილი ოსმალური პოლიტიკის პირობებში, თავისთავად უაღრესად საინტერესო თემაა.

გერმანიის საგარეო უწყებამ 1914 წელსვე შექმნა ნახევრად სახელმწიფო Nachrichtenstelle für den Orient (საინფორმაციო ბიურო აღმოსავლეთისათვის), რომელიც, ინფორმაციის შეგროვების, პროპაგანდისა და მრავალი სხვა საქმიანობის გარდა, ტყვეთათვის გაზეთებს გამოსცემდა. 1915 წლის 5 მარტს ერთდროულად დაიწყო ტყვეთა გაზეთის გამოშვება ჰინდუს, ურდუს, არაბულ, „თურქულ-თათრულ“, რუსულ და ქართულ ენებზე. გაზეთს მუსლიმანთათვის სხვადასხვა ენაზე, მათ შორის რუსულადაც, „ელ ჯიხად“ ერქვა, ინდოელებისათვის – „ჰინდოსტან“, ქართველებისათვის კი – არა „საქართველო“, არამედ „კავკასია“, რაც გერმანელების დამოკიდებულებას ქართველებისადმი, როგორც კავკასიის სეპარაციის მთავარი მამოძრავებელი ძალისადმი, ვფიქრობ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს. ქართულ კომიტეტს არც ეს სახელი მოსწონდა და არც გაზეთის სტილი და ფორმატი. ტყვეთა ყველა სხვაენოვანი გაზეთი ჯერ კიდევ გამოდიოდა, როცა 1916 წლის თებერვალში „კავკასიის“ გამოცემა შეწყდა და მის მაგივრად, ქართველების მოთხოვნით და ჟენევიდან ჩამოტანილი ქართული შრიფტით მარტიდან გამოსვლა დაიწყო „ქართულმა გაზეთმა“. ეს გაზეთი, რომელშიც ქართველები წერდნენ სტატიებს, ქართველ ტყვეთა შორის ბევრად უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ფოტოლითოგრაფიულად გამრავლებული ხელნაწერი წინამორბედი.

ქართული კომიტეტი „ქართული საქმის“ აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა არა მხოლოდ ქართველ ტყვეთა შორის ან გერმანულ ინსტიტუციებში, არამედ სხვა ერების წარმომადგენლებთანაც, უპირველეს ყოვლისა კი, რუსეთის იმპერიის უმცირესობებთან. 1916 წლის დასაწყისში ბერლინში დაარსებულ ქართულ-გერმანულ საზოგადოებას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა სხვა მსგავს ორგანიზაციებთან. ასევე 1916 წელს ჩამოყალიბებულმა რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგამ (Liga der Fremdvölker Russlands (Ligue de nationalités allogènes de Russie) 1916 წლის ივნისში მონაწილეობა მიიღო ერთა მესამე კონფერენციაში ლოზანაში, სადაც მიხაკო წერეთელის სიტყვამ საქართველოს საკითხი საერთაშორისო საზოგადოებას გააცნო და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

კომიტეტის სხვა თვალსაჩინო აქტიურობა დაკავშირებულია გერმანული წყალქვეშა ნავებით საქართველოს ნაპირებისაკენ მოგზაურობებთან.

გ. მაჩაბელმა, რომელიც 1914 წლის ოქტომბერში ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა, ადგილობრივი პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა და მათ გერმანიის მხარეზე მომუშავე კომიტეტის საქმიანობა გააცნო. თუ რევაზ გაბაშვილის მოგონებებს დავუჯერებთ, ქუთაისში სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნული დემოკრატების საიდუმლო შეხვედრაზე მაჩაბელთან სოციალ-დემოკრატების ბელად ნოე ჟორდანიას უთქვამს: „თქვენ იმუშავეთ მაგ გზით, ჩვენ – ჩვენი გზით. ჩვენ ხელს არ შეგიშლით, პირიქით, იქნება ზოგ რამეში დაგეხმაროთ“.[10]

1916 წლისთვის კავკასიასთან კონტაქტი გართულდა. მაჩაბლის მოთხოვნით, გერმანელებმა შავი ზღვის ქართულ სანაპიროზე წყალქვეშა ნავით მეკავშირეების გადასხმა დაიწყეს. 1 ივნისს კონსტანტინოპოლიდან სამი ქართველი ოფიცერი გაემგზავრა, 26 ივნისს კი ორ ქართველთან, აზერბეიჯანელ სელიმ ბეი ბებუთოვთან და ინგუშ უზდენ ხაჯი-მურატ არზამაკოვთან (გაზავატ) ერთად თვით მაჩაბელი გაემგზავრა. 29 ივნისს გერმანულმა U 38-მა ისინი ანაკლიასთან გადმოსხა.

[10] სცსა, ფ.13, ანაწ. 27, ს. 5412, ფურც. 21, 8. 12.1915

მუდმივი კონტაქტის დამყარება კავკასიასთან ვერც წყალქვეშა ნავებით მოხერხდა და ამ ექსპედიციებს დიდი შედეგიც არ მოჰყოლია.

ამ მგზავრობის შემდეგ გერმანელებსა და კომიტეტის წევრებს მაჩაბელი საერთოდ დაეკარგათ თვალთახედვიდან, სანამ 1917 წლის მარტში იგი ისევ არ გამოჩნდა და გერმანელებს თავისი ფათერაკიანი თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობაზე არ მოახსენა.

მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის თებერვალში პეტროგრადში რევოლუცია მოხდა და შემდეგ ოქტომბერში კავკასიის გავლენიანმა პარტიებმა ახალი ცენტრალური ხელისუფლება რუსეთში არ ცნეს, გერმანია თავისი პოლიტიკის მთავარ საყრდენ ძალად მაინც ეროვნულ კომიტეტს განიხილავდა და 1917 წლის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გარანტიები მისცა. ეს კომიტეტსა და კავკასიის ფაქტობრივ მმართველობას შორის მოლაპარაკებების გასაგრძელებლად კომიტეტისათვის გარკვეული მანდატიც იყო. წყალქვეშა ნავებით ქართველ რევოლუციონერთა საქართველოს სანაპიროზე გადაყვანა 1917 წლის შემოდგომაზე ისევ აღდგა.

მიხაკო წერეთელი საქართველოში ოქტომბერში ჩამოვიდა (პეტრე სურგულაძის გადმოსმა საქართველოს სანაპიროზე ნოემბერში ვერ მოხერხდა). 5 ნოემბერს (ოქტომბრის გადატრიალებამდე) წერეთელი თბილისში დავით ვაჩნაძის ბინაში შეხვდა ნოე ჟორდანიასა და ევგენი გეგეჭკორს (სოციალ-დემოკრატიის და ამიერკავკასიის ლიდერებს) და იოსებ გედევანიშვილს (სოციალისტ-ფედერალისტს). დავით ვაჩნაძემ ამ კრების შესახებ ვრცელი მოგონება დაგვიტოვა. ნოე ჟორდანიას თავის შემაჯამებელ სიტყვაში უთქვამს: „ნუ ავჩქარდებით საქართველოს რუსეთისგან გამოყოფის საკითხში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დრო მალე დადგება. მისკენ ისწრაფვის ჩვენი ახლანდელი ისტორია“.[11]

[11] დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებათა რვეული), *ივერია*, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, №1 (1992), გვ. 120-167; №2 (1993), გვ. 145; კ. სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის

მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის წამყვანმა პლიტიკურმა ძალებმა (ფაქტობრივად, მცირერიცხოვან ბოლშევიკთა გარდა, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ) ახალი ცენტრალური ხელისუფლება არ აღიარეს, კავკასიის სეპარაციის პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო, მაგრამ ეს პოლიტიკური ძალები და, პირველ რიგში, სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებლობის გამოცხადებას არ ჩქარობდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული კომიტეტის მუშაობას საქართველოში არსებულ პარტიებთან დიდი შედეგი არ გამოუღია, 1918 წლის მაისში კი უკვე გერმანელების მხრიდან გაცემულმა გარანტიებმა და შეთავაზებულმა პროტექტორატმა საქართველოს ხელისუფალნი მაინც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიიყვანა. გერმანიაში ქართული კომიტეტის სამწლიანი მუშაობით სერიოზული ფუნდამენტი იყო შემზადებული.

მას შემდეგ, რაც ბერლინში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ოფიციალური დელეგაცია ჩავიდა, 1918 წლის 21 ივლისს ქართულმა კომიტეტმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. კომიტეტის მიზანი – საქართველოს დამოუკიდებლობა – მიღწეული იყო. კომიტეტის წევრები საქრთველოს ახალდაარსებული რესპუბლიკის სამსახურში ჩადგნენ.

კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. *ბედი ქართლისა*, №39-40, პარიზი, 1962, გვ. 16-30; გადმობეჭდილია: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. II, თბილისი, 1995, გვ. 68. კრების დამსწრეთა შორის დასახელებულია მელიტონ ქარცივაძეც. ნ. ჟორდანია მაჩაბელთან და წერეთელთან შეხვედრებს ერთმანეთში ურევს და ორივეს 1917 წლის თებერვლამდე პერიოდში ათავსებს. იხ. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, 1990, გვ. 71-72.

ბალტიური დიპლომატია და I მსოფლიო ომის შემდგომი გარიგებები

შარლოტ ალსტონი
ნირთუმბრიის უნივერსიტეტი

ცარიზმი და შემდეგ რუსეთის დროებითი მთავრობაც დაემხო, ხოლო ცენტრალური სახელმწიფოების ძალებმა ომის მსვლელობისას საოკუპაციო მოქმედებები წამოიწყეს. ამგვარი იყო ისტორიული კონტექსტი, როდესაც ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას, მსგავსად საქართველოს და რუსეთის მოსაზღვრე სხვა სახელმწიფოებისა, დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალება პირველად მიეცათ. 1918 წლის შემოდგომაზე გერმანია დასავლეთში დამარცხდა, რუსეთის მთავრობა კი, რომელთანაც სხვა სახელმწიფოები მოლაპარაკებებს გამართავდნენ, საერთაშორისო არენაზე არ არსებობდა. ყოველივე ეს ქვეყნებს, რომლებსაც დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდათ, აიძულებდა, მანდატი დასავლეთის მოკავშირე სახელმწიფოთათვის გადაეცათ. ყველაზე მნიშვნელოვანი ფორუმი, რომელიც მათი დიპლომატიური მცდელობების ხორცშესხმის საშულებას იძლეოდა, ომის შემდეგ პარიზში გამართული სამშვიდობო კონფერენცია იყო. კონფერენცია 1919 წლის იანვარში გაიხსნა. გამარჯვებულებიც და ნებისმიერი ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლებიც ევროპაში თუ ევროპის მიღმა (ჩეხები, სლოვაკები, ეგვიპტელები თუ კორეელები) ელოდნენ, რომ ფორუმი მათი თვითგამორკვევის უფლებას აღიარებდა. პარიზში ოფიციალურად 27 ეროვნული დელეგაცია იყო წარმოდგენილი, თუმცა იმ ჯგუფთა რაოდენობა, რომლებიც კონფერენციაში რეალურად მონაწილეობდნენ და მის საქმიანობას აქტიურად ლობი-

რებდნენ, გაცილებით ჭარბობდა.[1] რუსეთის იმპერიის საზღვრებზე მდებარე ახალი სახელმწიფოებისათვის თვითგამორკვევისა და საერთაშორისო აღიარების საკითხი კომპლექსური პრობლემა იყო. ეს სახელმწიფოები ეძიებდნენ დამოუკიდებლობას არა დამარცხებული ძალისაგან, არამედ იმპერიისგან, რომელიც ტექნიკურად ომში გამარჯვებული ძალების მოკავშირე იყო. როდესაც ლიბერალური ელიტები თავიანთი ახალი მთავრობების ლეგიტიმაციისათვის თვითგამორკვევის კონცეფციას ეყრდნობოდნენ, ზოგიერთი სოციალისტი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში რუსეთის რევოლუციას სამომავლო მოდელად განიხილავდა. სოციალისტებსა და იმპერიალისტებს შეეძლოთ, გამოეყენებინათ თვითგამორკვევის საკითხებთან დაკავშირებული დაძაბულობა და ეს უკვე ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის გამართული მოლაპარაკებებისას გახდა აშკარა.[2]

ესტონეთი, ლატვია და ლიტვა ენობრივად თუ კულტურულად ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებოდა, ხოლო ამ ახალ სახელმწიფოთა ფარგლებში გაჩენილი პროვინციები სრულიად სხვადასხვაგვარად იმართებოდა რუსეთის იმპერიის მხრიდან. ამგვარმა განსხვავებებმა განსაზღვრა ეროვნულ მოძრაობათა რეგიონალური სპეციფიკა XIX საუკუნეში და ჩამოაყალიბა სამი სახელმწიფოს საერთაშორისო ხედვა XX საუკუნის დასაწყისში. ესტონურ-ლატვიური ნაციონალიზმი ბალტიისპირეთში გერმანელ მიწათმფლობელთა კლასთან დაპირისპირებამ შვა, ხოლო ახალი ესტონური გადმოცემები თუ ესტონური ფოლკლორი გერმანულ კოლონიზაციამდე არსებულ ოქროს პერიოდზე მოგვითხრობდა. რაც შეეხება ლიტვას, XIX და XIX-XX საუკუნეებში ის პოლონეთის გავლენისა და ამბიციის წინააღმდეგ ბრძოლაზე იყო ფოკუსირებული. მიუხე-

---

1 დამატებითი დისკუსიისთვის იხ. Erez Manela, The Wilsonian Moment Self-Determination and the International Origins of Anticolonial Nationalism (Oxford: Oxford University Press, 2007).

2 Borislav Chernev, *Twilight of Empire: The Brest-Litovsk Conference and the Remaking of East Central Europe 1917-18* (University of Toronto Press, 2017) pp. 41-78.

დავად ამ განსხვავებისა, ბალტიისპირელები პარიზში ერთმანეთთანაც და ყოფილი რუსეთის იმპერიის მოსაზღვრე ქვეყანათა სხვა დელეგაციებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. პოლიტიკური აღიარებისა თუ სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერის მაძიებელი დიპლომატები ერთმანეთს სტრატეგიებსა და კონტაქტებს უზიარებდნენ. ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის დიპლომატიურმა ძალისხმევამ პარიზში ხელი შეუწყო „ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა" ერთიანი იდენტობის ჩამოყალიბებას დასავლელ პოლიტიკოსთა თუ ექსპერტთა ცნობიერებაში. ეს წინასწარი განზრახვა არ ყოფილა და არც იოლად მიიღწეოდა. თუკი თავდაპირველად ესტონეთი და ლატვია ლიტვისაგან სრულიად განსხვავებულ სივრცედ მიიჩნეოდა, 1919 წლის ბოლოსათვის ამ სამ სახელმწიფოს უფრო და უფრო ხშირად მოიხსენიებდნენ და განიხილავდნენ ერთ კონტექსტში.

რუსეთის იმპერიაში მოქმედ ნაციონალისტ აქტივისტთა ურთიერთთანამშრომლობა, დაწყებული ჯერ კიდევ ომამდე, ომის დროსაც გრძელდებოდა. 1912 და 1915 წლებში პარიზში ეროვნებათა კონგრესი შეიკრიბა. მას ფრანგი ჟურნალისტი ჟან პელისიე და ლიტველი აქტივისტი იუოზას გაბრისი უძღვებოდნენ. კონგრესში სომხეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. კონგრესი და მისი პერიოდული გამოცემა „Les Annales des Nationalités" (ერთმაც და მეორემაც 1919 წლამდე იარსება) მიზნად ისახავდა იმგვარი „ეროვნებათა სინდიკატის" შექმნას, რომელიც იმპერიალისტთა ქმედებებს წინ აღუდგებოდა.[3] ომის მსვლელობისას გერმანიის სტრატეგიული ინტერესები, რომლებიც რუსეთის იმპერიის ფარგლებში განმათავისუფლებელ მოძრაობათა წახალისებას გულისხმობდა, გაბრისისა და სხვა მისი მსგავსი ინდივიდებისათვის სარფიანი იყო. გაბრისის საქმიანობამ პარიზიდან შვეიცარიაში გადაინაცვლა. აქ მან გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობით დაგეგმა ეროვნებათა მესამე კონგრესი, რომელიც ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი ხალხე-

[3] D. R. Watson, 'Jean Pélissier and the Office Central des Nationalités, 1912-1919' *The English Historical Review* 110:439 (1995) p. 1191.

ბის განთავისუფლებაზე.[4] მსგავს საქმიანობას ეწეოდა ესტონელი აქტივისტი ალექსანდრე კესკულა, რომელსაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებდა (სამინისტრო, როგორც ჩანს, მხარს უჭერდა ლენინის საქმიანობასაც და ესტონეთის დამოუკიდებლობის კამპანიასაც).[5] 1917 წელს გერმანელების თვალსაწიერში მოქცეულ რუსეთის შიდა ოპოზიციას იმ ძალად მოიაზრებდნენ, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტს დაშლიდა. თუმცა ნაციონალისტები მისი მეშვეობით დროებითი მმართველობის პირობებში ერთგვარი ავტონომიის მოპოვებას იმედოვნებდნენ. ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის დელეგაციები 1917 წლის 8-11 სექტემბერს შეიკრიბნენ კიევში, სადაც, უკრაინის რადას ინიციატივით, არასუვერენული ერების კონგრესი მოეწყო. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უჭერდა მხარს გამომსვლელი სრული დამოუკიდებლობის იდეას, კონგრესზე მეტად თუ ნაკლებად მწვავე სიტყვები გაისმოდა. ზიგფრიდს მეიეროვიჩისი ლატვიიდან მხარს უჭერდა ერთა დამფუძნებელი ასამბლეის ჩამოყალიბებას, რათა გადაეწყვიტათ რუსეთში მცხოვრებ ეროვნებათა სამომავლო პრობლემები. იმავდროულად, იგი მიიჩნევდა, რომ ლატვიის „მოკრძალებული მოთხოვნები“ რუსეთის ერთიანობას საფრთხეს არ შეუქმნიდა.[6] ლიტველი აუგუსტას ვოლდემარასი ცალსახად დამოუკიდებლობას ემხრობოდა და მოგვიანებით უკმაყოფილებასაც გამოთქვამდა, რადგან რუსულ პრესაში დაბეჭდილი მისი გამოსვლა ცენზურას ვერ აცდა.[7] დროებითი მთავრობის დამხობა დამატებითი იმპულსად

---

4 On Gabrys's activism for Lithuanian independence, see Eberhard Demm, 'The Propaganda of Juozas Gabrys for Lithuania before 1914', *Journal of Baltic Studies* 21:2 (1990) pp. 121-130; Alfred Erich Senn, 'Garlawa: A Study in Émigré Intrigue 1915-1917' *Slavonic and East European Review* 45:105 pp. 411-424.

5 Michael Futrell, *Northern Underground: Episodes of Russian Revolutionary Transport and Communications through Scandinavia and Finland 1863-1917* (London: Faber and Faber, 1963) pp. 119-151.

6 A Ezergailis, 'The Latvian Liberals and the Federative Tradition during the 1917 Revolution' *Lituanus: Lithuanian Quarterly Journal of Arts and Society* 17:3 (1971).

7 ჯ. ი. სიმპსონის ინტერვიუ აუგუსტინას ვოლდემარასთან, 1919 წელი, 5 თებერვალი, TNA FO 608/195.

იქცა ელიტათათვის, რომლებიც ახლად შექმნილ სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობას ეშურებოდნენ. ანტს პიიპი, შემდგომში ესტონეთის წარმომადგენელი პარიზში, შენიშნავდა: „იმპერიის ტერიტორია ამიერიდან არის res nullius, სივრცე, რომელიც არავის ეკუთვნის, თუმცაღა ამა თუ იმ ეროვნებას ინდივიდუალურად მისი მითვისება კიდეც შეეძლო. არავინ ფლობდა რუსეთს, სადაც ყველა საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილიყო. ამიტომაც საქმე უნდა დაგვეჭირა სხვა ჯგუფებთან, როგორც თანამემკვიდრეებთან, რომლებიც ოდესღაც რუსეთის იმპერიაში ჩვენთან თანაარსებობდნენ და ეს ერთგვარ გაუცხადებელ აღიარებას ემსგავსებოდა. ამას დე ფაქტო ურთიერთობებიც არ ეთქმის. ეს იყო გაცნობიერება იმისა, რომ ყველანი ერთ ქვაბში ვიხარშებით“.[8]

ბალტიისპირელი დიპლომატები და მოკავშირეთა წარმომადგენლები პირველად პეტროგრადში შეიკირიბნენ 1918 წელს, როდესაც ესტონელებმა და ლატვიელებმა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების გახსნაზე, მხარდაჭერისათვის ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ამერიკის საელჩოებს მიმართეს.[9] აქვე უნდა ითქვას, რომ დამფუძნებელ კრებას დიდხანს არ უარსებია. ერთი თვის შემდეგ ესტონეთის დელეგაცია სტოკჰოლმში გაემგზავრა, ქალაქში, რომელსაც სერ ესმე თომას ჰაუარდი, ბრიტანეთის ელჩი შვედეთში, „რომანოვთა იმპერიის დაცემის შემდეგ დამოუკიდებლობას მოწყურებულ ქვეშევრდომ ერთა ლიდერების მექად“ მიიჩნევდა.[10]

ჰაუარდთან შეხვედრისას იაან ტონისონმა განაცხადა, რომ, ნაცვლად ესტონეთის დამოუკიდებლობის ცნობისა, ბრიტანელებს შეეძლოთ, ეღიარებინათ ესტონეთის დამფუძნებელი კრება, „რო-

---

8 ინტერვიუ ანტს პიიპთან, 1930 წლის 12 აგვისტო, დამოწმებულია Malbone Graham, *The Diplomatic Recognition of the Border States* (Berkeley: University of California Press, 1939) Vol II: Estonia pp. 235-6.

9 *Foreign Relations of the United States* 1918, Russia Vol. II pp. 815-6.

10 Esme Howard, *Theatre of Life* (London 1936) pp. 258-9. On the Estonian diplomatic mission see Eric A. Sibul, ‘The Origins of Estonian Diplomacy 1917-1922: the roles of Kaarel Robert Pusta, Antonius Piip and Jaan Poska’, San Jose State University Masters Thesis (1989) p. 36.

გორც დე ფაქტო დამოუკიდებელი ორგანიზაცია სამშვიდობო კონ-ფერენციის შეკრებამდე". ამგვარი ფორმულირება კარგი დასაყ-რდენი აღმოჩნდა ბრიტანელებისა და ფრანგებისათვის, როდესაც მათ 1918 წლის 20 მარტს აღიარეს დე ფაქტო დამოუკიდებლობა.[11] ლატვიამ თავისი წარმომადგენლები – ზიგფრიდს მეიეროვიჩისი და იანის ჩაკსტე – 1918 წლის აგვისტოში ლონდონსა და პარიზში მიავლინა. გერმანიასთან დაზავების დღეს ბრიტანეთის სახელმწი-ფომ ცნო ლატვიის ეროვნული საბჭო, როგორც დე ფაქტო დამოუ-კიდებელი ინსტიტუტი. ის ძალაში იქნება „იმ დრომდე, ვიდრე სამ-შვიდობო კონფერენცია საძირკველს ჩაუყრის თავისუფლებისა და ბედნიერების ახალ ერას თქვენი ხალხისათვის"[12] – ეს განაცხადი ერთდროულად ასახავდა მოდელს, რომელიც ესტონეთსაც ესადა-გებოდა და სამშვიდობო კონფერენციის სამომავლო სამუშაოების გამო აბსურდულ მოლოდინსაც.

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია იანვარში გაიხსნა და თითქმის მთელი წელი აქტიურად მუშაობდა. პარიზის სამშვიდო-ბო კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ არა მარტო ესტონე-თი, ლატვია და ლიტვა, არამედ (წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს) საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ბელორუსია და დონისა თუ ყუბანის კაზაკები. ყველა კონფერენციაზე დასწრებასა და მო-კავშირე დიპლომატებთან აუდიენციას ითხოვდა. რადგანაც ისინი ოფიციალურად არ იყვნენ დაშვებულნი, დელეგაციათაგან თითოე-ული, ძირითადად, პრეტენზიათა ამსახველი მემორანდუმებისა და არაფორმალური კავშირების იმედად იყო, ეს კი, თავის მხრივ, არ-სებული კონტაქტების დიაპაზონზე იყო დამოკიდებული. დადგე-ნილი წესებით, აღმოსავლეთ ევროპაში ყველა ახალი სახელმწიფო კონფერენციისათვის წარდგენილ მემორანდუმს უნდა დაყრდნო-ბოდა. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მოკავშირეთა სიმპათია და მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში. მაგალითად, ესტონეთის დელეგაციამ წარადგინა სამხედრო საქმიანობის დეტალური ანგა-

11 *FRUS,* 1918, Russia, Vol II, pp. 818-819.

12 Balfour to Meierovics, in Graham, *Diplomatic Recognition of the Border States* Vol. III, Latvia, p. 406.

რიში (როგორც გერმანელების, ასევე ბოლშევიკების წინააღმდეგ), რომელიც პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ღვაწლის სადარი იყო. ამ სახელმწიფოთა წვლილი აღიარებული იყო და გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნებისათვის ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი ამბობდა, რომ მან თავისი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია ცენტრალური სახელმწიფოებიდან მოკავშირე ძალებზე გადართო და საკუთარ როლს რკინიგზის „მეისრისას“ ადარებდა.[13] მნიშვნელოვანი იყო, რომ ყურადღება მიექციათ იმ ისტორიული ძირებისათვის, რომლებსაც ქვეყანა ეყრდნობოდა, იქნებოდა ეს ენა თუ კულტურა. დაბოლოს, უმნიშვნელოვანესი იყო დელეგაციისა თუ ქვეყნის ერთიანობის წარმოჩენაც. ეს არცთუ უმნიშვნელო იყო ქვეყნის წარმომადგენლობის თვითპრეზენტაციის თვალსაზრისითაც. მიზანი ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკისათვის აღიარებისა და სამხედრო დახმარების მოპოვება იყო. ზიგფრიდს მეიეროვიჩისი წერდა, რომ, ამ ორი მიზნის მიღწევის შემთხვევაში, მისი ამოცანა შესრულებული იქნებოდა და იგი შინ დაბრუნებას შეძლებდა.[14]

ლიტვამ დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ გერმანიის ოკუპაციის პერიოდში გამოაცხადა, ამიტომაც ლიტვის დელეგაცია იძულებული გახდა, აღიარების მოსაპოვებლად ხელახალი კამპანია წამოეწყო, რათა მოკავშირეთათვის ერთგულება და ანტიგერმანული ორიენტაცია დაემტკიცებინა. მათ ერთიანი ფრონტის წარმოდგენაც ეძნელებოდათ, რადგან პარიზში, სულ ცოტა, ლიტველთა ოთხი სხვადასხვა დელეგაცია იმყოფებოდა: ემიგრანტთა ორი დამოუკიდებელი ჯგუფი (ერთს იუოზას გაბრისი ხელმძღვანელობდა, მეორეს – კათოლიკე მღვდელი კონსტანტინას ოლშაუსკისი); დელეგაცია, რომელიც ნოემბერში საზავო მოლაპარაკებებზე სპაში, იქიდან კი პარიზში გაემგზავრა; ჯგუფი, რომელსაც აუგუსტინას ვოლდემარასი ხელმძღვანელობდა და კაუნასის მთავრობა

[13] Zourab Avalishvili, *The Independence of Georgia in International Politics 1918-1921* (1940), p. 143.

[14] Ed Virza, *Z. A. Meierovics, Latvijas pirma arlietu ministra* (Riga 1935) p. 420.

მხარს უჭერდა. სპაში გამგზავრებული ლიტველთა ჯგუფის წევრები, როგორც გერმანიის ჯაშუშები, პარიზში ჩასვლისთანავე მცირე ხნით დააკავეს. MI6-ის ანგარიშში ლიტველთა დელეგაციის შესახებ ვოლდემარასს „ოპორტიუნისტად და საეჭვო პირად" მოიხსენიებდნენ, მაგრამ იქვე აღიარებდნენ, რომ გაბრისი და ოლშაუსკისიც „არანაკლებ სცოდავდნენ".[15] ვოლდემარასის დელეგაციის წევრთა მიდგომა უფრო გააზრებული და მასშტაბური იყო. მათი მტკიცებით, ლიტვა დიდი ხნის განმავლობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობდა, ამიტომაც მასთან მიმართებაში უილსონის რიტორიკა თვითგამორკვევის უფლების შესახებ უადგილო იყო. ლიტვის სამშვიდობო დელეგაციაში ებრაელი და ბელორუსი წარმომადგენლების ჩართვა მიზნად ისახავდა ამ თვალსაზრისის გამყარებას. რუსეთის მოთხოვნა, რომელიც ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას ითვალისწინებდა (ეს შესაძლოა დაბრკოლებად ქცეულიყო დანარჩენი ორი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის), ლიტვას არც ეხებოდა. დასავლელთა აზრით, ლიტვამ საკონფერენციო სტარტი მარცხენა ფეხზე ამდგარივით აიღო, ვოლდემარასი კი საპირისპიროში იყო დარწმუნებული.

მოკავშირეთა დიდ დელეგაციებს ჰყავდათ უმცროსი წევრები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ჩრდილოეთ ევროპისა ან რუსეთის საკითხებზე. ხშირად ორგანიზაციის წარმომადგენლებს კონფერენციამდე თვეებით ადრე „მშვიდობის დაგეგმვა" ევალებოდათ. ისინი ბალტიისპირეთის ქვეყნების დელეგაციათათვის რეგულარულ კონტაქტებს უზრუნველყოფდნენ. სემიუელ მორისონი, ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელი, რომელიც ფინეთისა და ბალტიის ქვეყნების საქმეებს განაგებდა, მხარს უჭერდა ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობას. ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპა და, შესაბამისად, რუსეთი, პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოები სერ ესმე ჰაუარდის, ბრიტანეთის დელეგაციის წევრის, კომპეტენციაში შედიოდა. რეგულარული შეხვედრები ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის დელეგატებთან ლანჩსა თუ სადილზე აღწე-

[15] MI6B report on 'Recent Events in Lithuania', 12th February 1919, TNA FO 608/195.

რილია მის დღიურებში. ბრიტანეთის დელეგაციის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ბალტიელი დელეგატების აუდიენციის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, შეხვედრებს ჰაუარდიც ესწრებოდა. არცთუ იშვიათად მას მხოლოდ მაღალჩინოსან კოლეგათა თანმხლები პირის სტატუსი ჰქონდა. მაგალითად, ბალფურს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ამგვარ შეხვედრებზე „მარტო დარჩენა ეჯავრებოდა“.[16] ჰაუარდს ხელი ჰქონდა ჩაქნეული (სხვა დაბალი რანგის დიპლომატები, თუნდაც ჰაროლდ ნიკოლსონი, პარიზის ხელშეკრულებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ). იგი ხომ გაუთავებლად იმას ამტკიცებდა, რომ „ფინელებს, ბალტიისპირელებსა და პოლონელებს მხარში უნდა დადგომოდნენ, აუცილებელი იყო საკვების, ტანსაცმლის, სამხედრო აღჭურვილობის, ამუნიციის, ინსტრუქტორების გაგზავნა, რათა მათ მოეხერხებინათ შეძლებისდაგვარად საუკეთესო თავდაცვითი ძალების ფორმირება, ამგვარი საუბარი კი ყოველთვის ერთნაირად დროული როდი იყო“.[17] ჰაუარდს ხშირად ისიც აფიქრებდა, მისი საქმიანობა უადგილო ხომ არ იყო ან მის ანგარიშებს ზემდგომნი თუ ეცნობოდნენ.[18]

1919 წლის მაისში შეიქმნა ბალტიის კომისია, რაც ამ დელეგაციათათვის დიდი უპირატესობა გახლდათ. მაგალითად, ახლად შექმნილ ტრანსკავკასიურ სახელმწიფოთა საკითხების შემსწავლელი მსგავსი ფორუმი არ არსებობდა. ფაქტობრივად, ბალტიის ქვეყნებისთვის ორი კომისია მუშაობდა – ერთი საკითხების შესასწავლად და საანგარიშო მოხსენებათა წარსადგენად ადგილზე უნდა გაეგზავნათ, მეორე კი პარიზში რეგულარულად შეიკრიბებოდა.

მუდმივმოქმედი კომისია, რომელმაც მაისიდან სექტემბრამდე 21 სხდომა ჩაატარა, პირველად 16 მაისს შეკრიბა. სხდომას ჰაუარდი თავმჯდომარეობდა და მის მუშაობაში აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. კომისიის უშუალო უფლებამოსილებათა საკითხებზე ცხარე დებატების შემდეგ კომისიამ ოთხთა საბჭოს კომპეტენცია მკაფიოდ

16 Howard, *Theatre of Life,* p. 382.
17 Howard, *Theatre of Life* p. 361.
18 Howard, *Theatre of Life* pp. 296-7.

განსაზღვრა – მას რუსეთისა და ბალტიის სახელმწიფოების სამომავლო ურთიერთობათა შესწავლა დაეკისრა.[19] ბალტიის სახელმწიფოები კომისიებთან გასაუბრებაზე გარკვეული რიგითობის დაცვით დაიბარეს, რაც, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებდა, თუ რაოდენ აფასებდნენ კომისიაში შემავალი სახელმწიფოები ამა თუ იმ ქვეყანას – ესტონეთის დელეგაცია ინტერვიუზე 28 მაისს გამოცხადდა, ლატვიისა – 10 ივნისს, ხოლო ლიტვის დელეგაცია – მხოლოდ 7 ივლისს. 26 მაისს, სანამ დელეგაციებთან შეხვედრები დაინიშნებოდა, კომისია ვასილი მაკლაკოვს შეხვდა, წარმომადგენელს რუსეთის პოლიტიკური კონფერენციიდან.

რუსული პოლიტიკური კონფერენცია, რომელიც ანტიბოლშევიკურ რუსეთს წარმოადგენდა, პარიზში ფუნქციონირებდა, რაც ერთობ პრობლემური იყო ბალტიის ქვეყნების (ისევე, როგორც უკრაინის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის) დელეგაციებისათვის. თუკი სხვა ახალი ერები I მსოფლიო ომში დამარცხებული სახელმწიფოების კვალდაკვალ ევროპაში ადგილის დამკვიდრებას ცდილობდნენ, რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებს ყოფილი მოკავშირის პრეტენზიებთან გამკლავება უწევდათ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობა აღიარა, დიპლომატები კი, რომლებიც სამშვიდობო კონფერენციაზე ამიერიდან ანტიბოლშევიკურ რუსეთს წარმოადგენდნენ, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მთავრობათა წინააღმდეგ ზურგს უკან ბრძოლებს აწარმოებდნენ და ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღიარებას ყოველმხრივ აფერხებდნენ. ისინი დაუღალავად ამტკიცებდნენ, რომ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან დაკავშირებულ სამომავლო გადაწყვეტილებათა მიღება რუსეთის აღდგენილი ხელისუფლების აზრის გაუთვალისწინებლად დაუშვებელი იქნებოდა.[20] მუდმივად ცვალებადი სამხედრო მდგომარეობა

---

19 Conférence de la Paix 1919-20, *Recueil des Actes de la Conférence* (Paris: Imprimerie National, 1923) Part 4, C (7), p. 37.

20 'Copie de la note remise par la Conférence Russe à la Conférence de la Paix', TNA FO 608/184; Russian Political Conference Memorandum to Clemenceau, 24th May 1919, cited in Graham, *Diplomatic Recognition of the Border States,* Vol. II, Estonia, pp. 259-60.

რუსეთში ვითარებას მეტად ამძიმებდა. 1919 წლის გაზაფხულზე ადმირალ კოლჩაკის ანტიბოლშევიკურმა ძალებმა უფა და ყაზანი დაიკავეს და ვოლგაზე 75 მილით წაიწიეს. პარიზში რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება არაერთხელ სცადეს, თუმცა – უშედეგოდ. უფრო ადრინდელ შემოთავაზებას პრინკიპოში ცალკე სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების შესახებ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის დელეგაციებიც დაყაბულდა და საბჭოთა რუსეთიც, თუმცა ანტიბოლშევიკური ძალებმა ეს წინადადება უარყვეს. ამერიკელი დიპლომატის, უილიამ ბულიტის, მოსაზრებამ, რომ კონტროლირებადი ტერიტორია უწინდელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ ყველა დე ფაქტო ხელისუფლებას უნდა შეენარჩუნებინა, შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა. მაისის მიწურულს, სანამ ანტიბოლშევიკურ ძალათა საომარი პოზიციები იმედისმომცემად გამოიყურებოდა, ოთხთა საბჭომ კოლჩაკის მთავრობის აღიარების საკითხის საფუძვლიანი განხილვა წამოიწყო. დაახლოებით იმავე დროს, როდესაც ბალტიის ქვეყნების კომისია სერიოზულ მუშაობას შეუდგა, ოთხთა საბჭომ კოლჩაკისათვის გასაგზავნი ნოტა შეადგინა. მასში ჩამოთვლილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისინი კოლჩაკის ნაწილების მატერიალურ მხარდაჭერას განაგრძობდნენ. პირობები რუსეთში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასაც ითვალისწინებდა და პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობის აღიარებასაც, ბალტიის ქვეყნების საკითხი კი ერთობ ორაზროვანი იყო:

> *„თუკი ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას, ასევე კავკასიისა და კასპიისპირა ტერიტორიებსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მოლაპარაკების საფუძველზე დროულად არ მოგვარდება, შეთანხმება ერთა ლიგასთან კონსულტაციებითა და თანამშრომლობით მიიღწევა, სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე კი რუსეთის მთავრობა თანახმაა, აღიაროს ამ ტერიტორიათა ავტონომია და მოკავშირეთა თუ ასოცირებულ მთავრობათა დე ფაქტო ხელისუფლებებთან ურთიერთობა“.*[21]

[21] *FRUS,* 1919, Russia, pp. 300, 361, 369.

კოლჩაკის მთავრობის აღიარების საკითხი ნოტაში არ ჩაურთავთ, თუმცა მინიშნებული იყო, რომ ეს ასეც მოხდებოდა, თუკი კოლჩაკი წაყენებულ პირობებს დათანხმდებოდა. პარიზში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს მთელი გაზაფხულის განმავლობაში ფონად გასდევდა კოლჩაკის ეფემერული წარმატება, რამაც ზიანი მიაყენა კონფერენციაზე ბალტიისპირელთა მოკავშირულ პოლიტიკას. თუკი ესტონეთი, ლატვია და ლიტვა კოლჩაკისათვის გაგზავნილ ნოტაში სახელდებით მაინც იყო ჩამოთვლილი, უკრაინას, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს წილად ამგვარი პრივილეგიაც არ ერგო.

ლიტვის დელეგაცია შეეჯახა პრეტენზიებს როგორც რუსეთის პოლიტიკური კონფერენციის, ასევე პოლონეთის დელეგაციის მხრიდან. პოლონელი ფედერალისტები ლიტვასთან მჭიდრო კავშირს ამჯობინებდნენ, ანექსიონისტები კი (პარიზში, როგორც წესი, წამყვან პოზიაციაზე სწორედ ისინი იყვნენ) – პოლონეთის ცენტრალიზაციას და მის ფარგლებში მოიაზრებდნენ ვილნიუსსაც, რომელსაც ლიტველები დედაქალაქად მიიჩნევდნენ. ლიტვის დელეგაცია პოლონეთის პოზიციათაგან ორივეს ეწინააღმდეგებოდა. ისინი გერმანიას კლაიპედასაც (მამელს) ედავებოდნენ. კონფერენციის მსვლელობისას პირველ თვეებში ფრანგ და ამერიკელ დელეგატთა წრეებში პრევალირებდა მოსაზრება, რომ ლიტვა პოლონეთის ნაწილი იყო და არა ბალტიელთა პრობლემა, რაც ხელფეხს უკრავდა ლიტვის დელეგაციას. პოლონეთის ოფიციალური დელეგაციის კონფერენციაზე დაშვებისთანავე ვოლდემარასმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ვილნიუსის საკითხის განხილვისას, სავარაუდოდ, მათ თვალთახედვას დაეყრდნობოდნენ.[22]

პარიზის კონფერენციაზე განვითარებულმა მოვლენებმა ცალკეულ მოკავშირე ქვეყნებს, ფაქტობრივად, წაართვა შესაძლებლობა, ბალტიის მთავრობათათვის მიცემულ პირობათა შესასრულებლად რაიმე ეღონათ. ნაწილობრივ, ამას რუსეთის მომავალთან დაკავშირებული გაურკვევლობა განაპირობებდა, თუმცაღა სხვა

22 Voldemaras to Clemenceau, 16 February 1919, in Henry de Chambon, *Lithuanie Pendant la Conférence de la Paix* (Lille: V. Bresle, 1931), p. 18.

მიზეზიც მოიძებნებოდა – არსებობდა დაჟინებული მოთხოვნა, ერთმანეთთან ეთანამშრომლათ, შეემუშავებინათ „სამოკავშირეო“ პოზიცია და უარი ეთქვათ კერძო სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე. ეს აშკარად აისახა ბალტიის კომისიის მუშაობაზე. როდესაც გადაწყდა, რომ კომისიას ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და რუსეთთან სამომავლო ურთიერთობის განხილვის უფლებამოსილება ჰქონდა, დელეგაციის წევრებმა დიდი დრო მოახმარეს იმ დეკლარაციის შედგენას, რომელიც ცხადად განსაზღვრავდა მოკავშირეთა სტრატეგიას ბალტიის სახელმწიფოთა მთავრობებთან მიმართებაში, რუსეთის პოლიტიკურ კონფერენციასა და კოლჩაკთან დაკავშირებით. ჰაუარდის მიერ შედგენილი დეკლარაციის პირველი მონახაზი ადგენდა:

> *მოკავშირეები და ასოცირებული ძალები კვლავაც აღიარებენ დე ფაქტო დამოუკიდებლობას ესტონეთისა და ლატვიის მთავრობათათვის და აწ უკვე პირველად ცნობენ ლიტვის მთავრობას. ისინი ადასტურებენ თავიანთ გადაწყვეტილებას, ხელი შეუწყონ ამ სახელმწიფოებს, რათა მათ თავისუფლად თავადვე მართონ ქვეყანა ისე, როგორც ხალხი ამჯობინებს.*

თუმცაღა, როგორც შემდეგ ითქვა, მოკავშირე და ასოცირებულ მთავრობებს შეუძლებლად ესახებოდათ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა რუსეთის აღიარებული ხელისუფლების თანხმობის გარეშე. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მიღებული გადაწყვეტილება დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდებოდა ყველა მხარისათვის, მაგრამ შეუძლებელი იყო კონკრეტული შეთანხმების მისაღწევად საჭირო ზომების მიღება, ვიდრე არსებობდა რუსეთის კვლავ აღიარებული ხელისუფლება.[23]

მიუხედავად მოზომილი ტონისა, ამგვარი მონახაზი კომისიის სხვა წევრებს მაინც გადამლაშებულად ეჩვენებოდათ. საფრანგეთის წარმომადგენელი ჰენრი კამერერი ერთობ კმაყოფილი იყო ტონითაც და შინაარსითაც, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ

---

23 *Recueil des Actes* Part 4, C (7) pp. 120-1, pp. 131-2.

საფრანგეთის მთავრობა ესტონეთის ეროვნული საბჭოს „დამოუკიდებელ ინსტიტუტად“ უწინაც აღიარებდა, თუმცა მთავრობად არ მიიჩნევდა. კეტატო ოჩიაი იაპონიიდან ამბობდა, რომ მისი მთავრობა ცნობდა ესტონეთისა და ლატვიის მთავრობათა *დე ფაქტო* დამოუკიდებლობას, ლიტვის აღიარებას კი არ აპირებდა. როიალ ტაილერი აღნიშნავდა, რომ აშშ-ის ხელისუფლება ბალტიის სახელმწიფოთაგან არც ერთის *დე ფაქტო* მთავრობას არ ცნობდა და აცხადებდა, რომ „მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად, ამგვარი განზრახვა არც არსებობდა“. ფაქტობრივად, როგორც მარკიზმა დელა ტორელამ (იტალიელმა დელეგატმა) მოსწრებულად შენიშნა, აშშ-ის მთავრობის პოზიცია შედარებით ჩახლართული იყო. ის აღიარებდა ბალტიის ქვეყნების მთავრობების დე ფაქტო არსებობას მოკავშირეთა მიერ კოლჩაკისათვის გაგზავნილ ნოტაში. ამგვარი გამოწვევის შემდეგ ტაილერი დათანხმდა, დეკლარაცია აშშ-ის სახელმწიფო მდივნისთვის, რობერტ ლენსინგისათვის, წარედგინა და ენახა, რამდენად მისაღები აღმოჩნდებოდა ის. 7 ივლისს ტაილერმა უკვე განაცხადა, რომ სანქციის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდათ.[24] ე. ჰ. კარი, რომელმაც 11 ივლისის შემდეგ ბალტიის კომისიაში ესმე ჰაუარდი შეცვალა, შეეცადა, დეკლარაციისთვის ყველასათვის მისაღები ფორმა მიეცა. დოკუმენტიდან ბალტიის „სახელმწიფოებზე“ ყველანაირი მითითება ამოიღეს და „ტერიტორიით“ ან „მოსახლეობით“ ჩაანაცვლეს. დოკუმენტის ახალი მონახაზი უზენაეს საბჭოს (ამერიკელების თანხმობის გარეშე) გადაეცა იმ ვარაუდით, რომ მას ბალტიის დელეგაციებს დაუგზავნიდნენ, ასლებს კი პარიზში მყოფ რუსებსა და კოლჩაკს მიაწვდიდნენ. საბოლოო ტექსტი იუწყებოდა:

მოკავშირეები და ასოცირებული მთავრობები უაღრესად მოწადინებულნი არიან და ხელსაც ყოველმხრივ შეუწყობენ ბალტიის ქვეყნების ხელისუფლებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ასევე – სტაბილური და ორგანიზებული რეგიონული მთავრობების ჩამოყალიბებას, საყოველთაო მშვიდობის დამყარების მიზნით. გარდა ამისა, ისინი საჯაროდ აცხადებენ თავიანთ განზრახვას, და-

[24] *Recueil des Actes,* Part 4, C (7) pp. 134-5.

იცვან მათი თავისუფლება რუსეთში მძლავრი, ცენტრალიზებული მთავრობის ჩამოყალიბების შემთხვევაში.

იმავდროულად, მათ შეუძლებლად ესახებათ, რუსეთის აღიარებულ მთავრობასთან შეუთანხმებლად მიიღონ რაიმე მკაფიო გადაწყვეტილება, რომელიც მტკიცე მშვიდობის გარანტია გახდება. ისინი იტოვებენ უფლებას, პირდაპირ თუ ერთა ლიგის მეშვეობით, შეიტანონ წვლილი ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი შეთანხმების მიღწევაში, თუმცაღა მოცემული მომენტისათვის არ ძალუძთ, გადადგან რაიმე ნაბიჯი კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად, სანამ რუსეთში არ აღდგება აღიარებული ხელისუფლება.

დეკლარაციამ 1919 წლის 26 ივლისს უზენაესი საბჭოს შეხვედრაზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და საკითხის განხილვა გადაიდო, რამაც ბალტიის კომისიის წევრები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. [25] როდესაც აგვისტოში პროექტის გადახედვა ითხოვეს, კომისიამ განაცხადა, რომ ეს აზრს მოკლებული იქნებოდა. ბალტიის სახელმწიფოებს ავტონომია არ სჭირდებოდათ, მათ დამოუკიდებლობა სურდათ. ე.ჰ. კარისათვის მთელი ეს პროცესი მეტად დამთრგუნველი აღმოჩნდა, თუნდაც იმიტომ, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებას უკვე დიდი ხანია ნათლად ჰქონდა გაცხადებული ბალტიის ქვეყნების, განსაკუთრებით ესტონეთის, დამოუკიდებლობის შესახებ:

იმ დროისათვის, როდესაც ამგვარი დაპირება გავეცით, უეჭველი იყო, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობას განზრახული ჰქონდა კონფერენციაზე ბალტიის ქვეყნების დროებითი დამოუკიდებლობის აღიარების მხარდაჭერა. ჯერ კიდევ მაისში ბრიტანეთის დელეგაცია, რუსეთის ინტერესების შესანარჩუნებლად აუცილებელი გარკვეული გარანტიების გათვალისწინებით, ესტონეთის დამოუკიდებლობას ემხრობოდა. მე კვლავაც მჯერა, რომ სხვაგვარ გადაწყვეტილებაზე მეტად მიზანშეწონილი, სამართლიანი და დაპირებების შესატყვისი სწორედ ამგვარი აღიარება იქნება.

[25] *Recueil des Actes* Part 4, C (7), p. 161.

ესტონეთისათვის მიცემულმა პირობამ, ცხადია, შექმნა შთაბეჭ-დილება, რომ ჩვენ მზად ვიყავით, სამშვიდობო კონფერენციაზე მხარი დაგვეჭირა მისი დამოუკიდებლობისათვის, რაც მნიშვნელო-ვანი წახალისება იყო ესტონელთათვის ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ შემთხვევაში, სამწუხაროა, რომ სხვა დელეგაციები, განსა-კუთრებით, ამერიკელები, მტკიცედ ეწინააღმდეგებიან ბალტიის ქვეყნების აღიარებას ამა თუ იმ ფორმით და კოლჩაკისათვის მი-ცემულ სიტყვას არ გადაუხვევენ.[26]

ბალტიისპირელთა დელეგაციების ურთიერთთანამშრომლო-ბა, რომელიც ლონდონში 1918 წელს დაიწყო, სამშვიდობო კონფე-რენციის მუშაობის პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა. ზიგფრიდს მეიეროვიჩისმა, ანტს პიიპმა, რუდოლფ ჰოლსტიმ (ფინეთის საგა-რეო საქმეთა მინისტრმა) და დავით ღამბაშიძემ, საქართველოს წარმომადგენელმა ლონდონში, საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს და ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას ყველა საკონტაქტო პირზე, თუკი ბალტიის საკითხებზე ბრიტანელ ექსპერტებს შო-რის ასეთს ჰპოვებდნენ.[27] ისინი ერთად ესწრებოდნენ შეკრებებს პარიზში და ერთობლივ მემორანდუმებსაც ადგენდნენ. აპრილის თვეში დაიწერა ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, საქართველოსა და უკრაინის წარმომადგენელთა ერთობლივი მიმართვა კონფერენცი-აზე დაშვებისა და აღიარების თხოვნით. სექტემბერში ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის დელეგაციებმა სამშვიდობო კონფერენციის პრეზიდენტს გაუგზავნეს ერთობლივი წერილი, რომელშიც სრულ სოლიდარობას უცხადებდნენ ერთმანეთს და ითხოვდნენ, მიეღოთ გადაწყვეტილება მათი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.[28] მარტის შუა რიცხვებში ყოფილი რუსეთის იმპერიის მოსაზღვრე

---

26 Notes by E H Carr in file no. 15402, TNA FO 608/186.

27 Heikki Roiko-Jokela, *Ihanteita ja reaalipolitiikaa: Rudolf Holstin toiminta Baltian maiden kansainvälisen de jure - tunnustamisen ja reunavaltioyheistyön puolesta 1918-1922* (Jyväskylä: 1995), pp. 292-3.

28 *Recueil des Actes de la Conference* Part 4, C (2) pp. 143-4; Letter from the Delegates of the Baltic States to the President of the Peace Conference, 6th September 1919, in *Recueil des Actes* Part 4, C (7), p. 212.

ქვეყნების წარმომადგენლებს ჟორჟ კლემანსოსთან აუდიენციის უფლება მისცეს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის დელეგატები, ასევე, წარმომადგენლები უკრაინიდან, საქართველოდან, ბელორუსიიდან და ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობიდან. მეიეროვიჩისმა იკითხა, თუ როგორ და რა ვადებში გადაიჭრებოდა რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოების საკითხი და როდის შეატყობინებდნენ მათ მოთხოვნებს. კლემანსომ მათ პირადი სიმპათია დაუდასტურა, მაგრამ თქვა, რომ სანამ კონფერენცია რუსეთის პრობლემის განხილვაზე გადავიდოდა, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხები უნდა მოგვარებულიყო. შეხვედრა 20 წუთს გაგრძელდა.[29]

ესტონეთისა და ლატვიის მემორანდუმები ძლიერ აისახა დასავლეთის ინტერესზე, რომელსაც ის გერმანიასა და რუსეთს შორის „სანიტარული კორდონისა“ თუ „მავთულხლართთა“ არსებობის მიმართ იჩენდა. არაერთი სტაბილური და ზომიერი მთავრობა ილაშქრებდა გერმანიის მავნე გავლენისა თუ ბოლშევიკური ანარქიის წინააღმდეგ. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ბალტიის ლიგის კონცეფცია დამოუკიდებლობის შესახებ ბალტიისპირელთა რიტორიკის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. ის ჰაუარდის მსგავსად თანაგრძნობით გამსჭვალული დიპლომატებისთვის სრულიად მისაღები იყო. ეს იდეა ჯერ კიდევ იაან ტონისონმა წამოსწია 1917 წელს, როდესაც მააპაევის (ესტონეთის ადგილობრივი ასამბლეის) სესიაზე თქვა, რომ „ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, ფინელთა და სკანდინავიელთა გაერთიანების შემთხვევაში, 30 მილიონი ადამიანის ერთობა დიდ გავლენას იქონიებდა სამშვიდობო კონფერენციაზე გამართულ მოლაპარაკებებზე“.[30]

მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა დატვირთვა უნდა ჰქონოდა ამგვარ ლიგას, განსხვავდებოდა. იაან პოსკა ბალტიის ზღვის რეგიონს სამი სხვადასხვა ნაწილისაგან – სკანდინავიის, აღმოსავლეთ

---

29 Sibul, ‘The Origins of Estonian Diplomacy’, p. 89.

30 Olavi Arens, ‘The Estonian Maapäev during 1917’, in V. Stanley Vardys and Romuald J. Misiunas (eds.) *The Baltic States in Peace and War 1917-1945* (University Park: Pennsylvania University Press, 1978), pp. 24-25.

ბალტიისა და სამხრეთ ბალტიისაგან – შემდგარ არეალად მიიჩნევ-და.[31] ესტონეთის დელეგატების მიერ შემუშავებული მემორანდუ-მი სწორედ ამგვარ ხედვას ეფუძნებოდა. მემორანდუმი ასახავდა ურთიერთშეკავშირებულ ალიანსთა სისტემას. ამგვარ ალიანსებს ქმნიდნენ, პირველ რიგში, ნორვეგია, დანია და შვედეთი, შემდეგ – ფინეთი, ესტონეთი და ლატვია და, ბოლოს – ლიტვა და პოლო-ნეთი. ამ ერთგვარ სამწახნაგა ლიგას საერთო ჯარითა და კოორ-დინირებული ფლოტით ნებისმიერ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხთან დაკავშირებით ერთობლივად უნდა ემოქმედა.[32] მეიე-როვიჩისი თავისი საქმიანობისას ყოველთვის ბალტიის ქვეყნების კოოპერაციისათვის იბრძოდა და უპირატესობას ესტონეთთან და ლიტვასთან ალიანსების „ვერტიკალურ ორიენტაციას“ ანიჭებდა. ლიტველთა შორის ზოგიერთი ბალტიურ ალიანსს ემხრობოდა და ამის საუკეთესო მაგალითი დოქტორ იონას შრიუპასი გახლდათ, თუმცა პოლონეთის ჩართვა ამგვარ სტრუქტურაში ერთობ პრობ-ლემური იყო, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ ის დომინანტურ ძალად იქცეოდა. ვოლდემარასს მისი ქვეყნისა საქმეების ლიტ-ვურ-ესტონურ პროცესებთან მჭიდროდ დაკავშირება საორჭო-ფოდ მიაჩნდა. პარიზში ჩამოსვლამდე ბრიტანელ დიპლომატებთან საუბარში იგი ლატვიის დამოუკიდებლობას საკმაოდ ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებდა.[33] იმ გამოწვევათა გამო, რომლებიც ლიტვისათვის პოლონური და რუსული დელეგაციების მხრიდან არსებობდა, შესაძლოა, ვოლდემარასისათვის ტაქტიკურად ხელ-საყრელიც ყოფილიყო ლიტვის ასოცირება იმ რეგიონალურ იდენ-ტობასთან, რომელიც ბალტიისპირეთში ახლა ყალიბდებოდა. მიუ-ხედავად ვოლდემარასის პირადი მცდელობებისა, ამგვარი ასოცი-რება, მეტწილად, მაინც ესტონელი და ლატვიელი დელეგატების რიტორიკის შედეგი იყო.

---

31 Marko Lehti, *A Baltic League as a Construct of the New Europe: Envisioning a Baltic Region and Small State Sovereignty in the Aftermath of the First World War* (Frankfurt: Peter Lang, 1999), p. 134

32 Hugh Rodgers, *Search for Security: A Study in Baltic Diplomacy 1920-1934* (Hamden, Conn.: Archon Books, 1974), p. 14.

33 ჯ. ი. სიმპსონის ინტერვიუ აუგუსტინას ვოლდემარასთან, 1919 წელი, 5 თებერვალი, TNA FO 608/195.

ლიტვის დელეგაციის სურვილები ბალტიის კომისიაზე ყურად იღეს. თავისთავად ეს ფაქტი უკვე იმაზე მეტყველებდა, რომ მოკავშირეები ლატვიასთან, ესტონეთსა და ფინეთთან ერთად უკვე ლიტვასაც „ბალტიის საკითხის“ ნაწილად განიხილავდნენ და წმინდად „პოლონურ პრობლემად“ არ მიიჩნევდნენ. კოლჩაკისათვის გაგზავნილ ნოტას მაისის თვეში ესტონეთთან და ლატვიასთან ერთად ლიტვაც შეუერთდა, რაც კვლავაც იმაზე მიანიშნებდა, რომ პროცესი ამ მიმართულებით დაძრული იყო. აპრილის მიწურულს ვოლდემარასიცა და მარტინას იუკასიც პოლონეთის საკითხთა კომისიამ ქვეკომიტეტთან გასაუბრებაზე დაიბარა. თუმცაღა ეს ლიტვის მთავრობის წარმომადგენელთათვის გაგზავნილი მოწვევა როდი იყო. მათ, როგორც ლიტვის საქმეებში ჩახედულ კერძო პირებს, ისე იბარებდნენ. ამიტომაც ვოლდემარასმა და იუკასმა მისვლაზე უარი განაცხადეს. 10 მაისს ისინი პლონეთის კომისიის სრულ შემადგენლობას გაესაუბრნენ და ლიტვის დამოუკიდებლობის აღიარება მოითხოვეს.[34] მოსმენა ბალტიის კომისიის ფარგლებში შედგა. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ 1919 წლის ზაფხულისათვის ლიტვას ახალი შესაძლებლობა მიეცა – ლატვიისა და ესტონეთის პრობლემების გვერდით, ლიტვის, როგორც რეგიონალური ერთეულის, საკითხზე მსჯელობა მოკავშირეებმა აწი უკვე დღის წესრიგში შეიტანეს.

მიუხედავად იმისა, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოების საკითხი განიხილებოდა, აქ ცოტა რამ თუ გადაწყდა. ბალტიის ქვეყნების მომავლის განსაზღვრის თვალსაზრისით, ომის შემდგომი სხვა სამშვიდობო მოლაპარაკებები – ბრესტ-ლიტოვსკში 1918 წელს, ტარტუში, რიგასა და მოსკოვში 1920 წელს, პოლონეთ-საბჭოეთის სამშვიდობო შეთანხმება 1921 წელს – უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა.[35] ბალტიის დელეგაციებმა პარიზის დატოვებამდე აშკარად გააცხადეს, რომ, მოკავშირეთა მხრიდან არაღიარების შემთხვევაში, ისინი საბჭოთა

---

34 Alfred Erich Senn, *The Emergence of Modern Lithuania*(Westport, Conn.: Greenwood Press, 1975), pp. 199-120.

35 Jerzy Borzecki makes the case for the latter in *The Polish-Soviet Peace of 1921 and the Creation of Interwar Europe* (New Haven 2008).

რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წავიდოდნენ. მოკავშირეების დელეგაციათა შორის არ მოიძევებოდა ისეთი, რომელიც ბალტიისპირელებს ამგვარ მოლაპარაკებაზე უარს ათქმევინებდა. ტარტუში 1920 წლის თებერვალში, როდესაც ესტონეთმა და საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას, ანტს პიიპი მყარად იდგა თვალსაზრისზე, რომელიც სამშვიდობო კონფერენციამდე შეიმუშავა. მისი აზრით, რუსეთის იმპერიის კოლაფსმა ის შედეგი გამოიღო, რომ იმპერიის ამა თუ იმ შემადგენელმა ნაწილმა, მათ შორის, რუსეთმა და ესტონეთმა, დამოუკიდებლობა მოიპოვა. ახალი ისინი თანასწორნი იყვნენ ურთერთაღიარებისათვის. იგი არ ცნობდა საბჭოთა რუსეთის უფლებას, გაეუქმებინა ესტონეთის სუვერენიტეტი. პირიქით, საბჭოთა დელეგაცია დაბეჯითებით ითხოვდა ესტონეთის დამოუკიდებლობის აღიარებას იმ საფუძველზე, რომ „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება სრულ სეცესიამდე იმ სახელმწიფოდან, რომლის ნაწილიც ის არის“. [36] იგივე ფორმულა მიუსადაგეს რიგაში 1920 წლის 11 აგვისტოს ლატვიასთან ერთად ხელმოწერილ დოკუმენტსა და 1920 წლის 12 ივლისს მოსკოვში ლიტვასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას (თუმცაღა ეს უკანასკნელი დაჟინებით მოითხოვდა, აღიარების საფუძვლად ის მიეჩნიათ, რომ ლიტვის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობას წყვეტა არ ჰქონია).

ლიტვის ტერიტორიული დავის საკითხი, თუმცაღა ერთა ლიგის განხილვის საგანი იყო, მხოლოდ ადგილობრივი ინიციატივით გადაწყდა: 1920 წლის აგვისტოში ვილნიუსი ჯერ წითელმა არმიამ დაიკავა, შემდეგ კი, თითქმის მაშინვე, იქ პოლონელი გენერალი ზელიგოვსკი შეიჭრა. რაც შეეხება კლაიპედას საკითხს, ის 1923 წელს ლიტვის მთავრობის მიერ ინიცირებული გადატრიალებით მოგვარდა. ესტონეთ-ლატვიისა და ლატვია-ლიტვის საზღვრები ომის შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკებებისას მოკავშირეებთან

[36] Ants Piip, ‘Estonia’s Political and Economic Development’, Brookings School Lectures, No. 1, February 12 1925, cited in Graham, *Diplomatic Recognition of the Border States,* Vol. II, Estonia, p. 336.

დამყარებული კონტაქტების მეოხებით დადგინდა.[37] ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ, მათთან ერთად კი უკრაინამ, საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, პირველივე შესაძლებლობისთანავე ერთა ლიგას მიმართეს და 1920 წლის შემოდგომაზე გაწევრიანება ითხოვეს.[38] ამ ქვეყნების მთავრობებს, საზღვრებსა და სატატუსს საანგარიშო მოხსენებებში სტაბილურობას უწოდებდნენ და დადებითად აფასებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთა ლიგაში გაწევრიანებზე მათ მოთხოვნას აცილება მისცეს და, ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო აღიარებაზეც უარი უთხრეს. 1921 წელს, როდესაც ბალტიის ქვეყნების მთავრობები, როგორც იქნა, მიიღეს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უკვე საბჭოეთი აკონტროლებდა. ბალტიის ქვეყნები პარიზის სამშვიდობო კონფერენციის შემდეგ II მსოფლიო ომის დაწყებამდე 20 წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურ როლსაც თამაშობდნენ. 1940 წელს საბჭოთა ძალების მიერ ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ოკუპაციის შემდეგ კი სერიული დაპატიმრებები და დეპორტაცია დაიწყო. ეს პროცესები, უწინარეს ყოვლისა, წამყვან სახელმწიფო მოღვაწეებსა და საერთაშორისო კავშირების მქონე პირებს შეეხო. იმ თაობის პოლიტიკოსები, რომლებიც პარიზის მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ, თუნდაც აუგუსტინას ვოლდემარასი და ანტს პიიპი, ამ ჩამონათვალში პირველები იყვნენ.

ბალტიის სახელმწიფოთა მთავრობებს თავიანთი საქმის საერთაშორისო დონეზე აყვანის შესაძლებლობა I მსოფლიო ომის შემდეგ პირველად პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიეცათ. 1919 წელს ამ ქვეყნების სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა მართლაც სავალალო იყო, თუმცა დიპლომატიურ არენაზე რუსეთისა და გერმანიის არარსებობა, სიძნელეების გარდა, ახალ

---

37 Stephen Tallents, *Man and Boy* (London: Faber and Faber, 1943) pp. 371-9; Charlotte Alston, 'James Young Simpson and the Latvian-Lithuanian Border Settlement 1920-21' *Scottish Geographical Journal* 118:2 (2002), pp. 87-100

38 See the correspondence in for example R1450/3776, R1451/4393 and R1452/7435, League of Nations Archives, Geneva.

პერსპექტივებსაც აჩენდა. ისინი და რუსეთის მოსაზღვრე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ერთობლივად ირჯებოდნენ – ლობირებდნენ, თანამშრომლობდნენ და სამშვიდობო კონფერენციაზე რიტორიკის იდეალისტურ თუ პრაგმატულ სტანდარტებს ეყრდნობოდნენ. კონკრეტული მიღწევების თვალსაზრისით, მათი წარმატება არასრულყოფილი იყო და ამას ხელს უწყობდა არაერთი ფაქტორი: გაუთავებელი ქაოსი რუსეთში, ზეწოლა გერმანიასთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, არაერთი შიდა უთანხმოება თუ დაპირისპირება მოკავშირეთა დელეგაციებთან. და მაინც, ბალტიელმა დიპლომატებმა კარგად გამოიყენეს მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა. ნებსით თუ უნებლიეთ, სწორედ მათი ურთიერთთანამშრომლობის წყალობით, მოკავშირეთა ცნობიერებაში მტკიცედ ჩაიბეჭდა იდეა ბალტიური რეგიონალური იდენტობის შესახებ.

„ბრიტანული“ კავკასია – 1918-1920

ბექა კობახიძე
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

დიდი ომი და კავკასია

1914 წელს დაწყებულ „დიდი ომის“ დროს კავკასია რუსეთის უპირობო ნაწილი იყო. რუსეთის მოკავშირეები იყვნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და, მოგვიანებით, ამერიკის შეერთებული შტატები. 1915-1916 წლებში მოკავშირეთა შორის წინსწრებით გაფორმდა ხელშეკრულებათა მთელი კასკადი, თუ როგორ უნდა გადაენაწილებინათ დამარცხებული ბლოკის ტერიტორიები, კოლონიები და გავლენის სფეროები. ცხადია, არც ერთ ხელშეკრულებაში ნახსენებიც არ ყოფილა საქართველო, აღმოსავლეთ (რუსეთის) სომხეთი და აზერბაიჯანი. კავკასიის რეგიონი რუსეთის შიდა საქმედ განიხილებოდა. შესაბამისად, ანტანტის ქვეყნები კავკასიაში არსებულ ვითარებას სათანადოდ არც სწავლობდნენ და მის მიმართ არ ჰქონდათ პოლიტიკა. თბილისში მათი არც ერთი დიპლომატიური წარმომადგენლობა არ ყოფილა. ბრიტანეთსა და აშშ-ს[1] ბათუმში ჰქონდათ საკონსულოები, ძირითადად, სავაჭრო ინტერესთა გასატარებლად.

ვითარება შეიცვალა 1917 წლის ნოემბერში, პეტროგრადში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. რუსეთის იმპერიის უკვე ყოფილმა სუბიექტებმა (კავკასია, ბალტიის რესპუბლიკები, უკ-

[1] იმ საფრთხის გამო, რომელიც კავკასიის ფრონტზე ბათუმს დაემუქრა, 1916 წელს აშშ-ის საკონსულო თბილისში გადავიდა.

რაინა და ა.შ.) არ ცნეს ბოლშევიკური ხელისუფლება. ის არც მოკავშირეებს უცნიათ. თავის მხრივ, ბოლშევიკებმა გერმანიასთან, ოსმალეთთან, ავსტრიასთან, ბულგარეთთან ომი შეწყვიტეს და მათთან სეპარატული მოლაპარაკებები დაიწყეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანიას აღმოსავლეთი ფრონტი გაუთავისუფლდა და საშუალება მიეცა, დასავლეთის ფრონტზე გაეძლიერებინა საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედება. არც ბრიტანეთის გავლენის ქვეშ მყოფი სამხრეთ სპარსეთი და მისივე კოლონია ინდოეთი ყოფილა უსაფრთხოდ, რადგან გერმანელებს ამ მიმართულებებით შეტევების განხორციელება შეეძლოთ.

ომის მსვლელობისას საომარი ფრონტების ასე ხელაღებით მიტოვება არ შეიძლებოდა, ამიტომ მოკავშირეები 1917 წლის ბოლოს პარიზში შეიკრიბნენ. 23 დეკემბერს მიღწეული შეთანხმების თანახმად, უკრაინა, ყირიმი და ბესარაბია საფრანგეთის საპასუხისმგებლო ზონად ცხადდებოდა, ხოლო კავკასია – დიდი ბრიტანეთის საპასუხისმგებლო ზონად.[2]

1918 წლის პირველმა ნახევარმა დაადასტურა, რომ კავკასიასთან დაკავშირებით გერმანიასა და ოსმალეთს გაცილებით უფრო სერიოზული განზრახვები ჰქონდათ, ვიდრე საფრანგეთს. მაშინ, როდესაც სამხრეთ კავკასიაში ათიათასობით გერმანელი და ოსმალო ჯარისკაცი იმყოფებოდა, ბრიტანეთმა გენერალ დანსტერვილის დაახლოებით 1500-კაციანი დაჯგუფება გამოაგზავნა ბაქოს ოპერაციისთვის. დანსტერვილს მალე უკან გაბრუნება მოუწია.

ბრიტანული ჯარების შემოსვლა

ბრიტანეთ-საფრანგეთის შეთანხმება რეალურად ომში გერმანიისა და ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ამოქმედდა. ამ დროს კავკასიის სახელმწიფოები უკვე დამოუკიდებლები იყვნენ.

1918 წლის მიწურულს კავკასიაში გენერალ ჯორჯ ფორესტიე-უოკერის მეთაურობით ბრიტანეთის 27-ე (ე.წ. „სალონიკის“) დივი-

[2] CAB 28/3 I.C. 37, 23 December 1917.

ზია შევიდა, ხოლო ჩრდილოეთ სპარსეთიდან ბაქოსკენ გენერალ უილიამ ტომსონის 39-ე ბრიგადა დაიძრა. მთლიანობაში კავკასიაში განლაგებული ბრიტანული ჯარების ოდენობამ 20000 კაცს მიაღწია.[3] ბრიტანეთი რეგიონში პოლიტიკის მთავარი შემქმნელი და გადაწყვეტილებების მიმღები საერთაშორისო აქტორი გახდა.

ბრიტანული ჯარების თავდაპირველი მისია ოსმალეთის იმპერიასთან დადებული მუდროსის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება იყო, რაც რეგიონიდან მტრული თურქული და გერმანული ქვედანაყოფების განდევნას, ბაქო-ბათუმის სარკინიგზო და ნავთობსადენის ხაზების გახსნას ითვალისწინებდა. ეს ამოცანები მალევე შესრულდა, მაგრამ რეგიონის ქაოსურ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლებოდა. კავკასიის ახალწარმოქმნილი რესპუბლიკები რთულად იყოფდნენ ტერიტორიებს, რუსეთის იმპერიის მიერ დატოვებულ მეკვიდრეობას (რკინიგზა, შეიარაღება და ა.შ.). ამასთანავე, საჭირო იყო დროებითი მშვიდობის დაცვა, სანამ 1919 წელს პარიზში შეკრებილი საერთაშორისო კონფერენცია ახალ მსოფლიო წესრიგსა და ახალ მსოფლიო რუკას შექმნიდა და კავკასიის მომავალსაც გაარკვევდა.

ბრიტანული ჯარები კავკასიაში სომხეთ-საქართველოს ომის დროს შევიდნენ. მათ შეაჩერეს საომარი მოქმედებები, სომხური უმრავლესობით დასახლებული ახალქალაქის მაზრა საქართველოს დაუტოვეს, ხოლო ლორეში ნეიტრალური ზონა გამოაცხადეს. ამით ორივე მხარე უკმაყოფილო იყო, რადგანაც ახალი სახელმწიფოები ნულოვან შედეგზე თამაშობდნენ. ქართველების უკმაყოფილებას აძლიერებდა ის ფაქტი, რომ ბრიტანელებმა ბათუმის ოლქი მათ არ გადასცეს და დროებით იქ შექმნეს ბრიტანული საგენერალგუბერნატორო, რომლის სათავეში ირლანდიელი

[3] WO 153/785 Persia and Caucasus, Situation Maps 1916-1920. მოგვიანებით 27-ე დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე ფორესტიე-უოკერი ტომსონმა ჩაანაცვლა და ბრიტანეთის კავკასიური ძალები მის ხელში გაერთიანდა, ხოლო 1919 წლის მაისიდან ტომსონი გენერალმა ჯორჯ ნორტონ ქორიმ შეცვალა.

გენერალი ჯეიმს კუკ-კოლისი ჩააყენეს. განსხვავებით ქართველებისგან, სომხებს დაუთმეს ყარსის ოლქი, მაგრამ მაინც ვერ მოიგეს მათი გულები, რადგან აზერბაიჯანელებს გადასცეს სომხური უმრავლესობით დასახლებული ყარაბახი. სხვა მხრივ, აზერბაჯანელთა გულისწყრომას სომხებისათვის ზანგეზურის, ნახიჩევანისა და ყარსის გადაცემა იწვევდა.

რესპუბლიკათა შიდა დავებისგან ცალკე იდგა რუსეთის მოხალისეთა არმიის ცარისტი გენერლის, ანტონ დენიკინის, საკითხი. დენიკინს, რომელიც, ერთი მხრივ, სამოქალაქო ომში ბოლშევიკებს ებრძოდა და მოსკოვის დაკავებას ცდილობდა, მეორე მხრივ, ერთიანი რუსეთის აღდგენა და კავკასიის ოკუპაცია სურდა. ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბრიტანელები დენიკინის მოკავშირეები იყვნენ. ისინი მას შეიარაღებით, სამხედრო ინსტრუქტორებით, სურსათითა და ფულით ამარაგებდნენ, მაგრამ უკრძალავდნენ სამხრეთ კავკასიაში შესვლას და მთელი კონცენტრაციის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გადატანას სთხოვდნენ. დენიკინი, სამხრეთ კავკასიაში ბრიტანელთა ჩარევის გამო, საკუთარ უკმაყოფილებას არ მალავდა.[4] ბრიტანელთა მხრიდან დენიკინის დახმარებასა და მოკავშირეობას ეჭვის თვალით უყურებდნენ კავკასიური სახელმწიფოებიც. არსებობდა სხვა საფრთხეც – თურქების მხრიდან სომხების მიმართ შესაძლო რევანში, რაც რეალური გახდა 1919 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ოსმალური ჯარების ნარჩენებმა ყარსი დაიკავეს, „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა“ შექმნეს და სომხეთთან ერთად პრობლემები შეუქმნეს საქართველოსაც. ყარსის გათავისუფლება ისევ ბრიტანულ ჯარებს მოუწიათ.[5]

1919 წლის 24 იანვარს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე შეკრებილმა მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ აკრძალა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სუბიექტის ტერიტორიების ძალის გამო-

---

4 А. Деникин, Очерки Русской Смуты, Т. IV, Берлин, 1925, с. 121-178.

5 R. Hovannisian, The Republic of Armenia, vol. I, Los Angeles 1971, p. 197-227; გ. კვინიტაძე, მოგონებები, წგ. I, თბილისი 1998, გვ. 103-159; ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი 1989, გვ. 47-60.

ყენებით დაკავება. სადავო საკითხები სამშვიდობო კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა.[6] ბრიტანელებმა რეგიონში შექმნეს მყიფე მშვიდობა, რომლის დაცვა მათი პასუხისმგებლობა იყო იმ დრომდე, ვიდრე საერთაშორისო დიპლომატია სადავო საკითხებს არ დაარეგულირებდა. ეს, გარკვეულწილად, უმადური საქმე იყო. მოგვიანებით ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჯორჯ ნათანიელ კერზონი შენიშნავდა: „როდესაც [კავკასიიდან] ევაკუაციის თაობაზე ჩვენი განზრახვა გახდა ცნობილი, სწრაფად და დაუყოვნებლივ იქნა გაანალიზებული ჩვენი ოკუპაციის სიკეთენი – მგზნებარედ მოგვმართავდნენ ყველა კუთხიდან, რათა დავრჩენილიყავით“.[7]

პიროვნებები და ინსტიტუციები

პარალელურად ლონდონში დაიწყო კავკასიური პოლიტიკის შექმნის პროცესი. აქ ბევრი იყო დამოკიდებული პიროვნულ ფაქტორებსა და პრიორიტეტებზე. იყვნენ კავკასიის დამოუკიდებლობის ძლიერი მომხრეებიც, სკეპტიკოსებიც და მოწინააღმდეგენიც.

მომხრეთაგან მთავარი გახლდათ კერზონი. იგი ახალგაზრდობაში სამჯერ იყო ნამყოფი რეგიონში, იმოგზაურა დარიალიდან სომხეთამდე, ბათუმიდან ბაქომდე, გაეცნო კავკასიის ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ისტორიას. 1903-1905 წლებში კერზონი ინდოეთში ბრიტანეთის მეფისნაცვლის თანამდებობას იკავებდა და „ბრიტანული აღმოსავლეთის“ კარგი ცოდნით გამოირჩეოდა. მან არაერთხელ ჩაატარა ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე საქართველოს ისტორიის „გაკვეთილები“. იგი ამის შესახებ ადრეული ასაკიდანვე წერდა და 1888 წელს სტეფანწმინდაში მყოფი აღნიშნავდა, რომ რუსეთი პირველი სახელმწიფო იყო ისტორიაში, ვინც კავკასიის ქედის ორივე მხარე დაიკავა და მას აღმოსავლეთისკენ გაფართოების შესაძლებლობა მიეცა. კერზო-

6 The Foreign Relations of the United States (FRUS), Paris Peace Conference (PPC), vol. 3, p. 715.

7 FO 371/3668/11067/124999/58.

ნი ბათუმს ადარებდა ოქროს საწმისს, რომელსაც დასავლეთიდან ვაჭრები ეხვეოდნენ, ხოლო ბრიტანეთისთვის ის საინტერესო იყო, როგორც სპარსეთისკენ მიმავალი უმოკლესი გზა.[8] კერზონი კეთილგანწყობილი იყო ქართველებისადმი. პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი თავის მემუარებში იხსენებდა: „მთავრობაში იყო ორი ძლიერი კაცი, რომლებიც ვნებიანი და დაუღალავი მომხრენი იყვნენ [რუსეთში] ინტერვენციის პოლიტიკისა. ერთი მათგანი იყო ლორდი კერზონი. მას ყველაზე მეტად საქართველოს ბოლშევიკური დაბინძურებისგან ხსნა აწუხებდა. მას კავკასიასთან მიმართებაში განსაკუთრებული გრძნობა ამოძრავებდა. იგი იმყოფებოდა ამ რეგიონში რამდენიმე წლით ადრე და აღფრთოვანდა მამაცი მთიელი ხალხით. ლენინისა და ტროცკის დესპოტიზმის ამარა მათი მიტოვების აზრი კერზონს საშინელი გრძნობებით აღავსებდა და მან ბოლომდე იბრძოლა საქართველოში ბრიტანული ჯარების დასატოვებლად“.[9]

კერზონი 1918 წლის მიწურულს აღმოსავლეთის კომიტეტს[10] ხელმძღვანელობდა. 1919 წლის იანვრიდან, საგარეო საქმეთა მი-

---

8 D. Gilmour, Curzon: Imperial Statesman, pg. 510, New York 2003; G. N. Curzon, Russia in Central Asia, Oxford 1889, p. 28-29; G. N. Curzon, Persia and The Persian Question, Vol. 1, London 1966, p. 61-69; CAB 23/43 Minutes of Imperial War Cabinet Meeting, June 25, 1918; CAB 24/95 CP 336 Memorandum on Transcaucasia by C. of K. December 24, 1919; CAB 27/24 Eastern Committee 40th Meeting, December 2, 1918 (annex).

9 D. Lloyd George, Memoirs of the Peace Conference, vol. I, Yale 1939, p. 213-214.

10 1918 წლის მარტში კაბინეტმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთის კომიტეტი, რომლის პასუხისმგებლობაშიც შედიოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან ინდოეთამდე ტერიტორიებზე მსჯელობა. კომიტეტი დაიშალა 1919 წლის 10 იანვარს და მის ადგილას წარმოიქმნა შუა აღმოსავლეთის საკითხებზე დეპარტამენტთაშორისი კონფერენცია (Interdepartmental Conference on Middle Eastern Affairs). თავმჯდომარედ კვლავინდებურად ლორდი კერზონი რჩებოდა. კომიტეტისაგან განსხვავებით, კონფერენცია არ ყოფილა მუდმივმოქმედი ორგანო. ის, საჭიროების მიხედვით, პერიოდულად იკრიბებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობისათვის როგორც აღმოსავლეთის კომიტეტის, ასევე დეპარტამენტთაშორისი კონფერენციის დადგენილებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა.

ნისტრ არტურ ბალფურის პარიზში გამგზავრების შემდეგ, იგი მინისტრის მოვალეობას ასრულებდა და იმავე წლის ოქტომბერში დაინიშნა კიდეც ამ თანამდებობაზე.

გარდა იმისა, რომ ქართველების მიმართ პირადი სიმპათია ჰქონდა, კერზონი პრაგმატიკოსი იყო. მას სურდა, ესარგებლა რუსეთის დასუსტებით და ბრიტანეთის გავლენა ჩრდილოეთ სპარსეთზე გაევრცელებინა. მან მოამზადა და 1919 წლის 9 აგვისტოს ხელი მოაწერა სპარსეთთან პროტექტორატის ხელშეკრულებას. იგი თვლიდა, რომ რუსეთის გაჩერება და მისგან სპარსეთისა და ინდოეთის დაცვა კავკასიის ქედზე შეიძლებოდა. ამის საუკეთესო საშუალებას კავკასიის დამოუკიდებელი, ბუფერული სახელმწიფოები იძლეოდნენ, რომელთათვისაც ბრიტანეთს მხარი უნდა დაეჭირა.[11]

მეორე მნიშვნელოვანი პიროვნება იყო სამხედრო მინისტრი უინსტონ სპენსერ ჩერჩილი. იგი თავგამოდებული ანტიბოლშევიკი და იმპერიალისტი გახლდათ და მხარს უჭერდა დენიკინისა და ადმირალ კოლჩაკის ბრძოლას ერთიანი რუსეთის აღდგენისათვის. ეს გეგმა წინააღმდეგობაში მოდიოდა კავკასიის დამოუკიდებლობასთან. მისი ხელმძღვანელობისას ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრო 100 მილიონ ფუნტზე მეტით დაეხმარა თეთრგვარდიელთა არმიებს. მას დენიკინის შტაბში მივლინებული ჰყავდა სამხედრო მისია (ე.წ. “Denmiss”), რომელიც ხშირად ქართველებს ელაპარაკებოდა რუსების და არა ბრიტანეთის სახელით. ჩერჩილი არაფრად აგდებდა პატარა ერების უფლებებს და დენიკინის ბრძოლას ქვეყნის გაერთიანებისთვის გარიბალდისტურ მოძრაობას ადარებდა.

[11] აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაციაზე სპარსეთის პარლამენტმა უარი განაცხადა. უფრო დაწვრილებით კავკასიასთან და სპარსეთთან მიმართებაში კერზონის პოლიტიკის შესახებ იხ. J. D. Rose, Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia. The International History Review, vol. 2, No. 2 (Apr. 1980), p. 266-287; D. Ewalt, The Fight for Oil: Britain in Persia, 1919. History Today, vol. 31, issue 9, 1981; J. Fisher, “On The Glacis of India”: Lord Curzon and British Policy in The Caucasus, 1919. Diplomacy and Statecraft, 1997, 8:2, p. 50-82; J. Fisher, Curzon and British Imperialism in the Middle East, 1916-1919, London, 1999; H. Sabahi – British Policy in Persia 1918-1925, London, 1990.

მის დაქვემდებარებაში მყოფ გენერლებს კომპეტენცია არ ჰყოფნიდათ, ერთმანეთისგან გაერჩიათ ბოლშევიკებისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების წითელი დროშები, ვერც ის გაეგოთ, სად გადიოდა ზღვარი დენიკინის მხარდაჭერასა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას შორის. შესაბამისად, 1918-1920 წლების კავკასიის ისტორიას წითელ ხაზად გასდევს დაპირისპირება დიდი ბრიტანეთის სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის.[12]

პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი დიდად არ აქტიურობდა კავკასიის გარშემო მიმდინარე დისკუსიებში, მაგრამ მისი სურვილი იყო, რაც შეიძლება მალე დაეხურა პრობლემატური „რუსეთის საკითხი“. იგი, კერზონისაგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ბაქოდან აღმოსავლეთით ბრიტანეთისათვის შექმნილ საფრთხეს ვერ ხედავდა. ლოიდ ჯორჯს ასევე ადარდება ჩერჩილის ახირებამდე მისული ანტიბოლშევიკური გეგმები. მას სურდა, ფორმაში მოეყვანა ომისშემდგომი ბრიტანული ეკონომიკა და ჩაეცხრო ლეიბორისტული ოპოზიციის პაციფისტური პროტესტი. ამისათვის საჭირო იყო ჯარების სახლში დაბრუნება და რუსეთში ვითარების დალაგება. პრემიერისათვის მთავარი იყო, ბრიტანეთს ომი დაესრულებინა და საკუთარ თავზე არ აეღო ანტიბოლშევიკურ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე პასუხისმგებლობა.

აღმოსავლეთის კომიტეტი და გენერლები

პირველი ვრცელი „მემორანდუმი სამხრეთ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ“ მოამზადა საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტმა. ის ხელმოწერილი არ არის, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი

[12] მოხალისეთა მოძრაობასა და ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს ურთიერთობათა შესახებ დაწვრილებით იხ. R. Ullman, Anglo-Soviet Relations 1917-1921, vol. II; 1968; L. Kopisto, The British Intervention in South Russia 1918-1920, Academic Dissertation Publicly Discussed at the University of Helsinki, Faculty of Arts, 2011; G. A. Brinkley, The Volunteer Army and Allied Intervention in South Russia 1917-1921, Notre Dame, 1966.

ავტორია საქართველოს ძველი მეგობარი ოლივერ უორდროპი.[13] დოკუმენტში უდავო ქართულ ტერიტორიებად არის გამოცხადებული ზაქათალა, ლორე, ახალციხე-ახალქალაქი, ოლთისი, არდაგანი, ბათუმი, ლაზისტანი და ისტორიული აფხაზეთი ტუაფსემდე. დოკუმენტში არის მცდელობა, მსოფლიო ომის მსვლელობისას წარმოქმნილი მძლავრი არმენოფილური მოძრაობის საპირწონედ, საქართველოს, როგორც რეგიონალური ლიდერის, სტატუსის დამკვიდრებისა. მასში ვკითხულობთ: „...სამხრეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებას ვერ გავიგებთ, თუ არ გავაანალიზებთ, რომ დომინანტ რასას რეგიონში წარმოადგენენ არა სომხები, არამედ ქართველები“.[14]

იმის გამო, რომ ბრიტანულ პოლიტიკურ ელიტაში 1918 წლამდე კავკასიას არ სწავლობდნენ და ჭირდა კომპეტენცია ამ მიმართულებით, ხსენებულ დოკუმენტს დაეყრდნო საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდგომი მემორანდუმებიც. 1 ნოემბერს იმავე პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტმა სამთავრობო უწყებებისათვის გამოუშვა „მემორანდუმი, ბრიტანეთის ინტერესების გათვალისწინებით, კავკასიის საკითხის სამომავლო მოგვარებაზე“. დოკუმენტი, ფაქტობრივად, იმეორებდა ქართული მხარის არგუმენტებს და სრულ შესაბამისობაში იყო საქართველოს ეროვნულ მისწრაფებებთან. მემორანდუმი დასაყრდენი დოკუმენტი გახდა აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტის იმპერიალისტური, ანტირუსული ნაწილისათვის. პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტი ემხრობოდა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას და, უპირველეს ყოვლისა, იძლეოდა რჩევას, ეღიარებინათ საქართველო, როგორც პოლიტიკურად და კულტურულად ყველაზე განვითარებული ქვეყანა, რომელსაც უძველესი ისტორია ჰქონდა. დოკუმენტი მოითხოვდა, რომ რეგიონზე მანდატი დიდ ბრიტანეთს ან ამერიკას აეღო.[15]

---

13 ვრცლად იხ. „სერ ოლივერ უორდროპი 150“ (რედ. ბექა კობახიძე), თბილისი, 2015.

14 CAB 24/68 GT 6176.

15 CAB 29/2 P-84 Peace Conference: Memorandum On Armenia and Transcaucasia, appendix no. 6.

7 ნოემბერს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, კერძოდ, სერ ეირ ქროუმ მოამზადა მორიგი ჩვიდმეტპუნქტიანი „მემორანდუმი შესაძლო ტერიტორიულ პოლიტიკაზე კავკასიაში“. მემორანდუმი მხარს უჭერდა კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, მაგრამ ამასთანავე ხაზს უსვამდა, რომ აუცილებელი იყო ფრთხილად მოქმედება, რათა აღდგენილ რუსეთს არ გასჩენოდა ბოროტი ზრახვები იმის გამო, რომ მოკავშირეებმა მისი დასუსტებით ისარგებლეს და ტერიტორიები გამოაცალეს. მემორანდუმი პირველ ამოცანად სახავდა რესპუბლიკებში არსებულ ხელისუფლებათა ცნობას, მაგრამ იმ ფორმით, რომ ნებისმიერ საჭირო მომენტში შესაძლებელი ყოფილიყო ვითარების შემობრუნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ რუსეთი მალევე აღდგებოდა, მაშინ შესაძლო იყო, რომ კავკასიის რესპუბლიკები ავტონომიური სახით მას შეერთებოდნენ, ხოლო თუ ყოფილ მეტროპოლიაში ანარქია დიდი ხნით გაგრძელდებოდა, ამ შემთხვევაში მათი დამოუკიდებლობა პერმანენტულ სახეს მიიღებდა. ერთი კი ცხადი იყო – რეგიონი ბრიტანეთის ინტერესის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს ესაზღვრებოდა და იმპერიას მსოფლიოს ამ ნაწილში ანარქია არ უნდა დაეშვა. მერვე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ საქართველო გახლდათ რეგიონში ყველაზე განვითარებული ქვეყანა და მისი აღიარება პრობლემას არ წარმოადგენდა.[16]

მომდევნო ეტაპზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ, იმავე ეირ ქროუმ, შეიმუშავა კავკასიის სახელმწიფოთა ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თანხვედრაში მოდიოდნენ პარიზში საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილ ტერიტორიულ მოთხოვნებთან. ბრიტანული გეგმის მიხედვით, საქართველოს უნდა მიკუთვნებოდა ეთნიკურად ქართული, თუმცა სარწმუნოებით მუსლიმური, ბათუმის ოლქი და ლაზისტანის სანჯაყი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ლორეს ოლქი. ზაქათალის ოლქთან მიმართებაში ნათქვამი იყო, რომ ეს ქართველებს, მთიელებსა და აზერბაიჯანელებს შორის სადავო

[16] CAB 27/36 EC 2359.

ტერიტორიაა, თუმცა, ქროუს მტკიცებით, ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის გამიჯვნა არ გაჭირდებოდა.[17]

ამ მემორანდუმებით შეიარაღებულმა კერზონმა აღმოსავლეთის კომიტეტის 2 და 9 დეკემბრის სხდომებზე 14-პუნქტიანი რეზოლუციის პროექტი წარადგინა. იგი კომიტეტს კავკასიის რესპუბლიკებისა და, პირველ რიგში, საქართველოს აღიარებას სთავაზობდა. კერზონი მიიჩნევდა, რომ მუსლიმანი ქართველებით დასახლებული ბათუმის ოლქი და ლაზეთი საქართველოს უნდა შეერთებოდა, მთლიანად რეგიონზე კი მანდატი ბრიტანეთს უნდა აეღო. მას შეეწინააღმდეგა საგარეო მინისტრი ბალფური. ეს უკანასკნელი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა ინდოეთის დაცვის ხაზის სულ უფრო დასავლეთით გადატანას, მეტადრე მაშინ, როცა მთავარი საფრთხე, რუსეთის სახით, აღარ არსებობდა. ბალფური დაუშვებლად მიიჩნევდა კავკასიაში ერთი დივიზიის ხანგრძლივად დატოვებას, რადგან ბრიტანეთისთვის უფრო პრიორიტეტულ მიმართულებებზე ერთი ოცეულის გამოყოფაც ჭირდა. მისი სკეპტიციზმი იქამდე მიდიოდა, რომ კავკასიის მიმართულებით პოლიტიკის შექმნის საჭიროებას საერთოდ ვერ ხედავდა. მის დამოკიდებულებას იზიარებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლორდი რობერტ სესილი და ინდოეთის საქმეთა მინისტრი ედვინ სამუელ მონთეგიუ. 16 დეკემბრის სხდომაზე კერზონს უფრო ზომიერი მემორანდუმის წარმოდგენა მოუწია, საიდანაც ამოღებული იყო მანდატისა და ჯარების ხანგრძლივი ვადით დატოვების საკითხები. ეს რეზოლუცია კომიტეტმა მიიღო. მართალია, მასში კვლავინდებურად დატოვებული იყო საქართველოს აღიარებისა და მასზე ბათუმი-ლაზეთის მიერთების საკითხები, მაგრამ კომიტეტმა და, შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტმაც რეგიონში აქტიური პოლიტიკის გატარებაზე უარი თქვეს.[18]

---

17 CAB 24/72 GT 6506 Maps Illustrating Memorandum Respecting the Settlement of Turkey and Arabian Peninsula.

18 CAB 27/24 Eastern Committee 40th Meeting, December 2, 1918 (annex); 42th Meeting, December 9, 1918 (annex); 43th Meeting, December 16, 1918; CAB 24/72 GT 6512; CAB 27/38 EC 2715 A.

აღსანიშნავია, რომ იმპერიის ხელისუფლება არ დაინტერესდა სამხრეთ კავკასიის მდიდარი ბუნებრივმა რესურსებით, კერძოდ, ჭიათურის მანგანუმითა და ბაქოს ნავთობით და ეს ფაქტორი კატალიზატორად ვერ იქცა.

მანგანუმის ნომერ მეორე მწარმოებელი მსოფლიოში ბრიტანეთის კოლონია ინდოეთი იყო და იმპერიას ეს ნედლეული დამატებით არ სჭირდებოდა.

ბაქოს ნავთობით საიმპერიო საომარი კაბინეტის დაინტერესებას ლორდი კერზონი ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოში შეეცადა. ბრიტანეთი დამოკიდებული იყო შეერთებული შტატებიდან იმპორტირებულ ნავთობზე. კერზონმა აღნიშნული დამოკიდებულების შესამცირებლად მსოფლიოში უმდიდრეს ბაქოს საბადოებზე ბრიტანეთის მიერ კონტროლის დამყარების იდეა წამოაყენა. ეს გეგმა, რასაკვირველია, სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაზე იმპერიის კონტროლის დაწესებას მოითხოვდა, რაც კერზონის აღმოსავლური გეგმის ნაწილი იყო. ბალფურმა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის მხრიდან უსაფრთხოების საკუთარ თავზე აღებას ეწინააღმდეგებოდა, იქვე მიუთითა, რომ მესოპოტამიის ნავთობსაბადოები, არსებული მონაცემებით, უმდიდრესი და ბაქოს საბადოებზე უკეთესი უნდა ყოფილიყო.[19] მესოპოტამია, რომელიც საიქს-პიკოს შეთანხმებით ბრიტანულ გავლენის სფეროდ იყო გამოცხადებული, განსხვავებით ტრადიციულად რუსეთის მფლობელობაში მყოფი ბაქოსაგან, იმპერიისათვის უფრო მომგებიანი და უსაფრთხო იყო.

საქართველოსთვის პოზიტიური მოვლენა იყო ის, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მას რეგიონის ლიდერ სახელმწიფოდ განიხილავდა. აღმოსავლეთის კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციას მოჰყვა ქართული მხარისადმი გაგზავნილი ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბრიტანეთი მიესალმებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მზად იყო, მისი

[19] CAB 23/43 Minutes of Meeting of The Imperial War Cabinet, August 13, 1918.

აღიარება საერთაშორისო კონფერენციაზე დაეცვა.[20] ეს ქართული მხარისათვის მოულოდნელად სასიხარულო აღმოჩნდა, რადგან მოვლენები მისი თვალთახედვის მიღმა ვითარდებოდა.

თუმცა 1919 წლის დასაწყისისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონში წარმომადგენლები არ ჰყოლია. ადგილზე მყოფი გენერლები დიპლომატიურ ფუნქციებს ითავსებდნენ. მათი ურთიერთობა საქართველოს მთავრობასთან უკიდურესად დაიძაბა. რეალურ ინფორმაციას მოკლებული ქართველები ვერ ხვდებოდნენ, თუ როგორ მოდიოდა შესაბამისობაში ბრიტანელ გენერალთა ქმედება იმავე სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტასთან. საქართველოს მთავრობა უკმაყოფილო იყო იმით, რომ ბრიტანელებმა ბათუმის ოლქის სამოქალაქო ადმინისტრაცია, ფაქტობრივად, რუსთა ეროვნულ საბჭოს გადასცეს. 1918 წლის ბოლოს, სომხეთთან ომის გამო, საქართველომ აფხაზეთის ფრონტიდან ჯარები სამხრეთის მიმართულებით გადაისროლა და ბრიტანელებისგან პირობა მიიღო, რომ დენიკინი აფხაზეთს არ შეუტევდა. 1919 წლის თებერვალში რუსმა გენერალმა სოჭი და გაგრა დაიკავა, ხოლო ბრიტანელებმა მის შესაჩერებლად ვერაფერი იღონეს. თავის მხრივ, მისი უდიდებულესობის გენერლები საქართველოს მთავრობას სოციალიზმსა და ნაციონალიზმს უწუნებდნენ. 1919 წლის 6 თებერვალს შავი ზღვის ძალების სარდალმა, გენერალმა ჯორჯ მილნმა, ლონდონში გაგზავნა პირველი ვრცელი მოხსენება, რომელშიც იგი ქართველ სოციალ-დემოკრატებს შოვინისტებად და ბოლშევიკებზე უფრო რადიკალურ სოციალისტებად მოიხსენიებდა. მილნი ამტკიცებდა, რომ აჭარლებს ქართველები ეზიზღებოდათ და მათთან შეერთების ეშინოდათ.[21] ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბის უფროსის, ფელდმარშალ სერ ჰენ-

[20] FO 608/88 no. 12272; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 46, ფურც. 25; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი 2011, გვ. 195.

[21] WO 106/1396; FO 608/84 no. 2870; FO 371/3661 File 677-1015, Interdepartmental Conference On Middle Eastern Affairs, 11th Minutes, March 6, 1919 (appendix I).

რი უილსონისადმი, მიწერილ პირად წერილში მილნი მეტ გულახდილობას ავლენდა და აცხადებდა, რომ რეგიონის ყველა მაცხოვრებელს თუნდაც ერთმანეთისთვის ყელები გამოეჭრათ, ისინი ერთი ბრიტანელი ჯარისკაცის სიცოცხლედაც კი არ ღირდნენ და ამიტომ ბრიტანული ჯარების რეგიონში დატოვება საჭირო არ იყო.[22]

მოცემულობა გახლდათ ის, რომ მილნი რეგიონში ყველაზე მაღალი თანამდებობაზე მყოფი ბრიტანელი იყო და ლონდონი ადგილიდან ინფორმაციას სწორედ მისი მეშვეობით იღებდა. მილნის და სხვა გენერლების გზავნილები ანადგურებდნენ კერზონისა და სხვათა მიერ საქართველოსთვის შექმნილ პოზიტიურ იმიჯს და ძირს უთხრიდნენ რეგიონის დამოუკიდებლობას.

კავკასია 1919: რუსეთის საკითხის ნაწილი

კავკასია ცალკე არც ერთ ეტაპზე არ განხილულა. საქართველო, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ სომხეთი და ჩრდილო კავკასია ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთის საკითხის ნაწილი იყო, ხოლო დასავლეთ სომხეთი – ოსმალეთისა. თავისთავად, რუსეთის საკითხი გამარჯვებული მოკავშირეებისთვის ბევრად უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ცალკე აღებული კავკასია.

ბრიტანეთის ეკონომიკა და საზოგადოება საკმარისად დაიღალა ოთხწლიანი ომით. ლოიდ ჯორჯს რუსეთის საკითხის დასარეგულირებლად რესურსების დახარჯვა აღარ სურდა.

საწყის ეტაპზე, 1919 წლის იანვარ-თებერვალში, მოკავშირეებმა იოლი გამოსავლის პოვნა გადაწყვიტეს და რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ყველა სუბიექტს მოუწოდეს, შეკრებილიყვნენ კონფერენციაზე, რომელიც მარმარილოს ზღვაში პრინკიპოს კუნძულებზე უნდა გამართულიყო. მხარეთა პოზიცი-

[22] J. Fisher, "On The Glacis of India": Lord Curzon and British Policy in The Caucasus, 1919, p. 54, Diplomacy and Statecraft, 1997, 8:2.

ები ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდებოდა, რომ არათუ ერთი კონფერენციის ფარგლებში რუსეთის მომავლის მშვიდობიანი განსაზღვრა, არამედ შეხვედრაც ვერ მოხერხდა. თეთრი არმიის წარმომადგენლებს არ სურდათ ბოლშევიკებთან ერთად შემოსხდომოდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას; თავად ბოლშევიკები ოფიციალურ მიწვევასა და მათი პოზიციების გარკვეულ ლეგიტიმაციას ელოდნენ; კავკასიელები და პატარა ერთა სხვა წარმომადგენლები კი თვლიდნენ, რომ ისინი რუსეთს აღარ ეკუთვნოდნენ და ამ კონფერენციაზე არაფერი ესაქმებოდათ.

მომდევნო ეტაპზე, 1919 წლის აპრილ-მაისში, ადმირალმა კოლჩაკმა გადალახა ურალის ქედი, დაიძრა მოსკოვისკენ და შექმნა ილუზია, რომ ის ბოლშევიკებს დაამარცხებდა. მოკავშირეებმა განიზრახეს, მასთან შეთანხმების გარკვეული პირობები დაედოთ მანამდე, სანამ იგი ხელისუფლებას ხელში ჩაიგდებდა. სხვა საკითხთა შორის, ისინი მოითხოვდნენ, რომ კოლჩაკს ეღიარებინა პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობა, ხოლო ესტონეთის, ლატვიის, ლიტვისა და „კავკასიური და ტრანსკასპიური ტერიტორიებისთვის“ ავტონომია მიენიჭებინა. როგორც ვხედავთ, განსხვავებით ბალტიის სახელმწიფოებისგან, კავკასიური სუბიექტები ინდივიდუალურადაც არ ყოფილან ჩამოთვლილნი და რეგიონულ „ტერიტორიად“ მათი მოხსენიება შეურაცხმყოფელიც იყო. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი, პროფესორი ჯეიმს სიმპსონი, რომელიც მთლიანობაში სიმპათიით იყო განწყობილი პატარა ეროვნებებისადმი, ცალ-ცალკე არწმუნებდა თითოეულ მათგანს, რომ დაესახელებინათ, ავტონომიის რა ფორმა სურდათ და მოკავშირეები კოლჩაკს ამ პირობებზე დაიყოლიებდნენ. სიმპსონმა თანხმობა ვერავისგან მიიღო. სრული დამოუკიდებლობა ე. წ. „განაპირა სახელმწიფოთა“ ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო.[23]

[23] CAB 29/38, ff. 142-143; FRUS, PPC, Vol. 6, pp. 34-36; სცსა, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმე 129, ფურც. 21-25; Charlotte Alston, ‘The Suggested Basis for a Russian Federal Republic’: Britain, Anti-Bolshevik Russia and the Border States at the Paris Peace Conference, 1919, History, January 2006, Vol. 91(301), p. 24-44.

კოლჩაკზე გაცემული ავანსები ნაადრევი აღმოჩნდა. მან ჯერ შეტევა შეაჩერა, მერე უკან დაიხია, 1919 წლის ბოლოსთვის კი საბოლოოდ განიცადა მარცხი. 1920 წელს იგი ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

კავკასიელებისთვის რთული იყო ბრიტანელების რუსებთან შუამავლობისთვის დაეჯერებინათ. დენიკინი ზედიზედ არღვევდა ბრიტანელთა მიერ დაწესებულ წითელ ხაზებს: ჯერ სოჭისა და გაგრის ოკუპაცია განახორციელა, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ კავკასია დაიკავა, 1919 წლის ივნისში კი დაღესტანში შევიდა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა გაანადგურა. ახლა ის ყველა მხრიდან ემეზობლებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანს. ეს უკანასკნელნი სიტყვიერი დაპირებების იმედად ვერ დარჩებოდნენ.[24]

თუმცა დენიკინს ჯერ არ შეეძლო სამხრეთ კავკასიის წინააღმდეგ ძალების მობილიზება. იგი მოსკოვისკენ გენერალურ მარშს 1919 წლის სექტემბერში იწყებდა და ისიც ქმნიდა ილუზიას, რომ ბოლშევიკთა ხელისუფლებას დაასრულებდა. ამ დროს, 3 ნოემბერს, ლონდონში იტალიის ელჩმა, მარკიზმა იმპერიალიმ, ოფიციალური კითხვა გაუგზავნა კერზონს: იტალია მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დააყენებდა საქართველოს აღიარების საკითხს თუ ბრიტანეთი მას მხარს დაუჭერდა. კერზონმა 14 ნოემბერს უპასუხა, რომ საქართველოსთან იყო დაკავშირებული ამერკავკასიის დანარჩენი ქვეყნების საკითხებიც და ყველანი ერთად დამოკიდებულნი იყვნენ უფრო დიდი, რუსეთისა და ოსმალეთის საკითხების დარეგულირებასთან. სანამ რუსეთის მომავალი არ გაირკვეოდა, ბრიტანეთი საქართველოს მიმართ ზოგადი სიმპათიის

24 WO 32/5678, f.154A, War Office to General Officer Commanding in Chief (GOC), Constantinople, June 6, 1919; FO 608/85 no. 12226; WO 32/5678 f. 162A, War Office to General Holman in Ekaterinodar; FO 371/3662/1015/100460/58; FO 608/88 no. 15996, War Office to GOC Constantinople, July 17, 1919; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, London, 1949, p. 451; FO 371/3662/1015/100552/58; FO 371/3663/1015/121653/58; FO 608/88 no. 14304, Ekaterinodar to Troopers in London, July 5, 1919.

გამოხატვის იქით ვერ წავიდოდა.[25] კერზონი დენიკინის მოსკოვური მარშის შედეგებს ელოდა და რისკს ერიდებოდა.

ბრიტანული ჯარების ევაკუაცია

ლოიდ ჯორჯი 1919 წლის 16 იანვარს რუსეთში მიმდინარე პროცესების შესახებ აცხადებდა, რომ ომი დასრულებულად ვერ ჩაითვლებოდა და მშვიდობა ვერ დამყარებოდა, ვიდრე ევროპისა და აზიის ნახევარი ცეცხლის ალში იყო გახვეული.[26] სხვა მხრივ, ბრიტანეთის ომის შემდგომი სამხედრო და მატერიალური ვალდებულებებისგან გათავისუფლება, ჯარების სახლში დაბრუნება მისი მთავარი ამოცანა იყო. იგი რუსეთს ადარებდა მცოცავ ქვიშას, რომელსაც მილიონობით არმიათა ჩაყლაპვა შეეძლო და ამის მაგალითად ნაპოლეონი მოჰყავდა. ლოიდ ჯორჯის აზრით, რუსებს საკუთარი საკითხი თავად უნდა მოეგვარებინათ.[27] ის ვერ ხედავდა კავკასიის გავლით ინდოეთზე რუსეთის შეტევის საფრთხეს, რადგან ეს რუსეთის ძლევამოსილმა იმპერიამაც კი ვერ მოახერხა და ნგრევის პროცესში მყოფი ყოფილი იმპერიისგან საშიშროება უფრო ნაკლები იყო.[28]

ზოგადად, რუსეთთან მიმართებაში ლოიდ ჯორჯისა და ჩერჩილის მოსაზრებები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდა, მაგრამ კავკასიიდან ჯარების ევაკუაციის საკითხში ისინი კერზონის წინააღმდეგ ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ. 1919 წლის 6 მარტს შუა აღმოსავლეთის საკითხებზე დეპარტამენტთაშორისი კონფერენციის სხდომაზე სწორედ ეს თემა განიხილებოდა. ჩერ-

25 Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, London 1949, p. 624; FO 371/3664 File 1015 no. 149045; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, p. 647, London 1949; FO 371/3664 File 1015 no. 149045.

26 FRUS, PPC, Vol. 3, 591.

27 The Times – November 10, 1919.

28 CAB 23/42 Minutes of a Meeting of the Imperial War Cabinet, December 12, 1918.

ჩილმა განაცხადა, რომ კავკასია ეკუთვნოდა რუსეთს, ახლა ყოფილ იმპერიაში არეულობა იყო, მაგრამ რუსეთი ადრე თუ გვიან აღდგებოდა და ისევ დაიკავებდა ამ რეგიონს. მას არ ესმოდა, რატომ უნდა დაეხარჯა ბრიტანეთს რესურსები იმაზე, თუ რა მოხდებოდა კავკასიაში რუსეთის დაბრუნებამდე. კერზონმა მასთან ბრძოლა წააგო. გადაწყდა ჯარების ევაკუაცია, მაგრამ კონკრეტული თარიღი არ დასახელებულა. კერზონის მოთხოვნით, დენიკინს ბრიტანეთისგან დახმარების მიღების პირობად ამიერკავკასიის საქმეებში ჩაურევლობა უწესდებოდა.[29]

ლოიდ ჯორჯს არ უნდოდა რეგიონიდან გაქცევა, მას ღირსეული გამოსვლა სურდა, რადგან არსებობდა თურქების მხრიდან სომხების განმეორებითი ხოცვა-ჟლეტის საფრთხე, რაზეც მორალური პასუხისმგებლობა ბრიტანეთს დაეკისრებოდა. საჭირო იყო შემცვლელის პოვნა. ლოიდ ჯორჯი ამ წინადადებით იტალიის პრემიერ-მინისტრ ვიტორიო ორლანდოსთან 1919 წლის მარტის ბოლოს მივიდა და „აღთქმული მიწა“ (*terra di promessa*) შესთავაზა. ორლანდომ შეთავაზება მიიღო, მაგრამ ამ წამოწყებისადმი სკეპტიკურად იყო განწყობილი იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელ III და პოლიტიკური ელიტის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი. მონარქი კითხვას სვამდა, თუ რატომ გადიოდნენ ბრიტანელები რეგიონიდან. ისინი არასდროს ტოვებდნენ ტერიტორიას, რომელიც რამედ ღირდა. მას აღმდგარ რუსეთთან შეტაკების ეშინოდა, რადგან იტალიას საამისო რესურსი არ გააჩნდა. ორლანდომ, წინააღმდეგობის მიუხედავად, საკითხი მაინც თავის სასარგებლოდ გაიტანა. 19 ივნისს, როდესაც იტალიური ჯარები ტარანტოს პორტში იკრიბებოდნენ და კავკასიაში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ, პარლამენტმა პრემიერ-მინისტრს იმპიჩმენტი გამოუცხადა, ხოლო ახალმა პრემიერმა ფრანჩესკო ნიტიმ მყისიერად შეცვალა გადაწყვეტილება. წამოწყება ჩავარდა.[30]

---

29 FO 371/3661 File 677-1015, Interdepartamental Conference On Middle Eastern Affairs, 11th Minutes, March 6, 1919.

30 ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. M. Petricioli, L'Occupazione Italiana Del Caucaso: "Un Ingrato Servizio" Da Rendere A Londra, Milano, 1972.

ჩერჩილი ეშურებოდა ჯარების გაყვანას. ამის გამო, კერზონიც ჩქარობდა მათი შემცვლელის პოვნას. მას ლონდონში ამერიკის ელჩ ჯონ დევისთან ჰქონდა მოლაპარაკება, რომ ამერიკას აეღო მანდატი სომხეთსა და კავკასიაზე. პრეზიდენტი ვუდრო უილსონი კი ეთანხმებოდა ამ ინიციატივას, მაგრამ მას კონგრესის თანხმობა სჭირდებოდა. რესპუბლიკური უმრავლესობა მტრულად იყო განწყობილი დემოკრატი პრეზიდენტისადმი, ამიტომ ის არც ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციას აპირებდა, არც ერთა ლიგაში შესვლას და არც სომხეთზე მანდატის აღებას.[31]

ციინიკური იყო საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ დაიცავდა კავკასიელ სომხებს, ოღონდ მათ დასაცავად 12 000 ჯარისკაცს გაგზავნიდა არა ბათუმიდან, არამედ კილიკიიდან. თავიდანვე ცხადი იყო, რომ კლემანსოს სომხების დაცვა არასდროს უფიქრია, მას კილიკიის ოკუპაცია უნდოდა. ფრანგმა ჯარისკაცებმა დაიკავეს სამხრეთ ანატოლიის ეს რეგიონი და საქმე ამით დამთავრდა.[32]

ბრიტანულ ჯარებს შემცვლელი არ გამოუჩნდა. მათი მოქმედებით უკმაყოფილო კავკასიელებმა, დენიკინმა, ამერიკელებმა და სხვებმა გაანალიზეს ევაკუაციით გამოწვეული საფრთხეები: საქართველოსა და აზერბაიჯანს დენიკინის შემოტევის ეშინოდათ, სომხებს – თურქებისა და აზერბაიჯანელების, დენიკინს – დახმარების შესუსტების. მათ ცალ-ცალკე მრავალგზის მოუწოდეს ბრიტანელებს დარჩენისკენ, მაგრამ ევაკუაცია 15 აგვისტოს დაიწყო და 15 სექტემბერს დასრულდა. ბათუმში დარჩა ერთი ბრიგადა, რომელიც აგრძელებდა ბრიტანული ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში სამსახურს.

31 R. Hovannisian, The Republic of Armenia, Vol. 2, pp. 114-117, Los Angeles, 1982.

32 R. Hovannisian, The Republic of Armenia, Vol. 2, pp. 122-131, Los Angeles, 1982.

მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისარი

ჯარების ევაკუაციით გამოწვეული საფრთხეების დასაბალანსებლად ლორდმა კერზონმა ამიერკავკასიაში მისი უდიდებულესობის უმაღლესი კომისარი ოლივერ უორდროპი მიავლინა. ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრო გავიდა რეგიონიდან და შევიდა საგარეო საქმეთა სამინისტრო.

უორდროპის გამოგზავნა გარიგებულ თამაშს ჰგავდა. მისმა ძველმა მეგობარმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა 1919 წლის 26 მაისს მას წერილი მისწერა, შესჩივლა ბრიტანელი გენერლების უარყოფით ქმედებებზე და ისურვა, რომ ბრიტანეთის წარმომადგენელი კავკასიაში თავად უორდროპი ყოფილიყო. უორდროპმა ეს წერილი კერზონს გადაუგზავნა.[33] იმავდროულად, 30 მაისს ბრიტანეთში საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა დავით ღამბაშიძემ პირადი თხოვნა გაუგზავნა თავის მეგობარს, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელ პროფესორ სიმპსონს, რომ ეს უკანასკნელი უორდროპს კავკასიაში წარმომადგენლის სტატუსის მოპოვებაში დახმარებოდა.[34] ქართულ-ბრიტანულ სამეგობრო წრეში დატრიალებული ეს ამბავი ლორდმა კერზონმა აიტაცა და უორდროპი უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე დანიშნა. უორდროპი 32 წლის განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული რეგიონთან და ფლობდა ქართულ ენას. მას სამეგობრო წრეც ჰყავდა და ექსპერტული ცოდნაც ჰქონდა. გარდა ამისა, იგი საგარეო საქმეთა მინისტრის მოკავშირედაც გამოდიოდა, რადგან კერზონი პროკავკასიურ პოლიტიკას მის რეპორტებზე დაყრდნობით უფრო უკეთ განახორციელებდა, ვიდრე ბრიტანელი გენერლების მიერ მოწოდებული უარყოფითი დასკვნების გათვალისწინებით.

უორდროპს 1919 წლის 30 აგვისტოს საქართველოში დახვდნენ, როგორც მხსნელს, მეგობარსა და იმედს. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტო-

33 FO 371/3662/1015/81465/58; FO 608/88 no. 12302.

34 FO 608/85 no. 14477.

რი ჯორჯ კიდსტონი აღნიშნავდა, რომ უორდროპი სამინისტროს საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნის შესახებ გაგზავნილი ვრცელი რეპორტებით „ბომბავდა“. ამ მომენტიდან საქართველოსა და ბრიტანეთს შორის გაუგებრობა, გაუცხოება გაქრა. საქართველოს მთავრობის მიერ გამოთქმული წუხილები და სურვილები მყისიერად იგზავნებოდა ლონდონში სტატუსით „სასწრაფო“ ან „ძალიან სასწრაფო“. გარდა დამოუკიდებლობის აღიარებისა, უმაღლესი კომისარი ბათუმის ოლქის, ლაზეთისა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლასაც ლობირებდა. უორდროპი დაუპირისპირდა გენერალ მილნს. იგი საკუთარი ქვეყნისგან მოითხოვდა, რომ ბათუმში განლაგებულ ბრიტანულ ჯარებში გაეგზავნათ ინსპექცია, რომელსაც რუსული აგენტურა უნდა გამოევლინა. უორდროპმა, რომელიც კავკასიაში ერთიანი, დამოუკიდებელი პოლიტიკური სივრცის შექმნაზე ოცნებობდა, 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შუამავლობა გაუწია სომხეთ-საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებს.[35]

დე ფაქტო აღიარება

დენიკინის მარში მოსკოვისკენ კრახით დასრულდა. 1920 წლის იანვრისთვის ის საბოლოოდ დამარცდა და ბოლშევიკები ამიერკავკასიის ქვეყნებს დაუმეზობლდნენ. რუსეთის საკითხი გაცხადდა და ის გაცხადდა წითლების სასარებლოდ. 2 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა ნოტა გაუგზავნა საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო მინისტრებს. ის ამ ქვეყნებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ მოიხსენიებდა და მუქარანარევი ტონით მოუწოდებდა, შეერთებოდნენ საბჭოთა რუსეთს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში, „სანამ გვიანი არ არისო“, დაასკვნიდა ჩიჩერინი.[36]

---

35 სერ ოლივერ უორდროპი 150 (რედ. ბექა კობახიძე), თბილისი, 2015, გვ. 9-21.

36 სცსა, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 242, ფურც. 3.

ბოლშევიკები უკონტროლონი იყვნენ. მათ შეეძლოთ, გადასულიყვნენ სამხრეთ კავკასიაში და შემდეგ ექსპანსია განევრცოთ სპარსეთისკენ ან უფრო შორსაც. ბრიტანეთს ჯარები ჰყავდა ბათუმში, სამხრეთ კასპიის პორტ ენზელიში, პროტექტორატის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სპარსეთთან, დასაცავი იყო „ბრიტანული აღმოსავლეთი". ბუნებრივია, ამ საფრთხეებს იმპერია უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. უოდროპმაც თავისი ქნა – იგი იანვრის პირველ რიცხვებში დღეში 2-3 რეპორტს აგზავნიდა ლონდონში კავკასიური ქვეყნების აღიარებისა და მათთვის შეიარაღების მიწოდების მოთხოვნით.[37]

კერზონმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და კავკასიის რესპუბლიკების აღიარების საკითხი მოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე პარიზში წაიღო.

საგარეო საქმეთა მინისტრის სასარგებლოდ იყო შეცვლილი ლოიდ ჯორჯის პოზიციაც. შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, პრემიერმა თავისი რუსული პოლიტიკის სამპუნქტიანი გეგმა ჩამოაყალიბა: 1. რუსეთის სამოქალაქო ომიდან ბრიტანეთის გამოთიშვა; 2. საბჭოთა ხელისუფლებასთან ვაჭრობის დაწყება; 3. რუსეთის დაშლა, რაც პატარა ეროვნებათა დამოუკიდებლობების წახალისებას ითვალისწინებდა.[38]

ეს ყველაფერი ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა კავკასიის დამოუკიდებლობის გამყარებისთვის. კერზონის ინიცირებით, 10 იანვარს გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა დე ფაქტოდ აღიარეს საქართველო და აზერბაიჯანი, ხოლო 19 იანვარს – სომხეთი.[39]

კავკასიას ოქროს პერიოდი დაუდგა. პირველად და უკანასკნელად 1918-1921 წლების ისტორიაში ის მსოფლიო პოლიტიკის მთა-

---

37 Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pp. 741-742, London 1949; FO 371/3666/1015/167875/58; FO 371/3666/1015/168506/58; FO 371/3666/1015/169174/58; FO 371.3666/1015/169118/58; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. III, pp. 748-749, London 1949; FO 608/271 no. 19; FO 371/3666/1015/169209/58.

38 R. Hovannisian, The Republic of Armenia, Vol. 2, pp. 122-131, Los Angeles 1982.

39 Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. II, pp. 796-797, London 1948; FRUS PPC, Vol 9, 958-959; CAB 29/41 C. M. 1.

ვარ საკითხად იქცა. საქართველოს მეწინავე სტატიებს უძღვნიდნენ დიდ სახელმწიფოთა მთავარი გაზეთები, მასზე მსჯელობდნენ მინისტრთა კაბინეტები. თუკი გამარჯვებულებს ოდესმე უნდა გადაეწყვიტათ, რომ რეგიონი რუსული აგრესიისგან ხანგრძლივად დაეცვათ, ეს 1920 წლის იანვარში უნდა მომხდარიყო.

ცხადია, ყველა და, პირველ რიგში, კერზონი, ხვდებოდა, რომ დე ფაქტო აღიარება დაცვის გარანტიებს არ იძლეოდა. საჭირო იყო ჯარების რეგიონში დაბრუნება ან, სულ ცოტა, რესპუბლიკებისათვის შეიარაღების მიწოდება. ბრიტანეთის კაბინეტი სამი დღე – 16, 18 და 19 იანვარს – მსჯელობდა ჯარების გაგზავნის საკითხზე. საჭირო იყო კასპიის ზღვის ოკუპაცია და იქ განლაგებული ფლოტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კავკასიაში ორი დივიზიის გაგზავნა. ამ საკითხზე თანხმდებოდა ყველა. გარდა კერზონისა, ლოიდ ჯორჯსა და ინდოეთის საქმეთა მინისტრ მონთეგიუსაც კავკასიის სასარგებლოდ ჰქონდათ შეცვლილი პოზიცია. ბრიტანული საზღვაო ძალების მეთაური ადმირალი ბიტიც მომხრეთა შორის ფიგურირებდა. ამ ზეგავლენამ ჩერჩილიც აიძულა, ნეიტრალური პოზიცია შეენარჩუნებინა. ერთადერთი მოწინააღმდეგე იყო იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი, ფელდმარშალი სერ ჰენრი უილსონი. ის გახლდათ უნიონისტი ირლანდიელი, რომელიც ირლანდიის განმათავისუფლებელმა ორგანიზაცია IRA-მ 1922 წელს სიცოცხლეს გამოასალმა. უილსონი პატარა ერთა ადგილს მსოფლიო რუკაზე ვერ ხედავდა. მას მიაჩნდა, რომ კავკასია ლენინს ეკუთვნოდა და რეგიონი სწორედ მას უნდა დაეკავებინა. ფელდმარშალი კაბინეტის სხდომაზე აცხადებდა, რომ ჯარები არ ჰყავდა და შემდეგ საკუთარ დღიურში ერთგვარი თვითკმაყოფილებითაც შენიშნავდა, რომ „ქურთუკიანების“[40] გეგმა მან ჩააგდო.[41]

---

40 ასე უწოდებდა იგი პოლიტიკოსებს.

41 CAB 23/35 S-10, Notes of a Cabinet Conference, January 16, 1920; CAB 23/35 S-11, Notes of a Cabinet Conference, January 18, 1920; CAB 23/35 S-12, Notes of a Cabinet Conference, January 19, 1920; C. E. Callwell, Field-Marshal Sir Henry Wilson: His Life and Diaries, pg. 224, New York, 1927.

19 იანვარს პარიზში მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს სხდომა შედგა. მას ესწრებოდნენ ლოიდ ჯორჯი, კერზონი, ჩერჩილი, ჰენრი უილსონი, კლემანსო, მარშალი ფერდინანდ ფოში, ფრანჩესკო ნიტი და სხვ. სხდომამ საქართველოსა და აზერბაიჯანელების წამომადგენლებსაც მოუსმინა. ამ მომენტისათვის ბრიტანული მხარის პოზიცია, რომ ის რეგიონში ჯარებს არ გაგზავნიდა, უკვე გარკვეული იყო. საუბარი ეხებოდა კავკასიის ქვეყნებისთვის შეიარაღების გაგზავნას. ამ სხდომაზე აღიარეს სომხეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობაც. ლოიდ ჯორჯმა მოახერხა და გაიტანა რესპუბლიკებისთვის სამხედრო შეიარაღების გაგზავნის საკითხი. შემოთავაზებას ძუნწად დაეთანხმნენ საფრანგეთისა და იტალიის პრემიერებიც. თუმცა გადაწყვეტილება ჰენრი უილსონს გენერალ ჯორჯ მილნის ხელით უნდა განეხორციელებინა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხვრის ფარა მგლების ხელში აღმოჩნდა და ეს ინსტიტუციური გარდუვალობა იყო.[42]

ბათუმის საკითხი

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება არასდროს შესრულებულა. უილსონმა დრო იქამდე გაწელა, სანამ ბაქოს ოკუპაციის შემდეგ კავკასიის საკითხმა აქტუალობა არ დაკარგა და ყველას დაავიწყდა.

მთავარი თემა, რომელიც ბრიტანულ პოლიტიკაში რეგიონს პრიორიტეტს უნარჩუნებდა, იყო ბათუმში განლაგებული ბრიგადა, ამ ოლქის მომავალი და, მისი გავლით, სპარსეთთან დამაკავშირებელი გზა. ბათუმში ჯარის ყოლა შედარებით უსაფრთხო იყო, რადგან, ჭარბი ბოლშევიკური სამხედრო ძალის თავდასხმის შემთხვევაში, ადვილი იქნებოდა ევაკუაცია. თუნდაც მხოლოდ ერთი ბრიტანული ბრიგადის განლაგება რეგიონში რუსული აგრესიის წინააღმდეგ პოლიტიკური შემაკავებლის როლს ასრულებდა.

---

42 FRUS PPC, Vol. 9, pp. 890-902; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. II, London 1948, pp. 915-925; CAB 29/81 ICP – 21.

1919 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, ბრიტანული ჯარების კავკასიიდან ევაკუაციის დროს, ბათუმის მომავლის შესახებ ინტენსიური მსჯელობა მიდიოდა. სამხედრო სამინისტროს სამხედრო ოპერაციათა დეპარტამენტის უფროს გენერალ პერსი რადკლიფს მიაჩნდა, რომ ბრიტანეთს ჯარები უნდა გამოეყვანა და ოლქი დენიკინისთვის გადაეცა. უორდროპის აზრით, ბათუმი საქართველოს უნდა შეერთებოდა, რადგან ეჭვგარეშე იყო მისი ისტორიული კუთვნილება და დემოგრაფიული შემადგენლობა. გენერალი მილნი ფიქრობდა, რომ დენიკინისათვის ოლქის გადაცემა მთელი სამხრეთ კავკასიის რუსეთისათვის ჩაბარებისა და დიდი არეულობების ტოლფასი იქნებოდა. სხვა მხრივ, განაგრძობდა მილნი, „საქართველოს კორუმპირებულ ხელისუფლებას“ გაუჭირდებოდა მისდამი არალოიალური მოსახლეობის მართვა, თავს იჩენდა მტრულად განწყობილი თურქეთისა და რუსეთის ინტრიგებიც. ეს რეგიონი იყო დასავლეთთან კავკასიის დამაკავშირებელი რგოლი, ერთგვარი გასაღები და მასზე დამოკიდებული იყო როგორც სომხეთი, ასევე აზერბაიჯანი. ამ გასაღების მხოლოდ საქართველოს ხელში ჩაგდება ამიერკავკასიაში ძალთა ბალანსს დაარღვევდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბრიტანეთის შავი ზღვის ძალების სარდალი ბათუმის ოლქის ინტერნაციონალიზაციისა და ბრიტანული ჯარების საერთაშორისო ჟანდარმერიით ჩანაცვლების რეკომენდაციას იძლეოდა.[43]

ბათუმიდან ჯარების ევაკუაცია იოლი იყო, შავი ზღვის ბრიტანული და ფრანგული ფლოტების მიერ ოკუპაციის გამო, ისინი ადგილზე თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ, ამიტომ მდგომარეობის გარკვევამდე ოლქში ერთი ბრიტანული ბრიგადის დატოვება და სამოქალაქო მმართველობის შენარჩუნება გადაწყდა.[44]

კერზონს მიაჩნდა, რომ აზერბაიჯანს დამოუკიდებლად არსებობის ისეთივე უფლება ჰქონდა, როგორიც სპარსულ პროვინცია

---

43 FO 371/3663 no. 1015, Minutes of 27th Meeting of Interdepartmental Conference On Middle Eastern Affairs, August 4, 1919; CAB 24/CP 93,

44 CAB 23/12 War Cabinet 622, Minutes of a Meeting, September 18, 1919; WO 32/5691 no. 81267; FO 371/3663/1015/131772/58.

გილანს, მაგრამ ამავე დროს საქართველოს უსაფრთხოებას ვერაფერი უზრუნველყოფდა, თუ რუსები კავკასიონის ქედს გადმოლახავდნენ და ბაქოს დაიკავებდნენ.[45] ბაქოსა და თბილისში ჯარების შენარჩუნება საგარეო საქმეთა მინისტრმა ვერ მოახერხა, მაგრამ ბათუმში ერთი ბრიგადის დატოვება არა სამხედრო, არამედ კავკასიის პოლიტიკური დაცულობის გარკვეულ გარანტიებს იძლეოდა. 1920 წლის თებერვალში, კერზონის შვებულებაში ყოფნისას, ჩერჩილმა ბათუმიდან ჯარების ევაკუაციის საკითხი მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გაიტანა. უორდროპმა საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებდა, რომ ევაკუაცია მისი ინსტრუქციებისა და მოსაზრებების საწინააღმდეგოდ გადაწყდა. ახლა რეგიონის ბოლშევიკური აგრესიისგან დაცვა შეუძლებელი იყო და იგი თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვდა. კერზონმა უმაღლესი კომისრის დემარში არ დააკმაყოფილა. ის შვებულებიდან დაბრუნდა და კაბინეტს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. თუმცა საგარეო მინისტრი ხედავდა, რომ დიდხანს მხოლოდ ბრიტანული ჯარებით რეგიონის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ის მუდმივად ვერ შეაჩერებდა სამხედრო სამინისტროს ევაკუაციის სურვილს. ამიტომ საჭირო იყო ბათუმის ოლქის ინტერნაციონალიზაცია და ერთა ლიგის მანდატის ქვეშ მასში თითო-თითო ბრიტანული, ფრანგული და იტალიური ბატალიონის შეყვანა. ამ მიმართულებით კერზონმა წარმატებით იმუშავა 1920 წლის თებერვალ-აპრილში ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებზე. ფრანგებმა გაგზავნეს კიდეც ერთი ალჟირული ბატალიონი.

საქართველოს მთავრობა საერთაშორისო პოლიტიკის კულუარებში მიმდინარე მოვლენათა შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. კერზონის შეცვლილი პოზიცია საქართველოში ბათუმის სამშობლოდან ჩამოშორებად აღიქვეს და არა რუსული ოკუპაციისგან გადარჩენის მცდელობად. მთავრობის მოთხოვნებმა მეტი ლეგიტიმაცია მას შემდეგ შეიძინა, რაც 1920 წლის თებერვალში, ბრიტანული ოკუპაციის პირობებში, გამართულ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებში ქართველებმა გაიმარჯვეს. თბილისში ოლ-

[45] CAB 24/95 CP 336.

ქის ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები და შეკრებები გაიმართა. ქართული ჯარი ოლქის საზღვრებს მიადგა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გენერალმა მილნმა ბათუმში დისლოცირებული ბრიგადა საბრძოლო მზადყოფნაზე გადაიყვანა.

ამასობაში გრძელდებოდა კერზონსა და ჰენრი უილსონს შორის ჭიდილი ბათუმში ჯარების შენარჩუნებასა და ევაკუაციასთან დაკავშირებით. კერზონის პოზიციები შეასუსტა იმ ფაქტმა, რომ იტალიელებმა პირობა დაარღვიეს და ბატალიონი არ გაგზავნეს. ამავე დროს, ბაქოში ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენელი პოლკოვნიკი კლოდ ბეიფილდ სტოქსი, ოჯახური პირობების გამო, იძულებული გახდა, სასწრაფოდ ლონდონში დაბრუნებულიყო. თითქმის თანადროულად, უორდროპს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სამედიცინო ევაკუაცია დასჭირდა. დროებით დანიშნულმა უმაღლესმა კომისარმა ჰარი ლუკმა, რომელსაც ბაქოში წარმომადგენელი არ ჰყავდა, ვითარებას ალღო ვერ აუღო. სხვა გარემოებათა გარდა, ბოლშევიკებმა ამითაც ისარგებლეს და 1920 წლის აპრილის ბოლოს ბაქოში უსისხლო სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს. აზერბაიჯანი დაიკარგა. კერზონისავე ხედვით, ეს შეუძლებელს ხდიდა დანარჩენი კავკასიის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. უფრო მეტიც, ბოლშევიკები თავს დაესხნენ ჩრდილოთ სპარსეთის პორტ ენზელიში განლაგებულ მცირე ბრიტანულ ფლოტს და ევაკუაცია აიძულეს. ეს ხელზე დაიხვია ფელდმარშალმა უილსონმა და კერზონს მიუთითა, რა შეიძლებოდა დამართნოდათ ბათუმში განლაგებულ მცირერიცხოვან ძალებს, თუ მათი ევაკუაცია სასწრაფოდ არ განხორციელდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კერზონი დანებდა იმ პირობით, რომ ბრიტანეთი ჯარებს სპარსეთში მაინც შეინარჩუნებდა. 1920 წლის ივლისში მან ბათუმში გააგზავნა პოლკოვნიკი სტოქსი და დავით ღამბაშიძე, რომელთაც ოლქის საქართველოსათვის გადაცემა სთხოვა. ამ ცნობას თბილისში სიხარულით შეხვდნენ. ზეიმი იყო ბათუმშიც. საქართველოს მთავრობამ არ იცოდა, რომ ამ აქტით ბრიტანეთი კავკასიურ პოლიტიკაზე ხელს იღებდა და რეგიონს რუსეთის პირისპირ მარტო ტოვებდა. ამავე

დროს, არ გამართლდა გენერალ მილნისა და სხვა სკეპტიკოსთა შიში – 1920 წლის ივლისიდან 1921 წლის მარტამდე ანუ ბოლშევიკურ ოკუპაციამდე საქართველოს მთავრობა ბათუმის ოლქს ყოველგვარი გართულებების გარეშე მართავდა.[46]

დასასრული

1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში, კერზონის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებას მხარი აღარ დაუჭირა. ამ დროს აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება უკვე დამყარებული იყო. მტრული ბოლშევიკური და თურქული ძალებით გარშემორტყმული საქართველო რეგიონში მარტო დარჩა.

1921 წლის 26 იანვარს დიდმა ბრიტანეთმა მოკავშირეებთან ერთად დე იურედ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. დაცვის გარანტიების გარეშე ეს არაფერს ნიშნავდა. იმავე წლის 11-12 თებერვალს წითელი არმია საქართველოს ტერიტორიაზეც შევიდა. უმაღლესი კომისრის პოზიციაზე დანიშნული პოლკოვნიკი სტოქსი ლონდონში ტელეგრამას ტელეგრამაზე აგზავნიდა და

46 CAB 28/9 f. 31; Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. IV, pg. 962, London, 1951; ibid, 1024; Imperial War Museum, Henry Wilson Private Papers, 2/20 Correspondence Between Wilson and Curzon; J. D. Rose, Batum as Domino, 1919-1920: The Defense of India in Transcaucasia, The International History Review, Vol. 2, no. 2 (Apr., 1980), pp. 266-287; R. Hovannisian, The Republic of Armenia, Vol 3, Los Angeles 1996, pp. 30-33, 53-57, 96-105, 353-368; P. C. Helmreich, From Paris to Sevres, Ohio 1974, pp. 270-272, 299-300; სცსა, ფონდი 2116, ანაწ. 1, საქმ. 113 ფურც. 3-4; ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 2011, გვ. 292-338; ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989; ო. გოგოლიშვილი, ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, ქართველური მემკვიდრეობა, № 14, ბათუმი, 2010, გვ. 36-50; ე. მესხია, ბრძოლა საქართველოს ერთიანობისთვის (1918-1920), ბათუმი, 2004; მ. სვანიძე, დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისთვის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, № 10, თბილისი, 2010.

საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენას ითხოვდა. კერზონმა მას 25 თებერვალს, თბილისის ოკუპაციის დღეს, უპასუხა, რომ ის სიმპათიით უყურებდა ქართველებს, რომლებიც სამაგალითოდ მოქმედებდნენ, მაგრამ ახლა ისინი საკუთარი ძალების იმედად უნდა დარჩენილიყვნენ.[47]

არ გამართლდა კერზონის შიში, რომ ბოლშევიკები, კავკასიის გავლით, სპარსეთს და შემდეგ ინდოეთს შეუტევდნენ, მაგრამ გამართლდა ჯერ კიდევ 1920 წლის იანვარში ნათქვამი ჩერჩილის წინასწარმეტყველება, რომ საბჭოთა რუსეთის აგრესია განვითარდებოდა არა აღმოსავლეთის, არამედ აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით და ბოლშევიკები ცალ-ცალკე შეუტევდნენ მეზობელ სახელმწიფოებს, მათი „გათავისუფლების“ მოტივით, განახორციელებდნენ „განაპირა ერების“ ოკუპაციას.[48] ეს პროცესი ჯერ კავკასიაში დაიწყო და შემდეგ 1939-1940 წლებში აღმოსავლეთ ევროპაში გაგრძელდა. თავად ჩერჩილმა და მისმა სამხედრო სამინისტრომ საკმაოდ ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ კავკასიას ბოლშევიკთა წინააღმდეგ ვერ ებრძოლა. ამ თვალსაზრისით, თვითონ კავკასიელებმაც დააშავეს, რადგან ისინი ხშირად შეუთანხმებლად და ერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. აზერბაიჯანელებმა და სომხებმა წითლებს ხელისუფლება უბრძოლველადაც დაუთმეს. საქართველომ იომა, მაგრამ მას, დასავლური დახმარების გარეშე, მასობრივი მობილიზაციისთვის საჭირო შეიარაღება და სურსათი არ ჰქონდა. 1921 წლის მარტში ბრიტანეთმა და საბჭოთა რუსეთმა ერთმანეთთან სავაჭრო შეთანხმება გააფორმეს. დასავლეთმა, ფაქტობრივად, ცნო ბოლშევიკური ხელისუფლების არსებობა. კავკასისია ბრიტანეთის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ველარ იქნებოდა. დასავალური ინტერესი გაქრა, რამაც დაასრულა რეგიონის დამოუკიდებლობა.

---

47 Documents on British Foreign Policy 1919-1939, Series I, vol. XII, London, 1962, p. 668.

48 CAB 23/35 S-12, Notes of a Cabinet Conference, January 19, 1920.

აზერბაიჯანულ-ქართული პოლიტიკური ძალების ურთიერთქმედება ამიერკავკასიის ხელისუფლებაში (1917-1918, მაისი)

ირადა ბაგიროვა
აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ისტორიის ინსტიტუტი

1917-1921 წლების კავკასიის ისტორია ნიშანდობლივი მოვლენებით აღსავსე პერიოდია, რომელმაც რეგიონის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სტრუქტურა არსებითად შეცვალა. ამ ხნის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა რეჟიმი, რამაც მთელი რუსეთის იმპერიული სივრცის დაშლა და მის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბება გამოიწვია. სამხრეთ კავკასიაში ასეთი სახელმწიფო სამია - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

XX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნას წინ უსწრებდა იმ ახალ პოლიტიკურ პარტიათა და ტენდენციათა ფორმირება, რომლებმაც თავიანთი ხალხის სამომავლო იდეოლოგია და სტრატეგია ჩამოაყალიბეს. XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში დაწყებული შედარებითი ლიბერალიზაციის წყალობით, ბაქოსა და თბილისში ჩამოყალიბდა ადგილობრივი ინტელიგენცია არა მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში, არამედ პოლიტიკურშიც. თანდათან სულ უფრო მეტ კავკასიელს მიეცა მოსკოვის, პეტერბურგისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა. ნავთობის ბუმი ბაქოში და თბილისის სწრაფი განვითარება ხელს

უწყობდა რეგიონის გახსნილობას როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთს მიმართ. იმპერიაში დაწყებული რეფორმისას, რომელიც 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადდა, პოლიტიკური ასპარეზზე ლიბერალური თუ სოციალისტური მიმართულებების ესა თუ ის ტენდენცია გამოჩნდა.

ქართველთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მარქსისტული მიმართულების სოციალისტურ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ მეტად პოპულარული მოღვაწეები – ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ა. ჩხენკელი და სხვები. 1904 წელს აზერბაიჯანმა სოციალ-დემოკრატებმა რსდმპ-ის ბაქოს კომიტეტთანრარსებული ეროვნული ორგანიზაცია „ჰუმეთი“ (ურთიერთდახმარება) დააარსეს. „ჰუმეთის“ დაჯგუფება არსებობდა თბილისშიც. განსხვავებით ბაქოური განშტოებისაგან, რომელიც ბოლშევიზმის იდეებს იზიარებდა, თბილისური ორგანიზაცია მენშევიკური ორიენტაციას მისდევდა, რაც დამახასიათებელი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიისთვის.[49]

საქართველოს ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობა გაზეთი „ცნობის ფურცლის“ გარშემო ჩამოყალიბდა. მოძრაობას 1907 წლამდე აღიარებული ლიდერი ილია ჭავჭავაძე უძღვებოდა.[50] აზერბაიჯანში ნაციონალურ-დემოკრატიული მოძრაობის წინამძღოლად მუსავატური პარტიის ხელმძღვანელი მ. ე. რასულზადე იქცა. ამ მოძრაობის ბეჭდვითი ორგანო პერიოდული გამოცემა „აჩიგ სოზი“ (ღია სიტყვა) იყო. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაფუძნებული სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის გავლენით, 1905 წელს აზერბაიჯანში შეიქმნა პარტია „გეირათი“ (საპატიო), რომელიც ითხოვდა რუსეთის ფედერალიზაციასა და კავკასიის რეგიონის ქვეყნების ავტონომიზაციას. [51]

---

49 И. Багирова, Политические партии и организации Азербайджана в начале XX века, Баку, 1997, с. 31, 40.

50 Н. Жордания, Моя жизнь /пер. с груз. И. Жордания. California, The Hoover institution on War, Revolution and Peace Stanford University, 1968. XIV, II, 130, [3], 42.

51 А. Ахмедов, Азербайджанские турки в революции 1905 года, Баку, 2002, с. 268.

1905-1907 წლების რევოლუციურ მოვლენებს თან სდევდა პოლიტიკური რეაქცია რუსეთის იმპერიის განაპირა რეგიონებში, რამაც მკვეთრად შეზღუდა და, ზოგ შემთხვევაში, მთლიანად აღმოფხვრა არაერთი სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციისა და პარტიის საქმიანობა. პოლიტიკური საქმიანობა ამ წლებში ძირითადად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კედლებში გრძელდებოდა.

1912 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე სიტყვით გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტი, თავადი ვარლამ გელოვანი და პირველად გაისმა საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების მოთხოვნა.[52] აზერბაიჯანელმა დეპუტატმა მ. ჯაფაროვმა მეოთხე სათათბიროში ზუსტად ისეთივე მოთხოვნები წამოაყენა, როგორსაც დეპუტატებს აზერბაიჯანელი ინტელიგენციის პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლები უყენებდნენ – თანასწორობა, განმანათლებლობა და თვითმმართველობა.[53] სწორედ ამ ოთხი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში მოღვაწე აზერბაიჯანელთა და ქართველთა საქმიანობა განსაზღვრავდა პოლიტიკური ელიტის სახეს. ამ საქმიანობით მიღებული შედეგები სრულად რეალიზდა ამიერკავკასიის ქვეყნების თანამშრომლობის პროცესში როგორც 1917-1918 წლებში, ასევე ამ ორი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისას 1918-1920 წლებში.

რუსეთის იმპერიის დაშლამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ და 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებამ შეცვალა პოლიტიკურ ძალათა კონფიგურაცია არა მხოლოდ ცენტრში, არამედ ყოფილი იმპერიის განაპირა რეგიონებში. სამხრეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა საერთო სახელმწიფო ორგანოები – ჯერ სპეციალური ამიერკავკასიის კომიტეტი (ოზაკომი), როგორც დროებითი მთავრობის რწმუნებული ინსტიტუცია, შემდეგ – ამიერკავკასიის კომისარიატი, ხოლო 1918 წლის თებერვლიდან – წარმომადგენლობითი ორგანო ამიერკავკასიის სეიმი.

---

52 А. Керенский, Варлам Леванович Геловани, Северные записки, 1915, № 2, с. 217-219.

53 D. Seidzade, Azerbaydzhanskiye deputaty, c. 84.

მიუხედავად იმისა, რომ პეტროგრადში დროებითი მთავრობა მოვიდა, კავკასიის დამოუკიდებლობას ღიად არავინ მოითხოვდა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების), მუსავატთა, დაშნაკცუტიუნთა და მემარჯვენე სოციალიტ-რევოლუციონერების წარმომადგენელთა შეხვედრაზე გადაწყდა, შექმნილიყო „ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა“.[54] 15 ნოემბერს დაარსდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელმაც უარი თქვა სოვნარკომის (სახალხო კომისრების საბჭოს) უფლებამოსილების აღიარებაზე ლენინის მეთაურობით. მთავრობა იმ დროის ცნობილ ქართველ და აზერბაიჯანელ პოლიტიკურ ლიდერებს აერთიანებდა – ე. გეგეჭკორს, ა. ჩხენკელს, მ. ი. ჯაფაროვს, ჰ. ხასმამედოვს, ჰ. მელიქ-ასლანოვს.[55]

1917 წლის 18 ნოემბერს (1 დეკემბერს) თბილისში გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ნათქვამია: „ას წელზე მეტია ამიერკავკასიის ხალხები რუსეთთან ხელჩაკიდებულნი იზიარებდნენ მის ბედისწერას და ახლა პირველად ამ ისტორიულ მომენტში მარტო აღმოჩნდნენ საკუთარი თავის ამარა. ამიტომ მათ უნდა მიიღონ ზომები, რათა არ დაუშვან მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური კატასტროფა... ყველა სოციალისტური პარტიისა და დემოკრატიული ორგანიზაციის შეთანხმების შედეგად შეიქმნა რეგიონალური მმართველობა. ეს ძალა დროებითია, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე“. [56]

1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის ივნისის ბოლომდე მონაკვეთს შეიძლება ეწოდოს აზერბაიჯანის ისტორიის თბილისური პერიოდი. ეს მთელი კავკასიისათვის დრამატული მოვლენებით აღსავსე ცვლილებათა ხანა იყო, დრო ეროვნული მოძრაობის

---

54 Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 6.

55 Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 7-8.

56 Первая декларация Закавказского Комисариата к народам Закавказья, Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 8.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზნების განსასაზღვრად და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. საბოლოო ჯამში, მან საწყისი დაუდო სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის ეროვნულ სახელმწიფოებრიობას.

ეროვნულმა მოძრაობამ ცარიზმის დამხობის შემდეგ უნივერსალური ხასიათი მიიღო. საინტერესოა ისიც, რომ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი ლიდერი ნოე ჟორდანია აქამდე ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ოპონენტები იყვნენ და მხარს უჭერდნენ ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას.

1917 წლის 1 ივნისს კავკასიის საოლქო საბჭოს ყრილობაზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ რუსეთში მხოლოდ ამგვარი სახელმწიფო სისტემა იყო შესაძლებელი – თვითმმართველი ეროვნული რეგიონები, როგორც ერთიანი სახელმწიფოს ნაწილი.[57] თუმცა მენშევიკებმა დამფუძნებელი კრებისათვის წარსადგენად, რომელსაც რუსეთის ტერიტორიული მოწყობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა, ეროვნული პრობლემა წამოაყენეს. სრულიად შესაძლებელია, ეს პოზიცია განპირობებული ყოფილიყო 1917 წლამდე პეტროგრადის საბჭოში ქართველი მენშევიკების წამყვანი როლით – მათ საერთო რუსული პრობლემები უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ეროვნული თვითგამორკვევის ლოკალური მნიშვნელობის საკითხები.

მენშევიკებისგან განსხვავებით, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები თავიდანვე ითხოვდნენ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომას. 1917 წლის მაისში გამართულ კონფერენციაზე ისინი საქართველოს ავტონომიის საზღვრების შესახებ ამბობდნენ: „დამტკიცდეს საქართველოს ტერიტორიის საზღვრები მოსახლეობის რეალური განსახლების გათვალისწინებითა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპით“.[58] ამ პრინციპით საქართველოს ფარგლებში შედიოდა ზაქათალას ოლქიც, ოღონდ ადგილობრივი მოსახლეობის რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ.[59]

---

57 Н. Жордания, За два года (с 1 марта 1917 года по 1 марта 1919 года). Доклады и речи. Тифлис, 1919, с. 31.

58 «Новое время», 1919, января, №13.

59 «Каспий», 1917, мая, №107.

სახელმწიფო მოწყობის საკითხში ყველაზე რადიკალური პოზიცია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა. ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჯგუფები 1917 წლისთვის არსებობდნენ თბილისში, ქუთაისსა და ბაქოში.[60] მათი ლოზუნგი – „ქართველებო ყველა კლასისა, შეერთდით!" – ითვალისწინებდა ხალხის გაერთიანებას არა პარტიული ან კლასობრივი ნიშნით, არამედ ქართული ეროვნული ინტერესების შესაბამისად.[61] ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ ქართველთა ერთადერთი მიზანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება აზერბაიჯანელ საზოგადო მოღვაწეებს, მათი ყველაზე აქტიური ნაწილი შეუერთდა იატაკქვეშეთიდან გამოსულ მუსავატურ პარტიას მ. ე. რასულზადეს ხელმძღვანელობით. 1917 წლის 3 ივლისს ისინი გაერთიანდნენ ოსმალეთის სოციალისტ-ფედერალისტების პარტიასთან, რომელიც განჯაში (ელიზავეტოპოლში) დაარსდა. გაერთიანებულ პარტია, რომელსაც „ფედერალისტ მუსავატთა თურქეთის დემოკრატიული პარტია" („Türk Ədəmi-Mərkəziyyət Musavat partiyası") ეწოდა,[62] როგორც დასახლებიდან ჩანს, მხარს უჭერდა რუსეთის ფედერალიზაციასა და ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ნაციონალური ტერიტორიული ავტონომიების შექმნას. მ. ე. რასულზადე თანმიმდევრულად იცავდა პარტიის ამგვარ პოზიციას 1917 წლის აპრილში კავკასიურ მუსლიმანთა კონგრესზე და იმავე წლის მაისში მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის მუსლიმანურ კონგრესზე.[63] 15-17 აპრილს ბაქოში კავკასიის მუსლიმანთა ყრილობაზე აზერბაიჯანელი დელეგატების უმრავლესობა რუსეთში ძალაუფლების დეცენტრალიზაციის

---

60 А. Ментешашвили, Октябрьская революция и национально-освободительное движение в Грузии, 1917-1921, Тбилиси, 1987, с. 47.

61 Т. Вахтангишвили, Социально-экономическая структура Грузии и основные задачи общественно-политического движения в стране на рубеже XIX-XX вв. Thesis for a degree of Doctor of Historical Sciences, Tbilisi, 2002, c. 134.

62 SAAR (State Archive of Azerbaijan Republic), f. 894, inv.10, file.176, ll.1-2.

63 «Каспий», 191, апрель, № 85; Программные документы мусульманских политических партий (1917–1920 гг.), Оксфорд, 1985, с. 15.

მოთხოვნით გამოვიდა. მუსავატური პარტიის ლიდერმა მ. ე რასულზადემ, გამომსვლელთა სიტყვებზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ერთადერთი გამოსავალი სახელმწიფოს სწორი განვითარებისთვის რუსეთის ფედერალიზაცია და ხალხებისთვის თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის უფლების მინიჭება იქნებოდა. ცალკეული ავტონომიური ეროვნების წარმომადგენლებს უნდა შეექმნათ რუსეთის ეროვნებათა კავშირი.[64] რასულზადემ თავისი პოზიცია კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსკოვში 1917 წლის მაისში გამართულ სრულიად რუსეთი მუსლიმანთა კონგრესზე. ამ კონგრესზე წარმოადგინეს ორი რეზოლუცია (ა. ცალიკოვის – კულტურულ-ეროვნულ ავტონომიაზე და რასულზადესი – ტერიტორიული ავტონომიის შესახებ). კონგრესმა მხარი დაუჭირა რასულზადეს ფორმულირებას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „რუსეთის სახელმწიფო წყობა, რომელიც დაიცავს მუსლიმან ეროვნებათა ინტერესებს, უნდა იყოს ეროვნულ-ტერიტორიულ-ფედერალურ საფუძველზე დამყარებული დემოკრატიულ რესპუბლიკა“. [65]

ფედერალიზაციის ოპონენტები ერთსულოვნად იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ დაუშვებელი იყო მაჰმადიანების გამოყოფა, რადგან მათ შორის სულიერი კავშირი არსებობდა. ოქტომბრის შემდეგ, როდესაც რუსეთში გადატრიალება მოხდა და ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს, აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა გამოსვლებში სულ უფრო ხშირად გაისმოდა სახელმწიფო დამოუკიდებლობის იდეა.

როგორც ითქვა, ეს იყო დრო, როდესაც 1917 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის კომისარიატი დაარსდა და მას სათავეში ჩაუდგა ე. გეგეჭკორი, რომელიც იმავდროულად საგარეო საქმეთა და შრომის საკითხების კომისარიც იყო. შინაგან საქმეთა კომისრად დაინიშნა ა. ჩხენკელი, იუსტიციის კომისრად – შ. ალექსი-მესხიშვილი. სომეხთაგან სურსათის კომისარად დაინიშნა – გ. ტერ-ღაზარიანი, სოციალური კეთილდღეობის კომისარად – ა. ოგაჯანიანი,

---

64 «Каспий», 191, апрель, № 86.

65 Программные документы мусульманских политических партий (1917–1920 гг.), Оксфорд, 1985, с. 13.

ფინანსების კომისარად – ჰ. ქარჩიკიანი. აზერბაიჯანელთა მხრიდან სახელმწიფო კონტროლის კომისარად დანიშნეს ხ. ხასმამედოვი, სახალხო განათლების კომისარად – ფ. ჰ. ხოისკი, ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარად – მ. ი. ჯაფაროვი და გზათა კომისარად – ჰ. მელიქ-ასლანოვი. სამხედრო და საკუთრების საკითხების კომისრებად რუსი ესერები – დ. დ. დონსკოი და ა. ნერუშევი დაინიშნენ.[66]

ნოემბრის ბოლოს თბილისში კავკასიის, სამხრეთ რუსეთისა და უკრაინის ანტიბოლშევიკურ ძალათა გაერთიანების თაობაზე შეხვედრა გაიმართა. რაც შეეხება ანტანტის ქვეყნების პოზიციას, ისინი თითქოს მხარს უჭერდნენ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთს“ ლოზუნგს, სინამდვილეში კი დიდად არ იყვნენ მოხიბლულები ამა თუ იმ ფორმით ძლიერი რუსული სახელმწიფოს აღორძინების პერსპექტივით. ამ მიზეზის გამო, ისინი მფარველობდნენ ახლად შექმნილ სახელმწიფოებს. უსუბბეკოვისათვის გაგზავნილ წერილში, რომელშიც მუსავატთა პარტიას მიმართავდნენ, აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლობებმა ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.[67]

თუმცა ჯერ კიდევ არ იყო საუბარი რუსეთისგან სრული გამოყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი უკვე არსებობდა, მისი წევრები საკუთარ თავს დროებით ხელისუფლებად აღიქვამდნენ და არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მესვეურებად. გარდა ამისა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში, რომლებიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები დომინირებდნენ. ბაქოს საბჭო, რომელშიც ამ დროისთვის ბოლშევიკები ჭარბობდნენ, იქცა რეგიონში ერთადერთ ორგანოდ, რომელმაც ამიერკავკასიის კომისარიატი არ აღიარა.[68]

---

66 Победа советской власти в Закавказье, Тбилиси, 1971, с. 207-208; «Achyg soz», 1917, November 26th.

67 Azərbaycan Xalq Cümhuriyyəti və Qafqaz İslam ordusu. Bakı, 2008, p. 192.

68 «Izvestiya Soveta rabochikh, voyennykh i soldatskikh deputatov Bakinskogo rayona», 1917, November 18th.

სამხრეთ კავკასიაში არჩევნების შედეგებს ელოდნენ და მიიჩნევდნენ, რომ „ბოლშევიკური თავგადასავალი“ მალე დასრულდებოდა. სამხრეთ კავკასიაში არჩევნებისათვის მზადება 1917 წლის ზაფხულში დაიწყო. დაიბეჭდა იმ დროისათვის მეტად დემოკრატიული სპეციალური გამოცემა „არჩევნების უზრუნველყოფა“. ადგილებზე, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო ხმის მიცემის პროპორციული სისტემა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ ქალებსაც და სამხედროებსაც.[69]

1917 წლის 26 ნოემბერს მთელ ამიერკავკასიაში რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში 15 პარტია მონაწილეობდა, რომელთაგან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა), მუსავატებმა და დაშნაკებმა ხმათა 73%-ზე მეტი დააგროვეს. ბოლშევიკებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 4.4%-მა, რომელთა უმეტესობას ბაქოელი მუშები და ბაქოს გარნიზონის ჯარისკაცები შეადგენდნენ.[70] ამ არჩევნებში მთელი ამიერკავკასია 35 დეპუტატით ერთ ოლქს აყალიბებდა. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატები აირჩიეს, დამფუძნებელმა კრებამ ფუნქციონირება ვერ შეძლო, რადგანაც ბოლშევიკებმა ის 1918 წლის 6 იანვარს დაშალეს. არსებულ ვითარებაში სამხრეთ კავკასიაში არჩეულმა დეპუტატებმა 22 დეკემბრის შეხვედრაზე გადაწყვიტეს, შეექმნათ ახალი საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი. სეიმის მოწვევის მიზნით, ნ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა დროებითი ბიურო.[71] ასევე გადაწყდა, რომ სეიმში შეეყვანათ დეპუტატთა გარკვეული რაოდენობა, იმ პარტიათა წარმომადგენლები, რომლებმაც დამფუძნებელ კრების მანდატები ვერ მოიპოვეს. შედეგად, ამიერკავკასიის სეიმი წარმოდგენილი იყო 133 დეპუტატით.[72] მთავარ პოლიტიკურ ფრაქციებს სეიმში წარმოადგენდნენ

---

69 Азербайджанская демократическая республика (1918-1920), Баку, 1998, с. 47.

70 N. Agamaliyeva, O vyborakh v Uchreditel'noye sobraniye po Azerbaydzhanu.- Izvestiya AN Azerbaydzhana, 1990, №4, c. 22.

71 А. Ментешашвили, Октябрьская революция и национально-освободительное движение в Грузии, 1917-1921, Тбилиси, 1987, с. 72.

72 SAPDOPA AR (State Archive of Political Documents at the Office of Presidental Affairs of Azerbaijan Republic), f. 277. inf. 2, file. 45, l.1-2.

ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) 32 დეპუტატით, აზერბაიჯანელი მუსავატები 30 დეპუტატით და სომეხი დაშნაკები 27 დეპუტატით. ამასთანავე, სეიმში შედიოდნენ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენლები, ქართველი ეროვნულ-დემოკრატები, მუსლიმანთა სოციალისტური ბლოკი, ჰუმეთისტები (აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია) და იტიჰადის პარტია (რუსეთის მუსლიმები). აზერბაიჯანის ფრაქციას 44 დეპუტატი ჰყავდა. სეიმმა ჩამოაყალიბა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელსაც სათავეში ე. გეგეჭკორი ჩაუდგა.[73]

საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა, ისეთმა მოწინავე პოლიტიკურმა აქტორებმა, როგორებიც იყვნენ, ერთი მხრივ, ანტანტას ჩამოშორებული რუსეთი და, სხვა მხრივ, ოსმალეთი და გერმანია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ამ მთავრობის საქმიანობაზე.

როდესაც რუსეთ-გერმანიის სამშვიდობო მოლაპარაკებებმა ბრესტში 1917 წლის ბოლოს მარცხი განიცადა, ოსმალეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეტევა დაიწყეს და 1918 წლის იანვრის დასაწყისში ყარსი, არდაგანი და ბათუმის რეგიონები დაიკავეს. ამიტომაც ამიერკავკასიის მთავრობამ კავკასიის ფრონტის მეთაურ ვაჰიბ ფაშას დეპეშა გაუგზავნა და ამცნო მზადყოფნა ოსმალეთის იმპერიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად. თავის მხრივ, 1918 წლის თებერვლის დასაწყისში ვაჰიბ ფაშამ კომისარიატის წარმომადგენლები, ოსმალეთის იმპერიის სახელით, ბრესტში მოსალაპარაკებლად მიიწვია.[74] მენშევიკების წარმომადგენელი ნ. რამიშვილი, რომელიც პირველ ეტაპზე მოლაპარაკებათა წარუმატებლობას ითვალისწინებდა, გამოდიოდა წინადადებით, რომ შეთანხმება ეწარმოებინათ ცენტრალურ სახელმწიფოებთან, კერძოდ, გერმანიასთან და არა ოსმალეთთან. აზერბაიჯანის დელეგატები მხარს უჭერდნენ ამ იდეას და გენერალურ შეხვედრაზე მოლაპარაკებათა წარმართვა ამიერკავკასიის სეიმს მიენდო.[75]

---

73 Адрес-календарь Азербайджанской республики на 1920 г., Баку, 1920, с. 3.

74 Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 57.

75 Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 57.

თუმცა ამ დროისათვის რუსეთსა და გერმანიას შორის ბრესტში ხელი მოეწერა სეპარატულ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ყარსი, არდაგანი და ბათუმი ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადადიოდა. ამიერკავკასიის სეიმმა პეტროგრადში დეპეშა გაგზავნა, რომელშიც აცხადებდა, რომ არ ცნობდა ბრესტის შეთანხმებას, რადგან არ აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი ამ სამი ოლქის დაუყოვნებლივ დათმობას მოითხოვდა. 1918 წლის 1 (14) მარტს ტრაპიზონში ოსმალეთის სახელმწიფოსა და ამიერკავკასიის სეიმს შორის სამშვიდობო კონფერენცია გაიხსნა.[76] თურქები დაჟინებით ითხოვდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების პირობების შესრულებას და უარს აცხადებდნენ, ეღიარებინათ სეიმის დელეგაცია მოლაპარაკებათა კანონიერ იურიდიულ პირად, რადგან მას არ ჰქონდა დეკლარირებული რუსეთისაგან დამოუკიდებლობა. ამიერკავკასიის სეიმის წარმომადგენელთა აზრი გაიყო. მუსავატური ფრაქცია ითხოვდა ოსმალური ულტიმატუმის მიღებას და აცხადებდა, რომ სხვაგვარად სეიმს დატოვებდა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.[77] მიუხედავად ამისა, ერთიანი აზრი თავად აზერბაიჯანის დელეგაციაშიც კი არ არსებობდა. მაგალითად, ხ. ხასმამედოვსა და შ. რუსტამბეკოვს მიაჩნდათ, რომ ბათუმი, სადაც ნავთობი ბაქოდან ნავთობსადენით მოდიოდა, ამიერკავკასიის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო.[78] კონფერენციის დაწყებამდე ოსმალურ და აზერბაიჯანელ დელეგაციებს შორის შედგა მოლაპარაკება, რომელზედაც ამ უკანასკნელმა გამოთქვა აზრი, რომ ქართველ და სომეხ პოლიტიკოსებს რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა არ სურდათ, რადგანაც ისინი კვლავაც იმედოვნებდნენ, რომ დემოკრატიული მთავრობა აღდგებოდა და მომავალში მისგან მხარდაჭერას მიიღებდნენ.[79] სეიმის მუსლიმანურ ფრაქციაში პოლიტიკურ პარტიებს შორის მღელვარე განხილვები არ წყდებოდა.

---

76 "Борьба", 1918, март, № 54.

77 SAAR, f.970, inf.1, file. 7, l.4.

78 SAAR, f.970, inf.1, file.7, l.4.

79 Протоколы заседания мусульманских фракций Закавказского Сейма и азербайджанского Национального Совета, Баку, 2006, с. 84.

მუსავატები საყვედურობდნენ სოციალ-დემოკრატიულ ჰუმეთს, რომ მათ მხარი დაუჭირეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც რუსულ დემოკრატიულ ძალებთან კავშირის გაწყვეტა არ სურდათ.[80] ჰუმეთის პოზიციას ჯ. ახუნდოვი გამოხატავდა, რომელიც ამბობდა: „თუ ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები მოდიან, ჩვენ მათი წინააღმდეგნი და, შესაბამისად, ოსმალური ორიენტაციის ვართ, მაგრამ თუკი ჩრდილოეთიდან ნამდვილი დემოკრატია შემოდის, ჩვენ თურქების წინააღმდეგ დემოკრატიას დავუჭერთ მხარს".[81] ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰუმეთისტები, მსგავსად ქართველი მენშევიკებისა, რუსეთში დემოკრატიის გამარჯვების იმედს კვლავ იტოვებდნენ. მ. რასულზადე (მუსავატი) ამაზე მწვავედ რეაგირებდა და აცხადებდა, რომ მისი პარტია იარაღასხმული შეებრძოლებოდა ამიერკავკასიაში რუსეთის დაბრუნებას. ჰუმეთისტი ნ. ჯამალბეკოვი ამტკიცებდა, რომ აზერბაიჯანს არ შესწევდა ძალა ბოლშევიკურ რუსეთთან საბრძოლველად, ხოლო მ. ე. რასულზადე არ მალავდა, რომ აზერბაიჯანს შეეძლო, ოსმალეთის იმედი ჰქონოდა, ამიტომაც მათ შორის დავა წამოიჭრა. ჯამალბეკოვი რასულზადეს პასუხობდა, რომ „არ ელოდა მშვიდობას თავისი ხალხისთვის" თურქეთის ჯარისაგან.[82] ამრიგად, ისტორიკოსების აღიარებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ამიერკავკასიის სეიმის აზერბაიჯანელი ფრაქციის საგარეო პოლიტიკის ერთმნიშვნელოვნად პროთურქული ორიენტაციის მიუხედავად, ვითარება ერთგვაროვანი არ იყო. აზერბაიჯანელი სოციალ-დემოკრატები ქართველ კოლეგათა სოლიდარულები იყვნენ ბევრ საკითხში, მათ შორის საგარეო პოლიტიკაშიც.

აზერბაიჯანელი დეპუტატების პოზიცია მკვეთრად შეიცვალა 1918 წლის მარტის სისხლიანი მოვლენების შემდეგ, როდესაც ბოლშევიკურ-დაშნაკურმა ჯარმა ბაქოსა და ბაქოს პროვინციის 10 000-ზე მეტი მცხოვრები დახოცა.[83] აზერბაიჯანის პარლამენტა-

[80] Протоколы заседания мусульманских фракций Закавказского Сейма и азербайджанского Национального Совета, Баку, 2006, с. 84.

[81] იქვე, გვ. 85.

[82] იქვე, გვ. 88.

[83] SAAR, f.894, inf.10, file. 148, l.30.

რები ბაქოში სამხედრო დახმარებას ითხოვდნენ, მაგრამ გენერალ მაღალაშვილის ლაშქრობა ბაქოს მოსახლეობის დასახმარებლად წარუმატებელი აღმოჩნდა. სეიმის აზერბაიჯანელი ფრაქციისთვის ნათელი გახდა, რომ მათ ოსმალეთის ჯარის გარდა ვერავინ დაეხმარებოდა და ოსმალეთის ულტიმატუმი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ უნდა მიეღოთ.

გაცხოველებული დებატების შედეგად, 1918 წლის 7 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის აზერბაიჯანულმა ფრაქციამ გადაწყვიტა: „ყველა პასუხისმგებელ პარტიას ეცნობოს სეიმის მუსლიმანურ ფრაქციათა ურყევი სურვილი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. ამ საკითხში სხვა პარტიათა სოლიდარობის არარსებობის შემთხვევაში, იძულებულნი ვიქნებით, განვიხილოთ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი“.[84] არაერთი შეხვედრის შემდეგ, ამიერკავკასიის სეიმმა მუსულმანური ფრაქციის ზეგავლენით, 1918 წლის 22 აპრილს მიიღო რეზოლუცია დამოუკიდებელი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის გამოცხადების თაობაზე. ა. გეგეჭკორი გადადგა და არჩეული იქნა ახალი ხელისუფლება ა. ჩხენკელის ხელმძღვანელობით. ქართველი მენშევიკების პოზიციას ნოე ჟორდანია გამოხატავდა: „ცენტრი (მოსკოვი – ი. ბ.) ვერ გადაგვარჩენს და მის იმედად ყოფნა ილუზიაა. ახლა კი, სანამ ცენტრალური ხელისუფლება არ ჩამოყალიბებულია, აუცილებელია, შეიქმნას ადგილობრივი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს და ყველა ღონეს იხმარს ამიერკავკასიის გადასარჩენად“.[85]

26 აპრილს ა. ჩხენკელმა გამოაცხადა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც ლაპარაკი იყო ამიერკავკასიის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან უაღრესად მეგობრულ ურთიერთობაზე, განსაკუთრებით კი მათთან, ვისთანაც ამიერკავკასიას საერთო საზღვრები ჰქონდა. დეკლარაციაში ასევე ასახული იყო თვალსაზრისი დამოუკიდებელი ამი-

---

84 Протоколы заседания мусульманских фракций Закавказского Сейма и азербайджанского Национального Совета, Баку, 2006, с. 90.

85 Д. Енукидзе, Крах империалистической интервенции в Закавказье, Тбилиси, 1954. с. 41.

ერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის მომზადების საკითხზე. ჩამოყალიბდა მთავრობის 24 წევრისაგან შექმნილი საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც შედიოდა ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ეროვნული საბჭოების 15 წარმომადგენელი.[86]

აქვე წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის სახელმწიფო – ფედერაციული თუ კონფედერაციული. პროექტში, რომელიც ქართველ სოციალ-დემოკრატთა სახელით სერგო ჯაფარიძემ წარადგინა, ასახული იყო „ძლიერი ფედერალური კავშირის“ მოთხოვნა ფედერალური ცენტრისათვის ფართო უფლებამოსილების მინიჭებით. ჯაფარიძე ამას ხსნიდა იმით, რომ ქართველი ერი პატარაა და ეკონომიკურად დამოკიდებულია ნავთობზე, შესაბამისად, საჭიროებს მძლავრ ცენტრალურ ხელისუფლებას.[87] ამ პოზიცია მხარი დაუჭირეს როგორც სოციალისტ-ფედერალისტებმა, ასევე აზერბაიჯანულმა პარტიებმა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საპირისპირო პოზიცია დაიკავა. მისმა წარმომადგენელმა, გ. გვაზავამ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოითხოვა.[88] ეროვნულ-დემოკრატების განცხადებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა ფოკუსირებულიყო ევროპაზე, სადაც ნამდვილ ძლიერებას, განსაკუთრებით, ბრესტის ზავის შემდეგ, გერმანიაში ხედავდნენ. მათი არგუმენტები ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ არსებული მომენტისთვის საერთო სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელი იყო, რადგან საგარეო პოლიტიკაში სამივე ერს განსხვავებული პრიორიტეტები ჰქონდა, ხოლო ქართველები არსებულ ვითარებაში კვლავაც გააგრძელებდნენ პოზიციებისა და მიწებს დაკარგვას.[89]

აზერბაიჯანული (მუსლიმური) ფრაქციის პოზიცია ჩამოყალიბდა ოსმალურ მხარესთან მოლაპარაკებებისას, რომელიც და-

---

86 სსცა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 5, ფ. 113.

87 იქვე, გვ. 107.

88 იქვე, გვ.110.

89 М. Мацаберидзе, Разработка конституции Закавказского Сейма и национальный совет Грузии, Труды Тбилисского Государственного Университета им. И. Джавахишвили, Тбилиси, 2008, с. 10.

ჟინებით მოითხოვდა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოკუპაციას. მუსავატისტმა რასულზადემ და მ. გ. ჰაჯინსკიმ ვაჰიბ ფაშასა და ენვერ ფაშასთან მოლაპარაკებებზე კვლავ წამოწიეს ბათუმის საკითხი და დაჟინებით მოითხოვეს ამ ᲝალაᲝების ჩართვა მომავალ ფედერაციაში.[90] თუმცა თურქების პოზიცია უდრეკი იყო. შესაბამისად, სეიმის უმრავლესობამ, მუსლიმანური ფრაქციის გამოკლებით, მხარი დაუჭირა ოსმალეთისათვის ომის გამოცხადებას. სამხედრო მოქმედებების შედეგად, 1918 წლის შუა აპრილში თურქულმა ჯარებმა დაიკავეს არა მარტო არდაგანი, ყარსი და ბათუმი, არამედ ახალციხე და ოზურგეთიც, რამაც ამიერკავკასიის სეიმი აიძულა, განეახლებინა სამშვიდობო მოლაპარაკებები. 11 მაისს ბათუმში მოლაპარაკებები განახლდა. ამიერკავკასიის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ა. ჩხენკელი, ხოლო აზერბაიჯანულ მხარეს წარმოადგენდნენ მ. რასულზადე და მ. გ. ჰაჯინსკი.[91]

ბათუმის კონფერენციას დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდა გერმანიის წარმომადგენლობა გენერალ ოტო ფონ ლოსოვის ხელმძღვანელობით, რომელიც მოლაპარაკებებში ქართული მხარეს ლობირებდა. ქართველებს რუსეთ-ოსმალეთ-გერმანიის სამეულიდან ერთ-ერთი უნდა აერჩიათ და თანაც, დასავლური ალიანსის საპირწონედ, გაეთვალისწინებინათ კლასობრივად სოლიდარული სოციალისტური რუსეთი. არჩევანი გერმანიაზე შეჩერდა.

ამ დროს გერმანელმა გენერალმა ფონ ლოსოვმა ქართულ ეროვნულ საბჭოს შესთავაზა სამხედრო მხარდაჭერა, რომელსაც საბჭო დიდი ენთუზიაზმით შეხვდა, რადგან ჩათვალა, რომ ამგვარად დაცულები იქნებოდნენ თურქეთის შემოჭრისგან.[92] რადგანაც პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, ეროვნულ-დემოკრატთა პოზიცია მეტად გამყარდა და მალევე სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა დაიწყეს. ივნისში

---

90 Protokoly zasedaniya musulmanskikh fraktsiy Zakavkazskogo Seyma i Azerbaydzhanskogo Natsionalnogo Soveta. Baku, 2006, c. 94.

91 Азербайджанская демократическая республика (1918-1920), Баку, 1998, с. 64.

92 Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы (1917-1921 гг.), Тбилиси, 1958, с. 264.

გერმანული ჯარები გენერალ ფონ კრესის მეთაურობით, საქართველოს ტერიტორიის ოკუპირების მიზნით, ფოთში გადმოვიდნენ, თურქული ჯარები კი ამ დროისათვის იერიშს განაგრძობდნენ და ალექსანდროპოლი აიღეს.[93]

მუსავატები ოსმალეთის სახელმწიფოსთან კავშირს ესწრაფოდნენ, ქართველი მენშევიკები იმედს გერმანიაზე ამყარებდნენ, რადგან თურქებს, გერმანიასა და ოსმალეთს შორის არსებული მოლაპარაკების თანახმად, არ შეეძლოთ გერმანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაპყრობა. საქართველოს დელეგაციამ, გერმანელი წარმომადგენლების ზეგავლენით, გადაწყვიტა, საქართველო ამიერკავკასიის ფედერალური რესპუბლიკიდან გაეყვანა და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. 25 მაისს ი. წერეთელი განცხადებით გამოვიდა და აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ერები „დამოუკიდებლობის“ დევიზმა ვერ გააერთიანა და ამიერკავკასიის რღვევა სრულიად აშკარა იყო. დეზინტეგრაციაში მან პროოსმალური ორიენტაციის მქონე აზერბაიჯანული ფრაქცია დაადანაშაულა, რამაც მწვავე რეაქცია გამოიწვია. აზერბაიჯანული მხარე ამ ბრალდებებს დაუსაბუთებლად მიიჩნევდა და, თავის მხრივ, ბრალად სდებდა ქართველებს, რომ ისინი „სეპარატული პოლიტიკური არსებობისაკენ“ მიისწრაფოდნენ.[94]

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა ბოლო გადაწყვეტილება მიიღო: „იმის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის შემქმნელ ხალხს შორის არსებობს ფუნდამენტური უთანხმოება ომისა და მშვიდობის საკითხებზე და ამასთანავე შეუძლებელია იმ ძლიერი ხელისუფლების პოვნა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, სეიმი ამიერკავკასიას დაშლილად აცხადებს და იხსნის უფლებამოსილებას“.[95]

---

93 Azerbaycan dosyesi. Ankara, 1980, 39.

94 A. Balayev, Azerbaydzhanskoye natsionalnoye dvizheniye v 1917-1918 gg, Baku, 1998, c. 200.

95 Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, с. 330.

ამ დროს აზერბაიჯანის ფრაქციაში, რომელმაც 27 მაისს რიგგარეშე სხდომა მოიწვია, მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა. როგორც სოციალ-დემოკრატ (მენშევიკ) ა. შეიხულისლამოვის მემუარებში ვკითხულობთ, ეს ორი დღე – 27 და 28 მაისი – თავისი მნიშვნელობით ორ წელს უდრიდა. აზერბაიჯანული წარმომადგენლობის მოსაზრებები სამად გაიყო. სოციალისტები მხარს უჭერდნენ კავკასიურ ერთობას, ამას ამართლებდნენ მუსლიმანთა რაოდენობრივი უპირატესობით როგორც მთლიანად რეგიონში, ასევე სეიმში და თვლიდნენ, რომ ეს მათ უამრავი პრობლემის გადაჭრასა და ანარქიის დაძლევაში დაეხმარებოდა. მუსავატური პარტია, რომელსაც მ. გ. ჰაჯინსკი უძღვებოდა, ოსმალეთის სახელმწიფოსთან გაერთიანებას მიიჩნევდა გამართლებულად. თუმცა ბათუმის მოლაპარაკებებიდან დაბრუნებული უსუბბეკოვი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ იდეას და ამბობდა, რომ ოსმალეთიც იმავე პოზიციას იზიარებდა. ამ უკანასკნელს საამისოდ არაერთი მიზეზი ჰქონდა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ბულგარეთს შეეძლო, ადრიანოპოლის შეერთება მოეთხოვა (ლონდონის 1913 წლის შეთანხმების მიხედვით). მუსავატთა უმრავლესობა მხარს უჭერდა ამ იდეას. ამრიგად, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მტკიცება, თითქოს სეიმის აზერბაიჯანელი დეპუტატები ოსმალეთის იმპერიასთან შეერთებისკენ ისწრაფოდნენ, ბათილდება ფაქტებით. ყველა პარტია ერთ გადაწყვეტილებამდე მივიდა – გამოეცხადებინათ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. გადაწყდა, შექმნილიყო დროებითი ეროვნული საბჭო მ. ე. რასულზადეს თავმჯდომარეობით. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ფ. ხ. ხოისკი აირჩიეს.[96] ცხარე დებატების შემდეგ მიღებულ იქნა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც დეპუტატთაგან ოცდაოთხმა მისცა ხმა, ორმა კი კენჭისყრისგან თავი შეიკავა. დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო კანონს უტოლდებოდა, აცხადებდა, რომ „სახალხო რესპუბლიკა აღიარებულია დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფო მოწყობის ფორმად“. [97]

96 Адрес-календарь Азербайджанской республики на 1920 г. Баку, 1920, с. 13.

97 Azərbaycan Cumhuriyyəti. Sənədlər. Bakı, 1998, p. 12.

ამგვარად, 1918 წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადება განპირობებული იყო როგორც შიდა, ისევე საგარეო პოლიტიკური ფაქტორებით. თუ 1918 წლის მარტამდე ამიერკავკასიის სეიმის აზერბაიჯანელ და ქართველ დეპუტატებს ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით საერთო პოზიცია ჰქონდათ და არაერთ საკითხზე თანხმდებოდნენ, ბაქოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. აზერბაიჯანულმა ფრაქციამ, რომელმაც სეიმისაგან დახმარება ვერ მიიღო, ერთადერთ მოკავშირედ ოსმალეთის იმპერია მიიჩნია, ხოლო ქართველებისთვის თურქ დამპყრობელთაგან ერთადერთი ხსნა გერმანია იყო.

1918-1920 წლებში სამხრეთკავკასიურ სახელმწიფოთა, განსაკუთრებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის, ეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტა წარუმატებლად ცდილობდა, შეექმნა კონფედერაცია, ამჯერად იმისათვის, რომ სისრულეში მოეყვანათ მსოფლიო ომში გამარჯვებული ანტანტის წევრი სახელმწიფოების, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის, შეთავაზებები. უკვე 1919 წელს, როდესაც დენიკინის არმიამ დაღესტანი დაიკავა და სამხრეთ კავკასიის დაპყრობა რეალურ საფრთხედ იქცა, 1919 წლის 16 ივნისს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის „სამხედრო ხელშეკრულება“ გაფორმდა. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერდა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალ-მაიორი ი. გედევანიშვილი, აზერბაიჯანის მხრიდან კი – საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ჯაფაროვი, თავდაცვის მინისტრი ს. მეჰმანდაროვი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მ. სულკევიჩი.[98] წმინდად თავდაცვითი ხასიათის სამხედრო კონვენცია სამი წლით შევიდა ძალაში. სამხედრო ურთიერთდახმარება გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ხელმომწერ მხარეს თავს დაესხმოდა მესამე ძალა. საქართველო აზერბაიჯანს

[98] Z. Gasimov, The Emergence of the Azerbaijani and Georgian republics (1918-1921): Army-building and military cooperation. // The Caucasus and Globalization: CA&CC Press, Sweden, 2007, Vol.1(2), p. 105.

ეხმარებოდა არმიის შექმნასა და ოფიცერთა სამხედრო წვრთნაში, ხოლო აზერბაიჯანის მხარე საქართველოს ნავთობით და დეფიციტური პროდუქტებით უზრუნველყოფდა.[99] თუმცა პოლიტიკური ვითარების ცვლილებამ და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის საკითხთან დაკავშირებულმა უთანხმოებამ ხელი შეუშალა ხელშეკრულების რეალიზებას. დენიკინის არმიის დამარცხების შემდეგ მე-11 წითელი არმია აზერბაიჯანის საზღვარს მოუახლოვდა. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში განლაგებულმა აზერბაიჯანულმა ჯარმა ვერ შეძლო საბჭოთა რუსეთისათვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა. აზერბაიჯანის უახლოესი მოკავშირე, ქემალისტური თურქეთი, საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობდა და 1919 წლის შემდეგ თავს იკავებდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მხარდაჭერისაგან. აზერბაიჯანის დაცემამ, ფაქტობრივად, გააუქმა ბაქო-თბილისის ხელშეკრულება და მნიშვნელოვნად გააძლიერა ბოლშევიკების პოზიცია სამხრეთ კავკასიაში.

წითელმა არმიამ აზერბაიჯანი 1920 წლის აპრილში დაიპყრო, სომხეთი – იმავე წლის ნოემბერში, ხოლო საქართველო – 1921 წლის თებერვალში. სუსტად მომზადებული და ცუდად აღჭურვილი ჯარის არსებობა, რა თქმა უნდა, ორივე რესპუბლიკის მარცხისთვის გადამწყვეტი იყო, თუმცა გაცილებით მძლავრი წითელი არმიისთვის წინააღმდეგობის გაწევა ახალგაზრდა რესპუბლიკებს პროფესიული არმიის არსებობის შემთხვევაშიც გაუჭირდებოდათ.

„ერთ საერთო კომუნისტურ ოჯახში“ გაერთიანება იყო ის უმთავრესი ამოცანა, რომელსაც მოსკოვი ახალ ხელისუფალთ გასაბჭოების პირველივე დღეებში უსახავდა. ივარაუდებოდა გაერთიანება ჯერ რეგიონულ დონეზე, შემდეგ კი შესვლა სსრკ-ში, რომელიც 1922 წელს შეიქმნა. ამრიგად, ცენტრის გადაწყვეტილებით, აზერბაიჯანი და საქართველო ხანგრძლივი 70 წლით შეუერთდნენ საბჭოთა იმპერიას.

[99] Z. Gasimov, The Emergence of the Azerbaijani and Georgian republics (1918-1921): Army-building and military cooperation. // The Caucasus and Globalization: CA&CC Press, Sweden, 2007, Vol.1(2), p. 106.

გერმანია-ოსმალეთის დაპირისპირება კავკასიაში 1918 წელს და საქართველოს საკითხი

გიორგი ასტამაძე
დოქტორანტი, კარლსრუეს უნივერსიტეტი

1917 წლის ნოემბერში გერმანიის იმპერიის მხარდაჭერით რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ძირეულად შეცვალა მსოფლიო ომისას აღმოსავლეთის ფრონტზე არსებული სურათი. რუსეთი მსოფლიო ომს ჩამოშორდა, მაგრამ კავკასიის ფრონტზე მოვლენები ისე განვითარდა, რომ 1918 წლის ზაფხულში გერმანიას შენაერთების გაგზავნა მაინც მოუწია, ოღონდ ამჯერად არა რუსეთის, არამედ მისი მოკავშირე ოსმალეთის მისწრაფებათა აღსაკვეთად და აღმოსავლეთში საკუთარი სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად.

მსოფლიო ომის მიმდინარეობისას კავკასიის ფრონტი იყო ერთადერთი, სადაც ყველაფერი ადრე გაირკვა. 1914 წლის დეკემბერში, სარიყამიშის კატასტროფის შემდეგ, ოსმალეთი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1917 წლამდე რუსებმა დაიკავეს თითქმის მთელი აღმოსავლეთ თურქეთი[1], რომლის უსაფრთხოება მეტად საეჭვო იყო. ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ოსმალეთი კატასტროფისგან იხსნა. ომიდან რუსეთის გამოთიშვის შემდეგ, ოსმალეთში წინა პლანზე გამოვიდა პანთურქული იდეები, რომლებსაც

[1] პირველი მსოფლიო ომისას თურქების სახელმწიფოს ოფიციალური სახელი ოსმალეთის იმპერია იყო, თუმცა სწორად მიმაჩნია „თურქეთის“ გამოყენებაც, რადგან იმ დროის საარქივო მასალაში და თავად თურქების მიერაც ხშირად ეს ტერმინი გამოიყენება. შესაბამისად, სტატიაში ორივე ტერმინს გამოვიყენებთ.

მხარს უჭერდა მთლიანად ახალგაზრდა თურქების ხელისუფლება, განსაკუთრებით კი – ომის მინისტრი ენვერ ფაშა.[2]

პანთურქული იდეების განსახორციელებლად, რელიგიურ და ეთნიკურ მოკავშირეებთან – კავკასიელ თათრებთან და შემდეგ ცენტრალური აზიის თურქებთან – პირდაპირი კავშირის დასამყარებლად, კავკასიაში ქართველებისა და სომხების დაპყრობა იყო აუცილებელი. თურანისტების პოზიციას ამყარებდა ისიც, რომ ომის მიმდინარეობისას თურქებმა ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლებში თითქმის მთლიანად დაკარგეს თავიანთი არაბული სამფლობელოები მესოპოტამიასა და პალესტინაში, რის შემდეგაც მათი ინტერესი კავკასიისკენ იყო მიმართული.

1917 წლის 15 დეკემბერს ენვერ ფაშამ გერმანიის წარმომადგენლობას კონსტანტინოპოლში მისწერა წერილი, რომელშიც ასაბუთებდა, რომ ომის დროს ოთხთა კავშირის ყველა ქვეყანამ, გარდა თურქებისა, მოგება ნახა: გერმანელებმა – კურლანდიასა და ლიტვაში, ავსტრიელებმა – სერბეთში, მაკედონიაში, მონტენეგროსა და ალბანეთში, ბულგარელებმა კი – სერბეთში, მაკედონიასა და დობრუჯაში.[3] ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც უდიდესი ზარალის მიუხედავად, მოგება არ ჰქონდა, ოსმალეთი იყო და ახლა ის 1878

---

[2] პანთურქიზმი, იგივე თურანიზმი, რომლის ყველაზე დიდი თეორეტიკოსი ზია გოქალფი იყო, იმპერიაში ოსმანიზმის თურქული ნაციონალიზმით ჩანაცვლებას ვარაუდობდა. ეს, არაბული მიწების ნაცვლად, რუსეთის მფლობელობაში მყოფი თურქული მოდგმის ხალხების – ყირიმელების, კავკასიელი თათრების, ყირგიზების, თურქმენების, უზბეკებისა და ყველა სხვა დანარჩენის – ეთნიკურად თურქულ ერთიან იმპერიაში მოქცევას გულისხმობდა. იმპერიის საზღვრები სტამბოლიდან ჩინეთამდე იქნებოდა განფენილი. 1908-1918 წლებში, ახალგაზრდა თურქების ხელისუფლებაში ყოფნის დროს, პანთურქული იდეოლოგია ძალიან პოპულარული იყო ოსმალეთში. თურანიზმის შესახებ დეტალურად იხ. G. Jäschke, Der Turanismus der Jungtürken. Zur osmanischen Außenpolitik im Weltkriege, in: Die Welt des Islams, Bd. 23, 1941, 1-54; K. Ziemke, Die neue Türkei. Politische Entwicklung 1914-1929, Stuttgart 1930; Jäckh, E. Der aufsteigende Halbmond, Stuttgart und Berlin, 1916.

[3] იხ. PA AA, R11041, 15.12.1917, Schreiben Enver Paschas an Zekki Pascha.

წელს ბერლინის კონგრესზე მისთვის ჩამორთმეული ყარს-არდაგან-ბათუმის[4] დაბრუნებას ითხოვდა. ენვერი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კავკასიაში თურქეთის გაფართოება ნახსენები იყო გერმანია-თურქეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებაშიც და, გარდა ამისა, ოსმალეთი, ამ თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოკავშირეებთან ერთად ბრძოლაში განახლებული მოტივაციით ჩაერთვებოდა.[5]

საპასუხო წერილში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ერთგულ მოკავშირეს ყარსის, არდაგანისა და ბათუმის დაბრუნების საკითხში თანადგომას უცხადებდა, თუმცა იქვე სთხოვდა რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებას და ადგილობრივ მოსახლეობას თურქეთთან შეერთების სურვილის გამოხატვისკენ მოუწოდებდა.[6] ოსმალებმა სასწრაფოდ შექმნეს მარიონეტული პროთურქული კავკასიური კომიტეტი, რომელიც სამი რეგიონის ოსმალეთთან შეერთებას ითხოვდა. კომიტეტის წევრთა უმეტესობა, ათიდან ექვსი პირი, არა კავკასიელი, არამედ ისედაც ოსმალეთის მოქალაქე იყო.[7]

თურქეთის მოთხოვნის გახმაურების შემდეგ, ბერლინში გააქტიურდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმო-

---

4 ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქებს თურქულ ისტორიოგრაფიაში Elviye-i Selase-ს უწოდებენ, რაც ითარგმნება, როგორც „სამი ქალაქი“.

5 გერმანიასა და ოსმალეთს შორის 1914 წლის 2 აგვისტოს გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელშიც თურქეთის კავკასიაში გაფართოების შესახებ არაფერი იყო ნახსენები. იმავეს ადასტურებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ენვერ ფაშას წერილის შესახებ. იხ. PA AA, R11041, 25.12.1917. Auf Bericht vom 14. Dezember. თუმცა იქვე თანდართულია პატარა კომენტარი, რომ დარდანელის სრუტეში გერმანული გემების „გებენისა“ და „ბრესლაუს“ შესვლაზე მოლაპარაკებების დროს გერმანიას თურქებისთვის აღმოსავლეთით „საზღვრის მცირე შესწორების“ შესახებ თანხმობა მიუცია, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი მოკავშირეები ევროპაში სრულ გამარჯვებას მოიპოვებდნენ. ენვერ ფაშას გერმანელების დანაპირების სათავისო ინტერპრეტაცია მოჰყავდა.

6 იხ. PA AA, R11041, 25.12.1917, Staatssekretär an Enver Pascha.

7 იხ. PA AA, R11041, 27.12.1917, Bernstorff an Auswärtiges Amt.

მადგენლობა, რომელიც თავისი საინფორმაციო კამპანიით ეწინააღმდეგებოდა ოსმალების მისწრაფებებს. 1918 წლის იანვარში გიორგი მაჩაბელმა და გიორგი კერესელიძემ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკს მისწერეს წერილი, რომელშიც ატყობინებდნენ თურქული საინფორმაციო პროპაგანდის სიცრუის შესახებ და ხაზს უსვამდნენ, რომ ეს ოლქები, განსაკუთრებით კი ბათუმი, აუცილებლად კავკასიის მთავრობას უნდა დარჩენოდა. პროთურქული კომიტეტი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ოსმალეთის მცდელობა, ამგვარად შეენიღბა 1878 წელს დაკარგული მიწების დაბრუნება.[8] ქართველები აღნიშნავდნენ, რომ სამუსლიმანო საქართველო ანუ აჭარა საქართველოს ფარგლებში შესაბამის ავტონომიურ უფლებებს მიიღებდა.[9] ისინი, ბათუმის სტრატეგიული მდებარეობიდან, საპორტო, სარკინიგზო და ეკონომიკური მნიშვნელობებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ცდილობდნენ, საპორტო ქალაქი კავკასიის შემადგენლობაში დაეტოვებინათ.

ბათუმის საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ გიორგი მაჩაბელი ოსმალეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრსა და დიდვეზირს, თალაათ ფაშას, ასევე ჰაკი ფაშასა და იზეთ ფაშას 1918 წლის 4 თებერვალს ვარშავაში პირადად შეხვდა.[10] მაჩაბელმა აუხსნა მათ სირთულეები, რომლებიც საქართველოსა და კავკასიელებს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ზოგადად ხელს უშლიდა: ბოლშევიკური რუსეთის მტრული დამოკიდებულება რეგიონისადმი, კავკასიაში მყოფი გაბოლშევიკებული და უდისციპლინო მრავალა-

---

8 PA AA, R11041, 23.1.1918, Matschabelli und Keresselidze an Wesendonk. ქართული კომიტეტის წევრების მიზანი ბათუმის ოლქის (ართვინის ჩათვლით) შენარჩუნება იყო. გარდა იმისა, რომ ბათუმი მთელი კავკასიისთვის სტრატეგიულად და ეკონომიკურად უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო, განსხვავებით არდაგანისგან, აქ ცხოვრობდა დიდი რაოდენობით ქართული, მათ შორის, ქრისტიანული, მოსახლეობა. სომხურ ყარსზე პრეტენზია არც არავის ჰქონდა. ამიტომ, ბათუმის ოლქის საქართველოსათვის მიკუთვნების შემთხვევაში, ისინი ყარსისა და არდაგანის ოსმალებისთვის გადაცემას არ ეწინააღმდეგებოდნენ.

9 იხ. PA AA, R11041, 24.1.1918, Matschabelli an Wesendonk.

10 PA AA, R11042, 5.2.1918, Kurzes Protokoll der Besprechungen.

თასიანი რუსული არმია, ნაციონალურ საკითხთა მოუგვარებლობა და ასევე თურქეთის ჯერ კიდევ უცნობი პოზიცია, ხომ არ წამოაყენებდა ის პრეტენზიებს კავკასიის ამა თუ იმ ტერიტორიაზე.[11]

თალაათ ფაშამ მაჩაბელს მისცა ზეპირი გარანტია, რომ თურქეთს არ ექნებოდა პრეტენზია არც ბათუმზე, არც აჭარასა ან სხვა ტერიტორიებზე, პირიქით, ის ყველანაირად დაუჭერდა მხარს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და აღმშენებლობას და მონაწილეობასაც მიიღებდა ამ საქმეში. მსგავსი განცხადებებით გამოვიდნენ ჰაკი ფაშაც და იზეთ ფაშაც. შედგა ამ შეხვედრის წერილობითი პროტოკოლი.[12]

თუმცა ვარშავის მოლაპარაკებები 1918 წელს, თურქებთან შემდგომში გამართული სხვა მოლაპარაკებების მსგავსად, უშედეგო გამოდგა. იმავდროულად, ოსმალები ავრცელებდნენ ხმებს, რომ ქართველები თანხმდებოდნენ ბათუმის თურქებისთვის გადაცემას[13] და ამზადებდნენ წინაპირობებს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთთან მიმდინარე მოლაპარაკებებზე საკითხის დასაყენებლად. კავკასიელი პოლიტიკოსების არყოფნამ ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე თურქების მიზნების განხორციელებას ხელი შეუწყო. გერმანელებს ან ავსტრიელებს კავკასიელები მოლაპარაკებებზე არ მიუწვევიათ, არქივებში ასეთი მასალა არ მოიძებნება. მოწვევა გაკეთდა თურქების მხრიდან, ისიც გვიან, 1918 წლის 16 იანვარს, როცა კავკასიის არმიის სარდალმა ვეჰიბ ფაშამ ამიერკავკასიის ხელისუფლებას წერილი გაუგზავნა.[14] ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ ეს მიწვევა მხოლოდ 14 თებერვალს მიიღო და უპასუხოდ დატოვა, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მოლაპარაკებები ამ დროს უკვე დასკვნით ფაზაში იყო და კავკასიელი წარმომადგენლების ჩასვლა ფიზიკურად ვერ მოესწრებოდა. ომის გამო გაჭირდებოდა მგზავრობაც. ბრესტ-ლიტოვსკში კავკა-

---

11 იხ. იქვე. PA AA, R11042, 5.2.1918, Kurzes Protokoll der Besprechungen.

12 იხ. იქვე. PA AA, R11042, 5.2.1918, Kurzes Protokoll der Besprechungen.

13 იხ. PA AA, R11042, 23.2.1918.

14 ვეჰიბ ფაშას მიპატიჟება ამიერკავკასიის ხელისუფლებისათვის ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციაზე სრულად იხ. Документы и Материалы по Внешней Политике Закавказья и Грузии, Тбилиси, 1990, 52.

სიის ოფიციალური წარმომადგენლის დასწრება ამიერკავკასიას უკრაინის, ფინეთისა და ბალტიის ქვეყნების გვერდით დააყენებდა და, დიდი ალბათობით, ბათუმის ოლქის შენარჩუნებაც მოხერხდებოდა, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკში წარმომადგენლის არყოლით ოსმალეთმა ისარგებლა და, სამშვიდობო ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით, რუსეთისგან ყარს-არდაგან-ბათუმის დაბრუნების პირობა მიიღო.[15]

1918 წლის მარტში, გერმანიის იმპერიასა და ბოლშევიკებს შორის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ, კავკასიის საკითხმა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა, რის შედეგადაც მსოფლიო ომის მოკავშირე გერმანია და ოსმალეთი განხეთქილების პირას აღმოჩნდნენ. გერმანიის იმპერია კავკასიას ოსმალეთის „უკანა ეზოდ“ არ თვლიდა, რადგან, გერმანიასა და ოსმალეთში მოქმედი ქართული კომიტეტისა და ქართული ლეგიონის საშუალებით, 1914 წლიდან რეგიონის რევოლუციონირების პოლიტიკას თავად აწარმოებდა, რაშიც ენერგია და ფული ჰქონდა დახარჯული.[16] თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კონკრეტული გეგმა ომის შემდგომი კავკასიის მოწყობის თაობაზე გერმანიის იმპერიას მაშინ არ გააჩნდა.

---

15 ხელშეკრულების მე-4 პუნქტი არ ითვალისწინებდა სამი ოლქის ოსმალეთისთვის პირდაპირ გადაცემს. არამედ რუსეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ ოლქების ტერიტორია, ხოლო შიდა და საგარეო ურთიერთობები უნდა გადაეწყვიტა ამ ოლქების მოსახლეობას თავად, მეზობელ სახელმწიფოებთან, „განსაკუთრებით კი თურქეთთან, შეთანხმებით“. ამ ბოლო წინადადებით უპირატესობა თურქეთს ენიჭებოდა. ტექსტისათვის იხ. Wheeler-Bennet, Brest-Litovsk. The Forgotten Peace 1918, pp. 405-406.

16 გერმანიაში მოქმედი ქართული კომიტეტისა და ქართული ლეგიონის საქმიანობის შესახებ იხ. ლ. ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918, თბილისი, 2010; W. Bihl, Die Kaukasus-Politik der Mittelmächte, Teil I: Ihre Basis in der Orientpolitik und ihre Aktionen 1914-1917. Wien-Köln-Graz 1975; W, Zürrer, Zur Geschichte der Georgischen Legion im Ersten Weltkrieg, In: Militärgeschichte Mitteilungen 23 (1978), S. 85-104. გერმანიის მიერ წარმოებული რუსეთის რევოლუციონირების პოლიტიკის შესახებ იხ. P. Kielmansegg, Deutschland und der Erste Weltkrieg, Frankfurt am Main 1968, S. 214-219.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, პირველ ეტაპზე, გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა, ოსმალეთში მყოფი გენერლის, ჰანს ფონ ზეექტის, გავლენით, მხარს უჭერდა კავკასიაში თურქეთისთვის უპირატესობის მინიჭებას.[17] გერმანელი პოლიტიკოსები – საგარეო საქმეთა სამინისტრო – ამის წინააღმდეგი იყო, რადგან თვლიდა, რომ კავკასიის ქრისტიანულ ნაწილზე თურქეთის გავლენა გერმანიისთვის პირდაპირი საფრთხის შემცველი იქნებოდა. ოსმალები ამგვარად კავშირს დაამყარებდნენ მოკავშირე კავკასიელ თათრებთან და საშუალება ექნებოდათ, ბაქოს და კასპიის ზღვის გავლით, ცენტრალურ აზიაში პანთურქული მიზნები განეხორციელებინათ. ეს ყველაფერი ზრდიდა არაბეთსა და სპარსეთში სამხედრო მოქმედებების მიმართ ოსმალების ნიჰილიზმსა და ინგლისელებთან შესაძლო სეპარატული ზავის დადების ალბათობას.[18]

გერმანელები მალე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბრესტ-ლიტოვსკში ოსმალებისათვის ბათუმის დათმობით დიდი შეცდომა დაუშვეს. ბათუმის ჩამოცილება კავკასიას, ფაქტობრივად, სასიცოცხლო არტერიას აჭრიდა, რადგან იკარგებოდა ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ერთობა, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ბოლო ნაწილი ოსმალების ხელში გადადიოდა და კითხვის ნიშნის ქვეშ

---

17 მსოფლიო ომის მიმდინარეობისას გერმანელი გენერლები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ოსმალეთის გენერალურ შტაბსა და, ზოგადად, სამხედრო ძალების ფუნქციონირებაში. ჰანს ფონ ზეექტი 1917 წლის დეკემბრიდან ოსმალეთის გენერალური შტაბის უფროსი და ყველაზე პროთურქულად განწყობილი გერმანელი სამხედრო პირი იყო. 1918 წლის 10 აპრილს ის ლუდენდორფს პირდაპირ წერდა, რომ მათი მიზანი იყო, თბილისი-ბაქოს რკინიგზა თურქების ხელში შეძლებისდაგვარად მალე აღმოჩენილიყო. იხ. H. Seeckt, Aus seinem Leben, 1918-1936. Friedrich von Rabenau (Hrsg.), Leipzig, 1940, 29. ოსმალეთში მისი ყოფნის პერიოდზე სრულად იხ. იქვე, B. 11-54. აგრეთვე ხელმისაწვდომია მისი პირადი არქივი. კავკასიის შესახებ იხ. BA/MA, №247/42, №247/50. თურქებისთვის კავკასიის დათმობის შესახებ აგრეთვე იხ. W. Baumgart, Das „Kaspi-Unternehmen“, Größenwahn Ludendorffs oder Routineplannung des deutschen Generalstabes? Jahrbücher für Geschichte Europas, Wiesbaden, 1970, Bd. 18, S. 47-126, 231-278, 63.

18 იხ. PA AA, R11044, 15.04.1918. Staatssekretär an Großes Hauptquartier.

დგებოდა ხარჯები, რომლებიც გერმანიამ 1914-1917 წლებში სამხრეთ კავკასიის რევოლუციონირებისთვის გაიღო. მომდევნო თვეებში – აპრილსა და მაისში – გერმანელები ამ შეცდომის გამოსწორების ცდილობდნენ. ამას ხელი შეუწყო ტრაპიზონში ოსმალებსა და კავკასიელებს შორის მიმდინარე საზავო კონფერენციამ, რომელზეც თურქები, აზერბაიჯანელთა გადაბირების ხარჯზე, ქართველებისა და სომხების ფაქტის წინაშე დაყენებას, დამატებითი ტერიტორიების დაკავებასა და, ფაქტობრივად, მთელი კავკასიის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობდნენ. კავკასიის ერთიანობას ტრაპიზონში, აზერბაიჯანელების პროთურქული და ანტიკავკასიური ქმედებების გამო, გამანადგურებელი დარტყმა მიადგა.[19]

ბერლინში ამ მოვლენათა შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ. სწორედ აპრილის შუა რიცხვებიდან იწყება გარდატეხა კავკასიის საკითხისადმი გერმანიის მიდგომაში. საგარეო საქმეთა სამინისტრომ იცოდა ვარშავაში თალაათ ფაშას მიერ გიორგი მაჩაბელისთვის მიცემული პირობის შესახებ. მაჩაბელს სურვილი ჰქონდა, დასწრებოდა ტრაპიზონის კონფერენციას, მაგრამ თურქები ამის უფლებას არ აძლევდნენ. თუკი ომის მსვლელობისას გერმანიის იმპერია აღმოსავლეთში მთავარ მტრად რუსეთის იმპერიას მიიჩნევდა და ოსმალეთის მისწრაფებებს, როგორიც უნდა ყოფილიყო, მხარს უჭერდა, რუსეთის ომიდან გამოთიშვის შემდეგ, ოსმალეთის პანთურქული მისწრაფებები გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური წრეებისათვის მეტწილად სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. ბათუმი მისი რკინიგზითა და მიმდებარე ვიწრო ზოლით საქართველოს ან კავკასიას უნდა დარჩენოდა, მიუხედავად იმისა, როგორი იქნებოდა მისი სახელმწიფო მოწყობა. აგრეთვე, მთლიანად უნდა გამოერიცხათ თურქების წინსვლა ბრესტ-ლიტოვსკით ოსმალებისთვის გადაცემული ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების გარეთ კავკასიის სიღრმეში, ქართულ და სომხურ მიწებზე. ამისთვის, თუ

[19] ტრაპიზონისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციების დოკუმენტების სრული გამოცემა, იხ. Трапезундская и Батумская Мирные Конференции, Документы и Материалы. Ред. Ир. Якобашвили, Тбилиси, 2018.

საჭირო იქნებოდა, გერმანიის მეთაურობას ოსმალეთის მთავრობაზე ზეწოლა უნდა მოეხდინა.[20]

აპრილის თვეში შეიცვალა ფელდმარშალ ერიხ ლუდენდორფის მიდგომაც საკითხისადმი. ლუდენდორფი კავკასიის რეგიონიდან მოელოდა ომისათვის საჭირო ნედლეულის მიღებას, ძლიერი ქართული არმიის ჩამოყალიბებას, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გერმანელების მხარეს უნდა ებრძოლა და სამომავლოდ თურქესტანსა და ინდოეთში ინგლისელების წინააღმდეგ ომის საწარმოებლად გეოგრაფიული ტრამპლინის მოპოვებას.[21] ლუდენდორფი თურქებისგან ტრაპიზონის კონფერენციაზე კავკასიელებთან ზომიერი პოლიტიკის წარმოებას, ომის შეწყვეტასა და ზავის დადებას პირდაპირ მოითხოვდა.[22] ის მიიჩნევდა, რომ ოსმალებს ახლო აღმოსავლეთში დაკარგული არაბული მიწების საკომპენსაციოდ უნდა გადასცემოდათ არა მთლიანი კავკასია, არამედ მხოლოდ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გათვალისწინებული მიწები, ისიც – მდინარე ჭოროხამდე, ქალაქი ბათუმი და მის ჩრდილოეთით მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობა კი გერმანელების პროტექტორატის ქვეშ მყოფ საქართველოს უნდა დარჩენოდა. დანაკლისის ანაზღაურება თურქებისათვის სომხეთსა ან კავკასიის სხვა რეგიონში შეიძლებოდა. ლუდენდორფი თურქებს მოუწოდებდა, ეღიარებინათ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებში.[23]

კავკასიის საკითხისადმი ლუდენდორფის ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, როგორც ჩანს, ერთგვარი წვლილი შეიტანა ცნობილმა გერმანელმა მოგზაურმა, ავღანეთის გერმანული ექსპედიციის მეთაურმა ოსკარ ფონ ნიდერმაიერმა. აპრილის ბოლოს ლუდენდორფი ავღანეთში არსებული მდგომარეობის შესა-

---

20 იხ. PA AA, R11044, 15.04.1918. Staatssekretär an Großes Hauptquartier.

21 იხ. Baumgart, Das Kaspi-Unternehmen, Größenwahn Ludendorffs oder Routineplannung des deutschen Generalstabes? Jahrbücher für Geschichte Europas, Wiesbaden, 1970, S. 64-65.

22 PA AA, R22340, 26.4.1918, Ludendorff an das Auswärtige Amt

23 იხ. იქვე. PA AA, R22340, 26.4.1918, Ludendorff an das Auswärtige Amt.

ხებ ნიდერმაიერის ინფორმაციით დაინტერესდა და მიიღო პასუხი, რომ გერმანიის მხრიდან წმინდა წყლის დიპლომატიური ზეგავლენა ავღანეთზე არასაიმედო იყო, თუმცა შედეგიანი იქნებოდა იარაღით დახმარება და ოფიცრების გაგზავნა.[24] ეს ინფორმაცია გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის მოგონებებითაც დასტურდება.[25]

განსაკუთრებით საინტერესო იყო ლუდენდორფის გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით. პროგერმანული ქართული კომიტეტის ოთხწლიანი მუშაობის წყალობით, გერმანიის სამხედრო-დიპლომატიურ წრეებში საქართველოს, დანარჩენ კავკასიასთან შედარებით, ბევრად უკეთ იცნობდნენ. შესაბამისად, უფრო დიდი იყო მოლოდინიც. ლუდენდორფი ფიქრობდა, რომ თუკი გერმანია საქართველოში დაფუძნდებოდა და იქ ეფექტურ მმართველობას შექმნიდა, დროთა განმავლობაში საქართველოს შეუერთდებოდნენ სხვა კავკასიური სახელმწიფოებიც და ჩამოყალიბდებოდა გერმანიასთან თითქმის გაერთიანებული კავკასიური ბლოკი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ომის დროს რეგიონში რუსებისა და ინგლისელების შესაკავებლად, სამხედრო ინდუსტრიისთვის საჭირო ნედლეულის გერმანიაში საექსპორტოდ, ომის დასრულების შემდეგ კი – სამხედრო-ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად.[26]

გერმანელების სურვილი, ოსმალები ბრესტ-ლიტოვსკით გათვალისწინებულ საზღვრებში შეეკავებინათ, ამაო გამოდგა. თურ-

---

24 იხ. Baumgart, Das Kaspi-Unternehmen, Größenwahn Ludendorffs oder Routineplannung des deutschen Generalstabes? Jahrbücher für Geschichte Europas, Wiesbaden, 1970, S. 66.

25 კრეს ფონ კრესენშტაინი მოგონებებში წერს, რომ ლუდენდორფის აზროვნებაში გარდატეხა მოხდა მაშინ, როდესაც ქართველებმა გერმანიას დახმარება სთხოვეს და კაპიტანმა ფონ ნიდერმაიერმა ლუდენდორფის ყურადღება გაამახვილა კავკასიის მნიშვნელობაზე ინდოეთში სამომავლო ექსპედიციისას. იხ. F. Kressenstein, Meine Mission im Kaukasus, ჩემი მისია კავკასიაში, ქუთაისი, 2002, S. 68.

26 W. Baumgart, Deutsche Ostpolitik 1918. Von Brest-Litowsk bis zum Ende des Ersten Weltkrieges, Wien/München 1966, S. 388. წყარო: Schreiben General Ludendorffs an General Groener, 12.6.1918. Nachlass Groener, BA/MA, H 08-46/171.

ქებმა ჯერ რუსეთთან ომამდელი საზღვარი აღადგინეს, აპრილში კი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე Elviye i Selase-ის დასაკავებლად გადავიდნენ. 14 აპრილს მათ ბათუმი აიღეს, 25 აპრილს კი, ამიერკავკასიაში არსებული ქაოსის გამო, რაც 22 აპრილს მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა, უბრძოლველად მიიღეს სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი ყარსი.[27] კავკასიელების წარუმატებლობა ამით არ დასრულებულა. თურქებმა წამოაყენეს ახალი პირობები, რომელთა მიხედვითაც მოითხოვდნენ ახალციხეს, ახალქალაქს, ელიზავეტოპოლსა და, გარდა ამისა – ამიერკავკასიის რკინიგზის სრულ კონტროლს.[28] მაისის დასაწყისიდან თურქები შეტევას ახორციელებდნენ როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის მიმართულებით, ბათუმში კი გაიხსნა მეორე კონფერენცია, რომელშიც ოსმალები და კავკასიელები მონაწილეობდნენ. თუმცა, განსხვავებით ტრაპიზონისგან, აქ საქმეში გერმანიის წარმომადგენლები ჩაერივნენ.

გერმანიამ კავკასიელებსა და თურქებს შორის ბათუმის მოლაპარაკებებზე ბავარიელი გენერალი ოტო ფონ ლოსოვი გაგზავნა. ლოსოვი მანამდე კონსტანტინოპოლში გერმანიის სამხედრო წარმომადგენლად მუშაობდა და პროთურქული განწყობით იყო ცნობილი. სხვა წარმომადგენლებად დაინიშნენ გერმანიის ყოფილი ვიცე-კონსული თბილისში – ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი და კავკასიის მცოდნე ოტო ფონ ვეზენდონკი.[29] თურქები ყოველმხრივ ცდილობდნენ, კავკასიელებთან მარტო დარჩენილიყვნენ, ისინი

---

27 წარმოებული ბრძოლების შესახებ დეტალურად იხ. W. E. D. Allen, P. Muratoff, Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Caucasian Border 1828-1921. Cambridge 1953, pp. 464-466. 1918 წელს ყარსის გადაცემისა და თურქეთ-სომხეთის სხვა ომების შესახებ ასევე იხ. R. Hovannisian, Armenia on the Road to Independence 1918, Berkeley, 1967; მისივე The Republic of Armenia, vol. 1, The First Year, 1918-1919. Berkeley 1971; მისივე The Allies and Armenia, 1915-1918, Journal of Contemporary History, Vol. 3, No. 1 (Jan., 1968), pp. 145-168.

28 R. Hovannisian, The Republic of Armenia, vol. 1, The First Year, 1918-1919. Berkeley 1971, p. 28.

29 Nachlass Schulenburg, № 2273, Stück 106, 10.5.1918, Schulenburg an Scharfenberg.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, გერმანელი წარმომადგენელი დაებლოკათ და მისთვის სატელეგრაფო თუ სხვა სახის კომუნიკაციის საშუალება არ მიეცათ. ამგვარმა საქციელმა ლოსოვის დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა. ამ დროიდან იგი აშკარად უჭერდა მხარს კავკასიაში გერმანული ინტერესების თურქების ჩაურევლად, უშუალოდ გატარებას. სწორედ მისი და აკაკი ჩხენკელის, კონფერენციაზე ამიერკავკასიის წარმომადგენლის, წაქეზებით, რომელიც თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოთხოვნით წერილებს აგზავნიდა, 1918 წლის 26 მაისს დაიბადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.[30]

ოტო ფონ ლოსოვის განწყობათა ცვლილებაში, თავად თურქების უსაქციელობის გარდა, შულენბურგის ხელიც ერია. შულენბურგის არქივში ინახება კონსტანტინოპოლში გერმანიის წარმომადგენელ შარფენბერგისადმი გაგზავნილი ვრცელი წერილი, რომელიც 1918 წლის 10 მაისით თარიღდება. შულენბურგი აღწერს კავკასიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, თურქებისაგან მომავალ საფრთხეს, ადგილობრივების ანტითურქულ და პროგერმანულ განწყობას. იგი აღნიშნავს, რომ ვეჰიბ ფაშა ცდილობს ფონ ლოსოვის იზოლირებას, არ ელაპარაკება მას ფრანგულად, უხშობს წვდომას ტელეგრაფთან. შულენბურგი აღწერს თურქების მტრულ დამოკიდებულებას გერმანელებისადმი და საქმეში ჩარევის აუცილებლობაზე მიუთითებს.[31] მასთან ერთად გენერალი ოტო ფონ ლოსოვიც ახალი კავკასიური პოლიტიკის საჭიროებაზე საუბრობდა. გერმანიის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ორგანიზატორი სწორედ ეს ორი ადამიანი, შულენბურგი და ფონ ლოსოვი, გახდა.

გენერალ ფონ ლოსოვის ინიციატივით, შულენბურგი ბათუმის მოლაპარაკებიდან პირდაპირ თბილისში გაემგზავრა, რათა გერმანელი ტყვეებისგან ჩამოეყალიბებინა საჯარისო შენაერთები, რომელთა მიზანი საქართველოს ტერიტორიაზე თურქების წინსვლის

---

30 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1831, ანაწ. 2, საქმ. 47, ფ. 1-6.

31 BA, № 2273, Stück 106, 10.5.1918, Schulenburg an Scharfenberg.

შეჩერება უნდა ყოფილიყო. შულენბურგი თბილისში 1918 წლის 20 მაისს ჩავიდა და გერმანული შენაერთების ჩამოყალიბების პროცესს იქიდან მართავდა. იარაღი და აღჭურვილობა მან საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღო. როდესაც 8 ივნისს, კაპიტან ეგან-კრიგერის მეთაურობით,[32] ყირიმიდან პირველი გერმანული ნაწილები ჩამოვიდნენ, მათ საქართველოში უკვე დახვდათ შულენბურგის მიერ ჩამოყალიბებული მცირე გერმანული შენაერთები, რომლებმაც ჯერ კიდევ მაისის ბოლოს გადამწყვეტ მომენტში გაამაგრეს ესა თუ ის ადგილი: ბორჯომი, ყარაგერანი, სანაინი, კატარინენფელდი, ფოთი, სოხუმი.[33] 1918 წლის მაისის მოვლენებს საქართველოში გერმანიის მხრიდან მეთაურობდნენ თბილისში მყოფი ფრიდრიხ შულენბურგი და გერმანიის პირველი სამხედრო კომისიონერი კავკასიაში – კაპიტანი ლუდვიგ ფონ ნიდა, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამხედრო ტყვეებისგან გერმანულ შენაერთებს უშუალოდ ქმნიდა, ასევე – ფოთში მყოფი კონსული ანდერსი და ბათუმში მყოფი საიდუმლო მდივანი კირმისი, რომლებიც ფონ ლოსოვის ბრძანებებს ასრულებდნენ.[34]

გერმანიის იმპერიის სამხედრო მეთაურობასა და საგარეო განყოფილებას შორის, კავკასიაში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. საგარეო საქმეთა სამინისტრო და მინისტრი ფონ კიულმანი ეწინააღმდეგებოდნენ მისიის გაგზავნას იმ მოტივით, რომ არ სურდათ ძალების გადასროლა ადგილებში, სადაც ომის შემდეგ გერმანია პოზიციების შენარჩუნებას ვერ შეძლებდა. კიულმანი გერმანელ სამხედროებს „ნაპოლეონიზმში“ ადანაშაულებდა. ამის მიუხედავად, ლუდენდორფმა და სამხედრო ელიტამ თავისი გაიტანეს და

---

32 საქართველოში მყოფი გერმანული სამხედრო შენაერთების შესახებ იხ. W. Haupt, Deutsche Truppen im Kaukasus – 1918, in: Deutsches Soldatenjahrbuch, München, 1971, S. 140-148; Baumgart, Das Kaspi-Unternehmen, Größenwahn Ludendorffs oder Routineplannung des deutschen Generalstabes? Jahrbücher für Geschichte Europas, Wiesbaden, S. 81-85.

33 BA, № 2273, Stück 115, 26.5.1918, Schulenburg an Lossow.

34 იხ. ლოსოვისა და შულენბურგის მითითებები ფონ ნიდას, ანდერსისა და კირმისისათვის მიმართ BA, №2273, Stück 121.

ამაში ბათუმის კონფერენციამ, ფონ ლოსოვის დამოკიდებულების ცვლილებამ და საქართველოს გერმანიის პროტექტორატად გამოცხადების ქართველთაგან შეთავაზებულმა იდეამ შესაბამისი როლი ითამაშა.[35]

უშუალოდ გერმანული სამხედრო მისიის ჩამოსვლამდე კავკასიაში გერმანელებმა გამოგზავნეს მათი წარმომადგენელი ლუდვიგ ფონ ნიდა, რომელსაც კავკასიაში არსებული ვითარების შესწავლა და ბერლინისთვის ინფორმაციის მოგროვება დაევალა. 1918 წლის 8 ივნისს ფოთში ყირიმიდან ჩამოვიდა პირველი გერმანული შენაერთები კაპიტან იენო ფონ ეგან-კრიგერის მეთაურობით, რომელსაც ადგილზე მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ეწარმოებინა. ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნული ბავარიელი გენერალ-მაიორი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი თავისი შტაბით თბილისში 23 ივნისს ჩამოვიდა. მისიის ლეგაციის მდივანი იყო ქართველთათვის კარგად ნაცნობი ფრიდრიხ შულენბურგი, რომელიც მეფის რუსეთის დროს თბილისში გერმანიის იმპერიის ვიცე-კონსულად მუშაობდა, მსოფლიო ომისას კი ოსმალეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქართული ლეგიონის ერთ-ერთი მეთაური იყო.[36]

თურქებს კავკასიაში წინსვლაზე უარი ნებით არ უთქვამთ. კავკასიური არმიის სარდალმა ვეჰიბ ფაშამ თავის ჯარებს უბრძანა კიდეც, ალექსანდროპოლიდან თბილისის ასაღებად წასულიყვნენ. 1918 წლის 10 ივნისს თურქების მე-9 კავკასიური ქვეითი დივიზიის დანაყოფები უკვე საქართველოში მყოფ გერმანულ ჯარებს ვორონცოვკასთან, მდინარე ხრამის ხეობაში, თბილისისკენ მიმავალ

---

35 სცსა, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 48, ფ. 12. საქართველოს გერმანიის პროტექტორატად გამოცხადების იდეა, რომლითაც ოტო ფონ ლოსოვს ბათუმის კონფერენციის მიმდინარეობისას მიმართეს, აკაკი ჩხენკელს ეკუთვნის. აკაკი ჩხენკელისა და ოტო ფონ ლოსოვის მიერ 28 მაისს ფოთში ხელმოწერილი გერმანია-საქართველოს დროებითი შეთანხმების შესახებ იხ. სცსა, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 13, ფ. 1-7 (რუსულად), ფ. 13-19 (გერმანულად).

36 მისიის შემადგენლობისათვის იხ. ფ. კრესენშტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, ქუთაისი, 2002, 60-64.

გზაზე შეეტაკნენ.[37] აქ ოსმალებმა რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ გერმანიის გენერალური შტაბი კონსტანტინოპოლს დაემუქრა: თუ მომდევნო დღეებში თურქები ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებს არ დაუბრუნდებოდნენ და საკუთარ ძალებს არა კავკასიაში, არამედ მესოპოტამიისა და სპარსეთის მიმართულებით ინგლისის წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ, თურქეთიდან მრავალრიცხოვან გერმანულ გენერალიტეტს გაიწვევდნენ.[38] 10 ივნისს ენვერ ფაშამ ჰინდენბურგს ბათუმიდან არანაკლებ მკაცრი წერილით უპასუხა, რომ არ შეეძლო კავკასიაში მოკავშირე მუსლიმანების მიტოვება და ბერლინს გადადგომით დაემუქრა.[39] საბოლოოდ, ვეჰიბ ფაშას თურქეთის კავკასიური არმიის სარდლობიდან გადააყენეს და ვითარება დროებით გაუმჯობესებისაკენ წავიდა. თუმცა ესეც მოჩვენებითი იყო, რადგან ივლის-აგვისტოდან გერმანიასა და ოსმალეთს შორის დაძაბულობის კერამ საქართველოდან და სომხეთიდან მთლიანად ბაქოსაკენ გადაინაცვლა.[40]

---

37 E. D. Allen, P. Muratoff, Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Caucasian Border 1828-1921. Cambridge 1953, 464-466477-478.

38 U. Trumpener, Germany and the Ottoman Empire 1914-1918. Princeton N.J. 1968, p. 183.

39 C. Mühlmann, Das deutsch-türkische Waffenbündnis im Weltkriege, Leipzig, 1940, 202. ენვერ ფაშას გადადგომა გერმანიის მთავრობისთვის მოვლენათა ყველაზე ცუდი განვითარება იქნებოდა, რადგან თურქეთის მმართველი ტრიუმვირატიდან ნამდვილად პროგერმანულად განწყობილი მხოლოდ ენვერი იყო. არც თალაათ ფაშა და არც ჯემალ ფაშა ნამდვილი გერმანოფილები არ იყვნენ. მსოფლიო ომში ოსმალეთი გერმანიის მხარეს ენვერ ფაშას გადაწყვეტილების შედეგად ჩაერთო, მმართველობიდან მისი წასვლა კი ომიდან ოსმალეთის გასვლის დიდ ალბათობას ქმნიდა. ამიტომ ბერლინი მის უმთავრეს მოკავშირესთან ურთიერთობაში დათმობაზე წავიდა.

40 თურანისტების უზენაეს მიზანი კავკასიაში ბაქოს აღება იყო: ერთი მხრივ, ბაქოსა და კასპიის ზღვის გავლით, თურქებს ცენტრალური აზიის თურქ ხალხებთან დაკავშირების საშუალება მიეცემოდათ, მეორე მხრივ, ბაქო იყო მსოფლიო ნავთობინდუსტრიის ცენტრი, რომელიც ესოდენ ესაჭიროებოდა ყველა მეომარ მხარეს. ბაქოში ბევრი ქვეყნის ინტერესი იკვეთებოდა, მათ შორის, რუსეთის, ბრიტანეთისა და გერმანიის, თუმცა ოსმალებმა, ენვერ ფაშას ძმის – ნური ფაშას

ივლისის განმავლობაში, როდესაც გერმანიის მისია უკვე საქართველოში იმყოფებოდა, თურქების მიერ უკანონოდ დაკავებული ახალციხისა და ახალქალაქის გამო, თურქებსა და ქართველებს შორის დაძაბულობა კვლავ დიდი იყო. საქართველოს მთავრობის პოზიციას სრულად იზიარებდა გენერალი კრეს ფონ კრესენშტაინი, რომელიც მიიჩნევდა, რომ აღნიშნული საკითხის მოუგვარებლად ქვეყანაში საქართველოს მთავრობისა და გერმანიის ავტორიტეტი დაეცემოდა. ბრესტ-ლიტოვსკის პირობების დარღვევის გამო, საქართველოს ხელისუფლება თურქებს რკინიგზით სარგებლობის საშუალებას არ აძლევდა, რაც მოკავშირეებს რეგიონში პრობლემას უქმნიდა.

აგვისტოში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: 27 აგვისტოს გერმანიამ საბჭოთა რუსეთთან გააფორმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებითი ხელშეკრულება, რომლის ერთი პუნქტი საქართველოსაც ეხებოდა. კერძოდ, მე-4 პუნქტის მიხედვით, საბჭოთა რუსეთი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მასზე გერმანიის განსაკუთრებულ უფლებებს.[41] შესაბამისად, გერმანიამ ოსმალეთის წინაშე უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე იურიდიული უპირატესობა საბოლოოდ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ დამატებითი ხელშეკრულებით გერმანიამ აღიარა ქალაქ ბაქოზე რუსების სუვერენული უფლება და აიღო ვალდებულება, ხელი შეეშალა ბაქოსა და ამიერკავკასიაში ოსმალების გავლენის გავრცელებისთვის, ამგვარად ის რუსეთთან თურქების საწინააღმდეგო გარიგებაში შევიდა.

გერმანიასა და რუსეთს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ თურქები იმდენად შეაშფოთა, რომ 7 სექტემბერს კავკასიის

მეთაურობით, 1918 წლის 15 სექტემბერს ბაქოს აღება მაინც შეძლეს. ბაქოს საკითხის შესახებ იხ. Baumgart, Das „Kaspi-Unternehmen“, S. 87-118; A. Gokay, Clash of Empires, Turkey Between Russian Bolshevism and British Imperialism, London, New York, 1997; Raynolds, Shattering Empires, Cambridge University Press, 2011, pp. 219-235; W. Zürrer, Kaukasien 1918-1921, Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischem Meer. Düsseldorf 1978, s. 111-127.

41 H. Gatzke (Hrsg.), Zu den deutsch-russischen Beziehungen im Sommer 1918, in: Vierteljahreshefte für Zeitgeschichte 3(1955), s. 76.

საკითხის დასარეგულირებლად თალაათ ფაშა ბერლინში პირადად ჩავიდა. მან საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა თურქეთის პოზიცია, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთთან ბუფერულ ქვეყნებად უნდა ქცეულიყვნენ. საქართველოს ოსმალეთისთვის „რამდენიმე“ რეგიონი უნდა დაეთმო, ბაქო აზერბაიჯანს უნდა გადასცემოდა, ხოლო გერმანია ოსმალეთს ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყვანად თურქესტანის 14 მილიონი მუსლიმის სამხედრო ორგანიზებაში უნდა დახმარებოდა.[42] ბერლინში ყოფნისას თალაათმა რეფერენდუმის ჩატარების საკითხი წამოაყენა. გერმანია დათანხმდა თალაათის წინადადებას, ახალციხისა და ახალქალაქის ოლქების კუთვნილების დასადგენად რეფერენდუმი ჩატარებულიყო, ოღონდ თურქების ჯარების გასვლის შემდეგ, დამოუკიდებლობის გარანტიით.[43] საბოლოო მორიგება გერმანიასა და ოსმალეთს შორის კავკასიის საკითხებზე ვერც სექტემბერში შედგა, რაც მსოფლიო ომის ცუდად განვითარებამ განაპირობა, თუმცა გარკვეულ კომპრომისს მიაღწიეს. 1918 წლის 23 სექტემბერს გერმანიის სახელმწიფო მდივანმა[44] პაულ ფონ ჰინ-

---

42 იხ. PA AA, R11057, 8.9.1918. An Lersner und Berckheim.

43 PA AA, R11057, 8.9.1918. გერმანელებმა იცოდნენ, თუ რა პირობებში ჩატარდა 1918 წლის 14 ივლისს რეფერენდუმი ბათუმის ოლქში, სადაც თურქებმა გამარჯვება მოიპოვეს. ბათუმის რეფერენდუმის შესახებ არსებობს ჩანაწერები პრუსიის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის, კაპიტან გერლახის, დღიურში. იგი პროცესს ესწრებოდა. გერლახი აღნიშნავს, რომ ეს იყო კონტროლი და არა რეფერენდუმი. ქალაქში მცხოვრები ათი ათასამდე ქართველიდან თურქებმა საარჩევნო სიაში მხოლოდ 781 მამაკაცი შეიყვანეს, სომხებს კი საერთოდ არ მიაღებინეს მონაწილეობა. არჩევნები მხოლოდ თურქულ და რუსულ ენებზე ჩატარდა. მონაწილეები ეროვნებების მიხედვით აძლევდნენ ხმას ცალკე ყუთებთან, პროცესი კონტროლდებოდა მხოლოდ თურქების მიერ და ა.შ. საბოლოოდ, 35000-იან ქალაქ ბათუმში თურქებმა 2669 ხმა მიიღეს და თავი გამარჯვებულად გამოაცხადეს. ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი და გეორგ ფონ ფრანკენშტაინი ბერლინსა და ვენას წერდნენ, რომ რეფერენდუმი ზეწოლის ქვეშ წარიმართა და მისი ხელახლა, დამოუკიდებლად ჩატარება იყო აუცილებელი. იხ. Bihl, Kaukasuspolitik, S. 245-251.

44 იმხანად სახელმწიფო მდივანი გერმანიაში საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო და ოფიციალურად ასე იწოდებოდა – Staatssekretär des Auswärtigen – საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი.

ტცემ და დიდვეზირმა თალაათ ფაშამ ხელი მოაწერეს საიდუმლო პროტოკოლს, რომლის თანახმადაც, ბაქოს ნავთობის განკარგვისა და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის კონტროლის უფლებას თურქები გერმანელებს უთმობდნენ. ოსმალეთი აღიარებდა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკას, ხოლო გერმანია – მხოლოდ საქართველოს და იღებდა ვალდებულებას, რუსეთთან მათ აღიარებაზეც ემუშავა.[45] შეიძლება ითქვას, რომ 23 სექტემბერს გერმანიისა და ოსმალეთის დაზავება კავკასიის საკითხებზე მსოფლიო ომში არსებულმა ორივესათვის სავალალო რეალობამ გამოიწვია. ფრონტებზე რომ უკეთესი მდგომარეობა ჰქონოდათ, ოსმალები დათმობაზე არ წავიდოდნენ და, სავარაუდოდ, ომის ნახევარი წლით გაგრძელების შემთხვევაში, გერმანიასა და ოსმალეთს შორის, კავკასიის საკითხის გამო, საბოლოო განხეთქილება მოხდებოდა.[46]

როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ისე საქართველოს დამოუკიდებლობა, გამოცხადებული 1918 წელს, მსოფლიო ომის შედეგი იყო. ევროპული სახელმწიფოებისაგან კავკასია იმით განსხვავდებოდა, რომ აქ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ომში მოკავშირეები – გერმანია და ოსმალეთი, რაც სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა იყო. იმპერიათა დაპირისპირება სარკისებურად აისახა კავკასიის ადგილობრივ მკვიდრთა ორიენტაციაზეც, განსაკუთრებით, პროგერმა-

---

45 იხ. PA AA, R11060, 25.9.2018. Staatssekretär an Kress.

46 კავკასიაში გავლენის საკითხმა მხარეები იმდენად დააპირისპირა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობდა დოკუმენტი სათაურით „იმპერიის მთავრობის მოქმედება თურქების კავკასიაში წინსვლის, განსაკუთრებით, ბაქოსკენ სვლის წინააღმდეგ“, რომელიც ქრონოლოგიურად აღწერდა გერმანელების ანტითურქულ ქმედებებს აპრილიდან აგვისტომდე. იხ. PA AA, R11057. თურქების მხრიდან გერმანელების მიმართ აგრესიის არაერთი მაგალითი არსებობს: ნური ფაშას მიერ გერმანელების დაბლოკვა ბაქოში, გერმანელებთან შეტაკება და მათი ტყვედ აყვანა სამხრეთ საქართველოს საზღვრებთან, თურქეთის კავკასიური არმიის მეთაურების აგრესიული განცხადებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰალილ ფაშას 26 ივნისის ტელეგრამა, რომელსაც გოტჰარდ იეშკემ მიაკვლია. მასში ჰალილი აღნიშნავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გერმანელებთან ომისგან უკან არ დაიხევს. იხ. Mühlmann, შენიშვნები, გვ. 211.

ნულად განწყობილი ქართველებისა და პროთურქულად მოაზროვნე აზერბაიჯანელების შემთხვევაში. ოსმალების პანთურქულმა გეგმებმა, რომლებიც საქართველოსა და სომხეთის მიწების ოკუპაციასაც გულისხმობდა, იმ კონკრეტულ ეპოქაში ქართველებისა და გერმანიის იმპერიის ინტერესთა განსაკუთრებული თანხვედრა გამოიწვია. ამას, გერმანიის სამხედრო მხარდაჭერით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა, რაც სხვა კავკასიურ პრობლემებთან ერთად მსოფლიო ომის მსვლელობისას გერმანიისა და ოსმალეთის მოკავშირე იმპერიათა ყველაზე დიდი დაპირისპირების საფუძველი გახდა.

ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი და გერმანული ინტერვენცია საქართველოში 1918 წელს[1]

ვინფრიდ ბაუმგარტი
მაინცის უნივერსიტეტი

ფრიდრიხ ფრაიჰერ კრეს ფონ კრესენშტაინი საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ცნობილი ხუროთმოძღვარია. იგი 1870 წელს დაიბადა ნიურნბერგში და ბავარიის არმიაში მსახურობდა 1913 წლამდე, როდესაც გადაწყვიტა, მოხალისედ შეერთებოდა გერმანულ სამხედრო მისიას თურქეთში. პირველი მსოფლიო ომის დროს ის, მართალია, არაოფიციალურად, მეთაურობდა თურქულ ძალებს, რომლებიც სინას უდაბნოს დამღლელი მარშის შემდეგ სუეცის არხს მიუახლოვდნენ და არ დაუშვეს ბრიტანული სამხედრო ძალების დარდანელის ბრძოლის ველზე გამოყვანა. მიუხედავად წარმატებისა, ფონ კრესენშტაინი იძულებული გახდა, 1916-1917 წლებში ღაზაში გამართული სამი ბრძოლის შემდეგ უპირატესობა ბრიტანელებისათვის დაეთმო. 1917 წელს, იერუსალიმის ხელში ჩაგდების შემდეგ, კრესმა თურქეთის სამხედრო ძალებში სამსახური მიატოვა და გერმანიაში დაბრუნდა.

---

[1] ეს შენიშვნები ეფუძნება გამოცემას, რომელიც უახლოეს მომავალში დაიბეჭდება: Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Bayerischer General und Orientkenner. Lebenserinnerungen, Tagebücher und Berichte 1914–1946. რედ. ვინფრიდ ბაუმგარტი გიორგი ასტამაძესთან თანამშრომლობით, დაიბეჭდება სერიაში: “Deutsche Geschichtsquellen des 19. und 20. Jahrhunderts” in 2019]. In addition cf. Winfried Baumgart, Das “Kaspi-Unternehmen” – Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs? In: Jahrbücherfür Geschichte Osteuropas 18 (1970) s. 47–126, 231–278.

როდესაც 1917 წელს ბრიტანეთის მოკავშირე ცარისტული იმპერია დაეცა და ომს გამოეთიშა, არარუსულმა პროვინციებმა ფინეთიდან კავკასიამდე გერმანიის იმპერიის ეგიდით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების გათვალისწინებით, ბერლინის კონვენციამ 1918 წლის 27 აგვისტოს გზა გაუხსნა ახალი ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან მათი დამოუკიდებლობის ფორმალურ აღიარებას. ამის სანაცვლოდ, გერმანიის ხელისუფლება პირობას იძლეოდა, ეთანამშრომლა წითელ არმიასთან, რომელსაც ტროცკი მეთაურობდა და განედევნა მოკავშირეთა ჯარები ჩრდილოეთში მურმანსკიდან და ბრიტანეთის სამხედრო ძალები – „დანსტერვილის“ არმია, სამხრეთში ბაქოდან. 1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რუსეთის ტერიტორია, ფინეთიდან და ბალტიის პროვინციებიდან მოყოლებული, უკრაინისა და სამხრეთით კავკასიის ჩათვლით, ოკუპირებული იყო გერმანელების მიერ, ხოლო უკრაინა – ავსტრო-უნგრული ძალების მიერ. 1918 წლის შუა პერიოდში გერმანიის საოკუპაციო ჯარები აღმოსავლეთში მილიონ ჯარისკაცს ითვლიდა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავისა და მის შემდგომ პერიოდში მეომართა ასეთი კონცენტრაცია აღმოსავლეთ ევროპაში ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის დაქვემდებარებაში მყოფი გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობისა და კიულმანის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ბერლინის საგარეო საქმეთა სამსახურის დავის საგნად იქცა. ლუდენდორფის აზრით, მაქსიმალურად უნდა ესარგებლათ ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკური რესურსითა და სამხედრო პოტენციალით, რათა შეექმნათ დივიზიები (ფინური, პოლონური, ყირიმის, კავკასიისა და ა.შ.), რომლებსაც საჭიროებისამებრ დასავლეთის ფრონტზე გადაისროდნენ. გარდა ამისა, ამგვარად აღმოსავლეთში შეიქმნებოდა პლაცდარმი მძლავრ სახელმწიფოთა შორის ომის წამოწყების შემთხვევაში. კიულმანის ფილოსოფია ორმხრივი იყო – პოლიტიკური და სამხედრო. იგი მიიჩნევდა, რომ შეცდომა იქნებოდა რუსეთის იმპერიის დამცირება მისი საზღვრების შეკვეცითა და მხოლოდ იმ ტერიტორიის დატოვებით, რომელსაც ის პეტრე დიდამდე ფლობდა. 1807 წელს

ტილზიტში ნაპოლეონთან დადებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ რუსეთი გაანაწყენა და შეუძლებელი გახადა მისი შემორიგება, რაც აუცილებელი შეიქნა შემდგომში იმპერიული სისტემის გადაწყობისას. სამხედრო თვალსაზრისით, კიულმანი მიიჩნევდა, რომ რევოლუციური რუსეთი, რომელიც თავის წვენში იხარშებოდა, ალალბედზე უნდა მიეშვათ და გერმანელებს თითიც არ უნდა გაენძრიათ. იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა უკრაინის, ყირიმისა და კავკასიის ოკუპაციას და ითხოვდა, რომ აღმოსავლეთში სამხედროების რაოდენობა გაენახევრებინათ ანუ ნახევარი მილიონი სამხედრო გაეყვანათ და გადაესროლათ დასავლეთში, სადაც გერმანიის მთავარსარდლობა მათ გაზაფხულისათვის საფრანგეთზე თავდასასხმელად გამოიყენებდა. ცხადია, აზრი არ აქვს იმის ვარაუდს, თუ რა შესაძლო შედეგი მოჰყვებოდა ნახევარმილიონიანი არმიის ბრძოლის ველზე გადასროლას. ლუდენდორფის საქმიანობას აღმოსავლეთში კიულმანიცა და საგარეო საქმეთა სამსახურიც ნაპოლეონ I-ისა და ალექსანდრე დიდის ხვედრს ადარებდნენ. სხვა მხრივ, 1918 წლის მაისის დასაწყისში კიულმანმა კითხვაზე, თუ რატომ სურდა კავკასიის ოკუპირება, ლუდენდორფისგან პასუხად მიიღო, რომ არანაირი განსხვავება არ იყო, თუ სად შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს ინგლისი და გერმანია – საფრანგეთსა თუ ინდოეთში.[2] უპირატესობა მაინც ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის სტრატეგიას მიანიჭეს – 1918 წლის ივლისში კიულმანი თანამდებობიდან გადააყენეს და გერმანელებმა დაუბრკოლებლად გააგრძელეს სვლა აღმოსავლეთისკენ, მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულზე წამოწყებული იერიში საფრანგეთზე, მას შემდეგ, რაც ბრძოლაში ამერიკული სამხედრო ძალები ჩაერივნენ და ვითარება მოკავშირეთა სასარგებლოდ შეცვალეს, აგვისტოში გერმანელებისთვის მარცხით დასრულდა.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, ბოლშევიკური რუსეთი არდაღანის, ყარსისა და ბათუმის რეგიონებიდან გავიდა და ეს ტერიტორია მათსავე მოსახლეობას დაუტოვა, რათა მას ახალ

[2] Winfried Baumgart, Deutsche Ostpolitik 1918. Von Brest-Litowsk bis zum Ende des Ersten Weltkrieges, Vienna/Munich, 1966, s. 181.

მეზობლებთან, განსაკუთრებით, თურქეთთან, ერთად ახალი წესრიგი დაემყარებინა (მუხლი IV). გერმანიის მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, კავკასიაში „ზოგიერთი“ შენაერთის მეთაურად გერმანიის წარმომადგენელი გაეგზავნა. ამ მისიას ამოცანად ჰქონდა დასახული, „აღედგინა წესრიგი და უსაფრთხოება კავკასიაში, რათა თურქეთს არ დაერღვია ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, ხელში არ ჩაეგდო კავკასიის რეგიონი, არ დაპატრონებოდა მის სიმდიდრეებს – ნავთობს, მარგანეცს, სპილენძსა და სხვ. – და არ გამოეყენებინათ ეს მოკავშირეთა ბრძოლაში“.

ახალი მისიის მეთაურად შეირჩა კრესი, რომელიც ნამუშევარი იყო აღმოსავლეთში.

იგი დათანხმდა იმ პირობით, რომ მას გაგზავნიდნენ როგორც კანცლერის – ჰერტლინგისა და სახელმწიფო მდივნის – კიულმანის წარმომადგენელს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო ხელისუფლების (და არა უმაღლესი სარდლობის) წინაშე. ამგვარად, კრესი კავკასიური მისიის პოლიტიკური და სამხედრო მეთაური იყო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კრესმა იცოდა, თუ რამხელა უფსკრული არსებობდა პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს შორის გერმანიაში. კრესის მიერ წამოყენებული პირობები მისაღები იყო ლუდენდორფის სპიკერისთვის – გენერალ ბარტენვერფერისათვის. „რატომაც არ უნდა დაინიშნოს გერმანიის საგარეო უწყებაში ჭკვიანი ოფიცერი?!“ – კითხულობდა ბარტენვერფერი. კრესს მისიის მიზნები თავად ლუდენდორფმა განუმარტა. კრესს უნდა შეექმნა „ქმედითუნარიანი ჯარები“ კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოებში. გერმანიას რომც მოეხერხებინა საფრანგეთიდან ბრიტანეთის ძალების განდევნა, ეს ომის დასასრული არ იქნებოდა და შემდეგ გერმანელებს იერიში უნდა მიეტანათ ბრიტანეთზე ინდოეთში. ამგვარად, კრესის ამოცანა იყო, შეემზადებინა პლაცდარმი გერმანული მარშისათვის ინდოეთში. კრესმა გენერალს ჰკითხა, შეძლებდა თუ არა ის, კიულმანთან ურთიერთობის გაუმჯობესებას პირადი შეხვედრების მეშვეობით. ლუდენდორფის პასუხი მრავლისმეტყველი იყო: „ეს ამაოა. ჩვენ სხვადასხვა ენებზე ვსაუბრობთ და ერთმანეთის არ გვესმის. გერმანიის საგარეო უწყება გერმანულად არ აზროვნებს“.

როდესაც მისიასთან დაკავშირებით კიულმანს შეხვდა, კრესს შთაბეჭდილება დარჩა, რომ მას აღმოსავლეთში დიპლომატიურ წარმომადგენლად გენერლის გაგზავნა დიდად არ ეპიტნავებოდა. ეს უნიკალური შემთხვევაა გერმანიის დიპლომატიის ისტორიაში, რადგან კრესს არანაირი მითითება არ მიუღია პოლიტიკიურ მისიასთან დაკავშირებით, თუმცაღა ითხოვდა ამგვარ ინსტრუქციებს, თავადაც შეიმუშავა ისინი და ხელმოსაწერად კიულმანს წარუდგინა. კრესს ბერლინში ცივი შეხვედრა მოუწყვეს. საგარეო საქმეთა უწყებას არ სურდა ალექსანდრე დიდის საკადრის ექსპედიციაში მონაწილეობა.

სხვა მხრივ, სამხედრო თვალსაზრისით, კრესი კარგად იყო მომზადებული მისიისთვის. „კავკასიისთვის გამიზნული სპეციალური დანაყოფები“ უკრაინაში მყოფი გერმანული საოკუპაციო ჯარებიდან მოხსნეს. შავ ზღვაზე პირველები „ბავარიის მსროლელთა 1-ლი სარეზერვო ბატალიონი“ და „მოიერიშეთა მე-10 ბატალიონი“ გადმოისროლეს. სხვა სპეციალური დანიშნულების ძალებიც მათ უნდა მოჰყოლოდნენ.

1918 წლის 20 ივნისს კრესმა კონსტანტინოპოლი ავსტრო-უნგრეთისა და ბულგარეთის დიპლომატიურ მისიასთან ერთად ფოთისაკენ მომავალი გემით დატოვა.[3] საბოლოო ჯამში, ლუდენდორფის მიერ დაკისრებულ ამოცანათა შესრულების თვალსაზრისით, კრესის მისია სრული წარუმატებლობით დასრულდა. ხანმოკლე პერიოდი, რომელიც მას ჰქონდა სამოქმედოდ, საკმარისი არ აღმოჩნდა სტაბილურობის დასამყარებლად კავკასიის ორომტრიალში. ლუდენდორფმა პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინა – მის გათვლათაგან ერთიც არ გამართლდა. ყველაზე დიდ სირთულედ იქცა პარალელური ექსპედიცია, რომელსაც თურქეთი კავკასიაში აწარმოებდა. ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო მოლაპარკებიდან რამდენიმე

[3] Cf. in general: W. Bihl, Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil II. Die Zeit der versuchten kaukasischen Staatlichkeit (1917–1918), Vienna, 1992, W. Zürrer, Kaukasien 1918–1921. Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischem Meer. Düsseldorf 1978, The magisterial work of Richard G. Hovannisian, The Republic of Armenia. [Vol.] 1. The First Year, 1918–1919. Berkely, Ca. 1971 [volumes 2 to 4 cover the period from 1919 onwards].

თვეში, როდესაც რუსეთი აღმოსავლეთში ომს გამოეთიშა, თურქი ლიდერების გონებაში პანთურქულმა იდეებმა დაისადგურა. ენვერ ფაშას, ომის მინისტრს კონსტანტინოპოლში, ფარული ზრახვა ჰქონდა – ამ რეგიონის თურქ ტომთა გაერთიანება და ოტომანთა იმპერიის საპირწონე პანთურქული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა. იგეგმებოდა ყირიმისა და ვოლგის ქვედა რეგიონის, კავკასიის თათრებისა და არალის ზღვის გაერთიანება ერთიან თურქულ იმპერიად. ამ წამოწყებას, გარდა იდეოლოგიურისა, წმინდად პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა – 1918 წლის გაზაფხულზე თურქეთი არაბული და მესოპოტამიური პროვინციების დაკარგვის პირას იდგა. პანთურანელებს ტერიტორიული დანაკარგის კომპენსირება კავკასიისა და მეზობელი რეგიონების მიერთებით უნდოდათ. და, ბოლოს, ისინი იმედოვნებდნენ, რომ შეთხელებული არმიის რიგებს ახალწვეული თურქი რეკრუტებით შეავსებდნენ.

დასაწყისში ჰინდენბურგი და ლუდენდორფი, გერმანიის მხრიდან, იტანდნენ კავკასიის ტერიტორიაზე თურქეთის წინსვლას, თუმცა ამით აშკარად ირღვეოდა ბრესტ-ლიტოსვსკისა და ბათუმის (1919 წლის 24 ივნისის) შეთანხმებით თურქეთსა და კავკასიის ახალ სახელმწიფოთა შორის დადგენილი საზღვარი. მათ მიაჩნდათ, რომ ეს ბაღდადის ხელახალი აღების სამზადისისთვის კარგი ვარჯიში იქნებოდა. გენერალმა სეექტმა, რომელიც თურქეთის მაშინდელი გენერალური შტაბის უფროსი იყო, გერმანიაში გაგზავნა ანგარიში, რომელიც ზურგს უმაგრებდა ამ შეხედულებებს. როდესაც ახლად შექმნილმა საქართველოს რესპუბლიკამ გერმანელთა დახმარება ითხოვა, ხოლო კაპიტანმა ოსკარ ნიდერმაიერმა, 1915 წლის ავღანური ექსპედიციის ვეტერანმა, ლუდენდორფს თურქეთის ჭეშმარიტ ზრახვაზე თვალი აუხილა და დიდი ენთუზიაზმით გაუსვა ხაზი კავკასიის მნიშვნელობას მომავალი ინდოეთის ექსპედიციისთვის, გერმანულმა უმაღლესმა მთავარსარდლობამ მხოლოდ მაშინღა თქვა უარი პროთურქულ პოზიციაზე, კავკასიაში თურქთა ინტერვენციის გამო საპროტესტო ნოტა გააგზავნა კონსტანტინოპოლში და მოითხოვა, რომ მთელი ძალისხმევა ბაღდადის ხელახალი შემოერთებისკენ მიემართათ. სერიოზულ

უთანხმოებას კრესსა და თურქ გენერლებს შორის რამდენჯერმე სროლაც მოჰყვა. ომის მსვლელობისას თურქულ-გერმანული ურთიერთობები არასოდეს დაძაბულა ისე, როგორც 1918 წელს.

ვითარება მეტად გამწვავდა, როდესაც ივნისის ბოლოს კრესი თბილისში ჩამოვიდა. რუსეთის რევოლუციის კვალდაკვალ შეიქმნა ე.წ. „ამიერკავკასიის რესპუბლიკა“ – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კავშირი, თუმცა მთავრობის ფორმირების, საზღვრების დადგენისა და სხვა საკითხებზე გაუთავებელი კინკლაობის გამო, 1918 წლის მაისისათვის ის დაიშალა. ამრიგად, სამმა პარტნიორმა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. როდესაც კრესი თბილისში ჩამოვიდა, არსებული სიტუაცია კარგს არაფერს მოასწავებდა. ის არც მომდევნო კვირებში გაუმჯობესებულა, პირიქით, უფრო დამძიმდა და კრესს მალე საკუთარი წარუმატებლობის აღიარება მოუწევდა. საქართველოს ხელისუფლება ჩამოყალიბდა, თუმცა ის ჩამოაყალიბეს მენშევიკებმა, რომელთა შეხედულება სახელმწიფო მოწყობაზე მკვეთრად განსხვავდებოდა გერმანელი გენერლის წარმოდგენებისგან. კრესმა თავიდანვე გადაწყვიტა, ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ჩარეულიყო. მან დაინახა, რომ მინისტრები არ განსაზღვრავდნენ ადმინისტრაციულ შინაგანაწესს. მათ სამსახურიდან გაათავისუფლეს არაერთი გამოცდილი რუსი მოხელე და, შესაბამისად, კვალიფიციური სახელმწიფო აპარატიც აღარ არსებობდა. ათასობით დათხოვნილი რუსი მოხელე და სამხედრო ოფიცერი უქმად დაყიალებდა ქალაქში თუ ქალაქგარეთ. არაერთი რუსი გენერალი მუშაობდა ტაქსის მძღოლად, მებუფეტედ და ფეხსაცმელების მწმენდავად. რევოლუციას აყოლილი ჯარისკაცები, რომლებიც მანამდე რუსულ არმიას ემსახურებოდნენ (მათი რიცხვი 300 000-ს აღწევდა), საკუთარი ძალებით ცდილობდნენ რუსეთში მოხვედრას. კრესი შეეცადა, შეეკრიბა რუსი მოსამსახურეები და ოფიცრები და გადაეგზავნა გერმანიის მიერ ოკუპირებულ ყირიმში, საიდანაც რუსეთში უნდა დაებრუნებინათ. თუმცა გერმანულმა სამხედრო ხელისუფლებამ ყირიმში აღარ იცოდა, როგორ გამკლავებოდა ამ ჯგუფებს და კრესს ფოთიდან სევასტოპოლში გემებით მათი გადასხმა აუკრძალა.

საქართველოში პრობლემებს ქმნიდნენ არა მხოლოდ ოფიცრები და სამოქალაქო მოსამსახურეები, არამედ ე.წ. წითელი გვარდიელებიც. ისინი არ იყვნენ შეპყრობილი ბოლშევიზმით და ხელისუფლებისაგან უბრალოდ პურსა და ფულს ითხოვდნენ, სანაცვლოდ კი პირობას დებდნენ, რომ ქვეყანაში წესრიგს შეინარჩუნებდნენ. თუმცა ეს დაუოკებელი ბრბო დესტაბილიზაციას იწვევდა, ამიტომაც კრესმა გამოიყენა გერმანული ჯარები, რომლებიც ქვეყნის სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად გამალებით გადმოჰყავდათ ყირიმიდან. კრესი მემუარებში წერს, რომ გერმანული ჩაფხუტების გამოჩენისთანავე დაძაბულობის კერაში მშვიდობა დაისადგურებდა ხოლმე.

წითელგვარდიელების გარდა, კრესი ათიათასიან ქართულ ჯარსაც შეხვდა. მათი დისციპლინა სერიოზულად იყო შერყეული რევოლუციური სულისკვეთებით და ისინი, საომარი თვალსაზრისით, დიდი ფასეულობას არ წარმოადგენდნენ. კრესი აპირებდა, შეექმნა ჯარი, რომლის საერთო რაოდენობაც 30 000-40 000 კაცი იქნებოდა. ყოველი შემთხვევისთვის, ასეთი იყო ლუდენდორფის განკარგულება. დასაწყისში საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ ელოლიავებოდა მარქსისტულ უტოპიას და მიიჩნევდა, რომ სოციალისტური ხელისუფლება არსებითად მშვიდობიანი იყო და არ საჭიროებდა სამხედრო ძალებს. თუმცა, თურქეთისა და მეზობელი სახელმწიფოების ზეწოლის შედეგად, ისინი მიწაზე დაეშვნენ და გააცნობიერეს, რომ არმია ელემენტარული თავდაცვისათვის იყო საჭირო. კრესმა შეძლო, ხელისუფლებაზე ემოქმედა და მის შეგნებამდე მიეყვანა ის ფაქტი, რომ სესხს, რომლის აღებასაც ისინი გერმანიისაგან აპირებდნენ, უფრო ადვილად მიიღებდნენ, თუ ქვეყანაში მშვიდობასა და წესრიგს დაამყარებდნენ. ბერლინისათვის წარდგენილ ანგარიშში კრესმა მთავრობას სთხოვა, სანამ საქართველოს ხელისუფლება არმიის ფორმირებაზე არ დათანხმდებოდა, სესხთან დაკავშირებული მოლაპარაკებები გადაევადებინა. ამ მოლაპარაკებას გერმანიაში საქართველოს დელეგაცია ჩხენკელის მეთაურობით აწარმოებდა. ზეწოლამ გაჭრა. კრესი კმაყოფილი იყო, როდესაც 1918 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნულმა

საბჭომ მის მიერ შემუშავებული ჯარის კანონი მცირედი ცვლილებებით ერთხმად მიიღო. ამასთან ერთად, სამხედრო იურისდიქცია, რომელიც რევოლუციისას უგულებელყოფილ იქნა, ხელახლა ამოქმედდა და სამხედრო სამსახურის ვადა გაორმაგდა.

კრესმა თავად შეიმუშავა ჯარის ფორმირების გეგმა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მისი დამტკიცებისას უამრავი წინააღმდეგობა შექმნა. სექტემბერში მან უპატაკა გერმანიის მთავარსარდლობას, რომ ბევრი რეკრუტი გარბოდა, რადგან საკმარის საკვებს ვერ იღებდა. ლუდენდორფმა კრესს კავკასიაში მყოფი გერმანელი კოლონისტების ჯარში გაწვევა შესთავაზა. მან იგივე სცადა ყირიმში, მაგრამ ეს წამოწყება უშედეგოდ დასრულდა. კრესის თანაშემწე, მაიორი ვოლფსკეელი, 1918 წლის სექტემბერში იტყობინებოდა, რომ კოლონისტთა დეზერტირობის პროცენტული მაჩვენებელი ქართველი რეკრუტებისას უტოლდებოდა. რამდენიმე დღით ადრე 35 გერმანელმა რეკრუტმა მეწინავე რიგები ერთ ღამეში მიატოვა. მთლიანობაში, კრესის უმთავრესი ამოცანის განხორციელების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ეს კარგად გამოჩნდა 1918 წლის ნოემბერში, როდესაც გერმანელი სამხედროების ევაკუაციის შემდეგ სომხეთის სამხედრო ძალები საქართველოში დაუბრკოლებლად შემოიჭრნენ.

თუკი საქართველოში გერმანული ჯარების ფორმირების საკითხს დავუბრუნდებით, როგორც უკვე ითქვა, ფოთში ჩამოსული პირველი შენაერთები ბავარიელ მსროლელთა და პრუსიელთა მოიერიშე ბატალიონები იყო. მათგან პირველი 1100 ოფიცრისა და მეომრებისაგან შედგებოდა, მეორე კი 500 კაცს ითვლიდა. თბილისში ჩამოსვლისთანავე ისინი სამხრეთისაკენ გადაისროლეს. აქ გერმანელმა ჯარისკაცებმა უკუაგდეს თათართა რაზმი, რომელსაც თურქი ოფიცრები წინამძღოლობდნენ და გარკვეული რაოდენობის თურქი ჯარისკაცი უჭერდა მხარს. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ენვერ ფაშამ თბილისის დალაშქვრაზე ხელი აიღო და თურქული ჯარები საქართველოს საზღვრებს მოაშორა. კრესი მართალს ამბობდა, როდესაც მემუარებში აღნიშნავდა, რომ „მეგობრობა ქართველებთან გერმანული სისხლით იყო ბეჭედდასმული“.

ივნისის თვეში ორი გერმანული ბატალიონი სპეციალური ძალებით შეივსო – მძიმე არტილერიით, ნაღმმტყორცნებით, ჯავშანტექნიკით, თვითმფრინავით, კავშირგაბმულობის ოფიცრებითა და ორი მძლავრი რადიოსადგურით. შევსება უკრაინიდან ფოთში გემით რუმინეთის – ბრაილასა და კონსტანცას – გავლით ჩამოვიდა და არა გერმანიიდან. თუმცა შემდგომში მაშველი ძალები უკრაინისა და, ზოგადად, აღმოსავლეთ ევროპის საოკუპაციო ჯარებიდან მოდიოდა. 20 აგვისტოსთვის ჩამოსულთა რაოდენობა 5250 ოფიცერსა და ჯარისკაცს უტოლდებოდა. როდესაც ბაქოში, უაღრესად მნიშვნელოვან ქალაქში, ვითარება დაიძაბა, კავკასიას კიდევ უფრო მეტმა სამხედრომ მოაშურა და 15 სექტემბრისათვის მათი რაოდენობა 19 000 იყო.

ვიდრე ბაქოს საკითხს განვიხილავდეთ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ კავკასიაში გერმანული ექსპედიციის ეკონომიკურ შედეგებს. კრესს, ინსტრუქციების მიხედვით, კავკასიის მდიდარი ბუნებრივი რესურსები უნდა გამოეყენებინა, მაგრამ, ამ თვალსაზრისით, ყველა იმედი ილუზორული აღმოჩნდა. ბაქოს ზღაპრულ ნავთობამომღებთაგან ნავთობით ერთი მატარებელიც არ გავსებულა. სანაცვლოდ, კრესი გერმანიის უმაღლეს სარდლობას სთხოვდა, ნავთობი საქართველოში რუმინეთიდან შემოეტანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური ცხოვრება, განსაკუთრებით კი სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირება, უმალ შეწყდებოდა. თავის მრავალრიცხოვან ანგარიშში კრესი სასწრაფოდ ითხოვდა, გამოეგზავნათ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქონელი – ლურსმნები, ნემსები, ღილები, დანა-ჩანგალი, ნათურები, ასანთი, 3000 ტონა ფქვილი – გავრცელებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, რომლის თანახმადაც, გერმანია თითქოს თავის საკეთილდღეოდ ქვეყნის გაძარცვასა და გაყვლეფას ლამობდა. საქართველოში, რა თქმა უნდა, არსებობდა რამდენიმე გერმანული სავაჭრო კომპანია, მაგრამ კრესს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მათი უსუსურობა. ამ კომპანიებს ყოველი შესყიდვისათვის ბერლინიდან წერილობითი ნებართვა სჭირდებოდათ, რის გაცემასაც კვირები ელოდნენ, რადგან ეს უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებუ-

ლი. კრესს გერმანიის მთავრობის გადაჭარბებული ბიუროკრატია, როგორც თავად ამბობდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა. საქართველოდან ექსპორტი არ ხდებოდა, თუმცა უამრავი სახის საქონელი სრულიად ხელმისაწვდომი იყო. კრესი მემუარებში ახსენებს განუხორციელებელი ექსპორტის შესაძლებლობს. არსებობდა თამბაქოს დიდი მარაგი ადრე მოწეული ორი მოსავლიდან. კრესმა საქართველოს მთავრობას ამ მარაგის რეკვიზირება სთხოვა. დიდი ხნის შემდეგ გერმანულმა სავაჭრო კომპანიამ ებრაელი აგენტი გამოაგზავნა. თუმცა ფასი მიუღებელი აღმოჩნდა და იგი საქმის მოუგვარებლად გაბრუნდა უკან. განაცხადის ანულირებას ფული სჭირდებოდა, რის გამოც თამბაქო მყის თურქ მოვაჭრეებს მიჰყიდეს, მათ კი – გერმანელებს. ამრიგად, გერმანულ კომპანიას თამბაქო გაცილებით უფრო ძვირი დაუჯდა. კრესი წერს: გერმანელებს რომ ებრაული ფირმისთვის დაევალებინათ ექსპორტის პრობლემის მოგვარება და მათთვის მცირედი მოგების მიღების უფლება მიეცათ, პრობლემა უხმაუროდ გადაიჭრებოდა.

კრესის მდგომარეობას თბილისსა და გერმანიას შორის გაძნელებული კომუნიკაციაც ართულებდა. ბერლინიდან თბილისში დეპეშის გაგზავნას 2-4 კვირა სჭირდებოდა. როგორც ითქვა, ბოლო-ბოლო საქართველოში მძლავრი რადიოსადგური მაინც გამოიგზავნა და თბილისის მახლობლად დაიდგა. პირველი სიახლე, რომელიც ამ სადგურმა გადასცა, 1918 წლის 9 ნოემბერს გერმანული რესპუბლიკის გამოცხადება იყო.

* * *

კრესის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ბაქოს ნავთობსაქაჩებიდან ნავთობის მოპოვება იყო. პირველ მსოფლიო ომამდე ბაქო ნავთობით უმდიდრესი ადგილი იყო. აქ მსოფლიო ნავთობპროდუქტების 50%-ს გამოიმუშავებდნენ. ომის დროს მსოფლიოს ყურადღება ამ რეგიონისაკენ იყო მიმართული. ლუდენდორფის შეფასებით, 1918 წელს გერმანიას აუცილებელზე 20%-ით ნაკლები ნავთობი ჰქონდა, რუმინეთის ნავთობსაქაჩები კი ვერ უზრუნველყოფდა ამ ნედლეულის საჭირო რაოდენობას. ამიტომაც ლუდენ-

დორფმა გერმანიის მთავრობას აცნობა, რომ ნავთობს გერმანული არმიისთვის (და საზღვაო ფლოტისათვის) „გადამწყვეტი“ მნიშვნელობა ჰქონდა.[4] იგივე შეიძლება ითქვას ბოლშევიკურ რუსეთზეც – ნავთობის საკითხი მისთვისაც არსებითი იყო. ტროცკი ამბობდა, რომ ბაქოს დაპატრონება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მოსკოვისა. ფაქტობრივად, ნავთობზე მოთხოვნა სამხრეთ რუსეთში სრულად კმაყოფილდებოდა კავკასიიდან მიღებული მაზუთით. ვოლგის ნავიგაცია და მატარებლების მოძრაობა მთლიანად ამაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებმა მალევე აიღეს ბაქო. მაშინაც კი, როდესაც მომდევნო თვეებში კავკასიის რეგიონში ანტიბოლშევიკური ძალები მძლავრობდნენ, 1918 წლის ზაფხულამდე ბაქო ბოლშევიკურ კუნძულად რჩებოდა. ასტრახანის ნავთობის რეზერვუარები ბოლომდე იყო შევსებული, თუმცა წარმოება, რევოლუციამდელთან შედარებით, 50%-ით შემცირდა.

ბაქოზე გავლენის მოპოვებას თურქეთისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მესოპოტამიის დაბრუნება უკვე შეუძლებელი ჩანდა. ამ არგუმენტს ისინი გერმანელ მოკავშირეებთანაც იშველიებდნენ. გარდა ამისა, ახალი რესპუბლიკები, რომლებიც რევოლუციის შემდეგ კავკასიაში გაჩნდნენ, ბაქოს ნავთობზე იყვნენ დამოკიდებულნი. დაბოლოს, უაღრესად დიდი იყო ბრიტანეთის ინტერესიც. ის მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ სპარსეთში იდგა მცირე ძალებით, ე.წ. „დანსტერფორსით“ და ცდილობდა, თურქეთი და გერმანია ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი ცენტრიდან როგორმე მოეშორებინა. ლუდენდორფმა, ერთი მხრივ, მცდარად შეაფასა ბაქოს ნავთობის მნიშვნელობა, სხვა მხრივ კი, ვერ გათვალა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი რეკვიზირება, კავკასიის გავლით ფოთსა და ბათუმში გადატანა, იქიდან კი შავი ზღვით ტრანსპორტირება. მცდარი იყო ყველა გათვლა იმ რეგიონებთან მიმართებაში, რომლებიც აღმოსავლეთ ევ-

[4] W. Baumgart, Das “Kaspi-Unternehmen” – Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs? In: Jahrbücher für Geschichte Osteuropas 18 (1970), s. 53.

როპაში გერმანიას ჰქონდა ოკუპირებული, იქნებოდა ეს ვითომდა ხორბლით მდიდარი უკრაინა, ხე-ტყით სავსე ფინეთი თუ მდიდარი წიაღისეულის მქონე კავკასია. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი 1919 წლის გაზაფხულზე ჯერ კიდევ მოქმედებდა, მაგრამ რამოდენიმე საქაჩი აგრეგატი უკვე მწყობრიდან იყო გამოსული, რაც გამტარიანობას საგრძნობლად ამცირებდა. სადენი, რომელშიც მანამდე უხარისხო მაზუთმა გაიარა, ველარ ატარებდა პარაფინს. სისტემა დაბინძურებული იყო. პრაქტიკულად, არ არსებობდა ცისტერნები, რომლებითაც ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზზე ნავთობის ტრანსპორტირება მოხერხდებოდა. შავ ზღვაზე ტრანსპორტირებისთვის აუცილებელი ტანკერების დეფიციტიც შეიმჩნეოდა.

9 ივლისს კრესმა უკვე აცნობა ბერლინს, რომ მაზუთის მარაგი საქართველოში მალე ამოიწურებოდა. ქვანახშირის მარაგი იმდენად მცირე იყო, რომ მაზუთს ვერ ჩაანაცვლებდა. არც მომსახურე პერსონალი იყო ნაჩვევი ამგვარ მძიმე შრომას. ლუდენდორფი ამ პრობლემათა გადასაწყვეტად კრესს ყოველთვის სამხედროების გამოყენებას ურჩევდა, თუმცა რეგიონში მყოფთათვის ეს გამოსავალი არ იყო.

კრესი ლუდენდორფს აფრთხილებდა, რომ უკმაყოფილო მოსახლეობის ნაწილი გერმანიას დაადანაშაულებდა. ხალხი ვერ გაიგებდა, რომ გერმანიას, მიუხედავად კავკასიაში ინტერვენციისა, არც ბაქოს აღება შეეძლო და არც ამ საკითხის სხვაგვარად მოგვარება – სუსტ მოკავშირეზე, თურქეთზე, ზეწოლა.[5]

შესაბამისად, კრესმა სასწრაფოდ მოითხოვა ნახშირისა და მაზუთის მოწოდება რუმინეთიდან ან უკრაინიდან:[6] „ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ ნედლეული, რომელიც გერმანიას სჭირდება, მიეწოდებოდეს ქვეყანას [საქართველოს] და არა თავად გერმანიას, რომელიც მას საქართველოდან იღებს“.

---

5 W. Baumgart, Das “Kaspi-Unternehmen” – Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs? In: Jahrbücher für Geschichte Osteuropas 18 (1970), s. 56, footnote 48.

6 W. Baumgart, Das “Kaspi-Unternehmen” – Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs? In: Jahrbücher für Geschichte Osteuropas 18 (1970), s. 57.

* * *

1918 წლის ზაფხულში თურქულმა და გერმანულმა (ასევე ბრიტანულმა) სამხედრო ძალებმა ბაქოს დასაპყრობად ნამდვილი რბოლა გააჩაღეს. 4 აგვისტოს თურქებმა შეტევა წამოიწყეს ქალაქზე, მაგრამ ისინი უკუაგდეს. კრესი დარწმუნებული იყო, რომ თურქები შეტევას გაორმაგებული ძალებით განაახლებდნენ, რადგან სხვაგვარად მათი პრესტიჟი რეგიონში, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანში, დაეცემოდა. კრესმა ისიც შეიტყო, რომ ბაქოს დაცვაში ბრიტანელი სამხედროები მონაწილეობდნენ და მათი რიცხვი დაახლოებით 2000 კაცს უტოლდებოდა. 10 აგვისტოს ბერლინში დამატებითი გერმანულ-რუსული მოლაპარაკება დაიწყო. ამის შესახებ კრესს ინფორმაცია არ მიუღია. ამ მოლაპარაკებისას მიღწეული შეთანხმება ამგვარი იყო: გერმანია პირობას იძლეოდა, შეეჩერებინა თურქეთი ბაქოს სიახლოვეს გარკვეულ დისტანციაზე; რუსეთი გარანტიას აძლევდა გერმანიას, მიეწოდებინა გარკვეული ოდენობის ნავთობი; გერმანია ცნობდა ბაქოს რუსეთის მფლობელობაში.[7] კონსტანტინოპოლი შველას ითხოვდა, რამაც ვითარება გაართულა. ენვერ ფაშა, რომელიც ბაქოს აღებას ცდილობდა, გერმანელებისგან დახმარებას ელოდა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამსახურმა გადაწყვეტილება შეცვალა და მიიჩნევდა, რომ ბაქოსთვის უნდა შეეტიათ. კრესს დაევალა, თავი მოეყარა აუცილებელი ძალებისთვის. მას საქართველოში პოზიციების გასაძლიერებლად კავალერისტთა ბრიგადასაც გამოუგზავნიდნენ. 27 აგვისტოს ბერლინში ხელი მოეწერა დამატებით შეთანხმებას. საიდუმლო კორესპონდენციის მიხედვით, რომელიც მხოლოდ 1970 წელს გასაჯაროვდა,[8] ლაპარაკი იყო გერმანელების მხრიდან ბაქოს შტურმზე: „ვინაიდან ბრიტანული ძალების აქ ყოფნა სახიფათოა, რუსეთს კი უნარი არ აქვს, განდევნოს ისინი, გერმანია შეიყვანს ჯარებს და

---

7 W. Baumgart, Das "Kaspi-Unternehmen" – Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs? In: Jahrbücher für Geschichte Osteuropas 18 (1970), s. 92.

8 W. Baumgart, Die „geschäftliche Behandlung" des Berliner Ergänzungsvertrags vom 27. August 1918.

დაიკავებს ქალაქს. რუსეთის სამოქალაქო ადმინისტრაციას ხელს არ ახლებენ, ხოლო თუკი ბრიტანელთა შეტევის საფრთხე კვლავ იარსებებს, გერმანია, რუსეთის მოთხოვნით, ქალაქის ევაკუაციას დაიწყებს“.

კრესმა საიდუმლო კონვენციის ტექსტი ბერლინიდან 10 სექტემბერს ადგილზევე მიიღო, მომდევნო დღეს კი გერმანიის მთავარსარდლობამ მას უბრძანა, ინგლისელების განსადევნად და რუსეთის მთავრობასთან სათანამშრომლოდ გერმანული ჯარები ბაქოში შეეყვანა. კრესს ისიც აცნობეს, რომ მალე ყირიმიდან დახმრებასაც გამოგზავნიდნენ. კრესი სახტად დარჩა, რადგან ხვდებოდა, რომ ბრძანება არარეალისტური იყო. როგორ უნდა გაეჩერებინა მას თურქები ნაბრძანებ დისტანციაზე ბაქოს გარშემო? მათ ქალაქის ხელახლა ასაღებად ორი სრული დივიზია და 10 000-იანი არარეგულარული არმია ჰყავდათ. კრესმა უმაღლეს სარდლობას უპატაკა, რომ ბაქოსთან მისაახლოებლად 40 მატარებელი და სულ ცოტა ხუთი კვირა დასჭირდებოდა, ამასობაში კი აზერბაიჯანელები ლიანდაგებს დააზიანებდნენ და ხელს შეუშლიდნენ. ის ასევე აფრთხილებდა სარდლობას, რომ თურქები, შეიტყობდნენ თუ არა კონვენციის შესახებ, თავადვე განახორციელებდნენ შეტევას.

მოვლენები სწორედ ამგვარად განვითარდა: 15 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს ბაქო, ქალაქი დაანგრიეს და ათასობით მისი მკვიდრი დახოცეს. თურქი გენერლის შტაბის უფროსი, გერმანელი ლეიტენანტ-პოლკოვნიკი ერნსტ პარაკინი, თურქების ბარბაროსობით გაოგნებული დარჩა. თუმცა, როდესაც ამის შესახებ უფროსობასთან დაიჩივლა, პარაკინი მყის მოხსნეს და კონსტანტინოპოლში გაუშვეს. დაზარალებულთაგან უმრავლესობა სომეხი იყო, დამნაშავეთა დიდი ნაწილი – აზერბაიჯანელი, თუმცა ამ ვანდალიზმში თურქი ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ. დაზარალებულთა შორის რამდენიმე გერმანელიც ერია, უმეტესწილად – ტყვეები. კრესმა ეს საბაბად გამოიყენა და ბაქოში თურქული საბრძოლო ხაზების გავლით გერმანელი მეომრების პატარა რაზმი გააგზავნა. ჩანაფიქრის მიხედვით, მათ გარკვეული ზემოქმედება უნდა მოეხდი-

ნათ ქალაქში არსებულ ვითარებაზე და თვალ-ყური ედევნებინათ ადგილობრივი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისთვის, მაგრამ დანიშნულების ადგილზე მყოფმა თურქმა გენერალმა, ნური ფაშამ, ჯარისკაცებს თურქული ხაზების გადაკვეთის საშუალება არ მისცა. ასე იყო თუ ისე, რკინიგზის ხაზები მწყობრიდან გამოვიდა. ამრიგად, კრესმა ვერ შეძლო, სისრულეში მოეყვანა ბერლინის შეთანხმება და ქალაქი ვერც თურქების იერიშისაგან დაიცვა და ვერც ბრიტანელებისგან.

ამ მოვლენათა პარალელურად, ავსტრო-უნგრეთი მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩაება (14 სექტემბერს). ხოლო მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა ბალკანეთზე იერიში მიიტანეს, თურქული ფრონტი კი სირიაში 19 სექტემბერს ბრიტანელთა შეტევის გამო აილაგმა, ბულგარეთის ფრონტმა რღვევა დაიწყო. გერმანელთა თავგადასავალი კავკასიაში მოულოდნელად შეწყდა.

* * *

როგორც უკვე ითქვა, ბაქოში დახოცილთა უდიდესი ნაწილი სომეხი ეროვნებისა იყო. კრესი სომხური გენოციდის თვითმხილველი ორჯერ გახდა – 1915-1916 წლებში პალესტინაში და 1918 წელს კავკასიაში.

სომხური გენოციდი თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი საკითხია. კრესმა სინას უდაბნოში 1915-1916 წლებში დაწერილ დღიურებსა და 1918 წელს თბილისიდან გერმანიის მთავრობისთვის გაგზავნილ ანგარიშებში ამ ფაქტთა მიმართ მისი დამოკიდებულების დოკუმენტური სამხილი დატოვა. მოგვიანებით, 1945 წლის შემდეგ, მემუარებში ის გაკვრით მიუბრუნდა 1915-1916 და 1918 წლების მოვლენებს. სომხური საკითხის მიზეზთა შესახებ კრესი წერს: ოსმალეთში ჩასახლებული სომხები, რომლებიც მთელ იმპერიას მოედნენ, „აშკარად ერჩოდნენ თურქებს, რამაც შემდგომ, როდესაც თურქები რუსებს ებრძოდნენ, თურქეთის საომარი ხაზის მიღმა ნამდვილი აჯანყების სახით ამოხეთქა“. კრესი თურქების საპასუხო მოქმედებასაც ახ-

სენებს: სირასა და მესოპოტამიას შორის უდაბნოში სომხების გაგზავნა სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი გადაწყვეტილება იყო. კრესის აზრით, ეს „აღუწერელი სისასტიკე იყო [...] მართლაც რომ აზიური“. კრესი მათ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ადგილზე, თუმცა ეს ზღვაში წვეთი იყო. ამის შემდეგ მას მოჰყავს აღიარება ჯემალ ფაშასგან, რომელიც სომეხთა ხოცვის ერთ-ერთ ავტორად მიიჩნევა. 1915 წელს დამასკოში სტუმრობისას ნანახი უბედურებით შეძრულმა ჯემალ ფაშამ ტანჯვის შესამსუბუქებლად ყველაფერი იღონა, რაც კი შეეძლო.

კრესი, რომელიც „კავკასიაში გერმანულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა“, 1918 წელს კიდევ ერთხელ შეეჯახა სომხურ პრობლემას. როგორც უკვე ითქვა, 1918 წლის გაზაფხულზე თურქებს პალესტინასთან და სპარსეთთან დაკავშირებით იმედები გაუქარწყლდათ და მათ ყველაფერი იღონეს, რათა დანაკარგი კავკასიაში აენაზღაურებინათ. კრესი ბერლინში კანცლერისთვის გაგზავნილ არაერთ ანგარიშში იტყობინებოდა, რომ თურქები სომხებს მათივე საკუთარ ქვეყანაში უეჭველად სასიკვდილო დარტყმას მიაყენებდნენ.

კრესის ანგარიშით, ახლად შექმნილი სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა 750 000 სულს უდრიდა. ვიდრე ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ ოსმალეთის ჯარები კავკასიაში წინ მიიწევდნენ, თურქების მიერ ოკუპირებული ან ამგვარი საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორია ერევნის სიახლოვეს ნახევარ მილიონზე მეტმა სომეხმა მიატოვა. კრესი სომხებს ცალსახად უარყოფითად აფასებდა. 1919 წლის მემორანდუმში ის მათ ახასიათებდა, როგორც „უსიმპათიო, ყალბ ადამიანებს, რომელთა ნდობაც არ შეიძლებოდა“. ამიტომაც სძულდა ისინი ყველა მეზობელს – თურქებს, სპარსელებს, თათრებს, ბერძნებსა და რუსებს. მათი უმრავლესობა ღატაკი და „არნახულად ველური იყო. სომხებს არ აქვთ უფლება, თურქთა სიმხეცეზე ჩიოდნენ და ამას, პირადი გამორჩენის მიზნით, მთელ მსოფლიოს უამბობდნენ, რადგან თავად იყენებდნენ ძალას მაჰმადიანთა წინააღმდეგ და არანაკლებ სასტიკნი და დაუნდობელნი იყვნენ“.

და მაინც, 1918 წელს კრესმა ყოველი ღონე იხმარა, რათა სომხები კავკასიაში თურქთა დევნისგან ეხსნა. კანცლერისათვის გაგზავნილ საანგარიშო მოხსენებებში კრესი წერდა, რომ თურქებს, ყოველ შემთხვევაში, მათ სარდლობას, განზრახული ჰქონდათ, ერევნის სიახლოვეს სომხები ალყაში მოექციათ, დაემშიათ და შემდეგ გაეჟუჟათ. ის კანცლერს წერდა: „ვერაფრით დავიჯერებ, რომ გერმანიის იმპერიას შეუძლია, მშვიდად უყუროს, თუ როგორ წყვეტენ შიმშილით მუსლიმანები ქრისტიანებს“. იმავდროულად, 1918 წელს იგი ბერლინიდან ქმედით ზომებს არ ელოდა. მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. 1919 წელს საგარეო საქმეთა უწყებისათვის გაგზავნილ საბოლოო ანგარიშში კრესი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „თუკი სომეხი ერი დღესაც არსებობს, ეს მხოლოდ გერმანელების გავლენის, მეთვალყურეობისა და კონტროლის წყალობით გახდა შესაძლებელი. მე მტკიცედ მწამს, რომ ჩვენ ჩაურევლად კავკასიელი სომხები თურქეთში მცხოვრები თანამოძმეების ბედს გაიზიარებდნენ“.

* * *

1918 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის მოვლენები ევროპაში აისახა კავკასიაში მყოფი გერმანული დელეგაციის მდგომარეობაზე. 30 ოქტომბრის ზავის შემდეგ თურქები შედარებით მორბილდნენ. ურთიერთობა ქართულ ხელისუფლებასა და გერმანულ დელეგაციას შორის დღითიდღე უარესდებოდა. საიდუმლო სამთავრობო სხდომასა და საპარლამენტო კომიტეტში კამათობდნენ გერმანული ორიენტაციის შენარჩუნებასა და საგარეო პოლიტიკის შეცვლაზე. შუღლი განპირობებული იყო შიშით, თუ რამდენად სწორი არჩევანი გაკეთდა, რადგან მოლოდინი, რომელიც გერმანელთა მიმართ ჰქონდათ, არ გამართლდა. დაბოლოს, ვითარებას ძაბავდა გერმანელ სამხედროთა დისციპლინა და ზნეობა, რომელიც ოთხწლიანი სამსახურის შემდეგ საკმაოდ მოიკოჭლებდა. მძიმე კავკასიურ ღვინოს მიუჩვეველი ჯარისკაცები ლოთობდნენ, რაც მოსახლეობასთან ექსცესების მიზეზად იქცა. თუმცა, რო-

გორც კრესის მემუარებში ვკითხულობთ, როდესაც მოკავშირეთა ჯარებმა საქართველოში მმართველობა ხელთ იგდეს, ინგლისელ და ფრანგ ოფიცერთა ქცევა ბევრად მიუღებელი აღმოჩნდა. ამით გერმანელებნა რეპუტაცია კვლავ გაიუმჯობესეს და მათი უსაქციელობა მივიწყებას მიეცა.

1918 წლის დასაწყისში თბილისში მოკავშირეთა პირველი ოფიცრები ჩამოვიდნენ, მათ კი სხვა ძალებიც მოჰყვნენ. ისინი გერმანული ჯარების დაუყოვნებელი გასვლას მოითხოვდნენ. 23 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქი უკანასკნელმა გერმანელმა ჯარისკაცმა დატოვა. მეორე დღესვე სომხებმა საქართველოს საზღვარი გადმოლახეს და თბილისისაკენ დაიძრნენ.[9] გერმანულ კოლონიასთან, ეკატარინენფელდთან, გამართული ბრძოლები ქართველთა წარმატებით დასრულდა, მაგრამ ინგლისელებმა მათ ამ უპირატესობით სარგებლობა აუკრძალეს. კრესს ბერლინიდან შემოუთვალეს, არ ჩარეულიყო სომხურ-ქართულ კონფლიქტში. ქვეყანაში ხმა გავრცელდა, რომ ქართველთა ოპერაციის გეგმა კრესმა შეიმუშავა. რა თქმა უნდა, ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა, სამაგიეროდ გერმანელთა რეპუტაცია კიდევ უფრო მეტად ამაღლდა.

რაც მეტი ინგლისური ძალა შემოდიოდა თბილისში, მით მეტად მკაცრდებოდა დამოკიდებულება საქართველოს მთავრობის მიმართ. 1919 წლის 4 იანვარს თბილისში ჩამოვიდა ინგლისელი გენერალი, რომელმაც ჯერ გერმანიის დელეგაციის, შემდეგ კი, ზოგადად, გერმანული ძალების, დაუყოვნებელი გაძევება მოითხოვა. 7 დეკემბერს ასკაციანი გერმანული დელეგაცია თბილისიდან ფოთში გაემგზავრა. რადგან ფოთში არ იდგა გემი, რომელიც მათ შავი ზღვით გადაიყვანდა, გერმანელებს კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად თებერვლამდე მოცდა მოუწიათ. სამოქალაქო პერსონალს სახლში გამგზავრების ნება დართეს, ხოლო კრესი და სამხედრო მოსამსახურეები მისი დელეგაციიდან კუნძულ პრინკი-

[9] სინამდვილეში სომხეთმა სამხედრო მოქმედებები 6 დეკემბერს დაიწყო (რედ.).

პოზე ჩაიყვანეს. მათი უმრავლესობა 9 მარტს გერმანიაში მიმავალ გემზე ავიდა, მაგრამ კრესს დარჩენა მოუწია. მარტის ბოლოს მას თბილისიდან გერმანიის გენერალური კონსულიც შეუერთდა. ეს თავადი ფონ დერ შულენბურგი იყო, შემდგომში გერმანიის ელჩი მოსკოვში. ივნისამდე კუნძულზე დარჩენილი კრესი და ფონ დერ შულენბურგი, ბოლოს და ბოლოს, დარჩენილ გერმანელ სამხედროებთან ერთად ერთი ბინძური ხომალდის გემბანზე ავიდნენ და გეზი გერმანიისკენ აიღეს. 27 ივნისს, ვერსალის ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე, გემი ბრემენჰაფენში ჩავიდა.

* * *

გერმანიის ინტერვენცია კავკასიაში კრესმა მემუარებში რბილად შეაფასა. მან უბრალოდ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ბერლინსა და უმაღლეს მთავარსარდლობაში ბევრი რამ ვერ გაიგეს. თავად დიდ წარმატებად მიიჩნევდა იმას, რომ გერმანელებმა საქართველოში კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვება შეძლეს, რაც სამომავლოდ, რომ არა ჰიტლერი, ორივე მხარეს გამოადგებოდა. გერმანიის საგარეო უწყებისათვის გაგზავნილ საბოლოო ანგარიშში 1919 წელს კრესი მინისტრს სთხოვდა, არ უგულებელეყო კავკასიაში გერმანელთა საქმიანობა. იგი მიუთითებდა მიღწევებზე, რომელთა კულტივირებაც შემდგომში შესაძლებელი იქნებოდა: გერმანელი კოლონისტებისათვის დაარსდა გიმნაზია, რისთვისაც თავად კრესმა მის ხელთ არსებული ფონდიდან თანხის მესამედი გაიღო, ხოლო მასწავლებელთა ნაწილი ჯარში გაწვეული გერმანელებისგან დაკომპლექტდა. კრესი ხელისუფლებას სთხოვდა, გაეგრძელებინათ გიმნაზიის დაფინანსება, რათა სასწავლებელს არსებობა არ შეეწყვიტა. იგი აღნიშნავდა იმასაც, რომ „პერმანენტული ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაეწიათ კავკასიაში გამომავალი ერთადერთი გერმანული გაზეთისათვის, რაც პოლიტიკურად ბრძნული გადაწყვეტილება იქნებოდა“. კრესს ეამაყებოდა თბილისში მოქმედი გერმანული საავადმყოფოს არსებობაც.

კავკასიაში გერმანული ინტერვენციის საკითხთან დაკავშირებით, ისტორიის თვალსაწიერიდან, შესაძლებელია, ითქვას, რომ რეგიონში ბრიტანეთის გეგმები გერმანელი ოპონენტების გაზვიადებული შიშით იყო ნაკარნახევი. თურქეთი გაშმაგებით მიიწევდა წინ კავკასიაში მაშინ, როდესაც ოსმალეთის იმპერია დაშლის პირას იდგა. რაც შეეხება გერმანულ ექსპედიციას თბილისსა და ბაქოში, ეს პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ლუდენდორფის განდიდების მანიის აშკარა გამოვლენა იყო.

სოციალისტური ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოში, 1920 წელი

ერიკ ლი
მემარცხენე აქტივისტი,
Labour start-ის დამფუძნებელი და რედაქტორი

1920 წლის სექტემბერში საქართველოს ევროპელ სოციალისტთა მაღალი დონის დელეგაცია ესტუმრა. ამის შესახებ კარგად არის ცნობილი ისტორიკოსთათვის. არსებობს არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტური ცნობაც, მათ შორის, კარლ კაუცკის წიგნი[1] და ზოგიერთი სხვა მონაწილის მოგონებები. თუმცა მე მოგითხრობთ ვიზიტის დეტალებზე, ვეცდები, გავაანალიზო, თუ რატომ იყო ის ესოდენ მნიშვნელოვანი ქართველი თუ უცხოელი სოციალისტებისთვის და როგორ ასახავს იმდროინდელი სოციალისტი ლიდერების აზროვნებას.

1920 წლის შუა პერიოდში, სამწლიანი არასტაბილურობის შემდეგ, დემოკრატიულ საქართველოში მეტ-ნაკლებად სიმშვიდემ დაისადგურა. საბჭოთა რუსეთთან გაფორმებულმა სამშვიდობო შეთანხმებამ ბოლო მოუღო წითელი არმიის შემოჭრის საფრთხეს. საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც შეიარაღებული ჯანყის მცდელობას ადრე ხელიდან არ უშვებდა, ლეგალური გახდა და იატაკქვეშეთიდან გამოვიდა (თუმცა იატაკქვეშა ორგანიზაციასაც ინარჩუნებდა). მისი მხრიდან შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ იყო.

---

[1] K. Kautsky, Georgia, a Social-Democratic Peasant Republic: Impressions and Observations, London, 1921.

ბრიტანული ძალები ტერიტორიას ტოვებდნენ და ქართველი დიპლომატები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ საქართველო დიდ სახელმწიფოებსა და ახლად შექმნილ ერთა ლიგას ეღიარებინათ. ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ეს ხელსაყრელი პერიოდი აღმოჩნდა, რათა წარმოეჩინათ საქართველოს მიღწევები კეთილგანწყობილი ლიდერების წინაშე. მათ მეორე ინტერნაციონალს მიმართეს.

1889 წელს შექმნილი მეორე ინტერნაციონალი აერთიანებდა მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ და ლეიბორისტულ პარტიებს. მისი წევრი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, რომლის მეთაურებიც – როგორც ბოლშევიკები, ასევე მენშევიკები – რეგულარულად მონაწილეობდნენ ინტერნაციონალურ კონგრესებში. ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთის პარტიის სახელით გამოდიოდნენ, თუმცა 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ბევრად ადრე, მათ უკვე უშუალო კავშირი ჰქონდათ ევროპელ სოციალისტებთან.

1890-იანი წლების შუა ხანებში ახალგაზრდა ნოე ჟორდანია, რომელიც მოგვიანებით საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა, დაპატიმრებას შვეიცარიაში გაქცევით გადაურჩა. აქ უკვე დაფუძნებულიყვნენ დევნილობაში მყოფი რუსი რევოლუციონერები. შვეიცარიაში ნოე ჟორდანია შეხვდა ისეთ გამოჩენილ სოციალისტს, როგორიც იყო ვალენტინ პლეხანოვი, რუსული მარქსიზმის მამა. თუმცა დასავლეთ ევროპაში მოგზაურობისას მან სხვა ნაცნობებიც გაიჩინა, მათ შორის, კარლ მარქსის სიძე პოლ ლაფარგი, რადიკალისტი ფრანგი მარქსისტი ჟიულ გედი და ალექსანდერ ჰელფანდი (პარვუსი).

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჟორდანიაზე კარლ კაუცკიმ მოახდინა, არა მარტო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, არამედ მთელი ინტერნაციონალის იდეოლოგიურმა ლიდერმა. კაუცკი მაშინ შტუტგარტში იმყოფებოდა და გამოსცემდა ჟურნალს *Die Neue Zeit,* რომელიც 1883 წელს დააარსა. იმ დროისათვის, როდესაც ჟორდანია კაუცკის ეწვია, ამ სოციალისტურ ყოველკვირეულ გამოცემას მსოფლიოში მკითხველთა ფართო წრე ჰყავდა.

მასში სტატიებს აქვეყნებდა იმ დროის ყველა წამყვანი მოაზროვნე – როზა ლუქსემბურგი, ვალენტინ პლეხანოვი, ედუარდ ბერნშტაინი და სხვები.

„კაუცკიმ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მოკრძალებით, უბრალოებით, აზროვნების სიცხადითა და ღრმა განსწავლულობით“ – იხსენებდა ჟორდანია. წლების შემდეგ კაუცკიც თბილად იხსენებდა ნოე ჟორდანიას წიგნში საქართველოს შესახებ. კაუცკის არ დაუკარგავს ინტერესი საქართველოს მიმართ, ხოლო ქართველი სოციალისტი პოლიტიკოსები რეგულარულად ესწრებოდნენ მეორე ინტერნაციონალის კონგრესებს.

I მსოფლიო ომის დროს მეორე ინტერნაციონალი დაიშალა, რადგან კონფლიქტისას მის შემადგენლობაში მყოფმა პარტიებმა მხარი დაუჭირეს საკუთარ ქვეყნებს. ომის დამთავრებისთანავე, 1920 წელს, ჟენევის კონგრესზე ინტერნაციონალი ფორმალურად აღდგა. მას ესწრებოდა საქართველოს ექვსკაციანი დელეგაციაც, რომელიც ამჯერად რუსეთს აღარ წარმოადგენდა. დელეგაციის წევრებს შორის იყო ირაკლი წერეთელი, რუსეთის დროებით მთავრობის ყოფილი მინისტრი და პეტროგრადის საბჭოს ლიდერი. წერეთელი იყო ერთ-ერთი იმ ქართველთაგან, რომელთაც ევროპელი სოციალისტები ომამდელი კონგრესებიდან უკვე კარგად იცნობდნენ. ქართველებმა განახლებულ ინტერნაციონალს თბილისში ჩამოსვლა შესთავაზეს.

კარლ კაუცკი, ემილ ვანდერველდე და კამილ ჰუისმანსი, რომლებიც ერთმანეთს ჯერ კიდევ ექვსი წლით ადრე ბრუსელში შეხვდნენ და მსოფლიო ომის შეჩერებას წარუმატებლად შეეცადნენ, 1920 წლის აგვისტოს ბოლოს პარიზში შეიკრიბნენ და გეზი 6 000 კილომეტრით დაშორებული საქართველოსკენ აიღეს. მათ მოსკოვში წასვლას თბილისში გამგზავრება ამჯობინეს, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ სოციალისტებსა და ახლად დაარსებულ კომუნისტურ პარტიებს შორის მნიშვნელოვანი განხეთქილება არსებობდა. შესასწავლად საინტერესო, სანიმუშო სოციალისტურ საზოგადოებად, რომელსაც სოლიდარობას უცხადებდნენ, აღიქმებოდა საქართველო და არა რუსეთი.

1920 წლის 4 აგვისტოს ლონდონური „ტაიმსი“ იუწყებოდა: „1 სექტემბერს, საქართველოს მთავრობის მიწვევით, სოციალისტური დელეგაცია საქართველოში გაემგზავრება, რათა შეისწავლოს იქ არსებული პოლიტიკური და სოციალური პირობები. დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ სოციალისტები, რომლებმაც ბოლშევიკური რუსეთი უკვე მოინახულეს, რათა მათ შეძლონ ამ ორ ქვეყანაში არსებულ ვითარებათა შედარება“. [2]

კაუცკის, ვანდერველდსა და ჰუისმანსს ომის შემდგომი ევროპის ყველაზე სახელოვანი სოციალისტებიც შეუერთდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის არჩევნები წააგო და პარლამენტის წევრი აღარ იყო, ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიას რამსეი მაკდონალდი ხელმძღვანელობდა. მაკდონალდმა სწრაფადვე აღიდგინა პოზიციები და ოთხი წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ბრიტანეთის პირველ ლეიბორისტულ პარტიას. მსგავსად მისი საქმის ერთ-ერთი გამგრძელებლისა, რომელიც ათწლეულების შემდეგ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი იყო, მაკდონალდის მოღვაწეობაც იმით დამთავრდა, რომ, მიუხედავად არჩევნებში მიღწეული გასაოცარი წარმატებისა, იგი მისივე პარტიამ დაგმო. მას ბრალად დასდეს ოპონენტებთან კოალიცია და პარტიის რიგების რღვევა. თუმცა ყოველივე ეს გაცილებით გვიან მოხდა, 1920 წელს კი რამსეი მაკდონალდი ჯერ კიდევ ლეიბორისტული პარტიის შეუცვლელი ლიდერი იყო.

თომ შოუ, ლეიბორისტთა დეპუტატი პრესტონიდან, პარტიაში საორგანიზაციო საკითხებზე იყო პასუხისმგებელი. საერთაშორისო სოციალისტური თუ პროფკავშირული მოძრაობის გამოცდილი კადრი, ფეიქართა საერთაშორისო ფედერაციის მდივანის მოვალეობასაც ასრულებდა. მოგვიანებით, 1923 წელს, როდესაც მეორე ინტერნაციონალი და შედარებით მემარცხენე სოციალისტურ პარტიათა საერთაშორისო შრომითი კავშირი გაერთიანდა, იგი ლეიბორისტთა და სოციალისტთა გაერთიანებული ინტერნაციონალის მდივანი გახდა. ეს ორგანიზაცია ასევე ცნობილი იყო, როგორც „2½ ინტრნაციონალი“ ან „ვენის ინტერნაციონალი“.

[2] The Times, “British Socialists to Visit Georgia”, August 4, 1920.

ეთელ სნოუდენი ერთადერთი იყო ამ ჯგუფში, ვინც ყველაფერს დამოუკიდებლად მიაღწია. მაკდონალდისა და შოუს მსგავსად, იგი ლეიბორისტული პარტიის ლიდერი იყო და ნაციონალურ აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობდა. სნოუდენი, როგორც გამოცდილი მოგზაური, ნამყოფი იყო პალესტინაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში. 1920 წლის დასაწყისში იგი ლეიბორისტული პარტიისა და პროფკავშირების კონგრესის დელეგაციის წევრის სტატუსით მოსკოვში გაემგზავრა. ეთელ სნოუდენს ნანახი არ მოეწონა და გამოსცა წიგნი („ბოლშევიკურ რუსეთში“), რომელშიც მწვავედ გააკრიტიკა ლენინის რეჟიმი. „ტაიმსის“ ცნობით, სნოუდენი იყო ერთ-ერთი, ვისაც შეეძლო, კომპეტენტურად „შეედარებინა ორი ქვეყნის სიტუაცია“.

საქართველოში წარგზავნილ დელეგაციაში ფრანგებიც შედიოდნენ: პიერ რენოდელი, ადრიენ მარკე და ალბერტ ინგელსი. რენოდელი, რამსეი მაკდონალდის მსგავსად, დროებით პარლამენტს მიღმა დარჩენილი ფრანგ სოციალისტთა ლიდერი იყო. მას წლების განმავლობაში ჯერ კიდევ ომამდე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჟან ჟორესთან, დიდებულ ფრანგ სოციალისტთან, 1914 წელს კი ჟორესის მკვლელობის მოწმეც გახდა. სოციალისტი მარკე ბორდოს მერად აირჩიეს. შემდეგ ის უკიდურეს მემარჯვენეებს მიემხრო და პეტენისა და ლავალის ხელმძღვანელობით მოღვაწეობდა ვიშის მთავრობაში. რა შეეხება ინგელსს, ეთელ სნოუდენი მას ახასიათებდა, როგორც „ერთ ჩვეულებრივ მკაცრ და მტკიცე პროფკავშირების ლიდერს, ფეიქარ მუშათა ნამდვილ წარმომადგენელს“.

ბელგიელთა მხრიდან დელეგაციაში შედიოდნენ ემილ ვანდერველდე და მისი ცოლი ლალა, ლუი დე ბრუკერი და კამილ ჰუისმანსი, რომელსაც თან ახლდნენ მეუღლე მარტა და ქალიშვილი სარა. სარა დელეგაციის მდივნის ფუნქციას ასრულებდა.

მაკდონალდის დღიურში ვკითხულობთ, რომ მას ლონდონი ორშაბათს, 1920 წლის 30 აგვისტოს, დაუტოვებია და პარიზში გამგზავრებულა, სადაც სხვებს უნდა შეხვედროდა.[3]

[3] ეს დღიური რამსეი მაკდონალდის დოკუმენტების ნაწილს წარმოადგენს ჯინ რაილანდის ბიბლიოთეკიდან მანჩესტერის უნივერსიტეტში.

„ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ გამგზავრებას. – წერდა სარა ჰუისმანსი, – ქალბატონი სნოუდენის გარდა, რომელიც სასტიკად წინააღმდეგი იყო ვაქცინაციისა, ყველას შავი ჭირის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთეს. შემდეგ მატარებელში ჩასხდნენ, რომელმაც მგზავრები, პარიზისა და რომის გავლით, სამხრეთ იტალიაში, ტარანტოში, ჩაიყვანა. კაუცკი, რადგანაც ცხელება დაეწყო, ტარანტოში დარჩა და მეუღლესთან ერთად საქართველოში მხოლოდ ორი კვირის დაგვიანებით ჩამოვიდა“.[4]

მართალია, კაუცკი სხვა დელეგატებზე გვიან ეწვია საქართველოს, მაგრამ აქ გაცილებით მეტ ხანს დარჩა. მან მოახერხა, დაეწერა წიგნი, რომელშიც დაწვრილებით აღწერა მიღებული შთაბეჭდილებები.

მგზავრები საკმაო პრობლემებს გადაეყარნენ. სარა ჰუისმანსი იგონებს: „ბარგის ერთი ნაწილი (ყუთი) გზაშივე მოიპარეს, უფრო სწორედ ის ცარიელი ყუთით შეცვალეს და კოხტად მოათავსეს სხვა ბარგთან ერთად. გამოცდილი მებარგული, რომელმაც ეს შენიშნა, ამბობდა, „ეტყობა, იფიქრეს, თუკი ვინმეს ამდენი ბარგი აქვს, ამით სხვამაც უნდა იხეიროსო“.

მაკდონალდი დღიურში წერდა, რომ რომში ჩასულმა მთვარის შუქით განათებული კოლიზეუმიც დაათვალიერა და მეორე დღეს ვატიკანიც მოინახულა.

სარა ჰუისმანსი იმასაც აღწერს, რაც მგზავრობისას გადახდათ: „საბოლოო საპასპორტო კონტროლის შემდეგ ჯგუფი კონსტანტინოპოლისკენ (სტამბოლისაკენ) გემით გაემგზავრა. აქ მათ ერთი რუსი და შვიდი ქართველი შეუერთდნენ. კონსტანტინოპოლის გამოჩენა, ცხადია, განმაცვიფრებელი იყო – ჯანმრთელებიც და ავადმყოფებიც პიჟამებითა თუ საღამურებით ალიონზევე გემ-

საუბედუროდ, ის უკიდურესად დაშიფრულია და დიდ ინტერესს არ წარმოადგენს.

4 სარა ჰიუსმანის ვიზიტის ანგარიში ხელმისაწვდომია PDF ფორმატში ონლაინ, მაგრამ აღარ გვხვდება ძიების შედეგებში. ავტორის საკუთრებაშია PDF ვერსია. დოკუმენტი დასათაურებულია როგორც ამილ ჰიუსმანი საქართველოს მისიაზე. (ამსაბის სოციალურუ ისტორიის ინსტიტუტი).

ბანზე გამოეფინენ, არავის სურდა ეს სანახაობა გამორჩენოდა. კამილი აღფრთოვანებით აღწერდა კონსტანტინოპოლს, მისთვის უცნობ ქალაქს, მგზავრის ჩანაწერებში, რომლებიც შემდეგ *The Volksgaze*-ში (ფლამანდიურ სოციალისტურ გაზეთში) იბეჭდებოდა. ჯგუფმა გასეირნებაც მოასწრო. უექსკურსიამძღოლოდ ცდილობდნენ ქალაქში გზის გაკვლევას. ჯერ ფრანგულად სცადეს გასაუბრება, თუმცა წარუმატებლად, შემდეგ ინგლისურად – კვლავაც წარუმატებლად და საბოლოოდ ჰოლანდიურად... და, ჰოი, საოცრებავ! თურქმა ხალიჩებით მოვაჭრემ, რომელიც ხანდახან ბრიუსელში, ოსტენდსა და ამსტერდამშიც ვაჭრობდა, მათ გზა მიასწავლა.

გემმა გეზი ბათუმისკენ აიღო, საქართველოს უდიდესი საპორტო ქალაქისკენ. დელეგაცია მშვენივრად ატარებდა დროს – წინასწარ გეგმავდნენ და ადგენდნენ შეხვედრების გრაფიკს, კითხულობდნენ, ბჭობდნენ, მღეროდნენ... გემს ადევნებული დელფინების ცქერაც კარგი თავშესაქცევი იყო“.

სანამ სოციალისტი ლიდერები სიმღერით, საუბრითა და შავ ზღვაში მონავარდე დელფინების ცქერით ერთობოდნენ, ქართველები ბათუმში მათთვის დაუვიწყარ მიღებას ამზადებდნენ. პარიზიდან გამომგზავრების შემდეგ ორი კვირაში, როგორც იქნა, ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ.

„მათ შესაგებებლად დიდი დელეგაცია მოცურავდა გემზე აფრიალებული ალმებით, – იხსენებს სარა ჰუისმანსი, – ნაპირზეც ათასობით დამხდური გამოსულიყო. ბაირაღებს აფრიალებდნენ. ბავშვებს თაიგულები ეჭირათ, ტრიუმფალური თაღების ქვეშ მუსიკა უკრავდა ... ვიღას ახსოვდა დაღლილობა... დაუყოვნებლივ ყველას რატუშისკენ გაუძღვნენ სიტყვის სათქმელად (sic!). სათქმელი კიდევ ბევრი იყო, ამჯერად – სახალხო სახლში! მისალმებები! საუზმე სპეციალურ მატარებელში მიართვეს და შემდეგ ჩაის ფაბრიკის სანახავად წავიდნენ. იქ ღია ცის ქვეშ ისადილეს და ამას ისევ მოჰყვა სიტყვით გამოსვლები, სადღეგრძელოები, სიმღერა და ცეკვა“.

ეთელ სნოუდენი, რომელსაც უკვე მოვლილი ჰქონდა ბოლშევიკური რუსეთი და ამ ორი ქვეყნის შედარება შეეძლო, დეტალურად აანალიზებდა მოგზაურობას, მათ შორის, ბათუმში მიღებულ შთაბეჭდილებებსაც. ეს სულ სხვა პეწს სძენდა ქართველების დახვედრას. სნოუდენი ცდილობდა გაეხსენებინა რაიმე მსგავსი ბოლშევიკურ რუსეთში ვიზიტისას:

„საქართველოში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ის, რაც ბათუმში ვნახეთ, სხვაგანაც გამეორდა. ჩვენთან შეხვედრას არავის ავალდებულებდნენ. ხალხი მოდიოდა იმიტომ, რომ მოსვლა უნდოდა. ისინი თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ ჩვენ გარშემო, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე იცინოდნენ, ხმაურობდნენ, მღეროდნენ. თვალწაბლა ბავშვები კალთაში გვისხდებოდნენ, მორცხვად ათამაშებდნენ ჩვენს საათებს ან ტანსაცმელს აკვირდებოდნენ. ბედნიერ სახეებზე, რომლებიც აივანზე შემოგვცქეროდნენ, ვერც ნაღველს შეამჩნევდით, ვერც სიმწრით მოკუმულ ტუჩებს, ვერც ბრაზითა და ზიზღით სავსე თვალებს. ერთი მხიარული თმახუჭუჭა გოლიათი, რომლის მორუხო თმა შეგროვილ ხალხზე ერთი თავით მაღლა ფრიალებდა, რაღაცას შესძახებდა და ამ შეძახილს ხალხი მთელი გულწრფელობით იტაცებდა. ისინი ჩვენს ეტლებს მოსდევდნენ, წითელ ვარდებს ესროდნენ და კოცნას გვიგზავნიდნენ. ჩვენ ამ ვარდებს ვაგროვებდით და ტანსაცმელზე ვიბნევდით, როგორც საერთაშორისო სოლიდარობის წითელ სიმბოლოს“.

საპორტო ქალაქში სტუმრები მხოლოდ ერთი დღე გაჩერდნენ. სარა ჰუისმანსი დააღონა ბათუმის დატოვებამ. „ჯგუფი მეტად კმაყოფილი იყო, – წერდა სარა, – მაგრამ ისევ მატარებელში უნდა ჩამსხდარიყო, მყარ საწოლებზე დაეძინა და გზა გაეგრძელებინა თბილისისკენ, საქართველოს დედაქალაქისაკენ. სამწუხაროდ, ღამე კარგად ვერ დაისვენეს... ყველა სადგურში, სადაც მატარებელი ჩერდებოდა, დელეგაციას ინტერნაციონალის ადგილობრივი ვერსია უნდა მოესმინა და აღელვებულ ხალხს მისალმებოდა. ასე გაგრძელდა მთელს ღამეს!“

ეთელ სნოუდენი იხსენებდა, რომ ისინი „სამეფო მატარებლით მგზავრობდნენ, რომელიც აღჭურვილი იყო ყველანაირი კომფორ-

ტით. აქ სააბაზანოებიც იყო და შესანიშნავი სამზარეულოც. კვების საკითხს დაქვრივებული დედისა და სამი შვილისაგან შემდგარი რუსების ოჯახი განაგებდა. ამ კარგი წარმომავლობის ხალხს სოციალ-დემოკრატები დანაკარგს ამგვარად უნაზღაურებდნენ იმის სანაცვლოდ, რომ მათ ყოველ მხრივ ექსტრემისტებით გარემოცული პრეზიდენტი[5] საფრთხეს გადაარჩინეს“.

როგორც იქნა, თბილისში ჩამოვიდნენ. „უცნაური გრძნობა დაგვეუფლა, – წერდა მაკდონალდი, – თითქოსდა გავეცალეთ დასავლეთს, გავიარეთ კონსტანტინოპოლის ბაზარი, მეჩეთები, ამომავალი მზისკენ ბევრად შორს გავემგზავრეთ და აი, ჩვენი მგზავრობის დასასრულს თბილისის რკინიგზის სადგურის უმშვენიერესი ხალიჩებით მორთულ მოსაცდელ დარბაზში, სადაც ყველგან კარლ მარქსისა და მის მოწაფეთა სურათები ეკიდა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიგვიღო“.

სნოუდენმა აღწერა ხალხი, რომელიც დელეგატებს შეძახილებით ეგებებოდა, ვიდრე ისინი დასაბინავებლად ამერიკის კომისრის ყოფილ რეზიდენციას მიაშურებდნენ. სარა ჰუისმანის თქმით, „მიღება რომელიც თბილისში მოუწყვეს, გაცილებით შთამბეჭდავი იყო. კვლავ გაისმოდა მისასალმებელი სიტყვები, შეძახილები, სადღეგრძელოები, თუმცა დრო იყო, საქმეს შედგომოდნენ“.

ეს საქმე, მაკდონალდის ჩანაწერების თანახმად, ითვალისწინებდა შეხვედრას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, რასაც მოსდევდა ვიზიტი ოპერაში. სნოუდენი იხსენებს: დელეგაციის „უპირველესი მიზანი თბილისში პარლამენტის სპეციალურ სესიაზე დასწრება იყო. სესია ჩვენ პატივსაცემად მოიწვიეს, რათა მოგვესმინა ამ პარლამენტში გაერთიანებული რვა პარტიის წარმომადგენელთა მისალმებები“.

მომდევნო დღეებში სტუმრებს ქვეყანა მოატარეს. სარა ჰუისმანსის მოგონებების მიხედვით, „დელეგაცია საათობით მუშაობდა დილის 7-დან 2 საათამდე“. ეს არ იყო უმაქნისი ლაყბობა. ჰუისმან-

[5] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურს პრეზიდენტის სტატუსი არ ჰქონია. იგი მთავრობის თავმჯდომარედ იწოდებოდა (რედაქტორის შენიშვნა).

სი ქართველებს ბელგიელ მუშებთან ურთიერთობის გასაღრმავებლად კონკრეტულ ნაბიჯებს სთავაზობდა. „ჰუისმანსის გეგმები, რომლებიც ბელგია-საქართველოს ურთიერთობათა გამყარებას ითვალისწინებდა, ამბიციური იყო, – წერდა სარა ჰუისმანსი, – იგი აპირებდა, მოეგვარებინა ქართული ხილ-ბოსტნეულის ბელგიაში, კერძოდ, ანტვერპენში, იმპორტის საკითხი. კოოპერატივები მას ბელგიელ მომხმარებლებს მიჰყიდდნენ. გაწვრთნილი ბელგიელი ტექნიკოსები კი გამოცდილების გასაზიარებლად საქართველოში დაუყოვნებლივ უნდა გამოეგზავნათ, რათა წარმოება და ტექნიკური განათლება გაეუმჯობესებინათ“.

მაკდონალდმა აღწერა, თუ როგორ მოინახულეს „კავკასიის მთების გული, მოუთვინიერებელი, მხიარული, კბილებამდე შეიარაღებული მთიელებით“, რომლებიც მოწიწებით უსმენდნენ „მოხუც მღვდელს ქარში ჩამოღვენთილი სანთლების შუქზე, სანამ ის მოსალმებას დაამთავრებდა და წარმოთქვამდა – გაუმარჯოს ინტერნაციონალს![6]

„უამრავი სოფელი მოვინახულეთ, – წერდა მაკდონალდი, – უამრავ გლეხს შევხვდით, რომლებსაც ხან ღვინო მოჰქონდათ, ხან პურმარილი. მათგან არაფერი მსმენია, გარდა კმაყოფილებისა და იმედისა“.

სტუმართაგან რამდენიმე ყვებოდა, თუ როგორ შეხვდნენ წარჩინებულები სოციალურ დემოკრატიულ რეფორმებს. „მე შევხვდი თავადებს, რომლებიც ხარობდნენ სამოქალაქო თანასწორობით“ – იხსენებს მაკდონალდი. ეთელ სნოუდენი ესაუბრა „მიწათმფლობელებს, რომლებმაც სიხარულით მიიღეს ახალი სისტემა და დიდგვაროვან ქალბატონებს, რომლებიც კმაყოფილნი იყვნენ ახლად მოპოვებული ეკონომიკური დამოუკიდებლობით“. სარა ჰუისმანი წერდა, რომ „მსხვილი მიწათმფლობელები ადვილად თმობდნენ საკუთრებას“. საქართველოში ჩამოსულ დელეგატებს არ დახვედრიათ მწვავე კლასობრივი დაპირისპირება, რომელმაც 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსეთი ორად გახლიჩა.

6 R. MacDonald, A Socialist State in the Caucasus. The Nation, October 16, 1920, pp. 64-66.

სნოუდენი გურიაში, დასავლეთ საქართველოში, მოგზაურობასაც აღწერდა. აქ დელეგატები ნოე ჟორდანიას დედას მოკრძალებულ მამა-პაპისეულ სახლში შეხვდნენ. „მას ადგილობრივი ტანსაცმელი ეცვა, – იხსენებდა ეთელ სნოუდენი, – ამ ჩია, ხანდაზმულ, სტუმართმოყვარე ქალს არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა მიწის დაყოფა, რამაც მის საყვარელ ვაჟს მამულის დიდი ნაწილი დააკარგვინა“. ჟორდანია „რბილად, მაგრამ მტკიცედ უხსნიდა, რომ აგრარული რეფორმა თანაბარია ყველასთვის, მდიდრისა თუ ღარიბისთვის, ხოლო მდიდარმა უპოვარს უნდა გაუნაწილოს“.

„რასაცა გასცემ, შენია“ – ეს იყო ქართველ სოციალისტთა პოლიტიკის უმთავრესი დევიზი, რომელიც ახალი საზოგადოების ხედვას გამოხატავდა.

შემდეგ ჟორდანიებმა სტუმრები ბაღში მიიწვიეს და „ოჯახური სიწმინდე აჩვენეს, ადგილი, სადაც ბავშვი განისვენებდა. ეს ლამაზად მოვლილი ბაღჩა იყო, პატარა ჩამოსაჯდომით, პირით დასავლეთისაკენ. თანაგრძნობის ნიშნად, ყველამ თავი დახარა“.

სარა ჰუისმანსის მოგონებები მთავრდება ამ „მომაჯადოებელი და ამაღელვებელი მოგზაურობის“ უკანასკნელი დღის აღწერით, როდესაც კამილ ჰუისმანს სთხოვეს, კრიტიკული გამოსამშვიდობებელი სიტყვა ეთქვა. იდეოლოგიური თვალსაზრისით, სამუშაო აშკარად ბევრი იყო, რადგან წარმოთქმული სიტყვა დაახლოებით ამგვარად ჟღერდა: „თქვენ ბევრს მიაღწიეთ, მაგრამ ახლა შრომაც უნდა ისწავლოთ. რვასაათიანი სამუშაო დღე უკვე შემოღებულია და ამიერიდან შრომას დღეში მართლაც რვა საათი უნდა დაუთმოთ! წარმოება მზარდი უნდა იყოს და უნარ-ჩვევათა გაუმჯობესება შესაძლებლობას მოგცემთ, უახლოეს მომავალში სამუშაო საათები შეამციროთ“.

შინ დაბრუნებული სოციალისტების განაცხადები, რომლებსაც ისინი პრესისთვის აკეთებდნენ, საბედნიეროდ, სხვაგვარად ჟღერდა. მაგალითად, ლონდონში დაბრუნებული ეთელ სნოუდენი „ტაიმსთან“ ინტერვიუში ცალსახად პოზიტიურად აფასებდა ვიზიტს. იგი აღნიშნავდა: „საქართველომ გამოიარა ომი თურქეთთან, სომხეთთან და ბოლშევიკებთან. ფასებიც და გაცვლითი კურსიც

მაღალია, მაგრამ ხალხი აღსავსეა იმედითა და მიზანსწრაფვით. მათ ევროპაში ყველაზე დახვეწილი სოციალისტური მოდელი შექმნეს“.

სნოუდენიც და მაკდონალდიც ფაბიანური საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის წევრები იყვნენ. ამიტომაც ძნელია, მათ მიერ სოციალისტურ-დემოკრატიული საქართველოს საქებრად წარმოთქმულმა გადაჭარბებულმა ხოტბამ სიდნი და ბეატრის ვებების, წამყვანი ფაბიანელების, 1935 წელს გამოქვეყნებული ავადსახსენებელი წიგნი არ გაგვახსენოს – „საბჭოთა *კომუნიზმი: ახალი ცივილიზაცია“.* ვებები ტერორისა და იძულებითი კოლექტივიზაციის ზენიტში მყოფ სტალინური რეჟიმს უზადო უტოპიად მიიჩნევდნენ. ბრიტანელმა ისტორიკოსმა ა. ჯ. პ. ტეილორმა მათ ათასგვერდიან ნაშრომს სამართლიანად უწოდა „რუსეთის შესახებ დაწერილი ყველაზე აღმაშფოთებელი წიგნი“. განსხვავდებოდნენ კი მათგან მაკდონალდი და სნოუდენი? ისინიც ხომ ვარდისფერად ხედავდნენ საქართველოს.

როგორც „ტაიმსი“ იუწყებოდა, დელეგაციაში სნოუდენის ყოფნის ერთ-ერთი მიზანი ბოლშევიკურ რუსეთსა და საქართველოში მიღებულის შთაბეჭდილებების შედარება იყო. „მე მაშინვე დავინახე გამაოგნებელი განსხვავება ქართველებსა და რუსებს შორის, – აღნიშნავდა იგი, – გაუთავებელი გაჭირვება რუსეთში აუტანელი იყო. ქართველები გაცილებით უკეთე გამოიყურებოდნენ, ეტყობოდათ, რომ კარგად იკვებებოდნენ, ტანსაცმელიც უკეთესი ეცვათ და, რაც მთავარია, ბედნიერები იყვნენ. მათ სახეზე არ იყო აღბეჭდილი ტერორი. იქ არც დემონსტრაციები ეწყობოდა და არც სამხედრო წესრიგი ბატონობდა.

ქალაქებსა და სოფლებში მოგზაურობისას ყველა, ვისაც ჩვენ ვიზიტის შესახებ ამცნეს, მეგობრული განწყობით მოდიოდა ჩვენთან შესახვედრად. ტრადიციის მიხედვით, ძღვნად ღვინო, ხილი და პურმარილი მოჰქონდათ. ისინი ჩვენთვის ეროვნულ ცეკვებსაც ასრულებდნენ, მაგრამ ყოველივე სპონტანურად და ბუნებრივად ხდებოდა“.

სნოუდენის წიგნი „ბოლშევიკურ *რუსეთში“* (Through Bolshevik Russia, London: Cassell and Company Ltd, 1920) 1920 წლის სექტემბერ-

ში ავტორის საქართველოში ყოფნისას დაიბეჭდა. ამ წიგნში საქართველო ნახსენებიც არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სნოუდენი ბოლშევიკებს აკრიტიკებს, კრიტიკა თავშეკავებულია. სნოუდენს მართლაც არ მოსწონს ჩეკა (საბჭოთა საიდუმლო პოლიცია), მაგრამ ის უდიდეს პატივს სცემს ბოლშევიკ პოლიტიკოსებსა და მათ მიზნებს.

იგი აღწერს მიღებებს, საორკესტრო გამოსვლებს, სიმღერებსა და უსასრულო სიტყვებს რუსეთში, თუმცა ინდობს მკითხველს და არ ახსენებს ადამიანებს, რომლებსაც აიძულებდნენ დასწრებას, განსხვავებით საქართველოსაგან, სადაც საზოგადოება ნებაყოფლობით მოდიოდა. როგორც ჩანს, მოგონებები გამწარებულ, დამშეულ რუსებზე, რომლებსაც უცხოელი დელეგატების მასპინძლობას აიძულებდნენ, მხოლოდ საქართველოში ვიზიტისას ამოტივტივდა, სადაც სნოუდენმა ჭეშმარიტი სტუმართმოყვარეობა იხილა.

წიგნში სნოუდენი თანაუგრძნობს მენშევიკებსაც, რომლებიც რუსეთში მისი ვიზიტისას არჩევნებს იგებდნენ (ვიდრე ეს პარტია არ აიკრძალა), თუმცა იგი მენშევიზმის საკითხებში გათვითცნობიერებული არ გახლდათ. სნოუდენი ყვება ცნობილ ამბავს ვიკტორ ჩერნოვზე, ანონიმსა და არალეგალზე, რომელიც უცაბედად ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე გამოჩნდა და მას მენშევიკად მოიხსენიებს, რაც ამ წიგნში დაშვებული იშვიათი უხეში შეცდომაა. ჩერნოვი მენშევიკი არასოდეს ყოფილა, ის ნაროდნიკული სოციალისტ-რევოლუციური პარტიის დამაარსებელი იყო.

რამსეი მაკდონალდს „მანჩესტერ გარდიანი“ საქართველოდან დაბრუნებისთანავე გაესაუბრა.[7] საგაზეთო ინფორმაციით, ლეიბორისტი ლიდერი საქართველოს აღწერდა, როგორც „სოციალისტურ რეჟიმში მცხოვრებ ბედნიერ ქვეყანას“. მაკდონალდი ყვებოდა, რომ „აღფრთოვანებულია საქართველოში ვიზიტით. ეს მშვენიერი, პატარა ქვეყანაა, სულ რაღაც ოთხი მილიონი მოსახლით, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. საქართველოს რესპუბლიკა სოციალისტურია და, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელმა

7 Manchester Guardian, “A promising Russian border state”, October 12, 1920, p. 8.

უთხრა, მთავრობის მიზანია მისი ორგანიზება დამოუკიდებელი ლეიბორისტული პარტიის კვალობაზე“.

მაკდონალდმა აღწერა, რაც ნახა საქართველოში. იგი ამბობდა, რომ „მიწათმოწყობა აქ თითქმის ისეთია, როგორიც ბოლშევიკურ რუსეთში. იჯარით აღებული უძრავი ქონება მცირეა და გლეხების მფლობელობაში რჩება, თუ მას თავადვე ამუშავებენ“. საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე საუბრისას იგი აღნიშნავდა, რომ „ქართველებში გამოკვეთილია ანტიბოლშევიკური და ანტირუსული განწყობა, მაგრამ შეიმჩნევა ბოლშევიკური პროპაგანდა, რომელიც არაფერს აფუჭებს, რადგან იმავდროულად აზრის თავისუფლებაც არსებობს“.

გაზეთმა დაბეჭდა ქართული ეკონომიკის მაკდონალდისეული აღწერა: „უდიდესი ნახშირის მაღაროს ... სახელმწიფო მართავს, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი მარგანეცის მაღაროები კვლავაც კერძო მესაკუთრის ხელშია. ტყეები სახელმწიფოს კუთვნილებაა. მცირე რაოდენობის ფაბრიკების ნაწილი კერძოა, მაგრამ განიხილება სამთომოპოვებითი და სხვა საწარმოების სოციალიზაციის გეგმები. ბევრი კეთდება კოოპერატიული წარმოების წასახალისებლად და შედგენილია გეგმა თამბაქოს წარმოებისთვის. ინდუსტრიის ეს მიმართულება მეტად მნიშვნელოვანია მწარმოებელთა ასოციაციისთვის. საქართველო უაღრესად ნაყოფიერი ქვეყანაა. მისი ღვინო უმაღლესი ხარისხისაა. მთლიანობაში, ქვეყანა მდიდარია და საკვები უხვადაა. რა თქმა უნდა ... სოციალისტური რეჟიმი მხოლოდ საწყის სტადიაშია და მის განვითარებას საკმაო დრო დასჭირდება“.

მაკდონალდს მტკიცედ სწამდა, რომ ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკა ახალ ფედერაციად უნდა გაერთიანებულიყო. სომხეთი ჯერ არ იყო ოკუპირებული წითელი არმიის მიერ. აზერბაიჯანი უკვე საბჭოეთს ექვემდებარებოდა, მაგრამ მაკდონალდს სჯეროდა, რომ აზერბაიჯანელები, რომლებიც მტრებად აღიქვამდნენ რუს ბოლშევიკებს, „მათ თავიდან მოიშორებდნენ“ და გზას გაუხსნიდნენ სამ ქვეყანას შორის განახლებულ თანამშრომლობას.

საბოლოოდ, მაკდონალდმა აიძულა ბრიტანეთის მთავრობა, ელიარებინათ საქართველო. ის მეტად კრიტიკულად აფასებდა

ბრიტანულ შეხედულებებს. „ჩვენ ძალიან ცუდად მოვექეცით საქართველოს, – ამბობდა იგი, – ჩვენ ვაიძულებდით ქვეყანას, მხარი დაეჭირა დენიკინისათვის და როდესაც მან უარი განაცხადა, ბრიტანულმა სარდლობამ ქართველებს მათივე იარაღი ჩამოართვა და გადასცა დენიკინს, რომელმაც ის საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა“. მაკდონალდი აღნიშნავდა, რომ ქართველებს ეშინოდათ დენიკინის მომხრე თეთრგვარდიელების, რომლებსაც სამხრეთ რუსეთში ბარონი ვრანგელი მეთაურობდა და ისინი მზად იყვნენ, თავი დაეცვათ აგრესიისაგან.

დელეგაციის ვიზიტით გამოწვეულ ენთუზიაზმს თავად ქართველთა შორის ყველა როდი იზიარებდა. ერთ-ერთი, ვინც კრიტიკულ მოსაზრებას გამოთქვამდა, ზურაბ ავალიშვილი იყო, ქართველი დიპლომატი, რომელიც მეტად უნდობლად უყურებდა სოციალ-დემოკატებს. ის დელეგაციის ჩამოსვლას დროის კარგვად მიიჩნევდა, სოციალისტ სტუმრებს აგდებით მოიხსენიებდა და წერდა: „გამოჩენილი ევროპელი სოციალსტები, მათ შორის კი მეორე ინტერნაციონალის „სამი ფრეილინაც“ (მისის კაუცკი, მისის ვანდერველდე და მისის სნოუდენი), ცნობისმოყვარეობით გასცქერიან ლამაზ საქართველოს“.

ზურაბ ავალიშვილი აღშფოთებული იყო იმითაც, თუ როგორ მასპინძლობდა სტუმრებს საქართველოს მთავრობა, რომელიც ჩამოსულებს „იმგვარ თანამდებობრივ პატივს მიაგებდა, როგორსაც სულაც არ იყვნენ ჩვეულნი“. მაშინ ეს სიმართლეს შეეფერებოდა, თუმცა ავალიშვილს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ დელეგატთაგან ორი (მაკდონალდი და ჰუისმანსი) მოგვიანებით საკუთარ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. მან დელეგაცია „სრულიად უმნიშვნელოდ მიიჩნია. ის მხარდამჭერ „დასავლურ დემოკრატიებზე“ უდროო და ფუჭ ილუზიებს ქმნიდა“. ავალიშვილი ამტკიცებდა, რომ ქართველი ხალხი ვერც კი ხვდებოდა, „რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის 1920 წელს „მოკავშირე ძალების უმაღლეს საბჭოსა“ და „ამსტერდამის ინტერნაიცონალს“.[8]

[8] Z. Avalishvili, The Independence of Georgia in International Politics, 1918-1921, London, 1940, pp. 266-267.

რით აიხსნება ქართველი პოლიტიკური ლიდერების ამგვარი აღფრთოვანება ამ ვიზიტით? უნდა აღინიშნოს, რომ აღტაცება დელეგაციის საქართველოდან გამგზავრების შემდეგაც კარგა ხანს გრძელდებოდა და მერეც, როდესაც ქვეყანა რუსებმა დაიპყრეს. ნ. ჟორდანია და დევნილი ქართველი ლიდერები წლების განმავლობაში რეგულარულად ესწრებოდნენ სოციალისტურ კონგრესებს, რომლებიც თანდათან სულ უფრო ნაკლები ინტენსივობით ტარდებოდა და იღებდნენ რეზოლუციებს ქვეყნიდან რუსული ძალების გაყვანის თაობაზე.

შესაძლებელია, პასუხი ამ კითხვაზე ვიპოვოთ კლასიკური მარქსიზმის მსოფლმხედველობაში, რომელსაც 1890-იანი წლებიდან იზიარებდნენ ჟორდანია და მისი თანამოაზრეები. მათი აზრით, რა თქმა უნდა, არსებობდა ეროვნული მთავრობები და ტრადიციული დიპლომატია, მაგრამ სოციალური კლასი გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. ქართველი დემოკრატების აზრით, ასეთივე მნიშვნელობის მსოფლიო ძალას მეორე ინტერნაციონალი და მისი შემცვლელი ორგანიზაციები წარმოადგენდნენ.

თანამედროვე ისტორიკოსთა მსგავსად, დიპლომატი ზურაბ ავალიშვილისთვის ეს შეიძლება აბსურდული ყოფილიყო, მაგრამ იმ დროს ეს აბსურდად არ ითვლებოდა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ათი წლით ადრე, 1907 წელს, მეორე ინტერნაციონალის შტუტგარტის სახელგანთქმულ კონგრესზე 900-მდე დელეგატი მთელი მსოფლიოდან სერიოზულად ბჭობდა ლენინისა და როზა ლუქსემბურგის თვალსაზრისზე, თუ როგორ შეეძლოთ სოციალისტურ პარტიებს მსოფლიო ომის თავიდან აცილება და, წარუმატებლობის შემთხვევაში, კრიზისის გამოყენებით მსოფლიო კაპიტალიზმის დამარცხება.

ასე ხედავდნენ სოციალისტები საკუთარ თავს, წარმოადგენდნენ რა კაცობრიობის უდიდეს უმრავლესობას და ამგვარად – ზეძალას.

ასეთი რწმენა, ნაწილობრივ, მოდიოდა მარქსისტულ თეორიიდან, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კლასობრივ ბრძოლას, თუმცა ამავე დროს ეყრდნობოდა იმ სოციალისტური

პარტიების მიღწევებსაც, რომლებიც შეუჩერებელი მარშით მიიწევდნენ წინ ძალაუფლებისკენ. მსოფლიო ომის დაწყებისათვის ინტერნაციონალის ლიდერი პარტია, გერმანელი სოციალ-დემოკრატები, ქვეყანაში უკვე ხმათა უმრავლესობას აგროვებდნენ.

ამ მრწამსმა გაუძლო ომსაც. მას იზიარებდნენ, როგორც გამარჯვებული რუსი ბოლშევიკები, ასევე მათი მოქიშპე სოციალ-დემოკრატები. ბოლშევიკების აზრით, ის ევროპელი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსები, რომლებსაც ზ. ავალიშვილი „არაფრად აგდებდა“, სინამდვილეში, უაღრესად მნიშვნელოვანნი იყვნენ.

ლ. ტროცკიმ, სამოქალაქო ომში გამარჯვებული წითელი არმიის სარდალმა, საქართველოში საერთაშორისო სოციალისტური დელეგაციის ვიზიტის ფაქტი იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ მას ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი წიგნი მიუძღვნა – „წითელსა და თეთრს შორის“ (*Between Red and White*). ეს წიგნი იყო პასუხი კაუცკის ნაშრომზე, რომელიც საქართველოდან გამგზავრების შემდეგ დაიწერა. მოწინავე ბოლშევიკები კომუნისტური ინტერნაციონალიდან წლების შემდეგაც იგზავნებოდნენ ევროპაში იმის განსახილველად, თუ რა მოხდა საქართველოში სოციალ-დემოკრატთა სტუმრობისას.

მხოლოდ ნ. ჟორდანია და მისი მეგობრები როდი ფიქრობდნენ, რომ მეორე ინტერნაციონალი რაღაცას წარმოადგენდა, თუკი ეს ილუზია იყო, ასეთივე ილუზიის ტყვეობაში იყვნენ საბჭოთა ლიდერებიც.

დაბოლოს, ზ. ავალიშვილის მსგავსი ჩვეულებრივი დიპლომატების მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული სტრატეგია, მიეღწიათ აღიარებისთვის „რეალურ“ სახელმწიფოთა, თუნდაც საფრანგეთისა და იტალიის, მხრიდან, არცთუ მეტად წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე მცდელობა, გამოეყენებინათ საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ფორმირების შემაფერხებელი ფაქტორები

დიმიტრი სილაქაძე
საქართველოს ეროვნული არქივი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის არმიაში რამდენიმე ათეული ქართველი გენერალი, ათასობით ქართველი ოფიცერი და 200 000-მდე ქართველი ჯარისკაცი იბრძოდა. ეს ადამიანური რესურსი საკმარისზე დიდ ძალას წარმოადგენდა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმატებული და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. რეალურად კი, რესპუბლიკის არმიის საორგანიზაციო-საშტატო სისტემის მიხედვით, 1918-1919 წლებში, მშვიდობიან დროს არმიაში, შტატით 41 260 ადამიანი მსახურობდა. თუმცა არმია ვერ ივსებოდა და 1919 წელს, რეორგანიზაციის შემდეგ, მისი შემადგენლობა 16 950 კაცამდე შემცირდა,[1] 1920 წელს კი ოდნავ გაიზარდა და სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობამ 19 630 კაცს მიაღწია.[2] რეგულარული ჯარის პარალელურად არსებული სახალხო გვარდიის მუდმივი ნაწილების პირადი შემადგენლობა და სარეზერვო ბატალიონების სამობილიზაციო რესურსი 10 000-15 000 კაცს შორის მერყეობდა.[3] პირველი

1 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა) ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე 327, ფურც. 121.

2 სცსა, ფონდი 1969, ანაწ. 4, საქმე 17, ფურც. 8.

3 დ. სილაქაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურისა და

რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს, მთლიანობაში, აღრიცხული ჰყავდა 164 000 მამაკაცი, რომელთაგანაც, საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი იყო 151 180.[4] სინამდვილეში, რეგულარული არმია სხვადასხვა დროს მშვიდობიანობისას 9 000-15 000 ჯარისკაცისაგან შედგებოდა, ხოლო ომიანობის ან საომარი საფრთხის შემთხვევაში – 20 000-30 000 სამხედრო მოსამსახურისაგან.[5] რაც შეეხება სახალხო გვარდიას, ის ომის პერიოდში 10 000-15 000 კაცის მობილიზებას ახერხებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობის არასრული სამი წლის განმავლობაში ცდილობდა შეიარაღებული ძალების ფორმირებას: შეიქმნა სამხედრო კანონმდებლობა, დაიწყო ჯარის ორგანიზაცია, დიდი ყურადღება ექცეოდა სამხედრო განათლებას, მაგრამ რესპუბლიკამ არსებული სამხედრო კადრების უმეტესი ნაწილის გამოყენებაც კი ვერ მოახერხა. სტატიაში შევეცდები, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გავაანალიზო, თუ რამ განაპირობა ყოველივე ეს.

მორალურ-იდეოლოგიური ხასიათის პრობლემები

ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ 1917 წელს დაიწყო და მაშინვე გამოჩნდა, რომ ჯარის შექმნა ძალიან რთული იქნებოდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომისას, კავკასიაში მებრძოლი რუსი ჯა-

---

რიცხოვნობის საკითხისათვის, იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, თბილისი, 2011, გვ. 338-344.

4 Д. Силакадзе, К вопросу о численности вооруженных сил Грузии перед началом войны с Советской Россией в 1921 г., იხ. Кавказский Сборник, Том №8 (40), Москва 2014, с. 232-233.

5 Д. Силакадзе, К вопросу о численности вооруженных сил Грузии перед началом войны с Советской Россией в 1921 г., იხ. Кавказский Сборник, Том №8 (40), Москва 2014, с. 234-238; სცსა. ფონდი 1969, ანაწ. 2, საქმ. 126, ფურც. 739.

რისკაცები თვითნებურად ტოვებდნენ ფრონტს. ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ეს პროცესი უფრო დააჩქარა. ამიტომ განიზრახეს, კავკასიის ფრონტზე შეექმნათ ეროვნული შენაერთები, რომლებიც უკეთ დაიცავდნენ საკუთარ მიწას. ამ პროექტის ფარგლებში გადაწყდა ქართული საარმიო კორპუსის შექმნა, თუმცა ერთი იყო გადაწყვეტილება და მეორე – რეალობა, რომლის წინაშეც კავკასიის ერები ნაციონალური შენაერთების შექმნის პროცესში აღმოჩნდნენ. ქართულ კორპუსს უნდა გაეერთიანებინა ქართველი ჯარისკაცები, რომლებსაც რამდენიმეწლიანი ბრძოლის შემდეგ, სხვა თანამებრძოლთა მსგავსად, აღარც ომის გაგონება სურდათ, აღარც იარაღის ხელში აღება, აღარც სამხედრო დისციპლინის ხსენება და აღარც სანგრებსა თუ ყაზარმებში ცხოვრება. ამ ჯარისკაცების უდისციპლინობას საკუთარ მოგონებებში კარგად აღწერს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი: „არსებული სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ წინად იყვნენ გახრწნილი და, რომ დაინახეს ეროვნული ჯარების მოწყობა, უფრო გაიხრწნენ. ჯარის კაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ. ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასაძინებლად. ქალაქი გავსებული იყო მოხეტიალე ჯარის კაცებით. დადიოდნენ უფასოდ ტრამვაიზე, ამტვრევდნენ და აფუჭებდნენ რონოდებს, მუქარით აიძულებდნენ ვატმანებს მათ ნებაზე ეტარებიათ რონოდები და სხვა“.[6] სწორედ ამიტომ, რეალურად, ქართული კორპუსის დივიზია პოლკის მასშტაბის შენაერთი იყო, ხოლო პოლკი – ბატალიონის ზომისა. მაგალითად, 1918 წლის თებერვლისათვის მეოთხე პოლკი 650-მდე ჯარისკაცს ითვლიდა,[7] მერვე პოლკი კი – 500-600-მდე სამხედრო მოსამსახურეს.[8] დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი კვირის შემდეგ, არსებული მონაცემებით, ქართულ არმიად გარდაქმნილი ქართული საარმიო კორპუსი მხოლოდ 10 227 ჯარისკაცისაგან შედგებოდა, რაც ერთი

---

6 გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი 1917-1925, თბილისი, 1927, გვ. 4.

7 ტ. ლაბარტყავა, რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921 წწ., თბილისი, 1977, გვ. 100.

8 გაზ. *ერთობა*, 1918 წ., 24 თებერვალი.

სრული დივიზიაც კი არ იყო.[9] გარდა უდისციპლინობისა, სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებისა და დეზერტირობისა, ქართული კორპუსისთვის არცთუ უმნიშვნელო პრობლემას წარმოადგენდა ბოლშევიკური პროპაგანდა, განსაკუთრებით იმ დრომდე, ვიდრე დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა. ომითა და გაუსაძლისი პირობებით გატანჯულ ჯარისკაცებს ადვილად აბრიყვებდა ბელშევიკთა დანაპირები – პური და მშვიდობა და ხშირად ისინი თავადვე იქცეოდნენ საფრთხედ. 1918 წლის თებერვალში ბოლშევიკთა წაქეზებით სამ ქართულ პოლკში – ქუთაისში, გორსა და თელავში – შეიარაღებულმა ამბოხმა იფეთქა. თუმცა საქართველოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის, წითელმა გვარდიამ, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახალხო გვარდიად გარდაიქმნა, ამ სუსტი და უდისციპლინო პოლკების ამბოხება რამდენიმე დღეში ჩაახშო.[10]

საქართველოს არმიას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მემკვიდრეობით ერგო იგივე პრობლემები, რის გამოც, რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული იყო, დეზერტირობისა და ბოლშევიკური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა გამოეცხადებინა. რას აკეთებდა სახელმწიფო ამ პრობლემათა აღმოსაფხვრელად? უპირველესი საშუალება კონტრპროპაგანდა იყო, ყველაზე ქმედითი იარაღი კი – პრესა, გან-

---

9 სცსა, ფონდი 1969, ანაწ. 2, საქმ. 126, ფურც. 736.

10 ტ. ლაბარტყავა, რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921 წწ., თბილისი, 1977, გვ. 97-105; გაზ. *ერთობა*, 1918 წ., 8, 9, 14, 21, 22, 24 თებერვალი. საბჭოთა ისტორიკოსი ტ. ლაბარტყავა ამ გამოსვლებს ბოლშევიკური აჯანყების კონტექსტში განიხილავს, თუმცა იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკებისაგან წაქეზებული ჯარისკაცები უფრო მეტად ძარცვა-გლეჯაზე იყვნენ ორიენტირებულნი და ჯარისკაცთა ფართო მასების მოქმედებას რაიმე მკაფიო მიზანი არ გააჩნდა. გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თებერვლის დასაწყისში გორში ბოლშევიკები აქეზებდნენ ჯარისკაცებს, რათა როგორმე ხელი შეეშალათ 10 თებერვლისათვის დაგეგმილი ამიერკავკასიის სეიმის შეკრებისთვის. იხ. გაზ. *ერთობა*, 1918 წ., 7 მარტი.

საკუთრებით, ჯარისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული სამხედრო გაზეთები: „ჯარი და ერი“, „ჯარისკაცი“, „რესპუბლიკის ჯარი“, „მხედარი“ და „სახალხო გვარდიელი“. მათში გამოქვეყნებული სტატიებით პროპაგანდისტები ჯარისკაცებს უხსნიდნენ, თუ რით განსხვავდებოდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს არმიაში სამსახური მეფის რუსეთის არმიის სამსახურისაგან. მეფის არმიისათვის საზარბაზნე ხორცად ქცეულ ჯარისკაცს დედ-მამას აგინებდნენ, თავ-პირში ურტყამდნენ და აიძულებდნენ, „ტოჩნო ტაკ“ და „ნიკაკ ნეტ“ ეძახა, ახლა კი ის საკუთარ სამშობლოს სჭირდებოდა და მთავრობა მუდამ იმას ფიქრობდა, რომ მისი ცხოვრება უკეთესად მოწყობილიყო. თუკი ადრე საომრად ცხრა მთას იქით უშვებდნენ, ახლა ჯარისკაცს სხვათა დასაჩაგრად და დასარბევად აღარ გაგზავნიდნენ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნის დასაცავად გამოიყენებდნენ. ჯარისკაცებს უხსნიდნენ, რომ ქვეყნის ნათელი მომავალი სწორედ მათზე იყო დამოკიდებული. თუკი წინათ დახვრეტის შიშით მოქმედებდა, ახლა მეომარი მისივე შეგნებასა და ადამიანობას უნდა გაეძლიერებინა.[11] გაზეთებში ოფიცრებსაც განუმარტავდნენ, რომ ყაზარმა ჯარისკაცთათვის „საფრთხობელადანო ღირსეულ ადგილად ექციათ: „მოვლენ თუ არა, ახალი ჯარისკაცები ყაზარმაში, მაშინვე გაზ.შეხვდით და თბილის გულით მიიღეთ ისინი. ხამი ჯარისკაცებისათვის ყაზარმა რაღაც საფრთხობელაა, მათ სამხედრო სამსახურზე ანუ „სალდათობაზე“ როგორც თითონ ეძახიან და აგრეთვე ყაზარმაზე მეტად ცუდი წარმოდგენა აქვთ. თქვენი მოვალეობა არის, ეს წარმოდგენა პირველ დღესვე გაუქარწყლოთ მათ და დაარწმუნოთ ისინი, რომ ყაზარმა არ არის ციხე ანუ ისეთი სახლი, სადაც ჯარისკაცები საწვალებლად მოჰყავთ და „სალდათობა“ ანუ ჯარის კაცობა საპატიო წოდებაა, ეს სამშობლოსადმი სავალდებულო სამსახურია ყველა ახალგაზრდა ქართველისათვის“.[12] სახელმწიფომ მიზნად დაისა-

[11] ი. გომართელი, საუბარი ჯარისკაცთან, იხ. გაზ. *რესპუბლიკის ჯარი*, 1918 წ., 15, 22 დეკემბერი; 1919 წ., 15, 26 იანვარი.

[12] ა. აბესაძე, მოკლე რჩევა ახალი ჯარის-კაცების მასწავლებელ ოფიცრებს, იხ. გაზ. *რესპუბლიკის ჯარი*, 1918 წ., 1 დეკემბერი.

ხა, რომ განათლებული მოქალაქე-ჯარისკაცი ჰყოლოდა. 1918 წლის დეკემბერში სამხედრო სამინისტროში შეიქმნა დროებითი კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია,[13] რომელიც 1919 წლის ივლისში უკვე სამინისტროს სრულფასოვან სტრუქტურულ ერთეულად იქცა.[14] სხვადასხვა პერიოდში სექცია ზემოთ ჩამოთვლილ სამხედრო გაზეთთაგან გამოსცემდა ორს – „რესპუბლიკის ჯარსა“ და „მხედარს“. მისი საქმიანობა და ჯარისკაცთა კულტურულ განვითარებაზე ზრუნვა მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. სამხედრო ნაწილებში არსდებოდა სამკითხველოები, ტარდებოდა ლექციები, ჯარისკაცები დაჰყავდათ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე, თეატრებში, მუსიკალურ წარმოდგენებზე და მათ სინემატოგრაფსაც უჩვენებდნენ.[15] ამავე სექციის კერძო ინიციატივით, 1919 წელს თბილისში, ქუთაისსა და ფოთში დაარსდა ე.წ. „ჯარისკაცთა უნივერისტეტები“,[16] 1920 წლიდან კი სამხედრო სამინისტროს ეს პროექტი მეტად დაიხვეწა – აპრილის თვეში მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო შტატებისა და თანხის ოდენობა დამფუძნებელმა კრებამ კანონით განსაზღვრა.[17] საგანმანათლებლო პროექტი სამი საფეხურისგან შედგებოდა: საგუნდო სკოლის,[18] ათასეულის[19] სკოლისა და ჯარისკაცთა უნივერსიტეტისაგან. საგუნდო სკოლაში ჯარისკაცთათვის წერა-კითხვა და ანგარიში უნდა ესწავლებინათ, ათასეულის სკოლა ერთგვარი მოსამზადებელ ეტაპი იყო უნივერსიტეტისათვის, ჯარისკაცთა უნივერსიტეტში კი ლექტორები სამხედროებს პოპულარული, მარტივად აღსაქმელი ენით უკითხავდნენ ლექციებს თანამედროვე საშინაო და საგა-

---

13 სცსა, ფონდი 1969, ანაწ. 1, საქმე 152, ფურც. 2.

14 ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ, თბილისი, 1919 წლის 1 აგვისტო, №162, 11.

15 სცსა, ფონდი 1969, ანაწ. 1, საქმ. 152, ფურც. 6.

16 სცსა, ფონდი 1969, ანაწ. 2, საქმ. 239, ფურც. 285-286.

17 სცსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1072, ფურც. 5-18, 35, 37, 40.

18 საქართველოს რეგულარულ ჯარში გუნდი ასეულის ეკვივალენტი იყო.

19 საქართველოს რეგულარულ ჯარში ათასეული ბატალიონის ეკვივალენტი იყო.

რეო პოლიტიკური ვითარების, რესპუბლიკის კანონმდებლობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ქვეყნის ისტორიის, მსოფლიოსა და საქართველოს გეოგრაფიის, ქართული ლიტერატურის, სამხედრო საქმისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.[20]

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჯარისკაცთა წრეებში პროპაგანდის წარმოება, მოქალაქე-ჯარისკაცის იდეის დანერგვა, სამხედრო მოსამსახურეთა განათლება და მათი თვალსაწიერის გაფართოება. მართალია, ამის მეოხებით, შეიარაღებულ ძალებში ბოლშევიკთა გავლენა ძალზე შემცირდა, მაგრამ ეს პოლიტიკა ვერც ნახევრად მშიერ ჯარისკაცებს დააპურებდა, ვერც ყაზარმებს გაათბობდა და ვერც აღკაზმულობას გააუმჯობესებდა. სწორედ ამიტომ და, იმავდროულად, ხარვეზებიანი სამობილიზაციო სისტემის გამოც, ჯარისათვის თავის არიდებისა და დეზერტირობის მასობრივი შემთხვევები ხელს უშლიდა არმიის შევსებას. უნდა ითქვას ისიც, რომ ორი ტიპის ჯარის არსებობა და მათი სუსტი კოორდინაცია ერთგვარ დეზორგანიზებასა და, გარკვეულწილად, ურთიერთანტაგონიზმსაც განაპირობებდა, თუმცაღა 1918-1919 წლებში მაინც მათი არსებობა ობიექტური აუცილებლობით იყო განპირობებული.[21]

---

20 სცსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1072, ფურც. 19-24; ნ. სონღულაშვილი, ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX ს-ის პირველ ოცწლეულში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2012, გვ. 79-83 (ხელნაწერის უფლებით).

21 დ. სილაქაძე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დისკუსია სახალხო გვარდიის შექმნის თაობაზე 1918 წლის ზაფხულში, საისტორიო ძიებანი, ტ. 12, თბილისი, 2015, გვ. 205-214. გვარდიის არსებობის აუცილებლობას ამართლებდნენ მისი სანდოობითა და სწრაფი მობილიზაციის უნარით, განსაკუთრებით, რეგულარული ჯარის შექმნის პირველ ეტაპზე, როდესაც არმია არ გამოირჩეოდა სათანადო საბრძოლო ჟინით, ზნეობით, სულისკვეთებითა და საიმედოობით.

მატერიალური მდგომარეობა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მემკვიდრეობით ერგო სუსტად განვითარებული და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. დაირღვა ომამდე და რევოლუციამდე არსებული ეკონომიკური კავშირები როგორც რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებთან, ისე მის გარეთ. გასაღების ბაზრების დაკარგვამ შეამცირა ბუნებრივი წიაღისეულისა (მაგალითად, მანგანუმისა და ქვანახშირის) მოპოვება და ექსპორტი. ყოველივე ამას თან ერთვოდა რუსეთის სამოქალაქო ომისა და მსოფლიო ომის თანამდევი პოლიტიკური მოვლენებისა და შემაფერხებელი ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს ეკონომიკაზე. ვერ ივსებოდა ხაზინა, მსგავსად მეზობელი სახელმწიფოებისა, მაღალი იყო ინფლაციის დონე. ბოლშევიკების მიერ ბაქოს დაკავების შემდეგ, საქართველოს თითქმის აღარ მიეწოდებოდა ნავთობი. ჯერ თეთრების, ხოლო შემდეგ ბოლშევიკების მიზეზით, აღარ შემოდიოდა ხორბალი ყუბანისპირეთიდან, საქართველოს კი საკუთარი პური არ ჰყოფნიდა. ქართულ ეკონომიკას მძიმედ ტვირთად დააწვა ყოფილი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა სალიკვიდაციო ხარჯები. მიუხედავად არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმისა, თითქმის მუდმივი სამხედრო მდგომარეობა და განუწყვეტელი მობილიზაცია-დემობილიზაციის პროცესი ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

ჯარისკაცები, მართალია, არ შიმშილობდნენ, მაგრამ მათი მდგომარეობა არაერთგვაროვანი და, მთლიანობაში, არადამაკმაყოფილებელი იყო. ზოგიერთი სამხედრო შენაერთის ძირითადი რაციონი უხარისხო პურის, მჭადის, ლობიოსა და ჩაისაგან შედგებოდა, ხორცს კი იშვიათად მიირთმევდნენ. ზოგიერთი ნაწილისთვის, სადაც უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ, ხორცეული ყოველ-

დღიური ფუფუნების საგანს წარმოადგენდა.[22] სურსათ-სანოვაგის კრიზისი შესამჩნევი იყო. ამიტომ, 1920 წლის 5 აპრილს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სამხედრო საბჭომ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ჯარის ერთეულთა უფროსებს ნება დართო, გაეშენებინათ დროებითი ბოსტნები, სადაც დაქირავებულებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, არასამწყობრო სამხედრო მოსამსახურეებს ამუშავებდნენ.[23] ჯარისკაცთა საცხოვრებელ პირობებს მოუწყობელი და სარემონტო ყაზარმები მეტად ამძიმებდა. კეთილმოუწყობელ ყაზარმათა დიდ ნაწილს ხშირად კარ-ფანჯარაც არ ჰქონდა, ზოგჯერ არც საკმარისი რაოდენობის საწოლები იყო და ჯარისკაცებს თივაზე ეძინათ. აკლდათ საჭირო ავეჯი, ზამთარში კი ჭირდა გათბობა, რაც, მთლიანობაში, ჯარისკაცთა ავადმყოფობისა და დეზერტირობის მიზეზი ხდებოდა.[24] საკმაოდ მძიმე იყო ოფიცერთა მატერალური მდგომარეობაც.[25]

საინტერესოა, თუ როგორ ფინანსდებოდა არმია ბიუჯეტიდან. 1918-1919 წლების ბიუჯეტის გასავალმა 663 507 169 მანეთი შეადგინა. ამ თანხიდან სამხედრო სამინისტროს 201 021 373 მანეთი ანუ სრული თანხის 30.29% გადაეცა.[26] 1919-1920 საბიუჯეტო წლის (1 ივნისიდან 1 ივნისამდე) განმავლობაში საქართველოს სა-

---

22 სცსა, ფონდი 1833. ანაწ, 1. საქმ. 363, ფურც.108; ფ. 1833, ანაწ. 1, საქმ. 1075, ფურც. 1; საქმ. 1076, ფურც. 4-5; საქმ. 1082, ფურც. 69; საქმ. 1083, ფურც. 19, 59; საქმ. 1085, ფურც. 1; ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბილისი, 1977, გვ. 101; ი. მამაცაშვილი, მოგონებები (1921 წლის თებერვალი-ივლისი), თბ. 2014, 11.

23 სცსა, ფონდი 2037, ანაწ. 1, საქმ. 71, ფურც 2.

24 სცსა, ფონდი 1833, ანაწ. 1 საქმ. 1083. ფურც. 59-61; Д. Силакадзе, Материальное положение Грузинской армии перед войной с большевистской Россией 1921 г., იხ. Nowy Prometeusz, Vol. 7, Warshava 2015, p. 172-173.

25 Д. Силакадзе, Материальное положение Грузинской армии перед войной с большевистской Россией 1921 г., იხ. Nowy Prometeusz, Vol. 7, Warshava 2015, p. 173.

26 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო და მისი ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი 1960, გვ. 170-171.

ხელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი 1 960 490 798 მანეთს შეადგენდა. ამ თანხიდან სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა 538 791 632 მანეთი, აქედან რეგულარულ არმიას – 379 176 786 მანეთი და გვარდიას – 159 614 846 მანეთი.[27] რეალურად ბიუჯეტის გასავალმა, ინფლაციის, მუდმივი საომარი მდგომარეობის, სახელმწიფო უწყებებში ახალი შტატების შექმნის გამო, დაგეგმილს დიდად გადააჭარბა და 3 252 813 000 მანეთი შეადგინა. ამ თანხიდან სამხედრო სამინისტროს 1 196 511 000 მანეთი ანუ სრული თანხის 36,56% მოხმარდა.[28] 1920-1921 წლების ბიუჯეტის გასავალი 8 552 414 700 მანეთით დაიგეგმა. აქედან სამხედრო უწყების კუთვნილი თანხა შეადგენდა 1 862 279 000 მანეთს (რეგულარული ჯარისა –1 443 880400 მანეთს, სახალხო გვარდიისა – 419 089 000 მანეთს) ანუ ბიუჯეტის 21.7%-ს. შეიქმნა მომარაგების სამინისტრო, რომელსაც გადაეცა მთელი ბიუჯეტის 30.1% ანუ 2 579 414 700 მანეთი. მიუხედავად იმისა, რომ მომარაგების სამინისტრო ამ თანხის თითქმის მესამედს ისევ თავდაცვის საქმეს ახმარდა, სამხედრო სამინისტროს დაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა.[29] ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობა, გამუდმებული მობილიზაცია და დემობილიზაცია, ისევე, როგორც მზარდი ინფლაცია, მთავრობას აიძულებდა, თავდაცვისათვის კიდევ უფრო მეტი თანხა გამოეყო. 1920-1921 წლებში დაფინანსება განსაკუთრებით გაიზარდა. მაგალითად, 1920 წლის 15 ივნისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი თავდაცვის ფონდისათვის დამატებით

---

27 სცსა, ფონდი 1891, ანაწ. 1, საქმ. 491, ფურც. 9, 12-13.

28 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო და მისი ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი 1960, გვ. 174,180. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1919-1920 წლების რეალურმა საბიუჯეტო შემოსავალმა 771 059 121 მანეთი შეადგინა, ანუ სახელმწიფომ სამხედრო სამინისტროს დაფინანსებას 1919-1920 წლების საბიუჯეტო შემოსავალზე თითქმის ორჯერ მეტი დაახარჯა. იხ. კ. კანდელაკი, გვ. 178.

29 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო და მისი ეკონომიკური მდგომარეობა, პარიზი 1960, გვ. 177-180.

400 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ. ამავე წლის აგვისტოში დამფუძნებელმა კრებამ თავდაცვის ფონდს კვლავ 400 მილიონი მანეთი გამოუყო. 1920 წლის 12 ნოემბერს, დამფუძნებელი კრების დეკრეტით, თავდაცვის ფონდისათვის 2 მილიარდი მანეთი გამოიყო, 1921 წლის დასაწყისში კი თავდაცვის ფონდს კიდევ სამი მილიარდი მანეთი გადაეცა.[30] გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, სახელმწიფოში არსებობდა ფრონტის დამხმარე კომიტეტი, სადაც ჯარისათვის შემოწირულობა გროვდებოდა. შემომწირველთა შორის იყვნენ ამხანაგობები, პოლიტიკოსები, გენერლები, უბრალო მოქალაქეები. ფონდისათვის ფული იკრიბებოდა დღესასწაულებზე, ამა თუ იმ საღამოებზე, ქორწილებში, ნათლობებზე და ა.შ.[31] სტატისტიკური მონაცემებით ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში სამხედრო უწყებას ხმარდებოდა ბიუჯეტის გასავლის დაახლოებით მესამედი, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. იმავდროულად, ეს მონაცემი ზუსტად ასახავს ზოგადად ქვეყნის ურთულეს ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგანაც შეიარაღებულ ძალების ნორმალურ ფუნქციონირებას ქვეყნის ბიუჯეტის თითქმის მესამედიც კი ვერ უზრუნველყოფდა. მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას მეტად ართულებდა შეიარაღებისა და საბრძოლო მასალათა დეფიციტი.

იარაღის ნაკლებობა

დამოუკიდებლობის პერიოდში შეიარაღებულ ძალებს შაშხანების, საარტილერიო დანადგარების, ტყვიამფრქვევების, ვაზნებისა და საარტილერიო ჭურვების საგრძნობი დეფიციტი ჰქონდა. პირველი მსოფლიო ომისას კავკასიის ფრონტზე 1917 წელს დაგეგმილი რუსეთის არმიის ოპერაციისათვის თბილისის და ქუთაისის

30 საქართველოს დამფუძნებელი კრება, სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის 15 ივნისის სხდომა, გვ. 17-18; 1920 წლის 4 აგვისტოს სხდომა, გვ. 3-4; 1920 წლის 12 ნოემბრის სხდომა, გვ. 21-22; სცსა, ფონდი 1938, ანაწ. 1, საქმ. 840, ფურც. 1-2.

31 Д. Силакадзе, Материальное положение Грузинской армии перед войной с большевистской Россией 1921 г., იხ. Nowy Prometeusz, Vol. 7, Warshava 2015, p. 175-176.

სამხედრო საწყობთა თითქმის მთელი მარაგი ფრონტის სიახლოვეს გაიზიდა. 1918 წელს დაწყებული ოსმალური არმიის სწრაფი და წარმატებული შეტევის შემდეგ, ტრაპიზონში, ერზერუმში, ყარსსა და სხვა ადგილებში განთავსებული იარაღის უზარმაზარი მარაგები ხელთ ჩაუვარდათ თურქებს. გარდა ამისა, რუსეთის რევოლუციათა შემდეგ არსებული ანარქია ხელს უწყობდა იარაღის გაბნევას. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე არა მხოლოდ ქართული, არამედ სომხური, რუსული, ბერძნული და სხვა ეროვნული შენაერთებიც კავკასიის რუსული არმიის საწყობებიდან მარაგდებოდა. ამიტომ 1918 წლის 26 მაისისათვის ქართულ არმიას, შეიარაღების თვალსაზრისით, არცთუ სახარბიელო მემკვიდრეობა დარჩა. იარაღისა და საბრძოლო მასალის ნაკლებობა 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის დროს უკვე იგრძნობოდა. 1918 წლის 20 დეკემბერს მთავრობის სხდომაზე პარლამენტის სამხედრო კომისიამ აღნიშნა, რომ, სამხედრო მასალის სიმცირის გამო, საჭირო იყო ზომების მიღება.[32] საბრძოლო მასალის რაოდენობა, გამუდმებული საბრძოლო მოქმედებების მიზეზით, დროთა განმავლობაში კატასტროფულად მცირდებოდა. 1920 წლის თებერვლის დასაწყისისათვის პოლკოვნიკ ი. გედევანიშვილის მიერ პარიზში ქართული მისიისათვის გაკეთებული მოხსენებიდან ირკვევა, რომ მარაგში სულ რაღაც 2,5 მილიონი ვაზნა რჩებოდა, არადა, მისივე ცნობით, საჭირო იყო 100 მილიონი ვაზნა.[33] გენშტაბის უფროსის, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის, მოგონებათა მიხედვით კი, 1920 წლის მაისისათვის, ვაზნების რიცხვმა საერთოდაც 1,8 მილიონამდე იკლო.[34] ამის გამო, თბილისის არსენალში ვაზნებს კუსტარულად, ხელით ტენიდნენ. თუმცა საწყობებში ცარიელ ვაზნათა რაოდენობაც არ კმაროდა. ეს კარგად ჩანს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის მიერ 1920 წლის 23 ივნისის სხდომაზე გაცემული ტრაგიკომიკური რე-

---

32 სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმ. 4, ფურც.14.

33 სცსა, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 129, ფურც. 189.

34 ა. ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, იხ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია (რედაქტორ-შემდგენელი გ. შარაძე), ტ. IV, თბილისი, 2003, გვ. 260.

კომენდაციიდანაც: კომისიის აზრით, ბრძოლის ველზე გასროლილი ვაზნები უნდა მოეგროვებინათ და შეენახათ, ხოლო მომგროვებელთათვის, პროცესის პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად, პრემიები უნდა დაეწესებინათ. გენერალ ზაქარიაძისავე ცნობით, ნელ-ნელა გაზრდილა ვაზნათა აწყობის დღიური ნორმა და 1920 წლის შემდეგ დღეში 30 000-მდე ვაზნა იწყობოდა. თუმცა, როგორც სამხედრო კომისიის პლენუმის 1921 წლის 13 იანვრის სხდომის მასალებიდან ჩანს, ვაზნების ქარხანაში მუშაობა ნაყოფიერი არ იყო. ქართული არმიის მოთხოვნებს ვერც გასროლისას შაშხანებში გაჭედილი ვაზნების ხარისხი აკმაყოფილებდა და ვერც მათი რაოდენობა.[35]

კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი, ოლივერ უორდროპი, რომელმაც ამის შესახებ სანდო მაღალჩინოსნისგან შეიტყო, 1920 წლის 7 იანვარს თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერდა, რომ ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ ქართველებს 60 000-იანი არმიისათვის, რომლის რაოდენობაც 100 000 კაცამდე შეიძლებოდა გაზრდილიყო, ესაჭიროებოდათ შემდეგი ტიპის სამხედრო აღჭურვილობა: 25 000 რუსული წარმოების შაშხანა, 50 მილიონი ვაზნა (მინიმუმ 12 მილიონი), 200 (მინიმუმ 60) ტყვიამფრქვევი, 44 საარტილერიო დანადგარი, სამთო არტილერიის თითო დანადგარზე – 2000, დანარჩენზე კი 1000 (მთლიანობაში 56 000) ჭურვი.[36] როგორც ჩანს, ქართველმა მოხელემ ოლივერ უორდროპს იმ უმთავრესი შეიარაღების ნუსხა გააცნო, რომელიც ქართული ჯარისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, თორემ ქართული არმიისათვის ამგვარი შეიარაღებაც არ კმაროდა. ეს კარგად ჩანს ქართული გენშტაბის მიერ 1920 წლის დეკემბერში

---

35 სცსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1081, ფურც. 10; სცსა, ფონდი 1861, ანაწ. 3, საქმ. 40, ფურც. 69; სცსა, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმ. 1074, ფურც. 4. ა. ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, იხ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია (რედაქტორ-შემდგენელი გ. შარაძე), ტ. IV, თბილისი, 2003, გვ. 260;

36 F.O. 371/3666/1015/169118/58 – 1920 წლის 7 იანვარი, უორდროპის კონფიდენციალური ტელეგრამა საქართველოსათვის მისაწოდებელ აუცილებელ საომარ აღჭურვილობაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს 27 ნოემბრის შეკითხვის პასუხად.

შედგენილი ჩამონათვალიდან, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი, თუ რა სჭირდებოდა ქართულ შეიარაღებულ ძალებს ჯარის პირველი ნაწილის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და 75 000 მეომრის სამობილიზაციოდ. ქართულ არმიას სჭირდებოდა: 60-75 000 შაშხანა, 470 ტყვიამფრქვევი, 100-150 მილიონი შაშხანის ვაზნა, 25 მილიონი ტყვიამფრქვევის ვაზნა, 126 სხვადასხვა დანიშნულებისა და კალიბრის ქვემეხი 342 500 ჭურვით.[37] გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მიღწევისა, 1918-1921 წლებში ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს დასავლეთში საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის იარაღის მოპოვება წარმოადგენდა. თუმცა 1920-1921 წლებში მხოლოდ რამდენიმე მცირე პარტიის შემოტანა მოხერხდა, რაც ზღვაში წვეთი იყო. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც სამობილიზაციო რესურსის ათვისება სანახევროდაც ვერ ხერხდებოდა. გარდა ამისა, არსებული იარაღითა და საბრძოლო მასალებით შეუძლებელი იყო ხანგრძლივი ომის წარმოება. რესპუბლიკის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ იარაღი დასავლეთიდან მიეღო ან შეეძინა. თუმცა ამ წამოწყების წარმატებას, უპირველეს ყოვლისა, I მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოლიტიკა განსაზღვრავდა და არა მათი მცდელობა, გამარჯვებულთა პოლიტიკას კი ბევრი რამ განაპირობებდა: რუსეთის სამოქალაქო ომი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სწრაფად ცვალებადი პროცესები, გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკური კონიუნქტურა, მთავრობათა ცვლილებები თუ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები.

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ფაქტორი ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული და ქვეყნის შეიარაღებული ძალების სრულფასოვან ფუნქციონირებას ამ ჯაჭვის რომელიმე ერთი რგოლის სისუსტეც კი მნიშვნელოვნად შეაფერხებდა, არათუ სამივეს პრობლემა. თუმცა, სახელმწიფოს მმართველი პოლიტიკური გუნდიც და სამხედროებიც ცდილობდნენ პრობლემათა დაძლევას, რაც აშკარად ჩანს საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

---

[37] სცსა, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 534, ფურც. 2, 5.

გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის ერთი ცნობის შესახებ

მიხეილ ბახტაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთმა პირველად სცადა საქართველოს დაპყრობა და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება და რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვა.

1920 გაზაფხულზე საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს სერიოზული საფრთხე დაემუქრათ. ამჯერად ეს საფრთხე მოდიოდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან, რომელმაც გენერალ დენიკინის დამარცხების შემდეგ უკვე მთლიანად დაიკავა ჩრდილოეთ კავკასია. საქართველოს ხელისუფლება კარგად ხვდებოდა თუ რაოდენ მძიმე მდგომარეობა შეიქმნებოდა, თუკი საბჭოთა რუსეთი აზერბაიჯანს დაიკავებდა. ამიტომ ქართული მხარე მზად იყო, დახმარებოდა თავის მოკავშირეს. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად 20 აპრილს ბაქოში გაიგზავნა ქართველ სამხედროთა დელეგაცია, რომელსაც გენერალი გიორგი კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. დელეგაციაში ასევე შედიოდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების არტილერიის მეთაური გენერალი კირილე ქუთათელაძე და საქართველოს საინჟინრო ძალების უფროსი გენერალი გიორგი თაყაიშვილი. ეს უკანასკნელი პირადად მონაწილეობდა თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაში აზერბაიჯანისა და საბჭოთა რუსეთის სასაზღვრო მდინარე სამურზე და ბა-

ქოს მიმართულებაზე. ქართული დელეგაციის სამშობლოში გამომგზავრება, ფაქტობრივად, საბჭოთა რუსეთის XI არმიის შეტევის დაწყებას დაემთხვა. 27 აპრილს დილით, 00 საათსა და 5 წუთზე, წითელი არმიის ოთხი ჯავშანმატარებელი („III ინტერნაციონალი“, „წითელი დაღესტნელი“, „ტიმოფეი ულიანცევი“, „წითელი ასტრახანი“) ბაქოს მიმართულებით დაიძრა. პოლკოვნიკ თუმანიშვილის მცირერიცხოვანმა რაზმმა, რომელიც მდინარე სამურზე არსებულ თავდაცვით ზოლს იცავდა, მოწინააღმდეგე ვერ შეაჩერა. 28 აპრილს გამთენიისას, 4 საათზე, საბჭოთა ჯავშანმატარებლები უკვე ბაქოში იყვნენ.[1]

აპრილის ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენათა შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოს გენერალური შტაბის მაშინდელი უფროსის გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის მოგონებებში. სანამ ჩვენთვის საინტერესო ამ ინფორმაციას გავაანალიზებთ, მოკლედ გავიხსენოთ ალექსანდრე ზაქარიაძის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები.

ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიაძე დაიბადა 1884 წლის 4 თებერვალს. სწავლობდა ჯერ ქუთაისის მე-6, ხოლო მოგვიანებით – ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1904 წელს, იგი პოდპორუჩიკის წოდებით გაიგზავნა 79-ე პოლკში. შემდეგ მსახურობდა სამარის 147-ე და ტფილისის მე-15 გრენადერთა პოლკებში. იყო რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1907 წელს პორუჩიკის წოდება მიიღო, 1911 წელს – შტაბსკაპიტნობა. 1912 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია პირველი თანრიგით. 1913 წელს უკვე კაპიტანი გახდა. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1915 წელს პოდპოლკოვნიკია, კავკასიის კაზაკთა მე-3 დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი, შემდეგ 27-ე საარმიო კორპუსის შტაბის დავალებათა ოფიცერი. 1917 წლის თებერვლიდან ასრულებდა ლიტველთა მე-2 მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსის მოვალეობას. დაჯილდოებული იყო წმ. ანას მე-4 ხარისხის, წმ. ანას მე-3 ხარისხის, წმ.

[1] Азербайджанская Демократическая Республика (1918-1920), Баку, 1998, с. 122-123.

სტანისლავის მე-3 ხარისხის, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმ ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენებით. ასევე დაჯილდოებული იყო იარაღით. 1917 წლის ნოემბერში საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იყო ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის უფროსი, 1918 წლის დასაწყისში კი – ქართული კორპუსის შტაბის უფროსი. შემდეგ მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. 1919 წელს გენერლობა მიენიჭა და იმავე წელს გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა. ალექსანდრე ზაქარიაძე ამ თანამდებობაზე იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე. 1921 წელს ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, იგი მცირე ხანს იმყოფებოდა სტამბოლში, საიდანაც პოლონეთში გადავიდა. დაამთავრა პოლონეთის უმაღლესი სამხედრო სკოლა. 1923 წლიდან პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერალია. 1927 წელს მიენიჭა დივიზიის გენერლობა. 1939 წელს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთში. იყო პარიზის ქართული სათვისტომოს წევრი. გარდაიცვლა 1957 წლის 12 მაისს.[2]

აი, რას წერს გენერალი ზაქარიაძე აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში განვითარებული მოვლენების შესახებ: „1920 წლის მარტში უკვე აშკარა გახდა, რომ აზერბაიჯანში იმარჯვებს ბოლშევიკურ-რუსული და თურქოფილური მიმართულება... ამიტომ 15 მარტს 1920 წელს ამოქმედდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო. ვინაიდან ამ დროს ღენ. ოდიშელიძე, სამხედრო მინისტრის თანაშემწე, ინსპექტორი ჩვენი შეიარაღებული ძალების, გათვალისწინებული ომის დროს მთავარსარდლის თანამდებობა-

[2] ა. ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტისკის ისტორია, ტ. 4, თბ., 2003; მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი, სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; რ. დაუშვილი, შ. უტიაშვილი, ქართველი სამხედროები ევროპისა და ამერიკის არმიებში. კრებულში – საქართველო-დასავლეთი: ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 2012; ლ. ურუშაძე ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; М. Гогитидзе, Военная элита Кавказа, т.1, 2007; Русская армия в Великой войне, იხ. http://www.grwar.ru/

ზე, იმყოფებოდა საზღვარგარეთ, მთავარსარდლად დაინიშნა ღენ. გიორგი კვინიტაძე. გამოცხადდა ნაწილობრივი მობილიზაცია. ჩვენი მოთხოვნილებით 26 აპრილისთვის დაინიშნა ბაქოში სხდომა ჩვენი და აზერბაიჯანის შეერთებული სამხედრო საბჭოსი. ამიტომ ბაქოში გაემგზავრნენ ღენერლები: გიორგი კვინიტაძე, კირილე ქუთათელაძე და ვარლამ თაყაიშვილი (ექვთიმეს[3] ძმა). 26 აპრილს ეს საბჭო ბაქოში შეუდგა ნორმალურ მუშაობას.

26 აპრილს საღამოს მოგვდის აზერბაიჯან-საქართველოს შეერთებული სამხედრო საბჭოს ტელეგრამა, რომ დაუყოვნებლივ მივაწოდოთ ბაქოს სამხედრო ერთეულები, გათვალისწინებული საერთო თავდაცვის გეგმაში: სამი ცალკე ქვეითთა ათასეული, არტილერიის ერთი დივიზიონი (თვრამეტი ზარბაზანი) და სათანადო ტეხნიკური ნაწილები. ამ რაზმის მეთაურად დაინიშნა ღენ. სუმბათაშვილი. 28 აპრილს საღამოს ეს რაზმი უკვე მატარებლებში ისხდა, გასამგზავრებლად მზად.

საღამოს ცხრა საათზე ღენ. სუმბათაშვილი ჩემ კაბინეტში იჯდა და ღებულობდა ჩემგან უკანასკნელ ინფორმაციებს და ინსტრუქციებს. ამ დროს მიმიწვიეს ტელეგრაფში პირდაპირ მავთულზე. მელაპარაკა ბაქოდან ერთი ქართველი ოფიცერი, რომელიც მსახურობდა აზერბაიჯანის მთავარ შტაბში, მეუბნება: „იყავით ფრთხილად, მეშინია, რომ ქართული სამხედრო ერთეულები არ ჩავარდნენ სახიფათო მდგომარეობაში. აქ საკითხი გათავებულია, ეს-ეს არის პარლამენტმა დაადგინა, გადასცეს ძალაუფლება ბოლშევიკებს და რუსული ბოლშევიკური ნაწილები დაუყოვნებლივ შემოუშვას ბაქოში და მთელ აზერბაიჯანში. ბოლშევიკური ეშელონები რკინიგზაზე უკვე მზად არიან და რამდენიმე საათის განმავლობაში აქ იქნებიან. ბატონი უსუბეკოვის მუსავატური მთავრობა გადადგა და სადღაც მიიმალა. არც ღენერალი მეხმანდაროვი ჩანს“. მე ვთხოვე მას, დაუყოვნებლივ გაეფრთხილებინა ღენ. კვინიტაძე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბოლშევიკურ ნაწილებს ჰყოფდა დაახლოებით ასი ვერსი, ტფილისიდან ბაქომდე კი შვიდასი ვერსია.

[3] იგ. ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი.

მოვახსენე რა ყველაფერი ეს მთავრობის თავმჯდომარეს, მან დაუყოვნებლივ მოიწვია თავდაცვის საბჭოს კრება. საბჭომ დაადგინა, მიეყვანა ჩვენი რაზმი აზერბაიჯანის საზღვრამდე და იქ მისი შეჩერება ჩვენ ტერიტორიაზე ფოილოს ხიდის მიდამოებში, სანამ მდგომარეობა არ გამოირკვეოდა. ასეთი ინსტრუქცია მიიღო ჩემგან ღენ. სუმბათაშვილმა.

ბატონმა ღენ. კვინიტაძე, გაიგო რა საქმის ვითარება, დაუყოვნებლივ ჩაჯდა თავის მატარებელში და გამოეშურა ტფილისისკენ. ამავე დროს სადგურ ბალაჯარს ჩრდილოეთიდან უახლოვდებოდნენ რუსულ-ბოლშევიკური ჯავშნოსანი მატარებლები. ღენერლის მატარებელმა თხუთმეტი წუთით გამოასწრო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაუვარდებოდა ხელში რუს-ბოლშევიკებს. დაიკავეს რა ბაქო, ბოლშევიკების ჯარები დაუყოვნებლივ გამოეშურნენ მატარებლით ჩვენი საზღვრებისაკენ. პირველი შეტაკებები მოხდა მტკვრის ნაპირებზე ფოილოს ხიდის მიდამოებში 30 აპრილს. რუს-ბოლშევიკური სამხედრო ერთეულების იერიში უკუგდებულ იქნა. ამავე დროს ხდებოდა ბოლშევიკურ-რუსული ჯარების და აზერბაიჯანის ზოგიერთი სამხედრო ნაწილების კონცენტრაცია წითელი ხიდის მიმართულებით. გამოირკვა, რომ აზერბაიჯანში შემოიჭრა საბჭოთა მეთერთმეტე არმია გენ. ლევანდოვსკის მეთაურობით".[4]

ალექსანდრე ზაქარიაძის ინფორმაცია, პირველ რიგში, საინტერესოა იმ მხრივ, რომ ჩვენ მიერ ნანახ წყაროთა შორის გენერალური შტაბის უფროსის მოგონებები ერთადერთია, სადაც პირდაპირ არის ლაპარაკი აზერბაიჯანის დასახმარებლად შექმნილი სამხედრო დაჯგუფების შესახებ. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივის (სსცსა) სათანადო ფონდებში მეტად მწირი მასალა მოიპოვება 1920 წლის მაისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობისას რუსეთ-საქართველოს

[4] ა. ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.4, თბილისი, 2003, გვ. 256-258.

1920 წლის ომის ამსახველი მასალები მიზანმიმართულად განადგურდა. ამიტომ საარქივო დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ ან უარყოფდნენ გენერალ ზაქარიაძის ინფორმაციას, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი, მაგალითად, გ. ბოგვერაძე, სავსებით ენდობა ზაქარიაძის ინფორმაციას. მკვლევარი ამავე დროს ვარაუდობს, რომ ოფიცერი რომელმაც ბაქოდან დაურეკა ზაქარიაძეს, აზერბაიჯანის არმიის გენერალი ვასილ კარგარეთელი უნდა ყოფილიყო.[5]

არის კიდევ ორი არაპირდაპირი ცნობა, რომლებიც საქართველოდან აზერბაიჯანში ჯარის შესაძლო გაგზავნას ეხება. გ. ბოგვერაძე წერს: „აზერბაიჯანში ქართული ჯარის ნაწილების გადასროლის საკითხი ამ დროისთვის უკვე ისე იყო მომწიფებული, რომ ჰ. ს. ლუკიმ 28 აპრილს თავის მთავრობას აცნობა – „საქართველომ გაგზავნა ჯარი ბაქოში“.[6] ა. მიქოიანი კი თავის მოგონებებში აღნიშნავს: „შევიტყვეთ, რომ საქართველოს მთავრობამ ბრძანება გასცა, გამოეყოთ ჯავშნოსანი მატარებელი და აგრეთვე სხვა ძალებიც. ამის გამო, ეფრემოვმა გადაწყვიტა, ერთი ჯავშნოსანი მატარებელი ელიზავეტოპოლის მიმართულებით 150-200 კილომეტრზე გაეგზავნა. თუ გზაზე საქართველოს ჯავშნოსანი მატარებელი გამოჩნდებოდა, შეტაკებას უნდა მორიდებოდა და ხიდი აეფეთქებინათ, რომ ჯავშნოსანი მატარებლის წინსვლა ორი დღით შეეჩერებინათ, ვიდრე ჩვენი მთავარი ძალები მოვიდოდნენ“.[7] ორივე ცნობაში საუბარია საქართველოდან ჯარის გაგზავნაზე, თუმცა ცნობილია, რომ არავითარი ჯარი არ გაუგზავნიათ. ჩვენი აზრით, ორივე ცნობა ემყარება იმ დროს საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ საქართველო აგზავნიდა ჯარს მოკავშირის დასახმარებლად, ამ აზრის წარმოქმნა კი ალბათ განაპირობა რეალურად

---

5 გ. ბოგვერაძე, საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან 1918-1920 წლებში, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2002, გვ. 112, 119 (ხელნაწერის უფლებით).

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 118.

მიღებულმა გადაწყვეტილებამ ჯარის გაგზავნის შესახებ, თუმცა, როგორც ჩანს, ამის იქით საქმე არ წასულა.

ალექსანდრე ზაქარიაძის ცნობიდან ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ამონარიდში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხია გასარკვევი.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გენერალური შტაბის უფროსს რამდენიმე უზუსტობა მოსდის. დელეგაციის წევრი იყო არა ვარლამ თაყაიშვილი, ძმა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილისა, არამედ საქართველოს საინჟინრო ნაწილების მეთაური გენერალი გიორგი კონსტანტინეს ძე თაყაიშვილი.

საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო საბჭომ მუშაობა 26 აპრილს კი არ დაიწყო, არამედ რამდენიმე დღით ადრე და 26 აპრილს მუშაობა, ფაქტობრივად, უკვე დამთავრებული იყო. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით გენერალი კვინიტაძე, რომელიც ბაქოდან თბილისში 26-დან 27 აპრილის ღამეს გამოემგზავრა: „მას შემდეგ, რაც ჩვენთვის საინტერესო საკითხები მოვაგვარეთ, თბილისში დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ იძულებული გავხდი, დავრჩენილიყავი, რაც ჩემთვის კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. გენერალმა მეხმანდაროვმა ერთი დღით დარჩენა მთხოვა და პურმარილზე მიმიპატიჟა. დავრჩი და გულთბილი მასპინძლები იმავე რესტორანში მეორე დღისთვის ახლა მე დავპატიჟე. ამრიგად, ბაქოში ორი დღით შევყოვნდი. არ დავიწყებ იმ სუფრებისა და სადღეგრძელოების აღწერას. ჩვენი საპასუხო სადილი გვიანობამდე გაგრძელდა და ვაგონში ღამის ორ-სამ საათზე დავბრუნდი. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი მატარებელი გზას გაუდგა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმ ღამეს ბოლშევიკებმა აზერბაიჯანის საზღვრები გადმოლახეს და ღამის პირველ საათზე სადგური ხაჩმასი აიღეს“.[8] გამოდის, რომ საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო საბჭომ მუშაობა რეალურად 24 აპრილს დაასრულა. მეორე დღეს, 25 აპრილს, გენერალმა მეხმანდაროვმა გამართა საზეიმო მიღება. 26 აპრილს საპასუხო მიღება უკვე გენერალმა კვინიტაძემ გამართა. გენერალი ზაქარიაძე კი წერს, რომ 26 აპრილს საღამოს მიუვიდათ სამხედრო

[8] გ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები, ნაწ. 1, თბ. 2014, გვ. 147.

საბჭოს დეპეშა. გიორგი კვინიტაძეს თუ ვენდობით, ამ დროს სამხედრო საბჭოს წევრები რესტორანში ისხდნენ.

არასწორია ზაქარიაძის ინფორმაციაც, რომ ქართველი სამხედროების ბაქოდან გამგზავრება აზერბაიჯანში ბოლშევიკების შეჭრამ გამოიწვია. ქართული დელეგაცია ბაქოდან გამოემგზავრა არა ბოლშევიკების შეტევის გამო, არამედ იმიტომ, რომ შეასრულა მასზე დაკისრებული მიასია. ყოველ შემთხვევაში, თავად კვინიტაძე არ წერს, რომ გამომგზავრების მიზეზი საბჭოთა ჯარების შეტევა იყო. უფრო მეტიც, ბოლშევიკების მიერ აზერბაიჯანში შეჭრის ამბავი გენერალმა კვინიტაძემ მხოლოდ განჯაში (მაშინდელ ელიზავეტოპოლში) შეიტყო: „ოთხი საათისთვის სადგურ ელიზავეტოპოლში ჩავედი, სადაც ჩემს მეგობარს, გენერალ ავედ-ბეგ შიხლინსკის მინდოდა შევხვედროდი. იმჟამად იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის დივიზიას უფროსობდა. იგი ტელეფონით გამოვიძახე და ქუთათელაძესთან ერთად მას შინ ვეწვიე. ახალი ამბები მისგან შევიტყვე. მეხმანდაროვის დეპეშაც მაჩვენა, რომელშიც ატყობინებდნენ, ბოლშევიკებმა საზღვარი გადმოლახეს და ელიზავეტოპლში მყოფი ორი ბატალიონი სასწრაფოდ უნდა გამოაგზავნო ხაჩმასისკენო. სხვა ცნობები არ გააჩნდა“.[9]

რაც შეეხება ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, ამის შესახებ გენერალმა კვინიტაძემ უკვე თბილისში საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრთან შეხვედრისას გაიგო: „ადგილზე მეორე დილით 7-8 საათზე ჩამოვედი და 9 საათზე უკვე სამხედრო მინისტრთან ვიყავი. ბაქოში მომხდარ გადატრიალებაზე ჯერ არაფერი ვიცოდი. მინისტრმა მითხრა, რას ფიქრობთ აზერბაიჯანის მზადყოფნაზე ბოლშევიკებთან საბრძოლველადო. მივუგე, ჩემი აზრით, აზერბაიჯანელები წინააღმდეგობას არ გაწევენ-მეთქი. „მით უმეტეს, – შენიშნა მინისტრმა, – რომ ბაქოში უკვე გადატრიალებაა, ძალაუფლება ბოლშევიკების ხელშია, მათი ჯარები უკვე ბაქოში შევიდნენ და ახლა ელიზავეტოპლისკენ მიიწევენ“. ამ ამბავმა გამაოგნა.“[10]

---

[9] გ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები, ნაწ. 1, თბ. 2014, გვ. 148.

[10] იქვე.

პირველი შეტაკებები საბჭოთა რუსეთის სამხედრო ნაწილებთან საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მოხდა არა 30 აპრილს, არამედ 1 მაისს.

მთავარი, რაც ჩვენ გვაინტერესებს, გენერალ ზაქარიაძის ინფორმაციაა, რომ 28 აპრილს საღამოს ქართული შეიარაღებული ძალების საკმაოდ სერიოზული დაჯგუფება გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით უკვე ვაგონებში იჯდა და ბაქოსკენ აპირებდა დაძვრას. არც ერთი სხვა ქართველი სამხედრო თუ პოლიტიკური მოღვაწე არ ადასტურებს ამ ინფორმაციას. გასარკვევია, რამდენად მართებულად აღწერს გენერალი ზაქარიაძე იმ დროს არსებულ ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს კიდევ ორი არაპირდაპირი ცნობა საქართველოდან აზერბაიჯანში ჯარის გაგზავნისა თუ გაგზავნის სურვილის შესახებ, ვფიქრობთ, რომ გენერალ ზაქარიაძის ინფორმაცია კრიტიკულად არის განსახილველი.

მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას, ინფორმაციით, სამხედრო დახმარება აზერბაიჯანის მთავრობამ 27 აპრილს დილით ითხოვა.[11] 26 აპრილს ბოლშევიკებს ჯერ შეტევაც არ ჰქონდათ დაწყებული და დახმარების თხოვნის გამოგზავნა ნაკლებ სავარაუდო გვგონია. არ გამოვრიცხავთ, რომ გენერალ ზაქარიაძეს თარიღი ეშლება და 27 აპრილის ნაცვლად 26 აპრილს ასახელებს.

მცირე უზუსტობები თარიღებთან, დელეგაციის შემადგენლობასთან და სხვა ფაქტებთან დაკავშირებით სავსებით გასაგებია. გენერალი ზაქარიაძე თავის მოგონებებს ხომ აღწერილი მოვლენებიდან საკმაო ხნის შემდეგ წერდა და გარკვეული დეტალები, ცხადია, კარგად აღარ ახსოვდა, მაგრამ მის ინფორმაციაში გვხვდება სერიოზული უზუსტობებიც, დაკავშირებული აზერბაიჯანიდან თხოვნის მიღების დროსა და ვითარებასთან დაკავშირებით.

თუმცა ჩვენ მხოლოდ თარიღები არ გვაეჭვებს. ზაქარიაძის ინფორმაციაში უფრო მნიშვნელოვანი უზუსტობაც გვხვდება. ის წერს, რომ ბაქოდან დახმარება აზერბაიჯან-საქართველოს შეერთებულმა სამხედრო საბჭომ ითხოვა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გენერალი კვინიტაძე, რომელიც თავად იყო აპრილის ბოლოს ბაქოში და მონაწილეობდა საქართველო-აზერბაიჯანის გაერთია-

[11] გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1920 წ., 1 აპრილი.

ნებულ სამხედრო საბჭოს მუშაობაში, არსად წერს, რომ გაერთიანებულმა სამხედრო საბჭომ ქართული შეიარაღებული ძალების ნაწილების ბაქოს მიმართულებით გაგზავნა მოითხოვა. ცხადია, წლების შემდეგ შეიძლება, მემუარების ავტორს რაღაც გამორჩეს ან აერიოს, მაგრამ არ გვგონია, გენერალ კვინიტაძეს ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი დავიწყებოდა.

ძნელი გადასამოწმებელია, დაურეკა თუ არა საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს ბაქოდან ვინმემ. შესაძლოა, ასეთი საუბარი შედგა კიდეც და არც ისაა გამორიცხული, რომ ბაქოდან მართლაც გენერალ ვასილ კარგარეთელს დაერეკა. გასათვალისწინებელია, რომ აზერბაიჯანის ჯარის გენერალური შტაბის ქართველ ოფიცერს თბილისში შეიძლება დაერეკა მხოლოდ 27 აპრილს 23 საათის შემდეგ. სწორედ ამ დროს მიიღო აზერბაიჯანის პარლამენტმა გადაწყვეტილება ხელისუფლების აზერბაიჯანის რევკომისათვის გადაცემის თაობაზე. პარლამენტის სხდომა, რომელზეც ეს საკითხი განიხილებოდა, 27 აპრილს 20 საათსა და 45 წუთზე გაიხსნა. მასზე გენერალმა მეხმანდაროვმა განაცხადა, რომ შემოჭრილ მტერს სამხედრო წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. ამის შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი და მხოლოდ შემდეგ მიიღეს საბოლოოდ გადაწყვეტილება.[12]

რაც შეეხება გენერალ ზაქარიაძის ცნობას დამატებითი ძალების ფოილოს ხიდისკენ გაგზავნასთან დაკავშირებით, იგი წერს: „თავდაცვის საბჭომ დაადგინა მიყვანა ჩვენი რაზმის აზერბაიჯანის საზღვრამდე და იქ მისი შეჩერება ჩვენს ტერიტორიაზე ფოილოს ხიდის მიდამოებში, სანამ მდგომარეობა არ გამოირკვეოდა. ასეთი ინსტრუქცია მიიღო ჩემგან ღენ. სუმბათაშვილმა“. რადგან ინსტრუქცია მიეცა გენერალ სუმბათაშვილს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლაპარაკია იმ რაზმზე, რომელსაც სუმბათაშვილი მეთაურობდა და რომელიც, ზაქარიაძის თანახმად, მზად იყო ბაქოში გასამგზავრებლად. სხვა რაიმე შენაერთის შექმნასა და მის სათავეში გენერალ სუმბათაშვილის ჩაყენებაზე გენერალური შტაბის უფროსი

12 Азербайджанская Демократическая Республика (1918 -1920), Баку, 1998, с. 121.

არ საუბრობს და ეს ვერც მოესწრებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფოილოს სარკინიგზო ხიდი უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი იყო. ისიც გასათვალისწინებელია რომ, თუ დადგებოდა აზერბაიჯანში ქართული შეიარაღებული ძალების გაგზავნის საკითხი, ცხადია, ეს მხოლოდ რკინიგზით შეიძლებოდა მომხდარიყო. ამდენად, ფოილოს ხიდისკენ შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილის გაგზავნის გადაწყვეტილება თავისთავად სრულიად მართებული იყო. გასარკვევია, რეალურად გაიგზავნა თუ არა ფოილოს ხიდისკენ გენერალი სუმბათაშვილის შენაერთი.

საინტერესოა, რომ მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე არსად ახსენებს გენერალ სუმბათაშვილის დაქვემდებარებაში არსებულ დაჯგუფებას, რომელიც, ზაქარიაძის ინფორმაციით, ფოილოს ხიდისკენ გაიგზავნა. როგორც კვინიტაძე წერს, მან გენერალი სუმბათაშვილი ფოილოს ხიდის რაიონში მხოლოდ მას შემდეგ გაგზავნა, რაც ქართველებმა ხიდი ააფეთქეს, ეს კი 5 მაისს მოხდა: „5 მაისს დილით 3:30 საათზე ხიდს მოადგა მტრის ჯავშნიანი მატარებელი, წინ ჰქონდა პლატფორმა, უკან მობმული ვაგონები ხალხისთვის და დაუწყეს ჩვენს მოდარაჯე გუნდს სროლა ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვევლებიდან. ჩვენმა წინა მოდარაჯეებმა, თანახმად ბრძანებისა, დაიხიეს უკან ხიდის ქვეშ გამართული ბოგირით და ჩვენებმა მეორე მხრიდან დაუშინეს ტყვიისმფრქვეველებით, არტილერიით და თოფებით. ამასთანავე ერთად იძულებული ვიყავით, აგვეფეთქებინა ხიდი“.[13] თანაც გენერალ კვინიტაძის მიერ ფოილოს ხიდთან გაგზავნილ გენერალ სუმბათაშვილს შენაერთებისთვის კი არ უნდა ეხელმძღვანელა, არამედ, მთავარსარდლის ბრძანების თანახმად, შეესწავლა არსებული ვითარება და განესაზღვრა, რამდენად სწორი იყო ხიდის აფეთქება: „ხიდის აფეთქებამ ჩვენს მთავრობაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, მთავრობის თავმჯდომარე უკმაყოფილო დარჩა და გამოძიების ჩატარებაც ბრძანა. იქ გენერალი სუმბათაშვილი მივავლინე. როდესაც ყველაფერი დაწვრილებით შევიტყვე, ადგილობრივი ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ კონჩუევის მოქმედება გავამართლე“.[14]

---

13 გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1920 წ., 6 მაისი.

14 გ. კვინიტაძე, ჩემი მოგონებები, ტ. 1, თბ., 2014, გვ. 163.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არავითარი ე.წ. სუმბათაშვილის დაჯგუფება არ არსებობდა და გენერალ ზაქარიაძის ინფორმაცია, გარკვეულწილად, არაზუსტია. გენერალ ზაქარიაძეს თუ ვენდობით, გენერალ სუმბათაშვილის დაქვემდებარებაში იყო ის შენაერთები, რომელთა გაგზავნაც ბაქოს დასაცავად იგეგმებოდა, ანუ „სამი ცალკე ქვეითთა ათასეული, არტილერიის ერთი დივიზიონი (თვრამეტი ზარბაზანი) და სათანადო ტეხნიკური ნაწილები“. შესაძლოა გვევარაუდა, რომ ეს ნაწილები მართლაც გაგზავნეს ფოილოს ხიდთან, ხოლო ხიდის აფეთქების შემდეგ (5 მაისს), როდესაც ბრძოლის ინტენსივობამ იკლო, გადაისროლეს წითელ ხიდთან, მაგრამ ეს დაჯგუფება არც წითელ ხიდთან ჩანს. მთავარი ისაა, რომ დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული წყაროები არ ადასტურებს გენერალ სუბათაშვილის დაჯგუფების არათუ ყოფნას ფოილოს ხიდის მიმართულებაზე, არამედ მის არსებობასაც კი. წითელ ხიდთან დამხმარე ძალა მხოლოდ 9-10 მაისისთვის ჩნდება. სადაა ამ დროს გენერალ სუმბათაშვილის ჯგუფი? არსებობდა კი რეალურად ასეთი შენაერთი?

გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე საუბრობს ქვეითთა სამ ათასეულზე და 18 ზარბაზანზე. სამი ათასეული, ფაქტობრივად, ერთი ბრიგადაა (ქართულ რეგულარულ არმიაში სამი ბრიგადა იყო და თითოეული ოთხი ათასეულისგან შედგებოდა). გენერალური შტაბის უფროსის ინფორმაციის თანახმად, გამოდის, რომ ქართული არმიის თითქმის ¼ გაიგზავნა ფოილოს ხიდისკენ. შეუძლებელია, ამხელა შენაერთის ყოფნა ფრონტზე არ დაფიქსირებულიყო რომელიმე სხვა წყაროში. მაისის პირველ ნახევარში საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანის საზღვარზე მიმდინარე ბრძოლების მთელი სიმძიმე სახალხო გვარდიაზე გადავიდა, არმიის ქვედანაყოფები კი მეტად მცირერიცხოვანი იყო. გარდა ამისა, მთავარი საბრძოლო ოპერაციები წითელი ხიდის მიმართულებაზე მიმდინარეობდა, ფოილოს ხიდთან მხოლოდ პოზიციური ბრძოლები იყო.

ერთი შეხედვით, ძნელია, დაეჭვდე გენერალური შტაბის უფროსის ინფორმაციაში, რადგან მასზე კარგად ვინ უნდა იცოდეს,

სად, როდის, რატომ და რა შენაერთების გაგზავნა იგეგმებოდა. თუმცა, სხვა წყაროების გათვალისწინებით, ჩვენთვის აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში გენერალი ზაქარიაძე ცდება (ნებსით თუ უნებლიეთ, ეს სხვა საკითხია). აღვნიშნავთ, რომ ზოგადად ალექსანდრე ზაქარიაძის მოგონებებში გვხვდება ცნობები, რომლებიც სხვა წყაროებით არ დასტურდება. პირიქით, ზაქარიაძის ინფორმაციის საწინააღმდეგო მონაცემები უფრო მრავლად მოგვეპოვება. ასე, მაგალითად, საუბრობს რა 1921 წლის 24 თებერვალს მთავარსარდალ გენერალ კვინიტაძის მიერ თბილისის დატოვების ბრძანებაზე, ზაქარიაძე წერს: „24 თებერვალს მთავარსარდალმა კვინიტაძემ ფრონტები შემოიარა, რათა პირადად ენახა არსებული ვითარება". უფრო მეტიც, გენერალური შტაბის უფროსის თანახმად, თათბირზე რომელზეც თბილისის დატოვების საკითხი განიხილებოდა, გენერალმა კვინიტაძემ მთავრობის თავმჯდომარეს „მიაწოდა აგრეთვე ფრონტების მეთაურთა აზრი, რომ ხვალ განმეორებულ ბოლშევიკების იერიშებს ისინი ვეღარ გაუძლებდნენ".[15] 24 თებერვალს მთავარსარდლის მიერ პოზიციების შემოვლა არც ერთი სხვა წყაროთი არ დასტურდება. თავად გენერალი კვინიტაძეც არსად წერს, რომ პოზიციები მოინახულა. ასევე არასწორია ინფორმაცია, რომ გენერალმა კვინიტაძემ ნოე ჟორდანიას ფრონტების მეთაურთა აზრი გააცნო. მთავარსარდალს ფრონტების მეთაურთათვის აზრი არც კი უკითხავს.

ზოგადად, მემუარების წყაროდ გამოყენება ძალიან საინტერესოა და მნიშვნელოვანიც, მაგრამ გასათვალისწინებელია ავტორის ტენდენციურობაც. ამიტომ ამ ტიპის წყაროებზე მუშაობისას სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ მიერ განხილული ცნობა ამის ნათელი მაგალითია.

სავარაუდოდ, 27 აპრილს, მას შემდეგ, რაც ბაქოდან დახმარების თხოვნა მოვიდა, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობამ მართლაც მიიღო გადაწყვეტილება ასეთი შენაერთის შექმნის შესახებ. ალბათ გამოიცა კიდეც სათანადო ბრძანება, განისაზღვრა

---

15 ა. ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჟურნალი *მხედარი*, 1994, № 1-4, გვ. 63.

კონკრეტული სამხედრო ნაწილები, რომლებიც უნდა წასულიყვნენ მოკავშირის დასახმარებლად, დაინიშნა მათი მეთაურიც. სრულიად დასაშვებია, რომ გენერალი სუმბათაშვილი გენერალ ზაქარიაძესთან უკვე განიხილავდა კონკრეტულ საკითხებსაც, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამის იქით რეალურად აღარაფერი უნდა გაკეთებულიყო. გენერალ სუმბათაშვილის რაზმის დაკომპლექტება შეჩერდა, რადგან ამასობაში აზერბაიჯანში უკვე დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჯარის გაგზავნის გადაწყვეტილება აღარ ან ვეღარ მიიღო, რის გამოც რეალურად არავითარი დაჯგუფება აღარ შექმნილა.

მთიელთა რესპუბლიკა და მოხალისეთა არმია - 1919-1920

ჰაჯი მურად დონოგო
რუსეთის ფედერაციის დაღესტნის რესპუბლიკის ეროვნული მუზეუმი

1918 წლის დასასრულისათვის, პირველ მსოფლიო ომში ცენტრალურ ძალთა დამარცხების გამო, ვითარება კავკასიაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. კაპიტულაციის პირობების თანახმად (1918 წლის 10 ოქტომბერს კაპიტულაცია გამოაცხადა ოსმალეთმა, 3 ნოემბერს – ავსტრია-უნგრეთმა, 11 ნოემბერს – გერმანიამ), დამარცხებულ ძალათა სამხედრო ფორმირებები რუსეთის საზღვრებს უნდა გაცლოდნენ. 1918 წლის მეორე ნახევარში ოსმალეთის ჯარებმა ამიერკავკასია და დაღესტანი დატოვეს, რის შემდეგაც მათი ადგილი კავკასიაში ანტანტის შემადგენლობაში მყოფმა ბრიტანულმა შენაერთებმა დაიკავეს. ხალხისადმი მიმართვაში ბრიტანელები აცხადებდნენ, ისინი იყვნენ არა აგრესორები, არამედ რუსეთის მოკავშირეები, რომლებსაც წესრიგი უნდა აღედგინათ და რუსეთი ბოლშევიკებისგან დაეცვათ. სინამდვილეში კი ბრიტანელებს სურდათ, დაემორჩილებინათ ყველანაირი ეროვნული მოძრაობა და გენერალ ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის რეგიონალური ფორმირებები, რომლებიც მოქმედებდნენ თანახმად დიდმპყრობელური ლოზუნგისა – „ერთიანი და და განუყოფელი რუსეთისათვის“. 27 ნოემბერს გენერალმა ვ. ტომპსონმა, მოკავშირეთა ძალების წარმომადგენელმა და ბრიტანული ძალების მეთაურმა ბაქოში, უდეპეშა მთიელთა ხელისუფლებას და კავკასიის ხალხებს მხარდაჭერა აღუთქვა იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეასრულებდნენ შემდეგ პირობებს:

1. ჩამოაყალიბებდნენ კოალიციური მთავრობას;

2. შეკავშირდებოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ;

3. შექმნიდნენ სამართლიან მმართველობას;

4. აღადგენდნენ საზღვაო-სარკინიგზო კომუნიკაციების და შეამცირებდნენ საკვების უკმარისობით გამოწვეული შიმშილობის შედეგებს;

5. გააძევებდნენ ქვეყნიდან ყველა თურქს და შეწყვეტდნენ თურქულ-გერმანულ პროპაგანდას;

6. დაეხმარებოდნენ მოკავშირეებს დენიკინთან კონტაქტის შენარჩუნებაში.[1]

იმავე დღეს მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლების დელეგაცია ა. ჩერმოევის, ი. გაიდაროვისა და გ. ბამატის მონაწილეობით ბრიტანეთის სამხედრო შტაბის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად ბაქოში გაემგზავრა, რათა მათ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ეცნოთ. თუმცა გენერალმა ტომპსონმა განაცხადა, რომ მხოლოდ პარიზის სამშვიდობო კონფერენციასა და I მსოფლიო ომში გამარჯვებულ მოკავშირეთა ძალებს ხელეწიფებოდათ, გადაეჭრათ მთიელთა რესპუბლიკის საკითხი და ამით მათ აგრძნობინა, რომ მთიელთა მთავრობას შეეძლო, დაემტკიცებინა, რომ უნარი აქვს, მართოს პროცესები. იმავდროულად ვ. ტომპსონმა დელეგაციას შესთავაზა, თერგის კაზაკებს შეერთებოდნენ და შეექმნათ კოალიციური მთავრობა, რათა რეალური დახმარება გაეწიათ საბჭოთა ძალების წინააღმდეგ მებრძოლი დენიკინისათვის. „ჩვენი ვალია, – განაცხადა გენერალმა ტომპსონმა, – ქვეყანაში წესრიგი შევინარჩუნოთ და ადგილობრივ ხალხს ბოლშევიზმის დამარცხებაში დავეხმაროთ“.[2]

ინგლისს, რომელიც კავკასიის ახალი სახელმწიფო ფორმირებების აღიარებას ეწინააღმდეგებოდა, არ სურდა, დენიკინი ამიერკავკასიაში ეხილა. გენერალმა ჩ. ბრიგსმა, ბრიტანული სამხედრო მისიის მეთაურმა მოხალისეთა არმიაში, აცნობა დენიკინს რომ

---

1 F. Kazemzadeh, The struggle for Transcaucasia 1917-1921, New York-Oksford, 1951, p.243.

2 РФИИАЭДНЦРАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 63. Л. 37.

დობროარმიასა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის გამყოფი ხაზი გადიოდა ყიზილ-ბურუნ-ზაქათალაზე და უფრო შორსაც – კავკასიონის ქედის გასწვრივ ტუაფსემდე.[3] მოგვიანებით, მიზეზთა გამო, ეს ხაზი ოდნავ შეიცვალა.

ინგლისი, როგორც წესი, კავკასიაში ორმაგ პოლიტიკას ატარებდა: ერთი მხრივ, ეხმარებოდა ს. დენიკინის ჯარებს „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენასა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეორე მხრივ კი, ხელს უწყობდა ადგილობრივ ხელისუფალთ, შეენარჩუნებინათ ილუზია, რომ ინგლისის მეოხებით სუვერენიტეტს განამტკიცებდნენ. ლონდონი კონკრეტულ ვითარებათა გათვალისწინებით მანევრირებდა და მისდევდა პრინციპს – „გათიშე და იბატონე“, რაც ჯერჯერობით კიდეც გამოსდიოდა.

მთიელთა რესპუბლიკა კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა: ჩრდილოეთიდან დაძრული „მოხალისეები“, რომლებმაც უკუაქციეს ბოლშევიკური ფორმირებები, მალევე გაიჭრნენ თერგისა და დაღესტნისაკენ. თეთრგვარდიელების შემოსევისგან მთიელთა დაცვა შეეძლო მხოლოდ ინგლისს, რომელიც აფინანსებდა და იარაღით ამარაგებდა მოხალისეთა არმიას.

ა. ჩერმოევი, მთიელთა რესპუბლიკის მეთაური, რომელსაც ბრიტანელთა მხრიდან გარანტიების მიღება სურდა და, ამავე დროს, აცნობიერებდა, რომ მთიელთა მთავრობის გერმანულ-ოსმალური ორიენტაცია მის სახელთან ასოცირდებოდა, თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა.

15 დეკემბერს მთიელთა რესპუბლიკის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ჩერმოევის კაბინეტის გადადგომას და 19 დეკემბერს შექმნა ახალი სამთავრობო სტრუქტურა, რომელშიც თერგის კაზაკებიც შედიოდნენ. მთავრობის მეთაურად პშემახო კოცევი დაამტკიცეს.

1918 წლის 20 დეკემბერს ბრიტანული მისია ლეიტენანტ-პოლკოვნიკ გ. როულინსონის მეთაურობით მთიელთა მთავრობის საქმიანობის „სამეთვალყურეოდ“ თემირ-ხან-შურაში ჩამოვიდა. პრესა

[3] РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 157. Л. 121-125.

იუწყებოდა: „...მისია სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა. სადგურში საპატიო ყარაული იდგა და ორკესტრი უკრავდა. ბრიტანელები მთავრობის უმაღლესი პირების თანხლებით მათთვის მომზადებულ სახალხო სახლში გაემგზავრნენ “.[4]

მითითებაში, რომელიც ვ. ტომპსონის სახელით პოლკოვნიკმა სტოუკმა გ. როულინსონს გადასცა, აღნიშნული იყო, რომ მთიელთა მთავრობისა და ლ. ბიჩერახოვის სამოქმედო არეალს როსტოვ-პეტროვსკის რკინიგზა ყოფდა, ხოლო როსტოვი, ისევე, როგორც პეტროვსკი და დარუბანდი, მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ რჩებოდა.

ამ ინსტრუქციის თანახმად, პეტროვსკი ლ. ბიჩერახოვის ბაზა უნდა გამხდარიყო და როსტოვ-პეტროვსკის რკინიგზის ჩრდილოეთით ანუ თერგის მიმდებარედ განლაგებული მთელი რუსული ძალები მას უნდა დაქვემდებარებოდა. მიღებულ მითითებათა მიხედვით, გ. როულინსონს ევალებოდა: 1) დახმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობას და სამხედრო ძალების მობილიზაციისა და ბოლშევიკთა წინააღმდეგ ოპერაციებისათვის აუცილებელი მითითებები გაეცა; 2) დახმარებოდა გენერალ ბიჩერახოვსა და ჩრდილოკავკასიურ მთავრობას კომუნიკაციის შენარჩუნებაში. ზემოთ ჩამოთვლილ ზომებს უნდა უზრუნველეყო ბოლშევიკთა წინააღმდეგ ყველა მხარის ერთობლივი აქტიური მოქმედება. პეტროვსკში ყოველგვარ საქმიანობას პეტროვსკის ბრიტანული ჯარების გარნიზონის მეთაური პოლკოვნიკი ჯოკერი უძღვებოდა.[5]

მას შემდეგ, რაც კასპიის სამხედრო ფლოტილია და ორმოცდაათამდე სავაჭრო გემი ინგლისელთა დაქვემდებარებაში გადავიდა, ბრიტანეთმა სწრაფად დაიწყო კასპიის ზღვაში საკუთარი საზღვაო ძალების ფორმირება. პორტ-პეტროვსკის ოკუპირების შემდეგ, 1919 წლის 13 იანვარს, ბრიტანელებმა კუნძულ ჩეჩენზე (დაღესტნის სანაპიროზე) საზღვაო ბაზა შექმნეს, ხოლო გაზაფხულზე კასპიის ზღვაში მათ უკვე 18 დიდი საზღვაო-სანაოსნო

---

4 Дагестан, 1918, № 15.

5 И. Гаджиев Антисоветская интервенция Англии на Кавказе (1918-1920), – Махачкала, 1958, С. 12.

ქვედანაყოფი ჰყავდათ.[6] ბრიტანელები კასპიის ზღვას საკუთარ „შიდა“ ზღვად განიხილავდნენ. ამას ადასტურებს განცხადება, რომელიც უ. ჩერჩილმა ბრიტანეთის პარლამენტში გააკეთა: „კასპიის ზღვა მთლიანად ბრიტანულ ფლოტს ეკუთვნის“.[7]

ბრიტანელებმა საკუთარი გამოცდილებით იცოდნენ, რომ ა. დენიკინი დამყოლი პოლიტიკოსი არ იყო და რუსი მთავარსარდლის მოუდრეკელ ხასიათს მხოლოდ სამხედრო ძალას თუ დაუპირისპირებდნენ. თავად ა. დენიკინმა საჭიროდ მიიჩნია, ბაქოში თავის წარმომადგენლად გენერალ-მაიორი ი. ერდელი გაეგზავნა, რათა იგი „კარგად ყოფილიყო ორიენტირებული ადგილზე“. როგორც ერდელი ბრიტანეთის სამხედრო მაღალჩინოსნებთან გასაუბრების შემდეგ იტყობინებოდა, ისინი არწმუნებდნენ მთიელთა მთავრობას, რომ რუსული შენაერთები პეტროვსკსა და დაღესტანში ვერ შემოვიდოდნენ და ამ ტერიტორიებს ბრიტანელი სამხედროები გააკონტროლებდნენ.

ამის დასტურად, გენერალ ვ. ტომპსონის განკარგულებით, ბრიტანეთის სამხედრო კოლონა რკინიგზის ხაზის გასწვრივ პეტროვსკიდან გროზნოსკენ გზას გაუყენეს. ამოცანა მარტივად იყო ჩამოყალიბებული: „გროზნო შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა დაეკავებინათ“. ამ დროს გროზნოში დემორალიზებული, ძარცვას დაჩვეული, ზნედაცემული მე-11 წითელი არმიის ნაწილები იყო განლაგებული და ბრიტანელებს მათთან შეტაკება მოუვიდათ. გენერალი ა. დენიკინი მიხვდა, რომ გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო – დაესწროთ ბრიტანელებისთვის, წითლები განედევნათ და გროზნო მათზე ადრე აეღოთ. როგორც ა. დენიკინის შტაბის უფროსი ა. ლუკომსკი წერდა, „რაიმე გაუგებრობისა და შეხლა-შემოხლის ასარიდებლად, რომელსაც ვერ ასცდებოდნენ, თუკი გროზნოსა და იქაურ ნავთობსადენებს ბრიტანელი სამხედროები დაეპატრონებოდნენ, გროზნოსკენ გაგზავნილი რაზმის ხელმძღვანელს ნაბ-

6 Директивы Главного командования Красной Армии (1917-1920 гг.), Сборник документов, Москва. 1969. С. 156

7 Известия. 1919. № 97.

რძანები ჰქონდა გროზნოს დაკავება ბრიტანელთა მოსვლამდე".[8]

რაზმს გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლიახოვი მეთაურობდა. ჯარისკაცებმა, რომლებიც ვლადიკავკაზის სარკინიგზო ხაზის გასწვრივ მოქმედებდნენ, თავი გაართვეს დასახულ ამოცანას, გროზნო აიღეს, კასპიის ზღვის მიმართულებით ყიზლარისკენ სვლა გააგრძელეს და საბოლოოდ გაანადგურეს მე-11 არმია. დენიკინმა ბრიტანელებს დაასწრო და ვ. ტომპსონს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც თან გამარჯვებას ზეიმობდა, თანაც ბრიტანელებს აქეზებდა: „მოხალისეთა არმიის გამარჯვებათა წყალობით, მთელი ჩრდილო კავკასია უფრო და უფრო თავისუფლდება ბოლშევიკთაგან. პიატიგორსკი, მოზდოკი დაპყრობილია, ვლადიკავკაზს კი უტევენ და შესაძლოა, უკვე აიღეს კიდეც... გათავისუფლებულ ადგილებში სამოქალაქო ხელისუფლება მყარდება, რომელსაც ევალება რეგიონში კანონის ამოქმედება და სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნება, რათა მთელ მოსახლეობას, მიუხედავად ნაციონალური მიკუთვნებულობისა და აღმსარებლობისა, შეეძლოს მშვიდობიანად საქმიანობა. დაკავებულ ოლქებში მეთაურად ვნიშნავ გენერალ ლიახოვს, როგორც თერგ-დაღესტნის ჯარების მხედართმთავარსა და მთავარსარდალს, რომლის ცენტრიც პიატიგორსკია, შემდგომ კი გადატანილ იქნება ვლადიკავკაზში. გთხოვთ, აცნობოთ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ჯარებს იმ უფლებამოსილებათა შესახებ, რომლებიც გენერალ ლიახოვს ჩემგან მიენიჭა და შესაბამისი მითითებებიც მისცეთ იმ შემთხვევისთვის, თუკი ლიახოვის მორჩილებაში მყოფ ჯარებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად მოგიწევთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა".[9]

ბრიტანელები, რომლებმაც ყველა ღონე იხმარეს, წინ აღდგომოდნენ ჩრდილო კავკასიაში თეთრგვარდიელთა სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლების დამყარებას, ამიერიდან იძულებული იყვნენ, შეგუებოდნენ დენიკინის არმიის ოფიცრებთან უშუალო სიახლოვეს. ანტანტის პოლიტიკური მიზანი კავკასიის რუსეთისა-

---

8 А.С. Лукомский Деникин и Антанта, Революция и гражданская война в описаниях белогвардейцев, Москва, 1927 С. 100.

9 იქვე.

გან ჩამოშორება იყო. დენიკინს ეხმარებოდნენ ბოლშევიზმის დამარცხებაში, მაგრამ ეწინააღმდეგებოდნენ ყველა ჯერზე, როცა კი საუბარს იწყებდა „ერთიან და განუყოფელ რუსეთზე“.

როდესაც დენიკინელები, მიუხედავად ყველაფრისა, დაღესტანში მაინც მოვიდნენ, ბრიტანელები ამ ფაქტს შეურიგდნენ, მაგრამ აზერბაიჯანში ისინი აღარ გაუშვეს. თუმცა მთიელთა ზურგს უკან ბრიტანელები მოხალისეთა თავდასხმების მხარდაჭერას აგრძელებდნენ, რადგან მათ თავიანთი ნების აღმასრულებლებად აღიქვამდნენ.

ევროპა გაფაციცებით აკვირდებოდა ვითარებას კავკასიაში. 1919 წლის 18 იანვარს პარიზში ოფიციალურად გაიხსნა სამშვიდობო კონფერენცია. „რუსული საკითხის“ განხილვისას ჯ. კერზონი და უ. ჩერჩილი ღიად ემხრობოდნენ სამხედრო ინტერვენციას. როგორც ლოიდ ჯორჯი წერდა, კერზონი „განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული კავკასიის მიმართ. რამდენიმე წლით ადრე მან თავად მოინახულა კავკასია და მოიხიბლა მამაცი მთიელებით“.[10]

რა თქმა უნდა, კერზონის შემთხვევაში, „მამაცი მთიელების მიმართ სიმპათიის“ მიზეზი უბრალო სენტიმენტალიზმი არ იყო, ამის უკან ნამდვილი იმპერიალისტური კონცეფცია იმალებოდა. საუბარი იყო კავკასიის ნავთობსა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, საითკენაც გზა ბრიტანულ ჯარებს უნდა გაეკვალათ. ამერიკის დამოკიდებულება „რუსეთის საკითხის“ მიმართ კარგად გამოჩნდა 1918 წლის ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში, „14 საკითხზე“ უილსონის ოფიციალურ კომენტარში. მასში ნათქვამი იყო: „... როგორც ჩანს, რუსეთის პრობლემის არსი ახლო მომავალში შემდეგ პუნქტებამდე დავა: 1) დროებითი მთავრობის აღიარება; 2) ამ მთავრობათათვის და ამ მთავრობათა მეშვეობით დახმარების აღმოჩენა. კავკასია კი, სავარაუდოდ, უნდა განვიხილოთ, როგორც თურქეთის იმპერიის პრობლემის ნაწილი“.[11]

---

10 D. Lloyd George, The truth about the peace treaties, Vol.1-2., London, 1938. P. 324.

11 Архив полковника Хауза, Москва, 1944, Т. IV, С. 152.

1919 წლის 15 იანვარს, მთიელთა რესპუბლიკის პარლამენტის წევრების არჩევის მიზნით, თემირ-ხან-შურაში დაღესტნის წარმომადგენელთა საყოველთაო ყრილობა გაიმართა. ყრილობაზე 27 დელეგატი აირჩიეს. 1919 წლის 20 იანვარს შედგა მთიელთა რესპუბლიკის პირველი საპარლამენტო სესია, რომლის ძირითადი ლეიტმოტივი ბოლშევიზმთან ბრძოლა და მთიელთა რესპუბლიკის პოზიციათა განმტკიცება იყო.[12] სხდომას, როგორც ბრიტანული მისიის წარმომადგენელი, ლეიტენანტ-პოლკოვნიკი გ. როულინსონიც ესწრებოდა. ამ უკანასკნელმა დაარწმუნა მთიელთა მთავრობა, რომ დენიკინელთა მიერ დაღესტნის ოკუპაცია საფრთხეს არ უქმნიდა მის „დამოუკიდებლობას“, რადგან, როგორც კი პარიზის კონფერენციაზე მთიელთა დამოუკიდებლობის საკითხს გადაწყვეტდნენ, დენიკინი თავად დატოვებდა ტერიტორიას.

ბრიტანელებმა ოფიციალურად მიმართეს მთიელთა მთავრობას შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ გულწრფელად ვთხოვთ კეთილგონიერ დაღესტანს, არ გააფუჭოს ურთიერთობა მოხალისეთა არმიასთან“.[13] გენერალმა ჩარლზ ბრიგსმა, ბრიტანეთის მისიის მეთაურმა დენიკინთან დაკავშირებულ საკითხებში, დაღესტნის წარმომადგენლებს განუცხადა: „ინგლისი მხარს უჭერს დენიკინსა და მის მიზნებს ... ბოლშევიკების განადგურებას, დიდი და განუყოფელი რუსეთის აღორძინებას.ო[14] სხვა მხრივ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობებს ეცნობათ, რომ გენერალ ა. დენიკინს დაღესტანში წესრიგის დამყარების უფლება ჰქონდა, ხოლო საქართველო და აზერბაიჯანი დენიკინს ბოლშევიკებთან ბრძოლაში უნდა დახმარებოდა, სხვაგვარ ქმედებას ინგლისელები მოკავშირეთა მიმართ მტრობად განიხილავდნენ.

„თუ მთიელთა შორის – წერდა გ. როულინსონი მთიელთა მთავრობას, – თავს იჩენს ბოლშევიზმის ნიშნები ან ქვეყანაში ანარქია

12 Дагестан, 1919. 24.02., Журнал № 10 заседания Союзного Совета республики Союза Горцев Кавказа.

13 Империалистическая интервенция на Дону и Северном Кавказе, Москва, 1988, С. 215.

14 Борьба за установление Советской власти в Дагестане, Сб. док. и материалов, Москва, 1958. С. 291

დაისადგურებს და მთავრობა მას ვერ გაუმკლავდება, მას შეებრძოლება არა მარტო დენიკინი, არამედ ჩვენც დავუპირისპირდებით“.[15]

თავდაპირველად დენიკინის მომხრეთა და მთიელთა მთავრობის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და მათი ქმედებები ბოლშევიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა 1919 წლის თებერვლის დასაწყისში მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესული მოხალისეთა არმია მხოლოდ ბოლშევიკების წმენდით არ შემოიფარგლებოდა და მაკონტროლებელ ფუნქციათა ხელში ჩაგდებასაც ცდილობდა მაშინ, როდესაც არსებობდა ლეგიტიმური ადგილობრივი ხელისუფლება.

1919 წლის 16 თებერვალს გენერალმა პ. შატილოვმა, კავკასიის მოხალისეთა არმიის მეთაურმა, მთიელთა მთავრობის თავმჯდომარეს, პ. კოცევს, წერილით აცნობა, რომ ჩრდილო კავკასიისა და დაღესტნის მოსახლეობა ნებაყოფლობით დაექვემდებარა მოხალისეთა არმიას და მათ შემოაქვთ თვითმმართველობის სისტემა, რომელიც ჩამოაყალიბა თერგ-დაღესტნის ოლქის ჯარების მეთაურმა, გენერალმა გ. ლიახოვმა. 1919 წლის 17 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე მსგავსი ულტიმატუმი კავკასიის მთიელი ხალხის თვითგამორკვევის მცდელობად მიიჩნიეს.[16] მოხალისეთა არმიის ქმედებებმა ჩრდილო კავკასიაში ბრიტანელთა შეშფოთება გამოიწვია. ეშინოდათ, რომ დენიკინელთა წარმატებული წინსვლა გავრცელდებოდა მთელ ამიერკავკასიაზე, სადაც იმ დროისათვის ბრიტანელები იმყოფებოდნენ, მათ კი არ სურდათ ნავთობის ვინმესთვის დათმობა. გენერალმა ჩარლზ ბრიგსმა, გაერთიანებული სამეფოს სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა სამხრეთ რუსეთში, მოითხოვა, რომ მოხალისეებს შეეწყვიტათ ჩეჩნეთსა და დაღესტანზე თავდასხმა და მოლაპარაკებები დაეწყოთ მთიელთა მთავრობასთან. ჩარლზ ბრიგსმა ლონდონიდან მითითება მიიღო, რომ არ გაემწვავებინა ურთიერთობა „ქართველებსა და კავკასიელებთან“, რათა შენარჩუნებულიყო ნეიტრალიტეტი, რისთვისაც

15 ЦГА Азербайджана. Ф. 970, Оп. 1, Д. 160, Л. 22.

16 РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 60. Л.89.

ბრიტანელები ყველა ძალას იხმარდნენ“.[17] თუმცა ჩალზ ბრიგსმა გროზნოში „ჩეჩენი ხალხის ყრილობაზე“ გამოსვლისას აპრილის თვეში უკვე ჩამოაყალიბა კავკასიაში ბრიტანეთის პოლიტიკის პრინციპები: „ბრიტანეთს არ სურს, ჩაერიოს რუსეთის შიდა საქმეებში, მაგრამ უნდა, რომ გენერალ დენიკინს ბოლშევიკების დამარცხებაში დაეხმაროს... თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, პატარა ერებს უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ, ბუნებრივი გასასვლელები არ გააჩნიათ და მათი ცხოვრება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული...“[18]

16 მარტს თემირ-ხან-შურაში ჩატარდა დაღესტნის ყველა რაიონის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზეც მოხალისეთა ქმედებების შესახებ ისაუბრეს. ამ დროისათვის ბრიტანელებმა არაერთხელ სცადეს მთიელების გადაბირება დენიკინის მხარეს. ერთ-ერთი ამგვარი მცდელობის შესახებ დაიწერა საგაზეთო სტატია სათაურით „ბრიტანელები დაღესტანში“. მასში წერდნენ: „დაღესტნელთა ამასწინანდელ ყრილობაზე ბრიტანელებმა ბოლშევიკებთან საბრძოლველად მათ საჯარისო ფორმირებები შესთავაზეს და ჰპირდებოდნენ“ სრულ დამოუკიდებლობას, „აღჭურვილობას, სამხედრო დახმარებასა და სხვა სარგებელს. ამ საკითხმა ყრილობაზე მწვავე დაპირისპირება გამოიწვია და, საბოლოო ჯამში, დამსწრეთა უმრავლესობამ უარყო ბრიტანელთა წინადადება. ინგლისელები იმედგაცრუებულნი დარჩნენ“.[19] ამ დროისათვის მთიელთა რესპუბლიკის პარლამენტი ორად იყო გახლეჩილი – დაღესტანში დენიკინის შესვლის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

დაღესტნის რეგიონის გუბერნატორი, პოლკოვნიკი ს. მუსალაევი, წერილში რეგიონების ბელადებისადმი ამბობდა: „გადაეცით მოსახლეობას, რომ ბრიტანელებს ნაბრძანები აქვთ ბაქოდან, ანარქიის, დაუმორჩილებლობისა და ბოლშევიკური გამოსვლების

---

17 С.В. Карпенко, Россия на Кавказе останется навсегда,: Добровольческая армия и независимая Грузия (1918-1919 гг.), Новый исторический вестник, 2008, № 18, С. 122.

18 В.Ж. Цветков, Мундир английский, погон российский, Британия и «русская Смута, Родина, 2003, № 5. С. 102.

19 Жизнь национальностей, 1919, 16.02.

შემთხვევაში, შევიდნენ სოფლებში თვითმფრინავებითა და ჯავშნოსნებით".[20]

1919 წლის მარტში მთიელთა რესპუბლიკის დელეგაცია დენიკინთან მოსალაპარაკებლად ეკატერინოდარში გაემგზავრა, მაგრამ დენიკინმა ისინი არ მიიღო. ვითარება მთიელთა რესპუბლიკაში კრიტიკული იყო – შეიმჩნეოდა მთავრობის წევრებს შორის დაპირისპირება, ხალხისაგან იზოლაცია და ა.შ. 22 მარტს პ. კოცევი გადადგა, თუმცა პარლამენტმა იგი ხელახლა აირჩია და მას ახალი მთავრობის შექმნა დაავალა.

1919 წლის 7 აპრილს მთიელთა რესპუბლიკის გაერთიანებული კავშირის ერთ-ერთ რიგგარეშე შეკრებაზე წაიკითხეს გენერალ პრჟევალსკის დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა, რომ დენიკინი მოკავშირეთა შტაბის წარმომადგენლებთან ერთად მოლაპარაკებებზე გროზნოში მიემგზავრება და მთიელთა მთავრობის წარმომადგენლებსაც ეპატიჟება".[21]

გაერთიანებული კავშირის გადაწყვეტილებით, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი ზ. ტემირხანოვი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარე რ. კაპლანოვი და შარიათის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ნ. გოცინსკი გროზნოში გაგზავნეს.[22] დენიკინი ამგვარად იხსენებდა იმ არეულ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში: „მთიელთა უფლებების აუღიარებლად მთავრობას მასთან კავკასიელი ხალხის ბედ-იღბლის განხილვა არ შეეძლო. როგორც გაირკვა, მომდევნო საუბრები უსარგებლო იქნებოდა, რადგან დელეგაციის მიერ საბჭოს საიდუმლო სხდომაზე გაცემული ინსტრუქციები ამგვარი იყო: „1) მთიელთა მთელი ტერიტორია უნდა გაეთავისუფლებინათ მოხალისეთა არმიისაგან; 2) უარი უნდა ეთქვათ გენერალ დენიკინის არმიასთან თანამშრომლობაზე; 3) დაეშალათ მობილიზებული მთიელები".[23]

გროზნოდან თემირ-ხან-შურაში გაგზავნილი წერილით რ. კაპ-

[20] ЦГА РД. Ф. 49, Оп. 1, Д. 12, Л. 7.

[21] РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 60.

[22] Вестник Горской Республики, 1919, 20.04.

[23] А.И. Деникин, Очерки русской смуты: В 3 книгах, Книга 3 / Т. 4, т. 5, Вооруженные силы Юга России, Москва, 2003. С. 181.

ლანოვი იუწყებოდა, რომ დენიკინი მოლაპარაკებებზე ბრიტანეთის მისიის ხელმძღვანელთან ერთად ჩამოვიდა და დენიკინთან ბრიტანელების საუბარი განცალკევებით შედგა.[24]

კავკასიის გაერთიანებულ მთიელ ხალხთა რესპუბლიკაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლის – ა. ახვერდოვის მიხედვით, „დენიკინმა დელეგაცია მშვიდობიანი მოლაპარაკებისთვის როდი მიიწვია, მას სურდა ეცნობებინა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, რომ უარს ამბობდა მთიელთა კავშირის აღიარებაზე“.[25] მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სცადეს, განემარტათ სიტუაცია, მაგრამ ამაოდ.

1919 წლის 21 მაისს მოხალისეთა არმია პეტროვსკში შევიდა, შემდეგ კი დარუბანდი აიღო. მთიელთა რესპუბლიკის პარლამენტი და მთავრობა ვერ მივიდა საერთო აზრამდე დენიკინის ფორმირებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არც საკმარისი სამხედრო ძალა არსებობდა.

„არსებული მომენტისათვის არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, – წერდა პრესა, – კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის მთიელთა კავშირის მინისტრთა საბჭო თავმჯდომარის თაოსნობით 23 მაისს დილის 10 საათზე გადადგა“.[26]

მოხალისეთა არმიის მეთაურები, რომლებიც უარს ამბობდმემ მთიელთა რესპუბლიკის აღიარებაზე, ცნობდნენ დაღესტნის „ავტონომიურ“ მთავრობას, რომელსაც სათავეში დენიკინის მარიონეტი გენერალი მ. ხალილოვი ედგა. 1919 წლის 24 მაისს დაღესტნის დროებითი მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ პირველივე ბრძანებაში ეწერა: „მინისტრთა საბჭოს წევრების გადადგომისა და მთიელთა პარლამენტის დაშლის გამო, ასევე მათ ნაცვლად დაღესტნის რეგიონის დროებითი მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით, თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული გენერალ-მაიორი ხალილოვი...“[27]

დაღესტნის მიტაცებისა და ბრიტანელ სამხედრო მეთაურთა

---

24 РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 60. Л. 283.

25 იქვე.

26 Вестник Дагестана,1919, 1.06

27 იქვე.

თანხმობის მიზეზი (სადემარკაციო ხაზი ზუსტად გასდევდა აზერბაიჯანისა და დაღესტნის საზღვარს) ის იყო, რომ მთიელთა მთავრობა მოსახლეობაში პოპულარობით არ სარგებლობდა და, შესაბამისად, ბოლშევიკების გავლენა მატულობდა.

3 ივნისს გენერალი ი. ერდელი, თერგისა და დაღესტნის ტერიტორიის სამხედრო მეთაური, თემირ-ხან-შურაში ჩამოვიდა. მას თან ახლდა გენერალი მ. ხალილოვი. იმავე დღეს ქალაქის მუნიციპალიტეტმა სტუმრის პატივსაცემად საზეიმო სადილი გამართა.

1919 წლის ზაფხულში დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა, ბრიტანული ჯარი დაღესტნიდან გაეყვანა, რასაც არაერთი მიზეზი ჰქონდა (შეცვლილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება რუსეთში; დენიკინის დაჯგუფებათა წარმატება, რასაც ალბათ „მოკავშირეთა აღჭურვილობითა და იარაღით მომარაგების გაუმჯობესება და ჯარის ძლიერების ზრდა“[28] განაპირობებდა; განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთის კოლონიურ ქვეყნებში, რომელიც მნიშვნელოვან დამატებით მატერიალურ რესურსებს მოითხოვდა; ინგლისის წარუმატებლობა ავღანეთში, რომელიც დამოუკიდებლობით დამთავრდა და ა.შ.). 1919 წლის აგვისტოს დასასრულს ბრიტანელებმა მოხალისეებს კასპიის ფლოტილიის გემები გადასცეს. 15 სექტემბერს ბრიტანულმა ჯარებმა ბაქო რკინიგზით დატოვეს და ბათუმში დისლოცირდნენ. კავკასიის რეგიონიდან ბრიტანული სამხედრო ძალების გასვლა საბოლოო ფაქტად არ განიხილებოდა, რადგან ამ ძალათა უმრავლესობას ადგილი მიუჩინეს მეზობელ ქვეყნებში – ირანსა და ოსმალეთში. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ბრიტანელთა გეგმებში ცვლილებები შეიტანა.

მთიელთა რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის წევრთა ნაწილი გაიქცა თბილისში, სადაც 1919 წლის 2 სექტემბერს კავკასიის მთიელთა წარმომადგენლებმა კონფერენცია მოიწვიეს, რათა მოხალისეთა არმიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და

[28] Е.И. Каширина, Белая добровольческая армия, Вестник Адыгейского государственного университета, сетевое электронное научное издание, 2006, № 2, С. 44.

მთიელთა რესპუბლიკის აღსადგენად ერთიანი ფრონტი ჩამოეყალიბებინათ. ამბოხებულთა მოძრაობის გაძღოლა მთიელთა გაერთიანებულ მეჯლისს დაეკისრა.

ცნობილმა მუსლიმანმა ლიდერმა უზუნ-ხაჯიმ, რომელიც დენიკინელებს დაუპირისპირდა, ახალი სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოაყალიბა – შარიათის მონარქია (ემირატი). ის აერთიანებდა დაღესტნის მთიან რეგიონებს, ჩეჩნეთსა და ინგუშეთის ნაწილს. უზუნ-ხაჯის აჯანყებას მხარს უჭერდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებიც. ისინი თავს დაცულად არ გრძნობდნენ დენიკინის რუსეთისა და ოსმალეთისაგან, რომელიც, მიუხედავად სამოქალაქო ომისა, მაინც არ ამბობდა უარს კავკასიის პროტექტორატზე. ოსმალეთიდან იარაღი საქართველოს გავლით შემოდიოდა, ჩამოვიდნენ სამხედრო ინსტრუქტორებიც. ა. დენიკინს არც ამგვარ მეამბოხურ ქმედებათა აღკვეთა შეეძლო და არც უგულებელყოფა.

19 ოქტომბერს ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭო ალი-გაჯი აკუშინსკის მეთაურობით სოფელ ლევაშში სათავეში ჩაუდგა სახალხო თავდაცვას მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის თავდაცვის ცენტრალური საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით, ოსმალეთი, როგორც „მესამე ძალა“, შეასუსტებდა დენიკინის ზეწოლას ჩრდილო კავკასიასა და დაღესტანზე (თურქი გენერალი ნური-ფაშა დაღესტანში ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტს).

1919 წლის შემოდგომაზე მოხალისეთა არმიის ნაწილებმა რამდენიმე მარცხი განიცადეს. ისინი შიდა ფრონტზე ბრძოლამაც დასუსტდა. აღმოსავლეთის ფრონტიდან გადმოსროლილი შენაერთების გამოყენებით (რომლებიც კოლჩაკის დამარცხების შედეგად გამოთავისუფლდნენ), წითელი სამხედრო ლიდერები კავკასიის ფრონტზე, სტრატეგიული თვალსაზრისით, ერთ მძლავრ მუშტად შეიკრნენ. 1920 წლის მარტსა და აპრილში მათ რამდენიმე თავდასხმა განახორციელეს, რათა ბაქოს რეგიონი და ჩრდილო კავკასია ინტერვენტებისგან, თეთრგვარდიელებისგან (1920 წლის თებერვალში პ. ვრანგელმა ა. დენიკინი მთავარსარდლობიდან გადააყე-

ნა) და ანტისაბჭოთა შეიარაღებული ფორმირებებისგან გაეთავისუფლებინათ.

1920 წლის მარტის დასასრულს აჯანყებულმა მთიელებმა დენიკინის ძალები საბოლოოდ დაამარცხეს, რის შემდეგაც დაღესტნის ტერიტორიაზე წითელი არმიის შენაერთები შემოვიდნენ. დაღესტანში საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ მთიელთა რესპუბლიკის ლიდერები ოსმალეთსა და ევროპაში გაიხიზნენ. დაღესტანში ამბოხებული მთიელების გამარჯვება მოხალისეებზე მოასწავებდა ანტანტის პოლიტიკის დასასრულს კავკასიაში. წითელი არმიის მოახლოვებამ კავკასიასთან ინგლისის ხელისუფლება იძულებული გახადა, კავკასიის ინტერვენციისათვის ახალი გეგმები შეემუშავებინათ. თუმცა ინგლისსა და საფრანგეთში არსებული ვითარება ანტანტას კავკასიაში ახალი სამხედრო ექსპედიციის ორგანიზების შესაძლებლობას არ აძლევდა.

რამ განაპირობა ამგვარი კონფლიქტი, მოხალისეთა არმიის, ბრიტანელებისა და მთიელთა რესპუბლიკის დამარცხება და წითლების გამარჯვება?

მოხალისეთა მარცხი, მიუხედავად მოკავშირეთა მნიშვნელოვანი დახმარებისა, უმთავრესად, განპირობებული იყო ეროვნული და სოციალური ფაქტორით, რომელსაც დენიკინი უგულებელყოფდა. გარდა ამისა, დენიკინის არ აღმოაჩნდა უნარი, იდეოლოგიურად გააერთიანებინა მრავალეროვანი რუსეთი. თეთრებმა ვერ შექმნეს ერთიანი და მკაფიო იდეოლოგიურ-პოლიტიკური პლატფორმა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია მყარი ანტიბოლშევიკური მოძრაობის ჩამოყალიბებაზე ჩრდილო კავკასიაში.

ყოფილი იმპერიის ხალხების მიერ ბოლშევიზმის დასამარცხებლად საჭირო იყო, შექმნილიყო ფართო კოალიცია. ამას აღნიშნავდა როგორც ბ. სავინკოვი, დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრის მოადგილე და შემდგომში „პარიზში რუსეთის პოლიტიკური შეხვედრის“[29] მონაწილე, ასევე გენერალი ი. ერდელი,

[29] W.S. Churchill, M. Savinkov and Russian Policy, Memorandum by the Secretary of State for War.,27.11.1919, NA. CAB. 24/94, P. 130.

ზემოხსენებულ მოვლენათა უშუალო მოწმე.[30] თეთრები სამხედრო პოლიტიკის შემუშავებისას არ ითვალისწინებდნენ ეთნიკური ფაქტორის მნიშვნელობას რეგიონის ცვალებადი სიტუაციისთვის. მათ არ ჰქონდათ ადგილობრივთა ინტერესების შესატყვისი პროგრამა ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით (მაგალითად, მუსლიმანებს არ ეხებოდათ გაწვევა ცარისტულ ჯარში, შესაბამისად, ბრძანება დენიკინის ჯარში მათი სამსახურის შესახებ მიუღებელი იყო მთიელთათვის). ამან მთიელები მოხალისეთა ჯარისგან განიზიდა.

მოხალისეთა არმია, რომელიც მოკავშირეებთან თანამშრომლობდა, „საკუთარი ხალხის თვალში პოლიტიკურ ბანკროტად იქცა". მათი მატერიალური და სამხედრო დახმარება რუსეთში პოლიტიკური რეზონანსის არაპროპორციული იყო.[31]

ანტანტის პოლიტიკა მიზნად ისახავდა რუსეთისაგან კავკასიის ჩამოშორებას. დენიკინს ეხმარებოდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ უპირისპირდებოდნენ ყოველ ჯერზე, როდესაც ის „ერთიან და განუყოფელ რუსეთზე" იწყებდა საუბარს. ლონდონი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, წინ აღდგომოდა ჩრდილო კავკასიაში დენიკინის სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლების დამყარებას, იძულებული გახდა, მიეღო ეს ფაქტი. თუმცა ბრიტანელები მთიელთა ზურგს უკან ჯერ კიდევ მხარს უჭერდნენ მოხალისეთა შეტევებს ჩრდილოეთ კავკასიაზე, რადგან მათ საკუთარი ნების აღმსრულებლად მიიჩნევდნენ. ბრიტანელებსა და დენიკინს კავკასიის ხალხების დაშორიშორება, ცალ-ცალკე ეროვნულ რეგიონთა შექმნა და მათზე პროტექტორატის მოპოვება სურდათ. თეთრების სარდლობის პოლიტიკა ეყრდნობოდა პრინციპს – „გათიშე და იბატონე". მთიელთა ერთობის გასატეხად ისინი „მიმართავდნენ ინგუშებს, ჩეჩნებსა და დაღესტნელებს და მათში

---

30 О.М. Морозова, Баловень судьбы генерал Иван Георгиевич Эрдели, Москва, 2013, С. 167.

31 В.В Кулакова., Е.И. Каширина, Причины поражения белого движения на Юге России, Вестник Адыгейского государственного университета, сетевое электронное научное издание, 2006, № 2, С. 46.

პარტიკულარისტული გრძნობების აღძვრას ცდილობდნენ".[32] შედეგად, სამხედრო და პოლიტიკური კონფრონტაცია მოხალისეთა არმიას, ბრიტანელებსა და მთიელთა მთავრობას შორის სამივე ძალისათვის დამღუპველი აღმოჩნდა, ხოლო წითლებმა წარმატებას მიაღწიეს, რადგანაც ესმოდათ ამგვარი თანასაზოგადოების გასაერთიანებლად საჭირო იდეოლოგიისა და ძლიერი სახელმწიფო მმართველობის აუცილებლობა. ისინი სამხედრო პრობლემებს კომპლექსურად უდგებოდნენ და მრავალმხრივ დამპყრობლურ პოლიტიკას ატარებდნენ.

[32] А.М. Топчибаши, Парижский архив 1919-1940, В четырех книгах, Книга первая 1919-1921, Составители Г. Мамулиа и Р. Абуталыбов, Введение, перевод и примечания Г. Мамулиа, – Москва, 2016. С. 46.

სამუსლიმანო საქართველო 1918-1921 წლებში და პირველი რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის ფორმირება

ენდრიუ ანდერსენი
კანადა, კალგარის უნივერსიტეტი

ტერიტორია, რომელსაც XIX-XX საუკუნეებში „სამუსლიმანო საქართველოს“ სახელით იცნობდნენ, მრავალი წლის განმავლობაში გაუთავებელი შეიარაღებული კონფლიქტების ასპარეზი იყო. მის დასაპატრონებლად ერთმანეთს ეცილებოდნენ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები, ხოლო პირველი რესპუბლიკის პერიოდში – საქართველო, სომხეთი და თურქეთი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა და მისი შემდგომი დანაწევრება ითვალისწინებდა თურქეთსა და საქართველოს შორის თანამედროვე საზღვრის ჩამოყალიბებას და ამასთან ერთად – „სამუსლიმანო საქართველოს“ კონცეფციის დასასრულს, რადგან მისი დიდი ნაწილი კვლავ თურქეთს შეუერთდა. ყოფილი „სამუსლიმანო საქართველოს“ მცირედი ნაწილი ე.წ. „საბჭოთა სოციალისტური საქართველოს“ შემადგენლობაში დარჩა, რომელიც, თავის მხრივ, სსრკ-ის ნაწილი იყო. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ის დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოს შეუერთდა, თუმცა ყოფილი „სამუსლიმანო საქართველოს“ ქართული ნაწილი დღემდე არაერთი უცხოური სახელმწიფოსა თუ ინვესტორის ყურადღებას იქცევს, რომლებსაც მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აქვთ.

რას წარმოადგენს „სამუსლიმანო საქართველო“?

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში „სამუსლიმანო საქართველოს“ კონცეპტი იმ ისტორიულად ქართული მიწების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რომლებიც საქართველომ XVI საუკუნეში ოსმალეთის იმპერიასთან ბრძოლაში დაკარგა. დაპყრობილი მოსახლეობა ისლამზე მოაქციეს და გაათურქეს. ეს ტერიტორია მოიცავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის უმეტეს ნაწილს, რომლებიც დღეს საქართველოს შემადგენლობაშია, ასევე თურქულ პროვინციებს – არდაგანს, ართვინს, რიზესა და ოლურის რაიონებს, ოლთუს, სენკაიას, ნამანს, თორთომს, უზუნდერეს, ისპირს, ფინდიკლისა და არდესენს (იხ. რუკა ა)

„სამუსლიმანო საქართველოს“ მოკლე ისტორია

მოგვიანებით „სამუსლიმანო საქართველოდ“ წოდებულ ტერიტორიათა ისტორია გრძელია და დრამატული. დღესდღეობით საქართველოს ისტორიის ექსპერტები, მათ შორის, ა. მიქაბერიძე, დ. რეიფილდი და რ.გ. სუნი, თანხმდებიან იმაზე, რომ ეს ტერიტორია საქართველოს კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანია, რადგან ძვ.წ. VII საუკუნეში თანამედროვეთათვის ტაოხებად (დიაოხებად) ცნობილმა ადგილობრივმა ტომებმა სწორედ იქ ჩამოაყალიბეს პირველი სახელმწიფოებრივი ფორმაცია, პროტოქართული სახელმწიფოს ჩანასახი.[1]

ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. IV საუკუნიდან მოყოლებული, ეს მიწები პროტოქართული სახელმწიფოების – კოლხეთისა და იბე-

[1] W.E.D. Allen, *A History of the Georgian People*, London, 1932, pp. 24, 33,58; R.H. Hewsen, *Armenia: a Historical Atlas*, Chicago, 2001, pp. 30-31; A. Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia* New York / London, 2015, pp. 262, 625; D. Rayfield, *Age of Empires: a History of Georgia*, London, 2012, pp. 16-17; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 6-9.

რიის – შემადგენლობაში შედიოდა.[2] ძვ.წ. II საუკუნეში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკურმა რუკამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ზემოხსენებულ ტერიტორიათა უდიდესი ნაწილი უფრო ძლიერი მეზობლის ხელში აღმოჩნდა. ძვ.წ. 189 – ახ. წ. 115 წლებში პონტოური ალპების (ქაჩაქრის) სამხრეთით მდებარე მიწები სომხეთმა მიიტაცა.[3] ძვ.წ. 101 წელს პონტოს ქედის ჩრდილოეთით მდებარე მიწები, რომელსაც შემდეგ ლაზისტანს (ლაზონა/ჭანეთი) უწოდებდნენ, მთელ კოლხეთთან ერთად პონტოს სამეფომ დაიპყრო და ეს ტერიტორიები ამ სახელმწიფოს საზღვრებში რჩებოდა ძვ. წ. 64 წლამდე, ვიდრე პონტოს სამეფოს რომი დაეპატრონა.[4]

ახ.წ. III საუკუნეში ადრექართული სახელმწიფოების კონსოლიდაცია მოხდა და იბერიამ და ლაზიკამ (კოლხეთის სახელმწიფოს მემკვიდრემ) დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნეს. თუმცა ამ ადრექართულ სახელმწიფო ფორმაციათა საზღვრები სამხრეთ კავკასიაში მომდევნო 500 წლის განმავლობაში არასტაბილური იყო ბიზანტიასა და სასანიანთა იმპერიას შორის პერმანენტული ომების, შემდეგ კი, 650 წლიდან მოყოლებული, ბიზანტიასა და არაბთა შორის დაპირისპირების გამო.[5]

IX საუკუნის დასაწყისისთვის, არაბულ-ბიზანტიური ომებისა და არაბული ხალიფატის დაღმავლობის შემდეგ, ქართულენოვანი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი პატარა სამეფოებად და საერისთავოებად იყო დაქუცმაცებული. ტერიტორიაზე, რომელსაც საუკუ-

---

2 R.H Hewsen, *Armenia: a Historical Atlas*, Chicago, 2001, pp. 31-33; A. Javakhishvili (ed.), *Atlas Gruzinskoy SSR*, Moscow, 1964, c. 244-245; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 2-4.

3 R.H Hewsen *Armenia: a Historical Atlas*, Chicago, 2001, pp, 34-39; R.G Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 13; A. Javakhishvili (ed.), *Atlas Gruzinskoy SSR*, Moscow, 1964, c. op.cit.

4 *The Cambridge Ancient History Volume 9: The Last Age of the Roman Republic, 146-43 BC*, Cambridge, 1994, pp. 137-140, 248-258; ; A. Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia* New York / London, 2015, p. 233; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 13-14.

5 W.E.D. Allen, *A History of the Georgian People*, London, 1932, pp.75-80; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp.15-29.

ნეთა შემდეგ „მუსლიმანური საქართველო“ ეწოდა, ახ.წ. IX საუკუნის პირველ ათწლეულებში იშვა და აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო ტაო-კლარჯეთი, სადაც ადარნასემ, ბაგრატიონთა (ბაგრატუნთა) სომხურ-ქართული სამეფო სახლის მემკვიდრემ, თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა არტაანის, ერუშეთისა და კოლას პროვინციები, ტაოს ნაწილი (რომელსაც სომხეთში ტაიკად იცნობდნენ) და კლარჯეთის, ოძრხისა და წუნდას საერისთავოები.[6] 826 წლისათვის ბიზანტიის იმპერატორმა ადარნასეს ვაჟს, აშოტ I დიდს, კურაპალატის (სასახლის მცველის) ტიტული უბოძა, მის სამეფოს დაპყრობილი სამცხე, თრიალეთი და შიდა ქართლიც შეუერთა და იბერიის საკურაპალატოდ გარდაქმნა, 800-იანი წლების დასაწყისის უძლიერეს ქართულ სახელმწიფოდ ცენტრით არტანუჯში (იგივე დღევანდელი არდანუჩი თურქეთში, ართვინის პროვინციაში).[7] აშოტ I-მა გარდაცვალებამდე თავი იბერიის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. 1008-1014 წლებში მეფე ბაგრატ III-მ, აშოტ I-ის შთამომავალმა, შექმნა პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო, სადაც ერთი გვირგვინის ქვეშ თავი მოუყარა ყველა ქართული სამეფოსა და სამთავროს.[8]

1065-1080 წლებში მთელი საქართველო, შემდგომში „სამუსლიმანო საქართველოდ“ ცნობილი (იმ დროისთვის კი უდავოდ ქრისტიანული) ტერიტორიის ჩათვლით, თურქ-სელჩუკებმა მიწასთან გაასწორეს. სელჩუკთა იმპერიასთან ბრძოლა, რომელიც ათწლეულები გაგრძელდა, დავით IV აღმშენებლის მეფობის ხანაში (1089-1125) ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენით დაგვირგვინდა. ეს საქართველოს „ოქროს ხანის“ დასაწყისი იყო. „ოქროს ხანად“ წოდებული პერიოდი გრძელდებოდა 1223 წლამდე, საქართველოში

6 R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, p. 29.

7 D.M. Lang, *A Modern History of Georgia*, New York, 1962,p. 28; A. Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia* New York / London, 2015, p.625; D.Rayfield, *Age of Empires: a History of Georgia*, London, 2012, pp 201-230; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 29-30.

8 D.M. Lang, *A Modern History of Georgia*, New York, 1962,p. 28; A. Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia* New York / London, 2015, p. 626; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 32-33.

მონღოლების შემოსევამდე. ამ წლებში ჩვენ მიერ განსახილველი ტერიტორია რამდენიმე პროვინციად დაიყო. ესენი იყო: თორთომი, პარხალი, ოლთისი, იმერტაო, ამიერტაო, არტაანი, კლარჯეთი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე (მესხეთი) და, ნაწილობრივ, გურია.[9]

მონღოლთა ბატონობას ცენტრალური აზიიდან სხვა მომთაბარე ურდოების შემოსევები მოჰყვა, ხოლო XV საუკუნის დასაწყისში ორასზე მეტწლიანი გაუთავებელი ომიანობისა და არეულობის შემდეგ ერთიანი საქართველო სამ სამეფოდ დაიშალა.[10] უფრო ადრე ჯაყელების წარჩინებულმა გვარმა იმ პროვინციათა ტერიტორიაზე, რომლებსაც შემდეგ „სამუსლმანო საქართველოს“ სახელით იცნობდნენ, დამოუკიდებელი სამფლობელო დააარსა. 1491 წლისათვის ჯაყელების სამფლობელომ სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა მოიპოვა და მას სამცხე-საათაბაგო ეწოდა.[11]

XV საუკუნის მეორე ნახევარში დასუსტებული და დაქუცმაცებული საქართველო ორ მზარდ მუსლიმანურ იმპერიას – ოსმალეთსა და სპარსეთს (ირანს) – შორის მოექცა. ოსმალეთისა და სპარსეთის შემდგომ შემოსევებს თან სდევდა ტერიტორიების დაკარგვა. 1590 წლისათვის თურქებს სამცხე-საათაბაგო უკვე მთლიანად ჰქონდათ მიტაცებული და გადაკეთებული გურჯისტანის *ვილაიეთად* (საქართველოს პროვინციად). რამდენიმე წლის შემდეგ ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ახალციხის *ფაშალიკად* (საფაშოდ) ჩამოყალიბდა (იხილეთ რუკა ა).[12] ოსმალეთის თითქმის სამას-

---

9 A. Javakhishvili (ed.), *Atlas Gruzinskoy SSR*, Moscow, 1964 c. 251-252; R.H Hewsen, *Armenia: a Historical Atlas*,Chicago, 2001, p. 130.

10 A. Javakhishvili (ed.), *Atlas Gruzinskoy SSR*, Moscow, 1964 c. 253-255;, D.M. Lang, *A Modern History of Georgia*, New York, 1962,pp. 31-32; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 41-46.

11 A. Javakhishvili (ed.), *Atlas Gruzinskoy SSR*, Moscow, 1964 c. 253-255; R.H Hewsen, *Armenia: a Historical Atlas*, Chicago, 2001, p. 148; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, pp. 41, 45-46.

12 W.E.D. Allen, *A History of the Georgian People*, London, 1932, p. 148; A. Javakhishvili (ed.), *Atlas Gruzinskoy SSR*, Moscow, 1964, c. 256-258; R.H Hewsen, *Armenia: a Historical Atlas*, Chicago, 2001, pp. 146, 148, 150;,A. Mikaberidze, *Historical Dictionary of Georgia* New York / London, 2015, p 23; D.Rayfield, *Age of Empires: a History of Georgia*, London, 2012, pp. 227-230.

წლოვან ბატონობას მიწაზე, სადაც ოდესღაც ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი დაირწა, თან სდევდა ინტენსიური გათურქება და ისლამიზაცია, ასე რომ, XIX საუკუნის ბოლოსათვის მან შესამჩნევად დაკარგა ქართული ხასიათი. ჭანეთი (ლაზისტანი/ლაზონა) ოსმალო თურქებმა უფრო ადრე, 1461 წელს, მიიტაცეს ტრაპიზონის დაცემულ იმპერიასთან ერთად.

XVIII საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერია საქართველოსათვის ბრძოლაში ოსმალეთსა და სპარსეთს დაუპირისპირდა. 1801 წელს რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოში ხელში ჩაიგდო ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო 1866 წლისათვის სწრაფად მზარდმა იმპერიამ დასავლეთ საქართველოს დარჩენილი 5 დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროც შეიერთა.

რუკა ა

1828-1878 წლებში, სამი რუსულ-ოსმალური ომის შედეგად, „სამუსლიმანო საქართველოს“ უდიდესი ნაწილი პორტამ რუსეთს გადასცა. XX საუკუნის დასაწყისისათვის „სამუსლიმანო საქართველო“ შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაიყო:

რუსეთის იმპერია		
თბილისის პროვინცია *(გუბერნია)*	ახალციხის ოლქი	
ქუთაისის პროვინცია (*გუბერნია*)	ბათუმის რაიონი ართვინის რაიონი	
ყარსის ტერიტორია *(ოლქი)*	არდაგანის რაიონი ოლთუს რაიონი	
ოსმალეთის იმპერია		
ერზრუმის *ვილაიეთი*	ერზრუმის *სანჯაყი*	ისპირ *ყაზა* ქესკინ *ყაზა* თორთუმ *ყაზა*
ტრაპიზონის *ვილაიეთი*	ლაზისტანის[1] *სანჯაყი*	

რუსეთის მიერ „სამუსლიმანო საქართველოს“ უდიდესი ნაწილის ანექსირებას 1878 წელს საქართველოს ინტელექტუალური ელიტა ენთუზიაზმითა და ეიფორიით შეხვდა. თუმცა ამ აღფრთოვანებას დიდი იმედგაცრუება მოჰყვა, რადგან რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ ისტორიული ქართული მიწები არა მარტო ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყო, არამედ მხარი არ დაუჭირა მუსლიმანი ქართველების ხელახალ გაქრისტიანებას და აღკვეთა ქართული სამღვდელოების რბილი მცდელობა, რომ ოსმალეთიდან შემოერთებულ რაიონებში წირვა-ლოცვა აღევლინათ.[13]

[13] N. Durnovo, *Sudby Gruzinskoi Tserkvi: po voprosu o Gruzinskoi tserkovnoi avtokefalii,* Moscow, 1907; M. Gnolidze, “Activity of Russian Ortodox Church among the Muslim Natives of the Caucasus in Imperial Russia” in *Caucasus and Central Asia Newsletter* (UC-Berkley), Issue 4 / Summer 2003.

სამუსლიმანო საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა XX საუკუნის დასაწყისში

XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის შემადგენლობაში მყოფი „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ამგვარი იყო:[14]

ბათუმის რაიონი	
ეთნიკური წარმომავლობა	**%**
ქართველი	63.9
რუსი	8.2
სომეხი	8
ბერძენი	5.3
ოსმალო თურქი	3.6
სხვა	11

არდაგანის რაიონი	
ეთნიკური წარმომავლობა	**%**
სომეხი	2.9
ოსმალო/აზერბაიჯანელი თურქი	61.0
ქურთი	19.1
ბერძენი	11.8
რუსი	3.1
ქართველი	2.1

ართვინის რაიონი	
ეთნიკური წარმომავლობა	**%**
ოსმალო თურქი	73.87
სომეხი	13.9
ქართველი	9.8
უკრაინელი	1.3
რუსი	0.5
სხვა	0.6

ოლთუს რაიონი	
ეთნიკური წარმომავლობა	**%**
სომეხი	9.7
ოსმალო/აზერბაიჯანელი თურქი	64.7
ქურთი	10.9
ბერძენი	8.4
რუსი	3.2
ქართველი	3.1

14 *Pervaya vseobschaya perepis naselenia Rossiyskoy imperii 1897 goda: Gubernskie itogi,* St. Peterburg, 1903-1905.

ახალციხის რაიონი	
ეთნიკური წარმომავლობა	**%**
ოსმალო თურქი	35.5
სომეხი	22
თათარი (აზერი/თურქი)	18
ქართველი	17.7
რუსი	2.5
სხვა	4.3

ახალქალაქის რაიონი	
ეთნიკური წარმომავლობა	**%**
სომეხი	71.1
თათარი (აზერი თურქი)	10.2
ქართველი	6.2
რუსი	9.4
ბერძენი	0.1
სხვა	3

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რუსების მიერ კონტროლირებად „სამუსლიმანო საქართველოს“ ოთხიდან სამ რაიონში და ორიდან ერთ ოლქში თურქები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ქართველთა თემი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ბათუმის რეგიონში, ხოლო ახალქალაქის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობა სომეხი იყო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ აღწერის მიხედვით, რომელიც რუსეთის იმპერიამ 1897 წელს ჩაატარა, ზემოხსენებული ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლები სუნიტი მუსლიმანები იყვნენ. ახალქალაქის რაიონი (ჯავახეთი) გამონაკლისი იყო, რადგან მისი მოსახლეობის 70%-ზე მეტს სომხები შეადგენდნენ. ამის მიზეზი ისაა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომებისას 1828-1829 წლებში ჯავახეთის გამუსლიმანებული ქართველები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის შემოჭრას. ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, მათ მიატოვეს მშობლიური მიწები და თავის გადასარჩენად ანატოლიას (ცენტრალური თურქეთი) მიაშურეს. გამარჯვებულმა რუსებმა დაცარიელებულ პროვინციაში დაუყოვნებლივ ჩაასახლეს დუხობორები ცენტრალური რუსეთიდან და თურქი სომხები (ძირითადად, ერზრუმის პროვინციიდან), რომლებსაც ოსმალეთიდან კავკასიაში, რუსეთის ახალ სამფლობელოში, მასობრივი განსახლებისკენ აგულიანებდნენ.

რაც შეეხება ეთნიკურ ქართველებს რუსეთის მიერ კონტროლირებადი „სამუსლიმანო საქართველოდან“, უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის მათი უმრავლესობა სუნიტი მუსლიმი იყო. ქრისტიანი ქართველები (მართლმადიდებლები და კათოლიკეები) უმცირესობას წარმოადგენდნენ ბათუმის რეგიონსა და ახალქალაქ-ახლციხის ოლქებში. ართვინში, ოლთუსა და არდაგანში ქრისტიანი ქართველები, პრაქტიკულად, არ ცხოვრობდნენ. აღწერილი ვითარება იყო ისლამიზაციისა და მოსახლეობის ნაწილობრივი გადანაწილების შედეგი, რომელიც თან სდევდა ოსმალეთის იმპერიასთან სამცხის მიერთებას. მკვიდრი მოსახლეობის 60%, რომელიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, გამუსლიმანდა, ხოლო ვინც უარს აცხადებდა ისლამის მიღებაზე, იძულებული იყო, რეგიონიდან გაქცეულიყო, ძირითადად, იმერეთის მიმართულებით. სამცხეში მიტოვებულ მიწებზე ოსმალო კოლონისტები სახლდებოდნენ, მეტწილად, თურქული და ქურთული წარმომავლობის მომთაბარეები.[15] მას შემდეგ ამ მიწათა ქრისტიანულ, ქართულ წარმომავლობაზე მხოლოდ ოშკის, ხახულის, იშხნის, ოთხთა ეკლესიისა თუ სხვა ტაძართა ნაშთები და სოფლების ქართული დასახელებები თუ მიგვანიშნებს.[16] XIX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ისლამზე მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს თურქად და ოსმალეთის ერთგული ქვეშევრდომად მიიჩნევდა, თუმცა ზოგიერთმა იცოდა თავის ქართული ან ნახევრად ქართული წარმომავლობის შესახებ.

რაც შეეხება „სამუსლიმანო საქართველოს“ იმ ნაწილის ეთნიკურ შემადგენლობას, რომელიც 1878-1914 წლებში ოსმალეთის ქვეშევრდომი იყო, მის შესახებ ხელმისაწვდომი ოფიციალური ინფორმაცია არ მოგვეპოვება. თუმცა, XX საუკუნის საეკლესიო სტატისტიკაზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ ლაზისტანის სრული მოსახლეობის დაახლოებით 25% ქრისტიანული აღმსა-

15 D. Rayfield, *Age of Empires: a History of Georgia*, London, 2012, pp. 231-232; R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation,* Indianopolis, 1994, p. 52.

16 ამგვარი სახელების უმტესი ნაწილი თურქულით იქნა ჩანაცვლებული 1920-იან წლებში.

რებლობისა იყო (სომხები და ბერძნები), ხოლო დარჩენილი 75% – სუნიტი მუსლიმანი. ლაზისტანის მუსლიმანთა მხოლოდ ნახევარზე მეტი იყო ლაზური წარმომავლობის და ლაპარაკობდა ზანურ ენაზე, რომელიც მჭიდროდ ენათესავება მეგრულს, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ დიალექტს. ასევე ხელი არ მიგვიწვდება ცნობებზე, არსებობდა თუ არა ქართულენოვანი მოსახლეობა ერზერუმის სინჯაყის სამ აღმოსავლურ ყაზაში.

I მსოფლიო ომი და და პირველი რესპუბლიკის დაბადება: შედეგები „სამუსლიმანო საქართველოსთვის“

როდესაც 1914 წლის 2 ნოემბერს რუსეთის იმპერიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა, I მსოფლიო ომის ველად კავკასიაც იქცა[17] და ორივე მხარემ მაშინვე აქტიური საომარი მოქმედებები დაიწყო. 16 ნოემბერს თურქული არმია კონსტანტინოპოლის პირველი კორპუსის დანაყოფებით ჭოროხის შესართავის სამხრეთით ბათუმში შეიჭრა. ადგილობრივი მუსლიანმი ქართველებისთვის, რომლებიც ოსმალეთის დედაქალაქიდან ჯიჰადის მოწოდებას გამოეხმაურნენ, ეს აჯანყების დაწყების ნიშანი იყო. რამდენიმე დღეში ოსმალეთის თურქებისა და ადგილობრივი აჯანყებულების ერთობლივმა ძალებმა აიღეს ქალაქები ართვინი და არტანუჯი და ბათუმსა და არდაგანს დაემუქრნენ.[18] საზარელი ბრძოლები, რომლებიც არდაგანისა და სარიყამიშის მიდამოებში ორი თვე მიმდინარეობდა, ოსმალების მარცხით დამთავრდა. 1915 წლის თებერვალსა და მარტში რუსებმა კონტრშეტევები დაიწყეს და უკან დაიბრუნეს არდაგანი, ართვინი, ოლთუ და ხოფა. 1915 წლის გაზაფხულზე რუსეთის სარდლობამ ბრძოლა მტრის ტერიტორიაზე გადაიტანა. რუსებმა, რომლებიც 1916 წლის ზაფხულამდე აგრძელებდნენ შეტევებს ანატოლიაში, ერზრუმი, ვანი, ერზინჯანი და ტრაპიზონი აიღეს.[19]

---

17 A.M. Zayonczkowski, *Pervaya Mirovaya Voina*, St. Petersburg, 2002, c. 299.

18 იქვე, გვ. 376.

19 იქვე, გვ. 582.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ ლაზისტანის ოკუპაციისას ლაზეთის მოსახლეობა ოსმალეთის მიმართ იყო ლოიალურად განწყობილი, განსხვავებით ადგილობრივი სომხებისა და ბერძნებისაგან, რომლებიც განმათავისუფლებლად რუსეთის ჯარებს მიიჩნევდნენ.

საზონოვ-საიქს-პიკოს შეთანხმება

იმის გათვალისწინებით, რომ 1916 წლის თებერვალ-მარტში რუსეთმა აღმოსავლეთ ოსმალეთში ტრიუმფალური გაიმარჯვება მოიპოვა, ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის, ოტომანთა იმპერიის სამომავლო დანაწილებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკება გაიმართა. მოლაპარაკებები, რომლებიც ჯერ კიდევ 1915 წლის აპრილის შუა რიცხვებში დაიწყო, 1916 წლის 9 მაისს დასრულდა და ხელი მოეწერა საიდუმლო კონვენციას. შეთანხმებამ, რომელსაც თანამედროვენი საზონოვ-საიქს-პიკოს ხელშეკრულების სახელით იცობენ, სამართლებრივად გააფორმა რუსეთის პრეტენზია შავი ზღვის სრუტეებზე და მას ერზრუმის, ბითლისისა და ვანის ვილაიეთები, ასევე ტრაპიზონის ვილაიეთის აღმოსავლეთ ნაწილი და ულ-აზიზისა და დიარბექირის ნაწილები მიაკუთვნა.[20] შედეგად, 1917 წლის გაზაფხულისათვის სრულიად რეალისტური ჩანდა, რომ სომხეთის მიწების ძირითადი ნაწილი, ისევე, როგორც საქართველოს ისტორიული ტერიტორია, რომელიც ჯერ კიდევ ოსმალეთის ქვეშევრდომი იყო, რუსეთის იმპერიას დაექვემდებარებოდა.

რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ოსმალეთის შემოჭრა კავკასიაში

1917 წლის დასაწყისისათვის, როდესაც რუსეთი სერიოზულმა არეულობამ მოიცვა, ვითარება რეგიონში მკვეთრად გაუარესდა.

20 R. G.Hovannissian, *Armenia on the Road to Independence 1918*, Los Angeles, 1969,pp. 59-62; S. McMeekin, The Russian Origins of the First World War, London, 2011, pp. 194-213; A. Nassibian, *Britain and the Armenian Question, 1915-192*, London, 1984, p. 55.

1917 წლის მარტში იმპერია დაეცა, მონარქია გაუქმდა და ცოტა ხანში ქვეყანა რესპუბლიკად გამოცხადდა. ამ მომენტისათვის კავკასიის ფრონტი სტაგნაციის ფაზაში შევიდა. დაგეგმილი ოპერაციები შეჩერდა, სამხედრო სამსახურიდან დათხოვილმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ რომანოვმა და გენერალმა იუდენიჩმა, 1915-1916 წლების ძლევამოსილმა მხედართმთავრებმა, კავკასიის არმია დატოვეს, ხოლო ახალი სარდალი, გენერალი პრჟევალსკი,[21] დროებითი მთავრობისაგან ახალ ინსტრუქციებს ამაოდ ელოდა. ამასობაში, ფრონტის ხაზზე განლაგებულმა რუსულმა ჯარმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო ევაკუაცია, რაც დიდწილად უმოქმედობის, ცუდი მომარაგებისა და რევოლუციამდელი სუბორდინაციისა და დისციპლინის მოშლის შედეგი იყო. 1917 წლის მაისში ფრონტის ხაზზე დე ფაქტო ზავი დამყარდა.[22] 18 დეკემბერს ერზინჯანში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ ცეცხლის შეწყვეტაზე 1918 წლის დასაწყისამდე სამხედრო მოქმედებებს ბოლო მოუღო.[23]

პეტროგრადში ნოემბრის გადატრიალებას, რომელსაც ბოლშევიკები დირიჟორობდნენ, მოკავშირეთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიების, განაპირა რეგიონების (მაგალითად, ფინეთის დიდი ნაწილის), უკრაინისა და კავკასიის გარდა, მთელ ყოფილ იმპერიაში ბოლშევიკების (საბჭოთა) მმართველობის აღიარება მოჰყვა.[24]

1917 წლის 15 (28) ნოემბერს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ავტონომიური კოალიციური მთავრობის ფუნქციას ასრულებდა და მთელ სამხრეთ კავკასიასა და ოსმალეთის მიერ ოკუპირებულ მიმდებარე ტერიტორიებს აკონტროლებდა. ამ მთავრობის შექმნას ხელი შეუწყო აშშ-ის კონსულმა თბილისში. მისი ფორმირება მოხდა საგანგებოდ მოწვეულ კონფერენციაზე, რომელშიც რეგიონალური საკონსულოების წარმომადგენლები, პროფკავშირები და სხვადასხვა პოლიტიკური

---

21 თურქისტანის მეორე კორპუსის ყოფილი მეთაური.

22 A.M. Zayonczkowski, *Pervaya Mirovaya Voina*, St. Petersburg, 2002, c. 646-648.

23 F. Kazemzadeh, The struggle fot Transcaucasia, 1917-1921, New York, 1951, pp. 82-83.

24 ხშირად გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ.

თუ სამოქალაქო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ.[25] 1917 წლის შემოდგომაზე სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ელიტა არაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ ესა თუ ის რეგიონი რუსეთისთვის ჩამოეშორებინათ. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნამდე ცოტა ხნით ადრე თბილისში სომხური და ქართული ეროვნული საბჭოები აირჩიეს, მაგრამ სახელმწიფოებრიობას თავისი ხალხისათვის ერთი მათგანიც არ ითხოვდა. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, მართალია, მიიღო რეზოლუცია საქართველოს თვითმმართველობის შესახებ, მაგრამ დამოუკიდებლობის საკითხის განხილვა დღის წესრიგში ჯერ არ იყო.[26]

1918 წლის 2 თებერვალს ოსმალეთის იმპერიამ ერზინჯანის ზავი დაარღვია და ოსმალთა მე-3 არმიამ (45-50 000 ჯარისკაცით) გენერალ ვეჰიფ ფაშას მეთაურობით ერზინჯანსა და ტრაპიზონზე გამოილაშქრა. ვინაიდან რეგულარულ რუსულ არმიას ფრონტის ხაზი უკვე დაეტოვებინა, თურქები ახლად ფორმირებული 10 000-იანი ძლიერი ქართული კორპუსის პირისპირ აღმოჩნდნენ, რომელსაც გენერალი ვასილ გაბაშვილი მეთაურობდა. ქართული ჯარის ნაწილები მიმოფანტული იყო ტრაპიზონს, არდასას, გუმიშხანეს, ბათუმს, ახალციხესა და ქუთაისს შორის.[27] მომხდურები გადაეყარნენ სომხურ კორპუსსაც გენერალ თომა ნაზარბეკოვის (ნაზარბეკიანის) მეთაურობით. სომხებს, რომელთა რაოდენობა არ აღემატებოდა 21 000 კაცს, უნდა გაემაგრებინათ ფრონტის ხაზი ერზინჯანსა და ვანს შორის და, გარდა ამისა, წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ოსმალეთის მე-4 კავკასიური კორპუსისა და ქურთების არარეგულარული ნაწილების ერთდროული შემოტევისათვის.[28]

---

25 F. Kazemzadeh, The struggle fot Transcaucasia, 1917-1921, New York, 1951, pp. 53, 55-56.

26 R.G.Hovannisian, *Armenia on the Road to Independence*, Los Angeles, 1969, pp.86-90; Kadishev, *Interventsia I grazhdanskaya vojna v Zakavkazyi*, Moscow, 1960, c. 31.

27 W.E.D. Allen, P. Muratoff, *Caucasian Battlefields,* Nashville, 1953,p. 462; A.B. Kadishev*, Interventsia I grazhdanskaya vojna v Zakavkazyi,* Moscow, 1960, c. 48-49.

28 W.E.D. Allen, P. Muratoff., *Caucasian Battlefields*, Nashville, 1953, pp. 463-464; A.B. Kadishev, *Interventsia I grazhdanskaya vojna v Zakavkazyi*, Moscow, 1960, c. 44, 48, 51; R. G. Hovannisian, *Armenia on the Road to Independence*, Los Angeles, 1969, pp.135,158.

1918 წლის თებერვალსა და მარტში ოტომანთა ჯარები ბრძოლას ბრძოლაზე იგებდნენ. 15 მარტისათვის მათ ომამდელ საზღვარს მიაღწია. ამ პერიოდში ქართული ჯარი ოსმალეთთან ბრძოლის მეტად დაბალ ჟინს ავლენდა. შესაძლოა, ეს იმით აიხსნას, რომ გარდა ზოგი ქართველი ნაციონალისტი ინტელექტუალისა, ტრაპიზონსა და ლაზისტანში დაბანაკებულ მეომართა უმრავლესობას ეს მიწები სამშობლოს ნაწილად არ მიაჩნდა და ამიტომ არც ის ესმოდა, რატომ უნდა ებრძოლა ამ შორეულ ქვეყანაში. ქართველი მეომრების საბრძოლო სულისკვეთებაზე ადგილობრივი ლაზი ხალხის მტრული დამოკიდებულებაც მოქმედებდა. ლაზები, რომლებსაც ქართველებთან ენობრივი ნათესაობა აკავშირებდათ, ოსმალეთის იმპერიისა და თურქების აქტიური მხარდამჭერები იყვნენ. ისინი თურქებთან ისლამით იყვნენ შეკავშირებულნი და მათ თანამოძმეებად მიიჩნევდნენ.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგები საქართველოსთვის

1918 წლის მარტში, სანამ გამარჯვებული თურქები ძველი საზღვრისაკენ მიიწევდნენ და აღმოსავლეთის *ვილაიეთების* დარჩენილ ქრისტიანულ მოსახლეობას მუსრს ავლებდნენ, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკში ალიანსის წევრ ქვეყნებთან განსაკუთრებულ საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების IV მუხლი, რომელიც ამიერკავკასიის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე ჩამოყალიბდა, არამარტო ადასტურებდა აღმოსავლეთ ანატოლიის (თურქეთის სომხეთი და ლაზისტანი წერია), სომხეთისა და ლაზისტანის) ოსმალეთისათვის დაბრუნებას, არამედ აუქმებდა რუსეთის სუვერენიტეტს ბათუმის, ართვინის, არდაგანის, ოლთუს, ყარსისა და კაღიზმანის ტერიტორიებზე და ოსმალეთს ჯილდოდ გადასცემდა „სამუსლიმანო საქართველოს“ მთელ ტერიტორიას, გარდა ახალციხისა და ახალქალაქის ოლქებისა.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებით გამოწვეული შოკიდან გამოსულმა ამიერკავკასიის დროებითმა მთავრობამ (ამიერკავკა-

სიის *სეიმმა)* ის ბათილად ცნო და შეეცადა, ოსმალეთის იმპერიასთან ცალკე შეთანხმებისთვის მიეღწია. თუმცა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული ამბიციების მოთოკვა არც მოლაპარაკებებს შეეძლო და არც ამიერკავკასიის *დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის გამოცხადებას* 1918 წლის 22 აპრილს. ოსმალეთი სულ უფრო მეტ დათმობას ითხოვდა. ამგვარი სიხისტეს მიზეზიც ჰქონდა – შუა აპრილისთვის ოსმალეთი უკვე აკონტროლებდა ყველა ტერიტორიას, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ერგო. მასში შედიოდა გამაგრებული საპორტო ქალაქი ბათუმი, რომელიც ოსმალთა 37-ე დივიზიამ 15 აპრილს ლაზთა არარეგულარული ძალებისა და აჭარის მილიციის დახმარებით აიღო.[29] ბათუმის დაცემა ქართული არმიის დემორალიზების, უნიათო სარდლობის, უდისციპლინობის, პაციფიზმისა და თბილისიდან მიღებული ურთიერთგამომრიცხავი მითითებებით იყო გამოწვეული.

ბრძოლა ახალციხისა და ახალქალაქისათვის

მაისის დასაწყისში ოსმალეთის მე-3 არმიის ქვედანაყოფებმა ოლთუს ოლქი, ართვინი, არდაგანი, ნაწილობრივ, ბათუმი აიღეს, ახალციხისა და ახალქალაქის ოლქებში შეიჭრნენ და იქაურობა ეთნორელიგიური დაპირისპირების კერად აქციეს. ეს წარმატება დიდწილად იმ აჯანყების შედეგი იყო, რომელიც ადგილობრივმა მუსლიმანებმა (ეთნიკურმა ქართველებმა და თურქებმა) ქართული მხარის თავდაცვის ხაზის უკან წამოიწყეს.

როგორც ითქვა, XX საუკუნის დასაწყისში ახალციხის მაზრის სოფლის მოსახლეობა, განსხვავებით ადმინისტრაციული ცენტრის მცხოვრებლებისაგან, მეტწილად სუნიტი მუსლიმანი (თურქები, ქურთები და მუსლიმანი ქართველები) იყო. ქრისტიანულ უმცირესობათა ძირითადი კონცენტრაციის ადგილები იყო: სვირი, მუშხი, დვირი-საკირე, ერკოტა და ვარძია-თმოგვი (მართლმადიდებელი

29 A.B. Kadishev, *Interventsia I grazhdanskaya vojna v Zakavkazyi*, Moscow, 1960, c. 49; Г. И. Kvinitadze, *Воспоминания, 1917-1921, Париж, 1985*, c.29.

ქართველები); წყალთბილა, პამაჯი და წყრუთი (სომხები); ვალე, უდე და ზაზალოსთან (კათოლიკეები, მათ შორის, კათოლიკური აღმსარებლობის სომხები). ახალციხე, თავის მხრივ, უპირატესად, ქრისტიანული ქალაქი იყო. ახალციხელთა ნახევარზე ოდნავ მეტს სომხები შეადგენდნენ, $^1/_3$-ს – ორთოდოქსი ქრისტიანები (ქართველები, რუსები, უკრაინელები და ბერძნები), ხოლო 1%-ზე ნაკლებს – კათოლიკეები (უმთავრესად, პოლონელები). ახალციხეში მცირე რაოდენობით ებრაელებიც ცხოვრობდნენ (მთლიანი მოსახლეობის 10%). ამდენად ჭრელი სურათის ფონზე, ადგილობრივი მუსლიმანი პარტიზანები, რომლებმაც 1918 წლის აპრილში ახალციხის პერიფერიები აიღეს და ახალციხეს მოწყვიტეს, მცირე ქრისტიანული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას შეუდგნენ. მათ მხარი აუბეს შეიარაღებულმა ერთმორწმუნეებმა, რომლებიც აქ ოსმალეთის მესამე არმიის მე-5 და მე-10 დივიზიების რამდენიმე რეგულარულ შენაერთთან ერთად მოვიდნენ.[30] შექმნილი ვითარების გამო, ადგილობრივი ქრისტიანები (სომხებიცა და ქართველებიც) ერთ მუშტად შეიკრნენ. სახალხო ლაშქარმა, რომელიც რეგულარული ქართული ჯარის რაზმებთან შეთანხმებულად მოქმედებდა, საკმაოდ კარგად შეძლო რამდენიმე ქრისტიანული ანკლავის დაცვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სამხედრო გამოცდილების ნაკლებობისა, ახალციხელი ქრისტიანებს არც საბრძოლო სულისკვეთება აკლდათ და არც შეიარაღება, მათ შორის, ტყვიამფრქვევები და ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო მათ შენაერთებს ხშირად რუსეთის საიმპერატორო ჯარში სამსახურმოვლილი ოფიცრები უძღვებოდნენ. ოთხკვირიანი ინტენსიური ბრძოლების შემდეგ თურქები შეაჩერეს და ივნისამდე, მშვიდობის საბოლოო დამყარებამდე, ამ რთულ რეგიონში Status Quo აღადგინეს.[31]

ახალქალაქის ოლქში (ჯავახეთის, ისტორიული ქართული პროვინციის, ნაწილში) მცხოვრები ქრისტიანებისათვის, რომ-

---

30 კვინიტაძეზე დაყრდნობით, ახალციხის მუსლიმანი არარეგულარული ჯარები ცალკე დივიზიად ჩამოყალიბდნენ კავკასიის I კორპუსის შემადგენლობაში.

31 A. Sanosian, *Self-defense in the Counties of Akhaltsikh and Akhalkalak in 1918,* Yerevan, 1992, pp. 77-86.

ლებიც მოსახლეობის 90 %-ს შეადგენდნენ, მთლიანობაში უფრო ხელსაყრელი პირობები იყო. ვითარება შეიცვალა 19 მაისს, როდესაც ოსმალეთის მე-5 დივიზიამ სამხრეთიდან მასიური შეტევები დაიწყო. შედეგად, მაისის ბოლოსათვის თურქებმა, რომლებიც რეგიონალურ ცენტრში შეიჭრნენ, ახალქალაქი მიიტაცეს, თუმცა ბრძოლისგან დასუსტებულებმა თბილისზე ვეღარ გაილაშქრეს. ცხადია, ოსმალეთ-ამიერკავკასიის უცნაური ომის ძირითადი არენა 1918 წელს არც ახალციხე ოყო და არც ახალქალაქი. თუმცა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული სახალხო შენაერთებისა და სამხედროების შეუპოვარმა წინააღმდეგობამ შეუძლებელი გახადა თბილისის აღება და მნიშვნელოვნად შეამცირა დანაკარგი მშვიდობიან მოსახლეობაში.

ფოთისა და ბათუმის ხელშეკრულებები

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ეფემერული ფედერაცია დაიშალა და იმავე დღეს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გერმანელთა შუამავლობის შემდეგ 4 ივნისს, ბათუმში გამართული დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ, საქართველოს დელეგაცია იძულებული იყო, ხელი მოწერა „ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მეგობრულ და სამშვიდობო ხელშეკრულებაზე“. ამ შეთანხმების საფუძველზე, თურქეთს გადაეცემოდა არა მარტო ბათუმის, ართვინის, არდაგანისა და ოლთუს მაზრები, არამედ მთელი ახალქალაქი და ახალციხის დიდი ნაწილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი „სამუსლიმანო საქართველო“ ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში ბრუნდებოდა.

მუდროსის ზავი: შედეგები საქართველოსათვის

სანამ 1918 შემოდგომაზე ოსმალეთის ჯარები კავკასიაში ტრიუმფს ზეიმობდნენ, მათი მდგომარეობა სხვაგან ყველგან სულ უფრო უარესდებოდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს საბერძნეთის

კუნძულ ლემნოსზე, მუდროსის ყურეში ღუზაჩაშვებული ბრიტანული კრეისერის, „აგამემნონის“, გემბანზე ოსმალეთის იმპერიამ კაპიტულაცია ოფიციალურად გამოაცხადა. იმავე დღეს „აგამემნონის“ ბორტზე ბრიტანელმა ადმირალმა სომერსეტ არტურ ქოუ-ქალტროფმა და ოსმალეთის საზღვაო მინისტრმა რაუფ ბეიმ მოაწერეს ხელი მუდროსის საზავო ხელშეკრულებად ცნობილ დოკუმენტს. საზავო ხელშეკრულების XI მუხლი ოსმალეთის იმპერიას ავალდებულებდა, დაეტოვებინა ახალციხისა და ახალქალაქის ტერიტორიები, მაგრამ ბათუმის, არდაგანისა და ოლთუს რეგიონები გაურკვეველი ხნით „დროებითი“ თურქული ოკუპაციის ქვეშ რჩებოდა, რამაც ქართველთა იმედგაცრუება გამოიწვია.[32]

თუმცაღა, ბრესტ-ლიტოვსკისა და ბათუმის შეთანხმებები ამიერიდან ბათილდებოდა და ამგვარად, საქართველოსა და სომხეთს შეეძლოთ, მოეთხოვათ თურქების მიერ ამიერკავკასიის ფედერაციისთვის მანამდე წართმეული ტერიტორიები.

„სამუსლიმანო საქართველო“ 1918-1920 წლებში „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა“

ოსმალეთის იმპერიამ მუდროსის ზავს ხელი მოაწერა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ თურქები ადვილად დათმობდნენ 1918 წელს სამხრეთ კავკასიაში დაპყრობილ ტერიტორიებს. ისინი ფორმალურად დათანხმდნენ გამარჯვებული მოკავშირეების მოთხოვნებს, მაგრამ, იმავდროულად, გარკვეული ზომები მიიღეს, რათა გავლენა ბათუმსა (ბათუმისა და ართვინის მაზრებში) და ყარსში (ოლთუს, არდაგანის, ყარსისა და ყაღიზმანის რეგიონებში) მაინც შეენარჩუნებინათ. აქ ინსტრუქტორად დარჩა ასობით თურქი სამხედრო და ამასთანავე – მე-9 არმიის ყველა შენაერთი. თურქებმა სახე უცვალეს სამხედროთა უნიფორმებს, რათა ისინი ადგილობრივ მილიციას მეტად დამსგავსებოდნენ. მათ ყარსსა და ბა-

[32] R. G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Vol. I: The First Year, 1918- 1919,* Berkeley, 1971, pp.56, 199.

თუმში სომეხ-ქართველთა შეჭრა უნდა აღეკვეთათ.[33] გარდა ამისა, ოტომანთა გაწვეულმა ადმინისტრაციამ ყარსში მუდროსის ზავის გაფორმებისთანავე მოახერხა, შეექმნა მარიონეტული სახელმწიფო – „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკა (სდკრ)". ფაჰრეტინ (ერდოღან) პირიოღლუს პროთურქულმა მთავრობამ 1918 წლის 5 ნოემბერს გაამკაცრებინა კონტროლი არა მარტო ყარსის ტერიტორიის 4 რაიონზე, არამედ მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელიც უწინ რუსეთს ეკუთვნოდა, ახლა კი, ბათუმის ხელშეკრულების წყალობით, ოსმალეთს ჰქონდა ანექსირებული.[34] სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის შექმნა მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიულ მისწრაფებებს. საქართველოს მთავრობა პრეტენზიას აცხადებდა ბათუმის მთელ ტერიტორიაზე (ბათუმისა და ართვინის რაიონზე), არდაგანის რეგიონზე და ყარსის მიწებიდან – ოლთუზე (ოლთისზე). სომხეთის მთავრობა, თავის მხრივ, ითხოვდა ყარსის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს, არა მარტო ყარსისა და ყაზიღმანის რაიონებს, არამედ ოლთუსა და არდაგანის რეგიონის უმეტეს ნაწილსაც და, ამავე დროს, ღიად ტოვებდა ბათუმის ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხს.

საქართველოსა და სომხეთის მოთხოვნები ურთიერთწინააღმდეგობრივი იყო, რაც ახალი ტერიტორიული დავის ნიადაგს ქმნიდა. თუმცა წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან – 1918 წლის შემოდგომის მიწურულს ყარსის მთავრობამ უარყო როგორც საქართველოს, ისე სომხეთის მმართველობა და ერთობ ეფექტურად გამოიყენა აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ დეკლარირებული თვითგამორკვევის პრინციპი. მიუხედავად ამისა, სდკრ სარგებლობდა გარკვეული მხარდაჭერით კავკასიის ბრიტანული მისიისაგან.[35] ბრიტანულმა ჯარმა ერევნიდან ყარსისაკენ მიმავა-

33 T.Z. Tunaya, *Turkiyede siyasi partiler, 1859-1952* Istanbul, 1952, pp. 486-487.

34 R.G. Hovannisian, *The Republic of Armenia, Vol. I: The First Year, 1918- 1919*, Berkeley, 1971, pp. 205-206; F.Kazemzadeh, The struggle for Transcaucasia, 1917-1921, New York, 1951, p. 199.

35 F. Kazemzadeh, The struggle fot Transcaucasia, 1917-1921, New York, 1951, pp. 199-200.

ლი გზები ჩაკეტა და ხელი შეუშალა 100 000 სომხის სახლში დაბრუნებას.[36]

1919 წლის თებერვლის დასაწყისში სდკრ-ის პარამილიტარულმა ფორმირებებმა, რომლებსაც სერვერ ბეგი მეთაურობდა, შეუტიეს ბრიტანეთის სამხედრო და სამედიცინო პერსონალს და ქართველების მმართველობის ქვეშ მყოფი ახალციხისა და ახალქალაქის ოლქებიც დაიპყრეს. ამის შემდეგ მოკავშირეთა სიმპათიები შეიცვალა.[37] სდრკ-ის ამგვარმა ქმედებებმა გენერალი თომსონი იძულებული გახადა, რომ 14 მარტს სომეხ და ქართველ ოფიციოზთან შეხვედრისას ყარსის პრობლემურ ტერიტორიაზე ქართველთა და სომეხთა შეჭრის შესაძლებლობა დაეშვა.[38] 1919 წლის აპრილის პირველ რიცხვებში, ქართველთა კონტრშეტევის დაწყების შემდეგ, ბრიტანული ძალები, რომლებიც უკვე ერივანის პროვინციაში იდგნენ, 6 აპრილს ყარსში შევიდნენ.[39] 1919 წლის 10 აპრილს სდკრ-ის ლიდერები დააპატიმრეს და გაასახლეს. ცხრა დღის შემდეგ ქალაქი ყარსი სომეხ გუბერნატორს გადაეცა.

22 აპრილისათვის ქართული ჯარის შენაერთებმა გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით სრულიად გაანადგურეს სერვერ ბეგის გასამხედროებული ნაწილები და ახალციხისა და არდაგანის რეგიონები მთლიანად დაუქვემდებარეს საქართველოს კონტროლს (იხ. რუკა ბ).[40] სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა გაუქმდა და ყარსისა და სარიყამიშის რაიონები სომხეთის რესპუბლიკის მიერ იქნა ანექსირებული, ხოლო არდაგანის ოლქი საქართველომ შეიერთა.[41] ამავე დროს, ბრიტანეთის სარდლობა კავკასიაში სომხეთისა და საქართველოს ჯარებს არ ანებებდა, შე-

---

36 A.S. Lukomsky, "Denikin I Antanta" in *Revolyucija I grazhdanskaja vojna v opisaniyah belogvardejcev: Denikin-Yudenich-Wrangel*, Moscow, 1927, c. 92.

37 R.G. Hovannisian, pp. 210-211 - Г. И. Кинитадзе, *Воспоминания, 1917-1921, Париж, 1985*, с. 84-89.

38 *Op.cit*., p. 213.

39 Г. И. Кинитадзе, *Воспоминания, 1917-1921, Париж, 1985*, с. 89-124.

40 Г. И. Кинитадзе, *Воспоминания, 1917-1921, Париж, 1985*, с. 89-136; A. Denikin, *Ocherki Russkoy Smuty, Vol. IV*, Berlin, 1925, c. 147.

41 R. G. Hovannisian, pp. 220-221.

GEORGIA AND THE SOUTH-WEST CAUCASIAN REPUBLIC (Feb.-Apr./ 1919)
Territory of pro-Turkish South-West Caucasian Republic (S.W.C.R.) By early 1919
Batum Territory and Lore Neutral Zone under British occupation and administration
Territory controlled by Georgia
Territory controlled by Armenia
as of Jan. 24, 1919
Major British garrison
Railroad
Offensive and furthest advance of:
S.W.C.R.
A.F.S.R.
Offensive and furthest advance of Georgian forces
British and Armenian advance on Kars
Disbanding of the S.W.C.R. Government
19.IV
Loo
Sochi
06.II
Gagra
10.II
APKHAZETI
Sukhum
SVANETI
RACHA
Ochamchyra
Zugdidi
Tkibuli
Senaki
Sachkhere
Kutais
GEORGIA
Tskhinval
Gori
PSHAVO-KHEVSURETI
DAGHESTAN
BLACK SEA
Poti
Samtredia
Shorapani
Ozurghet
07.III
Akhaltsikhe
Tiflis
Telav
KAKHETI
Batum
BATUM TERR.
Brit. Occup.
18.IV
09.II
Akhalkalaki
21.IV
Bely Klyuch
Signakh
Zakatala
Shulaveri
Trapezunt
Rize
Artvin
Ardahan
20.IV
22.IV
Zurzuna
22.IV
Brit. Occup.
Alaverdi
Akstafa
TURKEY
Alexandropol
AZERBAIJAN
Merdenek
19.IV
Kars
24.IV
ARMENIA
Gyanja
Olti
National border as of 1914
Border of province / territory
National border, as of 2018

რუკა 8


GEORGIA AFTER THE PARTITION OF THE SOUTH-WEST CAUCASIAN REPUBLIC (April, 1919)
Territory controlled by Georgia
Territory controlled by Armenia
as of April 1, 1919
Major British garrison
Major armed clash
Territory controlled by the Armed Forces of South Russia (S.W.C.R.) By April,1919
Batum Territory and Lore Neutral Zone under British occupation and administration
Territory in dispute:
between Georgia and Azerbaijan
between Georgia and A.F.S.R.
Between Armenia and Azerbaijan
Sochi
18-19.IV
Adler
Gagra
17.IV
Sukhum
Ochamchyra
Zugdidi
Tkibuli
Senaki
Sachkhere
Kutais
GEORGIA
Tskhinval
DAGHESTAN
BLACK SEA
Poti
Samtredia
Shorapani
Gori
Ozurghet
Telav
Batum
BATUM TERR.
Brit. Occup.
Akhaltsikhe
Tiflis
Bely Klyuch
Signakh
Zakatala
Shulaveri
Trapezunt
Rize
Artvin
Ardahan
Ceded by Georgia to Armenia
Brit. Occup.
Alaverdi
Akstafa
TURKEY
Alexandropol
AZERBAIJAN
Merdenek
Kars
ARMENIA
Gyanja
Olti
National border as of 1914
Border of province / territory
National border, as of 2018

რუკა 9

სულიყვნენ ოლთუს (ოლთისის) რაიონში, რომელზეც პრეტენზია ორივე ქვეყანას ჰქონდა და არც სომხების მიერ თავისად გამოცხადებულ ყარაქურთის სექტორში შესვლის საშუალებას იძლეოდნენ. ამგვარად, ეს ტერიტორია ადგილობრივი მუსლიმანი ბელადების ხელში რჩებოდა, სანამ ის თურქეთ-სომხეთის ომისას 1920 წლის მიწურულს კვლავ თურქებმა არ მიიერთეს. რამდენიმე თვის შემდეგ საქართველომ არდაგანის ნაწილი (ოკამის სექტორის ნაწილი და ჩილდირის სექტორის უდიდესი წილი) სომხეთს გადასცა (იხ. რუკა გ).[42]

ბათუმის ტერიტორია

რაც შეეხება ბათუმის ტერიტორიას, 1918 წლის 15 დეკემბრიდან ის ბრიტანეთის ხელში აღმოჩნდა.[43] ბრიტანეთის მმართველობა ვრცელდებოდა ოლთუს რაიონსა (ოლორის სექტორის ნაწილი) და არდაგანზეც (ქართველების მიერ დატოვებულ ოკამის სექტორის ნაწილზე).[44] ბრიტანეთის მმართველობა ბათუმის ტერიტორიაზე (ბათუმისა და ართვინის რაიონებში) გრძელდებოდა მანამ, სანამ 1920 წლის 7 ივლისს მთელი ეს ტერიტორია ოფიციალურად საქართველოს არ გადაეცა. საქართველოსთან ბათუმის შეერთებას თბილისში დიდი აჟიოტაჟით შეხვდნენ, თუმცა სინამდვილეში ის კავკასიაში ბრიტანული პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებაზე მიანიშნებდა. 1920 წლის ზაფხულში, მრავალი მიზეზის გამო, რომელთა შესახებაც აქ ვერ ვისაუბრებთ, მოკავშირეთა ძალებმა უარი თქვეს საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მხარდაჭერაზე.[45]

---

42 R. G. Hovannisian, p. 221.

43 A.B. Kadishev, *Interventsia I grazhdanskaya vojna v Zakavkazyi*, Moscow, 1960, c. 164.

44 R. G. Hovannisian, p. 221.

45 A. Andersen, *Abkhazia and Sochi: the Roots of the Conflict 1918-1921*, Toronto, 2014, pp.97-103.

საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე და სევრეს შეთანხმება

1920 წლის 10 აგვისტოს სევრში, საფრანგეთში, ერთი მხრივ, თოთხმეტმა „მოკავშირე და ასოცირებულმა სახელმწიფომ“ და მათთან ერთად სომხეთმაც, მეორე მხრივ კი, ოსმალეთის იმპერიამ ხელი მოაწერეს „სამშვიდობო შეთანხმებას“. სევრის შეთანხმების VI მონაკვეთის III ნაწილის მუხლი 89, პრაქტიკულად, აღმოსავლეთ ოსმალეთის გარკვეულ ტერიტორიას სომხეთს აძლევდა. ეს ტერიტორია მოიცავდა ყოფილი დასავლეთ (თურქული) სომხეთის მნიშვნელოვან მიწებს ერზერუმის, ტრაპიზონის, ვანისა და ბითლისის *ვილაიეთებში.*[46]

მიუხედავად იმისა, რომ „ოსმალეთის სახელმწიფოს“ მიმართ სომხეთის პრეტენზიების 40% პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე იურიდიულად დაკმაყოფილებული იყო, ხელშეკრულება არ აზუსტებდა საზღვრებს სომხეთსა და ოსმალეთს შორის ან სომხეთსა და სხვა მხარეებს შორის, მათ შორის, საქართველოსთან, რომელიც ითხოვდა ან შეეძლო მოეთხოვა სომხებისათვის გადაცემული თურქული ტერიტორიები.

საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო მემორანდუმში და 1920 წლის 1 მარტს პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლებს წარდგენილი ჰქონდათ ანტანტის მოკავშირეთა უმაღლესი სამხედრო საბჭოსთვის, მოიცავდა ოსმალეთის მიწებს, რომლებზედაც პრეტენზია სომხეთსაც ჰქონდა. მათში შედიოდა ტრაპიზონის ვილაიეთის ლაზისტანის სანჯაყი, პონტოს მთებსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის მოქცეული მომცრო ტერიტორია, რომელიც განფენილი იყო ოდინდელ რუსულ-თურქულ სასაზღვრო სოფელ ხოფადან მდ. კალოპოტამო-

46 “Treaty of Piece between the British Empire and Allied Powers (France, Italy, Japan, Armenia, Belgium, Czecho-Slovakia, Greece, the Hedjaz, Poland, Portugal, Roumania and Serb-Croat-Slovene State) and Turkey- Sevres, August 10, 1920” in *British and Foreign State Papers*, CXIII, 1920, ed. Edward Parkes et al. London, 1923, p.672.

სამდე ქალაქ ოფის აღმოსავლეთით და გარდა ამისა – ქეშქიმისა და თორთომის ყაზები (რაიონები) ერზერუმის სანჯაყში და იმავე სანჯაყის ისპირის ყაზას მცირე ნაწილი.[47]

მაღალჩინოსნები მოკავშირეთა რიგებში საქართველოს მოთხოვნებს სკეპტიკურად შეხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, დასაბუთებული იყო. 1920 წლის ივნისის დასაწყისამდე მოკავშირეები თავს იკავებდნენ, ეღიარებინათ საქართველოს იურისდიქცია ადრე რუსეთის მფლობელობაში მყოფი ბათუმის, ართვინისა და არდაგანის რეგიონებზე, რომლებიც ასევე იყო ნახსენები მარტის ზემოხსენებულ მემორანდუმში.[48] რაც შეეხება ლაზისტანს, ბრიტანელებიც და ფრანგებიც იზიარებდნენ რობერტ ვანსიტარტის (ბრიტანეთის საგარეო საქმეთა უწყების მდივნის მოადგილის) აზრს იმის თაობაზე, რომ ლაზისტანის მიცემა სომხეთისათვის კარგი კომპენსაცია იქნებოდა, რადგან მას შემდეგ, რაც ბათუმის რეგიონი საქართველოს შემადგენლობაში შევიდოდა, სომხეთი „დაკარგავდა“ გასასვლელს ზღვაზე. იმავდროულად, სომხეთის შემადგენელობაში შესულ ლაზებს უზრუნველყოფდნენ „უმცირესობათა გარანტირებული უფლებებით“.[49] ლაზისტანზე საქართველოს პრეტენზიათა საწინააღმდეგოდ არსებობდა სხვა მნიშვნელოვანი არგუმენტიც – ლაზებს არასდროს გამოუთქვამთ საქართველოსთან გაერთიანების სურვილი.[50] ქართული კონტრარგუმენტი იყო ის, რომ ლაზეთისა და კესკიმ-თორთომ-ისრის მცხოვრებლებს არ სურდათ ოსმალეთისაგან გამოყოფა. ამიტომ, სანამ აღმოსავლეთ ანატოლია ოსმალეთის სახელმწიფოს სტაბილური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, თუკი საქართველოსთან კავშირი ერთადერთ ალტერნატივად დარჩებოდა და ეს მოსახლეობას სომხეთთან შეერთებისგან დაიცავდა, მა-

---

47 Z. Avalov*, The Independence of Georgia in International Politics, 1918-1921* London, 1940, p.255-257; V. Babet*, Les richessess naturelles de la Georgie – Richesses minieres*, Paris, 1920,p 5; R. G. Hovannisian, pp. 30-31.

48 Z. Avalov*, The Independence of Georgia in International Politics, 1918-1921*. London, 1940,pp. 253-255; R. G. Hovannisian, pp. 31-33, 53-55.

49 იქვე, გვ. 55.

50 იქვე, გვ. 255.

თი სიმპათიები ქართველებისკენ გადაიხრებოდა.[51] ეს არგუმენტი ასევე არ შეისმინეს მოკავშირე ლიდერებმა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ქართველი წარმომადგენლები არც კი მიუწვევიათ ოსმალეთთან სამშვიდობო შეთანხმების ხელმოსაწერად ან სევრის კონფერენციაზე დასასწრებად, ხოლო სომხურ-ქართული დელიმიტაციის საკითხი ორ ქვეყანას შორის შესაძლო ორმხრივ მოლაპარაკებებს მიანდეს.

მიუხედავად იმისა, რომ სევრის ხელშეკრულების დებულებებმა ვერ დააკმაყოფილეს საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები ოსმალეთის მიმართ, ხელშეკრულება მაინც მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, რადგან 92-ე მუხლში საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად მოიხსენიება.[52]

ქართული ექსპანსია თურქეთ- სომხეთის ომის დროს

1920 წლის სექტემბრის დასაწყისში თურქეთის ნაციონალისტთა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფმა ყარაბეკირ ფაშას მეთაურობით თურქეთისა და სომხეთის საზღვრების მთლიანი პერიმეტრის გაყოლებაზე მასშტაბური თავდასხმა დაიწყო. სომხებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს სამხედრო წნეხს და ნელა დაიწყეს დახევა ალექსანდრეპოლისა და ერევნის მიმართულებით.

სომხეთის სამხედრო მარცხის შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ძალები ცდილობდნენ, აეღოთ არდაგანის სადავო უბნის დარჩენილი ნაწილი, რომელსაც საქართველო ჯერ კიდევ არ აკონტროლებდა. 1920 წლის 1 ოქტომბერს ქართულმა სამხედროებმა ჩილდირის ტბის მახლობლად მდებარე მცირე ფართობი დაიკავეს და მტკვრის სომხურ მხარეზე სოფელ ოკამში (გიოლეში) შევიდნენ. ამ დემარშმა სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაბრაზება და პროტესტი გამოიწვია. მტკვრის სამხრეთ ნაწილში ქართველების შეჭრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სომხურმა სარდლობამ

[51] Z. Avalov. *The Independence of Georgia in International Politics, 1918-1921*. London, 1940, p. 256.

[52] იქვე, გვ. 289-290.

დასავლეთ სომხეთის პოლკს უბრძანა, ოკამში შესულიყო. სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით, 6 ოქტომბერს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს ოკამი და დაბრუნდნენ არდაგანში. ჩილდირის სექტორი ქალაქ ზურზუნასთან ერთად საქართველოს კონტროლის ქვეშ დარჩა, ხოლო 13 ოქტომბერს საზეიმოდ გამოცხადდა ქართულად.[53] ბედის ირონიით, სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ, ჩილდირი თურქებმა მიიტაცეს და ეს საბჭოთა-თურქული დამპყრობლური კამპანიის ნაწილი იყო.

„სამუსლიმანო საქართველო“ და მოსკოვისა (16.03.1921) და ყარსის ხელშეკრულებები (13.10.1921)

1921 წლის 11 თებერვალს წითელმა არმიამ 1920 წლის სამშვიდობო მოლაპარაკება დაარღვია და საქართველო დაიპყრო. თერთმეტი დღის შემდეგ თურქმა ნაცონალისტებმა საქართველოს სამხრეთიდან შეუტიეს, 23 თებერვალს კი არდაგანი აიღეს და შტურმი ბათუმსა და ახალციხეზე მიიტანეს.

24 თებერვალს, ერთკვირიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ თბილისის გარშემო, ასევე წითელი არმიის რაოდენობრივი და ტექნიკური უპირატესობის გათვალისწინებით, ქართულმა სარდლობამ ბრძანება გასცა, დედაქალაქი დაეტოვებინათ. 24 თებერვლის საღამოს კარგად ორგანიზებულმა ქართულმა არმიამ დასავლეთის მიმართულებით დაიხია და მთავრობაც სწრაფად გაიხიზნა. მართალია, ქართველებმა დედაქალაქი დათმეს, მაგრამ ამით არმიაც შეინარჩუნეს და მთავრობაც. ამის მეოხებით, მათ შეარაღებული წინააღმდეგობის გაწევა მომდევნო 3 კვირის განმავლობაშიც შეძლეს.

53 R.G. Hovannisian, *The Republic of Armenia / Vol. IV*, Los Angeles, 1996, pp. 222-226.

რუკა დ

26 თებერვალს მოსკოვში, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის,[54] გიორგი ჩიჩერინის,[55] თავმჯდომარეობით, გაიხსნა რუსულ-თურქული კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ორმხრივი ხელშეკრულების დებულებათა შემუშავებას. კონფერენციაზე განსახილველ პრობლემათა შორის უმთავრესი იყო ტერიტორიული საკითხი. მოსკოვის კონფერენცია, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩატარდა, ნამდვილად პარადოქსული იყო: საერთაშორისო აღიარების არმქონე და, შესაბამისად, არალეგიტიმური ორი მთავრობა – საბჭოთა რუსეთი და ქემალისტური თურქეთი[56] – აწარმოებდა მოლაპარაკებებს თურქეთისა და ორი სხვა ქვეყნის (სომხეთისა და საქართველოს) საზღვრის თაობაზე, თანაც ამ ქვეყანათაგან ერთ-ერთს უკვე მოპოვებული ჰქონდა დე

54 ჩიჩერინის ოფიციალური წოდება იყო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

55 Документи Внешнеи Политики СССР, III, Мос. 1959, с. 683.

56 მოცემულ მომენტში არ არსებობდა რუსეთის საერთაშორისოდ აღიარებული მთავრობა, ხოლო მოკავშირეთა მიერ ოკუპირებულ კონსტანტინეპოლში დაბანაკებული სულთანი მეჰმედ VI წარმოადგენდა საერთაშორისოდ აღიარებულ თურქეთის მთავრობას.

იურე საერთაშორისო აღიარება. კონფერენციის გახსნის დღეს საქართველოს ლეგიტიმური მთავრობა ჯერ კიდევ აკონტროლდება ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო ქართული არმია და სახალხო გვარდია თავდაუზოგავად ებრძოდა საბჭოთა ოკუპანტებს (იხ. რუკა გ).

მოლაპარაკებებზე, რომლებიც თითქმის 3 კვირას გაგრძელდა, კრემლის წარმომადგენლები თურქეთის მოთხოვნების უმეტესობას დაეთანხმნენ. 1921 წლის 16 მარტს, საქართველოს მთავრობისა და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ ქვეყნის დატოვებამდე ერთი დღით ადრე, მოსკოვში ხელი მოეწერა რუსულ-თურქული „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებას“. ამ შეთანხმებამ, 1920-1921 წლებში წარმოებული არაერთი ომის შემდეგ, დაასრულა სამხრეთ კავკასიის გადანაწილების პროცესი. მოსკოვის ხელშეკრულების 1-ლი მუხლით, თურქეთს გადაეცა ართვინის, არდაგანის[57] და ოლთუს რაიონები, ასევე – ბათუმის რაიონის სამხრეთი ნახევარი. მე-2 მუხლი შეიცავდა დამაბნეველ განცხადებას, რომლის მიხედვითაც თურქეთი თანხმდებოდა, ეღიარებინა ბათუმის პორტისა და ქალაქის სუვერენიტეტი, ხოლო ბათუმის ჩრდილოეთი ნაწილი დაეთმო საქართველოსთვის, თუკი ის აღნიშნული ტერიტორიის მუსლიმან მოსახლეობას ავტონომიას მიანიჭებდა.

იმ დროისათვის, როდესაც შეთანხმება ხელმოსაწერად მზად იყო, ოსმალეთი ვერც პორტს აკონტროლებდა და ვერც მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას. ამიტომაც გაუგებარია, როგორ გასცემდა თურქეთი იმას, რასაც არ ფლობდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მე-2 მუხლი მიანიშნებდა, რომ ქემალისტებს ბათუმზე პრეტენზია აღარ ჰქონდათ.[58]

მოსკოვის ხელშეკრულებით, რომლის პირობები 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსის შეთანხმებით დადასტურდა, დადგენილ იქნა საქართველო-თურქეთის საზღვარი, რომელიც დღემდე უცვლე-

---

57 უფრო ზუსტად, არდაგანის რაიონის ნაწილი, რომელიც საქართველოს კონტროლს ექვემდებარებოდა საბჭოთი და საქართველოს ომის დროს.

58 J. Degras (Ed.), *Soviet Documents on Foreign Policy, Vol. I* (Oxford, 1931, pp.238-239.

ლია. შედეგად, „სამუსლიმანო საქართველოს“ დიდი ნაწილი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა თურქეთს და მას „საქართველოს“ სახელით აღარ მოიხსენიებენ. საქართველოში დარჩა ახალციხისა და ახალქალაქის ოლქები და ბათუმის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც ახალი აჭარის ავტონომია შეიქმნა. ამასობაში კი, საბჭოეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სრულიად საქართველომ დაკარგა სუვერენიტეტი, რადგან ის კრემლის სატელიტად იქცა.

სოციალიზმი ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში: ქართული ექსპერიმენტი, 1918-1921 წლები[1]

რონალდ გრიგორ სუნი
მიჩიგანის უნივერსიტეტი

სახიფათო საქმე წამოვიწყე. ჩემი ამოცანაა (იმედია, გონივრულად), ექსპერტების აუდიტორიას, რომელსაც ჩემზე მეტი ცოდნა და უნარი აქვს, ვესაუბრო ეროვნულ და რევოლუციურ მოძრაობაზე საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც ძალიან მიყვარს და რომლის ისტორიას მკაცრად იცავენ, რადგან ეშინიათ, მომხდურებმა მისი მშფოთვარე, ხელშეუხებელი წარსულის ხელყოფა არ სცადონ. მე გადავწყვიტე, ვისაუბრო საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და მის სოციალ-დემოკრატიულ ექსპერიმენტზე, რათა თვალსაჩინოდ წარმოვაჩინო ერის ჩამოყალიბების დილემა რევოლუციებისა და სამოქალაქო ომის პირობებში.

განსხვავებით კლასიკური „ბურჟუაზიული“ ნაციონალიზმისგან, საქართველოში ერის ფორმირება ურთიერთსაპირისპირო ხედვათა შეჯერებით მოხდა. კლასისა და ეროვნების, სოციალური სტატუსისა და ეთნიკურობის შემთხვევითმა დამთხვევამ ნაციონალიზმის განსაკუთრებული ფორმა და მკაფიოდ გამოხატული

[1] მოხსენება წაკითხულ იქნა კონფერენციაზე „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისათვის?“ თბილისი, 25-26 ივნისი, 2018. ეს მოხსენება ეფუძნება ადრეულ ლექციას – „ფინეთი და საქართველო“ – ეროვნული მოძრაობები და რევოლუცია“ საერთაშორისო კონფერენციისათვის „მძლავრი სახელმწიფოების მოსაზღვრე მცირე ერები“, აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტი, 2012 წლის 29 აგვისტო.

სოციალისტურ-ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოქმნა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ძირითადად, სოციალისტური, მე ვიტყოდი, მარქსისტული იყო და არა ნაციონალისტური. საქართველო გახლდათ მულტიეთნიკური ქვეყანა რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, გერმანელების, აფხაზებისა და ოსების გავლენიანი მოსახლეობით. საქართველოს ნაციონალ-კონსერვატორი პოლიტიკური ლიდერები XIX საუკუნის ბოლოს მარქსისტებით შეიცვალნენ. ისინი ეთნიკურობის აღმოფხვრას ცდილობდნენ, ხაზს უსვამდნენ კლასობრივ დაყოფას, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დაყოფა საქართველოში ნაკლებად გამოკვეთილი იყო და მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან.

მე შევეცდები გავაანალიზო, თუ რატომ აირჩია მძლავრმა და გავლენიანმა სოციალურმა მოძრაობამ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პროგრამა და რა შედეგი მოიტანა ამგვარმა პოლიტიკურმა არჩევანმა. საქართველო რუსეთის პერიფერიაზე არსებული ქვეყანა იყო და რეპრესიული იმპერიული პოლიტიკა XIX საუკუნის ბოლოს მასზეც ვრცელდებოდა. თუმცა ქვეყნის ლიდერები იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ რუსეთთან კავშირს ქვეყნისთვის მრავალგვარი სარგებლის მოტანა შეეძლო. საქართველო დააზარალა რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა. რომანოვების მმართველობა დაემხო, რამაც საქართველოს მცირე ხნით დამოუკიდებლობა მოუტანა, თუმცა მხოლოდ იმისათვის, რომ ქვეყანა მალევე მოსკოველი ბოლშევიკების ახალი ტიპის სოციალისტური იმპერიალიზმის მსხვერპლი გამხდარიყო. ევროპის საზღვარზე სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გაბედული და დამაიმედებელი მცდელობა თბილისსა და ბათუმში წითელი არმიის შემოსვლით დამთავრდა. ამ ექსპერიმენტთან დაკავშირებული არაერთი ამბავი ისტორიამ შთანთქა და ეს კონფერენცია იმ შორეული ეპოქის, მაშინდელი მისწრაფებებისა და ამბიციების თუ წარუმატებლობის გახსენების მცდელობაა.

ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება

მას შემდეგ, რაც ერის გაგება შეიცვალა და ნატურალისტურ ხედვას ჩაენაცვლა კონსტრუქტივიზმი, რომლის მიხედვითაც ერი თანამედროვე „წარმოსახვითი საზოგადოებაა“, გაჩნდა ერების ამა თუ იმ ნიშნით გარჩევის ან სულაც დახარისხების მავნე ტენდენცია. განარჩევდნენ ბუნებრივ და ხელოვნურად შექმნილ ერებს, ძველსა და თანამედროვეს, სრულყოფილს და დეფექტურს, ჭეშმარიტსა და ნაკლებად ჭეშმარიტს. არსად წარმოჩენილა ეს ისე თვალსაჩინოდ, როგორც სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტისას, როდესაც ორივესთვის საეჭვო იყო მოწინააღმდეგის პრეტენზია სავარაუდო „სამშობლოზე“, რადგან ის არაავთენტიკურ და ყალბ ერად მიაჩნდა. თუ მეცნიერება უარს იტყვის თვალსაზრისზე, რომ ერი პრიმორდიალური, უწყვეტი ოდენობაა, რომელიც მას შემდეგ არსებობს, რაც პირველყოფილი შლამიდან პირველი ადამიანი შეიქმნა, მაშინ შესაძლებელი იქნება, ვისაუბროთ მასზე, როგორც რაღაც უწყვეტზე, მარად ჩვენ გვერდით მყოფზე ხან გამჟღავნებულად, ხანაც მიჩქმალული ფორმით.

ვისთვისაც მნიშვნელოვანია ერის სიძველე, მსგავსად ენტონი დ. სმითისა, ბევრს საუბრობს „ნაციონალობის“ ისეთ ფორმებზე, რომლებიც არსებობდა ახალ დრომდე ან, ყოველი შემთხვევისთვის, ერთა წინარენაციონალურ (ე. ჯ. ჰობსბაუმი) ან არანაციონალურ (ჯონ არმსტრონგი) წარმომავლობაზე. თუმცა მოდერნისტები ნაკლებად უთმობდნენ ყურადღებას ერთობ უხერხულ საკითხს, თუ როგორი იყო პრემოდერნისტ მოაზროვნეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა დამოკიდებულება პოლიტიკური თანასაზოგადოებებისადმი, რომლებსაც მათ სახელმწიფოთა ფორმირება უკავშირდებოდა. როდესაც თანამედროვე საქართველოს ისტორია გამოვაქვეყნე და გავბედე, მისთვის „ქართული ერის ჩამოყალიბება“ დამერქმია, ერთ-ერთმა კრიტიკოსმა წიგნის სათაურს მცდარი უწოდა, რადგან მასში განხილული უნდა ყოფილიყო უძველესი ისტორია და არა XIX-XX საუკუნეები. მკითხველმა არასწორად გაიგო ჩემი ნათქვამი. მე კი ვცდილობდი, მეპასუხა კითხვაზე, თუ რო-

გორ ჩამოყალიბდა ბოლო ორასი წლის მანძილზე საქართველოში თანამედროვე პოლიტიკური თანასაზოგადოება, კერძოდ, ერი. ესა თუ ის ხალხი უხსოვარი დროიდან არსებობს, მაგრამ განსხვავება იმაშია, თუ როდის ჩამოყალიბდნენ ისინი თანამედროვე ერებად. ამ თვალსაზრისით, ქართველები ფინელებს რამდენიმე ათწლეულით უსწრებენ.

უპირველესად გაგაცნობთ ერის ჩემეულ გაგებას. ძველი და შუა საუკუნეების ხალხთა ენა და წარმოდგენები, რომლებსაც ისინი იმ საზოგადოების აღსაწერად იყენებდნენ, რომელშიც თავად ცხოვრობდნენ, ერებთან დაკავშირებით, ნებისმიერ შემთხვევაში განსხვავებული იქნებოდა ჩვენი თვალსაზრისისა და დისკურსისგან. ერი არის პოლიტიკური თანასაზოგადოება, შემდგარი ადამიანებისგან, რომლებსაც სწამთ, რომ საზიარო მახასიათებლები, წარმომავლობა, ფასეულობები, ისტორიული გამოცდილება, ენა, ტერიტორია და მრავალი სხვა რამ აერთიანებთ. ყოველივე ეს ხალხებს თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს და მათ შეუძლიათ, განკარგონ ტერიტორია (სამშობლო), სახელმწიფოებრიობა და ყველა თანმდევი სიკეთეც, რომელსაც ფლობენ. ერის დისკურსში არსებობა არის ის, რაც სახელმწიფოს მეთაურებს კანონიერ უფლებას ანიჭებს, მართონ ესა თუ ის ხალხი, როგორც მისმა წამომადგენლებმა. ერის მოდერნისტულ კონცეფციაში, გარკვეული თვალსაზრისით, გათვალისწინებულია ერთგვარი სახალხო სუვერენულობის იდეა და დამატებით ისიც, რომ ნებისმიერი ერს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო, ხოლო მმართველ წრეთა წარმომადგენლები უნდა ჰგავდნენ მათ მმართველობაში მყოფ ხალხს. გათვალისწინებულია ისიც, რომ გარდა ანომალიური გამონაკლისებისა, ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში ერთი ერი უნდა არსებობდეს. საბოლოო ჯამში, უმეტეს შემთხვევაში, ამ უტოპიურ, თუმცა მძლავრ კონცეფციას ეფუძნება თანამედროვე პოლიტიკა და XX საუკუნის კონფლიქტთა უმრავლესობა, მათ შორის, სომხური გენოციდი და ებრაული ჰოლოკოსტიც, გამოწვეული თვითგამოცხადებულ ერთა და არსებულ სახელმწიფოთა შეუსაბამობით.

იდენტობა, რა თქმა უნდა, რამდენიმე უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში დამკვიდრებული აკადემიური ტერმინია. იდენ-

ტობის საკითხს განიხილავენ ასეულობით დისერტაციაში, სამეცნიერო შეხვედრებზე, წიგნებსა თუ სტატიებში. მასზე საუბრობს ყველა – კონსტრუქტივიზმის მიმდევრიც და რაციონალური არჩევანის თავგადაკლული მომხრეც. იდენტობის ცნება, რომლის შესახებ ერთსულოვანი აზრი არ არსებობს, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად იქცა ნაციონალიზმის კვლევისას.

შესაძლოა ვიკითხოთ, თუ რატომ ენიჭება ამოდენა მნიშვნელობა იდენტობას. ჩემი აზრით, ეს სოციალურ კატეგორიათა აშკარა დესტაბილიზაციასა და ინდივიდუალურ სუბიექტთა დეცენტრალიზაციას უკავშირდება, რასაც განაპირობებს, სოციალურ-კულტურულ კონტექსტში ინდივიდებსა და კატეგორიებზე მსჯელობის სასარგებლოდ, განსხვავებისა და კატეგორიის ობიექტური შემეცნებისგან, პოზიტივისტური „რეალობისგან“ ჩამოშორება. ტრადიციულად, იდენტობას განსაზღვრავდა ის, თუ რა იყო ადამიანისთვის ან ადამიანთა ჯგუფისთვის სტაბილური, დამკვიდრებული, ფიქსირებული, მყარი და მთავარი. ამგვარ მსგავსება-განსხვავებათა მეშვეობით განსაზღვრავდა ადამიანი, თუ ვინ იყო მისიანი და ვინ – სხვა ჯგუფის წევრი. ამ თვალსაზრისით, თუკი ვინმე ვერ გრძნობდა ამ ძარღვს, მას (ერიკ ერიკსონისა და სხვათა თქმით) იდენტობის კრიზისი ჰქონდა. მნიშვნელოვანი იყო, ადამიანს დაეძლია ამგვარი ფრაგმენტაცია და გახლეჩა და დაბრუნებოდა ერთობას. არცთუ დიდი ხნის წინ დამკვიდრდა მოსაზრება, რომ იდენტობა არ არის ფიქსირებული ან მდგრადი, იმთავითვე ბოძებული ან პერმანენტული, არამედ ის მყიფეა, მრავალშრიანი, ცვალებადი, სტრატეგიული, სიტუაციური, მრავალჯერადი და ა.შ. იდენტობა კვლავაც მეორესაგან „სხვაობას“ ნიშნავს, მაგრამ ახლა გადამწყვეტია, თუ სად გადის მიჯნა, რომელიც განსაზღვრავს, ვინ მიეკუთვნება ჯგუფს და ვინ არის მის მიღმა, რადგან ეს იმთავითვე ცხადი აღარ არის. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ დღეს იდენტობა სტაბილურობის დროებითი შეგრძნებაა „მესთვის“ ან ჯგუფისთვის, რომელიც ფორმირებულია რეალურ ისტორიულ დროსა და სივრცეში, ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის განვითარების შედეგად, როგორც სწრაფვა სტაბილურობისკენ მარად ცვალებად

სამყაროში, ოღონდ სამუდამო ნატურალიზაციისა ან დროებითი ვინაობის განსაზღვრის გარეშე. ზიგმუნტ ბაუმანის თქმით, „თუკი მოდერნიზმისთვის „იდენტობის პრობლემას“ იყო ის, თუ როგორ ჩემოეყალიბებინათ და როგორ ექციათ იდენტობა მყარ და სტაბილურ ოდენობად, პოსტმოდერნიზმისთვის „იდენტობის პრობლემა“ ამგვარი მიბმულობის თავიდან აცილება და არჩევანის თავისუფლებაა“.

მოქნილი და ცვალებადი იდენტობის ამგვარი გაგება, რაღა თქმა უნდა, ანათემაა ეთნონაციონალისტებისათვის, რომლებიც ქადაგებენ, რომ იდენტობა მყარია, ფიქსირებული, ჰარმონიული, ორგანული და ხშირად რასობრივ საწყისზე დაფუძნებულიც. მაგრამ კონსტრუქტივისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ იდენტობა ყოველთვის დისკრეციული არ არის. მას ვერ აირჩევ და ვერ იყიდი იდენტობათა ბაზარზე. იდენტობის ფორმირება ხდება საფუძვლიანი მსჯელობითა და ხელთ არსებული მნიშვნელობების გათვალისწინებით. ეს პროცესი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ არის ესა თუ ის სუბიექტი პოზიციონირებული ისტორიულად. მე შემიძლია, ავირჩიო ნებისმიერი იდენტობა – ამერიკელის, სომხის, ამერიკელი სომხის, მარქსისტის, ლიბერალის, შოვინისტი მამაკაცის, პატრიარქის. შემიძლია ერთდროულად რამდენიმეც ავირჩიო, თუმცა, ჩემ შემთხვევაში, უაზრობა იქნება ჩინელობის, მდედრობითი სქესისა და რესპუბლიკელობის არჩევა. ნაციონალური იდენტობის არჩევა შეზღუდულია არსებული გამოცდილებითა და შესაძლებლობებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელსაყრელი წარსულისა და მისაღები აწმყოს მოძიების პროცესია და ახლანდელი თუ მომავალი შფოთისგან თავდაცვის საშუალება.

იდენტობა, როგორც წესი, ერთობასა და შინაგან ჰარმონიას გულისხმობს და ესწრაფვის მთლიანობას, თუმცა ჩვენ, პოსტმოდერნისტულ ვითარებაში აღმოჩენილნი, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს ამის აღიარება, ვაცნობიერებთ, რომ ეს მთლიანობა და ერთობა ხელოვნურია, წარმოსახვითი, გამოგონილი, დროებითი სტაბილურობის ილუზიის შესაქმნელად ცვალებად სამყაროში. იდენტობის ძიება უმთავრესია ყველასათვის, მაშინაც კი, როდესაც

ამას ვერ ვაცნობიერებთ. მას, როგორიც ნებისმიერ მსოფლხედვას, უამრავი შეზღუდვა და საფრთხე სდევს თან.

როგორ ესადაგება ერთმანეთს ამგვარი წარმოდგენა იდენტობაზე და ქართველთა საუკუნის წინანდელი ან უფრო ძველი გამოცდილება? მე ვიტყოდი, რომ პოლიტიკური ცხოვრება იდენტობისათვის ბრძოლაა, ფიქრი იმაზე, თუ ვინ გვგავს და ვინ არა, როგორი უნდა იყოს ქვეყნის, თემისა ან ერის საზღვრები, რას უნდა ეფუძნებოდეს ამ ერთობაში ვინმეს ჩართვა ან ვინმეს გარიცხვა, როგორ უნდა კონტროლდებოდეს ეს პროცესი.

შესაშური ლიტერატურული ტრადიციების, ოდინდელი სახელმწიფოებრიობისა და სპეციფიკურ გეოგრაფიულ გარემოში არსებობის გამოცდილების მქონე ქართველთა და სომეხთა მსგავსი ხანდაზმული „ერების“ იდენტობა ჩამოყალიბებული და ცვალებადია, რასაც ადვილად მიადევნებს თვალს ისტორიკოსი. ამგვარ ადრეულ იდენტობათა, განსაკუთრებით, ნაციონალობის, დისკურსიული თავისებურებები ხელახლა იქნა გააზრებული გვიანდელ შაბლონთა გათვალისწინებით. ამგვარად, ნაციონალისტებმა (და მათმა თანამოაზრე ისტორიკოსებმა) არაგანგრძობადი და ცვალებადი ისტორია გაამარტივეს და დაიყვანეს შედარებით მდგრადი „ეროვნების“ ამბამდე, რომელიც ცვალებადია დროში და ცდილობს, მოიპოვოს ერისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

ტრადიციებს, რომლებიც მოგვიანებით მიითვისეს და შეცვალეს თანამედროვეობის იმ მოღვაწეებმა, რომლებიც ერის შექმნას ცდილობდნენ, კავკასიაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველოში, ქართული საზოგადოების ოდინდელი რელიგიურ-ეთნიკური ჰეტეროგენულობის, იმპერიული ასპექტებისა ან სხვა დიდ ქრისტიან ხალხთან სიახლოვის გამო, სომხები დავიწყებას მიეცნენ. სამაგიეროდ ვრცელდებოდა წარმოდგენა ერთგვაროვნებაზე, ორგანულ უწყვეტობასა და დამოუკიდებლობაზე. არაქართველები ქვეყანაში დიდსულოვნად მიწვეულ სტუმრებად მიაჩნდათ და შეეძლოთ, ერთ დღეს მათთვის ქვეყნის დატოვებაც ეთხოვათ.

საქართველოს კულტურა ეროვნულ რელიგიას – ქრისტიანობას ემყარება. ანბანი, რომელიც V საუკუნეში შეიქმნა, გათვა-

ლისწინებული იყო საღმრთო ტექსტების ჩასაწერად, ხოლო საქართველოს წერილობითი ისტორია იმთავითვე ქრისტიანობასა და სამეფო ხელისუფლებას ასახავდა. ბიზანტიის აღმოსავლეთ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან გადაჯაჭვული ნაციონალური ეკლესია ქართველთა ეთნიკური ერთობის უმთავრესი იდენტიფიკატორი იყო. ისინი თავს აღიქვამდნენ ქრისტიანებად, რომლებიც უპირისპირდებოდნენ წარმართულ სამყაროსა და ისლამს. პრემოდერნისტულ სამყაროში ეთნიკურობის საკითხისათვის რელიგიური მიკუთვნებულობა უფრო გადამწყვეტი იყო, ვიდრე ენისმიერი ან სხვა ტიპის კულტურული ერთობა, თუმცა ეს სამი ნიშანი – ენა, სარწმუნოება, ცხოვრების ნირი – ხშირად ერთმანეთს ფარავდა და აძლიერებდა იმის აღქმას, თუ ვინ იყო ქართველი (ან მართლმადიდებელი) და ვინ არა. მეზობელი სომხებისა და ძველი აღთქმის ებრაელების მსგავსად, ქართველები, როგორც ეთნორელიგიური ჯგუფი, ხსნას თემისა და ეკლესიისადმი ერთგულებაში ხედავდა.

XVIII საუკუნის ქართულ ტრადიციათა რევიზიის შედეგად, შეიქმნა ერთგვარი ეროვნული კლიშე, რომლის დახმარებითაც XIX საუკუნის მწერლებმა ეთნიკური ნიშნით აღბეჭდილი სახელმწიფოებრიობის განცდა დაამკვიდრეს. ცარიზმის ეპოქაში ქართული მიწები ერთი ხელისუფლის, რუსეთის იმპერიის, ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა. მოდერნიზაცია და მზარდი სოციალური ურთიერთობები შორეულ სოფელთა იზოლაციაში მოქცეულ მცხოვრებლებს ეხმარებოდა, შედარებით მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინათ თანამემამულე ქართველებთან (და არაქართველებთან) როგორც ქალაქში, ასევე ეკონომიკის ახლად შექმნილ კაპიტალისტურ ბაზარზე. რუსეთში განათლებამიღებული ქართველი ინტელიგენცია ნაციონალიზმსა და მასთან დაკავშირებული იდეებს ავტონომიის, თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის შესახებ ჩრდილოეთსა და დასავლეთს დაესესხა. რელიგიურობაზე, ენობრივ და ეთნოკულტურულ ერთობაზე დაყრდნობით, თანდათან ძლიერდებოდა ის, რასაც თანამედროვენი პოლიტიკური ერის თვითშეგრძნებად მიიჩნევენ და ამგვარი თვითშემეცნება თანდათან ზედა ფენებიდან ქვედაზეც ვრცელდებოდა.

ეროვნულ კულტურასთან და პატრიოტიზმთან გადაჯაჭვული რელიგია საქართველოში სერიოზული გამოწვევის წინაშე იდგა ცარიზმის მხრიდან, რომელიც XIX საუკუნის მიწურულს მზარდი ეჭვით უყურებდა ნაციონალიზმის ყველანაირ გამოვლინებას. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდსა და მის დოქტრინებს დაქვემდებარებული საქართველოს ეკლესია, ოდითგანვე ქართული ენის გადამრჩენელი და გამავრცელებელი, წელში იყო გაწყვეტილი. 1811 წელს მას ავტოკეფალია წაართვეს, ხოლო უკანასკნელი კათალიკოსი ეკლესიას ჩამოაშორეს, გადაასახლეს და მეფის მიერ დანიშნული ეგზარქოსით ჩაანაცვლეს. საუკუნის ბოლოსათვის ქართველ ეპისკოპოსებს მსახურებისთვის სად აღარ გზავნიდნენ, ხოლო საქართველოს საეკლესიო იერარქია დიდწილად რუსული იყო.[2] რუსი ეკლესიის მესვეურნი ცდილობდნენ, აღეკვეთათ ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, წირვა-ლოცვა და სწავლება. 1890-იან წლებში ქართულ მართლმადიდებლურ სემინარიებში ქართველი მასწავლებლები რუსებმა ჩაანაცვლეს (ასეთ სემინარიათაგან ერთ-ერთში სწავლობდა ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილი), ხოლო ქართული ენის სწავლება კვირაში მხოლოდ ორჯერ იყო ნებადართული.[3] სინოდის მიერ რეჟიმის გამკაცრების საპასუხოდ, ქართველი მღვდელთმსახურები და სემინარიელები ცდილობდნენ, მოეძებნათ ის, რაც ჭეშმარიტად ქართული იქნებოდა მათ რელიგიაში. საუკუნის გასაყარზე საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა მართლმადიდებლობის ნაციონალიზაცია.

რუსულ და ქართულ კულტურათა ჭიდილი XIX საუკუნის ნაციონალისტურ და იმპერიულ ნარატივში ცენტრალურ ადგილს იკავებს. ნაციონალისტების მონათხრობით, ფესვგადგმული ეთნორელიგიური კულტურის მქონე უძველესი ხალხი დაუპირისპირდა შესუსტებულ იმპერიას, რომელიც რეპრესიითა და ასიმილაციით მის განადგურებას ლამობდა. არსებობდა რუსული ოფიციოზისა და მის მომხრეთა მონათხრობიც, სრულიად საპირისპირო და

---

2 M. Agursky, Stalin's Ecclesiastical Background, *Survey*, XXVIII, 4 (Winter 1984), 2.

3 იქვე, 7. For an account of education at the Gori Seminary in the 1860s, იხ. S. Mgaloblishvili, *Vospominaniia o moei zhizni* (Tbilisi: Merani, 1974).

ქართველთათვის ნაკლებად საგულისხმო. ეს იყო საგმირო ამბავი მის კალთას შეფარებულ ხალხებზე, მზრუნველ, დიდ, ტოლერანტ ქვეყანასა და უმადურ და დაუმორჩილებელ ქვეშევრდომებზე, რომლებიც ებრძოდნენ ცივილიზაციის შემომტან იმპერიასა და მფარველ სახელმწიფოს. ასეთ ვითრებაში რეპრესია, რომელიც წესრიგისა და პროგრესის შესანარჩუნებლადაა აუცილებელი, ნებისმიერი იმპერიისთვის გამართლებულია.

ორივე მონათხრობი ემყარება განსხვავებას, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, ეთნიკურ კულტურებსა და, მეორე მხრივ, იმპერიასა და ერს შორის. თუმცა არ არის ასახული იმპერიული მმართველობის ძირითადი შედეგი – იმპერიის შიგნით ერთა ჩამოყალიბება და განსხვავებულ კულტურათა სესხება-გაზიარება თუ ხალხთა მიგრაცია მის ფარგლებში. XIX საუკუნეში, ნაცვლად იმისა, რომ ეარსება ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ სტატიკურ, სრულად ფორმირებულ და მკაფიო საზღვრებში მოქცეულ კულტურას, იყვნენ რუსები და ქართველები, რომლებიც ყალიბდებოდნენ, იცვლებოდნენ და ხშირად გავლენასაც ახდენდნენ ერთმანეთზე. ქართველი და სხვა არარუსი ინტელექტუალები საუბრობდნენ ოდინდელი ეროვნულობის აღდგენაზე, რომელსაც იმპერია თრგუნავდა. თუმცა შეზღუდვები ადგილობრივ ენასა და კულტურაზე ქაოსურად წესდებოდა და მიზნად ისახავდა ოჯახთან და სახლთან დაკავშირებული პირადი გრძნობების ინსპირირებას. თუკი სკოლასა და ეკლესიაში რუსული ენის გამოყენებას ითხოვდნენ, სახლსა და ქუჩაში საურთიერთო ყოველდღიური ენა კვლავაც ქართული იყო. თუკი უკრაინაში, სადაც ერთ ხანს უკრაინულ ენაზე პუბლიკაციათა გამოქვეყნებაც იკრძალებოდა, ცარისტული პოლიტიკა განსხვავდებოდა, საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში ქართულენოვანი გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების რაოდენობა მხოლოდ იზრდებოდა. ევროპისაკენ პირშექცეული იმპერია ხელს უწყობდა განათლების, სოციალური მობილობისა და საგზაო კომუნიკაციათა (სარკინიგზო ხაზის, გზების, ტელეგრაფის) განვითარებას, რომელთა წყალობითაც გამოკეტილ, უწიგნურ სოფლელებს ეღირსებოდათ, ეოცნებათ იმაზე, რომ უფრო დიდი ერთო-

ბის, ერის ნაწილი ყოფილიყვნენ.[4] ამგვარად, თავისდაუნებურად, იმპერია ნამდვილად ეხმარებოდა ერის ჩამოყალიბებას. ქალაქების ზრდა, ისევე, როგორც იმპერიის მიერ დამყარებული მშვიდობა და დაცულობა, ქმნიდა ნიადაგს ნაციონალისტ ინტელექტუალთათვის, რომლებიც შემდეგ ერის ყველაზე მძლავრ ხმად იქცნენ. თანამედროვეობა ასოცირდებოდა რუსეთთან, ტრადიცია – საქართველოსთან. ამრიგად, ქართველი ინტელექტუალები ეძებდნენ და ქმნიდნენ ქართული თანამედროვეობის კონკურენტულ იდეებს.

საქართველოს ორაზროვანი ურთიერთობა რუსეთთან სრულიად სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. კავკასიელ ქრისტიანებზე თურქებისა და სპარსელების გაუთავებელი თავდასხმების გამო, XV საუკუნიდან მოყოლებული, ქართველი მეფეები რუსეთის სამეფო კარზე დახმარებისა და მფარველობის სათხოვნელად ელჩებს აგზავნიდნენ. XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველოს ბედი ბეწვზე ეკიდა, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ (1762-1798) სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება ეკატერინე II-ს სთხოვა და 1783 წელს ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, რამაც მისი სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ მოაქცია. თუმცა, სანამ 1795 წელს საქართველოში აღა მაჰმად ხანი შემოიჭრებოდა, იმპერატორმა ეკატერინემ რუსული ჯარები ამიერკავკასიიდან გაიყვანა. რუსებმა მალე განდევნეს სპარსელები სამხრეთ კავკასიიდან, დაარღვიეს ხელშეკრულება უკანასკნელ ქართველ მეფესთან – გიორგი XII-სთან (1798-1800) და 1801 წელს

[4] ნაციონალიზმის თეორეტიკოსებმა დიდი ხანია წარმოაჩინეს სოციალური კომუნიკაციის მნიშვნელობა ერის შეგრძნების განვითარების საქმეში. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: K. Deutsch, *Nationalism and Social Communication: An Inquiry into the Foundations of Nationality* (Cambridge, MA: MIT Press, 1953); E.Gellner, *Nations and Nationalism* (Oxford: Basil Blackwell, 1983); B. Anderson, *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism* (London and New York: Verso Books, 1991). იხ. ასევე სამეცნიერო მიმოხილვა ნაციონალიზმზე Geoff Eley and Ronald Grigor Suny, Introduction: From the Moment of Social History to the Work of Cultural Representation, in *Becoming National, A Reader* (New York: Oxford University Press, 1996), pp. 3-37.

სამეფოს სრული ანექსია განახორციელეს. მალე ყველა ქართული სამთავრო და სომხებითა და კავკასიელი მუსლიმანებით დასახლებული რეგიონები, როგორც რუსული პროვინციები, ისე იმართებოდა. ფინეთისაგან განსხვავებით, ანექსიის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური ავტონომია არ მიუღია. დროთა განმავლობაში ის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა, თუმცა არასოდეს სარგებლობდა რუსეთის ცენტრალურ პროვინციებთან თანასწორობით. მაგალითად, კავკასიას არ უბოძეს „ზემსტვო“ (ერობა) და, ცენტრალური აზიის მსგავსად, მასაც ხშირად მოიხსენიებდნენ (და ეპყრობოდნენ), როგორც ცარისტული სამფლობელოს კოლონიას.

საქართველოს რუსებისაგან, სომხებისა და მუსლიმანებისაგან განასხვავებდა ენა, ზოგიერთი კულტურული ტრადიცია და ადათი, თუმცა კავკასიის ხალხებს შორის კავშირიც იმდენივე იყო, რამდენიც განსხვავება. მათ არ ესმოდათ ერთმანეთის ენა და ამ ენების სწავლაც უჭირდათ. თუმცა კავკასიის ქალაქებში ბევრმა იცოდა რუსული და ქართული, ხშირად კი – სომხური და აზერბაიჯანული. მართლმადიდებლობა ამცირებდა სხვაობას რუსებსა და ქართველებს შორის, რადგანაც ისინი ერთი და იმავე ეკლესიის წევრები იყვნენ, განსხვავებით მუსლიმანებისაგან, ებრაელებისა და სომხებისგან, რომელთაც თავიანთი სამოციქულო ანუ გრიგორიანული ეკლესია ჰქონდათ. თავსმოხვეულმა რუსულმა კანონმა, ბატონყმობამ, ცარისტულმა ბიუროკრატიულმა აბსოლუტიზმმა, ადგილობრივი ტრადიციებისა თუ ადათების მიმართ კულტურულმა აგრესიამ დიდებულებსა და გლეხებს შორის სიძულვილი და დაპირისპირება წარმოშვა.[5]

რუსეთის მფარველობა, რომელიც მართლაც ესაჭიროებოდათ, ისევე, როგორც ჩრდილოური გზა ევროპული განათლებისკენ, ზოგიერთ ქართველს ცარისტული იმპრესიის მიმართ ერთგულებასა და სიმპათიას აღუძრავდა. თუმცა სხვებს რუსეთი სასტიკ პატრონად მიაჩნდათ, მისი კულტურა კი – ევროპულის უღიმღამო ნაირსახეობად. ქართულმა რუსოფილიამ კულმინაციას მიაღ-

5 იხ. “Emancipation and the End of Seigneurial Georgia”, Suny, *The Making of the Georgian Nation*, pp. 96-112.

წია მეფისნაცვლის – მიხეილ ვორონცოვისა (1845-1854) და თავად ალექსანდრ ბარიატინსკის (1856-1862) მმართველობის პერიოდში, როდესაც ქართველ დიდებულთაგან მრავალი ერთგულად მსახურობდა მეფის მთავრობასა და ჯარში, ხოლო ქართველ ინტელექტუალთა პირველი თაობა (თერგდალეულები) განათლების მისაღებად გზას იკვლევდა პეტერბურგისა და მოსკოვისაკენ. საქართველოს სამხედრო გზის, დარიალის უღელტეხილისა და თერგის გავლით შინ დაბრუნებულმა დიდგვაროვანმა ინტელექტუალებმა, რომლებიც თავს მამულიშვილებად მიიჩნევდნენ, ახლებურად შეხედეს თანამემამულეთა ფასეულობებს.

რადგანაც ეკლესიას აღარ შეეძლო ქართველთა მფარველობა, ქართული კულტურის დაცვის საქმეში სასულიერო ელიტა ჩაანაცვლა ახლად ჩამოყალიბებულმა ქართულმა ინტელიგენციამ, რომელიც დიდწილად პროვინციელ თავადაზნაურთაგან შედგებოდა. ქართული სახელმწიფოს არარსებობის პირობებში, მათ საკუთარ თავზე აიღეს, აღედგინათ და გაევრცელებინათ ის, რაც ეროვნულ ტრადიციად მიაჩნდათ. ისინი, ახალი ნაციონალისტური დისკურსის შემოქმედნი, ავრცელებდნენ იდეებს, რომლებიც ინტენსიურად ტრიალებდა ელიტაში, სანამ საუკუნეთა მიჯნაზე სხვა გამოწვევის – ქართული მარქსიზმის – წინაშე არ აღმოჩნდნენ.

თავდაპირველად, ვიდრე ქართული ეროვნული ცნობიერება მწერალთა ვიწრო წრიდან მათი რომანებისა და გაზეთების მკითხველთა შედარებით ფართო მასებში ვრცელდებოდა, ურთიერთობა ქართველ და რუს ინტელექტუალებს შორის უფრო სიმბიოზური იყო, ვიდრე კონფლიქტური. ევროპულ-რუსული ეთნოგრაფიულ-ფილოლოგიური კვლევების გამოჩენის კვალდაკვალ, ქართული ენა სულ უფრო მეტ ინტერესსა და სიამაყეს აღძრავდა, ამასთან ერთად კი იცვლებოდა თვალსაზრისი ქართულ ფოლკლორზე, ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე.[6] თუმცა 1870-იანი წლებისთვის

[6] მაგალითისათვის იხ. პროგრამული სტატია, პეტრე უმიკაშვილი, სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება, *დროება*, №22 (1871); H. Paul Manning, "Describing Dialect and Defining Civilization in an Early Georgian Nationalist Manifesto: Ilia Ch'avch'avadze's 'Letters of a Traveler'," *Russian Review*, LXIII, 1 (January 2004), 33.

ქართული კულტურა დაუცველი აღმოჩნდა რუსული ენისა და შედარებით ევროპეიზებული ურბანული ცხოვრების ხიბლის წინაშე, რამაც ზოგიერთი ქართველი ჟურნალისტი და მასწავლებელი დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო მშობლიური ენის სწავლების წახალისება. 1879 წელს კულტურული ნაციონალიზმის მომხრე ქართველებმა თბილისში შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ხელი მიჰყვეს სახელმძღვანელოებისა და გრამატიკის წიგნების გამოცემას.[7]

ქართველობის ხელახლა აღმოჩენა დიდწილად რუსეთში განათლებამიღებულ ქართველ ინტელექტუალთა და პოლიტაქტივისტთა პროექტი იყო. მასში ჩართულნი იყვნენ პოეტები რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ჟურნალისტები სერგი მესხი და ნიკო ნიკოლაძე და, საბოლოო ჯამში, ქართველი მარქსისტებიც, მათ გარდა კი – ნაკლებად სახელოვანი სკოლის

---

7 O. Reisner, "Die georgische Alphabetisierungsgesellschaft: Schule nationaler Eliten und Vergemeinschaftung," *Jahrbücher für Geschichte Osteruropas,* 48: 1 (2000), S. 66-89; O. Reisner, "The Tergdaleulebi: Founders of Georgian National Identity," in *Forms of Identity: Definitions and Changes,*ed. Ladislaus Löb, István Petrovics, and György E. Szonyi (Szeged, Hungary: Attila Jozsef University, 1994), pp. 125-137; and O. Reisner, *Die Schule der Georgischen Nation: Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der "Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern" (1850-1917), Wiesbaden: Reicheirt Verlag, 2004.* განსხვავებით რუსეთის იმპერიაში შემავალი არაერთი სხვა ხალხებისა, ქართველებს ჰქონდათ სახელმწიფოებრიობის ისტორია, სამეფო ქრონიკებში შემონახული საგმირო საქმეთა ჩამონათვალი, ხელოვნებისა და არქიტექტურის ზეობის პერიოდები, რომელთა კვალი დღემდე შემორჩენილია თანამედროვე ლანდშაფტზე. სხვა ხალხების ეროვნული ცნობიერების განვითარების კვალდაკვალ, თერგდალეულებმა ჩამოაყალიბეს ერის ცნება, დაფუძნებული არა რელიგიაზე, როგორც ეს უწინ ხდებოდა, არამედ ეთნიკურ კულტურაზე. მათ წამოსწიეს, ერთი მხრივ, დიდებულებსა და გლეხებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობათა, სხვა მხრივ კი, განათლებასა და ეკონომიკურ ზრდაზე დამყარებული განვითარების მნიშვნელობა (რედ.).

მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, წიგნით მოვაჭრეები, გრამატიკოსები და ლოტბარები. ახალი ეროვნული წამოწყება ფოკუსირებული იყო ქართული ენის პატივისცემასა და ლიტერატურული ტრადიციის ხელშეწყობაზე. ქართული ლიტერატურა შუა საუკუნეების ჰიმნოგრაფიიდან საერო პოეზიამდე სამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს ეყრდნობოდა: ბიბლიის თარგმანს, „ვეფხისტყაოსანს“ – XII საუკუნეში დაწერილ შოთა რუსთაველის პოემას და „ქართლის ცხოვრებას“ – ქართველ მონარქთა ისტორიის ქრონიკებს. პოეტებმა, მეცნიერებმა და ჟურნალისტებმა, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის აღორძინებას ესწრაფვოდნენ და ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ქართული კულტურის მონაპოვარი, ტრადიციათა და სიმბოლოთა ქაოსური წარსულიდან ამოკრიბეს ის, რაც მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რათა სული შთაებერათ ეროვნულობის ახლებური გააზრებისთვის.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი არაერთი სხვა ხალხისგან განსხვავებით, ქართველები განებივრებულნი იყვნენ იმით, რომ ჰქონდათ სახელმწიფოებრიობის გამოცდილება, მატიანეში აღწერილი გმირული ბრძოლებით სავსე ისტორია და პეიზაჟები არქიტექტურისა თუ ხელოვნების ხილული, დიდებული ძეგლებით. *თერგდალეულებმა,* რომლებიც ეთანხმებოდნენ სხვა ხალხთა ეროვნული თვითშეგნების განვითარების იდეას, ჩამოაყალიბეს ერის ცნება. ამ კონცეფციისთვის ამოსავალი იყო არა რელიგია, არამედ ეროვნულ კულტურა. მასში წარმოჩენილი იყო როგორც დიდგვაროვანთა და გლეხთა შორის ჰარმონიული ურთიერთობის აუცილებლობა, ასევე განვითარებისთვის საჭირო ეკონომიკური ზრდისა და განათლების მნიშვნელობა.[8] თავადი ილია ჭავჭავაძე (1837-1907), საყოველთაოდ აღიარებული ნაციონალისტი მწერალი და პოეტი, ქართველებს მოუწოდებდა, დაეფასებინათ საერთო კულტურა, არ ეფიქრათ საკუთარ თავზე განკერძოებულად, რო-

[8] საქართველოს ეროვნული მოძრაობის გაფართოებული განხილვისათვის, იხ. James William Robert Parsons, “The Emergence and Development of the National Question in Georgia, 1801-1921,” (PhD dissertation in History, University of Glasgow, 1987); and Suny, *The Making of the Georgian Nation*, pp. 113-143.

გორც კახელებზე, იმერლებზე, გურულებზე, სვანებზე, მეგრელებსა ან ქართლელებზე, არ ეცქირათ გლეხებისთვის, როგორც გაუნათლებელი ხალხისთვის და ეაზროვნათ ისე, როგორც სრულფასოვან ერს ეკადრებოდა: „ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს?.. თუ სოფლელები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო?“[9] ილია ჭავჭავაძის შეკითხვაში ყველზე ნიშანდობლივი ის არის, რომ მას საერთოდ დასჭირდა ამ კითხვის დასმა.

სომეხთა, უკრაინელთა, ესტონელთა, ფინელთა და ცარისტული იმპერიის სხვა ხალხთა მსგავსად, განათლებული ქართველები ეროვნულად აზროვნებდნენ, იმპერიული სახელმწიფო კი იმედოვნებდა, რომ ერთგული ქვეშევრდომებისაგან საკუთარ „იმპერიულ ერს“ შექმნიდა. იმპერიის პატრიოტები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, იმპერატორისა და იმპერიული სახელმწიფოს ერთგულნი იყვნენ, იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ყველა ხალხში მოიპოვებოდნენ, მათ შორის – ქართველებშიც. თუმცა ცარისტულ ხელისუფლებას აშინებდა არარუსული ნაციონალიზმი, განსაკუთრებით, პოლონეთის 1863 წლის აჯანყების შემდეგ. ამიტომაც ეროვნულობის ყოველგვარი გამოვლინების ჩახშობას რეპრესიით ცდილობდა, რაც პრობლემას მეტად ამწვავებდა. რუსი პოლიტიკოსები და მოაზროვნეები, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა როგორმე „რუსი ერის“ ცნობიერება ჩამოეყალიბებინათ, იმპერიის უდიდესი პარადოქსის პირისპირ აღმოჩნდნენ: მათი ცივილიზატორული მისია უპირისპირდებოდა არარუს ხალხს, რომლებსაც მათივე განათლება, მობილობა და დასავლეთის მიმართ გახსნილობა იმპერიის ოპონენტებად აქცევდა.[10] მათგან ბევრი, ვინც საუკუნის დასაწყისში მეფის ერთგული მსახური იყო, საკუთარი ერის ქომა-

---

9 ილ. ჭავჭავაძე ზოგიერთი რამ, *დროება*, №24, 7 მარტი, 1876; ციტატისათვის იხ. Austin Jersild and Neli Melkadze, “The Dilemmas of Enlightenment in the Eastern Borderlands: The Theater and Library in Tbilisi,” *Kritika*, 3, 1 (2002), p. 38.

10 O. Maiorova, *From the Shadow of Empire: Defining the Russian Nation Through Cultural Mythology, 1855-1870* (Madison: University of Wisconsin Press, 2010).

გად გადაქცეულიყო, მაშინაც კი, როდესაც ცდილობდა, როგორმე მოერიგებინა ერი და იმპერია, რომელიც არ ცნობდა სრულ გამოყოფასა და სახელმწიფოებრიობას.

ამავე დროს, ლიბერალურმა ევროპამ წარმოადგინა ეროვნული მომავლის მოდელი, რომელმაც შთააგონა მცირე ერები, იმპერიისა და ავტოკრატიის მიღმა რამეზე ეფიქრათ. იტალიელებმა, პოლიტიკური გარიგებებისა და რევოლუციური წინააღმდეგობის მეშვეობით, ჩამოაყალიბეს ერთიანი იტალია, ხოლო პრუსიელებმა ათობით გერმანული სახელმწიფო მთლიან რეიხად – ეროვნულ იმპერიად შეკრეს. ბალკანეთის ხალხებმა იარაღი აისხეს ოსმალეთის წინააღმდეგ და ერთმანეთის მიყოლებით დააარსეს დამოუკიდებელი ეთნოეროვნული სამეფოები. თანამედროვე მსოფლიო ასოცირებული იყო თანასწორუფლებიან მოქალაქეობასთან, კონსტიტუციონალიზმსა და სახალხო წარმომადგენლობასთან, ცნებებთან, რომლებმაც შეცვალეს უწინდელი იმპერიული კანონზომიერება, დამყარებული დაპყრობებზე, დინასტიურობასა და მმართველი ელიტის უზენაესობაზე. მულტიეთნიკური ავტოკრატიული იმპერიული წყობა, პოლიტიკური ორგანიზების მოძველებული ფორმა, გამოუსადეგარი აღმოჩნდა თანამედროვეობისათვის. მაშინაც კი, როდესაც წარმოსახვაში საოცნებო ოქროს ხანას უბრუნდებოდნენ, ნაციონალისტი ინტელექტუალები თანამედროვეობას ერის აღორძინებას, ეთნიკური არსის გამოთავისუფლებასა და მიჩქმალული ეროვნული კულტურის აღორძინებს უკავშირებდნენ.

გაღვივებულმა ეროვნულმა ცნობიერებამ 1870-იან წლებში ქართველ და სხვა არარუს მოაზროვნეთა შორის ფართო გამოხატულება ჰპოვა. ეს, თავის მხრივ, განაპირობებდა რეაქციას რუს ჩინოვნიკებში, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ იმპერიის შემადგენლობაში მყოფ არარუსთა პრეტენზიებს. სახელმწიფო პოლიტიკა ეროვნულ საზღვრებთან დაკავშირებით, როგორც წესი, მიზნად ისახავდა სხვადასხვა ხალხთა ლეგალურ ინტეგრაციას, თუმცა, ჩვეულებრივ, ადგილობრივთა ადათებსა და ენებს ერთგვარ ავტონომიასაც ანიჭებდა. 1880-იან წლებში იმპერატორი ალექსანდრე III (1881-1894) მიმართავდა კულტურული რუსიფიკა-

ციის პოლიტიკას, რომელიც საგანმანათლებლო-ადმინისტრაციულ ინსტიტუციებში რუსული ენის გამოყენების არეალის გაფართოებას ითვალისწინებდა. ეს საფრთხეს უქმნიდა ახლად ფეხადგმულ ეროვნულ თვითშეგნებას, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა ქართულ ინტელიგენციაზე.

რუსეთის იმპერიის მსგავსად, 1894 წელს პოლიტიკური აქტივობა საქართველოშიც გაიზარდა. ტახტზე ახალი იმპერატორი – ნიკოლოზ II – ავიდა. ლიბერალი დიდებულები დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა მონარქზე და მოელოდნენ, რომ მათი თვითგამოხატვის დიაპაზონი გაფართოვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მეფემ მათ სურვილებს „ფუჭი ოცნებებიო უწოდა, საზოგადოებში დიდი ხნის მიძინებული ოპოზიციური ძალა – ლიბერალი თავადაზნაურობა ადგილობრივ თუ პროვინციათა საკრებულოებში (ზემსტვო), განათლებული პროფესიონალები და ინტელექტუალ რევოლუციონერთა მზარდი რაოდენობა – ეძებდა კანონიერ თუ უკანონო გზებს ზეგავლენის გასავრცელებლად. საქართველოში ერთ-ერთი ბრძოლის ველი იყო ენა და ქართველები ამის მიხედვით ამოწმებდნენ ერთგულებას ორი „სამშობლოსადმი“ – საქართველოსა და რუსეთის მიმართ. ქართულის ცოდნა და მშობლიურ ენაზე ხალხთან ლაპარაკის უნარი ქართველ ნაციონალისტ ინტელექტუალთა პირველ თაობას, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, უფლებას აძლევდა, პრეტენზია ჰქონოდა იმ ერის ლიდერობაზე, რომელიც თავად შვა. მათი თავადაზნაურული ნაციონალიზმი განამტკიცებდა აზრს, რომ ქართული ენა და კულტურა განსაკუთრებული ფასეულობა იყო და ქართველი ერის განსხვავებულ კლასთა ერთობას ღაღადებდა. ჭავჭავაძისთვის მიუღებელი იყო დესტრუქციული, ანტიეროვნული ძალები, ყველაფერი ის, რაც ქართული საზოგადოების ჩვეულ ჰარმონიასა და ერთობას არღვევდა – რუსი ჩინოვნიკები თუ სომეხ ვაჭართა და მეწარმეთა მტაცებლურ-კაპიტალისტური შემოჭრა. როდესაც ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილები“ ცენზურის გარეშე გამოსცა, დაახლოებით ოცდაათი წლით ადრე, მისი იდეა საქართველოზე, რომელშიც არ იარსებებდა კაპიტალიზმი და კლასობრივი დაპირისპირება, უტო-

პიად იქცა.[11] ბერიკაცი მეტად კონსერვატიული გახდა და უფრო ცარისტული ავტოკრატიისკენ გადაიხარა მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ქართველი ინტელექტუალები უკვე სხვაგვარ ხედვას ირჩევდნენ. ახალგაზრდა რადიკალები, ტრადიციული კულტურისა და სოციალური ჰარმონიის შენარჩუნების ნაცვლად, ამჯობინებდნენ, რომ მათ ქვეყანას სწორება ჰქონოდა თანამედროვეობაზე და მიჰყოლოდა ისტორიის მდინარებას.

ახალგაზრდა ინტელექტუალთა ჯგუფი, რომელიც ყოფილ სემინარიელებს – ნოე ჟორდანიას (1868-1953), ფილიპე მახარაძესა (1868-1941) და მიხა ცხაკაიას (1865-1950) – აერთიანებდა, რევოლუციური პროგრამის გარშემო პოლიტიკური „პარტიის“ შექმნის მიზნით, 1892 წლის დეკემბრიდან იკრიბებოდა. ჟორდანია და მახარაძე, რომელთაგან პირველი მოგვიანებით მენშევიკების აღიარებული ლიდერი გახდა, ხოლო მეორე – ცნობილი ქართველი ბოლშევიკი იყო – სემინარიიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხეს. ეს მათ უნივერსიტეტში სწავლას უკრძალავდა. ამიტომაც ჟორდანია და მახარაძე იძულებულნი იყვნენ, ვარშავის ვეტერინარულ უნივერსიტეტში ჩაებარებინათ, სადაც მარქსიზმისა და პოლონური ანტიცარისტული ნაციონალიზმით „მოიწამლენენ“. ახალგაზრდებს, რომლებსაც იმპერიის ერთი პერიფერიიდან მეორეში მოუწიათ გადანაცვლება, პოლონეთში შეძენილმა გამოცდილებამ მეტად განუმტკიცა პროტესტი რუსული ავტოკრატიის მიმართ და გაუმყარა სწრაფვა ეროვნული თავისუფლებისკენ. შინ დაბრუნებული ახლად დაფრთიანებული მარქსისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ევროპული სოციალ-დემოკრატია საქართველოს თანამედროვე სამყაროსკენ გაუძღვებოდა. ახალგაზრდა რადიკალები, რომლებიც ჯერაც არ გათავისუფლებულიყვნენ ნაციონალისტური გრძნობებისაგან, შორს გადგნენ ჭავჭავაძის გვერდით მყოფი დიდგვაროვანი ნაციონალისტებისაგან და სრულიად გააზრებულად აღიარეს მარქსიზმის საერთაშორისო ენა. რუსული რევოლუციური პოპულიზმითა და მარქსით შთაგონებულნი, ისინი ცდილობდნენ, თავი დაეღწი-

[11] მნიშვნელოვანი ნაშრომის ბრწყინვალე განხილვისათვის, იხ. H. Paul Manning, “Describing Dialect and Defining Civilization,” pp. 26-47.

ათ ორმაგი წნეხისგან, რომლის ქვეშაც, მათი აზრით, საქართველო იმყოფებოდა – რუსული აბსოლუტიზმისა და მზარდი სომხური და უცხოური კაპიტალისგან. ჟორდანია და მისი თანამოაზრეები, რომლებიც ჟურნალ „კვალთან“ თანამშრომლობდნენ, ჟურნალის რედაქტორმა, ლიბერალმა გიორგი წერეთელმა, მალე *მესამე* *დასად* მონათლა და, ამგვარად, სამოციანელ „განმანათლებელთა“ (პირველი დასის) და სამოცდაათიანელ ლიბერალ რეფორმისტთა (მეორე დასის) ისტორიულ მემკვიდრეებად გამოაცხადა. გიორგი წერეთელმა „კვალში“ დაბეჭდა აგიტატორ სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძის მიერ სოციალისტი მწერლის, ეგნატე ნინოშვილის (1859-1894), დაკრძალვაზე წარმოთქმული პროვოკაციული სიტყვა: „ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით – ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მერე მხრით – მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები“.[12] დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა ახალგაზრდა ქართველი ინტელექტუალებისათვის წყნარ ღამეს ნაბათის ცემას ჰგავდა, ნიშნად იმისა, რომ რაღაც მთვლემარე გამოფხიზლებას იწყებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის იდეოლოგიური მრწამსი ერთ ხანს ბუნდოვანი და ეკლექტური იყო, ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ წინააღმდეგ მიმართული პოლემიკა მათ შორის არსებულ განსხვავებებს ავლენდა. 1894 წლის ზაფხულში ჯგუფის წევრებმა ჟორდანიას მნიშვნელოვანი საპროგრამო წერილი მოიწონეს და გამოაქვეყნეს ჟურნალ „მოამბეში“ (ბიულეტენში). აქ განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო რამდენიმე თემა: პროდასავლური სოციალური პროგრესის ერთგულება (აგრარული, მემამულური საქართველოს მიმართ ჭავჭავაძის ნოსტალგიის საპასუხოდ), სხვა ეროვნებათა მხარდამხარ შრომის მზაობა (ჭავჭავაძის მიერ „ივერიის“ ფურცლებზე გამოთქმული მგზნებარე არმენოფობიის საპირისპიროდ)

12 გაზ. *კვალი,* №22, 22 მაისი, 1894. საქართველოს სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო ისტორია რევოლუციამდე არის Jones, *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy, 1883-1917* (Cambridge, MA: Harvard University Press, 2005).

და სოციალური ანალიზისა თუ პოლიტიკური სტრატეგიისთვის კლასობრივი ბრძოლის იდეის საკვანძო ცნებად აღიარება (წარჩინებულთა მფარველობით მიღწეული სოციალური იდილიის ჭავჭავაძისეული იდეალის საპირისპიროდ).[13] ჟორდანიას საგულდაგულოდ ჰქონდა შემუშავებული საქართველოს ისტორიის მისეული კლასობრივი ინტერპრეტაცია და აცხადებდა: „ამ სახით, ჩვენი ქვეყანა შეუმჩნევლად უკვე დაადგა წარმოების გზას, ერმა თავი გაყო კაპიტალიზმის ჭახრაკში“.[14]

ჟორდანიას სტატია „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“ სოსო ჯუღაშვილის თბილისში ჩამოსვლიდან რამდენიმე თვეში გამოქვეყნდა და მალევე იქცა მოაზროვნე სტუდენტი ახალგაზრდობის უმთავრეს სასაუბრო თემად. ისინი გრძნობდნენ, რომ საქართველოს ცხოვრებაში ახლებური ენერგიით სავსე ახალი თაობა შემოიჭრა. საქართველოს ორმაგი – სოციალური და კულტურული – დამცირების დამაჯერებელმა ანალიზმა აზრი ბევრს შეაცვლევინა. ჟორდანია სწრაფად გახდა ამ ახალი ინტელექტუალური და პოლიტიკური მოძრაობის აღიარებული ლიდერი, დროთა განმავლობაში კი – „კვალის“ რედაქტორიც. ნოე ჟორდანია, გაღარიბებული აზნაურის შვილი გურიის პატარა დაბიდან დასავლეთ საქართველოში, იყო მაღალი თხელი კაცი შავი წვერითა და არისტოკრატიული მანერებით.[15] მოკრძალებული საუბრისას ენა ოდნავ ებმოდა და სოფლის მასწავლებლის თანაშემწეს ჩამოჰგავდა. მისი ნაწერებში ძალა იგრძნობოდა. ჟორდანია ისტორიულ მატერიალიზმს საქართველოს ერად ფორმირების ისტორიას უსადაგებდა. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „ენა ეროვნულობის პირველი ნიშანი“ იყო, საქართველოს დაშორებული რეგიონების შეკავშირებასა და ერად

---

13 *მოამბე*, 1894, № 5-6. XIX საუკუნის ბოლოს საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში არსებული კოფლიქტის უფრო სრული გახილვისათვის იხ. Parsons, “The Emergence and Development of the National Question in Georgia, pp. 298-321; Suny, *The Making of the Georgian Nation*, chapter 6, “The Emergence of Political Society,” pp. 113-143.

14 *მოამბე*, 1894, №. 5-6.

15 G.Uratadze, *Vospominaniia gruzinskogo sotsial-demokrata* (Stanford: Hoover Institution, 1968), p. 11.

კონსოლიდაციას ხელი შეუწყო ნამდვილმა მატერიალურმა ტრანსფორმაციამ. მაშასადამე, თუკი ახალი საქართველო ეკონომიკურმა განვითარებამ შექმნა, მომავალში ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად საჭირო იყო ეროვნული და სოციალური ბრძოლის შერწყმა.

ჟორდანიას მარქსიზმმა ერს მისტიციზმის საბურველი აჰხადა და ის სოციალურ ძალად გარდაქმნა. ნოე ჟორდანიამ ქართველებს შესთავაზა აშკარად ზენაციონალისტური ანალიზი, რომელიც იმავდროულად საშუალებას იძლეოდა, თავი დაეღწიათ რუსული ავტოკრატიისა და სომხური კაპიტალის ორმხრივი ზეწოლისთვის. ისტორიის ჟორდანიასეული ვერსია საქართველოს დასავლეთევროპული განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით ათავსებდა, ხოლო რუსეთის იმპერიის ჩანასახოვანი განვითარების სტადიაზე მყოფ მუშათა კლასს იმ ინსტრუმენტად მიიჩნევდა, რომელსაც მთელი სახელმწიფო აპარატი და ეკონომიური ძლიერება უნდა დაენგრია. ჟორდანია მთლიანად რუსეთს ან ზოგადად რუს ხალხს საქართველოს მტრებად როდი მიიჩნევდა. ნაცვლად ამისა, იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ემანსიპაცია მოითხოვდა ალიანსს პროგრესულად მოაზროვნე რუსებთან და მუშებთან. მან მონახა გზა, რომელიც ჩამორჩენილ და ეგზოტიკად ქცეულ საქართველოს ევროპასთან დააახლოვებდა და იმ დროის ყველაზე მოწინავე პროგრესული სოციალური მოძრაობის ნაწილად აქცევდა. ახალგაზრდა თაობისათვის, მაგალითად, სოსო ჯუღაშვილისა და მისი ამხანაგებისთვის, ამ თეორიის ყველაზე დიდი ხიბლი ის გახლდათ, რომ განმარტებული იყო ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები და ის, რაც მათ თავს ხდებოდა. მეტიც, ამან ბოლო მოუღო პროვინციულ კარჩაკეტილობას და ისინი საერთო საქმეში რუსი რევოლუციონერებთან დააკავშირა. ახალგაზრდა რუსი მარქსისტები – პიოტრ სტრუვე, ვლადიმერ ლენინი, იული მარტოვი, ალექსანდრ პოტრესოვი და სხვები – აგრძელებდნენ და განავრცობდნენ „რუსული მარქსიზმის პატრიარქის“, გიორგი პლეხანოვის, ადრეულ იდეებს ხალხოსნების (ნაროდნიკთა) გლეხურ სოციალიზმზე, რომლის თანახმადაც,

რუსეთს შეეძლო, თავიდან აეცილებინა კაპიტალიზმი და დარჩენილიყო მცირე მეურნეობის მქონე გლეხთა ქვეყანად, რასაც უარყოფდა რუსეთის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია. მარქსისტების პროგნოზი, რომლის მიხედვითაც, რუსეთი (და მასთან ერთად საქართველოც) გაიმეორებდა ევროპისა და ამერიკის გამოცდილებას – მასიურ ინდუსტრიალიზაციას, ურბანულ კონცენტრაციას, პროლეტარიატის წარმოშობას – ყოველდღიურად დასტურდებოდა.

ამავე დროს, *მესამე დასმა* დარწმუნებით გამოაცხადა თავი ქართველი ხალხის ლიდერად. მათ ადვილად აჯობეს ძირითად ოპონენტებს – ღატაკ და გულგატეხილ თავადაზნაურობას. ქართველებს არც საკუთარი ქვეყანა ებარათ და არც ეფექტური, პოლიტიკურად წელში გამართული მმართველი კლასი. თუკი მათ შორის მცხოვრები სომხები მეწარმე „ბურჟუაზიით“ ამაყობდნენ, ქართველები იყოფოდნენ დაძაბუნებულ დიდგვაროვნებად და საბაზრო ეკონომიკის შეტევისგან გატანჯული გლეხებად, რომლებიც იძულებულნი ხდებოდნენ, ქალაქების ინდუსტრიულ გარეუბნებში გადახვეწილიყვნენ. მარქსისტებმა შეაბიჯეს პოლიტიკურ სიცარიელეში, ლიდერობის ვაკუუმში, რამაც დეკლასირებული დიდგვაროვნების, მღვდელმსახურებისა და მასწავლებლების (ხანაც ხარაზთა) წრიდან გამოსულ ინტელიგენციას საზოგადოების თვალში მეტი წონა შესძინა. სწორედ ახალგაზრდა ინტელიგენტები (პოლიტიკურად მოაზროვნე ინტელექტუალები) განსაზღვრავდნენ ეროვნული საკითხებს ამ გარდამავალ და კრიზისულ პერიოდში. ახალგაზრდა ინტელექტუალთა ახალი თაობის ესოდენ აღმატებული როლი სრულ შესატყვისობაში იყო იმ პათოსთან, რომელიც ლირიკულად გამოთქვა მგოსანმა სოსელომ, შემდგომში სტალინად ქცეულმა ბიჭუნამ.

საქართველოში, მიზეზთა გამო, ნაციონალისტთა მიერ გაცხადებული ეროვნული თვითშეგრძნება, ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მარქსისტ სოციალ-დემოკრატთა მოწოდებებზე ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად ძველი იყო ეთნოპოლიტიკური თემი საქართვე-

ლოში, ნაციონალიზმის გარკვეულ გამოვლინებათა თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა. დამოუკიდებლობის სამი წლისა (1918-1921) და საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის სამოცდაათწლიანი (1921-1991) არსებობის შემდეგ, 1980-იანი წლების მიწურულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველომ „შხამიანი“ ნაციონალიზმის ტრიუმფი იზეიმა, რამაც დამოუკიდებლობამიღწეული ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფო შუაზე გახლიჩა.

ქართული იდენტობის შესახებ წარსულში ერთმანეთისგან განსხვავებული არაერთი მოსაზრება არსებობდა და ქართული ტექსტების სწორი წაკითხვა მათ ამოცნობას გულისხმობს. ადრეული ტრადიციები გადამუშავდა და, ნაციონალისტური თვალთახედვის გათვალისწინებით, ხელახლა იქნა გააზრებული, მაგრამ არსებობდა სხვა თვალსაზრისებიც, რომელთაგან ზოგი, მიჩქმალული და მიჩუმათებული, კვლავაც ხელმისაწვდომი იყო მათთვის, ვინც ეძიებდა. ეს ტრადიციები გაცილებით უფრო მისაღები და გამოსადეგია თანამედროვე მულტიეთნიკური სამყაროსთვის. ჯერ კიდევ ორი ათასწლეულის წინ და ალბათ უფრო ადრეც სომხებსა და ქართველებს საკმაოდ საცნაური იდენტობა ჰქონდათ. ამაზე მეტყველებს მეზობელ სპარსთა და ბერძენთა წარწერები და მანუსკრიპტები, მოგვიანებით კი (ახ.წ. V საუკუნიდან) – მშობლიურ ენებზე დაწერილი ტექსტებიც. ახ. წ. IV საუკუნიდან მოყოლებული, ერთიც და მეორეც, თუმც განსხვავებული აღმსარებლობის, მაგრამ ქრისტიანი ხალხია. ჩვეულებრივ, მიწათმოქმედი ქართველები რუსული ანექსიისას იყოფოდნენ გლეხ უმრავლესობად და შედარებით მცირერიცხოვან თავადაზნაურობად, რომლებიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ვეღარ მოერგნენ ახალ ეკონომიკას. XIX საუკუნეში ქართველი თავადაზნაურობა გამუდმებით თმობდა პოზიციებს როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში სომეხ ვაჭართა და ხელოსანთა სასიკეთოდ, რომლებიც, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, კავკასიის მოსახლეობის საშუალო ფენას წარმოადგენდნენ. ქართულმა ინტელიგენციამ, დეკლასირებულ დიდგვაროვანთა მემკვიდრემ, საქართველოს მდგომარეობა საფუძვლიანად გააანალიზა და 1890-იან წლებში აირჩია სპეციფიკური მარქსისტული

მსოფლხედვა, რომელიც ბურჟუაზიასა (მეტწილად, სომხურს) და ავტოკრატიას (ძირითადად, რუსულს) საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური თავისუფლების მტრებად მიიჩნევდა. ნაცვლად იმისა, რომ კონსერვატიული ნაციონალიზმის ეგიდის ქვეშ გაერთიანებულიყო, სოციალური და ეროვნული ბრძოლის სათავეში აღმოჩნდა მარქსისტული იდეოლოგია, რომელიც მზად იყო, შერწყმოდა საერთორუსულ სოციალ-დემოკრატიას.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა რიგები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მუშებისგან შედგებოდა, 1905 წელს გლეხების ფართო მხარდაჭერით გაძლიერდა (ამგვარი მხარდაჭერა თითქმის უნიკალური იყო რუსეთის იმპერიაში). ქართველი მარქსისტები შეუერთდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შედარებით ზომიერ ფრთას, მენშევიკებს და XX საუკუნის პირველ წლებში ნამდვილი ზეკლასობრივი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში აღმოჩნდნენ. 1906-1912 წლებში მენშევიკებმა დუმის ოთხივე მოწვევის არჩევნებში იოლად გაიმარჯვეს. 1917 წელს ისინი ქალაქსა და სოფლად საბჭოებს აკონტროლებდნენ და ქვეყნის დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას წარმოადგენდნენ. XX საუკუნის პირველ დეკადაში ეროვნული მოძრაობა საქართველოში მასიური იყო, მაგრამ საქართველომ, ნაციონალისტური ექსკლუზივიზმის ნაცვლად, აშკარად არანაციონალისტური და დემოკრატიული სოციალიზმი აირჩია.

საქართველო გლეხთა და ხელოსანთა ქვეყანა იყო და არა პროლეტარული სახელმწიფო. ამით ის დიდად განსხვავდებოდა ინდუსტრიალიზებული ცენტრებისაგან – ბაქოსა და პეტერბურგისგან, სადაც შედარებით ზომიერ მენშევიკებს ბოლშევიკები ჭარბობდნენ. ქართული სოციალური დემოკრატია იყო შედარებით ფართო დიაპაზონის მქონე, დემოკრატიულად ორიენტირებულ მოძრაობა, ერთგვარი პროგრამული ნაზავი, რომელშიც თავს იყრიდა სოციალურ-ეროვნული უკმაყოფილება და კლასობრივი მოწოდებები. განსაკუთრებით განმაცვიფრებელი იყო გლეხთა მასობრივი მობილიზაცია, რასაც ქალაქად მყოფი სოციალისტების ინიციატივისა და საგულდაგულო საორგანიზაციო საქმიანობით მიაღწიეს.

მუშათა და გლეხთა ალიანსი, რომელიც ქართველი მარქსისტების ძალისხმევით შედგა, ეფექტური გამოდგა. სწორედ ის წარმოადგენდა საზოგადოების პროგრესული დემოკრატიზაციის მთავარ ძალას. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო სოციალიზმი I მსოფლიო ომის წინ! ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ქართული მენშევიზმი, ფაქტობრივად, ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას წარმოადგენდა. ლენინის მსგავსთათვის ეს იყო არა რევოლუციური, არამედ რეფორმისტული მოძრაობა, ერთგვარი სამზადისი ბურჟუაზიული გადატრიალებისთვის, რომელიც შედარებით დემოკრატიულ წესრიგს დაამყარებდა, რათა შემდგომში სოციალისტებს ის მეტად გაეღრმავებინათ და განევრცოთ.

თანამედროვე ქართველი ერი, მე ვიტყოდი, შეიქმნა იმპერიული რუსული მმართველობის საუკუნეში როგორც მატერიალურად – ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გაერთიანებითა და უფრო მოზრდილ სოციუმად ჩამოყალიბებით, ასევე დისკურსიულად – ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის, საზიარო ისტორიის, ტრადიციისა და ბედ-იღბლის კონსტრუირებით. ქართველი სოციალისტები, გლეხთა დიდი მხარდაჭერით, სათავეში ედგნენ მასიურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და შუამავლის როლს ასრულებდნენ ნაციონალიზმსა და ინტერნაციონალურ სოციალიზმს შორის, გარკვეულწილად, აძლიერებდნენ მომხრეების ნაციონალისტურ მისწრაფებებს და ახერხებდნენ ეროვნული შოვინიზის თავიდან აცილებას. მათი იდეალი იყო ერი ხალხთა თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით.

საქართველოში ინტელექტუალური ელიტა მენშევიკებს უჭერდა მხარს. ამგვარად, მენშევიკებს უმრავლესობის მხარდაჭერა ჰქონდათ საქართველოში, განსხვავებით ბოლშევიკებისაგან ბაქოსა ან რუსეთში. თუმცა სოციალური, ეთნიკური და სამხედრო კონფლიქტებით გამოწვეულმა შიშმა და მღელვარებამ საქართველოში რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს უფრო მძლავრი ნაციონალისტური გრძნობები წარმოშვა. ბუნდოვანი მომავლის შიშმა შიდა ეთნიკური დაძაბულობა გამოიწვია. თუმცა ეს არანა-

ირ საფრთხეს არ უქმნიდა პოპულარულ და მძლავრ მენშევიკურ მთავრობას მაშინაც კი, როდესაც ის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სეპარატისტებს წინააღმდეგ კამპანიას იწყებდა. 1905 წლის შემდეგ მენშევიკები ქართული ეროვული მოძრაობის აღიარებული ლიდერები იყვნენ. მათ სწრაფვას ძალაუფლებისაკენ მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1918 წლის დასაწყისში თბილისში რუსული გარნიზონი განაიარაღეს. რუსეთის არმიის კავკასიური ფრონტის დეზინტეგრაციის შემდეგ ბოლშევიკური გამოწვევები უმნიშვნელო იყო, ცარისტულ ინსტიტუციათა გაუქმებამ კი პოლიტიკური აქტუალობა დაუკარგა სომხურ ბურჟუაზიას. საბოლოო ჯამში, ქართულ პოლიტიკაში ოცი წლის განმავლობაში გაბატონებული მოძრაობის აღმოფხვრა მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდა, რაც 1921 წელს ქვეყანაში წითელი არმია შემოიჭრა, 1924 წელს კი ანტისაბჭოთა აჯანყება ჩახშეს.

რევოლუცია სამხრეთ კავკასიაში

რევოლუცია რუსეთში ერთდროულად პოლიტიკურიც იყო, სოციალურიც და „ეროვნულიც“ – პოლიტიკური ელიტის, სოციალური კლასებისა და ეროვნებების კონფლიქტი. რევოლუციის ყველა ეს ასპექტი იყო წარმოდგენილი კავკასიონის სამხრეთით. რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში ადგილობრივი პოლიტიკური და სოციალური ჯგუფები სასურველ სამომავლო იდეებსა და იდენტობას უფრო მკაფიოდ აყალიბებდნენ. მას შემდეგ, რაც სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფთა მისწრაფებების გამომხატველი ახალი პოლიტიკური ლიდერები გამოჩნდნენ, თავად ამომრჩეველთა ჯგუფებისთვის, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ, უფრო ნათლად ჩამოყალიბდა და განისაზღვრა საკუთარი იდენტობა, პოლიტიკური მრწამსი და მიზნები. მუშათა და მეწარმეთა კონფლიქტი ბაქოში, სომეხთა და ქართველთა – თბილისში, მუსლიმანთა და არამუსლიმანთა – ერევანში, ელიზავეტოპოლსა და ბაქოს პროვინციებში თანდათან მწვავდებოდა. სოციალური განსხვავება კი, რომელმაც 1917 წელს განსაკუთრებით იჩინა თავი, მომდევნო

წლებში, სამოქალაქო თუ სახელმწიფოთაშორისი ომებისას, თითქოს ნაციონალიზმმა შთანთქა.

ამ მრავალეროვან რეგიონს, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებს შორისაა გადაჭიმული, ხშირად აღწერდნენ რუსი პოეტები და მწერლები, როგორც ტემპერამენტიანი და ვნებიანი, შურისმაძიებელი და ხელგაშლილი ხალხის, კეთილშობილ მთიელთა და ვერაგ მკვიდრთა მიწა-წყალს. სამი უმთავრესი ეთნოსი – ქართველები ჩრდილოეთსა და დასავლეთში, აზერბაიჯანელები (რომლებსაც, ჩვეულებრივ, რევოლუციამდე „თათრებს“ ეძახდნენ) აღმოსავლეთში და სომხები სამხრეთში – ახერხებდა, მშვიდობიანად ეცხოვრა ერთმანეთის გვერდიგვერდ ცარიზმის ასწლიანი მმართველობისას, თუმცა ზოგჯერ, 1905 წლის მსგავსად, შეჯახებაც ხდებოდა. მას შემდეგ, რაც იმპერიამ სამხრეთ კავკასიაც შეიერთა, რუსულმა ავტოკრატიამ იმპერიის მემამულურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ წესრიგში ქართველ და მუსლიმან დიდგვაროვანთა ელიტის ინტეგრირებაც მოახერხა და ადგილობრივ მეწარმეებთან და ვაჭრებთან ეკონომიკური კავშირების გაბმაც, მაგრამ ვერ გადაჭრა გლეხთა მიწის საკითხი და ვერც ახლად წარმოქმნილი მუშათა კლასის მატერიალურ-პოლიტიკური მოთხოვნები მოაგვარა ბაქოში, ბათუმსა თუ თბილისში. ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციისა და წიგნიერების მაჩვენებლებით სამხრეთ კავკასია რუსეთს ჩამორჩებოდა, ხოლო სოციალურ უკმაყოფილებას თან ერთვოდა ეთნიკური განსხვავებები, სტერეოტიპები და ცრურწმენები.

ერთმანეთისგან ენით, კულტურითა და რელიგიით გამორჩეულ სამხრეთ კავკასიელ ხალხებს სოციალურ-ეკონომიკური იერარქიაც ჰქონდათ. ეთნიკური წარმომავლობა გაძლიერებული იყო კლასობრივით, რაც ხაზს უსვამდა ძირითად ეროვნებათა შორის არსებულ განსხვავებებს. მუსლიმანები, ყველაზე დიდი ჯგუფი (1897 წლის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 24% ანუ 1 791 000 სული), ძირითადად, იყვნენ გლეხები, რომლებიც ნაკლებად განიცდიდნენ ურბანული კულტურისა ან სეკულარული ნაციონალიზმის ზეგავლენას. მათთვის დამახასიათებელი ჯგუფური ცნობიერება და კოლექტივიზმი შიიტი სასულიერო პირების ზეგავლენას განაპირო-

ბებდა. რუსები და სომხები მუსლიმანებს „ბნელ“, გაუნათლებელ ხალხად მიიჩნევდნენ და ნავთობმომპოვებელ ქალაქ ბაქოში მუსლიმი უმრავლესობის პოლიტიკური ზეგავლენის შეზღუდვას საკანონმდებლო აკრძალვებით ცდილობდნენ. საუკუნეთა გასაყარზე ბაქოში შეიქმნა აზერბაიჯანელ მეწარმეთა და ინტელექტუალთა მცირე ჯგუფი, რომელიც ევროპეიზებული და „თანამედროვე“ საჯარო სექტორის ჩამოყალიბებით ადგილობრივ მუსლიმანთა კულტურულ-პოლიტიკური მოთხოვნების წინ წამოწევას ცდილობდა.

ქართველ ხალხს (მოსახლეობის 23%-ს ანუ 1 741 000 სულს) სწრაფი სოციალური ტრანზიტულობა ახასიათებდა. ჟორდანიას მეთაურობით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრთასთან გაერთიანებულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დასავლეთ საქართველოში მეამბოხე გლეხები დარაზმეს და მხარდამჭერთა წრე გაიფართოვეს. ქართული სოციალ-დემოკრატია იყო მსოფლიოში პირველი მნიშვნელოვანი მარქსისტული პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა მასობრივ ეროვნულ, გლეხურ და მუშათა სოციალურ მოძრაობას.

სამხრეთკავკასიელი სომხური მოსახლეობა (1 685 000 სული ანუ 22%) მიმოფანტული იყო და დანაწევრებული. მის უმრავლესობას შეადგენდა ღარიბი გლეხობა, რომელსაც ძლივს გაჰქონდა თავი ერევნის პროვინციაში მაშინ, როცა სომეხთა მცირერიცხოვანი მძლავრი საშუალო კლასი XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ ქალაქში დომინანტურ ეკონომიკურ ძალად იქცა. სომხებს რეგიონში „ბურჟუაზიად“ და ყველაზე წარმატებულ მეწარმეებად მიიჩნევდნენ. ეთნიკურად ჭრელ ბაქო-თბილისში მუშათა და მესაკუთრეთა სოციალურმა კონფლიქტმა ეთნიკური ასპექტი შეიძინა. ქართველი და აზერბაიჯანელი მუშები დაუპირისპირდნენ სომეხ და რუს მეწარმეებს, ხოლო სომეხი გლეხები – აზერბაიჯანელ მიწათმფლობელებს. იმავდროულად, სომხები განსახლებულნი იყვნენ თურქეთისა და რუსეთის საზღვრის ორივე მხარეს, უმრავლესობა კი ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრობდა. სომხური პოლიტიკური ენერგიის დიდი წილი, სომხური რევოლუციური ფედერაციის ანუ დაშნაკცუტიუნთა წინამძღოლობით, ოს-

მალთა დესპოტიზმისაგან თურქი სომხების „განთავისუფლების“ მიზნით, სამხრეთ კავკასიიდან აღმოსავლეთ ანატოლიის ისტორიულ სომხურ პროვინციებში გადადინდა.

I მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დაკვირვებული თვალი შენიშნავდა, რომ ქართველთა უმრავლესობა მენშევიკი ლიდერის გარშემო იყო შეკრებილი. სომხები გაყოფილნი იყვნენ – მათი უმრავლესობა ნაციონალისტებს უჭერდა მხარს, ხოლო უმცირესობა რუსულ სოციალისტურ პარტიებს უერთდებოდა. რაც შეეხება მუსლიმანებს, ისინი კვლავ ინდიფერენტულნი იყვნენ ეროვნული პოლიტიკის მიმართ. ქართველთა აღიარებული ლიდერების – მენშევიკი ინტელექტუალების მსგავსად, ბოლშევიკ და სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერების) აქტივისტებიც ნავთობმომპოვებელი ბაქოთი იფარგლებოდნენ, რადგან აქ სამრეწველო მუშათა დიდი კონცენტრაცია ეგულებოდათ. I მსოფლიო ომამდე ორი წლით ადრე სოციალისტებმა ბაქოში მენავთობე მუშათა ორი საყოველთაო გაფიცვა მოაწყვეს და მათი გავლენა სანკტ-პეტერბურგშიც კი იგრძნობოდა. სამხრეთ კავკასიაში ეთნიკურ წარმომავლობას დიდი ხნის განმავლობაში ლოიალურად უყურებდნენ, თუმცაღა პოლიტიკური ნაციონალიზმი ნელ-ნელა ძალას იკრეფდა და მოგვიანებით, XX საუკუნის მეორე ათწლეულისთვის, ინტერნაციონლისტური სოციალიზმის პოტეცნიურ მოწინააღმდეგედაც იქცა. საქართველოს ფედერალისტთა მცირერიცხოვანი პარტია ქართველთა ავტონომიას უჭერდა მხარს, ხოლო სომეხი ნაციონალისტები ლაპარაკობდნენ „თავისუფალ სომხეთზე“ ორივე იმპერიაში, სადაც სომხები ცხოვრობდნენ. ნაციონალისტი ინტელექტუალებისა და პოლიტიკოსების ჯერ კიდევ ვიწრო წრისათვის ნაციონალიზმი იყო სოციალისტთა კლასობრივი იდეოლოგიის ალტერნატიული ხედვა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რევოლუციამდელი პერიოდის პოლიტიკურ დისკურსს. სომხური საზოგადოების ოპოზიციურ ელემენტთა შორის პოლიტიკური თვითგამოხატვის მონოპოლიზება სოციალისტ-ნაციონალისტმა დაშნაკებმა მხოლოდ სომხებში მოახერხეს.

1917 წლის 1 მარტს მენშევიკებმა სახელმწიფო დუმიდან თბილისში ამხანაგებს უდეპეშეს: „მთავრობა გარდაიცვალა“. კავკა-

სიელი სოციალისტები მიხვდნენ, რომ ხელისუფლება დაემხო, რამდენიმე საათში კი კავკასიის მეფისნაცვალმა თბილისის მერს, ალექსანდრე ხატისოვს, დაურეკა და რომანოვების რეჟიმის დასრულება ამცნო. ორი დღის შემდეგ სოციალისტებმა თბილისსა და ბაქოში მუშა დეპუტატთა საბჭოების არჩევნები ჩაატარეს. იმავდროულად, ბაქოსა და თბილისში დაინიშა ე.წ. აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც ყველა კლასს წარმოადგენდნენ. ცარისტული ოფიციალური პირების ნაცვლად, ადგილზე საქმიანობა მათ უნდა გაეგრძელებინათ. პეტროგრადის მსგავსად, სამხრეთ კავკასიის დიდ ქალაქებში რევოლუციის პირველ კვირებში ორი მოქიშპე ძალა არსებობდა – მუშათა და ჯარისკაცთა მიერ არჩეული საბჭოები და დროებითი მთავრობის მხარდაჭერის მქონე აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც ნომინალურად ქალაქის ყველა ფენას წარმოადგენდნენ. თუმცა ორხელისუფლებიანობა სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც პეტროგრადში, მხოლოდ დროებით ნიღბავდა იმ ფაქტს, რომ ნამდვილი ძალაუფლება საბჭოების ხელში იყო. მხოლოდ მუშებისა და ჯარისკაცების მიერ არჩეულ ორგანოებს შეეძლო, ხალხი ქუჩაში გამოეყვანა ან გარნიზონისათვის ბრძანება გაეცა. 1917 წლის გაზაფხულზე აღმასრულებელი კომიტეტებისა და დროებით მთავრობის მიერ დანიშნული სამხრეთ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) ფორმალური ძალაუფლება იყო შედეგი საბჭოების მიერ ზომიერი სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკებისაგან მიღებული სანქციისა, მათ კი, თავის მხრივ, სოციალური ერთობისა და საომარ მოქმედებათა შენარჩუნება სურდათ. მენშევიკების უმეტესობა რევოლუციას „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ“ გადატრიალებად აღიქვამდა და ამ შეხედულებას ესერებიც იზიარებდნენ. არსებული ეჭვის მიუხედავად, ისინი დროებით მთავრობას კანონიერად აღიარებდნენ და მზად იყვნენ, შეეჩერებინათ მუშები, რათა მათ საბჭოების სახელით ძალაუფლება ხელში არ ჩაეგდოთ.

ერთადერთი ძალა, რომელიც ჯერ ორხელისუფლებიანობას დაუპირისპირდა, ხოლო მაისიდან ოქტომბრამდე კოალიციური მთავრობის წინააღმდეგაც გამოდიოდა, სოციალ-დემოკრატთა

ბოლშევიკური ფრთა იყო. ბაქოში დაფუძნებულ დაჯგუფებას სათავეში სტეფანე შაუმიანი ედგა. ბოლშევიკები, ევროპაში მიმდინარე მოვლენების გავლენით, რევოლუციას სოციალისტურში გარდამავალ გადატრიალებად განიხილავდნენ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ზომიერი სოციალისტების „თავდაცვითი რევოლუციის“ პოლიტიკას, რომლის თანახმადაც, სამხედრო მოქმედებები „დემოკრატიული მშვიდობის“ დამყარებამდე უნდა გაგრძელებულიყო და მთელი „დემოკრატიის“ (დაბალი კლასების) ხელისუფლების დამყარებისკენ მოუწოდებდნენ. ცენტრალური რუსეთის ბოლშევიკთა ლიდერების დაჟინებული მოთხოვნით, ადგილობრივი ბოლშევიკები ფორმალურად ჩამოსცილდნენ მენშევიკებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში მოგვიანებით მოვიდნენ (6 ივნისს – თბილისში და 24 ივნისს – ბაქოში). თუკი საქართველოში, სადაც პარტიული ორგანიზაციები და საბჭოები ხელთ ეპყრათ მენშევიკებს ჟორდანიას მეთაურობით, რომელსაც მე „ეროვნულ ინტერნაციონალისტს“ ვუწოდებდი, ბოლშევიკები უძლურ სექტას ჩამოჰგავდნენ, ბაქოში ისინი მძლავრ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ.

აპრილ-მაისის სამთავრობო კრიზისისას, როდესაც პეტროგრადში კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდა, ქართველი მენშევიკები ძალაუფლების საკითხთან დაკავშირებით თავიანთ რუს ამხანაგებს დაუპირისპირდნენ. მენშევიკების მოთხოვნით, თბილისის მუშათა საბჭომ 29 აპრილს დიდი უმრავლესობით მისცა ხმა სოციალისტების არშეშვებას კოალიციურ მთავრობაში. ჟორდანია უპირატესობას ანიჭებდა წმინდად „ბურჟუაზიულ“ მთავრობას, მაგრამ კადეტთა ლიდერის – პაველ მილიუკოვისა და იმ პირთა გარეშე, რომლებიც ანექსიას ემხრობოდნენ. თუმცა მუშათა საბჭოს მხარს არ უჭერდა ჯარისკაცთა საბჭო. მათ სათავეში ედგნენ ესერები, რომლებმაც 16 მაისს ხმა მისცეს კოალიციურ მთავრობას. 25 ივნისს თბილისში ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ დემონსტრაციაზე მუშებს შორის კონფლიქტი მოხდა. დაპირისპირებულთა ერთ მხარეს ქართველები და მენშევიკები იყვნენ, მეორე მხარეს კი – ძირითადად, რუსი ჯარისკაცები, ესერთა მხარდამჭერები და ბოლშევიკები. ათი ათასამდე ჯარისკაცმა, რომლებიც მენშევიკ

ორატორთა წინააღმდეგ სკანდირებდა, ბოლშევიკური რეზოლუცია მიიღო, კერენსკის სამხედრო კამპანია დაგმო და საბჭოებზე დამყარებული მთავრობის შექმნა მოითხოვა. თბილისელი მენშევიკები შიშობდნენ, რომ აქტივისტები საქალაქო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეეცდებოდნენ. ამიტომ მათ აკრძალეს ჯარისკაცთა მიტინგი ალექსანდრეს ბაღში, გააფრთხილეს საზოგადოება კონტრრევოლუციის საფრთხის შესახებ, კოალიციური მთავრობა აღიარეს და პეტროგრადთან დაზავდნენ.

რუსეთში, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიაში, რევოლუციის ტემპი ზაფხულის ბოლოსკენ დაჩქარდა, რადგან მუშებსა და ჯარისკაცებს არ სურდათ კოლაბორაცია მესაკუთრეთა კლასთან. 2 სექტემბერს თბილისის საბჭო ბურჟუაზიასთან კოლაბორაციის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გამოვიდა და მხარი დაუჭირა „დემოკრატიულ სოციალისტურ მთავრობას“, რომელიც ყველა სოციალისტურ პარტიას აერთიანებდა. თუმცა გაუარესებული ეკონომიკური ვითარებით, დაუსრულებელი ომითა და მაღალი და საშუალო კლასების მიმართ მზარდი უნდობლობით სწორედ ბოლშევიკებმა იხეირეს. სექტემბერში, რამდენიმეთვიანი უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ, ბაქოელმა მეწარმეებმა მენავთობე მუშათა საყოველთაო გაფიცვის პროვოცირება მოახდინეს, მაგრამ სულ რაღაც ექვს დღეში ბოლშევიკების მიერ მართულმა კარგად ორგანიზებულმა გაფიცვებმა საწარმო აიძულა, დანებებოდა. გენერალ კორნილოვის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, პეტროგრადში სამხედრო დიქტატურა დაემყარებინა, ბოლშევიკურმა გადაწყვეტილებებმა სამხრეთ კავკასიურ საბჭოებში ახალი მხარდაჭერა ჰპოვა. ჯარისკაცები, რომლებიც სულ უფრო მეტად უჭერდნენ მხარეს ომის ოპონენტ ლენინელებს, 1917 წლის შემოდგომაზე ბაქო-თბილისის გარნიზონებსა და კავკასიის ფრონტზე თანდათან დევნიდნენ ესერებს. ბოლშევიკები, როგორც სუსტი კოალიციური მთავრობის, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების და დუმის ყველაზე ომახიანმა კრიტიკოსები, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ზედა და ქვედა ფენებს შორის სოციალური დაპირისპირება ღრმავდებოდა. შაუმიანმა ოქტომბრის დასაწყისში განაცხადა: „არეულობა ყველ-

გან იზრდება, მიწებს იტაცებენ და ა.შ. ჩვენი მოვალეობაა, დავდგეთ რევოლუციის სადარაჯოზე და ხელში ავიღოთ ძალაუფლება“.

როდესაც ოქტომბრის რევოლუციის ამბავმა 25 ოქტომბერს თბილისამდე მოაღწია, გავრცელდა ხმა, რომ ბოლშევიკები ბაქოს ხელში ჩაგდებას შეეცდებოდნენ. თუმცა სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივ ბოლშევიკებზე უფრო გაბედულად მენშევიკებმა იმოქმედეს. შაუმიანმა თავი შეიკავა ბაქოში ეროვნებათაშორისი სისხლისღვრისა და სამოქალაქო ომის პროვოცირებისაგან, მაგრამ ნოემბრის ბოლოს ჟორდანიას ძალებმა ხელთ იგდეს თბილისის არსენალი და პრობოლშევიკური გარნიზონი განაიარაღეს. მენშევიკები თავიანთი საკუთარი წითელი გვარდიით წინ აღუდგნენ ბოლშევიკების მცდელობას, ჯარში პროპაგანდა ეწარმოებინათ. ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში სოციალურ ძალთა ბალანსი დეკემბერში შეიცვალა, რადგანაც კავკასიის ფრონტი დაიშალა და რუსი ჯარისკაცები ხმას აძლევდნენ ომის დასრულებასა და შინ დაბრუნებას. ბოლშევიკებმა დაკარგეს რუსი ჯარისკაცები, ყველაზე ძლევამოსილი მხარდამჭერები ბაქოს გარეთ და ამასთანავე – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი პოსტრევოლუციურ რუსეთთან კავშირის შესანარჩუნებლად. სომხები, თურქების შიშით, სამხრეთ კავკასიის ყველაზე პრორუსულ ძალად ჩამოყალიბდნენ. ბაქოელმა სომხებმა, რომლებიც ცდილობდნენ, საბჭოთა რუსეთის ლოიალურნი დარჩენილიყვნენ, დაშნაკების მეთაურობით, ხმა მისცეს ადგილობრივ საბჭოს, ხოლო თბილისელი სომხები, ასევე დაშნაკების გავლენით, სხვა ადგილობრივ პარტიებს უჭერდნენ მხარს და შემდეგ ავტონომიურ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ინსტიტუტუციებში მუშაობდნენ.

საბჭოთა რუსეთი I მსოფლიო ომს 1918 წლის დასაწყისშივე გამოეთიშა და ოსმალეთის ჯარები ბაქოს მიმართულებით სამხრეთ კავკასიისაკენ დაიძრნენ. თებერვალში სამხრეთ კავკასიის პარლამენტი – სეიმი – შეიკრიბა, მაგრამ მალევე ცხადი გახდა, რომ ურთიერთობა სამ ძირითად ეროვნებას შორის თანდათან იძაბებოდა. თურქების ზეწოლით, სამხრეთ კავკასიამ თანდათან რუ-

სეთთან კავშირი გაწყვიტა. თურქების მიერ ბათუმის დაკავებიდან ერთი კვირის თავზე, 1918 წლის 22 აპრილს, სამხრეთ კავკასიის ლიდერებმა დამოუკიდებელი „ფედერაციული რესპუბლიკის“ შექმნა გამოაცხადეს და თურქებთან მოსალაპარაკებლად დელეგაცია გაგზავნეს. თუმცა ოსმალეთმა, რომელიც წინსვლას აგრძელებდა, 15 მაისს ალექსანდროპოლი აიღო. სომხები კარაკალისასთან და სარდარაბადთან გამაგრდნენ და თურქები ბაქოსკენ ერევნის შემოვლით დაიძრნენ.

ვინაიდან ოსმალეთი სამხრეთ კავკასიაში წინ მიიწევდა, თბილისში დაფუძნებული ფედერაციული რესპუბლიკა უსუსური აღმოჩნდა. სომხები აქტიურად ებრძოდნენ თურქებს, აზერბაიჯანელები კი მათ მოკავშირეებად გამოდიოდნენ, ქართველები გერმანელებისაკენ იხრებოდნენ, სომხები კი დასავლეთის მოკავშირეობას ირჩევდნენ. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკა 1918 წელს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა. პირველმა რევოლუციურმა წელმა, სამხრეთ კავკასიის დემოკრატიულ რუსეთთან გაერთიანების ნაცვლად, მძლავრი სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტები გამოიწვია – სოციალისტებისა და ნაციონალისტების დაპირისპირება და ეთნიკური დანაწევრება, ხოლო დინებას აყოლილი სამი რესპუბლიკა დამპყრობელ ოსმალეთსა და უკუქცეულ რუსეთს შორის აღმოჩნდა.

ბაქო ბოლშევიკური მთავრობით, რომელიც საკუთარ თავს „ბაქოს კომუნას“ უწოდებდა, საბჭოთა რუსეთის ფორპოსტი იყო. საბჭომ, ბოლშევიკი უმრავლესობითა და შაუმიანის, „ალიოშა“ ჯაფარიძის, ივანე ფიოლეტოვისა და მეშადი აზიზბეკოვის წინამძღოლობით, მარტში მუსლიმანთა აჯანყება ჩაახშო. ის ალიანსში შევიდა სომხურ ძალებთან, რომლებსაც დაშნაკები ხელმძღვანელობდნენ და უდავო ძალაუფლება მოიპოვა. ბაქოს კომუნამ, შედარებით რბილმა მთავრობამ, სცადა საბჭოთა რევოლუციის ექსპორტი დასავლეთით, მაგრამ მათ წინ აღუდგნენ განჯელი (ელიზავეტოპოლელი) მუსლიმანები და მათი თურქი მოკავშირეები. შაუმიანის ხელისუფლება გადადგა, მაგრამ ბრიტანული სამხედრო ძალები ირანიდან არ მოიწვიეს. 1918 წლის 14-15 სექტემბერს თურქეთის

არმია ბაქოში შევიდა. ათასობით სომეხი გაჟლიტეს, შაუმიანი და მისი უახლოესი ამხანაგები, ლეგენდარული „ოცდაექვსი კომისარი“, ბოლშევიკთა მოწინააღმდეგე სეპარატისტებმა თურქმენეთის უდაბნოში დახოცეს.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოსათვის დამოუკიდებლობის პერიოდი სწორედ იმდენ ხანს გაგრძელდა, რამდენიც საბჭოთა რუსეთს სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციის დასასრულებლად დასჭირდა, რათა თავისი ძალაუფლება სამხრეთ კავკასიაში გაევრცელებინა. აზერბაიჯანი, სანამ 1920 წელს ბოლშევიკებს დანებდებოდა, მერყეობდა, თურქეთის სატელიტი ქვეყანა გამხდარიყო თუ ინგლისის მეურვეობა აერჩია. აზერბაიჯანელ ნაციონალისტებს, რომელთაც ამ ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, პანთურანისტული ოსმალეთის მთავრობა მონებივით ეპყრობოდა, ბრიტანელები საეჭვო კოლაბორაციონისტებად მიიჩნევდნენ, ხოლო საბჭოები თურქეთისა და ბრიტანეთის იმპერიების აგენტებად მოიხსენიებდნენ. მიუხედავად ამისა, ბრიტანელებმა, რომლებიც 1918 წლის შემოდგომაზე აზერბაიჯანში დაბრუნდნენ, მხარი დაუჭირეს ალი ხან ხოისკის აზერბაიჯანულ მთავრობას და გაიზიარეს მისი პოზიცია მთიან ყარაბაღზე სომხეთის პრეტენზიებთან დაკავშირებით და ზანგეზურ-ნახიჩევანის საკითხზე. თუმცა, როგორც კი ბრიტანელებმა 1919 წლის აგვისტოში კავკასიის უდიდესი ნაწილი დატოვეს, აშკარა გახდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობას უაღრესად სუსტი სოციალური საყრდენი ჰქონდა – მთავრობამ ვერ მოახერხა ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა, საზღვრებზე სომხებთან კონფლიქტი მძვინვარებდა, ბაქო კი, დიდწილად, სომხურ-რუსული მუშა მოსახლეობით ვერაფრით ეგუებოდა რუსეთისგან ჩამოშორებასა და აზერბაიჯანელთა დომინირებას. 1920 წლის აპრილში წითელმა არმიამ, შიდა ადგილობრივი რევოლუციის საბაბით, საზღვარი გადალახა და აზერბაიჯანი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა.

ამ სამ სახელმწიფოთაგან ყველაზე ნაკლებსიცოცხლისუნარიანი სომხეთი იყო. რამდენიმე თვეში მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თბილისში ფორმირებული მთავრობა სომ-

ხეთის დედაქალაქში ჩავიდა და აღმოაჩინა ქვეყანა, სავსე ეპიდემიებითა და შიმშილით დატანჯული თურქი ლტოლვილებით, რომლებსაც ანატოლიაში აღმავლობის გზაზე შემდგარი ქემალისტური მოძრაობა ემუქრებოდა. ახლად შექმნილ სახელმწიფოს მეზობლები – თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი – საზღვრებს ედავებოდნენ. ამგვარად, სომხეთი თითოეულ მათგანის პირისპირ საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სომხეთს მხოლოდ მოკავშირეთა, განსაკუთრებით, პრეზიდენტ უილსონის, სიმპათია თუ გადაარჩენდა და ამერიკული დახმარება, რომელმაც რამდენიმე ზამთარი გადაატანინა. დაშნაკების მთავრობამ დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა და სახელმწიფო აპარატის ჩანასახი ჩამოაყალიბა, ამასთან ერთად კი სომხეთის საერთაშორისო აღიარების მოპოვებასა და ტერიტორიალური პრეტენზიების დაკმაყოფილებაზეც ზრუნავდა. 1920 წელს სომხეთს ქემალისტებთან კონფლიქტი მოუვიდა და მალევე მოუხდა უკან დახევა. რათა ის მაინც გადაერჩინათ, რაც ქვეყნიდან დარჩა, დაშნაკი ლიდერები საბჭოთა ოფიციოზთან მოლაპარაკებაზე წავიდნენ და კომუნისტებთან ერთად კოალიციური მთავრობის შექმნას დაყაბულდნენ. 1920 წლის 2 დეკემბერს წითელი არმია სომხეთში შევიდა, რამდენიმე დღეში კი დაშნაკები მთავრობიდან გარიცხეს. კომუნისტების საომარმა პოლიტიკამ 1921 წლის დასაწყისში პროვოცირება გაუკეთა აჯანყებას, რომელსაც დაშნაკები მეთაურობდნენ. აჯანყება სწრაფად ჩაახშვეს, თუმცა ამან გამოაფხიზლა საბჭოთა რეჟიმი, რომელმაც, ლენინის რჩევით, სომეხ ქვეშევრდომთა მიმართ უფრო პოზიტიური პოლიტიკა აირჩია.

საქართველომ მენშევიკების მმართველობის ორწელიწადნახევრიან პერიოდში (1918 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე) შეძლო, ჩამოეყალიბებინა დემოკრატიული კონსტიტუციური პოლიტიკური სისტემა, თუმცა სრულ ეკონომიკურ სტაბილურობასა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ვერ მიაღწია. რესპუბლიკამ ვერ უზრუნველყო აფხაზი და ოსი ხალხის ლოიალურობა დასავლეთსა და ჩრდილოეთში და ქართულმა ჯარებმა სისხლში ჩაახშვეს სეპარატისტული მოძრობა. ამავე დროს, ქართველები დაუპირისპირ-

დნენ გენერალ დენიკინის თეთრ ძალებს ჩრდილო-დასავლეთში და, სასაზღვრო რეგიონთან დაკავშირებით, ხანმოკლე ომი ჰქონდათ სომხებთან. მიუხედავად ეკონომიკური დაღმასვლისა და სოციალური მღელვარებისა, სოციალ-დემოკრატებმა შეინარჩუნეს პოპულარობა ქვეყნის ქართველ უმრავლესობაში და შეძლეს დემოკრატიული პოლიტიკისა და რბილი სოციალური რეფორმების შერწყმა. ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, სადაც არაქართველებიც იყვნენ წარმოდგენილნი და მთავრობამ მიწა გადაუნაწილა გლეხებს. ბოლშევიზმს ქვეყანაში მხარს ცოტა უჭერდა და მენშევიკებმა საბჭოთა რუსეთთან დადეს ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. მენშევიკებს სჯეროდათ, რომ მათი ქვეყანა ბურჟუაზიულ-დემოკრატულ გარდაქმნათა ფაზაში იყო და წმინდად სოციალისტური ეკონომიკის შენება აქ ჯერ შეუძლებელი იქნებოდა. მათი ზომიერება და ერთგულება დემოკრატიისადმი აღაფრთოვანებდა ევროპელ სოციალ-დემოკრატებს და განსაკუთრებით, კარლ კაუცკის, ფრიდრიხ ენგელსის მემკვიდრეს, თუმცა აღაშფოთებდა ბოლშევიკებს, მაგალითად, ლევ ტროცკის.

ოქტომბრის რევოლუციისას ქართველი მენშევიკები მოხერხებულად მოქმედებდნენ, რათა თბილისში რუსული გარნიზონი განეიარაღებინათ და ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ. სამხრეთ კავკასიის სოციალისტური პარტიები (ადგილობრივ ბოლშევიკთა გამოკლებით), რომლებიც უარს ამბობდნენ, ეღიარებინათ ბოლშევიკური მთავრობა პეტროგრადში, თანდათან ცდილობდნენ, რეგიონი რუსეთიდან გამოეცალკევებინათ და ამისათვის ჯერ ავტონომია გამოაცხადეს, შემდეგ – სრულიად სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობა, ბოლოს კი – სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა. რა თქმა უნდა, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და სტაბილური სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში საქართველო იყო. აქ მუშებსა თუ გლეხებში მტკიცედ იყო გამჯდარი სოციალ-დემოკრატია. როდესაც საქართველოს მთავრობამ გერმანული სამხედრო შენაერთები საქართველოში მოიწვია, ეს მიზნად ისახავდა არა გერმანული რეჟიმის გამყარებას, არამედ ბოლშევიკებისა და თურქების თავდასხმების თავიდან აცილებას.

ბედის ირონიით, საქართველოს ეროვნული სახელმწიფო შექმნეს მარქსისტებმა, რომლებიც მოელოდნენ, რომ დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში ხელის ერთი მოსმით მოუღებდა ბოლოს ხალხის ეთნიკურ და სოციალურ ჩაგვრას. ნაცვლად ამისა, „ბურჟუაზიული“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათავეში აღმოჩენილი მარქსისტები ერთი პატარა ქვეყნის „დემოკრატიული რევოლუციის“ მმართველებად მოგვევლინენ. საქართველოს პოლიტიკური არსებობის შენარჩუნების უდავოდ შესანიშნავი შანსი ჰქონდა. მენშევიკებს ქართველი ხალხის უმრავლესობა უჭერდა მხარს. მათ შეძლეს, შეექმნათ სტაბილური მრავალპარტიული დემოკრატია და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმათა განხორციელებაც დაიწყეს. თუმცა მოსკოვის ცენტრალურმა საბჭოთა ხელისუფლებამ არ დაუშვა, სრულად გამოევლინათ სოციალისტური დემოკრატიის პოტენციალი პოსტრევოლუციურ სახელმწიფოში. 1920 წლისათვის ბოლშევიკური პარტიის მძლავრმა ჯგუფმა საქართველოში ბიძგი მისცა აჯანყებას, რომელსაც წითელი არმიის შემოსვლა უნდა მოჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ენინააღმდეგებოდა სოციალ-დემოკრატთა აშკარა უპირატესობის ამგვარ ცინიკურ უგულებელყოფას, საბოლოოდ, ლენინმა სტალინისა და მისი თანაშემწის, სერგო ორჯონიკიძის, ნამოქმედარის წინაშე უკან დაიხია. 1921 წლის თებერვალში წითელი არმია საქართველოში შეიჭრა და მენშევიკები ევროპაში გაიხიზნენ. სამი წლის შემდეგ ადგილობრივმა კომუნისტურმა მთავრობამ სოციალ-დემოკრატების მიერ მოწყობილი აჯანყება სასტიკად ჩაახშო, ხოლო მისი ლიდერები დახვრიტა. დემოკრატი სოციალისტების ეროვნული რევოლუცია დასრულდა. 1921 წლის აპრილში მთელ სამხრეთ კავკასიას დგილობრივი კომუნისტები მართავდნენ.

რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციათა პერიოდი სამხრეთ კავკასიისთვის ფიზიკური და სოციალური განადგურების ხანა იყო. მრავალეროვნული დემოკრატიისა და სოციალისტური ემანსიპაციის დაპირებები ომთა სიმწვავესა და განუვითარებლობას შეეწირა. მენშევიკებისა და ბოლშევიკების მცდელობათა მიუხედავად, სოციალურმა სტრესმა ბიძგი მისცა ეთნიკურ

კონფლიქტს. და მაინც, დამოუკიდებლობის სამმა წელმა სამომავლო შედეგები იქონია. ახალი საბჭოთა რესპუბლიკები ეფუძნებოდნენ დამოუკიდებელ ქვეყნებს, რომლებიც, თავის მხრივ, სამოცდაათი წლის შემდეგ სუვერენული სახელმწიფოებრიობის მეორე ექსპერიმენტის მოდელებად იქცნენ.

საქართველოში, სადაც ჭეშმარიტად დემოკრატიული სოციალისტური მთავრობა ხალხის სრული მხარდაჭერით სარგებლობდა, იმედის მომცემი ექსპერიმენტი მხეცურად გათელა საბჭოთა ოკუპაციამ. საქართველომ სამოცდაათი წელი იარსება კომუნისტურ მარწუხებში და ამ პარტიას მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს შვილი უძღვებოდა. ბოლოს და ბოლოს, მან თავი დააღწია მდგომარეობას, გამოიარა სამოქალაქო ომი, ბრძოლა არაქართველ სეპარატისტებთან და, გარკვეულწილად, შეინარჩუნა კონტროლი მყიფე დემოკრატიაზე, სოციალიზმი კი შორეულ მოგონებად დარჩა სამოცდაათწლიანი საბჭოთა ძალაუფლების ექსპერიმენტის სამუდამო დაღით.

პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ეკონომიკა: დოვლათის შექმნას, რედისტრიბუციასა და შრომის დაცვას შორის

ადრიან ბრისკუ
პრაღის კარლის უნივერსიტეტი

შესავალი

ძირეული გაგებით, პოლიტიკურ ეკონომიკაზე საუბრისას საქმე გვაქვს აზროვნების განსხვავებულ ხერხებთან და იმ ხელმისაწვდომ ინსტრუმენტებთან, რომლებსაც სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტაქტივისტები და ადამიანები, რომლებიც პოლიტიკას განსაზღვრავენ, წარმოების (დოვლათის შექმნის), გადანაწილების, მოხმარებისა და საზოგადოებაზე ამ პროცესების გავლენის საკითხებთან მიმართებაში იყენებენ. არსებითად, მისი მიზანია, განსაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი სახელმწიფო ეკონომიკებში – პასიური, შუამავლური/ინტერვენციული თუ დომინანტური. საქართველოს პირველი რესპუბლიკა, რომელიც ელვის სისწრაფით შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში (1918-1921წწ), პოლიტიკური და პოლიტეკონომიკური თვალსაზრისით, იშვიათი „ექსპერიმენტი“[1] იყო პოსტიმპერიულ სივრცეშიც და ევროპის კონტინენტზეც. ამის მიზეზი ის არის, რომ წამყვან სახელმწიფო მოღვაწეთაგან ზოგიერთი, მაგალითად, ნოე ჟორდანია და ნიკო ნიკოლაძე, რომელთა შესახებაც დაწვრილებით ვისა-

[1] E. Lee, *The Experiment: Georgia's Forgotten Revolution, 1918 – 1921*, London, 2017.

უბრებთ სტატიაში, ერის ეკონომიკური განვითარების გზების ძიებისას ესწრაფოდნენ, ეპოვათ სახელმწიფოს, როგორც ერთგვარი დამბალანსებლის, როლი კაპიტალისა და დოვლათის შექმნის, გადანაწილებისა და შრომის დაცვის თვალსაზრისით. ეს სიახლე იყო პოსტიმპერიულ სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ.

დავიწყოთ იმით, რომ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ერთობ პოპულარული პოლიტიკური ეკონომიკის კონცეფცია, როგორც ასეთი, ნიკო ნიკოლაძისათვის საკუთარი კანონების მქონე ეკონომიკური მეცნიერება იყო, ხოლო ჟორდანიასათვის – „პოლიტიკურ-ეკონომიკური რეჟიმი“, რომელიც ათასგვარი იდეოლოგიური წაკითხვის (ლიბერალურის, მარქსისტულის, სტატისტიკურის)[2] საშუალებას იძლეოდა და ის, პირველ რესპუბლიკასთან მიმართებაში, არ გამოიყენებოდა უშუალოდ კვლევის კატეგორიად. მაგალითად, ავიღოთ სამი ნაშრომი: ნოე ხომერიკის მოხსენება 1920 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესზე,[3] გერმანელი სოციალ-დემოკრატის, კარლ კაუცკის, დაკვირვებები და შთაბეჭდილებები პირველ რესპუბლიკაზე[4] ან ბაბეს ანგარიში[5] ქართულ მანგანუმზე. პოლიტიკური ეკონომიკის სპეციფიკურ ასპექტებზე სასაუბროდ სამივე მათგანი გამოდგება. სხვა მხრივ, საბჭოთა პერიოდის მწირი ქართული სამეცნიერო კვლევები (ასეთია, მაგალითად, პ. გუგუშვილს წიგნი[6] ან გ. მეგრელიშვილის ორტომეული[7]), საქართველოსა და სამხრეთ რე-

---

2 A. Brisku,‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State: The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March 2016, pp. 11-12.

3 N. Khomeriki, La Réforme agraire et l’économie rurale en Géorgie: Rapport au Congrès du Parti Social-Democrate de Géorgie*, enjulliet 1920*, Paris 1921.

4 K. Kautsky, Georgia, A Social-Democratic Peasant Republic: Impressions and Observations, London, 1921.

5 V. Babet, Le minerai de manganese de Georgie, Paris, Republique de Georgie, Ministere des Finances du Commerce et de l’Industrie, 1921.

6 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, თბილისი, 1956, ტ. 2.

7 Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысл, второй половины 19-го века, т. 1-2, Тбилиси, 1959-1961.

გიონის „ეკონომიკური განვითარების“ კონცეფციისა და „საზოგადოებრივ-ეკონომიკური“ ნააზრევის მეშვეობით, მხოლოდ ეპოქისა და კონტექსტის თანმიმდევრულ მიმოხილვას გვთავაზობენ. ამ საკითხს არც პოსტსაბჭოთა პერიოდში დათმობია სათანადო ყურადღება, თუმცა, რა თქმა უნდა, პირველი რესპუბლიკაც და მასთან დაკავშირებულ საკითხებიც სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს. მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსის, რონალდ გ. სუნის, ნაშრომში „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ (1994) ერთი თავი – „რევოლუცია და რესპუბლიკა“ – პირველი რესპუბლიკის პერიოდში „ბურჟუაზიის ტრანსფორმაციის“ ისტორიული კონტექსტისა და „მიწის რეფორმისა და ეკონომიკის სოციალური პრობლემების“ ვრცელ მიმოხილვას ეძღვნება.[8] სტივენ ფ. ჯონსის ფუნდამენტური ნაშრომში „სოციალიზმი ქართულ ფერებში“ (2005) სხვა საკითხებთან ერთად სრულად არის მიმოხილული ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტეკონომიკური აზროვნება რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღიდან.[9] აქვე უნდა დავასახელოთ ორი წიგნი, რომელიც უშუალოდ პირველ რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს ეხება: ა. ბენდიანიშვილის „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“[10] (2001) და ერიკ ლის შედარებით გვიანდელი „ექსპერიმენტი“[11]. ბენდიანიშვილის ნაშრომი ჟორდანიას მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაწიერს, დილემებსა და ნაკლოვანებებს აღწერს, ხოლო ერიკ ლის წიგნი საქართველოს „მივიწყებული რევოლუციის“ ეკონომიკურ ცვლილებათა უმნიშვნელოვანეს ასპექტებს მოიცავს – „აგრარულ რევოლუციას“, „პროფკავშირთა დამოუკიდებლობას“, „კოოპერატივების ჩამოყალიბებას“. პირადად ჩემი თვალსაზრისი პოლიტიკური ეკონომიკის ნიკოლაძისა და ჟორდანიასეულ ხედ-

8 R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation*, 2nd edition, Bloomington, Indiana University Press 1994, pp.200-202

9 S.F. Jones, *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy 1883–1917*, Cambridge, 2015.

10 ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921, თბილისი, 2001, გვ. 222-253.

11 E. Lee, The Experiment, Georgia ‘s Forgotten Revolution, 1918-1921, London, 2017.

ვაზე წარმოდგენილია ნაშრომში „იმპერიის გადასინჯვა – ერ-სახ-ლმწიფოთა სამჭედლო“ (2016), რომელშიც შევეცადე, აღმედგინა გვიანდელი ცარისტული საქართველოსა და პირველი რესპუბლი-კის[12] სურათი და ისე გამეანალიზებინა მათი კონცეფცია. ან ნაშ-რომის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია წინამდებარე სტატიაში.

მე ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, იყო თუ არა გამოყენებუ-ლი პოლიტიკური ეკონომიკის კონცეფცია, თუნდაც ირიბად, ზე-მოხსენებულ კვლევაში. ეს მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით: პირველი მიზეზი უფრო ზოგადია და მიემართება პოლიტიკურ ეკო-ნომიკას, როგორც დისციპლინას, რომელიც შეისწავლის რეგიონს. ეს დისციპლინა საკმაოდ დაცლილია კლასიკური თუ მარქსისტუ-ლი პერსპექტივებისგან.

თავდაპირველი ანუ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის კონცეფცია, როგორც ზნეობრივი, პოლიტიკური, ისტორიული და ეკონომიკური სწავლება იმის საკვლევად, თუ როგორ მდიდრდები-ან ერები, ჩამოაყალიბა ადამ სმითმა, ამ დოქტრინის დამფუძნებ-ლებმა. ამგვარად, ყურადღება გადავიდა ადამიანთა საკეთილდღე-ოდ დოვლათის შექმნაზე[13] და ჩამოშორებულ იქნა ისტორიული და მორალური ასპექტები, დამახასიათებელი თანამედროვე ლიბერა-ლური/ნეოლიბერალური ეკონომიკური მაინსტრიმისთვის, რომე-ლიც ფოკუსირებულია ეკონომიკური მოდელების გამოყენებასა და ანალიზზე.[14]

იმავდროულად, საბჭოთა მარქსიზმ-ლენინიზმის გავლენას პოლიტიკურ ეკონომიკაზე, რომელიც დიდწილად კლასიკური პო-ლიტიკური ეკონომიკის მარქსისეულ კრიტიკას ემყარებოდა,[15]

---

12 A. Brisku, ‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State’ The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March 2016.

13 A. Smith, *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*, Hamburg, 2008 [1776].

14 D. Rodrik, *Economics Rules: The Rights and Wrongs of the Dismal Science*, New York, 2015.

15 K. Marx, ‘An Introduction to a Contribution to the Critique of Political Economy’ 1857, in <https://www.marxists.org/archive/marx/works/1859/critique-pol-economy/appx1.htm#205>.

უარყოფითად აფასებდნენ როგორც ეკონომიკური, ისე მორალური თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში იმიტომ, რომ კაპიტალიზმი განწირული იყო თვითგანადგურებისათვის, მერე შემთხვევაში კი იმის გამო, რომ ის მიაჩნდათ დოვლათის გასამრავლებლად საჭირო უთანასწორო, ექსპლუატაციურ სისტემად, ნაცვლად წარმოების საშუალებათა გადანაწილებისა. ყოველივე ამის გამო, ეს დისციპლინა მიმზიდველი არ იყო კვლევისათვის. სხვა მხრივ, მეორე მიზეზი ისაა, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური აზროვნება, პოლიტიკები და შემდგომი პოლიტიკური უთანხმოება პირველი რესპუბლიკის პერიოდში ისევე, როგორც ის, რაც მემკვიდრეობით გვერგო, შეიძლება რაღაც შესაბამისობაში იყოს პოლიტიკურ ალტერნატივებთან და აკადემიურ კვლევასთან თანამედროვე საქართველოსთვის.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ნააზრევი რესპუბლიკამდელ პერიოდში: ნიკო ნიკოლაძისა და ნოე ჟორდანიას შეხედულები თვალის ერთი გადავლებით

XIX საუკუნის შუა პერიოდისა და XX საუკუნის დასაწყისში ცარისტული საქართველო, ყველაფერ დანარჩენთან ერთად, გადაიქცა აქტიურ სოციალურ და ინტელექტუალურ ქვეყნად, სადაც ქართველი ერის განვითარების საკითხი განიხილებოდა არა მარტო კულტურული, არამედ ეკონომიკური კუთხით. მართლაც, 1860 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული თეზისი, რომ გზა ეროვნული აღორძინებისაკენ კულტურის, ენისა და რელიგიის განვითარებაზე გადიოდა, 1870-იანი წლების შუა პერიოდში სადავო გახადა ნიკო ნიკოლაძემ. იგი ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო ერის ეკონომიკური განვითარება და ენერგია მიმართული უნდა ყოფილიყო ეკონომიკური ზრდისა და ვაჭრობისაკენ.[16] ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ 1870 წელს, რო-

[16] S.F. Jones, *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy 1883–1917*, Cambridge, 2015, pp. 35-38.

დესაც წყდებოდა მოგების ინვესტირების საკითხი, თუ სად და რაში უნდა დაებანდებინა საქართველოს პარლამენტსა და ქართულ ბანკს ეს თანხა. ჭავჭავაძე ეროვნული სკოლებისა და კულტურული დაწესებულებების შენების ინვესტირებას ემხრობოდა, ხოლო ნიკოლაძე მიიჩნევდა, რომ თანხა უნდა დაბანდებულიყო აგრარულ სექტორში, ეკონომიკასა და თანამედროვე ტექნოლოგიათა იმპორტში და ცდილობდა, წამოეწია გლეხებისათვის ფულის მიცემის საკითხი, რათა მიწები სომეხ ქორვაჭართა ხელში არ აღმოჩენილიყო.[17] 1890-იანი წლების შუა პერიოდში ამ დებატებს ნოე ჟორდანიაც შეუერთდა და მან შუალედური პოზიცია დაიჭირა. ჟორდანია „ეკონომიკურ განვითარებას“ მჭიდროდ უკავშირებდა ეროვნულ კულტურასა და სოციალურ პროგრესს.[18] გიორგი წერეთელმა, ამ პოზიციათა გათვალისწინებით, სამ კატეგორიად დაყო განსხვავებული ჯგუფები: პირველი, მეორე და მესამე დასი. პირველი დასისთვის საკვანძო ფიგურა იყო ილია ჭავჭავაძე, ეროვნულ-კულტურული აღორძინების იდეათა მქადაგებელი. მეორე დასი პროგრესულად მოაზროვნე რეფორმატორის – ნიკო ნიკოლაძის გარშემო ერთიანდებოდა, მესამე დასის ლიდერად კი სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია[19] იქცა. წინამდებარე სტატიაში, ძირითადად, მიმოხილული იქნება ნიკოლაძისა და ჟორდანიას ეკონომიკური მრწამსი, რაც გამართლებულია იმით, რომ პირველ რესპუბლიკაში ძირითადად სწორედ ეს ორი მოღვაწე ქმნიდა ეკონომიკური პოლიტიკის მონახაზს, ცდილობდა ამ პოლიტიკის გატარებას და აკრიტიკებდა ამა თუ იმ კონცეფციას.

---

17 R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation*, 2nd edition, Bloomington, Indiana University Press 1994, p.132;A. Brisku, 'Renegotiating the Empire, Forging the Nation-State', The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March 2016, p. 309.

18 A.Brisku, 'Renegotiating the Empire, Forging the Nation-State', The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March 2016, p. 303.

19 A.Brisku 'Renegotiating the Empire, Forging the Nation-State', The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March 2016, p. 303.

ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც 1868 წელს ციურიხის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიკის დარგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სათაურით „განიარაღების სოციალური და ეკონომიკური ასპექტების შესახებ". ალბათ ამიტომაც, სანამ 1870-იან წლების დასაწყისში ცარისტული საქართველოს ეკონომიკის შესწავლას შეუდგებოდა, იგი უკვე ჩაბმული იყო პოლიტიკურ ეკონომიკასთან დაკავშირებულ დებატებში რუსეთის იმპერიაში და მის ფარგლებს გარეთ. როგორც მისი სადოქტორო დისერტაციის სათაურიდანვე ჩანს, ნიკო ნიკოლაძეს აინტერესებდა პოლიტიკური ეკონომიკის ჰოლისტიკური პერსპექტივა, არა მარტო წარმოების პროცესი (ამ შემთხვევაში, იარაღის წარმოება მსხვილ ევროპულ სახელმწიფოებში, მათ შორის, რუსეთშიც), არამედ ხელახალი გადანაწილებაც. მას აინტერესებდა, როგორ აისახებოდა ყოველივე ეს უმუშევრობაზე, თუკი ევროპის მსხვილი სახელმწიფოები განიარაღებას გადაწყვეტდნენ, როგორ იმოქმედებდა ევროპის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები, რომელსაც, სავარაუდოდ, ამ პროცესებით განპირობებული „დიდი მღელვარება" გამოიწვევდა, მოსახლეობის ზნეობრივ თუ მატერიალურ კეთილდღეობაზე.[20] გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1870-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე ინარჩუნებდა ერთგვარ დუალიზმს დოვლათის დაგროვებაზე, წარმოების საშუალებათა გაფართოებასა და იმ გავლენაზე, რომელიც მას ეროვნულ ეკონომიკაზე ექნებოდა. მიუხედავად ამისა, ნიკოლაძე პირველ ასპექტს მეტ ყურადღებას უთმობდა, რადგან ესმოდა, რომ თანამედროვე სამყაროს მიზანს ინდუსტრიალიზაციის მეშვეობით მიღწეული ეკონომიკური დამოუკიდებლობა წარმოადგენდა. 1894 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „საფრანგეთის საქმეებზედ" ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ თუკი მდიდარი და მსხვი-

[20] A.Brisku, 'Renegotiating the Empire, Forging the Nation-State', The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, c. 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March 2016, pp. 303-4; Niko Nikoladze, *Du désarmement et de ses conséquenences économiques et sociales*. PhD diss., University of Zurich, 1868, pp. 7-17.

ლი ევროპული ქვეყნებისთვის ინდუსტრიალიზაცია უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ საკითხად იქცა, იგივე მოხდებოდა შედარებით ღარიბ და პატარა საქართველოში, რადგან, „სამუშაო იარაღის“ გარეშე, რკინიგზისა და ხომალდების გარეშე, „მალე უფრო მდიდარი მეზობლების მონები გახდებიან, მიუხედავად ჭკუისა თუ ენერგიულობისა და ვერ შეძლებენ, თავი დააღწიონ ჩვეულებრივ მონობას“.[21] წერილში „საჭირო ძალა“ იგი ამტკიცებდა, რომ თუკი სურდათ, ამისთვის მიეღწიათ და საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანნი ყოფილიყვნენ, აუცილებელი იყო ეროვნული ინდუსტრიისა და კაპიტალის განვითარება.[22]

1870-იანი წლების შუა ხანებში ნიკოლაძე უკვე ახერხებდა კავშირი დაემყარებინა პოლიტიკურ ეკონომიკასა და ერს შორის. მისი აზრით, ამის მიღწევა მხოლოდ საბანკო საქმიანობისა და უმაღლესი განათლების შეკავშირებით იყო შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, იმპერიულ სახელმწიფოს ევალებოდა ამ მზარდი ეკონომიკური საქმიანობის სპეკულაციური ტენდენციების ზედამხედველობა სამართლებრივ საფუძველზე.[23] ნიკო ნიკოლაძის აზრით, შესაძლებელი იყო საზოგადოებრივი დოვლათის ზრდაც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მაგალითად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ჩამოყალიბებით,[24] საზოგადოებრივი ასპარეზის შექმნითა

---

21 ნ. ნიკოლაძე, საფრანგეთის საქმეებზედ, ჟურნ. „მოამბე“, 1894, №8, გვ. 154; A. Brisku, ‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State’, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, c. 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 304.

22 ნ. ნიკოლაძე, საჭირო ძალა, ჟურნ. „მოამბე“, 1894, №8, გვ. 133; A.Brisku, ‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State’, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March 2016 p. 304.

23 A. Brisku, ‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State’, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 304.

24 S.F. Jones, *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy 1883–1917*, Cambridge, 2015, p. 41; A.Brisku, ‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State’, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 309.

და ამგვარად „ეროვნული კაპიტალის“ კონსოლიდაციის ხელშეწყობით.[25]

საქართველოს ეკონომიკური რეალობისა და მის სამომავლო პერსპექტივათა თვალსაზრისით, ნიკო ნიკოლაძისეული ეკონომიკის პოლიტიკა ეროვნული კაპიტალისა და წარმოების გაფართოებისა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური შემეცნების ზრდის იდეას ემყარებოდა. რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, მისი პოლიტიკური ეკონომიკის კონცეფციისთვის ამოსავალი იყო შრომა, უფრო ზუსტად კი, „სამუშაო ძალა“. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური სისტემის მარქსისტულ კრიტიკას ეყრდნობოდა,[26] ნ. ჟორდანია ცდილობდა, დაემკვიდრებინა იმგვარი მიდგომა, რომლის დროსაც შეიქმნებოდა „მოვაჭრე ბურჟუაზიისა“ და „გლეხკაცთა“ კოალიცია და „მშრომელები“, ამ სიტყვის ფართო გაგებით, კონკურენტუნარიანნი იქნებოდნენ მსოფლიო ბაზარზე. თუკი ნიკო ნიკოლაძე სომხურ სავაჭრო მონოპოლიას ებრძოდა, ნოე ჟორდანია მასთან თანამშრომლობის გზებს ეძებდა. სტატიაში „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“, რომელიც 1894 წელს გამოქვეყნდა, ნოე ჟორდანია წერდა: „ეკონომიკურად სუსტ ერებს მსოფლიო ბაზარზე ხშირად ჩაგრავენ. რაც უფრო მეტად არის გამჯდარი ხალხში ვაჭრობა, მით მეტი საქონელი იყიდება საზღვარგარეთ, სავაჭრო შეთანხმებები უფრო სარგებლიანია, მასალასა და შრომაზე მოთხოვნა კი – უფრო მაღალი“.[27] ამგვარ სავაჭრო, საწარმოო და შრო-

---

25 ს. ხუნდაძე, ნიკო ნიკოლაძე – ნარკვევი მისი აზროვნებიდან, თბილისი, 1931, გვ. 95,; A.Brisku, ‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p.309.

26 ორივე ღირებულების თეორია: გაცვლითი ღირებულებისა და შრომითი ღირებულების შესახებ იხ. L. Kolakowski, *The Main Currents of Marxism*, New York, 2005 [1978], pp. 215-41.

27 ნ. ჟორდანია, ეკონომიკური წარმატება და ეროვნება, ეროვნული კითხვა, თბილისი, 1922, გვ. 9; ასევე, იხ. A.Brisku, ‘Renegotiating the Empire, Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, 310.

მით ურთიერთობათა სიმბიოზზე საუბრისას გათვალისწინებული იყო ღია ქართული ეროვნული კულტურული სივრცის არსებობა, რაც დაეფუძნებოდა მტკიცე ეკონომიკურ ურთიერთობებსა და საერთო ინტერესებს. ამავე წერილში ჟორდანია ამ იდეას ავითარებდა და ამბობდა, რომ ამგვარ საერთო ინტერესებს განსაზღვრავს არა „სისხლით ერთობა“ და „საერთო ენა“, არამედ ომი, გეოგრაფია, აღებ-მიცემობა და ვაჭრობა. საბოლოო ჯამში, მისი აზრით, პოლიტიკური ეკონომიკის თვალსაზრისით, ეროვნული ინტერესები ემყარებოდა შრომასა და კაპიტალს შორის დამყარებულ ქმედით ურთიერთმიმართებას, თუმცაღა, მარქსისტული სოციალისტური მოძრაობის მთავარი თეზაც და მიზანიც, რომელსაც ჟორდანია ესწრაფვოდა, „მშრომელთა“ ინტერესების დაცვა იყო.[28] ამრიგად, მას შემდეგ, რაც მშრომელი ძალა წარმოების საშუალებებზე კონტროლს აიღებდა და კაპიტალიზმს რევოლუციის გზით განდევნიდა, ჟორდანია, პოლიტიკური ეკონომიკის მარქსისტული გაგების საპირისპიროდ, მიზანშეწონილად მიიჩნევდა ამ ორ ეკონომიკურ ძალას შორის სიმბიოზური და საიმედო ურთიერთობის დამყარებას. კაპიტალი, მისი აზრით, საჭიროებს შრომას, ხოლო „მშრომელები“ ვერ ძლებენ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკური და კულტურული მხარდაჭერის გარეშე. პოლიტიკური ეკონომიკის პერსპექტივა, რომელიც შეიძლება, სადავო იყოს, წინ უსწრებდა გერმანიაში 1951 წლიდან დამკვიდრებულ კოდეტერმინაციასა და კორპორაციული მართვის მოდელს.

რაღა თქმა უნდა, XX საუკუნის მიჯნაზე უმთავრეს საკითხად იქცა, ერთი მხრივ, ამგვარ მიდგომათა დანერგვა, სხვა მხრივ კი, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად უნდა ჩარეულიყო ეკონომიკაში იმპერიული თუ ადგილობრივი/ეროვნული ხელისუფლება – განზე გამდგარიყო, ეშუამავლა/ჩარეულიყო თუ სრულად ეკონტროლე-

[28] ნ. ჟორდანია, ეკონომიკური წარმატება და ეროვნება, თბილისი, 1922, გვ. 2-9; ასევე, იხ. A. Brisku, ‘Renegotiating the Empire, Renegotiating the Empire, Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 310.

ბინა. ჟორდანია და ნიკოლაძე ვერ თანხმდებოდნენ იმ საკითხზე, თუ რა გზით უნდა განხორციელებულიყო პოლიტიკური ცვლილებები. ნიკოლაძე უპირატესობას ანიჭებდა ეროვნული და იმპერიული სივრცის ევოლუციას. მისი ხედვით, ამის მიღწევა პროგრესულად მოაზროვნე ქართველებს, რომელთა შორის იგი საკუთარ თავსაც მოიაზრებდა, რუსულ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ძალებთან მჭიდრო კავშირით შეეძლოთ.[29] შეზღუდული კონსტიტუციური მონარქია პოლიტიკური პლურალიზმითა და ეროვნული თვითმმართველობის გარანტიით – 1905 წლის ოქტომბრის სახელმწიფო წესრიგის მანიფესტის ეს შედეგი, ნიკოლაძის აზრით, იყო ყველაზე მისაღები ფორმა საქართველოს ეკონომიკის იმგვარი განვითარებისთვის, როგორსაც თავად ითვალისწინებდა.[30] ჟორდანია კი ამჯობინებდა კანონიერ, სოციალისტურ, რევოლუციურ გზას, რომელიც კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების საწინდარი იქნებოდა ეროვნულ, რეგიონულ და იმპერიულ სივრცეში. როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს ნაშრომში „სოციალიზმი ქართულ ფერებში", ეს პოზიცია გაათამაშა რუსულმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ 1905 წელს ბოლევიკებსა და მენშევიკებს შორის მომხდარი ისტორიული განხეთქილებისას.

განხეთქილება მაშინ გამოვლინდა, როდესაც ჟორდანიამ და ლენინმა მარქსიზმის პოლიტიკური მომავალი იმპერიულ რუსეთში დავის საგნად აქციეს. ჟორდანიას სურდა, მონაწილეობა მიეღო რუსეთის დუმას არჩევნებში და ემხრობოდა წარმომადგენლობით დემოკრატიას, ლენინი კი ამას განდგომად მიიჩნევდა და დემოკრატიული ცენტრალიზმის იდეას უწევდა პროპაგანდას. შეხედულებათა განსხვავებამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე თავი იჩინა პოლიტიკური საარჩევნო ოლქის განსაზღვრისას, რომელსაც

---

29 ს. ხუნდაძე, ნიკო ნიკოლაძე – ნარკვევი მისი აზროვნებიდან, თბილისი, 1931, გვ. 110; A. Brisku, 'Renegotiating the Empire, Forging the Nation-State The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, c. 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 306.

30 ნ. ნიკოლაძე, მამაშვილური რჩევა, ჟურნ. „კლდე", 1913, №38, გვ. 4-5.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია იცავდა. ჟორდანია განავრცობდა „მუშათა კლასის“ საკმაოდ ვიწრო მარქსისეულ ცნებას, რომელსაც ლენინიც იზიარებდა, თუმცაღა მას „მშრომელ მასებს“ უწოდებდა. მათი მოსაზრებები საკუთრებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით გახლეჩილი იყო – ჟორდანია პრივატიზაციას ემხრობოდა, ლენინი კი – მხოლოდ ნაციონალიზაციას.[31]

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დაპირისპირება ლენინთან და ნიკოლაძესთან, ჟორდანია სრულად იზიარებდა ნიკოლაძის აზრს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმპერიულ და გლობალურ სივრცესთან. ჟორდანიამ ეს აზრი გაიმეორა თავის სტატიებში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (1911) და „ჩვენი ეროვნული საკითხი“ (1913). აფასებს რა პროგრესს, რომელიც მოიტანა არაქართულმა კაპიტალისტურმა კლასმა (ძირითადად, სომხურმა, მაგრამ ასევე რუსულმა და ევროპულმა), რომელმაც თავისი ფინანსური კაპიტალით შექმნა „მშრომელი ხალხი“ და, ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოებაც ცარისტულ საქართველოში, ჟორდანია განმარტავდა, რომ მისი აზრი ანუ ქართველ სოციალ-დემოკრატთა პოზიცია მდგომარეობდა იმაში, რომ „მშრომელებმა“ მიიღეს ეს უცხოური პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალები. იგი დასძენდა, რომ საჭირო იყო მშრომელთა ინტერესების დაცვა კავკასიაში მუშათა ორგანიზაციის მეშვეობით.[32] ნიკოლაძისა და ჟორდანიას პოლიტიკურ-ეკონომიკური ნააზრევი ბევრს ვერაფერს შეცვლიდა, თუნდაც პირველი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მათი იდეები ეკონომიკურ პოლიტიკად ქცეულიყო.

---

31 S. F. Jones, *Socialism in Georgian Colors: The European Road to Social Democracy 1883–1917*, Cambridge, 2015, pp. 104-28; A.Brisku, ‘Renegotiating the Empire’ Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 307.

32 A. Brisku, ‘Renegotiating the Empire’ Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 308.

პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური პოლიტიკა

საკამათო არ არის, რომ პირველი რესპუბლიკა საქართველოს ორ ცარისტულ გუბერნიაში – თბილისსა და ქუთაისში – არსებული გეოპოლიტიკური და რეგიონული სიტუაციის შედეგად შეიქმნა. ამას საფუძვლად ედო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული აზრთა უთანხმოება და არა დამოუკიდებლობის მოშურნე ქართული პოლიტიკური ელიტის მეწინავე, კარგად გააზრებული გეგმა. მოგვიანებით ეს ჟორდანიამაც აღიარა თავის მემუარებში „ჩემი წარსული“.[33] საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას მძლავრ პოლიტიკურ პარტიათაგან ერთიც კი არ განიხილავდა, რაც აისახა კიდეც პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნააზრევსა და სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის აუცილებელ საშუალებებზე, სახელმწიფოსი, რომელმაც სულ რაღაც სამი წელი იარსება. სტივენ ჯონსი თავის წიგნში „თანამედროვე საქართველოს ჩამოყალიბება – 1918-1922“ აღნიშნავდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომ ჟორდანიას პოლიტიკა ხელისუფლებაში ყოფნისას შედარებით ეროვნული და გონივრული იყო და ის ნაკლებად მისდევდა თავის უწინდელ სოციალისტურ შეხედულებებს.[34] მე კი დავამატებდი, რომ პრაგმატიზმი მის ადრეულ ნაშრომებშიც ჩანდა. ეს, როგორც აღინიშნა, ვლინდებოდა, ერთი მხრივ, პროკაპიტალისტურ, სხვა მხრივ კი, პროლეიბორისტულ და რედისტრიბუციულ პოლიტიკათა დაბალანსებაში. ამ თვალსაზრისით, ჟორდანიას მთავრობამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქვეყანა სოციალისტური რევოლუციის გზაზე იდგა, შეძლო, გაეთვალისწინებინა ის უკიდურესი საფ-

---

33 ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, 1990, გვ. 72; A. Brisku, ‘Renegotiating the Empire’ Forging the Nation-State,The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s’, *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 311.

34 S. F. Jones, (ed.). *The Making of Modern Georgia, 1918-2012: The First Republic and Its Successors*, London, 2014, pp. 3-4.

რთხე, რომელშიც პირველი რესპუბლიკა აღმოჩნდა და მოეძებნა ერთიანი საფუძველი პროკაპიტალისტური სტრატეგიებისთვის.

მართლაც, ომისა და რევოლუციის შედეგად განადგურდა არსებული სავაჭრო კავშირები, რაც უარყოფითად მოქმედებდა სოფლის მეურნეობაზე და მნიშვნელოვნად აზიანებდა სამრეწველო სექტორს – იხურებოდა ბევრი ქარხანა, იზრდება უმუშევრობა და ინფლაცია. ამ თვალსაზრისით, ჟორდანიასა და ნიკოლაძეს უნდა შეეფასებინათ სახელმწიფოს/მთავრობის როლი ზოგადად ეკონომიკაში და მისი გავლენა უშუალოდ კაპიტალსა და მშრომელ ძალაზე. კაპიტალთან მიმართებაში ორივე მათგანი მხარს უჭრდა როგორც პასიურ მონაწილეობას, ისევე ინტერვენციული პოლიტიკას. ჟორდანია ხელს უწყობდა ნაციონალური კაპიტალის განვითარებასა და თავისუფალ ინიციატივას და ესწრაფვოდა ეროვნული და მუნიციპალური ხელისუფლების მეტ ჩართულობას მრეწველობაში.[35] ნიკოლაძემ, ფაქტობრივად, ეროვნული მრეწველობის (მანუფაქტურის) – საექსპორტო საქონელწარმოებისა და საერთაშორისო ბაზრის უზრუნველყოფის – მხარდაჭერა პირველი რესპუბლიკის მის მიერვე შემუშავებული ეკონომიკური პროგრამის უმთავრეს პრიორიტეტად აქცია. 1920-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს მანგანუმის საექსპორტო საზოგადოების მეშვეობით, ნიკო ნიკოლაძე პირადად მონაწილეობდა სავაჭრო გარიგებებში მსოფლიო ბაზარზე. ამ გამოცდილებამ იგი მეტად დაარწმუნა იმაში, რომ მსოფლიო ბაზარზე გადარჩევა და კონკურენცია შესაძლებელი იყო მხოლოდ მთავრობის მხარდაჭერით.[36]

როგორც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში თებერვალში წარმოთქმული სიტყვიდან ჩანს, მიუხედავად სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში წამოჭრილი სიძნელეებისა და ბოლშევიკური რუსეთის ზეწოლისა, 1919 წლის დასაწყისში ნოე ჟორდანია დარწმუნებული იყო, რომ განსხვავებით რუსეთისგან, სა-

35 ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921, თბილისი, 2001, გვ. 220-224.

36 A. Brisku, 'Renegotiating the Empire', Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, pp. 313-4.

ქართველო, რომელიც აძლიერებდა დემოკრატიულ წესრიგსა და სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოდელს, სოციალისტური განვითარების ნორმალურ გზაზე იდგა.[37] თუმცაღა განვითარების სოციალისტურ გზაზე მისდევდნენ რედისტრიბუციულ პოლიტიკასაც – შუამავლურ/ინტერვენციულ მიდგომებს – რაც მთლიანობაში მარქსის იდეალებისგან გადახვევას ნიშნავდა. კ. კაუცკი, რომელიც 1920 წელს სტუმრობდა საქართველოს, პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თაობაზე შენიშნავდა, რომ „ახალი მთავრობის უწინარესი ამოცანა" აგრარული რეფორმა იყო. მართალია, ეს რეფორმა „საშუალო კლასის რევოლუციას უფრო ჰგავდა, ვიდრე სოციალისტურს, მაგრამ ვითარებამ მოითხოვა და ის განახორციელეს".[38] გ. სუნის აზრით, ეს იყო ჟორდანიას მთავრობის გათვლილი სვლა, რომელსაც უნდა განემტკიცებინა პოლიტიკური საფუძველი „რევოლუციისა და დემოკრატიული წესრიგის" მხარდასაჭერად.[39] ამ მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი. ნოე ხომერიკი, სოფლის მეურნეობის მინისტრი, თავის ანგარიშში რეფორმის თაობაზე ამბობდა, რომ გლეხებისათვის მცირე ნაკვეთების გადაცემით, ასევე თანამედროვე აგრონომიული მეთოდებისა და ცოდნის გამოყენებით მოელოდნენ სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ამასთანავე სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მეტად დაუახლოვდებოდა მათ, რადგან „დაიცავდა შრომას კაპიტალისტური ექსპლუატაციისგან და მხარს დაუჭერდა მათ გაერთიანებას".[40] ერიკ ლი[41] დეტალურად ასახავს ქვეყანაში „კოოპერატიული მოძრაობის" ფენომენალურ აღმავლობას

---

37 ნ. ჟორდანია, ორ წელიწადში. მოხსენებები და სიტყვები, თბილისი, 1919, გვ. 201.

38 E. Lee, The Experiment, Georgia 's Forgotten Revolution, 1918-1921, *London,* 2017, p. 98; K. Kautsky, *Georgia, A Social-Democratic Peasant Republic: Impressions and Observations*, London, 1921, p. 35.

39 R.G. Suny, *The Making of the Georgian Nation*, 2nd edition, Bloomington, Indiana University, Press, 1994, p. 195.

40 N. Khomeriki, *La Réforme agraire et l'économie rurale en Géorgie: Rapport au Congrès du Parti Social-Democrate de Géorgie, enjulliet 1920*, Paris, 1921, pp. 33 -34.

41 E. Lee, The Experiment, Georgia 's Forgotten Revolution, 1918-1921, *London,* 2017, pp. 119-127.

და ჩამოთვლის სოფლად ფართო სპექტრის ეკონომიკურ საქმიანობას – მეღვინეთა საწარმოო გაერთიანებებსა და დაჯგუფებებს, სარძეო მეურნეობას, მეცხვარეობას. ხომერიკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებდა „ამ გაერთიანებათა დაკავშირებას სახელმწიფოს მონაწილეობით, მათ ხელშეწყობასა და დახმარებას, რომ სახეცვლილი პროდუქცია უცხოეთის ბაზრებზე ექსპორტად ექციათ“.[42] ერიკ ლის აზრით, ამგვარი „კოოპერატიული მოძრაობა“ იყო საუკეთესო ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ ყალიბდებოდა ეკონომიკური კავშირები მარქსისტულ იდეალებზე დაყრდნობით და როგორ გარდაიქმნებოდა მოგებაზე დამყარებული კოოპერატიული წარმოება საზიარო დოვლათად და ურთიერთთანამშრომლობად.[43] რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, როგორც მისი მემუარებიდან ვიგებთ, იგი ფიქრობდა, რომ ეს რეფორმა ასახავდა მომენტს, როდესაც „სოციალისტურმა რეჟიმმა“ „ქართული იერი“ შეიძინა. ამ „ნაციონალისტურ მომენტში“ ჩართული იყო ყველა წოდება და კლასი, მათ შორის, მიწათმფლობელებიც. ჟორდანია სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ეს უფრო რეფორმა იყო და არა რევოლუცია, რადგანაც ის გატარდა საპარლამენტო გადაწყვეტილებითა და საქართველოს ყველა კლასის წარმომადგენელთა მონაწილეობით და ამგვარად თავიდან იქნა აცილებული „ეკონომიკური კატასტროფაც და სამოქალაქო ომიც“.[44]

რაც შეეხება მთავრობის პოლიტიკას მუშათა და შრომით ურთერთობებთან მიმართებაში, პირველმა რესპუბლიკამ თითქოს მიაღწია იმ მდგომარეობას, რომელზეც ჟორდანია თავის ადრეულ ნაშრომებში საუბრობდა – სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო არა მარტო მხარს უჭერდა მშრომელებსა და პროფკავშირებს, არამედ მესამე მხარედაც გამოდიოდა კაპიტალისტებთან დაპირისპირებაში და, როგორც მედიატორი, ამა თუ იმ მხარის ინტე-

42 N. Khomeriki, *La Réforme agraire et l'économie rurale en Géorgie: Rapport au Congrès du Parti Social-Democrate de Géorgie, enjulliet 1920*, Paris 1921, pp. 33 -34.

43 E. Lee, The Experiment, Georgia 's Forgotten Revolution, 1918-1921, *London*, 2017, pp. 119-127.

44 A. Brisku, 'Renegotiating the Empire' Empire'' Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 314.

რესებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული პრობლემების განმუხტვას ცდილობდა. ამგვარი პოლიტიკის შედეგად, 1919 წლის მაისში შრომის სამინისტროს მეთვალყურეობით შეიქმნა „სატარიფო პალატა". ოცკაციან საბჭოში, რომელსაც შრომის მინისტრი თავმჯდომარეობდა, ათ-ათკაციანი წარმომადგენლობა ჰყავდათ კაპიტალისტებსაც და მშრომელებსაც. საბჭო იღებდა გადაწყვეტილებებს სახელფასო განაკვეთის ცვლილებაზე, კოლექტიურ შეთანხმებებსა და სამრეწველო დავებზე. გარდა იმისა, რომ მთავრობასთან თანხმდებოდა ყველა მნიშვნელოვანი მოთხოვნა, მაგალითად, რვასაათიანი სამუშაო დღე, ბავშვთა შრომის აკრძალვა და შრომითი დაზღვევის სქემები, პირველმა რესპუბლიკამ აღიარა პროფკავშირთა უფლება გაფიცვაზე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.[45] შემდგომში ჟორდანია ამბობდა, რომ მისმა მთავრობამ მშრომელებს კანონმდებლობით მიანიჭა არაერთი უფლება. ეს დიდი მიღწევა იყო, თუმცა ჟორდანია ჩავარდნებსაც აღიარებდა, მაგალითად, ვერ მოხერხდა მშრომელთა სრულად დასაქმება. ამის მიზეზი, მისი თქმით, არაგონივრული ეკონომიკური პოლიტიკა კი არ იყო, არამედ სახელმწიფოსა და კერძო სამრეწველო სექტორის სავალალო მდგომარეობა, რადგან არ ხერხდებოდა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანა.[46] 1920 წლის 13 ოქტომბერს გამართულ სამთავრობო სხდომაზე ჟორდანია საუბრობდა იმ მომენტისათვის ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციაზე და აფასებდა მას, როგორც აშკარა და პერმანენტულ კრიზისს, რომელიც მზარდ ინფლაციასა და ხელფასთა შემცირებაში გამოიხატებოდა. თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ მიზეზები საგარეო ვითარებაში ეძებნათ, ნიკო ნიკოლაძე და სხვა ოპოზიციონერები ჟორდანიას მთავრობის გაკოტრებულ პოლიტიკურ ეკონომიკას აკრიტიკებდნენ.[47]

---

45 E. Lee, The Experiment, Georgia 's Forgotten Revolution, 1918-1921, *London,* 2017, pp.110-113.

46 ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, 1990, გვ. 102; A.Brisku, 'Renegotiating the Empire' Empire'' Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March 2016, p. 314.

47 ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921, თბილისი, 2001, გვ. 253-256; A. Brisku, 'Renegotiating the Empire' Empire'' Forging the Nation-State, The Case of Georgia through the Political Economic

პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობა

პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობა გამორჩეულია პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. რეალურ პრობლემებთან შეჯახებისას, ის ნაკლებად იდეოლოგიზებული იყო, რაც ამ პოლიტიკის უპირველესი და უმნიშვნელოვანისი მახასიათებელია. ამგვარ ხედვას (ჯონსისთვის – პრაგმატიზმს, კაუცკისთვის კი, გატარებული მიწის რეფორმების გათვალისწინებით – ვერშემდგარ სოციალისტურ უტოპიას), როდესაც იდეები და რეალობა გამუდმებულ კონფრონტაციაშია, ფაქტობრივად, მარქსისტულ დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მივყავართ. საქართველოს თავს დატეხილი მომდევნო 70 წელი მარქსისტული და მარქსისტულ-ლენინური ხისტი საბჭოთა ეკონომიკური იდეოლოგიით, სახელმწიფო კაპიტალიზმის უზენაესობითა და არარსებული საბაზრო ეკონომიკით ამგვარი „მოქნილობით“ სულაც არ ხასიათდებოდა. ერთგვარი იდეოლოგიური რიგიდულობა შეიმჩნევა პოსტასბჭოთა საქართველოშიც, სადაც 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ფეხი მოიკიდა ნეოლიბერალიზმმა და ეკონომიკასა და საზოგადოებაზე ბაზრის ბატონობამ.

პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეობის სხვა ასპექტი ითვალისწინებს იმგვარ პოზიციასა და პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ძალას და იცავს მას ექსპლუატაციისგან (თავიანთ თეორიებს ადამ სმითიცა და კარლ მარქსიც შრომით მოპოვებული დოვლათის ღირებულებაზე აფუძნებდნენ) და, იმავდროულად, აბალანსებს დოვლათის შექმნის ხელშეწყობას, კაპიტალის ზრდასა და მშრომელთა უფლებებს. საოცარია, რომ ამგვარი მემკვიდრეობა უპირისპირდება ეროვნული ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, რის შედეგადაც მწარმოებელთა ინტერესები მშრომელთა ინტერესებზე მაღლა დგას.

დაბოლოს, უნდა ვახსენოთ უკანასკნელი საკითხი, რომელიც ზოგადად საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ეხება. ნი-

Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, 1870-1920s', *Nationalities Papers* 44/2, March, 2016, p. 314.

კოლაძე არაერთხელ უბრუნდებოდა ამ საკითხს 1870-იანი წლების შუა ხანებში და მიმაჩნია, რომ დღეს ეს მეტად აქტუალურია – უმაღლესი განათლება და სამეცნიერო კვლევა აუცილებლად უნდა მოიცავდეს წარმოებასა თუ ეკონომიკის სხვა სექტორებს. ვინაიდან პოლიტიკური ეკონომიკაში, როგორც კონცეფციასა და დისციპლინაში, შეზავებულია განსხვავებული თვალსაზრისები – ფილოსოფიური, ისტორიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური, ის მოითხოვს ახლებურ ხედვას, ერთი მხრივ, ეკონომიკის პოლიტიკის შემქმნელთაგან, სხვა მხრივ კი, ისტორიის მკვლევართაგან საქართველოშიც და მთელ ამ რეგიონშიც.

შრომის საკითხი და პროფკავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ირაკლი ირემაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომის საკითხის რეგულირება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, სოციალ-დემოკრატების მიერ მართული პირველი სახელმწიფოსთვის ევროპაში, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უპირველესად გადასაჭრელი პრობლემა იყო. 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული სოციალ-დემოკრატია უმთავრესად მუშათა კლასს ეყრდნობოდა და, პირიქით, მუშათა კლასისათვის პარტია უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იყო. შესაბამისად, ქართულ სოციალ-დემოკრატიას არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ დიდი მორალური ვალდებულება ჰქონდა, რომ საიმპერიო წნეხისგან გათავისუფლების შემდეგ მუშათა კლასის შრომითი პირობები გაეუმჯობესებინა.

სოციალ-დემოკრატიული პარტია დაარსებიდან მალევე ცდილობდა, დაახლოებოდა მუშათა კლასს. თავდაპირველად მან მუშათა კითხვის წრეები შექმნა და თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშებს ამგვარად დაუკავშირდა. 1898 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაზეთი „კვალი“ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერის – ნოე ჟორდანიასა და მისი თანამოაზრეების ხელში გადავიდა, მუშებთან ურთიერთობა პრესის მეშვეობით უფრო გააქტიურდა. ქართველი მუშები „კვალს“ უკვე თავიანთ გაზეთად მიიჩნევდნენ.[1] ქართველი სოციალ-დემოკრატები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად მონაწილეობდნენ მუშათა გაფიცვებში,

[1] ს. ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბილისი, 2018, გვ. 91.

რომლებიც მიზნად ისახავდა შრომითი პირობების გაუმჯობესებას, სამუშაო დღის 12 საათამდე შემცირებასა და სხვა მნიშვნელოვანი პროგრესული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით იმართებოდა საპირველმაისო გამოსვლებიც. ამ გამოსვლებისას მუშათა გაერთიანებების ორგანიზებასა და მოთხოვნების ფორმულირებას ისინი უზრუნველყოფდნენ. სოციალ-დემოკრატი პოლიკარპე კაკაბაძე 1918 წელის შემოდგომაზე ეროვნული საბჭოს წევრობის ანკეტისათვის დაწერილ მცირე ავტობიოგრაფიაში იხსენებს, რომ 1901 წელს მუშათა გამოსვლებისთვის პარტიის დავალებით დახატა წითელი დროშა მარქსის, ენგელსისა და ლასალის ფოტოებით.[2]

XIX საუკუნის ბოლოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მუშათა წრეებს დაუახლოვდა და ამ წრეების მთავარ ორგანიზატორად გადაიქცა. შემდგომში რუსეთის სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი, პეტროგრადისა და სრულიად რუსეთის საბჭოების თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოების თავმჯდომარე გახდა ნიკოლოზ ჩხეიძე, ბათუმის მუშათა წრეების აღიარებული ლიდერი და იდეოლოგი. სოციალ-დემოკრატებისა და მუშათა შეკავშირება თვალნათლივ გამოჩნდა 1905 წლის რევოლუციისას, როდესაც რევოლუციის გარიჟრაჟზე შესაძლებელი გახდა, პროფესიული კავშირები ლეგალურად დაეარსებინათ და მათში გაწევრებულიყვნენ. თუმცა მუშებს ეს შესაძლებლობა მალევე მოესპოთ.[3] სოციალ-დემოკრატთა აქტიური წრეებისა და პროფკავშირთა წარმომადგენლების მიმართ საიმპერიო რეჟიმის გამკაცრების შემდეგ, პროფესიული კავშირები დასუსტდა და წევრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშათა პროფესიული კავ-

[2] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფონდი 1836, ანაწ. 1, საქ. 109.

[3] კ. კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბილისი, 2018, გვ. 84.

შირები განსაკუთრებით გააქტიურდნენ. მუშები გარდა პროფესიულ კავშირებში საქმიანობისა, საბჭოების საშუალებით, პოლიტიკურ პროცესებშიც აქტიურად ჩაერთნენ. 1917 წლის დეკემბერში თბილისში გაიმართა პროფკავშირების ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ წარმომადგენლები 41 პროფესიული კავშირიდან, რომლებიც, თავის მხრივ, 29 000-მდე მუშას აერთიანებდნენ.[4]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისას მუშათა კლასი ქვეყნის მოსახლეობის 20%-ს მცირედით თუ აღემატებოდა. მიუხედავად ამისა სახელმწიფოში პროლეტარიატი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამას ნათლად მოწმობს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას, მიერ 1918 წლის აგვისტოში გაკეთებული საპროგრამო მოხსენება „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“, სადაც იგი აღნიშნავდა: „.. მუშათა კლასი, გლეხებთან შედარებით, მცირერიცხოვანი, მაგრამ ყველაზე უფრო შეგნებული და ორგანიზაციულად მოწყობილი იყო. როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის დროსაც მთელი გლეხობა და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი მას მისდევდა და სცნობდა მის პოლიტიკურ გეგემონიას“.[5] მიუხედავად ამგვარი პოლიტიკური ძალაუფლებისა, როგორც ვლადიმირ ვოიტინსკი აღნიშნავს, ქართულ მუშათა კლასს გააზრებული ჰქონდა პოსტრევოლუციური პერიოდის სირთულეები და ახალი რესპუბლიკის მშენებლობის პროცესისას არსებული გამოწვევები. მათი თავდაპირველი მოთხოვნები რესპუბლიკის მთავრობის მიმართ მინიმალისტური იყო. მუშათა წრეების წარმომადგენლები პოლიტიკურ პროცესებში თავადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში მუშათა საკითხის ხელმძღვანელობა მიებარა ერთ-ერთი აქტიურ მუშას, გიორგი ერაძეს,

---

4 კ. კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბილისი, 2018, გვ. 84.

5 ნ. ჟორდანია, სოციალ დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია. გაზ. *ერთობა*, 1918 წ., 30 აგვისტო, 31 აგვისტო, 8 სექტემბერი, 9 სექტემბერი.

რომელიც მუშებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში კარგ ორგანიზატორად მიიჩნეოდა. გარდა ამისა, მუშათა წარმომადგენლები, ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში ჩამოყალიბებული ეროვნული საბჭოდან მოყოლებული, საკანონმდებლო ორგანოში მანდატებს ფლობდნენ. 1919 წელს დემოკრატიულად არჩეული დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან 25 მუშა, ხოლო 8 სოფლის მუშა-გლეხი იყო.[6] ვლადიმირ ვოიტინსკის სიტყვებითვე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშათა პოლიტიკური და სოციალური ინტერესების გასატარებლად ამგვარი გზა აირჩიეს: „საქართველოში მუშათა პოლიტიკას მაქსიმალიზმი არ ახასიათებდა. მისი იდეალი და არსი სოციალისტური იყო, მაგრამ სოციალიზმისაკენ მიემართებოდნენ არა ამბოხებათა და ტერორის, არამედ დემოკრატიის გზით“.[7]

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამოკიდებულება მუშათა მიმართ დიდწილად პოზიტიური იყო, თუმცა სხვა სოციალურ კლასებთან მიმართებაში ხელოვნური უპირატესობის შექმნას არავინ ცდილობდა. როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავს, მუშებს რაიმე უპირატესობა არ ჰქონიათ: „ბევრის წარმოდგენით, თუმცა დამოუკიდებელ საქართველოში ნივთიერი გასაჭირი დიდი იყო, მაგრამ, რადგან ხელისუფლება სოციალისტებს ეჭირა, მუშები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ამიტომ საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საზოგადოების ფართე წრეებთან შედარებით. სამწუხაროდ ეს ასე არ ყოფილა“.[8] ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან, ფაქტობრივი ბლოკადიდან და სასურსათო კრიზისიდან გამომდინარე, მუშების სოციალური მდგომარეობა, ისევე, როგორც მთელი რესპუბლიკის მოქალაქეებისა, საკმაოდ მძიმე იყო.

---

6 ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბილისი, 2016, გვ. 42-43.

7 ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, 2018, გვ. 219.

8 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, პარიზი, 1960, გვ. 135.

ქართული პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულება მუშებისადმი, მართალია, პოლარიზებული და არაერთგვაროვანი იყო, თუმცა ცალსახად დომინირებდა პოზიტიური განწყობა. პოლიტიკური სპექტრიდან მხოლოდ მემარჯვენე, ნაციონალისტური მიმართულების ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და რამდენიმე მცირე მემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტი გამოირჩეოდა მეტ-ნაკლები სტერილურობითა და საკითხის ნიველირებით, მუშათა ინტერნაციონალური მისწრაფებების კრიტიკით. მემარცხენე ფლანგი, რომელიც მთელი პოლიტიკური სპექტრის თითქმის 95%-ს უტოლდებოდა, იყოფოდა სოციალ-დემოკრატებისგან შემდგარ ზომიერ ცენტრისტულ პოლიტიკურ ძალად და შედარებით რადიკალურ სოციალისტ-ფედერალისტურ და სოციალისტ-რევოლუციონურ პარტიებად. მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მუშათა წრეებთან კავშირის თითქმის ოცწლიანი გამოცდილება ჰქონდა. ყოფილი ავტონომისტი სოციალისტ-ფედერალისტები 1918 წლის შემდეგ ცენტრიდან მარცხნივ გადაიხარნენ და მთავრობის პოლიტიკას მუშებთან და გლეხებთან დაკავშირებულ საკითხებზე ამ პოზიციიდან აკრიტიკებდნენ. კიდევ უფრო მეტად მემარცხენე პოზიციიდან აკრიტიკებდა მთავრობას სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელიც თუმც უფრო გლეხებსა და სოფლის მუშებზე იყო კონცენტრირებული, არც ქალაქისა და სამრეწველო სექტორის მუშებს ტოვებდა უყურადღებოდ. მუშათა მიმართ სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკას აკრიტიკებდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც სოციალ-დემოკრატებს ევროპელი კაპიტალისტებისა და იპერიალისტების მსახურებად მოიხსენიებდნენ, მაგრამ მათ საქართველოს მუშათა კლასზე მნიშვნელოვანი გავლენა არც ისტორიულად ჰქონიათ და არც უშუალოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. კარლ კაუცკის შეფასებით, „მიუხედავად კომუნისტური პრესისა და ორგანიზაციების გულუხვი დაფინანსებისა, კომუნისტებმა საქართველოში გავლენა ვერ მოიპოვეს“. [9]

[9] კ. კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, 2018, გვ. 135.

მემარცხენე პარტიებმა შრომის საკითხებზე მუშაობა დამ-ფუძნებელი კრების არჩევნების წინ განსაკუთრებით აქტიურად დაიწყეს. ძირითად მემარცხენე პარტიათაგან სამივე ცალკე პუნ-ქტად გამოჰყოფდა პროგრამაში *„მუშათა საკითხს“* და საკუთარი პროგრამის უპირატესობებზე მიუთითებდა.[10] სოციალ-დემოკრა-ტიული პარტია თავის პროგრამაში წერდა: „რვასაათიანი სამუშაო დღე ყველა დაქირავებული მუშისათვის სავალდებულო ყოველკვი-რეული დასვენებით არანაკლებ 42 საათისა; ზედმეტი მუშაობის სრულად მოსპობა იქ, სადაც ის აუცილებელ საჭიროებას არ წარ-მოადგენს; 16 წლამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვა; მცირეწლო-ვანთა და ქალთა შრომის შეზღუდვა... დაცვა და მრეწველთა პასუ-ხისმგებლობა უბედური შემთხვევების გამო... პარტია მოითხოვს სახელმწიფო დაზღვევას – ავათმყოფობისა, მოხუცებულობისა და უმუშევრობისაგან... მოითხოვს შრომის ინსპექციას... დასასრულ, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ შრომის კანონის დარღვევი-სათვის დამქირავებელთა სისხლის სამართლის წესით პასუხის-გებაში მიცემას, მომრიგებელი კამერებისა[11] და შრომის ბირჟების ყველა ადგილას დაარსებას“.[12]

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საარჩევნო პლატ-ფორმა ძირითადად იმეორებდა სოციალ-დემოკრატთა ფუნდამენ-ტურ მოთხოვნებს სამუშაო საათებთან და შრომის პირობებთან დაკავშირებით, თუმცა საწარმოთა მართვაში მუშებისა და მუშა-თა გაერთიანებების როლის ზრდის აუცილებლობასაც ხედავდა. საარჩევნო პროგრამაში პარტია აცხადებდა: „მოვითხოვთ, რომ გაძლიერდეს მუშა ხალხის როლი და გავლენა მრეწველობა-წარ-მოებაში და დაწესდეს მისი მონაწილეობა მრეწველობის მართვა-გამგეობაში და მუშებს მიეცეთ ნაწილი მოგებისა“.[13] რვასაათიანი

---

10 ი. ირემაძე, ლ. ლორთქიფანიძე, ს. შუბითიძე, ხ. ყაზაიშვილი, ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 2015, გვ. 132.

11 იგულისხმება ერთგვარი შრომის სასამართლოები, რომლებიც მხო-ლოდ შრომით დავებს განიხილავდა.

12 გაზ. *ერთობა*, 1919 წ., 29 იანვარი.

13 გაზ. *სახალხო საქმე*, 1919 წ., 26 იანვარი.

სამუშაო დღის დაწესება, გარანტირებული დასვენება, ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვა – ძირითადად, ამ მოთხოვნებს ეფუძნებოდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საარჩევნო პლატფორმაც. თუმცა მათ რამდენიმე სხვათაგან გამორჩეული მოთხოვნაც ჰქონდათ: „სახელმწიფოებრივი დაზღვევა სახელმწიფოსა და კაპიტალისტის ხარჯზე... სოციალისტ-რევოლუციონური პარტია მოითხოვს მინიმალური ხელფასის დაწესებას და წარმოებაზე მუშათა კონტროლს“.[14] საბოლოოდ, დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობის ფორმირება ქართველ სოციალ-დემოკრატთა ხედვას დაეფუძნა.

1919 წლის 11-16 აპრილს თბილისში პროფკავშირების ყრილობა გაიმართა და, ამდენად, რესპუბლიკაში შრომის საკითხების მოგვარების თვალსაზრისით, ეს უმნიშვნელოვანესი თარიღი იყო. თავდაპირველად არა მხოლოდ ქართულ პროფესიულ გაერთიანებათა, არამედ საერთოკავკასიური ყრილობის გამართვა იგეგმებოდა. თუმცა პროფკავშირთა კონფერენციაზე, თანხმობის მიუხედავად, არ ჩამოვიდნენ პროფესიულ კავშირთა დელეგატები ბაქოს ორგანიზაციებიდან. 10 აპრილს დაგეგმილ კონფერენციაზე ქართულ ორგანიზაციათა დელეგატები ელოდებოდნენ ბაქოელ ამხანაგებს, თუმცა საბოლოოდ, ულტიმატუმებისა და დაგვიანებების ფონზე, გადაწყდა, კონფერენცია ბაქოელთა გარეშე გაეხსნათ.[15] პროფკავშირთა კონფერენციაში მონაწილე გაერთიანებათა რაოდენობა 113[16] იყო. მთლიანობაში ისინი დაახლოებით 64 000 წევრს აერთიანებდნენ.[17] დამსწრე 198 დელეგატმა 6 დღის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობა გასწია. კონფერენციას სოციალ-დემოკრატი მუხრან ხოჭოლავა თავმჯდომარეობდა. სხდომებში აქტიურად მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიუ-

[14] გაზ. *შრომა,* 1919 წ., 12 თებერვალი.

[15] გაზ. *ერთობა*, 1919, 12 აპრილი.

[16] ზოგიერთი მონაცემით, კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 82 გაერთიანება.

[17] ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, 2018, გვ. 227.

ლი ფრაქციის თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე. შრომის სამინისტროს სახელით, მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის შრომის მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) გიორგი ერაძე, რომელმაც სამინისტროს მიერ შესრულებული სამუშაო მიმოიხილა და პროფკავშირებს სამომავლო გეგმების ჩამოსაყალიბებელ სამუშაოებში ჩართულობისკენ მოუწოდა. კონფერენციამ აირჩია 19 წევრისგან შემდგარი პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო და საბჭოს 8 კანდიდატი, ასევე – 7 წევრისგან შემდგარი ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.[18]

პროფესიული კავშირების 1919 წლის აპრილის ყრილობაზე გადაწყდა მუშებისათვის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის – სატარიფო პალატის – ჩამოყალიბება.[19] 1919 წელს შრომის სამინისტრომ გამოაქვეყნა საინტერესო ანგარიში სათაურით „სატარიფო პალატა და მისი მიზანი“.[20] ამასთანავე, მიიღეს გადაწყვეტილება, შექმნილიყო შრომის ბირჟები და შრომის კომისიები. ვლადიმირ ვოიტინსკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სატარიფო პალატის საქმიანობის უმთავრეს პრინციპებს შემდეგნაირად აყალიბებდა: „სატარიფო პალატის მიზანი იყო ცალკეულ შრომით სფეროში ხელფასების დარეგულირება. ძირითადი საკითხებია შემდეგი:

1. საკვები პროდუქტების ბაზრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

2. მონაცემების მოპოვება ხელფასების შესახებ;

3. დასკვნების დადება საარსებო ხარჯის მომატებასთან დაკავშირებით;

4. მუშების მოთხოვნების შესახებ აზრის დაფიქსირება;

5. კოლექტიური კონტრაქტების შესწავლა და რატიფიცირება;

6. საარსებო საშუალო მინიმუმის დადგენა რესპუბლიკის მასშტაბით;

---

18 ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2001, გვ. 252.

19 ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, 2018, გვ. 224.

20 სცსა, ფ. 2016, ანაწ. 1, საქ. 17. ფ?

7. სახელფასო თანხის დადგენა პროფესიების, ინდუსტრიების, რეგიონების მიხედვით;

8. სხვადასხვა ინდუსტრიულ სფეროში სამუშაოს პროდუქტიულობის „სტანდარტის“ დადგენა;

9. ანაზღაურების ნორმების დადგენა;

10. სავალდებულო არბიტრაჟის განხორციელება ხელფასების სფეროში;

11. განაკვეთური ხელფასის პერიოდული და საგანგებო შემოწმების თარიღების დანიშვნა;

12. სპეკულაციისა და საარსებო ხარჯის მატების დასამარცხებლად ზომების მიღება;

13. რესპუბლიკის პროდუქტიულობის განვითარებისა და ხელფასის რეგულაციის საკითხის შესწავლა;

14. შრომის სამინისტროსთვის განსახილველი კანონებისა და ბრძანებულებების პროექტების გადაცემაო.[21]

კარლ კაუცკი სატარიფო პალატის, როგორც ინსტიტუტის, შესახებ აღნიშნავდა: „ამ უწყებამ დღევანდლამდე ყველა სახის ღია კონფლიქტის თავიდან არიდება მოახერხა. 1919 წლის მაისიდან მოყოლებული, როდესაც მან ფუნქციონირება დაიწყო, პროფკავშირებს არც ერთი გაფიცვა არ მოუწყვიათ, მიუხედავად იმისა, რომ, ბოლშევიკური რუსეთისაგან განსხვავებით, გაფიცვა აკრძალული არ ყოფილა – ამ თვალსაზრისით, საქართველო უნიკალურია“.[22]

1920 წლის 23 ივლისის სხდომაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ „შრომის ხელშეკრულების“ კანონპროექტის განხილვა დაიწყო. კანონპროექტი ოპოზიციურმა ფრაქციების წარმომადგენლებმა დაიწუნეს. პირველ განხილვაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი ალექსანდრე ასათიანი. მან ხაზი გაუსვა ამგვარი კანონმდებლობის აუცილებლობას, თუმცა უარყო

---

21 ვ. ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, 2018, გვ. 224.

22 კ. კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, 2018, გვ. 85.

არსებული პროექტი, რომელიც, მისი აზრით, ბევრ საკითხს ღიად ტოვებდა, ნაკლებად აგვარებდა პრობლემას და მხოლოდ ერთი მხარის, მუშათა, ინტერესებს ითვალისწინებდა.[23] კანონპროექტის განხილვა 3 აგვისტოს სხდომაზეც გაგრძელდა. ოპოზიცია კვლავ აკრიტიკებდა მმართველ პარტიას. 11 აგვისტოს კრების 47-ე სხდომაზე მომხსენებელმა სოციალ-დემოკრატმა ილიკო ფირცხალაიშვილმა კანონპროექტი მუხლების მიხედვით წაიკითხა. მთავარი კრიტიკა კვლავ ალექსანდრე ასათიანისგან გაისმა. მან კანონპროექტში არაერთი შესწორების შეტანა მოითხოვა. საბოლოოდ, სხდომაზე მხოლოდ სოციალ-დემოკრატთა შესწორებები გაითვალისწინეს და დაამტკიცეს.[24]

„შრომის ხელშეკრულების“ კანონით დადგენილი იყო მისი მოქმედების არეალი: „ამ კანონს ექვემდებარება შრომის ყოველი ხელშეკრულება, რომლითაც ერთი პირი – დაქირავებული – თავის სამუშაო ძალას აძლევს სხვა პირს – დამქირავებელს – განსაზღვრული ვადით ან გარიგებულ სამუშაოს დამთავრებამდე და ვალდებული ხდება, დამქირავებლის მიერ ნაჩვენები განსაზღვრული სახის მოქმედება შეასრულოს სასყიდლით – სამუშაო ფასით, რომელიც აღირიცხება დროის მიხედვით, ვაჭრობით ან სხვა საშუალებით“.[25] კანონით გათვალისწინებული იყო სფეროები, რომლებზეც ის არ ვრცელდებოდა, კერძოდ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები, ადმინისტრაციული სამსახურები, კერძო პირების საქმიანობა.[26] საბოლოოდ, კრების მიერ დამტკიცებული კანონი წარმოადგენდა მოცულობით დოკუმენტს, რომელიც 14 თავისა და 91 მუხლისგან შედგებოდა. ამ კანონმა შრომის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აქამ-

---

23 დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 1920, 23 ივლისი, სესია მეორე, სხდომა 36, გვ. 18.

24 დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 1920, 11 აგვისტო, სესია მეორე, სხდომა 47, გვ. 6.

25 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე), თბილისი, 1990, გვ. 408.

26 იქვე.

დე მოქმედი ყველა რეგულაცია გააუქმა და შეცვალა.[27] კანონის მე-11 მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეიძლება ყოფილიყო როგორც პირადი, ასევე კოლექტიური.[28] კოლექტიური ხელშეკრულების უფლება მუშათა ჯგუფების დიდ მონაპოვრად ითვლებოდა, მე-16 და მე-17 მუხლები აზუსტებდა კოლექტიური ხელშეკრულების სისტემას. კანონში მკაფიოდ იყო განსაზღვრული დამქირავებლისა და დაქირავებულის უფლებები და მოვალეობები. 41-ე მუხლის მიხედვით, დაქირავებული ვალდებული იყო, შეესრულებინა დაკისრებული სამუშაო, 49-ე მუხლი კი დამქირავებელს ავალდებულებდა, დაქირავებულისთვის დაპირებული გასამრჯელო მიეცა. კანონი განსაზღვრავდა დამქირავებლის ვალდებულებას, უზრუნველეყო შესაფერისი გარემო და აენაზღაურებინა მკურნალობის ხარჯები, თუკი სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობას ზიანი მიადგებოდა.[29] კანონის მე-13 თავი განსაზღვრავდა შრომითი ხელშეკრულების გაუქმების რეგულაციებს. 72-ე მუხლი ადგენდა დამქირავებლის მხრიდან შრომის ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების პირობებს,[30] 75-ე მუხლი კი უფლებას აძლევდა დაქირავებულს, გაეუქმებინა შრომითი ხელშეკრულება.[31] კანონით განსაზღვრულ შემთხვევათა გარდა, დამქირავებლის მხრიდან ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, დაქირავებულს ერთი კვირის ვადაში უფლება ჰქონდა, საჩივრით მიემართა სასამართლოსათვის.[32] კანონის თანახმად, იგეგმებოდა შრომის სასამართლოს შექმნაც. ამგვარი სასამართლოს შექმნამდე შრომით დავებს ჩვეულებრივი სასამართლო განიხილავდა. 84-ე მუხლით, შრომითი უფლებების დამრღვევი ისჯებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით.[33]

---

27 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე), თბილისი, 1990, გვ. 431.

28 იქვე, გვ. 410.

29 იქვე, გვ. 420.

30 იქვე, გვ. 424.

31 იქვე, გვ. 426.

32 იქვე, გვ. 427.

33 იქვე, გვ. 429.

შრომითი კანონმდებლობის ნორმები გათვალისწინებულ იქ-ნა რესპუბლიკის უმთავრეს საკანონმდებლო აქტში – კონსტიტუ-ციაში. 1921 წლის 21 თებერვალს საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული კონსტიტუციის მე-13 თავი – „სოციალ-ეკონომი-კური უფლებანი“ – ძირითადად, სწორედ შრომის საკითხებსა და შრომით უფლებებს შეეხებოდა. 117-ე მუხლი აცხადებდა: „შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა“.[34] კონსტიტუციის მუხლები განსაზღვრავდა ადგილობრივ თვითმმართველობათა მი-ერ შრომითი ბირჟებისა და კანტორების დაარსების ვალდებულე-ბას, სახელმწიფოს მიერ უმუშევართა დახმარების პასუხისმგებ-ლობის აღებას, მოხუცებულთა და სამუშაოზე დაშავებულთათვის დახმარების მიცემას, არასრულწლოვანთა და ქალთა შრომითი პირობების საკითხებს, რვასაათიან სამუშაო დღესა და დასვენე-ბის გარანტირებულ საათებს. 125-ე მუხლში ნათქვამი იყო: „რეს-პუბლიკის საზრუნავი საგანია, განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალური პირობანი წარმოებაში. არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუ-კიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან“.[35]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებ-ლო ბაზა და თავისთავად 1921 წლის კონსტიტუცია განსაზღვრავ-და მუშათათვის უმნიშვნელოვანესს – პროფკავშირების შექმნისა და მასში გაწევრიანების უფლებასა და გაფიცვების თავისუფ-ლებას. კონსტიტუციის 35-ე მუხლი აცხადებდა: „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ, მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება“.[36] 38-ე მუხლი კი ლაკონიურად აცხადებდა: „მუშათა გაფიცვა თავი-სუფალია“.[37]

---

[34] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქ-ტების კრებული (სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე), თბილისი, 1990, გვ. 476.

[35] იქვე, გვ. 479.

[36] იქვე, გვ. 463.

[37] იქვე, გვ. 463.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარეობდა მუშაობა შრომით საკითხებზე, არა მხოლოდ საკანონმდებლო გარანტიების შექმნის, არამედ პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობის თვალსაზრისითაც. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე პირველივე მთავრობაში შეიქმნა შრომის სამინისტრო, რომლის მინისტრობაც, მიწათმოქმედების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად, ნოე ხომერიკმა შეითავსა. 1919 წლის ბოლოდან კი შრომის სამინისტრო მიწათმოქმედების სამინისტროს გამოეყო და მომარაგების (სასურსათო) სფეროსთან ერთად დამოუკიდებელ სამინისტროდ ჩამოყალიბდა. საქართველოს პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში არსებობდა შრომის მუდმივმოქმედი კომისია. საკანონმდებლო თვალსაზრისით, შრომის სამინისტრომ 1920 წლის ბოლოს შემოიღო შრომის სავალდებულო ბეგარა 14-35 წლის მოქალაქეებისთვის, თუმცა ამ კანონმა, ფაქტობრივად, ვერ იმოქმედა და ოპოზიციის მწვავე კრიტიკაც დაიმსახურა. სამინისტროსა და პროფკავშირების საქმიანობის შედეგად, შემოიღეს პენსია მშრომელთათვის, რომლებმაც სამუშაო ადგილზე დაკარგეს შრომის უნარი და მიიღეს საწარმოო ტრავმა. ქვეყანაში არსებული ინფლაციის პირობებში, სახელმწიფო ცდილობდა, გაეზარდა პენსია. პენსიონერები, მეტწილად, რკინიგზის მუშები იყვნენ.[38]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პროფესიული კავშირები, ინსტიტუციური თვალსაზრისით, ნეიტრალურ და დამოუკიდებელ ორგანიზაციებს წარმოადგენდა. თუმცა, რეალურად, ამ კავშირთა წევრების უდიდესი ნაწილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან იყო იდენტიფიცირებული, პროფესიულ კავშირთა წევრების 90%-ზე მეტი სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო.[39] პარტიისადმი პროფკავშირების ამგვარი დამოკიდებულება გაფიცულ მუშებში ხშირად უნდობლო-

[38] შრომის სამინისტროში, გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1919 წ., 23 აგვისტო.

[39] ერიკ ლი, ექსპერიმენტი, საქართველოს მივიწყებული რევოლუცია, თბილისი, 2018, გვ. 159; კ. კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბილისი, 2018, გვ. 83.

ბას იწვევდა. ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა 1919 წლის გაზაფხულზე თბილისის თვითმმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვის დროს. გაფიცვის შესაწყვეტად მოლაპარაკებაში ჩაერთო პროფკავშირების საბჭო. გაფიცულთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ ყოფილი საიმპერიო მმართველობისას მომუშავე მოხელეები, რომელთა მიმართ ნდობა არც საზოგადოებაში არსებობდა და არც პროფკავშირებში. ამასთანავე, გაფიცულთა დიდი ნაწილი სომეხი ან რუსი იყო. პროფკავშირთა საბჭომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც აცხადებდა: „მუშათა წრეში გაფიცვის კომიტეტს შეჰქონდა სრული დეზორგანიზაცია და მუშებს უმტკიცებდა, პროფესიონალური კავშირების საბჭო მუშათა ინტერესების უარისმყოფელიაო. ამგვარად, პროვოკაციამ უკვე მოიტანა თავისი სამწუხარო შედეგი, ზოგიერთი კავშირები ცენტრალური საბჭოს დადგენილებას არ ეთანხმებიან და ამრიგათ გათიშვის გზას ადგიან. რა შედეგი მოჰყვება ასეთ ნაბიჯებს, ამგვარ გათიშვას და დეზორგანიზაციას? შედეგი ერთად ერთი იქნება: დემოკრატიული ფრონტის დარღვევა, დემოკრატიის დაუძლურება, უთანხმოება, ანარქია და სამოქალაქო ომი. ამას კი აუცილებლათ დაერთვის ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დაღუპვა. ამხანაგებო, მუშათა კლასის საქმე განსაცდელშია. ყოველივე ეს, რისთვისაც ამდენი ოფლი და სისხლი დაღვარა ჩვენმა დემოკრატიამ, უნდა დაიღუპოს, თუ დემოკრატიის და პროლეტარიატის შეგნებული ნაწილი ფრთხილათ არ იქნება და მტკიცედ არ იდგა რევოლუციის სადარაჯოზე... მუშათა კლასს ჰმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, განსაკუთრებული გამჭრიახობა და სიმტკიცე. მარტო გარედან მომდგარმა მტერმა ვერა გააწყო რა, ახლა მტერი შიგნიდან ცდილობს დემოკრატიის ციხის გატეხას... ძირს განხეთქილება და დეზორგანიზაცია! გაუმარჯოს მუშათა მოძრაობის გაერთიანებულ ფრონტს და მთლიანობას!“[40]

კარლ კაუცკი საქართველოს პროფკავშირებსა და მის საქმიანობას ამგვარად აფასებდა: *„პროფკავშირების* ორგანოები და მისი მისწრაფებები დასავლეთ-ევროპულს ჰგავს, მაგრამ მომეჩ-

[40] გაფიცვის გარშემო, თბილისის მუშათა მიმართ, გაზ. *ერთობა*, 1919 წ., 5 აპრილი.

ვენა, რომ პროფკავშირები საგრძნობ დაქსაქსულობას განიცდიან. თუმცაღა, მოძრაობა, რომელიც სულ რაღაც სამი წლისაა, სრულყოფილი ვერ იქნება. იმის გამო, რომ ორგანიზაცია ახლად ჩამოყალიბებულია, მისი ინტერესი არ არის ვიწრო და მხოლოდ პროფესიული. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ მუშათა საკითხებით, არამედ კონცენტრირებულია მთელ საზოგადოებაზე. ეს თვალსაჩინოდ იკვეთება პროფკავშირების დამოკიდებულებაში გაფიცვის მიმართ. ისინი გაფიცვას პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ყველაზე ბასრ იარაღად მიიჩნევენ. თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფკავშირები ამას, ცხადი ხდება იმ ფაქტით, რომ ისინი კონსტიტუციაში გაფიცვის უფლების ასახვას ითხოვენ. მათ ისიც კარგად იციან, რომ ეს მრისხანე იარაღი მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენონ. მათთვის ახლანდელი ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე გაფიცვა შეუსაბამო ჩანს, ამიტომაც იგი აქტუალურად არ ეჩვენებათ".[41] გარდა იმისა, რომ კონცენტრირებული იყო მუშათა საკითხებზე, პროფკავშირები მთელი დამოუკიდებლობის პერიოდში აქტიურ საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. ფუნქციონირებდა მუშათა კლუბები, გამოდიოდა პრესა, არსებობდა სახალხო უნივერსიტეტები,[42] იქმნებოდა მუშათა თეატრები, იმართებოდა საქველმოქმედო და შემეცნებითი წარმოდგენები. პროფკავშირების ქალთა გაერთიანებები ხშირად მართავდა საქველმოქმედო ღონისძიებებს პროფკავშირთა წევრების დასახმარებლად და რესპუბლიკის სამხედრო ფრონტის გასაძლიერებლად. პროფკავშირები ზრუნავდა კავშირის წევრთა ჯანმრთელობის რეაბილიტაციაზე, სნეულებს კი სარეაბილიტაციოდ კურორტებზე გზავნიდა.[43]

მიუხედავად სატარიფო პალატისა და შრომის სამინისტროს საქმიანობისა, ასევე გაფიცვებისადმი პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დამოკიდებულებისა, რესპუბლიკაში, მათ შორის,

---

41 კ. კაუცკი, საქართველო: სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბილისი, 2018, გვ. 83-84.

42 სახალხო უნივერსიტეტი, გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1919 წ., 27 ივლისი.

43 სცსა, ფონდი 2047, ანაწ. 1, საქ. 2.

სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში, გაფიცვები მაინც ეწყობოდა. 1919 წელს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის მოხელეთა გაფიცვის გარდა, 1918 წლის აგვისტოში მასშტაბური გაფიცვა მოაწყვეს ტყიბულის მაღაროს მუშებმა, რომლებიც ანაზღაურების გაორმაგებას მოითხოვდნენ.[44] ეკონომიკური პირობების გამო, 1919 წლის ივნისში გაიფიცნენ სახელმწიფო მამულში მომუშავეები სოფელ ვარციხეში. მათთან მოსალაპარაკებლად შრომის მინისტრი ჩავიდა და შეთანხმებას მიაღწია.[45] შრომის მინისტრ ხომერიკსა და მის ამხანაგს თავად მოუწიათ ფოთის პორტის გაფიცულ მუშებთან მოლაპარაკებების წარმოება და საკითხის გადაჭრა.[46] 1919 წლის ოქტომბერში გაიფიცნენ თბილისის აფთიაქების თანამშრომლები, რომლებმაც, ხელფასის გაზრდის მოთხოვნით, სატარიფო პალატას მიმართეს, თუმცა პალატამ გაფიცულთა მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.[47]

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფდა მოქალაქეთა შრომის უფლების დაცვას, პროფკავშირთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ამა თუ იმ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზის გამო, ეს პროცესი სრულყოფილი არ იყო. მუშათა მატერიალური მდგომარეობა, გაფიცვები და ეკონომიკური პრობლემები განპირობებული იყო ქვეყნის მწვავე ეკონომიკურ კრიზისით, რომელსაც მეტწილად საგარეო ფაქტორები იწვევდა. საგარეო ვაჭრობის მოშლა, საექსპორტო არხების დახშობა ისედაც მწვავე ეკონომიკურ კრიზისს მეტად აღრმავებდა. მმართველი პარტია ხშირად სრულებით იზიარებდა მუშათა მოთხოვნებს, თუმცა სახსრების სიმწირის გამო, მათ დაკმაყოფილებას ვერ ახერხებ-

---

44 სხვა და სხვა ამბები, გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1918 წ., 28 აგვისტო.

45 შრომის სამინისტროში, გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1919 წ., 12 ივნისი.

46 შრომის სამინისტროში, გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1919 წ., 11 ივლისი.

47 შრომის სამინისტროში, გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 1919 წ., 2 ნოემბერი.

და. პროფკავშირების დამოუკიდებლობის საკითხს განაპირობებდა უფრო საქართველოს მუშათა კლასის მიერ განვლილი გზა და მიღებული გამოცდილება, ვიდრე ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების არარსებობა. საკანონმდებლო თვალსაზრისით, პროფკავშირთა დამოუკიდებლობის სრული გარანტიები არსებობდა, თუმცა პრაქტიკაში ეს დამოუკიდებლობა მიუღწეველი დარჩა, პროფკავშირები ხელისუფლების მიმართ ზედმეტად ლოიალური იყვნენ.

26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში (1921-1922)

მალხაზ მაცაბერიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად, საქართველო ოკუპირებულ იქნა რუსეთის წითელი არმიის მიერ. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (1918-1921) არსებობა შეწყვიტა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გაიშალა ბრძოლა ისტორიული მეხსიერებისთვის. მოხსენებაში განხილულია მეხსიერების ორგვარი პოლიტიკის დაპირისპირების საწყისი ეტაპი – 1921-1922 წლები, როდესაც ბოლშევიკური რეპრესიული მანქანა სრულად არ იყო ამუშავებული და მას ლეგალურად თუ არალეგალურად ოპონირებას უწევდნენ სხვა პოლიტიკური ძალები.

ისტორიული მეხსიერებისათვის მიმდინარე ბრძოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მსურველთა მთავარი საზრუნავი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხსოვნის შენარჩუნება იყო. მისი სიმბოლო გახდა 26 მაისი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დღე. საბჭოთა რეჟიმის უმთავრეს მიზნად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დისკრედიტაცია იქცა, საქართველოს „დამოუკიდებლობის“ თარიღად კი 25 თებერვლის – თბილისში წითელი არმიის შესვლის დღის – დამკვიდრებას ცდილობდნენ. 26 მაისისა და 25 თებერვლის დაპირისპირებამ პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათი მიიღო, რაც შვიდი ათეული წლის განმავლობაში გაგრძელდა.

1921 წლის 26 მაისის მოლოდინი
გასაბჭოებული საქართველოს „დამოუკიდებლობის“ ილუზია

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად საქართველო ოკუპირებული იქნა რუსეთისა და თურქეთის ჯარების მიერ. თურქეთმა დაკავებული ტერიტორიები უშუალოდ მიიერთა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში შექმნილი ე. წ. „რევოლუციური კომიტეტი“ (რევკომი) კი აცხადებდა, რომ წითელი არმიის ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი იყო და საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრებოდა, ხოლო მისი პოლიტიკა მიმართული იქნებოდა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისაკენ“.

ბოლშევიკურმა დემაგოგიამ, რომელიც ძალზე შორს იყო რეალობისგან, შეცდომაში ვერ შეიყვანა საქართველოს პოლიტიკური ძალების უმრავლესობა. მომხდარს მაშინვე ადეკვატური შეფასება მიეცა: „ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა“.[1] თუმცა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მემარცხენე ჯგუფების ნაწილმა დაიჯერა კომუნისტების განცხადებები და მომხდარი „მენშევიკების დამარცხებად“ აღიქვა. ისინი „საბჭოთა ნიადაგზე“ იმ პირობით დადგნენ, რომ დაცული იქნებოდა „საბჭოთა საქართველოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა“.[2]

---

[1] მიმართვა სოციალისტური პარტიებისა და მუშათა ორგანიზაციებისადმი, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921 წ., 15 მაისი, № 1, გვ. 3.

[2] მაგალითად, 1921 წლის 12 აპრილს საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის დეკლარაციაში გმობდნენ „მენშევიკურ კამარილიას“ და გამოთქვამდნენ მზადყოფნას, საბჭოთა რუსეთთან ერთად ჩართულიყვნენ სოციალისტურ აღმშენებლობაში, ოღონდ ხელშეუხებლად მიიჩნევდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას: „მშრომელი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობას სთვლის რევოლიუციის უდიდეს მონაპოვრად და მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეელევა“. დეკლარაცია მთავრდება მოწოდებებით: „გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას! გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ დამოუკიდებელ საქართველოს!“ (საქართველოს სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის დეკლარაცია, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 28 აპრილი).

საბჭოთა პოზიციაზე დამდგარ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე გავლენიანი იყვნენ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებსაც ბოლშევიკებმა შესაძლებლობა მისცეს, თავიანთი გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ გამოეცათ.

კომუნისტების მიერ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის იმედი კარგად ჩანს ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებში. მაგალითად, ვახტანგ კოტეტიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა 1921 წლის 1 მაისს რუსეთის წითელი არმიის აღლუმის დროს სერგო ორჯონიკიძის მიერ დადებულ ფიცს, რომ საბჭოთა რუსეთი დაიცავდა საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობას: „წითელი ლაშქრის მკერდით დაცული იქნება საქართველოს მიერ ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება“.[3]

სხვა სტატიაში ავტორი ეფ. ჩახუნაშვილი ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტებისაგან დაპირების შესრულებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას მოითხოვდა: „მენშევიზმის დაცემას შერიგებული ერი ვერ ეგუება სახელმწიფოს რომელიმე ატრიბუტის ხელის შეხებასაც კი. ვინც უზრუნველყოფს ქართველი ერის დამოუკიდებელ სახეობის ჩარჩოს – სახელმწიფოს, ის უზრუნველყოფს ჩვენი ერის სიმპათიას თავისადმი. ეს უკვე გამოკვეთილი სინამდვილეა, რომელსაც მხოლოდ წარხოცავს ქართველი ერის წარხოცვა პირიდან შავი მიწისა“.[4] თუმცა იმავე გაზეთში მოტანილი იყო მრავალი ფაქტი, თუ როგორ ანგრევდა კომუნისტური ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოებრიობას. კომუნისტებს „დამოუკიდებლობა“ სულ სხვაგვარად ესმოდათ და ოკუპირებულ და, ფაქტობრივად, ანექსირებულ ქვეყანას „სუვერენულად“ აცხადებდნენ.

---

3 ვ. კოტეტიშვილი, კომუნისტების ფიცი, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 5 მაისი.

4 ეფ. ჩახუნაშვილი, როგორ ესმის ქართველ ერს 26 მაისი? გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 19 მაისი.

1921 წლის 26 მაისის აღნიშვნის მოთხოვნა

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის სიმბოლო იყო. ქართულმა საზოგადოებამ დამოუკიდებლობის პერიოდში 26 მაისი ორჯერ იზეიმა და ეს უკვე ტრადიციად იყო ქცეული. საზოგადოება 26 მაისის აღნიშვნას საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგაც მოელოდა. ამ პოზიციის პრესაში გამოხატვა შეეძლოთ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც ქვეყნის გასაბჭოების აღიარების შემდეგ ბოლშევიკებმა დროებით ლეგალური საქმიანობის ნება დართეს. ესენი იყვნენ „მემარცხენე ფედერალისტები“, რომლებიც უშვებდნენ ყოველდღიურ გაზეთს „სოციალისტ-ფედერალისტს“ და „საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი“. მათი ორგანო იყო ყოველკვირეული გაზეთი „მაშვრალთა ხმა“.

„პირველი მაისიდან ქართველ ხალხის თვალი ოცდა ექვსი მაისისაკენ გადაექანა. საზოგადოებრივი აზრი დაჟინებით კითხულობს, იდღესასწაულებენ კომუნისტები ოცდა ექვს მაისს თუ არა. ჩვენ არ ვიცით, რას ჰფიქრობს საქართველოს რევკომი. ის კი ვიცით, რასაც ფიქრობს ქართველი ერი და ამ ფიქრს რევკომმა დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს“, – წერდა 5 მაისს გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“.[5]

15 მაისს „სოციალისტ-ფედერალისტში“ გამოქვეყნდა მიხაკო ხახანაშვილის სტატია „ჩვენი დღესასწაული“, რომელიც 26 მაისის აღნიშვნის საკითხს ეძღვნებოდა. „როგორ ვიდღესასწაულებთ წლეულს ამ უქმეს“, – კითხულობდა იგი და იქვე პასუხობდა: ქართველი ერი, „მზგავსად წარსული წლებისა, თამამად გამოვა ქუჩებში მესამე წლის თავზედაც და უწინდებურად შესძახებს: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, ვაშა 26 მაისს!“[6]

17 მაისს გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ პირდაპირ მოითხოვდა 26 მაისის აღნიშვნას: „ყოველ წელს, ყოველ 26 მაისს სა-

[5] ვ. კოტეტიშვილი, კომუნისტების ფიცი, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 5 მაისი.

[6] მ. ხახანაშვილი, ჩვენი დღესასწაული, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 15 მაისი.

ქართველოში ქართველები დღესასწაულობენ და უნდა იდღესასწაულონ ჩვეულებისა და წესისამებრ მიმდინარე თვის 26 მაისსაც“.[7] ავტორი აღნიშნავდა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა რუსეთის რევოლუციის მიერ წამოყენებული ერთა თვითგამორკვევის რევოლუციური ლოზუნგის თანახმად და „დაიწყო მან თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრება – სრული უფლების მიხედვით“.[8] სტატიაში აკრიტიკებდნენ მათ, ვისი აზრითაც 26 მაისი „მენშევიკური თარიღი“ იყო. ავტორი წერდა, რომ კომუნისტური მმართველობის დამყარება საქართველოში არ ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობას. მაგალითიც იყო მოყვანილი – საფრანგეთსა ან გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემთხვევაში, ფიქრადაც არავინ გაივლებდა, რომ ამით მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ისპობა.[9]

18 მაისს „სოციალისტ-ფედერალისტში“ გამოქვეყნდა ვახტანგ კოტეტიშვილის სტატია, რომელშიც ავტორი ცდილობდა, თეორიულად დაესაბუთებინა რევოლუციის მიერ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა, რაც ეროვნული სახელმწიფოების შექმნას გულისხმობდა: „ყველა უფლების მაძიებელმა ერმა იცის, რომ საკუთარ სახელმწიფოს გარეშე, იგი კვლავ რჩება ბატონ – ერის მოსახმარ მასალად, რითაც ისპობა მისი ინდივიდუალობა და ესჯება გაყინვა, ისტორიული განვითარების გარეშე დარჩენა“.[10]

იმავე თემას აგრძელებდა 19 მაისს გამოქვეყნებულ სტატიაში ეფ. ჩახუნაშვილი. მისი თქმით, 26 მაისს აღდგა ეროვნული სახელმწიფო, „ეროვნული ჩარჩო“: „სახელმწიფოს ამ ჩარჩოში შინაარსის მომწყვდევა დროისა და პროგრესის საკითხია; მხოლოდ ქართველ ერს არ შეუძლია შეურიგდეს ამ ჭურჭლის დამსხვრევას“. ქართვე-

7 მუშა დ. მელია, ოცდა ექვსი მაისი, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 17 მაისი.

8 იქვე.

9 მუშა დ. მელია, ოცდა ექვსი მაისი, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 17 მაისი.

10 ვ. კოტეტიშვილი, ერის საკითხი, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 18 მაისი.

ლი ერი ადვილად შეურიგდება „სოციალურ ფორმათა ცვლას, ეკონომიურ ურთიერთობათა ტეხას, მაგრამ ვერ მიიღებს მისი ნაციონალური არსებობის იარაღის – სახელმწიფოს ხელიდან გამოტაცების შესაძლებლობას“.[11]

იმავე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული გაზეთი „მაშვრალთა ხმა“. როგორც გაზეთი აღნიშნავდა, „26 მაისი ქართველი მშრომელი ხალხისათვის დიდი რევოლიუციონური მონაპოვარია და მაშასადამე უბრალოთ მისი წართმევა არავის ძალუძს – ვერვინ გაბედავს“.[12] გაზეთი მოითხოვდა 26 მაისის აღნიშვნას – „საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ ვიდღესასწაულოთ 26 მაისი“.[13]

ბოლშევიკები 26 მაისის „საბჭოური“ შინაარსის ძიებაში

26 მაისის იგნორირება საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეუძლებელი იყო. 1919-1920 წლებში დამკვიდრებული ტრადიციით, ამ დღეს არა მხოლოდ პოლიტიკური სპექტრი, არამედ მთელი საზოგადოებაც ფართოდ აღნიშნავდა. ცხადი იყო, რომ 1921 წლის 26 მაისსაც მოსალოდნელი იყო მიტინგები და დემონსტრაციები საქართველოს ოკუპაციის შეწყვეტისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. დემონსტრანტთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება საბჭოთა რეჟიმს რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა და ყველასთვის ცხადი გახდებოდა, რომ კომუნისტური ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ჯერ მყარად არ იყო ფეხმოკიდებული. ამიტომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ თავად აღენიშნა 26 მაისი, ოღონდ „დამოუკიდებლობის საბჭოური შინაარსით“.

ეს საკითხი პირველად საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების განხილვის თემად იქცა 1921 წლის 2 მაისს, როდესაც

---

11 ეფ. ჩახუნაშვილი, როგორ ესმის ქართველ ერს 26 მაისი? გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 19 მაისი.

12 ლაღიძე, 26 მაისი, *გაზ. მაშვრალთა ხმა*, 1921 წ., 12 მაისი.

13 იქვე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომლის მუშაობაში რკპ(ბ) ცკ კავბიუროს წევრები მონაწილეობდნენ, მიზანშეწონილად მიიჩნია, 26 მაისი აღენიშნათ და „დამოუკიდებლობის საბჭოთა არსის“ განსამარტავად ფართო აგიტაცია გაეშალათ.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება საქართველოს კომუნისტი მმართველებისთვის ადვილი არ იყო, რადგანაც წინა პერიოდში ყოველთვის მტრულად უყურებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და 26 მაისის მიმართ ნეგატიურ პოზიციას აფიქსირებდნენ. მაგალითად, ასეთი თვალსაზრისი გამოხატულია რკპ(ბ) თბილისის კომიტეტის მიერ 1919 წლის 26 მაისს გამოცემულ ფურცელში.[14] ცხადია, 26 მაისისადმი კომუნისტური პარტიის დამოკიდებულების შეცვლას მხოლოდ შექმნილი ვითარება განაპირობებდა, რაც კომუნისტ ფუნქციონერებში პოპულარობით არ სარგებლობდა.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე (1921 წლის 4-6 მაისი) განიხილეს 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის ზეიმის ფორმის საკითხი და დაადგინეს, რომ ამ დღეს მუშები სამუშაოდან გაეთავისუფლებინათ, მანიფესტაციები და დემონსტრაციები არ დაეშვათ, საღამოს კი შენობებში მოეწყოთ მიტინგები, რომლებზეც მსმენელებს დამოუკიდებლობის კომუნისტურ გაგებას განუმარტავდნენ.[15]

ამავე დროს კომუნისტურ ხელისუფლებას მისდიოდა შემაშფოთებელი ინფორმაცია, რომ 26 მაისისთვის დიდი საპროტესტო აქციები იგეგმებოდა. კომუნისტური ხელისუფლება მალევე მიხვდა შეცდომას, რომ მანიფესტაციებსა და დემონსტრაციებს თავიდან ვერ აიცილებდა, სწრაფად შეცვალა პოზიცია და განიზრახა, თავად მოეწყო ქუჩის აქციები: „ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, თვით ედღესასწაულათ 26 მაისი როგორც განთავისუფლების დღე საქართველოსი“.[16]

---

14 Борьба за победу советской власти в Грузии. Документы и материалы. Тб., 1958, с. 419-421.

15 საქართველოს შსს არქივი, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 11, ფურც. 19.

16 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921 წლის 15 ივნისი, № 2, გვ. 23.

გადაწყდა, რომ ქუჩებში „კონტროლირებადი“ ღონისძიებები მოეწყობოდა და ამით ხელი შეეშლებოდა საპროტესტო აქციებს. საქართველოს კპ(ბ) ცკ პლენუმის სხდომაზე 1921 წლის 7 მაისს გადაწყვიტეს, რომ 26 მაისს მსვლელობები, მანიფესტაციები, მიტინგები, ჯარების პარადი მოეწყოთ, საღამოს კი შენობებში მიტინგები და უფასო სპექტაკლები გაემართათ. ამასთანავე, არ უნდა დაეშვათ არავითარი სხვა დროშა, გარდა წითლისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამორიცხავდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის გამოჩენას. კვლავ ხაზი გაესვა, რომ 26 მაისის ზეიმისას ყურადღება გადატანილი უნდა ყოფილიყო ფართო მასებისათვის „დამოუკიდებლობის კომუნისტური გაგების“ განმარტებაზე, რომელმაც „თავისი ნამდვილი შინაარსი ჰპოვა მხოლოდ „მენშევიკების ხელისუფლების დამხობის“ შემდეგ. ამ დღეს უნდა ეზეიმათ საქართველოს გათავისუფლება იმპერიალიზმისაგან, სრული კრახი და დაღუპვა მენშევიზმისა და დამოუკიდებლობის მენშევიკური გაგებისა“.[17]

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ რაიმე სახის „არასანქცირებული“ გამოსვლები. ბოლშევიკებს „ეშინოდათ ხალხის აჯანყების. ყველგან დაგზავნეს ცირკულარები, რომელნიც განკარგულებას აძლევდენ, სასტიკი ზომები მიეღოთ წესრიგის გარეშე გამოსვლის წინააღმდეგ. თუ ესეთი რამ მოხდებოდა, ყველა მილიციელს, და ყველა კომუნისტს უფლება ეძლეოდა იარაღისათვის მიემართა“.[18]

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე 1921 წლის 11 მაისს განიხილეს 26 მაისის მიტინგზე წარმოსათქმელი სიტყვების თეზისები.[19] დაამტკიცეს ხუთი ძირითადი თეზისი, რომელიც შემდეგ, 25-26 მაისს, პრესაში გამოქვეყნდა, ოღონდ ქართულად 4 თეზისი დაიბეჭდა:[20]

---

17 საქართველოს შსს არქივი, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 5, ფურც. 19.

18 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921 წლის 15 ივნისი, № 2, გვ. 23.

19 საქართველოს შსს არქივი, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 11, ფურც. 21.

20 ხუთივე თეზისი გამოაქვეყნა *პრავდა გრუზიიმ*. მე-5 თეზისში აღნიშნული იყო: „საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი მასების დამოუ-

„თეზისები 26 მაისისათვის

26 – მაისს გამოცხადდა საქართველოს ხალხის დამოუკიდებლობის იდეია.

26 – მაისი შედეგია ოქტომბრის რევოლიუციისა.

26 – მაისი მენშევიკების პარტიამ გამოიყენა საქართველოს მშრომელთა მასის დამონებისათვის იმპერიალისტურ ანტანტას, მენშევიკების და ბურჟუაზიის ხელისუფლების გასაძლიერებლად.[21]

26 – მაისს ჩვენ კომუნისტები ვუქმობთ, როგორც ნამდვილ დამოუკიდებელ დღესასწაულს საქართველოს მშრომელთა მასის განთავისუფლებისას მენშევიკების და ევროპის კაპიტალიზმისაგან“.[22]

გარდა ამისა, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს იმავე სხდომაზე 11 მაისს აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას დაევალა, შეემუშავებინა სპეციალური წერილი, რომელიც, ამ თეზისებზე დაყრდნობით, უფრო ვრცლად განმარტავდა დამოუკიდებლობის კომუნისტურ გაგებას.[23] ამ დავალებას სერიოზულად მიუდგნენ და გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა არა ერთი წერილი, არამედ სტატიათა მთელი სერია.[24]

კიდებლობის ერთადერთი დამცველი და მებრძოლია“ («Правда Грузии», 18-го мая, 1921).

21 რუსულად გამოქვეყნებულ იმავე თეზისებში საუბარია „წვრილ ბურჟუაზიაზე“.

22 თეზისები 26 მაისისათვის, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წლის 25 მაისი; *კომუნისტი*, 1921 წ., 26 მაისი.

23 საქართველოს შსს არქივი, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 118, ფურც. 23-24.

24 უკვე 15 მაისს გამოქვეყნდა მოწინავე „26 მაისისთვის“; 18 მაისს დაიბეჭდა გედი მჟავანაძის „26 მაისის ნამდვილი სახე“ (№62, 3); 19 მაისს კვლავ დაიბეჭდა მოწინავე სტატია „26 მაისი“, რომელიც ხელმოწერილი იყო ინიციალებით „რ. კ.“ და, როგორც ჩანს, რაჟდენ კალაძეს ეკუთვნოდა (№63, 1); 25 მაისის ნომერში დაიბეჭდა რაჟდენ კალაძის სტატიის პირველი ნაწილი „დამოუკიდებლობა და საბჭოთა რესპუბლიკა“ (№ 68, 1); 26 მაისის ნომერში დაიბეჭდა 26 მაისისადმი მიძღვნილი რამდენიმე სტატია: „26 მაისი“ (№69, 1); „26 მაისი“ ხელმოწერით „კან“ (გვ. 1); რ. კალაძის სტატიის მე-2 ნაწილი „დამოუკიდებლობა და საბჭოთა საქართველო“ (გვ. 1); „26 მაისი (მუშის ხმა)“ ხელმოწერით „ეთერი...“

სტატიებში ამტკიცებდნენ, რომ 26 მაისი, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ოქტომბრის რევოლუციის შედეგი იყო; რომ ერთა თვითგამორკვევის იდეის პრაქტიკული დამცველები და ცხოვრებაში გამტარებლები ბოლშევიკები იყვნენ; რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ხელისუფლებაში მყოფმა მენშევიკებმა გამოიყენეს კომუნისტური რუსეთისაგან საქართველოს ჩამოსაცილებლად და „ანტანტისათვის საქართველოს მშრომელთა მასის დასამონებლად"; რომ „საბჭოთა ხელისუფლება მშრომელი მასების დამოუკიდებლობის ერთადერთი დამცველია" და 26 მაისს კომუნისტები აღნიშნავენ, როგორც საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობას, „გათავისუფლებას მენშევიკების და ევროპის კაპიტალისტებისაგან", ქართველ „მენშევიკებს" კი „ევროპის კაპიტალისტების დამქაშებად" და „საერთაშორისო და რუსეთის კონტრ-რევოლუციის ხელის შემწყობებად" აცხადებენ. საქართველოს დამოუკიდებლობა განიხილებოდა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" კონტექსტში და ამ პოზიციიდან ლოგიკურად მიაჩნდათ საქართველოს გასაბჭოება.

რით განსხვავდებოდა კომუნისტებისა და მემარცხენე ფედერალისტთა პოზიცია 26 მაისთან დაკავშირებით

რით განსხვავდება მემარცხენე ფედერალისტთა და კომუნისტთა თვალსაზრისი 26 მაისის მნიშვნელობის თაობაზე?

კომუნისტები ყურადღებას ამახვილებდნენ კლასობრივ მომენტზე. მათი განცხადებით, „მენშევიკების დროს" საქართველო „ფორმალურად განთავისუფლდა" – ქვეყანა იმპერიალისტთა ტყვეობაში იყო, მუშათა კლასი კი – დაჩაგრული. საქართველოს გასაბჭოებით დაემხო იმპერიალისტთა ბატონობა და განთავისუფ-

(გვ. 1); „26 მაისი და საქართველოს მუშათა კლასი" ხელმოწერით „მუშა ოკინ" (გვ. 3); ს. თალაკვაძის „26 მაისი" (გვ. 2). ამავე ნომერში დაიბეჭდა 26 მაისისადმი მიძღვნილი სანდრო ეულისა და ტ. სვანიძის კომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები.

ლდა მუშათა კლასი ანუ საქართველო „ნამდვილად დამოუკიდებელი“ გახდა.

ამის საპირისპიროდ, ფედერალისტები აღნიშნავდნენ: 26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, „რუსთა ბატონობისგან საქართველოს განთავისუფლების დღეა“; 26 მაისი – მთელი ქართველი ხალხის დღესასწაულია; 26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და ეროვნული გაერთიანების დღეა. „მისი ეროვნული სხეულის დაქსაქსული ნაწილები გათვითცნობიერდნენ და გაერთსულოვანდენ; – მუსულმანი, ისრაელი, მართლმადიდებელი, გრიგორიანი, კათოლიკე, – ყველა მჭიდროდ შემოიკრება დახსნილი დედის გარშემო“.[25]

იმავე პოზიციაზე იდგა „მაშვრალთა ხმა“. გაზეთის თქმით, „26 მაისი ყველა ქართველს ერთნაირათ უნდა ახარებდეს“[26] და „ქართველი მშრომელი კლასი, – მასწავლებლები, სტუდენტები, მოსწავლეები, მოხელეები და სხ. მრავალნი უნდა თავშეუკავებლათ ერთსულოვნურათ და დარაზმულათ გამოვიდეს ამ დღეს“.[27] გაზეთმა გამოაქვეყნა მოწოდებებიც – „მასწავლებლებო, სტუდენტებო და მოწაფეებო შეუდექით 26 მაისის დღესასწაულის სამზადისს!“, „მუშებო ემზადეთ 26 მაისისათვის!“, „ქართველო ერო ძლიერათ აიშალენით 26 მაისის საზეიმოთ, 26 მაისი შენი დღეა“, „არ დაივიწყოთ 26 მაისი“.[28]

მემარცხენე ფედერალისტთა ლიდერი თედო ღლონტი სტატიაში „ჩვენ და თქვენ“ ეკამათებოდა გაზეთ „კომუნისტში“ რ. კ.-ის ხელმოწერით გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში – „26 მაისი“ – გამოთქმულ აზრს, რომ „26 მაისი ბურჟუაზიული დღესასწაულია“. თედო ღლონტი ასაბუთებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში „საქართველო ერთია, ქართველი ხალხი ერთია“, რომ „კლასი წარმავალია, ერი მარადიულია“ და „რამდენადაც სო-

---

25 მ. ხახანაშვილი, ჩვენი დღესასწაული, გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 15 მაისი.

26 ლაღიძე, 26 მაისი, გაზ. *მაშვრალთა ხმა*, 1921 წ., 12 მაისი.

27 იქვე.

28 იქვე.

ციალიზმს დავუახლოვდებით, იმდენადვე ეროვნული ფაქტორი გაიშლება“.

მემარცხენე ფედერალისტები ეთანხმებოდნენ ბოლშევიკებს, რომ „მენშევიკების“ დროს სახელმწიფო პოლიტიკა „არასაკმარისად სოციალისტური“ იყო და საქართველოს დამოუკიდებლობა „სრულად ვერ განხორციელდა“, მაგრამ ეს უმნიშვნელოდ მიაჩნდათ მთავარ მიღწევასთან – ეროვნული სახელმწიფოს შექმნასთან – შედარებით. „აშკარაა, თუ რა უმნიშვნელო ჩრდილს აყენებს 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს მენშევიკური ხელები და მათი ბურჟუაზიული პოლიტიკა“, – აღნიშნავდა ეფ. ჩახუნაშვილი.[29]

მემარცხენე ფედერალისტები ემიჯნებოდნენ ბოლშევიკებს 26 მაისის „ახალი შინაარსის“ ძიებაში.

როგორ აღნიშნეს 1921 წლის 26 მაისი

26 მაისის მოლოდინი: მოარული ხმები

26 მაისის წინ ატმოსფერო იძაბებოდა და საზოგადოებაში ხმები ვრცელდებოდა. ამ ხმათა ნაწილს, სრულიად ფანტასტიკურს, სავარაუდოდ, საზოგადოების დასაშინებლად უშუალოდ ჩეკა ავრცელებდა. მათ შესახებ თავად გაზეთი „კომუნისტი“ წერდა. თურმე 26 მაისს „მენშევიკების პარტია აჯანყებას აპირებდა“, საბჭოთა მთავრობის დადგენილების საწინააღმდეგოდ, სამფეროვანი დროშებით უნდა გამოსულიყვნენ მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები და სისხლით აღებეჭდათ ხსენებული დღესასწაული, ამ დღეს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყვნენ აქ შემოფარებული კრონშტადტის აჯანყების მატროსები და „დამოუკიდებლობის აღიარებით უკმაყოფილო“ წითელი არმია.[30]

ხალხში მოარული ხმების შესახებ წერდა ნიკოლოზ ჭუმბურიძეც: „ვინ იცის რას არ ლაპარაკობდენ ხალხში. ამ დღისთვის ვგონებ ნოე ჟორდანიასაც კი მოელოდნენ თბილისში თუ არა ბათუმში

[29] ეფ. ჩახუნაშვილი, როგორ ესმის ქართველ ერს 26 მაისი? გაზ. *სოციალისტ-ფედერალისტი*, 1921 წ., 19 მაისი.

[30] 26 მაისის დღესასწაული, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წ., 29 მაისი.

მაინც“.[31] ხალხში გავრცელებულმა ხმებმა ბოლშევიკები შეაშინა. „საფრთხე რომ აეცილებიათ, ერთი მხრით იდღესასწაულეს და მეორე მხრით საომრათ მოემზადნენ. ისინი სერიოზულათ ფიქრობდენ, რომ ამ დღეს მართლა მოხდებოდა რამე“.[32]

26 მაისის წინ გავრცელებული ხმების შესახებ გაზეთი „კომუნისტი“ შემდეგაც წერდა, ოღონდ ყველაფერს აბრალებდა „შოვინისტურ ელემენტებს“ „მენშევიკებისა და რამოდენიმეთ სოციალ ფედერალისტების მეთაურობით“, რომელთაც ამით უნდოდათ „საბოტაჟი ოცდა ექვსი მაისის დღესასწაულის“.[33]

ეროვნული სიმბოლიკის გაუქმება

გადაწყვეტილება, რომ 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლოების გარეშე შეხვედროდნენ, კომუნისტურმა ხელისუფლებამ მალე მოიყვანა სისრულეში. 1921 წლის 22 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა 20 მაისს ხელმოწერილი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი № 36, რომლითაც უქმდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი. დეკრეტი იუწყებოდა: „ვინაიდან 1921 წლის თებერვლის 25-დან საქართველოში დამყარდა **საბჭოთა ხელისუფლება, ე.ი. მშრომელთა დიქტატურა,** საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი სამუდამოდ გაუქმებულად აცხადებს ბურჟუაზიული წესწყობილების ყველა ემბლემებს, როგორიც იყო სამფეროვანი დროშა და ძველი ღერბი“.[34] შემდეგ დეკრეტში აღწერილი იყო საქართველოს ახალი საბჭოური დროშა და გერბი, რეალურად – „რუსული წითელი დროშა და ნამ-

---

31 ნიკოლოზ (კოლია) ჭუმბურიძე, საბჭოთა საქართველოს ცხოვრებიდან (ბოლშევიკების ექვსი თვის ბატონობის სურათი), თბ., 2013, გვ. 97.

32 იქვე.

33 დამოუკიდებლობის დღესასწაული წითელი დროშის ქვეშ, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წ., 28 მაისი.

34 დეკრეტი № 36, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წ., 22 მაისი.

გალ-ჩაქუჩი“.[35] დეკრეტი ძალაში შედიოდა გამოქვეყნებისთანავე ანუ 22 მაისიდან.

22 მაისს, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკის გაუქმებისა, რევკომმა „ქართულ შოვინიზმს“ კიდევ ერთი მტკივნეული დარტყმა მიაყენა. გამოქვეყნდა დეკლარაცია „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ“. ამით რევკომი გაემიჯნა მენშევიკურ ხელისუფლებას, „რომელიც არსებითად წარმოადგენდა ქართველ ბურჟუაზიის ხელისუფლებას“ და „განსაკუთრებული სიმკაცრით ახშობდა ეროვნულ უმცირესობათა რევოლიუციონურ თვითმოქმედების გამომჟღავნებას“.[36]

ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, რას აკეთებდნენ. 26 მაისის ვითომდა საზეიმოდ აღნიშვნის წინ მათ კიდევ ერთხელ დემონსტრაციულად შეურაცხყვეს ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყე.

როგორ აღინიშნა 26 მაისი „საბჭოური“ შინაარსით

26 მაისის „საბჭოურ“ შინაარსს კარგად წარმოაჩენდა ამ დღეს გამოსულ „პრავდა გრუზიიში“ დიდი ასოებით დაბეჭდილი სამი ლოზუნგი: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლობას“, „გაუმარჯოს პატარა ხალხების განმათავისუფლებელ რუსეთის მუშათა და გლეხების დიდ წითელ არმიას“, „გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას“.

კომუნისტური პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ 26 მაისი „მენშევიკების დროს“ აღინიშნებოდა, როგორც დემონსტრაცია „გამოთიშვისა, მოღალატური გამოცალკევებისა მეზობელ ქვეყნების რევოლიუციონურ ძალებისაგან“, 25 თებერვლის შემდეგ კი საქართველო განთავისუფლებულია „რუსეთის კონტრრევოლუციის ძალებისაგან, დასავლეთ იმპერიალისტების გავლენისაგან, განთა-

35 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921 წლის 15 ივნისი, № 2, გვ. 23.

36 „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ“, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წ., 22 მაისი.

ვისუფლებულია იმ პარტიისაგანაც, რომელიც ყავარჯენი იყო ამ ძალების და გამტარებელი ამ გავლენის".[37]

26 მაისი მთელ საქართველოში აღინიშნა. ამ დღეს თბილისში საზეიმო მსვლელობა, სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია გაიმართა. საფუძველი ჩაეყარა კარლ მარქსის, შოთა რუსთაველისა და „საქართველოს მშრომელთა გათავისუფლების" ძეგლებს. შედგა მიტინგები, რომლებზეც სიტყვებით გამოვიდნენ კომპარტიის ცნობილი მოღვაწეები (ფ. მახარაძე, ს. მ. კიროვი და სხვები). დემონსტრაციის მონაწილეებმა საზეიმოდ დადეს „თავისუფალი სოციალისტური საბჭოთა საქართველოს ერთგულების ფიცი".

„საბჭოური შინაარსის" განსახიერება იყო 8 ეტლიანი ე.წ. კარნავალი, რომელშიც გამოხატული იყო „საქართველოს ხალხთა განთავისუფლების ისტორია იმპერიალიზმის მონობიდან". პირველი ეტლი განასახიერებდა მეტეხის ციხეს თვითმპყრობლური რუსეთის დროს, მეორე – მეფის ხელისუფლების დამხობას მენშევიკისა და ბოლშევიკის შეერთებული ძალით, მესამე აჩვენებდა, რომ „ოქტომბრის ამბოხების ჟამს მენშევიკი... მტერთა ბანაკში მოექცა", მეოთხე და მეხუთე – თუ როგორ მოწყვიტეს მენშევიკებმა საქართველო საბჭოთა რუსეთს და წაიყვანეს „ანტანტის ტახტისაკენ", მეექვსე – როგორ მოუჭირეს კაპიტალისტებმა საქართველოს მუხრუჭი, მეშვიდე – როგორ გაითავისუფლა თავი ქართველმა ხალხმა, მერვე – „განთავისუფლებულ საქართველოს". თითოეული ეტლიდან მთხრობელი მაყურებელს განუმარტავდა, თუ რას ნიშნავდა ეტლზე განსახიერებული კომპოზიცია. „კომუნისტის" თანახმად, „ყველგან თავის სვლის დროს კარნავალი ხალხის ყურადღებას იქცევდა".[38]

26 მაისის აღნიშვნით, გარკვეულწილად, გადაიფარა საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციები, რომელთა წინააღმდეგაც სრული ძალით აამოქმედეს რეპრესიული

---

[37] დამოუკიდებლობის დღესასწაული წითელი დროშის ქვეშ, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წ., 28 მაისი.

[38] 26 მაისის დღესასწაული თფილისში, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წ., 29 მაისი.

მანქანა. ამ დღის საზეიმო აღნიშვნით საქართველოს კომუნისტურ-მა ხელისუფლებამ საზოგადოების ნაწილში გარკვეული დროით შეინარჩუნა ილუზია, რომ საქართველოში უბრალოდ სახელისუფ-ლებო გადატრიალება მოხდა – ოდესღაც ერთიანი პარტიის ერთმა განშტოებამ, ბოლშევიკებმა, შეცვალა მეორე განშტოება – მენშევი-კები და საქართველოს დამოუკიდებლობა ხელშეუხებელი იყო.

რა მოხდა სინამდვილეში 1921 წლის 26 მაისს

თუ როგორ აღინიშნა 26 მაისი ბოლშევიკური სცენარით, ამის აღწერაზე ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ლეგალურ პრესაში უმკაცრესი ცენზურა დააწესა. მომზადდა ოფიციალური ტექსტი რუსულ ენაზე, რომელიც დაიბეჭდა „პრავდა გრუზიიში“[39] და ის ითარგმნა და გამოქვეყნდა გაზეთებში „კომუნისტი“ და „სოცია-ლისტ-ფედერალისტი“. ამასთან, ქართულ ვერსიაში გაპარულია გარკვეული ხარვეზები.

კომუნისტური პრესა დიდი ამბით აღნიშნავდა, რომ „ბურჟუ-აზიულ-კონტრრევოლუციურმა“, „შოვინისტურმა ძალებმა“ ვერ მოახერხეს 26 მაისის საბოტაჟი და ქალაქის ცენტრალური ქუჩები გაიჭედა „მშრომელთა გაუვალი რაზმებით“, „წითელი დროშებითა და ნამგლის და ჩაქუჩის ემბლემებით ხელში“.[40]

თუმცა ემიგრანტული პრესა სულ სხვა სურათს წარმოაჩენდა. გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ ცნობით, ხალხმა არ მიიღო ეროვნული დროშისა და სიმბოლიკის შეცვლა და „დღესასწაულში მონაწილეობაზე უარი სთქვა. მით უმეტეს, რომ ეშინოდათ ბოლშე-ვიკური პროვოკაციის და სისხლის ღვრის“.[41]

სოციალ-დემოკრატებმა ბოლშევიკების მიერ მოწყობილ 26 მა-ისის ზეიმს ბოიკოტი გამოუცხადეს. „ბოიკოტმა პირდაპირ დემონ-

---

39 Празднование 26 мая в Тифлисе, газ. *Правда Грузии*, 28 мая,1921 г.

40 დამოუკიდებლობის დღესასწაული წითელი დროშის ქვეშ, გაზ. *კო-მუნისტი*, 1921 წ., 28 მაისი.

41 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921, № 2, გვ. 23.

სტრაციული ხასიათი მიიღო“.[42] გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატები შეიკრიბნენ თბილისში „ძმათა სასაფლაოზე“, სადაც ხალხმაც მოიყარა თავი. ბოლშევიკებმა „ძმათა სასაფლაოს“ ალყა შემოარტყეს და ხალხი დაშალეს.[43]

„თავისუფალი საქართველოს“ შეფასებით, „ბოლშევიკების 26-მა მაისმა კარიკატურული, „კაზიონი“ სახე მიიღო. მას დაესწრნენ მხოლოდ სპეკულანტები და ჩინოვნიკები, რომელთაც ნაბრძანები ქონდათ დასწრება“.[44] იმავეს აღნიშნავს ნიკოლოზ ჭუმბურიძე: „ბოლშევიკებთან მარტო წითელი არმიელები და უცხო ელემენტები დარჩნენ... ჩვენ ბოიკოტი გამოუცხადეთ და საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურათ არა ქართველებმა იდღესასწაულეს“.[45]

1921 წლის 26 მაისის „კომუნისტური შინაარსით“ აღნიშვნა არ გამოვიდა. „ხალხმა ამ დღეს აშკარათ სთქვა, რომ მას სწამს 26 მაისი, მაგრამ არ სწამს ბოლშევიკები – მათი არც ავი უნდა და არც კარგი“.[46]

ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ 26 მაისს რუსთაველის ძეგლის გახსნის აღწერა ორ სხვადასხვა გაზეთში: გაზეთი „კომუნისტი“ გადმოსცემს ფილიპე მახარაძის სიტყვის დედაარსს. მახარაძის თქმით, „მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველი არ იყო პროლეტარული პოეტი, მისი იდეები უნდა მისაღები იყვეს ყველა მუშა გლეხისათვის“; შოთა რუსთაველის ძეგლი იდგმება „ნიშნად იმისა, რომ ჩვენ ვაფასებთ შრომას იმ პირებისას, რომლებიც მუშაობენ კულტურისათვის“. რამდენი-

---

42 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921, № 2, გვ. 23.

43 ნიკოლოზ (კოლია) ჭუმბურიძე, საბჭოთა საქართველოს ცხოვრებიდან (ბოლშევიკების ექვსი თვის ბატონობის სურათი). თბ., 2013, გვ. 97.

44 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921, № 2, 23.

45 ნიკოლოზ (კოლია) ჭუმბურიძე, საბჭოთა საქართველოს ცხოვრებიდან (ბოლშევიკების ექვსი თვის ბატონობის სურათი). თბ., 2013, გვ. 97.

46 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921, № 2, გვ. 24.

მე გამომსვლელის შემდეგ ეროვნულმა ქორომ „სამჯერ შეასრულა ინტერნაციონალი და ქართული ჰიმნი (დიდება)“.[47]

„თავისუფალი საქართველოს“ ცნობით, ძეგლის გახსნას სულ 100 კაცამდე დაესწრო. მათ „გულგრილათ მოისმინეს ფილ. მახარაძის „ორატორობა“ და ოვაციით შეხვდნენ მხოლოდ „დიდებას“, ქართულ ეროვნულ ჰიმნს, რომლის მღერის ნება დაერთოთ ლოტბარისთვის. ხალხმა ის ქუდის მოხდით მოისმინა და სამჯერ გაამეორებინა“.[48]

1922 წელი: საბჭოთა 25 თებერვლის „დაბადება“

26 მაისს „საბჭოური შინაარსი“ არ აღმოაჩნდა

საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ 26 მაისი 1921 წელს პირველად და უკანასკნელად აღნიშნა საზეიმოდ. 26 მაისს აშკარად არ ჰქონდა „საბჭოური შინაარსი“, რადგანაც საბჭოთა რეჟიმი საქართველოში მთლიანად მოსკოვიდან იმართებოდა და მისი დამოუკიდებლობა ბუტაფორიული იყო. გარდა ამისა, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ვერ იტანდა ამ თარიღს, რომელიც მისთვის მიუღებელი იდეის სიმბოლო იყო.

1922 წლიდან ბოლშევიკური ხელისუფლება 26 მაისის – საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ხსოვნის – გადაფარვას 25 თებერვლით – თბილისში რუსეთის წითელი არმიის შემოსვლის დღით – შეუდგა. 25 თებერვალი გამოცხადდა საბჭოთა საქართველოს „დაბადების დღედ“, რომლითაც დაიწყო საქართველოს „ნამდვილი დამოუკიდებლობა“. მას შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დედაქალაქი დატოვა, ომი კიდევ სამი კვირა გრძელდებოდა, თუმცა ბოლშევიკების მეხსიერების პოლიტიკაში ამას ყურადღება არ ექცეოდა.

---

47 26 მაისის დღესასწაული თბილისში, გაზ. *კომუნისტი*, 1921 წ., 29 მაისი.

48 საქართველოს ამბები, გაზ. *თავისუფალი საქართველო*, 1921, № 2, გვ. 23.

25 თებერვლის „ისტორიული მნიშვნელობის“ ბოლშევიკური დასაბუთება

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პირველ წელს ახალი ხელისუფლება „რევოლუციური კომიტეტებით“ იყო წარმოდგენილი. ახალი ხელისუფლების დემოკრატიული ფასადის უზრუნველსაყოფად 1922 წლის 25 თებერვალს მოიწვიეს სრულიად საქართველოს მუშათა და გლეხთა ყრილობა, რომლის დელეგატების შერჩევას მკაცრად აკონტროლებდა ბოლშევიკური რეჟიმი. ყრილობას საქართველოში ჭეშმარიტად ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებად წარმოაჩენდნენ.

1922 წლის 25 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, რომელშიც საბუთდებოდა ამ თარიღის მნიშვნელობა.[49] არგუმენტები შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არ ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რადგანაც მენშევიკები რევოლუციისა და მშრომელთა ინტერესების მოღალატენი იყვნენ, ხოლო საქართველო – „საერთაშორისო რეაქციის დიქტატურის ბუდე“;

– საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მიიღეს თავისუფლება, ხოლო საქართველომ – ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა;

– მუშებმა და გლეხებმა გამარჯვება მოიპოვეს „რუსეთის მუშურ-გლეხური არმიის“ დახმარებით, უფრო სწორად კი – საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის წითელი არმიის დახმარებით;

– საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იყო საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის მორიგი გამარჯვება საერთაშორისო მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; „საერთაშორისო რევოლუციამ 25 თებერვალს მოიპოვა კიდევ ერთი დიდი

[49] ს. ანდრიაძე, 1922 წლის 25 თებერვალი; ვ. ბახტაძე, 25 თებერვლის საერთაშორისო მნიშვნელობა; რ. კალაძე, 25 თებერვალი; გ. მებუკე, ერთი წელი; ორი დროშა.

და მნიშვნელოვანი გამარჯვება საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში“.[50]

როგორც ამ არგუმენტებიდან ჩანს, საქართველოში სამხედრო ინტერვენცია და ოკუპაცია „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონტექსტში განიხილებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატები მეორე ინტერნაციონალის – „საერთაშორისო მენშევიზმის“ ნაწილად მიიჩნეოდნენ, ის კი მთავარ დამნაშავედ ცხადდებოდა იმაში, რომ „მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია“ ჯერ კიდევ არ იყო გამარჯვებული.

დღეს ეს არგუმენტები სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ მაშინ ბოლშევიკები ცდილობდნენ, საქართველოს მოსახლეობა ამაში დაერწმუნებინათ.

1922 წლის 25 თებერვალს მოწვეულ საბჭოების ყრილობაზე დიდ იმედს ამყარებდნენ მემარცხენე ფედერალისტებიც, რომელთაც დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ დართეს ნება, გამოეცათ გაზეთი, ამჯერად „ტრიბუნის“ სახელწოდებით. მემარცხენე ფედერალისტების აზრით, საქართველოში გასაბჭოების შემდეგ არსებული ნებისმიერი შეცდომა დროებითი ხელისუფლების – რევკომების ბრალი იყო. „ჩვენ კარგად ვიცით, რომ რევკომების სისტემით წარმოებული პოლიტიკა არ შეიძლება ყოფილიყო მიზანშეწონილი და დამაკმაყოფილებელი“. გაზეთის შეფასებით, საბჭოების ყრილობის გახსნით 25 თებერვალს „ახალი ხანა იწყება საქართველოს ისტორიაში“.[51] ამიერიდან ბოლო უნდა მოღებოდა „ყოველნაირ მითქმა მოთქმას, თითქოს საქართველოს მშრომელ მასსას ძალით ახვევენ თავზე საბჭოთა ბატონობის სისტემას“.[52]

---

50 ვ. ბახტაძე, 25 თებერვლის საერთაშორისო მნიშვნელობა, გაზ. *კომუნისტი*, 1922 წ., 25 თებერვალი.

51 25 თებერვლის წლისთავი, გაზ. *ტრიბუნა*, 1922 წ., 25 თებერვალი.

52 იქვე.

26 მაისის ჩანაცვლება 25 თებერვლით

1922 წლის 25 მაისს გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ორი დღით ადრე (1922 წლის 23 მაისს) გამოცემული ბრძანება, რომლის თანახმადაც, „საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაულად“ გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დღე – 25 თებერვალი.[53]

იქვე გამოქვეყნებული იყო მოწინავე სტატია „საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული“, რომელშიც „ასაბუთებდნენ“, თუ რატომ იყო 25 თებერვალი „ნამდვილი დამოუკიდებლობის“ მომტანი:

– საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით (1918 წლის 26 მაისს) ქართველი მენშევიკები ჩამოსცილდნენ „რევოლუციის და სოციალიზმის გზას“, რომელსაც დაადგა საბჭოთა რუსეთი და „აშკარა მტრების ბანაკში მოექცნენ“, აირჩიეს „კონტრრევოლიუცია და ბურჟუაზიული წყობილება“. „რევოლიუციის წინააღმდეგ მათ აღმართეს ნაციონალური სახელმწიფოებრივობის კედელი“;

– მენშევიკებმა საქართველო გადააქციეს „საექსპლოატაციო ახალშენად და დასაყრდენ ბაზად რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ გასალაშქრებლად“;

– მენშევიკების დროს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა „ფრიად მოჩვენებითი, ეფემერული იყო“;

– 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელმა ხალხმა მოიშორა მენშევიკების მონობის უღელი და „საქართველო ისევ დაუკავშირდა რევოლიუციას და საბჭოთა რესპუბლიკებს“;

– 25 თებერვალი არის „საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების დღე“ „ყოველგვარი სოციალურ და ეროვნულ მონობისა და ჩაგვრისაგან“;

---

53 ბრძანება № 5 სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, გაზ. *კომუნისტი*, 1922 წლის 25 მაისი.

– „მენშევიკების 26 მაისის დამოუკიდებლობა“ არის სიმბოლო ხალხის მტრების ბატონობის აღდგენისა და მშრომელი მასების ისევ დამონებისა.[54]

ყველა ეს თეზისი სიცრუეს ემყარებოდა, მაგრამ, ვინც მათ ეჭვქვეშ დააყენებდა, თავისუფალი ხალხის „აშკარა მტერი“ იქნებოდა. ამიერიდან 26 მაისის აღნიშვნის მცდელობა უცხოეთიდან მართულ „კონტრრევოლუციურ გამოსვლად“ მიიჩნეოდა.

როგორ აღინიშნა 1922 წლის 26 მაისი

28 მაისს „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მიმოხილვა, თუ როგორ ცდილობდნენ „ანტისაბჭოთა პარტიები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 26 მაისის აღნიშვნას, თუმცა ამ გამოსვლებს მასიური ხასიათი არ მიუღია და „აჯანყების მოწყობის“ გეგმა ჩაიშალა.[55] 30 მაისს გამოქვეყნდა მოწინავე, რომელიც ამტკიცებდა, რომ „მენშევიკებს და საერთოდ ყველა შოვინისტ-ნაციონალისტებს ჩვენმა მშრომელმა მასსამ შეაქცია ზურგი“ და ბოლშევიკები „მაგრად გრძნობენ თავის თავს საქართველოში“.[56]

თუმცა მეორე დღეს საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე) ფილიპე მახარაძე, ეხებოდა რა ქართული პოლიტიკური პარტიებისა და ევროპული სოციალისტური პარტიების მოთხოვნას საქართველოდან საბჭოთა რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე, აღნიშნავდა, რომ „საქართველოდან დღეს საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარის გაყვანა, ეს იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება საქართველოში“. მახარაძის თქმით, „ქართული წითელი არმია“ სუსტი იყო და ვერ გაუძლებდა იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენციას, რომელიც მაშინვე დაიწყებოდა, როგორც კი რუსეთის წითელი არ-

[54] საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული, გაზ. *კომუნისტი*, 1922 წ., 25 მაისი.

[55] კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა, გაზ. *კომუნისტი*, 1922 წ., 28 მაისი.

[56] საკმარისია გაკვეთილად თუ არა? გაზ. *კომუნისტი*, 1922 წ., 30 მაისი.

მია საქართველოდან გავიდოდა. მახარაძე აცხადებდა, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოდან ჯარს გაიყვანდა მხოლოდ მაშინ, „როცა სრულიად გაქრება საფრთხე საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმისა როგორც შიგნიდან, ისე გარედან“, ეს კი მსოფლიოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გულისხმობდა.[57]

თუ რა ხდებოდა საქართველოში 1922 წლის 24-26 მაისს, დაწვრილებითაა მოთხრობილი 1922 წლის ივნისში მოვლენათა კვალდაკვალ გამოცემულ მოკლე პროკლამაციაში „დამოუკიდებლობის დღე საქართველოში (ცნობად – პოლიტიკური პარტიებისაგან)“.[58] „კომუნისტების სამფლობელოში სიმართლეს ვერასოდეს შეიტყობთ, ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ, მივაწოდოთ ქართველ ხალხს მოკლე ცნობები იმის შესახებ, თუ რა მოხდა საქართველოში 24-26 მაისს“, – წერდნენ პროკლამაციის ავტორები.[59]

წინასწარი ბოლშევიკური რეპრესიები მაისის პირველი რიცხვებიდან დაიწყო, „აპატიმრებდნენ სრულიად უსაფუძვლოთ, მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველები იყვნენ“. 16 მაისს გაიცა ბრძანება, 20 მაისისათვის ყველა სახის სასწავლებელი დაეკეტათ, მოსწავლე ახალგაზრდობას და მასწავლებლებს კი წინადადება მისცეს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ თბილისი. რკინიგზას დაევალა, ახალგაზრდების უფასოდ გადასაყვანად 24 მაისამდე სპეციალური მატარებლები მოემზადებინათ, თუმცა მოსწავლე ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა თბილისიდან გამგზავრებაზე უარი თქვა.

23 მაისს გამოქვეყნდა ბრძანება, რომლის თანახმადაც, საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 25 თებერვალი გამოცხადდა, 26 მაისის დღესასწაული კი გაუქმდა. ამ ბრძანების შემდეგ თბილისი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა: „23 მაისის საღამოდან ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები და სტრატეგიული ადგილები რუსის

[57] ფილიპე მახარაძე. რას თხოულობენ? გაზ. *კომუნისტი*, 1922 წ., 31 მაისი.

[58] დოკუმენტის პუბლიკაცია: ლ. კერესელიძე, 1922 წლის 26 მაისი საქართველოში, ჟურნ. *საარქივო მოამბე* (შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი), 2010, № 9, გვ. 4-22.

[59] ლ. კერესელიძე, 1922 წლის 26 მაისი საქართველოში, ჟურნ. *საარქივო მოამბე*, 2010, № 9, გვ. 7.

ჯარმა დაიჭირა. ქუჩებში გაძლიერებული ცხენოსანი და ქვეითი პატრულები ჩადგა. ქალაქში კომუნისტების მობილიზაცია გამოცხადდა. ქართველი ჯარი ყაზარმებში ჩაკეტეს და გარეთ გამოსვლა აუკრძალეს“. ამავე ღამეს საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა პროკლამაციები გაავრცელეს.

ბოლშევიკები რომ 26 მაისის აღნიშვნას შეეწინააღმდეგებოდნენ, ამას წინააღმდეგობის მოძრაობა კარგად ხვდებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს, 26 მაისის აღნიშვნა ადრე დაეწყოთ, 24 მაისიდან. მაგალითად, ქართულ უნივერსიტეტში 24 მაისის გამოსვლის დროს ჯარისკაცებმა უნივერსიტეტს ალყა შემოარტყეს. სხვებთან ერთად დააპატიმრეს ივანე ჯავახიშვილი და ანდრია რაზმაძე.[60]

ამ გამოსვლისა და ივანე ჯავახიშვილის მონაწილეობის შესახებ მეტად საინტერესო ჩანაწერს ვაწყდებით დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის დღიურში: „დიდი შეტაკება მომხდარა უნივერსიტეტთანაც; შენობა უკვე გარე-მოცული იყო წითელ არმიელთაგან, უნივერსიტეტში აღარ უშვებდენ არც სტუდენტობას, არც პროფესორებს. როდესაც რექტორი ივანე ჯავახიშვილი შედიოდა ეზოში, შეაჩერეს ის რუს-არმიელებმა, არ გაუშვეს, რექტორი ეკითხება მათ ქართულად: „რა ამბავიაო“. რუსები უპასუხებენ: „არ გვესმის, რას ლაპარაკობ, გველაპარაკეთ რუსულად, გასაგებ ენაზეო“! ჯავახიშვილს ვერ დააძრევინეს რუსულად ვერც ერთი სიტყვა, დააპატიმრეს ისიც, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს; ასევე მოექცნენ პროფესორ რაზმაძესაც და სხვებსაც“.[61]

აქცია გაგრძელდა: „სტუდენტობა – ქალები თუ ვაჟები – დაიძრა ვერის სასაფლაოსაკენ, აქ გამართეს დიდი მიტინგი, აუშვეს ეროვნული დროშები; მაგრამ ფიცხლად გარს შემოერტყა მათ წითელ-არმიელები და მილიციელების რაზმები; მოხდა შეტაკებანი! გამძვინებულ ვეფხვივით იბრძოდენ ქართველი ქალები – სტუდენ-

[60] თ. ენდელაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მარწუხებში (1921-1925 წწ.), წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, შრომების კრებული, I, 2009, გვ. 107.

[61] ნ. თალაქვაძე, მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 255.

ტები, ბევრს ცხვირ-პირი ჩაამტვრიეს, ტანისამოსი შემოაფხრიწეს, დააპატიმრეს და ციხეები თუ „ჩეკები“ აავსეს... აი, რით დასრულდა თბილისში 24 მაისის გაფიცვა, რომელსაც კომუნისტებმა „აჯანყება“ უწოდეს...“

24-26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნამ და „საქართველოს საოკუპაციო მდგომარეობის გამო დემონსტრაციამ ქვეყნის ყველა კუთხეში საპროტესტო ხასიათი მიიღო“.[62]

1921 წლის 26 მაისის აღნიშვნით საქართველოს კომუნისტი მმართველები ცდილობდნენ, საზოგადოების ნაწილში მაინც შეენარჩუნებინათ ილუზია, რომ საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ რჩებოდა. საზოგადოების ამ ნაწილის პოზიციას გამოხატავდნენ მემარცხენე ფედერალისტები და სხვა მემარცხენე პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც „საბჭოთა ნიადაგზე“ დარჩნენ. ბოლშევიკური რეჟიმი დროებით მათ გაზეთების გამოცემის შესაძლებლობასაც აძლევდა.

1922 წლიდან დაიწყო 26 მაისის ჩანაცვლება 25 თებერვლით – თბილისში რუსეთის წითელი არმიის შემოსვლის დღით. 1922 წლის 25 თებერვალს მოწვეული იქნა „საქართველოს საბჭოების ყრილობა“ და ეს დღე „საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დასაწყისად“ გამოცხადდა. ამიერიდან კომუნისტური ხელისუფლება, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა 26 მაისის აღნიშვნას, ცდილობდა, გაექრო მისი ხსოვნა. სამაგიეროდ, დიდი ზეიმით აღინიშნებოდა 25 თებერვალი. ამ დროიდან 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ გადაიქცა.

---

62 ლ. კერესელიძე, 1922 წლის 26 მაისი საქართველოში, ჟურნ. *საარქივო მოამბე*, 2010, № 9, გვ. 21.

წიგნი გამოსცა თსუ გამომცემლობამ
Published by TSU Press

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel: 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge